აკადემიკოს ნანა ხაზარაძის ხსოვნისადმი
მიძღვნილი

შ რ ო მ ე ბ ი

საგამომცემლო სახლი
„ტექნიკური უნივერსიტეტი“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აკადემიკოს ნანა ხაზარაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი

შ რ ო მ ე ბ ი

თბილისი
2024

შრომები ეძღვნება აკადემიკოს ნანა ხაზარაძის ხსოვნას. მასში შესულია როგორც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ისე საქართველოსა და უცხოეთის საუნივერსიტეტო და სამეცნიერო-აკადემიური წარმომადგენლების ნაშრომები.

მთავარი რედაქტორი

დავით გურგენიძე - აკადემიკოსი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი

რედაქტორები:

თამარ ხოხობაშვილი - საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი;

დარეჯან ცუცქირიძე - ასისტენტ-პროფესორი, საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი;

ნანა ბახსოლიანი - მოწვეული პროფესორი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი.

სარედაქციო კოლეგია

თამარ წერეთელი - ვიცე-რექტორი, პროფესორი;

თამარ ლომინაძე - რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი;

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე - თეოლოგიის სასწავლო - სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი;

ივანე ჯაგოდნიშვილი - საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

ლევან მათეშვილი - არქეოლოგიისა და საქართველოს ისტორიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

ლია მელიქიშვილი - აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია;

თემურ ჯაგოდნიშვილი - ქართული ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

ჯემალ გაბელია - სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი.

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2024

ISBN 978-9941-512-57-5

http://www.gtu.ge

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილის (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) გამოყენება არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური) არ შეიძლება გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

წიგნში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი/ავტორები.

ავტორის/ავტორთა პოზიციას შეიძლება არ ემთხვეოდეს საგამომცემლო სახლის პოზიცია.

Verba volant,
scripta manent

აკადემიკოსი ნანა ხაზარაძე

შინაარსი

თამარ დრაგაძე ნანა ხაზარაძის 6

ჯემალ გაბელია ნანა ხაზარაძე – ქალბატონი დიდი ისტორიით 7

თემურ ჯაგოდნიშვილი აკადემიკოსი ნანა ხაზარაძე ქართული კულტურის ამაგდარი 9

თამარ ხოხობაშვილი ნანა ხაზარაძე და ქალის სულიერი სამყარო 10

ქეთევან ჯერვალიძე ნანა ხაზარაძე – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი 12

ქეთევან გაბრუაშვილი ჩვენი დროის გამორჩეული ქალბატონი ნანა ხაზარაძე 14

ნანა ბახსოლიანი ხელის აღმნიშვნელი ლუვიური იეროგლიფის სემანტიკური კოდისათვის 16

ლია მელიქიშვილი იდენტობის როლი მნემონიკურ ერთობაში 19

დარეჯან ცუცქირიძე კაცნი ცათა მიმდევარნი 23

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე ნანა ხაზარაძე (მცირე მოგონება) 25

პაატა ბუხრაშვილი „ორნამენტირებული ორპირი ცული“ ნაზარლების სამლოცველოდან 28

ალექსანდრე ნაზღაიძე, ვაჟა სადრაძე წინაქრისტიანული საკულტო ძეგლები საქართველოში 37

მარიამ (მარიკა) იზორია კერამიკული სასმისების გენეზისი საქართველოს არქეოლოგიური მასალის მიხედვით 46

გიორგი კვირკველია, ვაჟა სადრაძე შავი ზღვა და კოლხეთის დაბლობის ტორფქვეშა ნამოსახლარების გაჩენა – წარმომავლობის საკითხისათვის 59

თამთა ჭოველიძე, მერაბ ძნელაძე, ვაჟა სადრაძე ადრექრისტიანული ხანის ნაქალაქარი – ვაშნარი 66

მერაბ ძნელაძე, გია ნადირაშვილი, თამთა ჭოველიძე ვახტანგ გორგასლის ღვაწლი დედაქალაქის თბილისში გადმოტანასა და მასში პირველი ქრისტიანული ეკლესიების აშენებასთან დაკავშირებით 69

მაია ქუთათელაძე გვიანანტიკური ხანის ქართლის სამხედრო-სამოხელეო არისტოკრატია – ეზოსმოძღვარი 75

იაროსლავ პილიპჩუკი აკრძალვები ყივჩაღებში Пилипчук Я.В. - Запреты у кыпчаков 81

ნუგზარ ვანიშვილი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქიის 21 კათედრის ადგილმდებარეობა და აბისინიის (აბაშელთა) ეკლესიისშესახებ 88

მანანა აბუთიძე ქტიტორის გამოსახულებები ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცული ხელნაწერიდან (#263) 96

ედიშერ გვენეტაძე ქუტირის წმიდა გიორგის ეკლესია 102

მარინე მესხია ქალები საქართველოს ისტორიაში (ქალების უფლებრივი მდგომარეობა შუა საუკუნეების საზოგადოებაში)..... 108

ლამარა ასლამაზიშვილი ქართულ-ვაინახური ეთნიკური და ყოფითი ურთიერთობები XVIII- XIX ს. დასაწყისამდე 112

თედო ისაკაძე აფხაზ-ადიღელების გენეტიკური ისტორია..... 118

თამარ შაიშმელაშვილი „ჩემი ტაო-კლარჯეთი“ და პოეტური სიტყვა - „სულისგანმანათლებელი“ 129

ქეთევან ჯერვალიძე, ნინო პეტრიაშვილი ერთი გრეციზმის შესახებ ქართულ გვარ-სახელში – სალაყაია –σάλαξ, ακος ὁ – „გისოსი, ცხაური“; „გრგვინვა, ზათქი, გრიალი, რყევა“..... 135

დოდო ჭუმბურიძე საისტორიო-ფოლკლორული და წერილობითი წყაროები დიმიტრი ფურცელაძის მიერ 1863 წელს შედგენილ სახელმძღვანელოში..... 142

დალი კანდელაკი დეკაბრისტების კავკასიური ისტორიები 155

ბაღათურია გიორგი პარადოქსები საქართველოს ისტორიაში - რამდენიმე სურათი..... 162

თემურ ჯაგოდნიშვილი კიდევ ერთხელ ხის კულტის შესახებ ქართულ მითოსში (აკად. ნ. ხაზარაძისა და თ. ცაგარეიშვილის ნაშრომის „წმინდა ხის კულტი საქართველოში“ – გამო) 169

ლია მეტრეველი სწავლების მეთოდები მეცნიერ მღვდელმთავარ გაბრიელ ქიქოძესთან..... 176

მანანა ქაჯაია რამდენიმე წერილი გიორგი წერეთლის გარდაცვალების შესახებ..... 181

ნატო სონღულაშვილი. განათლება და ეროვნული იდენტობა საბჭოთა პერიოდის საქართველოში (XX საუკუნის 70-90-იანები)..... 185

ჰენრი კუპრაშვილი სამშობლოსათვის თავგანწირვის ისტორიული მაგალითი და უმადური თანამედროვენი..... 192

ნინო გომართელი. ეროვნული თანხმობა – საქართველოს ერთიანობის საფუძველი..... 203

თამარ კიკნაძე, მალხაზ კაპანაძე მსოფლიო წესრიგი და მისი განსაზღვრის თეორიული საფუძვლები 206

ქეთევან ჯოჯიშვილი ქართული პოლიტიკური კულტურის ძირითადი მახასიათებლები 211

სოფიო დემეტრაშვილი, ალუდა ღუდუშაური საქართველოს გამოწვევები ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების იმპერატივებში..... 216

ვაჟა შუბითიძე ნიკო ნიკოლაძე პოლიტიკური კულტურის და სოციალიზაციის აქტუალურ პრობლემებზე 221

გიორგი ჩხიკვიშვილი ევროპული ნაციონალისტური პარტიების პოლიტიკური დისკურსები მეინსტრიმული თემების შესახებ..... 229

ედიშერ ჯაფარიძე ევროპული ინტეგრაციის ისტორიულ-სამართლებრივი ასპექტები..... 233

ქეთი ჯიჯეიშვილი მეხსიერების პოლიტიკის ძირითადი მარკერები ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში 241

დავით კუხალაშვილი სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობა და საერთაშორისო არენაზე ზიანის მიყენების შესაძლებლობები 245

ლევან ოსიძე ეროვნული იდენტობისა და ღირსების შენარჩუნების პრობლემები თანამედროვე ნეოლიბერალური მანიპულაციების პირობებში 254

მაია კაპანაძე ისლამური მოდერნიზმი და მაჰმადიანი რეფორმატორები 265

სოფიკო გორგილაძე კულტურის საკითხების გაშუქება ეროვნულ მაუწყებლობებზე 277

მარინა სურმავა კრიტიკული აზროვნების პოზიტიური წყარო 283

ნუგზარ იაშვილი, ლევან იმნაიშვილი, მაგული ბედიანიშვილი გიორგი ნიკოლაძე მსოფლიოში პირველი ელექტრონული საანგარიშო მოწყობილობის გამომგონებელი 288

ნუგზარ იაშვილი საქართველოში საინჟინრო ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლის ასწლოვანი ისტორიის ფურცლები 296

ვალერი მოდებაძე თურქეთის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ინტერესები ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების პროცესში 303

მურმან პაპაშვილი დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მაქსიმე I და კრისტოფორო კასტელი (ურთიერთობის უნიკალური ფაქტი) 311

ნანა ხაზარაძე

ჩემთვის დიდი პატივია მონაწილეობა მივიღო ჩემი გმირი ქალბატონის ნანა ხაზარაძის ხსონისადმი მიძღვნილ განსაკუთრებულ ღონისძიებაში – საერთაშორისო სამეცნიერიო კონფერენციაში.

პირველად ინგლისიდან საქართველოში სასწავლებლად ჯერ კიდევ 20 წლის ასაკში, 1969 წელს ჩამოვედი. იმ დროს საქართველოს ისტორიას ის მეცნიერები ასწავლიდნენ, რომელთა შორის იყვნენ მარიკა ლორთქიფანიძე, ჩემი მასწავლებელი შოთა მესხია და, რა თქმა უნდა, ნანა ხაზარაძე. როინი მეტრეველი მაშინ ახალგაზრდა იყო და ყოველთვის მახსოვს, როგორც ახალი თაობის გამორჩეულად კარგი მეცნიერი.

სოციალური ანთროპოლოგიის ანგლო-საქსონურ ტრადიციაში, რომელსაც ქართულში „ეთნოგრაფიას“ უწოდებენ, გვასწავლიდნენ. „ეთნოგრაფიულ აწმყოს“ ანუ „წახვედი სოფელში და აღწერე რაც ნახე, ანუ დრო შეჩერდა, როცა შენი მოხსენება დაწერე, ის აწმყო დროით წარმოდგა“. ანუ ჩვენ არ ვითვალისწინებდით ისტორიას. ქართულ ეთნოგრაფიულ სკოლაში კი, რომელსაც გიორგი ჩიტაია და ვერა ბარდაველიძე ხელმძღვანელობდნენ, თანამედროვე ტრადიციებს ისტორიულ ფესვებთან კავშირში სწავლობდნენ. მრავალი წელი დამჭირდა ამ მიდგომის დასაფასებლად.

ნანა ხაზარაძე ისტორიის უძველეს დოკუმენტებს დეტექტიური სიმძაფრით აღწერდა, აცოცხლებდა და მნიშვნელობით ავსებდა. შეუძლებელი იყო მათი გავლენა არ დამენახა დღევანდელ რეალობაზე, მაგალითად, საქართველოს დღევანდელ საზღვრებზე. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ის მახსოვდა, როგორც პიროვნება. მის სახლში თავდაპირველად ქმრის მიწვევით მივედი. შთაბეჭდილება მოახდინა მათმა სითბომ, მოთმინებამ და უბრალო ქცევამ. შემდგომ წლებში მას ვესტუმრე ჩემს კოლეგასთან, პროფესორ ლია მელიქიშვილთან ერთად, შემოგვიერთდნენ სხვა ეთნოგრაფები და ჩვენი დისკუსიები ყოველთვის საინტერესოდ, დროის აღქმის გარეშე მიმდინარეობდა. ახლა აღარაფერს ვიტყვი, გარდა იმისა, რომ ქალბატონ ნანა ხაზარაძესთან და სხვებთან ერთად, ვინც წვლილი შეიტანა საქართველოს უძველესი ისტორიის სკოლის აყვავებაში, იმედი მაქვს, რომ ახალგაზრდა მეცნიერთა ახალი თაობა განაგრძობს მუშაობას იმავე სფეროში, არ აქვს მნიშვნელობა, რა სირთულეები შეიძლება წარმოიშვას ამჟამად. მსგავსი სირთულეები ანტიკური ისტორიის ასეთი მკვლევრებისათვის არსებობს არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში, თუმცა, ბევრ მათგანს არ ჰყავს ისეთი მშვენიერი მეცნიერი, როგორიც ნანა ხაზარაძეა.

თამარ დრაგაძე
ვესტმინსტერის უნივერსიტეტისა და სამეფო ანთროპოლოგიური ინსტიტუტის პროფესორი

ნანა ხაზარაძე - ქალბატონი დიდი ისტორიით

აკადემიკოსი ნანა ხაზარაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სიტყვა, მინდა დავიწყო დიდი ვაჟას ნათქვამით „ლამაზ ქალს ლამაზი სიტყვის თქმა აქცევს ღმერთად“, ოდითგან მშვენიერ ქართველ ქალს ურიცხვი ქართველი და უცხოელი თაყვანისმცემელი ჰყავდა. ისინი სილამაზესთან ერთად, ამ ქალბატონების მრავალმხრივ განათლებას, ნიჭიერებას, ინტელექტუალობასა და ზნეკეთილობას ეტრფოდნენ. ქართველი ქალი – უნიკალური ქართული კულტურის ნაწილი იყო.

აკადემიკოსმა ნანა ხაზარაძემ თავისი გარეგნობითა და შემოქმედებითი ცხოვრებით, მარადიულობაში დაასახლა მშვენიერი ქართველი ქალი. ვინც ერთხელ მაინც შეხვედრია მას, შეუძლებელია არ გაოცებულიყო მისი სულიერი მომხიბვლელობით.

უნდა გავიხსენო, ჩვენი პირველი შეხვედრა – ეს იყო სამი ათეული წლის წინ, მისი მისაღები ოთახის კართან ვიდექი, შეხვედრას ველოდი და ვღელავდი. ერთმანეთს მივესალმეთ და წამით მისმა გარეგნობამ ყველაფერი დამავიწყა... ჩემ წინ მშვენიერი ქალი იდგა, ხალისიანი და მეტყველი თვალებით, ქალი რომელიც სითბოს სითბოთი პასუხობდა და კეთილმოსურნეობას კეთილმოსურნეობით, მის სანდომიან ლამაზ სახეს ძალიან უხდებოდა ღიმილი. გადატანილმა არაერთმა სულიერმა ტკივილმა ვერ გატეხა მისი ძლიერი ნებისყოფა, შემართება და მომავლის რწმენა, რაც გვერდით მყოფთათვის განსაცდელში გაძლებისა და უკეთესი მომავლის იმედი გახდა.

ჩვენი საუბარი გაიმართა: ქ-ნი ნანა წუხდა 90-იან წლებში ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო აღნიშნავდა: ძნელია არ გქონდეს მწვავე რეაქცია, როცა ხედავ ყოველ ნაბიჯზე გრძნობ, რომ შენს ჯიშსა და ჯილაგს გადაგვარების საფრთხე ემუქრება, საკუთარ სამშობლოს კი მაჯისცემა დღითი-დღე უნელდება, უხამსობას და უზნეობას ვერ უმკლავდება და საცაა „შემოგვაკვდება“ კიდეც ურთიერთსიყვარული, ადამიანური მოფერება, მეგობრობა და რუდიმენტად ქცეული სათნოება და პატიოსნება...

მთელი ძალისხმევა, ინტელექტი და გონი ფულის მოხვეჭისკენ არის მიმართული!

კარგა ხანია, რაც იგი გახდა ადამიანთა შორის ურთიერთობის პატივისცემის, თანაგრძნობის, სიყვარულის განმსაზღვრელი, თითო-ოროლას თუ ახსოვს აფხაზეთი და სამაჩაბლო, ცოტა ვინმეს თუ სტკივა ქვეყნის სატკივარი, ცოტა ვინმეს თუ აწუხებს გადაგვარებული ქართველი კაცი და ქალი, ცოტა ვინმე თუ ამჩნევს ყელამდე რომ ამოვიდა სიბინძურე და ჭუჭყი, ამროზიამ შეგვიჭამა სული, ლამის გასკდეს გული, ენა – არა! სარწმუნოება - არა! მამული -არა! მაშ, რა?!

„ვაი, ჩვენს პატრონს, ჩვენი ყოფის თავი და ბოლო“, - ჭამა და საჭმლის მონელება თუ არის მხოლოდ!“

ძალიან კარგად მესმის ისიც, რომ „ავადმყოფს“ მკურნალობა, სწორი დიაგნოზის დასმა, საჭირო „წამლები“ სჭირდება და არა მუშტებისა და წიხლების კვრა, რომ მხოლოდ წუწუნით, ლანძღვითა და გინებით ჩვენი სნეული ქვეყანა „ლოგინიდან“ ვერ წამოდგება... ამიტომაც, კარგა ხანია ვეძებ კითხვაზე პასუხს, ვინ და რამ ჩააგდო ჩვენი სამშობლო ასეთ უკუღმართ დღეში, სად ვეძიოთ დამნაშავე, ხელისუფლებაში თუ საკუთარ თავში?!

ქართული ისტორიული მეცნიერება არ არის განებივრებული ქალთა სიმრავლით! მაგრამ იმათ, ვისი სიყვარულიც ჩვენს მეხსიერებას შემორჩა, დაუვიწყარი კვალი დატოვეს ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარებაში. ქალბატონმა ნანამ მეცნიერული

წრთობის სერიოზული სკოლა განვლო. ის ქართველ ისტორიკოსთა იმ მცირერიცხოვან ჯგუფს განეკუთვნება, რომელმაც საკუთარ თავზე იწვნია საბჭოთა ხელისუფლების რეპრესიების ენით უთქმელი სუსხი და მაინც ვერაფერმა გატეხა, ვერ გააბოროტა, ვერ ათქმევინა უარი იმ წმინდათაწმინდა იდეალების მსახურებაზე, რასაც სათნოება, სიკეთე, სამშობლოს სიყვარული და მისთვის თავდადება ჰქვია...

ხანგრძლივი, შრომატევადი კვლევა-ძიების შედეგად 1984 წელს გამოაქვეყნა მონოგრაფია: „საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები“, სწორედ ამ ნაშრომისათვის მოიპოვა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი და დაცვამდე, რამდენიმე ხნით ადრე, ჯერ კიდევ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს, მიენიჭა ისტორიის დარგში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უმაღლესი, ყველა ისტორიკოსისათვის სანუკვარი, ჯილდო: აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემია. მრავალფეროვანია ქალბატონი ნანას მიერ გამოქვეყნებული ათეულობით სამეცნიერო ნაშრომების პრობლემატიკა.

მთელი თავისი ცხოვრება და ენერგია მეცნიერმა ღვთისა და ერის, ქვეყნის სამსახურს შეალია. მისი თვალსაწიერი და განსაწიერი მთელ ქვეყანას წვდებოდა. კეთილის შემოქმედს საქმე არ დაელევა, ერთი სიცოცხლე არ ყოფნის, მისი საქმე ჩირაღდანივით ნათელს ჰფენს მომავლის გზას, გზას, რომელზედაც შთამომავლობას მოუწევს სვლა. მისი შემოქმედება მტკიცე მტევანს გვაგონებს, ქართული მზისა და მადლით გასხივოსნებულს, აკანკალებული ხელებით რომ მიაქვთ მშობელი ქვეყნის საკურთხეველთან.

ნანა ყველასათვის ძვირფასი და ყველასგან დაფასებული ქალბატონი იყო. იგი მშვენიერ ქალთა იმ კატეგორიას ეკუთვნოდა, დღესაც რომ გვინათებს ზეციური საქართველოდან. მისი განვლილი ცხოვრების გზა, ისე როგორც ყველა ჭეშმარიტი ქალისა, ძალიან ფაქიზად ეხება ადამიანის გულის სიმებს, ყოველი ძნელბედობის ჟამს ამხნევებს, იმედს აძლევს და ეფერება. კოლეგები მას ვიცნობდით როგორც ენერგიულ, მიზანსწრაფულ და ოპტიმიზმით სავსე ქალბატონს, რომელიც არასდროს უშინდებოდა წინააღმდეგობებს, უშიშრად იბრძოდა მათ დასაძლევად... ძალიან განიცდიდა განათლების დარგისადმი დამოკიდებულებას, ამბობდა – ყველაფერი მომწყინდა, არ დაიჯერებთ და უნივერსიტეტში მოსვლაც აღარ მინდა, ფასი დაკარგა ყველაფერმა, ისტორიას რომ ვუხსნი სტუდენტებს, ისე ამაყად ვეღარ ვლაპარაკობ, რაღაცნაირი დროა, მე თვითონ აღარ მჯერა ბევრი რამის.

ასე მგონია, ვიღაცა მოგვყვებოდა 30 საუკუნე და ძალით გვალამაზებდა. წიგნში სხვა წერია, სამწუხაროდ, გაუტანლები და დაუნდობლები გავხდით, ოჯახის წევრი არ ვიცით და ნათესავი, შიშმა გონება დაგვიბნელა, სიძულვილმა სისხლი გაგვიცია, საკუთარ თავში იმედს და ღონეს ვეღარ ვპოულობთ, ყველაფერი, რაც ჩვენს თავს ტრიალებს, ჩვენი ბრალია! გაერთიანება რომ შეგვეძლოს, საქართველო არც ისე პატარა და უძლური ქვეყანაა, მაგრამ რა გაგვაერთიანებს! არადა, მე მგონია, ერს საბოლოოდ მაშინ ეღება ბოლო, საკუთარი ისტორიისადმი რწმენას რომ დაკარგავს და თავის გუშინდელ დღეს ეჭვით შეხედავს. თქვენ წარმოიდგინეთ, სტუდენტებიც, ის სტუდენტები აღარ არიან, გაფართოებული თვალებით რომ მიცქერდნენ. ისინიც, ჩემი არ იყოს, გადასხვაფერდნენ, ეს ტრაგედიაა ქვეყნისთვის...

და ბოლოს ვალდებული ვართ გვახსოვდეს ქალბატონი ნანას დანაბარები: სიმართლის გზა ღვთის გზაა, ხოლო გასაყარი - დამღუპველი, ღმერთისგან დამაშორებელი.

ჯემალ გაბელია, სტუ-ს პროფესორი

აკადემიკოსი ნანა ხაზარაძე ქართული კულტურის ამაგდარი

აკადემიკოსი ნანა ხაზარაძე ქართული ისტორიისა და კულტურის აღიარებული მკვლევარი იყო. მისი მეცნიერული ინტერესები მოიცავდა ახლო აღმოსავლეთის, სამხრეთ კავკასიის, სამხრეთ ევროპის ეთნოკულტურის ისტორიას. განსაკუთრებულია ნ. ხაზარაძის იმ ნაშრომების მნიშვნელობა, რომლებიც შეეხება ძველაღმოსავლურ ეთნოკუტურულ სამყაროს, წმინდა ხის კულტს საქართველოში, ხეთურ-ქართულ მითოლოგიურ პარალელებს, ლუვიური ენის საკითხებს, სადაც გამოვლინდა ნ. ხაზარაძის ლინგვისტიკური განსწავლულობაც. ფილოლოგიის სამყაროსადმი მიდრეკა არ ყოფილა ნ. ხაზარაძის მომენტური ინტერესის გამოვლენა. ეს ინტერესი მყარ და თანამიმდევრული იყო. ეს განსაკუთრებით გამოვლინდა ლექსიკოლოგიურ-ლექსიკოგრაფიულ კვლევებში, ტექნიკური ტერმინოლოგიის დამუშავებაში.

ამ მიმართულებით ნ. ხაზარაძის მიერ განხორციელებული ერთი საინტერესო პროექტი იყო ცნობილი მოსკოველი პოეტის სერგეი სურგუჩოვის პოეზიის ქართულად ამეტყველება, რომელიც გენეტიკურად ქართველი იყო, გვარად თაყაიშვილი. ნ. ხაზარაძის თანადგომით ს. სურგუჩოვის სახელი არ დაეკარგა ქართული კულტურის ისტორიას. 2014 წელს ქართულ ენაზე ითარგმნა ს. სურგუჩოვის ლექსთა კრებული „ლექსები ჩნდება ვით აფეთქება“ (გამომცემლობა „მწიგნობარი“), პროფ. თ. ჯაგოდნიშვლის რედაქტორობით და წინასიტყვაობით.

აღნიშნული პროექტის რეალიზებით ნ. ხაზარაძემ გარკვეული წვლილი შეიტანა ქართული კულტურული ცნობიერების ბუნების გამოვლენაში.

თემურ ჯაგოდნიშვილი, სტუ-ს პროფესორი

ნანა ხაზარაძე და ქალის სულიერი სამყარო

ნანა ხაზარაძის კალამს არაერთი ნარკვევი ეკუთვნის, რომელიც ქალის ადგილსა და როლს, მის მნიშვნელობას შეეხება სახელმწიფოსა და საზოგადოებაში. ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია ნარკვევს „ღვთისმშობლის სარტყლის ქვეყანაში“. ქართული და უცხოური წერილობითი წყაროების მეცნიერული ანალიზისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე დამაჯერებლადაა რეკონსტრუირებული ღვთისმშობლის სარტყლის ისტორია. ქალბატონ ნანა ხაზარაძის მიერ სკრუპულოზურად შეკრებილი და მოხმობილი ისტორიული რეალიები, რომლებიც ასე სრულად, ფაქტობრივად, პირველადაა თავმოყრილი, ფასდაუდებელია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ღვთისმშობლის სარტყლის გამოჩენის თავდაპირველი ისტორია დამატებით შესწავლას მოითხოვს, ქალბატონ ნანას მიერ ჩატარებულ შრომატევად კვლევა-ძიებათა შედეგად სავსებით ნათელია, რომ ღვთისმშობლის სარტყელი ქართველი ხალხის წმინდათაწმინდა რელიკვიას წარმოადგენდა და საუკუნეთა მანძილზე ღვთისმშობლის კვართთან ერთად საქართველოშია დაბრძანებული.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ავტორისეული თვალსაზრისი იმის თაობაზეც, რომ წმინდა მიწაზე, ჯერ კიდევ მე-15 საუკუნეში მყოფი ლათინი პილიგრიმების (ფელიქს ფაბრი, ზებალდტ რიტერი...) მიერ ქართველებისათვის შერქმეული სახელწოდება „სარტყლის ქრისტიანები“ მაინცდამაინც ღვთისმშობლის სარტყელთანაა დასაკავშირებელი და არა წმინდა გიორგის სარტყელთან, როგორც ამას ზოგიერთი ლათინი პილიგრიმი მე-15 საუკუნეშივე ვარაუდობდა.

ქალბატონ ნანა ხაზარაძის ავტორობით შესრულებული ნარკვევი „მართლმადიდებელი სამყარო და ქართველი ქალი“ ქართველი ქალის მაღალი ზნეობის მაგალითებს უხვად გვაცნობს. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში ქალს სრულიად განსაკუთრებული ადგილი ეკავა და უკავია. დავიწყებული არ არის წმ. ნინოს, მისი ბიოგრაფების სალომე უჯარმელისა და პეროჟავრი სივნიელის, ელიოზის დედისა და დის, ნანა დედოფლისა და წმიდა ნინოს მოწაფეთა ღვაწლი საქართველოში სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობის გამოცხადების ფაქტთან დაკავშირებით.

აღნიშნული ნარკვევი ქართველი ქალის ფენომენს სხვადასხვა ასპექტით წარმოაჩენს. ავტორმა საყურადღებო მონაცემები მოიძია საეკლესიო აღმშენებლობაში ქართველი ქალების მიერ შეტანილი წვლილის წარმოსაჩენად. სავსებით კანონზომიერია, რომ ნარკვევის ამ ძალზე მნიშვნელოვანი ნაწილისათვის მას მეფე თამარისადმი მიძღვნილი ერთი ხალხური ლექსის სტრიქონი „უბისს ავაგე საყდარი, უწყლოსა წყალი ვადინე“ წაუმძღვარებია. ამ თემისადმი მიძღვნილი წიგნის ყოველი გვერდი მკითხველს ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების უნიკალური ძეგლების აღმშენებლობის, რესტავრაციისა და მოვლა-პატრონობის ათეულობით მისაბაძ მაგალითს აცნობს.

ამავე ნარკვევში სხვადასხვა პირველწყაროთა (საისტორიო თხზულებები, ეპიგრაფიკული ძეგლები, სულთა მატიანეები, დოკუმენტური მასალები) მონაცემების საფუძველზე შთამბეჭდავადაა ნაჩვენები, რომ ქართველი ქალები საეკლესიო აღმშენებლობასთან ერთად პირნათლად მისდევდნენ უფლისათვის შესაწირავის მირთმევის, შერთუმის, შეწყნარების, ზორვის, მსხვერპლების, ძღვნის განწესების ძველ და ახალაღთქმისეულ ტრადიციას. ქართველი ქალები, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ არსებულ ეკლესია-მონასტრებს ფულადი სახსრებისა და ძვირფასი ჯვარხატების გარდა, გულუხვად სწირავდნენ ზიარებისათვის განკუთვნილ ვერცხლისა და ოქროს ჭურჭელს (ფეშხუმებს, ბარძიმებს, საზედაშე სასმისებს...), ჯვარ-სასანთლეებს, საცეცხლურებს, ხის, ვერცხლისა და ოქროს ნივთებს და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, საკუთარი ხელით შექმნილ, ოქრომკედით, აბრეშუმის ძაფით, თვალმარგალიტით დამშვენებულ სახატე ფარდებს, საბუხრეებს, დაფნარებს, პერექელებს, ოლარებს, ომფორებს, სარტყლებს...

„დავწერე წიგნი საერო, ეს საღმთო უკეთესია, დამწერს შენდობა მიბრძანეთ, თქვენც შეგეწევათ მესია“. ასე დაასათაურა ქალბატონმა ნანამ სიუჟეტი, რომელიც ქართველი ქალების მოღვაწეობის კიდევ ერთ მნიშვნელოვან მხარეს გვაზიარებს. საკითხი ეხება ქართული სასულიერო ლიტერატურის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით ქართველ ქალთა მიერ გაწეულ საკმაოდ შრომატევად საქმიანობას. კერძოდ, უცხო დამპყრობელთა მიერ საქართველოდან გატაცებული სასულიერო ძეგლების გამოხსნა-დაბრუნებას, ხელახალ გადაწერას, აკინძვას, თვალ-მარგალიტით შემკულ ყდაში ჩასმას, მათთვის საიმედო თავშესაფრის მოძიებას. ქართველი ქალის სულიერების სრულად წარმოსაჩენად ქალბატონმა ნანა ხაზარაძემ ერთ-ერთ პირველწყაროდ ქართველ ქალთა მზითვის წიგნებიც მიიჩნია. მე-16, მე-19 საუკუნეებით დათარიღებული მზითვის წიგნებიდან ნათლად ჩანს, რომ ოჯახის მიერ გასათხოვარი ქალიშვილისთვის მზითვად განკუთვნილი წიგნების უმრავლესობას სწორედ საეკლესიო ლიტერატურა (სახარება, ფსალმუნი, ჟამნი, ზატიკი, მარხვანი, სადღესასწაულო, კურთხევანი, მოციქულთა წერილები) შეადგენდა, რაც საუკუნეთა მანძილზე ქართველი ქალის სულიერი სამყაროს ფორმირების უშრეტ წყაროს წარმოადგენდა. ბუნებრივია, რომ ქალბატონ ნანა ხაზარაძის ნარკვევში წმინდანად შერაცხულ ქართველ ქალებზე და მათ ღვაწლზეცაა საუბარი.

ნარკვევს საპატრიარქოსთან არსებული მორწმუნე ქალთა საზოგადოების მოღვაწეობის ამსახველი ეპიზოდები აგვირგვინებს. აღნიშნულია, რომ მე-20 ს. 80-90-იანი წლების საქართველოში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა: საქართველოს სამოციქულო ეკლესიაში მისი მრევლის დაბრუნების შეუქცევადი პროცესი დაიწყო. ქართველი ქალის სამყარო სულიერებით აივსო, იგი კვლავ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის განუყოფელი ნაწილი გახდა. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ქალბატონ ნანა ხაზარაძეს, რომ მის მიერ მოძიებული მრავალფეროვანი მონაცემები შესაძლებლობას გვაძლევს ერთმნიშვნელოვნად დავასკვნათ, რომ ქართველი ქალი საქართველოს სამოციქულო ეკლესიას, ქრისტიანულ რელიგიას თავდაუზოგავად ემსახურებოდა და ემსახურება. მას სრულად აქვს გაცნობიერებული, რომ მართლმადიდებლობას ქართველი ერის გადარჩენის უდიდესი მისია აკისრია, ხოლო ქართველ ქალს გადამრჩენის თანადგომა და ერთგული სამსახური.

თამარ ხოხობაშვილი, სტუ-ს პროფესორი

ნანა ხაზარაძე - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი

გარეგნობა ჰქონდა დარბაისლური, საუბარი იცოდა დიდებული და, ცხადია, ასევე დარბაისლური, ხატოვანი და პოეტური, მხედველობას უჩიოდა და ამის დანაკლისს ყოველ ბგერაში ჩაღვრილი სიყვარულით ავსებდა. ხმით გეფერებოდა. საიდან ჰქონდა ეს უშრეტი ენერგია და სიყვარული ამდენ ჭირვარამგამოვლილს? ძალიან დამწყვიტა გული მისმა წასვლამ, ძალიან! წრფელად დავიტირე. თავს იმით ვინუგეშებ, რომ რამდენიმე თბილი სიტყვის თქმა მაინც მოვახერხე, შევბედე, მოვედობილ-მოვესიყვარულე.

ქალბატონი ნანა ხაზარაძე პირველად 1984 წელს მისივე ნაშრომით – „საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები“ – გავიცანი და შემდეგ მისი კვლევები სულ შემოდიოდა ჩემი ინტერესების სფეროში. პირადი კონტაქტი კი 2016 წელს ტელეფონით შედგა: მე და ჩემმა თანაავტორმა ნ. პეტრიაშვილმა გრამატიკის პოეტიკისა და პოეზიის მიმართულებით გალაკტიონის ლექსი „რარიგ კარგია სამშობლოვ” განვიხილეთ და რადგან ჟურნალი „ჩვენი მწერლობა” აღარ გამოდიოდა, გადავწყვიტეთ, პირდაპირ ჩემს ბლოგზე განგვეთავსებინა. სწორედ ამ დროს დამირეკა ჩემი თანაავტორის მეგობარმა ისტორიის აკადემიური დოქტორმა ქალბატონმა დარეჯან ცუცქირიძემ. მისგან გავიგე, რომ ქალბატონი ნანა ივ. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილ კრებულს ამზადებდა და ბინის ტელეფონის ნომერიც მანვე მომცა.

სტატიაში მხოლოდ ერთადერთი წინადადება გვაქვს ი. ჯავახიშვილის შესახებ: „გალაკტიონი იცნობს ივ. ჯავახიშვილის “პალეოგრაფიასაც”: “ოცდაექვსი საუკუნის წინათ ქმნიდნენ ქართულ ანბანს”; მე არ დამირეკავს; მეორე დღეს ისევ შემეხმიანა ქალბატონი დარეჯანი და მითხრა, ვიცი, რომ არ დაგირეკავთ ქალბატონი ნანასთვის, აი, ახლა თვითონ ქალბატონ ნანას სურს თქვენთან საუბარიო. აღმოჩნდა, რომ საკუთარი ინიციატივით ეთქვა ჩვენ შესახებ ქალბატონი ნანასთვის. ასე რომ, ეს იყო ჩემი და ქალბატონი ნანას პირველი სატელეფონო საუბარი. მოკლედ, გადავუგზავნე მასალა ქალბატონ ნანას. საუბრისას ხომ ვუთხარი, მაგრამ სტატიას წერილობითაც დავურთე შემდეგი სიტყვები, თუ არ მოეწონებოდა ჩვენი ნაშრომი, ჩემს მისადმი პატივისცემის გრძნობას არაფერი დააკლდებოდა ამით და უხერხულად არ ეგრძნო თავი; ორიოდე დღის შედეგ ქალბატონმა ნანამ დამირეკა, უფრო სწორედ, დაარეკინა თანამშრომელს, ქალბატონ ქეთევან ახობაძეს. უღრმესი მადლობა გადაგვიხადა.

ისეთი სიტყვები მითხრა, ისეთი შეფასება მოგვცა, რომ მერიდება კიდეც ვთქვა. მაგრამ რატომ არ უნდა ვთქვა? „მასალას რომ ვეცნობოდი, – მეუბნებოდა ქალბატონი ნანა – ხან კოლხეთის დაბლობზე ვიყავი, ხანაც ბახტრიონის ციხეს შემომჯდარი, რასაც ვკითხულობდი ყველაფერს ვხედავდი, ყველაფრის თანამონაწილე ვიყავი და ვფიქრობდი: ერს ასეთი ქალბატონი რომ ჰყავს, რომელსაც ასეთი თვალი აქვს, რომელიც ენის სულს ასე სწვდება და სხვათამდეც ასე მიაქვს, იმ ერს გადაშენება არ უწერიაო“.

ჩემი ყოფილი მოწაფე, პოეტი დოროთეა შეესწრო ჩვენს საუბარს. მე ქალბატონ ნანას სიტყვებს ხმამაღლა ვიმეორებდი, ეტყობა, „ფრიად ცოდვილი“აღტაცებას ვერ ვმალავდი. მე მივუგე ქალბატონ ნანას, თქვენ ისეთ სიტყვებს მეუბნებით, ერთი წუთი მაცალეთ, ჩამოვჯდები-მეთქი, სკამი გამოვწიე, ჩამოვჯექი, ის კი საოცარი პოეტურობით, ხატოვნად განაგრძობდა მოყოლას იმ ემოციათა შესახებ, ჩვენი მასალის კითხვის პროცესში რომ გასჩენოდა. და როდესაც ზეაღმტაცი სიტყვები დაასრულა მან, მე მოცნობიერებულმა მივმართე, ქალბატონო ნანა, ისედაც საშინელი ცხოვრება მაქვს ამ ცოდნისა და ზნეკეთილობისა გამო მომკილი, მე კიდევ ეგ მინდა? ისედაც მსხვერპლი ვარ, ერის ყოფნა-არყოფნის ტვირთს მაინც ნუ ამკიდებთ, საპალნეს რატომღა მიმძიმებთ-მეთქი? მოკლედ, „განგრძობილად იყო უბნობა ჩვენი”.

ასე მოხვდა ჩვენეული ხედვა გალაკტიონის ლექსისა „რარიგ კარგია, სამშობლოვ...“ ივანე ჯავახიშვილისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სტატიების კრებულში: „მარადისობის გზა“. ჩავთვალე,

რომ ივანე ჯავახიშვილისა და გალაკტიონის სულებმა ინებეს ქალბატონი ნანას მეშვეობით გვერდიგვერდ განივთებულიყვნენ წიგნში...

შემდეგ ქალბატონმა ნანამ გამომიგზავნა მისივე ინიციატივით გამოცემული წიგნი გენდერზე წარწერით; ძალიან საინტერესოა, წყაროებია მითითებული, აქამდე ასეთი ინფორმაცია, რამდენადაც ვიცი, ამ კუთხით არ შეკრებილა. მასში თავმოყრილია ჩვენი გარდასული ეპოქის დიდი ქალბატონებიც, მზრუნველნი ეკლესიაზე, მართლმადიდებლობაზე.

წელიწადში ორჯერ, ან სამჯერ მოვიკითხავდი ხოლმე ქალბატონ ნანას. აბა, რაზე უნდა გვესაუბრა? სამეცნიერო სტატიების შესახებ ვსაუბრობდით. გიგაურის წერაქვული დამწერლობის შესახებ და კიდევ ბევრ სხვაზეც. ერთხელ მისთვის ჩვეული კეთილმოწლეობით მესაუბრა ქალბატონი ირინე ტატიშვილის მიერ შედგენილ ქართულ-ხეთურ ლექსიკონზე, მირჩია მეყიდა. მართლაც, მეორე დღესვე წავედი უნივერსიტეტის მერვე კორპუსში და წიგნების ჯიხურში შევიძინე. დაბრუნებისთანავე თითქმის მთლიანად გავეცანი, ზოგ ხეთურ ლექსემებს აშკარა ქართული ეკვივალენტები ფანქრით მივაწერე. თვალში მომხვდა ანთროპონიმი „ფასისი“, რომ ჰიდრონიმის გარდა არსებულა ანთროპონიმიც. ამ ყველაფერს თავი მოვუყარე და იმავე საღამოს ანგარიში ჩავაბარე მას. მითხრა, ამ კუთხით სულაც არ შემიხედავს მაგ სიტყვებისთვის, არც ანთროპონიმ „ფასისისთვის“ მიმიქცევიაო ყურადღება. აი, რას ნიშნავს ეტიმოლოგისტ-ონომასტიკოსის ალღოო.

ქალბატონ ნანას არასოდეს უჭირდა, ეთქვა ასეთი რამ, ისევე როგორც არასოდეს უჭირდა სხვისი ღირსების აღიარება!

ქალბატონი ნანა, უბადლო მეცნიერის გარდა, გახლდათ დიდი პედაგოგი და პოეტური სულით დაჯილდოებული პიროვნება, მებრძოლი და გაუტეხელი. მას შეეძლო აღფრთოვანება გამოეხატა უცნობი ავტორის მიმართ ისე, რომ გვარის გვერდით ვინაობა და რეგალიები არ ეძებნა, ეს თვისება კი იშვიათი იყო და არის დღესაც. ასეთი ფაქტის მოწმეც გავხდი ერთხელ, როდესაც სატელეფონო საუბრითაც არ ვიცნობდი ქალბატონ ნანას. მან თავისი ნასტუდენტარი, დიდი შრომა და ამაგი რომ ჰქონდა და ბუნებრივია, ძალიან უყვარდა, გვერდზე გასწია და ცოდნით მასზე უკეთესი სტუდენტი მიიღო მაგისტრატურაში. უანგარობა ქალბატონი ნანას მუდმივი თანმხლები გახლდათ.

ჩვენი ბოლო საუბარი შედგა 2018 წლის ადრე შემოდგომაზე. მითხრა, თქვენი ნაშრომების სია მოამზადეთ, დახასიათებები, ორიოდე სტატიის ქსეროქსი და იქნებ აკადემიაში რაღაც გამოგვივიდეს, მე ცდას არ დავაკლებო. მაშინ ავად ვიყავი და ვუთხარი, ქალბატონო ნანა, იქნებ მომავალი აპრილისთვის გადავდოთ-მეთქი. სამწუხაროდ, ეს აპრილი აღარ დადგა, აღარ გათენდა მისთვის და ჩემთვისაც... დამრჩა მისგან ნაჩუქარი წიგნები და მისივე რეცენზია „ჯადოსნურ სამყაროში“ გალაკტიონის ლექსის – „რარიგ კარგია, სამშობლოვ“ – ჩვენეულ ხედვაზე...

უღრმესი მადლობა, ქალბატონ ნანა ხაზარაძეს მისი ფასდაუდებელი ნაშრომებისთვის და, რაც მთავარია, ადამიანობისთვის... იმედი მაქვს, ამ დიდბუნებოვანი პიროვნების, ამ დიდი მეცნიერის შესახებ მისი კოლეგები და ნამოწაფარნი უფრო მეტს იტყვიან და უფრო უკეთ იტყვიან, ვიდრე ეს მე მოვახერხე!

ქეთევან ჯერვალიძე, ჩერქეზული (ადიღეური)
კულტურის ცენტრის მეცნიერი თანამშრომელი

ჩვენი დროის გამორჩეული ქალბატონი ნანა ხაზარაძე

მოგესალმებით არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში შესული საქართველოს ქალთა საბჭოს აღმასრულებელი და მრავალათასიანი წევრების სახელით, მადლობას ვუხდით და ვუერთდებით კონფერენციის ყველა ორგანიზატორსა და მონაწილეს, ვინც დღევანდელი დღით მოგვცა საშუალება, ერთად გაგვეხსენებინა ჩვენი დროის გამორჩეული ქალი, რომელიც ქართველი ქალის ეტალონად რჩება 102 წლის საქართველოს ქალთა საბჭოში და რომლის ნაშრომებით, უმეტეს შემთხვევაში, გზას ვიკვლევთ ქალები.

„ქალი დროსა და სივრცეში'' ''ნანა ხაზარაძის მიერ თანაავტორებთან ერთად განხორციელებული კვლევითი პროექტია, იგი ქალის ფენომენს შეეხება სხვადასხვა დროის, სხვადასხვა დამწერლობითა და სხვადასხვა ენოვანი წერილობითი წყაროების მონაცემებითაა შესწავლილი. ნაჩვენებია ქალის მდგომარეობა და განვითარების დინამიკა სხვადასხვა ეპოქაში და სხვადასხვა ქვეყანაში. შეჯერებული წყაროებით დადასტურებულია ქალის საზოგადოებრივი სტატუსის ცვალებადობა, გენდერული დისბალანსი დროსა და სივრცეში, რაც არა ერთი რიგითი საკითხით იყო განპირობებული. ის საჭირბოროტო საკითხები, რომელიც მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც დგას. მეცნიერი ჩვეული სიდინჯით ეძიებდა, იკვლევდა და სამეცნიერო პროდუქტის სახით გვიტოვებდა. ამ წიგნზე ქ-ნ ნანასთან ერთად მუშაობდნენ აკადემიკოსი ლია მელიქიშვილი, პროფესორი თამარ ხოხობაშვილი,, მოწვეული ასოცირებული პროფესორი ნანა ბახსოლიანი. რისთვისაც მათ დიდი მადლობა. ჩვენს ბოლო საუბრებში ნანა ხაზარაძისა და ჩვენი სურვილი იყო, აღნიშნული წიგნის წარდგენა მომხდარიყო საზოგადოებისთვის და სათანადოდ შეფასებული ყოფილიყო ავტორთა ღვაწლი, რომელიც მის სიცოცხლეში ვერ განხორციელდა. მაგრამ დღეს მოგვეცა ამის საშუალება რომ მისი უკანასკნელი სურვილი განხორციელდეს, რის გამოც მადლობას ვუხდით კონფერენციის ორგანიზატორებს.

ამასთან დაკავშირებული იყო საქართველოს ქალთა საბჭოს აღმასრულებელმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება თითოეული მათგანი დაჯილდოვდეს მადლიერების სიგელით.

ნანა ხაზარაძე, საზოგადო მოღვაწე, 1931 წლის 4 თებერვალს დაიბადა, 2 თებერვალს გარდაიცვალა, 5 თებერვალს დაიკრძალა.

ვინ იყო ნანა ხაზარაძე ჩვენთვის და როგორი დარჩა იგი; ნანა ხაზარაძე იყო მაღალი მოქალაქეობრივი ღირსებისა და პასუხისმგებლობის ქართველი ქალის სანიმუშო სახე , მიუხედავად სამეცნიერო-აკადემიური დატვირთვისა, იგი ყოველთვის აქტიურად იყო ჩართული სამოქალაქო, საზოგადოებრივ ცხოვრებაში და თავისი მართალი პოზიციით მუდამ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ურთულესი საზოგადოებრივ პროცესების სასურველი მიმართულებით წარმართვისათვის.

ვამაყობთ და მადლიერნი ვართ, რომ იგი მეცნიერებაში თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში ყველგან ქმნიდა მაღალპროფესიულ და დიდბუნოვან ქალის გარემოს, საღ ატმოსფეროს, ახალი თაობების აღზრდისა და განვითარებისთვის.

ქალთა საბჭოში დღემდე მიმდინარეობს ქალბატონ ნანას მიერ დაწყებული პროექტები „დავით გარეჯი, წარსული, დღევანდელობა და მომავალი''. მისი იდეით 2019 წელს საფუძველი ჩაეყარა და ჩატარდა ქეთევან წამებულის ხსოვნისადმი მიძღვნილი კონკურსი კონსერვატორიასა და ქალთა საბჭოს ორგანიზებით, გამარჯვებული ნაწარმოები ქალაქ გოაში (ინდოეთი) შესრულდა საერთაშორისო ფესტივალზე. აღნიშნული პროექტი მიმდინარეობს დღესაც.

ასევე მიმდინარეობს საზღვარგარეთ მცხოვრებ და იქვე დაკრძალულ მეცნიერი ქალის ბარბარე ყიფიანის მასალების მოძიება მისი მოღვაწეობის შესახებ საფრანგეთსა და ბელგიაში, ქალთა საბჭოს წარმომადგენლობების დახმარებით აღნიშნულთან დაკავშირებით რამდენიმეჯერ ჩატარდა ონლაინკონფერენციები.

2019 წლის 8 თებერვალს კი საქართველოს ქალთა საბჭო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში შევიდა „საზოგადოებრივი გამოცდილებით'', რომლის იდეის ავტორი შემსრულებელი ნანა ხაზარაძე იყო. სამწუხაროდ, ამ დღესაც ვერ მოესწრო, იგი დღე-ვანდელ დღეს 5 თებერვალს დავკრძალეთ. თავს ვხრით ქალბატონ ნანას წინაშე მრავალათასიანი ქალთა საბჭოს წევრები. ყოველ წელს მისი სულის მოსახსენიებლად ტარდება საქველმოქმედო აქცია უპოვართა და ბავშვთა, ხანდაზმულთა სახლებში, ტექნიკური უნივერსიტეტის ქალთა ასოციაციასთან ერთად ბევრი სასიკეთო რამ შესძინა თავისი უანგარო მუშაობით ნანა ხაზარაძემ 102 წლის ქალთა საბჭოს, რომლის წევრი 1976 წლიდან თავად ბრძანდებოდა.

დღევანდელი დღე კი და აქ დამსწრე საზოგადოება დასტურია იმისა, რომ ქალბატონ ნანას აქტიურ მოღვაწეობას, მეცნიერებაში და საზოგადოებაში, უკვალოდ და უშედეგოდ არ ჩაუვლია და თითოეულმა ჩვენთაგანმა ასე შევძელით მადლიერების გამოხატვა.

ქეთევან გაბრუაშვილი,
საქართველოს ქალთა საბჭოს თავმჯდომარე

ხელის აღმნიშვნელი ლუვიური იეროგლიფის სემანტიკური კოდისათვის

ნანა ბახსოლიანი
სტუ-ს პროფესორი

აბსტრაქტი: ხელთან დაკავშირებული უძველესი კულტურული ტრადიციების გათვალისწინებით, რომელშიც მას სემანტიკური კოდები ენიჭება, ხელის აღმნიშვნელი ლუვიური იეროგლიფი, ჩაწერილი ქარხემიშის ორთოსტატზე, შეიძლება გამოხატავდეს მეფის გამარჯვების აქტს. ჰიპოთეზას გარკვეულწილად საქართველოს სასამართლოს და ხელისუფლების დადგენილებების არტეფაქტები ადასტურებს, სადაც „ხელის აწევა“ და „ვინმეზე/რამეზე ხელის დადება“ საკმაოდ სერიოზული ფუნქციების შესრულებას გულისხმობდა.

საკვანძო სიტყვები: ლუვიური იეროგლიფი, „ხელის აღმართვა“, ძალა, ქარხემიში.

ცნობილია, რომ ხელი მოქმედების იდეას და ამავე დროს, ძალაუფლებასა და მფლობელობასაც გამოხატავს. ისტორიის ფილოსოფიის ფუძემდებლის, ჯამბატისტა ვიკოს მართებული დაკვირვებით, ხელი ყველა ხალხში „უფლებას“ აღნიშნავდა: „ამბობდნენ, ხელი ძალის მაგივრად, რადგან ძალა აბსტრაქტულია, ხელი კი უშუალოდ შეიგრძნობა“ (მამულია, 1970,).

თ. გამყრელიძის თანახმად, საერთო ინდოევროპული უფლებრივი ტერმინოლოგია საწესჩვეულებო ტერმინოლოგიას თან მოსდევს, რაც შესაძლებლობას იძლევა, ძველი ინდოევროპელების უფლებრივი ნორმები დადგინდეს: ინდოევროპული mHr/n(t[h]) - ხელი, ხელისუფლება, მართვა: ხეთურად maniiahh- ხელისუფლების გადაცემა, მართვა, maniiahhai- მმართველობა, ხელისუფლება, ლათინურად manus- ხელი, ხელისუფლება (Гамкрелидзе,Т. Иванов,В., 1984).

ყველა ცივილიზაცია მეტ-ნაკლები სიხშირით იყენებს ხელისა და ჟესტიკულაციის ენას. ზოგ აღმოსავლურ ენაში ისეთი გამოთქმები, როგორიცაა „ხელის დადება“ და „ხელის ახსნა“, რაიმე საქმის დაწყებისა და დამთავრების ჯერს გადმოსცემს. ღვთის ხელის დაჭერა ადამიანში მისი სულის მიღებას აღნიშნავს. მაგალითად, როცა იაჰვემ ხელი შეახო იერემიას პირს, მას წინასწარმეტყველების უნარი მიანიჭა; ელია წინასწარმეტყველმა ზღვიდან ამოსული ღრუბელი დაინახა და იაჰვეს ხელი შეიგრძნო; როდესაც სოდომის მეფე აბრაამს უხვ წყალობას სთავაზობდა, მან ხელები ცისკენ აღმართა, რაც არა მხოლოდ დაცვას ნიშნავდა, არამედ იმასაც, რომ ღმერთი განაგებს ცას და ქვეყანას. მნიშვნელოვანია, რომ მარჯვენა და მარცხენა ერთმანეთისაგან განვასხვავოთ. ღვთის მარჯვენა ხელი, რომელიც ხშირად ღრუბლიდან გამოყოფილი სახითაა გამოსახული, წყალობას აღნიშნავს, ხოლო მარცხენა - სამართლის ქმედებასთანაა დაკავშირებული. ხელი სამეფო ემბლემაა, იგი მბრძანებლობის და დომინაციის სიმბოლოს გამოხატავს. მაგალითად, გამოთქმა „სამართლის ხელი“ შუა საუკუნეების ეპოქაში საფრანგეთის მონარქიის ინსიგნიას შეადგენდა (Chevalier, J. Gheerbrant, A., 1982).

ძველ ინდურ ტრადიციაში „მარცხენა“ და „მარჯვენა“ ერთმანეთს მითოლოგიურ ფრატრიებს უპირისპირებდა. მაგალითად, კაურავების ფრატრია ითვლებოდა „მარცხენად“, „ქვედა“, „მთვარის“ გავლენის ქვეშ მყოფად, რაც უარყოფითი სიმბოლური დატვირთვის მატარებელია. პანდების ფრატრია - „მარჯვენად“, „ზედა“, „მზის“ გავლენის ქვეშ მყოფად და დადებითი დატვირთვა აქვს.

ძველბერძნულ ტრადიციაში „მარჯვენა“ და „მარცხენა“ „მამრობით“ და „მდედრობით“ საწყისებს უკავშირდება. მსგავსი სემანტიკური ასოციაცია აქვს ადამიანის „მარჯვენა“ და „მარცხენა“ ხელსაც, რომელიც სხვადასხვა ფიზიოლოგიური შესაძლებლობით ხასიათდება. მარჯვენა ხელი არის ძირითადი, აქტიური, დადებითი, სასიკეთო, განსხვავებით მარცხენა ხელისაგან, რომელიც პასიურია.

„მარჯვენა ხელი“, როგორც მთავარი, ძირითადი, ძველ ინდოევროპულ კულტურაში კონკრეტულ გამოხატულებას პოულობს. შეადარე ხეთური keššar ხელი, თათი (ტატიშვილი, 2009), ლუვიური iššari - ხელი, ლიკიური izre, თოხარული A tsar - ხელი, ბერძნული χείρ - ხელი, სომხური jern,

ძველინდური hasta, ავესტური zasta, ძველსპარსული dasta... ჰომეროსის ეპოსში „მარχვენა ხელი“ აგრესიულია, მიმართულია შუბით, „მარცხენა“ კი აღწერილია როგორც დამცველი, ფარის მპყრობელი. ხეთებთანაც, მარχვენა ხელი, ასევე, დადებითი სემანტიკური მნიშვნელობით ხასიათდება.

ძვ. წ. XVI ს-ში შექმნილ იეროგლიფურ-ლუვიურ დამწერლობაში, ჩვენამდე მოღწეული „ხელის“ გამოსახულებიანი 25 იეროგლიფი დასტურდება (Дунаевская, 1969).

ე. ლაროშისეული კლასიფიკაციის თანახმად, №27 იეროგლიფი მთლიანი მკლავითაა გამოსახული და ნიშნავს „ზედაშეს შეწირვას“, ფონეტიკური წაკითხვა sarla; №28 „ძალაუფლებას“, „ძლიერს“. ფონეტიკური წაკითხვა -muwa; №39 იეროგლიფიც, რომლის ფონეტიკური წაკითხვა უცნობია, ასევე, აღნიშნავს „ძლიერს“. მათი მსგავსება იმით გამოიხატება, რომ ორივე იეროგლიფი გამოისახება მაგრად მოკუმულ ხელში რაღაც საგნით (კვერთხი? - ნ. ბ.); №41 „აღებას“, ფონეტიკური წაკითხვა-ta; №45 ლიგატურაა, ნიშნავს „ხელს“ და რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: „შვილი“ – ფონეტიკური წაკითხვა (-)nana, „ვაჟი“ ფონეტიკური წაკითხვა (-)namuwai, „ძმა“ – ფონეტიკური წაკითხვა atila?; №46 ლიგატურაა და ნიშნავს „უფლისწულს“, „მეფის ასულს“, ფონეტიკური წაკითხვა უცნობია; №49 „შიგ“, „შიგნით“ - ლოგოგრამა; №59 „ხელს“, ლოგოგრამა, ფონეტიკური წაკითხვა asatara; №62 ნიშნავს „გრძელს“, „ხანგრძლივს“, ლოგოგრამა და დეტერმინატივი, ფონეტიკური წაკითხვა ara; №65 ლოგოგრამაა, ნიშნავს „დადებას“, „ხელის შეშლას“, ფონეტიკური წაკითხვა -tuwa- . დანარჩენი ლუვიური იეროგლიფების შინაარსი და ფონეტიკური წაკითხვა უცნობია.

ზემოჩათვლილი იეროგლიფებიდან ჩემი ინტერესი №59 ნიშანმა გამოიწვია. იეროგლიფურ-ლუვიური asatara, ჩემი დაკვირვებით, მარცხენა ხელი უნდა იყოს, რომლის ანალოგიურ გამოსახულებას უკვე არა როგორც დამწერლობის ნიშანს, არამედ, როგორც დეკორატიულ მოტივს, ქარხემიშის სამშენებლო წარწერის გრძელ კედელზე ვხვდებით (Hawkins, 1972). ეჭვგარეშეა, რომ წარწერის ქვემოთ გამოსახული 16 ერთეული, დაბლა დაშვებული მარცხენა ხელი იმ მოვლენასთან იყო კავშირში, რომლის შესახებაც წარწერაშია საუბარი და სტელაზე გამოსახვაც სწორედ ამან განაპირობა. ამდენად, asatara-ს ქარხემიშის სამშენებლო წარწერაში შეიძლება სიმბოლური მნიშვნელობა მივანიჭოთ.

წარწერის ავტორია ქარხემიშის მეფე Suhis I, რომელსაც გაულაშქრავს „ამბოხებული ქალაქების“ წინააღმდეგ, ღვთაებათა ძალით დაუსχია, დაუნგრევია, ამის შემდეგ თარხუნთასი აღუმართავს, ჭექა-ქუხილის ღვთაებისათვის შესაწირავები უხვად გაუღია, მის წინ ჩვენთვის გაუგებარი საგანი და, ასევე, თავისი გამოსახულებაც დაუდგამს. წარწერა წყევლის ტრადიციულ ფორმულასაც შეიცავს იმ შემთხვევისათვის, თუკი ვინმე დააზიანებდა, ხოლო ღვთაებებისა და მისი გამოსახულების პატივისმცემელთათვის – ლოცვისაც. წარწერიდან ჩანს, რომ Suhis ღვთაებების კეთილგანწყობა განსაკუთრებით იმ ქმედებისათვის დაუმსახურებია, რომ იგი ვინმე Hatamana-ს, რომელსაც „ამ ღვთაებების“ წინააღმდეგ „მტრული ქმედება“ ჩაუდენია, სასტიკად დაუმარცხებია.

ბუნებრივია, იბადება კითხვა: რა კავშირშია ზემოხსენებული „ხელები“ წარწერაში გადმოცემულ ამბავთან? ხომ არ ნიშნავს რელიეფის ქვემოთ გამოსახული მარცხენა „ხელები“ ამბოხებულების უფლების მოშლას ქალაქებზე? ან, თუ თითებით თვლის არქაულ ინდოევროპულ სისტემას გავიხსენებთ, ხომ არ ნიშნავს მტრის 16-χერად მოქმედებას? ან, ხომ არ შეიძლება იგი „დამცველის“ სიმბოლურ დატვირთვას ატარებდეს იმ შემთხვევაში, თუ ჰომეროსის ეპოსში ფარისმპყრობელი მარცხენა ხელის, როგორც მფარველის როლს, გავითვალისწინებთ?

„ხელი“ როგორც სამამულო უფლების მატერიალური ნიშანი საქართველოში უძველესი დროიდან მომდინარეობს. ქრისტიანობის ხანაში ასეთ ძეგლებზე ხელის გამოსახულებას თანდათან ცვლის χვარი. საქართველოს ტერიტორიაზე დაცულია არაერთი ქვა, რომელზეც ადამიანის ხელია გამოსახული. მაგალითად, ქვაχვარა (მონოლითი) ფარავნის ტბის მიდამოებში, რომელზეც გამოსახულია დისკო, მის ქვეშ მეორე ემბლემაა, რომელიც თამარისა და დავით სოსლანის დროს

მოჭრილ მონეტებზე დასტურდება, ჩხიკვთის სამების კალთაზე, გზის პირას მდებარე ღვთისმშობლის მონასტრის ეზოში ქვა-ფიქალზე გამოხატულია ჯვარი, ხელი და ემბლემა (მელიქსეთ-ბეგი, 1938).

„ხელი“ ან აღმართული იყო, ან დადებული (ბერძენიშვილი, 1966). „ხელის დადებით“ და „ხელის აღმართვით“ „უფლების“ აქტის განცხადება სრულდებოდა, რაც გენეტიკურად დაპყრობიდან მომდინარეობს.

„ხელის ამართვა“ ხდებოდა მამულზე, ვენახზე, სახელოსა და ყმაზე, გლეხზე, საწისქვილოსა და წისქვილზე, სოფლებზე.

„ხელის ამართვა“ სასამართლოს დადგენილებით და ხელისუფლების ბრძანების თანახმად ხდება და ნიშნავს ამა თუ იმ პირის უფლების უარყოფას ან ასეთი უფლების დამტკიცებას. ვისი უფლებაც მტკიცდებოდა (ვისაც ხელს აუმართავდნენ), ის მამულზე „ხელს დაიდებდა“, ხოლო ვისი უფლებაც უარყოფილი იყო, ის მამულზე „ხელს აიღებდა“. ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებით, „ხელის ამართვის“ წესი იმავე ხნისაა, რაც მიწის კერძო საკუთრების დამცველი პოლიტიკური ორგანიზაცია (სახელწმიფო). იგი მამულის სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადებას კი არ ნიშნავდა, არამედ კერძო პირის უფლების დადგენა-დაცვას ითვალისწინებდა.

თუ ყოველივე ზემოთქმულს გავიაზრებთ, შეიძლება შემდეგი ჰიპოთეზის წამოყენება: ქარხემიშის რელიეფზე გამოსახული 16 ერთეული მარცხენა ხელი შეიძლება ნიშნავდეს იმავე რაოდენობის ქალაქების ამბოხებულთა უფლების ამავე დასახლებებზე მოშლას. ასევე, ვერ გამოვრიცხავთ, რომ აღნიშნული ხელები ამ სკულპტურული ძეგლის შექმნის მონაწილეებსაც ეკუთვნოდეთ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Chevalier, J. Gheerbrant, A. (1982). Dictionarie des Symboles Mythes, Reves, Coutumes, Gestes, Formes, Figures, Couleurs, Nombers. Paris.
2. Hawkins, J. D. (1972). Building Inscriptions of Carchemish. Anatolian Studies, vol. XXII, გვ. 87-94.
3. Гамкрелидзе,Т. Иванов,В. (1984). Инлоевропейский язик и индоевропейцы, II. Тбилиси.
4. Дунаевская, И. Язык Хеттских Иероглифов, Москва.
5. ბერძენიშვილი, ნ. (1966). მიწათმფლობელობის ფორმებისათვის ფეოდალურ საქართველოში, საქართველოს ისტორიის საკითხები III, თბილისი.
6. მამულია, გ. (1979). კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში. თბილისი., მეცნიერება.
7. მელიქსეთ-ბეგი, ლ. (1938). მეგალითური კულტურა საქართველოში, თბილისი.
8. ტატიშვილი, ი. (2009). ხეთურ-ქართული ლექსიკონი, ნაკვეთი 3:K; თბილისი.

A Manual Sign for the Semantic Code of Luwian Hierogliph

Nana Bakhsoliani

GTU Professor

Taking into consideration the ancient cultural traditions linked with `hand`, in which diverse semantic codes are assigned to it, the author arrives at the conclusion that asatara, hieroglyph 59 from E. Laroche`s table, denoting `hand`, recorded in the Hieroglyphic Luwian inscription of Suhis I, King of Carchemish, may be explained by the symbolism of victory of the king over the 16 defeated cities. This assumption is supported to a certain extent by the evidence of remains of Georgian legislation, in which `raising one`s hand` and `laying one`s hands on somebody/something` entailed performance of quite serious functions.

იდენტობის როლი მნემონიკურ ერთობაში

ლია მელიქიშვილი, კავკასიის ხალხთა
საერთაშორისო ინსტიტუტი, საქართველოს
მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

აბსტრაქტი: როგორც ცნობილია, ადამიანის და საზოგადოების აუცილებელი მოთხოვნილება იდენტობა, კულტურული ფაქტორებითაა განპირობებული, ხოლო კულტურული იდენტიფიკაცია კი კონკრეტულ კულტურაში ადამიანის თვითშეგრძნებაა. მიეკუთვნებოდე რაიმე საზოგადოებას, გაერთიანებას, ჯგუფს, ესაა ადამიანის ფუნდამენტური მოთხოვნილება. ცნობილია, რომ ეთნიკური იდენტობა არ არის სტატიკური, ის დინამიკურია და ადამიანის ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების გამო შეიძლება შეიცვალოს კიდეც. როგორც ცნობილია, დროთა მანძილზე ჩნდება სულ უფრო მეტი ახალი მოთხოვნილება, რაც ხელს უწყობს როგორც ახალი ჯგუფების, ისე ახალი საზოგადოებების ჩამოყალიბებას. ასეთი საზოგადოებების წევრებს, რომლებიც გაერთიანებული არიან საერთო ღირებულებების გარშემო, დროთა მანძილზე საერთო იდენტობის განცდა უყალიბდებათ

საკვანძო სიტყვები: იდენტობა, ტერიტორიული კონფლიქტი, მნემონიკური ერთობა.

პირობითად იდენტობის ორ ტიპს გამოჰყოფენ. **ესაა პოზიტიური და ნეგატიური იდენტობა.** პოზიტიურ ეთნიკურ იდენტობას, კეთილგანწყობილ სოციალურ-ისტორიულ გარემოში, თან ახლავს ადეკვატურად მაღალი თვითშეფასება, განპირობებული თავისი ხალხის მიერ მიღწეული წარმატებებით და მისი სახელოვანი წარმომადგენლებით სიამაყე ანუ პატრიოტიზმი.

„ეთნიკური იდენტობის ფორმირება **„ნორმის" (დადებითი ეთნიკური იდენტობა)** ფარგლებში გულისხმობს საკუთარი ეთნიკური ჯგუფის სტრუქტურაში დადებითი ხატის ურთიერთმიმართებას სხვა ეთნიკური ჯგუფის დადებით ღირებულებებთან, მაგრამ პოზიტიური ეთნიკური იდენტობა შეიძლება სხვაგვარადაც გამოვლინდეს. თავის უკიდურეს ფორმებში იგი გვევლინება როგორც **ჰიპერიდენტურობა**, რაც ინდივიდის სოციალური იდენტობის იერარქიაშია დომინირებული. მრავალწლიანმა პრაქტიკამ გვიჩვენა, ეთნიკური კონფლიქტების დროს, გამძაფრებას იწყებს ჰიპერიდენტურობა, რომელსაც თან სდევს მტრული სტერეოტიპები, წინასწარი უარყოფითი განწყობები და სხვა ეთნიკური ჯგუფების შეუწყნარებლობა, მათთან ურთიერთობისაგან თავის შეკავება და სხვ. ეს არღვევს ბალანსს: არ ხდება ერთმანეთთან ქორწინება, მეგობრობა, მეზობლობა და მისთ.[1] ასეთი მიკუთვნებულობა საფუძველს უყრის ჯგუფის მიერ იმ ფასეულობის დაცვას, რომელიც თავმოყრილია, როგორც იდენტობის მახასიათებლები და ერთ მთლიან ნაწილს წარმოადგენს. მას აუცილებლად ჰყავს ასევე საერთო იდენტობით წარმოდგენილი, მისი საპირისპირო „სხვა" ჯგუფი.

როდესაც ეთნოსის იდენტობის საკითხი, პოლიტიკური ინსინუაციების მიზეზი ხდება იგი საკმაოდ საშიშ ფაქტორად იქცევა. როგორც ცნობილია ერთიანი იდენტობის მქონე ჯგუფს უყალიბდება ცოდნა საერთო წარმომავლობის (საერთო ფესვების) და აქედან საერთო წარსულის შესახებ, რაც ტერიტორიული ეთნოკონფლიქტების დროს სხვა ჯგუფების მიმართ, ერთ ტერიტორიაზე ისტორიული უპირატესობის დასამტკიცებლად, **მთავარ პრეტენზიას წარმოადგენს.** ასეთ დროს იდენტობა კონფლიქტის გამომწვევ ერთ - ერთ მიზეზად გვევლინებაა და უმეტეს შემთხვევაში, აქცენტი სწორედ იდენტობაზე კეთდება. იდენტობის მთავარი მახასიათებლები და ერთი ეთნოსის მიერ იდენტობის აღქმის შესაძლებლობა სწორედ იდენტობასთან კავშირში პრეტენზიებით

[1] სოციალური უსაფრთხოების ეთნიკური ასპექტები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, გვ. 349.

წარმოგვიდგება. ასეთ შემთხვევაში აშკარაა, რომ იდენტობა, როგორც ფაქტორის როლი, კონ-ფლიქტს განაპირობებს.

საზოგადოდ, იდენტობის დროს ყურადღება ექცევა **ეთნიკურ აზროვნებას,** რაც ინდივიდის საკუთარი ჯგუფის ისტორიულ წარსულთან იდენტიფიკაციას გულისხმობს. ამდენად ინდივიდს „ფესვების" იდეა ძლიერადაა აქვს გამოხატული, რამაც XX საუკუნის ბოლოს ბევრ ქვეყანაში, „ფესვების" ანუ „წინაპრების და წარმომავლობის", რომელიც გამყარებულია მითებით, ლეგენ-დებით, სიმბოლოებით, ისტორიული მახსოვრობით და ა. შ. ძიების ფენომენი აქტუალური გახადა.

ეთნიკურობის იდეა ხასიათდება სოციოკულტურული ჯგუფური სპეციფიკით და ასევე **„გან-სხვავებულობით"**, რომელსაც თვით ამ ჯგუფის წარმომადგენლები იზიარებენ. ადამიანი მიილ-ტვის საკუთარი თავის შესაცნობად და ცდილობს თავისი თავი უშუალოდ რიტუალების სისტემის, სტერეოტიპების საშუალებით გამოავლინოს. ადამიანი თავის თავს ყოველთვის აიგივებს ჯგუფთან, ეთნოსთან, რომელიც ერთიანი კულტურაში ერთიანდება და სოციალზაციის პროცესში მასში ეთნიკურობის ჩამოყალიბება ხორციელდება.[2] ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს იდენტობის ერთ-ერთი ფაქტორის **– კოლექტიური მეხსიერების** ჩამოყალიბებასთან, რაც კავშირშია წარსულთან (ისტო-რიულ ნარატივებთან, მითებთან, ლეგენდებთან), „ფესვების კულტთან", სადაც არა აქვს მნიშვნე-ლობა წარსული მოგონილი თუ რეალურია. ეს უკანასკნელი კი **კოლექტიურ ცნობიერებასთანაა დაკავშირებული.**

ემილ დიურკჰეიმის თანახმად, **კოლექტიური ცნობიერება** „საზოგადოების სულიერი ერ-თობა, რომელიც არ არის ინდივიდუალური ცნობიერებათა უბრალო ჯამი, ინდივიდუმებისგან და-მოუკიდებლად არსებობს და სოციალური ფაქტების (ადათები, მორალი, სამართალი, ტრადიციები, ცოდნა და ა. შ.) სახით, ინდივიდის ცნობიერებაზე, უძლიერეს გავლენას ახდენს. **კოლექტიური ცნო-ბიერება,** ამ საზოგადოებაში გავრცელებული წესების მისაღებად, ქცევისა და აზროვნების მორა-ლურ-საზოგადოებრივ მაიძულებელ გარემოს ქმნის. კოლექტიური წარმოდგენები, კოლექტიური გრძნობები კოლექტიური ცნობიერების ფორმებია. ისინი ყალიბდება ინდივიდებისათვის საერთო გრძნობების, რწმენებისა და ღირებულებების საფუძველზე და იგი ტრადიციულ საზოგადოებებში სოციალური წესრიგის საფუძველია".[3]

ამასთან კავშირშია **საერთო მეხსიერება,** რომელიც გადაიცემა და კონსტრუირდება ჯგუფის მიერ და მას **„კოლექტიური მეხსიერება"** ეწოდება. მისი ინტერპრეტაციაა **„კომუნიკაციური მეხ-სიერების"** ცნება, როგორც კოლექტიური მეხსიერების ერთ-ერთი სახე, რომელიც ყოველდღიურ კო-მუნიკაციას ეფუძნება. მეხსიერების ეს ფორმა კოლექტიურ ხასიათს ზეპირი ურთიერთგაცვლის (ორალური ისტორიის) პროცესში იღებს. **კოლექტიური მეხსიერება განპირობებულია** ისტორი-ული ნარატივებით, რომელიც წარმოადგენს კოლექტიური დამახსოვრების ინსტრუმენტს.

კოლექტიური მეხსიერება აერთიანებს ინდივიდებს და აყალიბებს კოლექტიურ იდენტობას, რაშიც წარსულისადმი, თავისი ისტორიული ნარატივებით დამოკიდებულება მოიაზრება**.** ისტო-რიული ამბები, მითები, ლეგენდები, ტრადიციები და საერთო კულტურა, ხელს უწყობს ჯგუფს ჰქონ-დეს წარმოდგენა საკუთარ წარსულზე და წარმოშობაზე, გარკვეულ პერიოდში კი საკუთარი ტერი-ტორიის – სამშობლოს, მონიშვნის და მასზე უფლების, ზოგ შემთხვევაში, გაბატონებულის, ჩამო-ყალიბება-განმტკიცებაზე. თუ ყოველივე ეს მიმდინარეობს ტერიტორიაზე, სადაც მოსახლეობს სხვა იდენტობის მქონე ჯგუფი, მაშინ ხდება სხვა ჯგუფებისადმი უპირატესობის წარმოჩენა, რაც დროთა მანძილზე იწვევს პოლიტიკური უფლებების გამყარებისთვის სწრაფვას. ასეთი მოვლენა კი არის **მნემონიკური ერთობა** ანუ ურთიერგაზიარებული წარმოდგენა საკუთარ წარმოშობაზე და

[2] უსაფრთხოების ეთნიკური ასპექტები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, გვ.: 343.

[3] სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი–ცნობარი, თბილისი, 2004 , 351 გვ.

ტერიტორიული და სხვა პოლიტიკური უფლებების გამყარების და სხვა ჯგუფებზე ისტორიული უპირატესობის დამტკიცების მცდელობით გაერთიანება.

ეს საკითხი, განსაკუთრებით საინტერესო და ამავე დროს პრობლემურიც, შეიქმნა პოსტსაბჭოთა სივრცეში. სსრკ რესპუბლიკების გამოყოფის შემდეგ, გაძლიერდა ტერიტორიული მიკუთვნებულობისათვის ბრძოლა და ამ ბრძოლაში ისტორიული უპირატესობის დამტკიცება. ამ პროცესში აქტიურად ჩაება ჰუმანიტარული მეცნიერება და განსაკუთრებით ისტორიკოსები და ფილოლოგები, რომელთაც ბიძგი მისცეს კონფლიქტურ შეტაკებებს და ზოგი კონფლიქტს მეცნიერული კონფლიქტის სახელიც კი მიენიჭა. ძნელია საკუთარი ავტოქთონობის დამტკიცება, თუ არ გვექნა წვდომა ისტორიულ ნარატივებზე. კიდევ უფრო დაიძაბა მდგომარეობა ისეთ ჯგუფებში, რომლებიც ბედის უკუღმართობის გამო ერთ ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ და მათ სსრკ-ში ეროვნული უმცირესობა შეარქვეს. არ ჰქონდა მნიშვნელობა ისინი ტერიტორიასთან ერთად გადაეცათ მეზობელ რესპუბლიკებს (რისი საუკეთესო მაგალითია საქართველო), თუ სხვა ხერხებით. ამაში, რა თქმა უნდა, კომუნისტური მმართველობის მზაკვრული გეგმები იყო ჩადებული.

70 წლის მმართველობის პერიოდმა მრავალ ხალხს დაუკარგა ისტორიული ნარატივის ცოდნა. ადამიანების უმრავლესობა ამას ყურადღებასაც არ აქცევდა, რადგანაც რესპუბლიკის საზღვარი, რაღაცა უცხოს გამყოფად, არ აღიქმებოდა. საზღვარი მხოლოდ საბჭოთა სახელმწიფოს ერტყა მთლიანად, მაგრამ მას შემდეგ, რაც დაიწყო ერის, როგორც პოლიტიკურ-ტერიტორიული ერთობის განსაზღვრა, რამაც ბიძგი მისცა ახალი იდენტობის გამოვლენას, რაც გამოიხატებოდა ეროვნული იდენტობის იდეაში და დაფუძნებული იყო იმ ისტორიულ ნარატივზე, რასაც წარმოადგენდნენ საკუთარი ისტორიკოსები, ყოველივე უფრო მეტად გართულდა. ეს ნარატივები ეთნოგრაფიასა, ფოლკლორთან და ენასთან ერთად ხელს უწყობდა საკუთარი სამშობლოს, ქვეყნის მიმართ გაცნობიერებას, რაც უმეტესწილად წარმოდგენილია, როგორც სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისა და განვითარების, საკუთარი ტერიტორიის დაცვის, თავისუფლებისთის ბრძოლის და, რაც მთავარია, გარკვეულ ტერიტორიაზე ავტოქთონობის დამტკიცებისათვის.

საინტერესოა, რის საშუალებით ყალიბდება, მტკიცდება და გადაეცემა იდენტობის მარკერები გარკვეული **მნემონიკური ერთობის** წევრებს. ხშირად პოლიტიკური მიზნებისთვის ხდება წარსული მოვლენების გადახალისება, იმის მიხედვით, თუ გარკვეულ პერიოდში რა არის მომგებიანი ამა თუ იმ ერისთვის. ამ შემთხვევებში ხდება ნარატივების გადახედვა, რევიზია და სათავისოდ მორგება. იგი პოლიტიკური რეალობის შესაბამისად და არა ისტორიული სამართლიანობის მიხედვით კონსტრუირდება.

ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, იკვეთება დაპირისპირებული ეთნიკური ჯგუფები, რომელთაც ეცვლებათ აზროვნება, კეთდება წარსულის ანალიზი, ვლინდება სტერეოტიპები და ხდება ამ სუბიექტების მიზნების, ამოცანების, ინტერესების გადაკვეთა. ამ ჭიდილში სულ უფრო ირღვევა ამ ეთნოსების იდენტიფიკაცია მინიმუმ ერთი ქვეყნის მოქალაქეებად, ვინემ პირიქით. არ ექცევა ყურადღება მიზანს, რათა ერთიანი ძალისხმევით ქვეყნის წინსვლას და განვითარებას შეეწყოს ხელი. თუ ასეთ შემთხვევაში არ მოხდა კონფლიქტური სიტუაციის პრევენცია და მთელი ძალისხმევით მასზე პოლიტიკური ყურადღების მიქცევა, მაშინ ადვილად მოსალოდნელია დაპირისპირება მეტად გამწვავდეს. გარკვეული სიმშვიდის პირობებში უნდა მოხდეს მოლაპარაკება, რადგანაც ამ დაპირისპირების არ შემჩნევა უფრო მეტად დაძაბავს მდგომარეობას.

კოლექტიური მეხსიერების ფენომენის მოშველიებით, ზოგ შემთხვევაში ვლინდება ჯგუფები, რომლებიც თავისთავად, სპეციფიური იდენტობის მატარებელია. ეს არ არის ისეთი ჯგუფები, რომლის ისტორიული მეხსიერება თავისთავადია და საუკუნეების მანძილზე ინდივიდების მეხსიერების საშუალებით თაობიდან თაობას გადაეცემოდა და ამ პროცესში მუდმივ ევოლუციას განიცდიდა. ასეთი ჯგუფების ისტორიული თუ ენობრივი მონაცემების მიხედვით იდენტობის განსაზღვრა ფრიად რთულია. ამ იდენტობის, ასე ვთქვათ, ისტორია, მისი რეკონსტრუქცია ძნელი

განსახორციელებელია, რადგანაც ამ შემთხვევებში მეხსიერების ადგილს მეცნიერების მიერ შექმნილი ისტორია იკავებს, რომელიც თანდათანობითი განიფენება მთელს ერზე, ყალიბდება ახალი იდენტობა და ეთნოჯგუფი ახალ იმიჯს ირგებს. ზოგ შემთხვევაში კი თვითწოდებასაც კი იცვლის და, აქედან გამომდინარე, უფართოვებს სამშობლოდ აღქმული ტერიტორიების საზღვრებს. ეს არ არის გასაკვირი, რადგანაც ცნობილია, რომ იდენტობა, პოლიტიკური კოლიზიების გამო ჯგუფს კი არა, ზოგ შემთხვევაში, ერსაც კი შეუცვლია. ანუ იდენტობას თავის პოლიტიკის შესაბამისად აყალიბებენ.[4]

ახალ კულტურულ-სამეურნეო გარემოში მიმდინარეობს ამ არაერთგვაროვანი მასის ეთნიკური იერსახის ფორმირების პროცესი. საუკუნოვანი თანაცხოვრების მანძილზე ხდება მათი ადაპტირება ადგილობრივ ეთნოეკოლოგიურ გარემოში. იმის გამო, რომ ხდება იდენტობის შეცვლა, მისი სხვადასხვა ჯგუფზე გავრცელება და შედეგად ახალი იდენტობის მქონე საზოგადოების მიღება, მოდელირებული წარმოდგენით, რომელიც ეფუძვნება ამა თუ იმ წარმომავლობას, მის ტერიტორიას, საზღვრებს, შედეგად ამ ჯგუფის წევრების განფენილობა ქმნის ერთ უდიდესი მოცულობის მქონე საზოგადოებას, რომლის წევრები (ერთი იდენტობიდან გამომდინარე) ერთსა და იმავე პრეტენზიას ავლენენ. დასამალი არაა, რომ საქართველოს ჰქონდა და აქვს რთული მდგომარეობა საზღვრისპირა რეგიონებში და ბოლო 30 წელი დატვირთულია როგორც ღია, ისე დახურული კონფლიქტებით. საოცარია, მაგრამ მაინც ყველა მეზობელს თავისებური „სიმართლით“ სურს ტერიტორიის მითვისება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მელიქიშვილი ლ., ეთნიკური იდენტობა და კულტურული ფაქტორები, წიგნში: სოციალური უსაფრთხოების ეთნიკური ასპექტები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, პროექტის ავტორი, მეცნიერ ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი, თანაავტორი, მელიქიშვილი ლ, თბილისი, 2011.
2. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი, თბილისი, 2004, 351 გვ.
3. Шнирельман В. А. Войны памяти: мифы, идентичность и политика в Закавказье, М., 2003.

Identity's Role in Mnemonic Unity

Lia Melikishvili, International Institute of the Peoples of the Caucasus of Georgin National Academy of Sciences, Academician

Cultural factors determine a person's and society's basic desire for identity, and cultural identification refers to a person's sense of self within their particular culture. Being a part of a community, association, or organisation is an essential human desire. It is well recognized that ethnic identity is dynamic and subject to change as a result of life's transitions. Over time, more and more new requirements emerge, resulting in the emergence of new groups and societies. Members of such societies, bonded around common principles, gradually create a feeling of common identity.

[4] შნირელმანი ვ. დასახელებული ნაშრომი, გვ.194-255.

„კაცნი, ცათა მოდრეკანი!“

სტუ-ს ასისტენტ პროფესორი დარეჯან ცუცქირიძე

„ბიოგრაფიების წერა სხვებისთვის დავიწყე, ამ მიზანს კვლავ ვემსახურები, მაგრამ ახლა ვცდილობ, ცხოვრების წესი ჩემი გმირების მიბაძვით გამოვასწორო, მათთან ერთად ვარ, არც ერთი ნაბიჯით არ ვშორდები, თითქოს რიგრიგობით, თითოეულ მათგანს, ჩემს სახლში ვმასპინძლობ, ვესაუბრები, მათ საუკეთესო თვისებებს ვითავსებ. განა შეიძლება ეს ნეტარება სხვა რამეს შეედაროს ან არსებობს კი უფრო ჭეშმარიტი გზა ცხოვრების (ზნის) გამოსასწორებლად?“ ნანა ხაზარაძემ პლუტარქესეული ეს სიტყვები 2010 წელს გამოცემულ „წყაროთმცოდნეობით და ისტორიოგრაფიულ ძიებანს” წარუმძღვარა, რომელშიც სამეცნიერო პუბლიკაციებთან ერთად მის მიერ ქართველი მეცნიერების – გიორგი მელიქიშვილის, გრიგოლ გიორგაძის, ედუარდ მენაბდის, დავით ხახუტაიშვილის, დევი ბერძენიშვილისადმი მიძღვნილი ნაშრომებია გამოქვეყნებული. ნანა ხაზარაძის მიერ თავისი მასწავლებლისა და კოლეგების მიმართ მიძღვნილი ნაშრომები ჩემთვის აღმოჩნდა შთაგონების წყარო, ,ქალბატონი ნანას სამეცნიერო მემკვიდრეობას უფრო საფუძვლიანად გავცნობოდი და უკვე მისი გარდაცვალების შემდეგ, კიდევ ერთხელ გამეცნო იგი როგორც მეცნიერი, პიროვნება და ქვეყნისთვის ამაგდარი ადამიანი.

ნ. ხაზარაძის ნაშრომების კითხვის პროცესი აღმოჩნდა ერთგვარი მოგზაურობა „ძველი ცივილიზაციებიდან თანამედროვეობამდე“, რომლის დროსაც ჩვენს თვალწინ იშლება ისტორიის, კულტურის, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის განვითარების გზა და მრავალ პასუხგაუცემელ კითხვაზე ჩნდება პასუხი. მთავარი, რამაც ქალბატონი ნანას ნაშრომების კითხვისას ჩემი ყურადღება მიიქცია, გახლდათ დასმული ამოცანის სიმრავლე და პრობლემატიკის სირთულე, სრულიად შთამბეჭდავი მეცნიერული სითამამე, ისტორიული მოვლენების მიმართ გამოხატული ფაქიზი დამოკიდებულება, სხვადასხვა დისციპლინისა და თემატიკის სიღრმისეული ცოდნა, ფართო თვალსაწიერი, საკვლევი საკითხის მიმართ მრავალმხრივი მიდგომა და ანალიზის სიღრმე... ჩემთვის აგრეთვე ცხადი გახდა, ქალბატონი ნანას მიერ სამეცნიერო ინტერესის სფეროდ ძველი ცივილიზაციების შერჩევის მოტივები და ისიც, ამ ცხოვრებისეულმა თუ პროფესიულმა არჩევანმა და გზამ უახლესი ისტორიის თანამედროვე ასპექტებამდე როგორ მიიყვანა. ვფიქრობ, იგი როგორც ქვეყნის ბედზე მოფიქრალი ადამიანი თანამედროვე სამყაროში არსებულ რთულ გამოწვევებზე პასუხებს წარსულში ეძიებდა, ცდილობდა ისტორიის შესწავლით შეემეცნებინა წარსულის გამოცდილება და სწორედ ამ გამოცდილებიდან და ცოდნიდან განესაზღვრა ახალი პერსპექტივები და მიდგომები, რომლებიც დღევანდელ სამყაროში იქნებოდა გამოსაყენებელი. პასუხების ძიებაში ქალბატონი ნანა ეყრდნობოდა ისტორიულ წყაროებს, საარქივო დოკუმენტებსა და არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილ მასალებს, ასევე ქართულ და უცხოენოვან სამეცნიერო ლიტერატურას. იგი ცდილობდა მოეხდინა წარსულის რაც შეიძლება ზუსტი რეკონსტრუქცია და სამეცნიერო ფუნდამენტი შეექმნა თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკური თუ კულტურული ასპექტების ანალიზისათვის. ქალბატონი ნანას თითოეული ნაშრომი იძლევა იმის თქმის

საშუალებას, რაოდენ გააზრებული ჰქონდა ზოგადად ისტორიის შესწავლისა და გაგების მნიშვნელობა. სწორედ ამიტომ, იგი ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებულ სამეცნიერო ვარაუდებს განსაკუთრებული გულისყურით ეკიდებოდა, აანალიზებდა, კრიტიკულად განიხილავდა, მათ უარსაყოფად ან/და დასადასტურებლად იშველიებდა მეცნიერთა თვალსაზრისებსა და არგუმენტებს, აყალიბებდა საკუთარს, იყენებდა სხვადასხვა კვლევით მეთოდს და მხოლოდ საკითხის მრავალმხრივი და სკრუპულოზური შესწავლის შემდეგ გამოჰქონდა სამეცნიერო დასკვნები. საკითხისადმი ამგვარმა პასუხისმგებლობით აღსავსე დამოკიდებულებამ მის ნაშრომებს სანდოობა და განსაკუთრებული ღირებულება შესძინა. მხოლოდ ამ გადასახედიდან შემიძლია ვთქვა, რომ ეს იყო ისტორიკოსის პასუხისმგებლობა, რომელსაც იგი წარსულის, აწმყოსა და მომავლის მიმართ გრძნობდა. ამითვე შეიძლება აიხსნას ახალგაზრდა თაობის მიმართ მისი დამოკიდებულებაც – სრულიად უანგარო და წრფელი. მის ირგვლივ მუდმივად იყვნენ ახალგაზრდები. ქალბატონი ნანა განსაკუთრებული ენთუზიაზმით ცდილობდა თავისი ცოდნისა და მეცნიერული მიგნებების მათთვის გაზიარებას. ახალგაზრდების მოტივირება და მათში ნიჭის სრულად გამოვლენის ხელშეწყობა მას როგორც სრულიად გამორჩეულ პიროვნებასა და პედაგოგს წარმოაჩენდა. იგი ახალგაზრდებს არამხოლოდ ცოდნას გადასცემდა, არამედ თავდაჯერებასა და საკუთარი თავის რწმენასაც სძენდა, რითაც წარმატებისაკენ მიმავალ რთულ გზაზე თამამად შედგომის საშუალებას აძლევდა. ის შემართება და გამბედაობა, რომლებიც მის ნაშრომებში იკითხება არა მხოლოდ აღმაფრთოვანებელი, არამედ გადამდებია, ახალი სამეცნიერო შესაძლებლობების აღმოჩენისა და რთული ცხოვრებისეული გზების დასაძლევად შთაგონების წყაროა. ამ ყოველივეს სადად წერისა და აზრის მკაფიოდ გადმოცემის უნარიც ემატებოდა. ქალბატონი ნანას თვისებამ ყველაზე რთული სამეცნიერო თვალსაზრისები მარტივად და გასაგებად გადმოეცა, მისი ნაშრომები ფართო აუდიტორიისთვისაც მისაწვდომი გახადა, რითაც მან აღიარება არა მხოლოდ აკადემიურ წრეებსა და დარგის სპეციალისტებს შორის მოიპოვა. ცოდნის გადაცემის უშურველობა მისი უდიდესი სამოქალაქო და სოციალური პასუხისმგებლობის ნათელი გამოხატულება გახლდათ, რამაც ქვეყნის განვითარების პროცესში მისი როლი ცხადად წარმოაჩინა. წარსული მოვლენების აღწერა და ანალიზი მკითხველს საშუალებას აძლევდა და აძლევს ჩასწვდეს ისტორიის დინამიკასა და საზოგადოებრივი, პოლიტიკური და კულტურული პროცესების არსსა და ბუნებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია თანამედროვე საზოგადოების განვითერების გზებისა და მომავლის პერსპექტივების გასაგებად. ქალბატონი ნანა მართლაც გამორჩეული მეცნიერი, საოცარი პიროვნება და ქვეყანისთვის ამგდარი ადამიანი გახლდათ, რომელმაც თავისი დამოკიდებულებებითა და ხედვებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა არა მხოლოდ ისტორიის როგორც მეცნიერების, არამედ თანამედროვე საზოგადოების განვითარებაშიც.

მუდამ მადლიერი ვიქნები, რომ ნანა ხაზარაძესთან შეხვედრისა და მასთან მუშაობის პატივი წილად მხვდა.

ნანა ხაზარაძე (მცირე მოგონება)

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

დღეს ჩვენი საზოგადოება იხსენიებს დიდ ქალბატონს, მეცნიერსა და მოღვაწეს ქალბატონ ნანა ხაზარაძეს.

ის იყო განსახიერება სიკეთისა და კეთილშობილებისა, დაუვიწყარია მისი გარეგნული სილამაზე შემკული უზადო გონიერებითა და პატიოსნებით, გარეგან და შინაგან დიდებულებასთან ერთად გასაოცარი იყო მისი გულწრფელი თანაგრძნობა მოყვასისადმი, დახმარებისა და მეგობრობის სურვილი, იყო სანეტარო მოსაუბრე...

ოდენობა ქალბატონ ნანა ხაზარაძის დიდებულებისა და კეთიშობილებისა არის უსაზღვრო, დაუნელებელი, დაუვიწყარი, ის მარად ჩავენს გონებაშია, ჩვენს ლოცვებშია, ჩვენს გულშია.

ყველა სიკეთესთან ერთად ის იყო ქართველი ერის უდიდესი მეცნიერი, სპეციალისტი ურთულესი სამეცნიერო დარგისა. მან საქართველოში პირველად შეისწავლა ლუვიური ენა. ეს ენა ძველი წელთაღრიცხვის მე-15- მე-10 საუკუნეებში გავრცელებული იყო საქართველოს სამხრეთით, ხეთების სამეფოს ერთ ნაწილში.

ლუვიური ენა ყოფილა ლეგენდარული ტროელების ენა. შესწავლა ამ ენისა და მით უფრო მისი ურთულესი დამწერლობისა, იეროგლიფებისა და ლურსმული ნიშნებისა მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა შეძლო, მათ შორის ქალბატონმა ნანამ, მას ეს ცოდნა ესაჭიროებოდა მისთვის უსაყვარლესი ქართველი ერის წარსულის შესასწავლად.

მან გამოიკვლია, რომ ლუვიასთან ცხოვრობდნენ უძველესი ქართული ტომები მოსხები, მესხები.

ამასთან დაკავშირებით, ჩემთვის საამაყოა, რომ ის ძალზე დაინტერესდა ჩემი თეორიით მეგასთენეს (დაახლ. ძვ.წ. 350-290 წწ.). მიერ ნახსებები ქვეყანა „ლიბია“, რომლის მეზობლად ნაბუქოდონოსორის ეპოქაში ცხოვრობდნენ იბერიელები, იყო არა აფრიკის ანდა ესპანეთის ლიბია, არამედ უძველესი ქვეყანა „ლუბია“, რომლის ენას, და კულტურას ის თვითონ, ნანა ხაზარაძე იკვლევდა.

მეგესთენეს მიერ ნახსენები სიტყვა „ლიბია“ თუკი სინამდვილეში გულისხმობს „ლუბიას“, მაშინ მეგასთენეს ეს შესანიშნავი ცნობა გამოდგება ქართველი ერის უძველესი ისტორიისა და მისი განსახლების შესასწავლად ქრისტეშობამდე VIII-VI საუკუნეებში.

როგორც ცნობილია, ეკლესიის ისტორიის პიველმა ავტორმა, ეკლესიის ისტორიის მამამ, წმიდა მოციქულთასწორ იმპერატორ კონსტანტინეს მეგობამა ევსევი კესარიელმა (დაახლ. 263-339 წწ.) მოგვცა ძალზე მნიშვნელოვანი ცნობა იბერთა ისტორიის შესახებ ქრისტეშობამდე მე-6 საუკუნეში, რომელიც მას აუღია მეგასთენესაგან.

ევსევი კესარიელი წერს: **„მეგასთენე ამბობს, რომ ნაბუქოდონოსორი ჰერაკლეზე უფრო ძლევამოსილი იყო, ლიბიასა და იბერიაზე გაილაშქრა, დაეუფლა და მათი ნაწილი პონტოს მარჯვნივ დაასახლა“.**

წმიდა ბიბლიიდან ცნობილია ახალი ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორ მე-2, (ძვ. წ. 634-562), რომელმაც ებრაელები გადაასახლა იერუსალიმიდან, მაგრამ ნაბუქოდონოსორს მეგასთენეს ცნობით ასევე გადაუსახლებია იბერებიც, რომელნიც ლიბიის გვერდით ცხოვრობდნენ. ამჟამად მიიჩნევა, რომ აქ ლიბიაში იგულისხმება აფრიკის ლიბია, ხოლო იბერთა ქვეშ ეპანეთის იბერები, მაგრამ, ჩემი აზრით, რომელიც ძალზე მოწონდა ქალბატონ ნანას, ამ ცნობაში, ამ წყაროში, თავდაპირველად ჩანს ეწერა არა სიტყვა „ლიბია“, არამედ „ლუბია“, ანუ იმ ქვეყნის სახელი, რომელიც უშუალოდ ემეზობლებოდა ნაბუქოდონოსორის იმპერიას. ანუ შუალოდ მეგასთენეს ეწერა არა ლიბია, არამედ ლუბია.

როგორც აღინიშნა, ნანა ხაზარაძის უდიდესი დამსახურებაა ის, რომ მან სამეცნიერო ბრუნვაში დანერგა მტკიცება, რომ მოსხების ცნობილი ტომი ლუბიის ქვეყნის გვერდით ცხოვრობდა, ანუ იგივე მტკიცება, რომელიც უნდა ყოფილიყო მეგესთენესთან, რომ იბერები ანუ მოსხები ლუბიის გვერდით ცხოვრობდნენ და აქედან განსახლდნენ უფრო ჩრდილოეთ, შავიზღვისპირის აღმოსავლეთით.

მოსხები ანუ მესხები ბიბლიიაში ნახსენები მუშქებს უკავშირდება, ბიბლიიის ამ კუთხით ერთ-ერთმა პირველმა ნანა ხაზარაძემ გამოიკვლია.

ქალბატონი ნანა, ასევე, ქართველი ერის ეთნოგენეზის კვლევისას დიდი ყურადღებას აქცევდა ჰეკატოს მილეტელის (ძვ. წ. 550-480) ნაშრომიდან შემორჩენილ 188-ე ფრაგმენტს - „ მოსხები კოლხური ტომია“.

ესაა ძველი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნის ცნობა იმის შესახებ, რომ იმ დრისთვის ჯერ კიდევ არსებობდა პროტოქართველთა დაუშლელი ერთობა, ამიტომაც მოსხები და კოლხები ერთიან ეთნოსად მიიჩნეოდა, ამიტომაც კოლხები იგივე მოსხებია, ხოლო მოსხები იგივე კოლხები.

ჩანს შემდეგში ძვ. წ. მე-4-3 საუკუნეებში ამ ეროვნული მთლიანობის ფაქტს დაეყრდნო ქართული წყროების მტკიცება იმის შსახებ, რომ მეფე ფარნავაზისა და ეგრისის ერისთავის ქუჯის ერთობამ საფუძველი დაუდო პირველ ერთიან საქართველოს სახელმწიფოს, ქართლის სამეფოს, რომელიც ქრისტეშობამდე მე-3 საუკუნეში ჩამოყალიბდა ფარნავაზისა და ქუჯის დროს, რომელიც, წყაროთა დაბეჯითებული ცნობებით, აერთიანებდა ქვეყნის ორივე ნაწილს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს.

ამ ეროვნულმა ერთობამ შეაძლებინა ფარნავაზ მეფეს ჩამოეყალიბებინა ქართული მწიგნობრობა, ხოლო, ქართულ ენას სახელმწიფოებრივი ფუნქციები მიენიჭა, რადგანაც ამ ერთიან სამეფოში „არა იზრახებოდა სხვა ენა თვინიერ ქართულისა“. ამ კულტურული ერთობის გამო 1-4 საუკუნეეში ჩამოყალიბებულმა ქართულმა ეკლესიამ თავის იურისდიქციაში მოიცვა სრულიად საქართველო შავი ზღვიდან სომხეთ-ალბანეთამდე.

ჩემ მიერ გამოთქმულ ამ მტკიცებას მყარად დაუჭირა მხარი ქალბტონმა ნანა ხაზარაძემ ჩემი დისერტაციის დაცვის დროს ისტორიის ინსტიტუტში 1999 წელს, რისთვისაც მარად მადლიერი ვარ მისი თავდადებისა. იმჟამად ეს იყო პირველი და ძალზე წარმოუდგენელი მოვლენა, როდესაც 1999 წელს, ათეისტური ბურუსიდან გამოსულ ქვეყანაში ეკლესიის წარმომადგენელი სასულიერო პირი იცავდა დისერტაციას სახელმწიფო ოფიციალურ ინსტიტუტში, ეს იყო ისტორიის ინსტიტუტი. ჩემ თემას მყისიერად გამოეხმაურა ქალბატონი ნანა და დაწერა:

„რეცენზია სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ მთავარეპისკოპოსის ანანია ჯაფარიძის ნაშრომზე „საქართველოს ეკლესიის ისტორია (შუა საუკუნეები)“

წარმოადგენს, საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემის შესწავლისადმი მიძღვნილ ფუნდამენტურAმონოგრაფიულ გამოკვლევას ... რომელიც საქართველოს პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა-კურთხევითაა შთაგონებული,

ახალია ავტორისეული არგუმენტები I-II საუკუნეებში ქართული ეკლესიის არსებობის თაობაზე.

ახალია დისერტანტის მსჯელობა ქართლში ქრისტიანობის გამოცხადების გარემოებათა ... შესახებ.

ახალია ავტორის მიერ გამოთქმული თვალსაზრისი IV-V სს-ში ქართული ეკლესიის იურისდიქციის საზღვრების ლოკალიზაციის შესახებაც და ა. შ.

წარმოადგენს კონცეპტუალურად მწყობრ ახალ ფუნდამენტურ მეცნიერულ გამოკვლევას...

პროფესორი ნ. ხაზარაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის ისტორიის კათედრის გამგე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტო-

რიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, ქართველი ხალხის ეთნოგენეზის კომპლექსური შესწავლის საპრობლემო ჯგუფის ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისი, 25 ივნისი, 1999 წ.

უდიდესი წვლილი შეიტანა ქალბატონმა ნანამ სტუ-ში 2001 წელს თეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი კათედრისა და შემდეგ ცენტრის ჩამოყალიბებაში, ამ საქმეში მისმა უდიდესმა ავტორიტეტმა და სიყვარულმა ჩვენი პატრიარქის მიმართ უდიდესი წვლილი შეიტანა.

ამჟამად მადლიერებით ვლოცულობ, რომ ჩვენმა ახალგაზრდებმა სანიმუშო მაგალითად გაიხადონ აკადემიკოს ნანა ხაზარაძის ღვაწლი და სიყვარული ჩვენი ერის მიმართ, ჩვენ მუდამ უნდა ვილოცოთ მისი სულის უკვდავებისათვის, ამინ. 4.02.2024.

,,ორნამენტირებული“ ორპირი ცული ნაზარლების სამლოცველოდან

პაატა ბუხრაშვილი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი: ნაზარლების სამლოცველოზე აღმოჩენილი ორპირა ცენტრალურამიერკავკასიური ცულის სახით, საქმე გვაქვს, კერძოდ, საკულტო მსახურებისთვის განკუთვნილ იარაღთან, რომელიც დამზადებულია საგანგებოდ ხსენებული სამლოცველოსთვის, რაზეც თვალნათლივ მეტყველებს მასზე გამოსახული ნიშნები, რომლებიც, თავის მხრივ, შესაძლოა, ხეთურ-ლუვიური დამწერლობის წაბაძვა-გავლენითაც კი იყოს შექმნილი.

სავსებით დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ხსენებული ნაზარლების სამლოცველო, ერთ-ერთი მთავარი საკულტო ცენტრი უნდა ყოფილიყო ამ მხარის დიდი, წინარესახელმწიფოებრივი გაერთიანებისა, რომელსაც საფუძვლად ედო სატაძრო-თეოკრატიულ პრინციპებზე აგებული სათემო გაერთიანებების ერთობლიობა.

საკვანძო სიტყვები: ნაზარლები, სამლოცველო, ორპირა ცული**.**

სამეცნიერო საზოგადოებისთვის უკვე კარგადაა ცნობილი, რომ 2017 წლიდან მოყოლებული, მთა ,,ნაზარლებზე“ (შირაქის ზეგანი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი) მდებარე გვიანი ბრინჯაო – ადრე რკინის ხანის, ქრისტემდე XII – X ს.ს-ის ნაქალარს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვიზუალური ანთროპოლოგიისა და ლოკალური ისტორიის ლაბორატორიისა და ჰალეს (გერმანია) მარტინ ლუთერის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის არქეოლოგიისა და ხელოვნების ინსტიტუტის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიცია შეისწავლის (იხ. ბუხრაშვილი, პ. და სხვ, 2018; Bukhrashvili, P u.a 2018;Bukhrashvili, P u.a 2019) (სურ. 1);

სურ. 1 ხედი ნაზარლების ციტადელზე

ნაზარლების ნაქალაქარი, განლაგებულია ქანობზე და გეოლოგიური სტურქტურით წარმოადგენს ბუნებრივ ბორცვს; რომელიც, თავის დროზე, ხელოვნური თხრილებისა და ზვინულების მეშვეობით, მაშინდელ მოსახლეობას, გამაგრებულ პუნქტად უქცევია.

დაზვერვითი ზედაპირული დაკვირვებით, ცენტრალურ ნამოსახლარს უნდა სჭეროდა 2,5 -დან 3 ჰექტრამდე ფართობი.

მზის გულზე გაშლილი დასახლება, პირით, დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ არის დამხრობილი და შირაქის ზეგანს - ჩრდილო/აღმოსავლეთ, აღმოსავლეთ და სამხრეთ/აღმოსავლეთ მიმართულებით გადაჰყურებს.

აღმოსავლეთით, დასახლების ძირში, განლაგებულია ყორღანული სამაროვანი, თანმხლები ჩაშვებული სამარხებით, რომელიც ნაზარლების ნამოსახლარის თანადროულია და დიდი ვარუ-

დით, თავის დროზე, სწორედ მის მოსახლეებს ეკუთვნოდათ (ფიცხელაური, კ. / ვარაზაშვილი, ვ. / ბუხრაშვილი, პ./ფიცხელაური,კ.კ. 2007).

ნამოსახლარს, სამხრეთ-აღმოსავლეთით დამშრალი ხევი ჩამოუდის, რომელიც თანახმად პალეოგეოლოგიური კვლევებისა, ადრე, სავარაუდოდ, მიწისქვეშა ბინულებით და ნაჟური წყლებით საზრდოობდა. ამის დასტურად დღესაც შეიმჩნევა ამ ხევის ძირში შედარებით ინტენსიური მწვანე საფარი, დაბალი ძეძვ-ბუჩქნარის სახით [ჯანელიძე ზ. 2007, ელაშვილი მ. 2012].

დასახლების ცენტრალურ ადგილად უნდა ჩაითვალოს მის უკიდურეს დასავლეთით ამაღ-ლებულ ნაწილში, სამიარუსიანი გალავნით გამაგრებული ტერასა.

გალავნის კონსტრუქცია, ტიპურია ამ მხარის გვინი ბრინჯაო - ადრე რკინის ხანის თავდაცვითი ნაგებობესათვის, რითაც იგი გარკვულ მსგავსებას იჩენს წინააზიურ საფორტიფიკაციო ძეგლებთან (ყიფიანი 2007, გვ. 18-24).

აქ მაქსიმალურადაა გამოყენებულია ადგილობრივი ქვაღორღიანი ნიადაგი.

გალავნის ხერხემალია რიყის ქვით ნაგები, დაქსელილი ტიხრები, რომელიც შევსებულია ნა-ქალაქარის სამურნეო ნარჩენებშერეული თიხნარით თუ ღორღიანი ნარევით; გალავნის ზედაპირი, მოგებულ-მოტკეპნილია წვრილი ქვა-ღორღით.

სწორედ ამ ტერასის თხემზე, 2018-19-21 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად გამოვლინდა წრიული ფორმის სამლოცველო, რომლის ინტერიერშიც აღმოჩნდა შეწი-რული უამრავი რაოდენობის ბრინჯაოს ნივთი, რომელთაგან დიდი ნაწილი, ინტერიერის დასავლეთ ნაწილში, კედლის ძირში ჯგუფად იყო განლაგებული (ბუხრაშვილი პ. 2019, ბუხრაშვილი პ. და სხვ. 2018; ბუხრაშვილი პ. 2021).

უკვე დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ მიერ გამოვლენილი სამლოცველო, თავი-სი არქიტექტურით და ხასიათით, კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, ჯერ კიდევ 1977-78 წწ-ში შესწავლილი შილდის სამლოცველოს მსგავისია (მაისურაძე, ბ. / ფანცხავა, ლ. 1984).

თავის მხრივ, ეს ფაქტი საგანგებო აღნიშვინის ღირსია, რამდენადაც იგი იორ-ალაზნის ორ-მდინარეთში, ამ ქრონოლოგიურ მონაკვეთში (ანუ, ქრისტემდე II - I ათასწლეულების მიჯნაზე), ერთიანი სამეურნო - კულტურული და სულიერი სამყაროს არსებობის უტყუარ დამადასტურებელ ფაქტად უნდა ჩაითვალოს.

ნაზარლების ნამოსახლარის ზედა ტერასაზე გამოვლენილი ეს სამლოცველოც, შილდის სამ-ლოცველოს მსგავსად, წრიული ფორმისაა, რომლის შემორჩენილი გალავნის საძირკველის (განი - 1 – 1,1 მ.) გარეთა და შიგა პერანგი, მკვიდრად ნაგებია საგანგებოდ ნარჩევი ფლეთილი ბრტყელი ლოდებით; ხოლო პერანგშიგა შიგთავსი სივრცე, ხურდა ქვით, მცირე ზომის რიყის ქვებით არის შევსებული.

ნაზარლების სამლოცველოს ცენტრში განლაგებული უნდა ყოფილიყო, სავარაუდოდ, ოთხკუთხა ფორმის საკურთხეველი.

მიუხედავად იმისა, რომ ნაზარლების სამლოცველოს არქეოლოგიური შესწავლა ჯერ არ დას-რულებულა, თავად ძეგლის და მის მიმდებარე ანალოგიური პერიოდის დასახლებათა ტოპოგრაფია (ასევე, ამ დასახლებებიდან მომდინარე ნივთიერი მასალა), გარკვეული ხასიათის წინასწარული დასკვნების გამოტანის საშუალებას მაინც იძლევა.

მით უმეტეს, რომ ქართველ (და უცხოელ) მკვლევრებს, ბევრჯერ გამოუთქვამთ დასკვნები ამ მხარეში მცხოვრები უძველესი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური ისტორიისა და სულიერი კულტურის თაობაზე (ფიცხელაური, კ.ნ, 1973; საქართველოს ისტორტიის ნარკვევები ტ.1; მამულია, გ. 1976; Периханян, А. Г. 1959; Наджафов, Ш.Н. 2018).

ბევრ მათგანს არგუმენტირებულად აღუნიშნავს და ეს უკვე გაზიარებულიცაა, რომ დღევან-დელი ქართველი ერი, მცირე აზიის უდიდესი კულტურის მქონე ძველი მკვიდრი ხალხების გენეტიკური და კულტურული მემკვიდრეა.

ამდენად, სრულიად მოსალოდნელიცაა, რომ ეს მემკვიდრეოთობა, მატერიალური კულტურის არტეფაქტებთან ერთად, სულიერ-კულტურულ მემკვიდრეოთობაშიც ასახულიყო (მელიქიშვილი გ. 1999, გვ. 664).

აქიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, რამდენადმე უკვე შესაძლებელია ერთგვარი წინასწარული ვარაუდების გამოთქმა ნაზარლების სამლოცველოს საკულტო ხასიათისა და მის გარეშემო შემოკრებილი სოციუმის თაობაზეც.

ამის საშუალებას, ვგონებ, უკვე იძლევა, პირველ ყოვლისა, ის ,,ხატის განძი“ (და ასევე სხვა დანარჩენი ცალკეული არტქფაქტებიც), რომელიც 2018 -2019 წლებში ნაზარლების ნაქალაქარზე აღმოჩენილ სამლოცველოზე გამოვლინდა.

* * *

ნაზარლების სამლოცველოზე გამოვლენილი განძი, ამ შემთხვევაში, თავისი შინაარსისა და ფუნქციური თემატიკიდან გამომდინარე, ორ პირობით ჯგუფად შეიძლება დაიყოს;

I ჯგუფში შეიძლება შევიყვანოთ ის ბრინჯაოს ნივთები, რომლებიც ნაზარლების სამლოცველოს ინტერიერში, კერძოდ კი, მის დასავლეთ ნაწილში, გალავნის ძირთან, 2018 წლის 11 სექტემბერს გამომზეურდა და ძირითადად ბრინჯაოს საბრძოლო და სამეურნეო იარაღებით და მახვილის იმიტაციებით არის წარმოდგენილი (იხ. ფოტო 2).

სურ. 2. ბრინჯაოს ნივთების ,,განძი“ ნაზარლების სამლოცველოზე.

II ჯგუფში კი ვაერთიანებთ იმ შეწირულობებს, რომლებიც გათხრების მომდევნო, 2019 წელს გამოვლინდა სამლოცველოს ინტერიერში წინა წელს აღმოჩენილი სატაძრო განძის ჯგუფის ოდნავ მოშორებით, იმავე გალავნის დასავლეთ მხარეს და ერთიმეორის გვერდიგვერდ განლაგებულ ორ თიხის ჭურჭელში იყო დაუნჯებული; და რომელიც, ძირითადად, მძივ-სამკაულის სახით არის წარმოდგენილი.

I ჯგუფი

ამ ჯგუფის შემადგენლობაში დაფიქსირდა (იხ. ფოტო 1) : **შედგენილტარიანი კახური ტიპის ბრინჯაოს მახვილი; ასევე შედგენილტარიანი ბრინჯაოს სატევარი; უნიკალური, ორპირა ცენტრალურამიეკავკასიური ცული; ცენტრალურამიეკავკასიური ცულის მინიატურული, მოდელი[1]; ბრინჯაოს ნამგალი; სამართლისებრი ბრინჯაოს ორი ,,დანა“; 14 შუბისპირი; დისკოსებრი ბრინჯაოს სამშვენისი - უმბონი (2 ც.), ბრინჯაოს დისკო (სავარაუდოდ, გულისფარი), ბრინჯაოს სადა რგოლ-სამაჯურები (2 ც.) და ბრინჯაოს მახვილის 457 ცალი იმიტაცია. ამ ბრინჯაოს ნივთებთან ერთად (რომელთა საერთო რაოდენობა 484 ცალია), აგრეთვე აღმოჩნდა ერთი**

[1]მსგავსი მოდელ-სამკაულები დადასტურებულია შილდის სამლოცველოზეც.

თიხის ტოლჩისებური, ოდნავ წაგრძელებულყურიანი სასმისი (რომელიც პირქვედამხობილ მდგომარეობაში ზემოდან ედო ბრინჯაოს ნივთებს) და მტკნარი წყლის მოლუსკის სადაფის 2 ნიჟარა.

ჩამოთვლილი ნივთებიდან, თავის უნიკალურობით, განსაკუთრებით საყურადღებოა **ცენტრალურ ამიერკავკასიური ორპირა ცული**. (ზომები: სიგრძე - 15, სიგანე ფრთის ერთი პირიდან მეორემდე - 6 სმ, წონა - 403 გმ.), (იხ. ფოტო 3).

სურ. 3. ორპირა ცული ნაზარლების სამლოცველოდან

საერთოდ, ცენტრალურ ამიერკავკასიური ტიპის ცულები ერთნაირად დამახასიათებელია მთელი ამიერკავკასიისათვის და რეგიონურად არ გამოიყოფა რაიმე დამახასიათებელი ნიშნებით (ფიცხელაური 1973). აღნიშნული ტიპის ცულები დამახასიათებელია მთელი ცენტრალური ამიერკავკასიისათვის. მათი გავრცელების საზღვრებია: ჩრდილოეთით - სამხრეთ კავკასიონის კალთები, აღმოსავლეთით - ნუხა-მინგეჩაური, სამხრეთით - მდ. არაქსი, დასავლეთით - სურამის ქედი (ფიცხელაური 1973. გვ. 168).

ამ ტიპის ცულების ორპირი ვარიანტი კი უიშვიათესი შემთხვევაა. მსგავსი ცული, აქამდე ცნობილი იყო მხოლოდ ერთი ცალის ოდენობით, რომელიც დაფიქსირებული იყო დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, ქ. განჯის მახლობლად მდებარე დასახლება ელენენდორფთან, წინა საუკუნის 30-ნი წლების დასაწყისში, გერმანული წარმომავლობის აზერბაიჯანელი არქეოლოგის ი. ჰუმელის (Гуммель Я.И. 1940, 36) მიერ გათხრილი ყორღანიდან მომდინარე სამარხეულ ინვენტარში.

ნაზარლების სამლოცველოზე კი ამ ტიპის ცულის ორი ცალია დადასტურებული - ერთი, მისი ორიგინალური ზომისა თავად განძის შემადგენლობაში; ხოლო მეორე, მიანიატურული ზომისა, ამავე სამლოცველოს ტერიტორიაზე, მის შიგა ეზოში.

ნაზარლების სამლოცველზე აღმოჩენილ ორიგინალური ზომის ცულზე, ელენენდორფის ცულისგან განსხვავებით, დატანილია მეტად საინტერესო გრაფიკული, ერთიმეორისგან განსხვავებული 2 გამოსახულება. თითოეული 2-2 ცალად, ცულის ორივე მხარეზე, ყუისპირებთნ, ერთიმეორის შესაბამისად (იხ. ფოტო 4).



სურ. 4. ცულის გრაფიკული გამოსახულება მასზე დატანილი ნიშნების ჩვენებით

შესაძლოა, ეს ნიშნები ორნამენტიც იყოს, მაგრამ, თავად ნივთის (ცულის) ხასიათიდან გამომდინარე და საერთო კონტექსტიდან, ჩვენი აზრით, ისინი მხოლოდ სახისმეტყველებითი (ესთეტური) შინაარსის მატარებელი ორნამენტები[2] კი არ უნდა იყოს, არამედ, სავსებით დასაშვებია, რომ ამ ნივთის ფუნქციონალური დატვირთვის თაობაზე, კერძოდ კი, სამლოცველოზე არსებული რიტუალის მსვლელობის შესახებ გარკვეული, კონკრეტული სახის ინფორმაციასაც კი იძლეოდეს.

ამ ნიშნების თაობაზე საუბრისას, ჩვენი აზრით, გასათვალისწინებელია რამდენიმე ფაქტორი:

1. როგორც ამას ნივთის ტექნოლოგიური შესწავლა გვაჩვენებს, ეს ნიშნები დატანილია ცულის დამზადებისთანავე და არა მისი ხმარების შემდგომ პერიოდში; ამდენად, ეს ნიშნები, თავიდანვე, სახელდობრ, ამ ნივთის ფუნქციური დატვირთვის აღმნიშვნელი შეიძლება იყოს.
2. ნიშნები განლაგებულია სიმეტრიულად, ცულის განსაზღვრულ მხარეებზე და არა დეკორატიულ სამშვენისად განსაზღვრული ორნამენტისთვის დამახასიათებელი განშლით; თუნდაც ცულის ფრთებზე, როგორც ამას ვხვდებით ამ პერიოდის ცულების მორთულეობაში (მხედველობაში გვაქვს, მაგალითად, თუნდაც ცული სოფ. გამდლისწყაროდან).
3. ისინი, ჩვენის აზრით, უნდა მიგვანიშნებდეს ცულის პირების გარკვეულ მნიშვნელობაზე - მით უმეტეს, რომ ისინი ცულის მხარეებზე სიმეტრიულადაა განლაგებული; ანუ, ერთიმეორეს შეესაბამებიან ცულის ორივე პირზე.

თუკი ამოვალთ, ქრისტემდე XII – X საუკუნეებში (ამავე პერიოდით თარიღდება ნაზარლების სამლოცველოში აღმოჩენილი არტეფაქტებიც) წინა აზიაში და მის მიმდებარე მხარეებში[3] იმ პერიოდში მიმდინარე საერთო ისტორიულ-კულტურული კონტექსტიდან, სავსებით დასაშვებად მიგვაჩნია ის, რომ ნაზარლების სამლოცველოზე აღმოჩენილ ორპირა ცულზე დატანილი გრაფიკული ნიშნების შინაარსის გარკვევა, ვცადოთ იმ პერიოდის წინა აზიაში არსებული სოციალურ-კულტურული და სულიერი ველის გავრცელების არეალის ფონზე.

ეს ის პერიოდია, როდესაც აღნიშნულ მხარეში არსებობას წყვეტს ხეთების იმპერია, რისი თანამდევიც გახდა მის მიმდებარე რეგიონებში, იმპერიაში შემავალი ხალხების გადაადგილებები და შესაბამისად, ამ პროცესების მახასიათებელი სოციალურ-კულტურული ღირებულებების განშლა და სესხება-შერევები მათ გარეშემო არსებულ სხვა სოციო-კულტურულ ერთობლიობებთან.

არსებული ვითარების ფონზე, სავსებით დასაშვებად მიგვაჩნია, რომ იმ პერიოდში, ჩვენს რეგიონში შემოეღწია იმ კულტურულ-სახისმეტყველებით ღირებულებებსაც, რომელიც ხეთების ძლევამოსილ გაერთიანებას ახასიათებდა (მით უმეტეს მსგავსი მოვლენები შენიშნულია ამ მხარის პროტოქალაქურ არქიტექტურაში - მხედველობაში გვაქვს უდაბნოს ტიპის ძეგლები[4]); მათ შორის შემოეღწია ნიშან-სადამწერლობო ტრადიციასაც.

ჩვენი აზრით, ნაზარლების სამლოცველოზე აღმოჩენილ ცულზე დატანილ ნიშანთა მნიშვნელობის განსაზღვრისას, შესაძლოა ,,გასაღები“ იყოს პირველი - ცულის შედარებით მძიმე მხარეს[5] დატანილი ნიშანი, რომელიც ოთხკუთხედში ჩაწერილი დაშტრიხული სამკუთხედებითაა წარმოდგენილი;

თუ ვიხელმძღვანელებთ ცნობილი ლუვიური ნიშანთა სილაბარიუმის მიხედვით[6], ეს ნიშანი, ფორმით ძალზე წააგავს ხეთურ-ლუვიურ ნაგებობის აღმნიშვნელ 247-ე გრაფემას და იგი შესაძლოა

[2]რომელთაც მრავლად ვხვდებით ცენტრალურამიერკავკასიური კულტურისთვის დამახასიათებელ ლითონის სხვა ნაწარმზე (მახვილებზე, სატევრებზე, სარტყლებზე და სხვ.) და რომლებიც საკმაოდ საფუძვლიანადაა შესწავლილი ქართვლ მკვლევართა მიერ (იხ. ხიდაშელი მ. 1982; სურგულაძე ი. 1986).

[3]მათ შორის მოიაზრება, რაღა თქმა უნდა, კავკასიაც.

[4]იხ. ყიფიანი გ. 2007,

[5]რომელიც ხმარებისას, მოქნევისას, პირველი დარტყმისთვის უნდა ყოფილიყო განსაზღვრული; რამდენადაც, შედარებით მეორე პირთან, ოდნავ მძიმე იყო და მოქნევის ძალას, ის მხარე მიჰქონდა დასაცემი ზედაპირისკენ პირველი. იხ. https://www.hethport.uni-wuerzburg.de/luwglyph/Signlist.pdf?fbclid=IwAR01Eqsjh_lWLPHcYBK2r7HiczzaxrcIb1rCznL7WQwxNUi3mF5kkUHSClc

ნაგებობას, შიგა სივრცეს (და სამლოცველოც ხომ ერთგვარი ,,შიგა“ სივრცეცაა, სადაც კონკრეტულ შემთხვევაში დაფიქსირებულია კიდევაც ეს ცული) აღნიშნავდეს.

მხედველობაში გვაქვს ისიც, რომ ლუვიურ ნიშანთა სისტემაში, ნაგებობის შიგნით ან გარეთ მიხატული ნიშნები აღნიშნავდა ნაგებობის სხვადასხვა თვისებას – მაგ., ნაგებობის კედელზე მიხატული ხაზი (იხ. 248-ე ნიშანი) სახლიდან გამოსვლას აღნიშნავს; ხოლო, ოთხკუთხედში ჩახატული დამრეცი, ორმაგად ჰორიზონტალურად დაშტრიხული დიაგონალური ნიშანი (იხ. 252-ე ნიშანი -), შიდაკიბიან ნაგებობას.

ჩვენს შემთხვევაში, თუ აღნიშნულ გარემოებას ვიქონიებთ მხედველობაში, ლუვიური გრაფემის, ანუ ნაგებობის აღმნიშვნელი ოთხკუთხედი, მასში ჩახატულ დაშტრიხული სამკუთხედებით[7], შესაძლოა აღნიშნავდეს ,,სამლოცველოს“; არა ტაძარს (ტაძარი ეს დახურული ნაგებობაა, რომელიც ლუვიურ დმწერლობაში აღინიშნებოდა ხსენებული ოთკუთხედით და მის თავზე გამოსახული ღვთაების ნიშნით), არამედ ისეთი ღია ტიპის სამლოცველოს, ,,ხატს“[8], როგორიც ეს ჩვენ გვაქვს მოცემულ შემთხვევაში; ნაზარლების გვიანი ბრინჯაო – ადრე რკინის ხანის ნამოსახლარზე დაფიქსირებული გალავნით შემოზღუდული ღია საკულტო ნაგებობის სახით.

დასკვნის სახით, ჩვენი აზრით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნაზარლების სამლოცველოზე აღმოჩენილი ორპირი ცენტრალურამიერკავკასიური ცულის სახით, საქმე გვაქვს, კერძოდ, საკულტო მსახურებისთვის განკუთვნილ იარაღთან, რომელიც დამზადებულია საგანგებოდ ხსენებული სამლოცველოსთვის[9]; რაზეც თვალნათლივ მეტყველებს მასზე გამოსახული ნიშნები, რომლებიც თავის მხრივ, შესაძლოა, ხეთურ-ლუვიური დამწერლობის წაბაძვა-გავლენითაც კი იყოს შექმნილი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულზე დაყრდნობით, სავსებით დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ხსენებული ნაზარლების სამლოცველო, ერთ-ერთი მთავარი საკულტო ცენტრი უნდა ყოფილიყო ამ მხარის დიდი, წინარესახელმწიფოებრივი გაერთიანებისა, რომელსაც საფუძვლად ედო სატაძრო-თეოკრატიულ პრინციპებზე აგებული სათემო გაერთიანებების ერთობლიობა და რომელიც საკმაოდ დიდ არეალზე ფარავდა იმ ვრცელ ტერიტორიას, რომელსაც მოიცავდა მკვლევარ-არქეოლოგთა მიერ საკმაოდ კარგად შესწავლილი და ლოკალიზებული ცენტრალურამიერკავკასიური არქეოლოგიური კულტურა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვითვალისწინებთ რა, აღნიშნულ პერიოდში, ანუ გვიანი ბრინჯაო – ადრე რკინის ხანაში, ცენტრალურ ამიერკავკასიაში მოსახლე ტომების მჭიდრო ურთიერთობებს, ამ უკანასკნელთა განსახლების არეალის მიმდგომ მხარეებში ფუნქციონირებად, მათზე უფრო მძლავრ სახელმწიფოებრივ გაერთიანებებთან (და ასევე, მათთან კულტურული ურთიერთობებისა და ურთიერთზეგავლენების ერთიან კონტექსტს[10]), დასაშვებად მიგვაჩნია ნაზარლების სამლოცველოზე აღმოჩენილ ორპირა ცულზე დატანილი ნიშნების გარკვეულწილად დაკავშირება, იმ დროს, წინა აზიაში ფართოდ გავრცელებული სილაბურ ხეთურ-ლუვიური დამწერლობის სისტემასთან.

სავსებით შესაძლებლია, რომ ეს ნიშნები, ცენტრალურამიერკავკასიურ არქეოლოგიურ კულტურაში, მისი გავრცების ზონის მეზობლად არსებული მძლავრი სახელმწიფო ერთეულის, ხეთების იმპერიაში არსებული ხეთურ-ლუვიური დამწერლობის ზეგავლენის შედეგად შემუშავებულ-მიმსგავსებულ ერთგვარ პიქტოგრამულ ნიშნებადაც მივიჩნიოთ.

---

[7]თავის მხრივ, სამკუთხედი კი ლუვიურში ჰარმონიის, წონასწორობის და ზოგადად ღვთიური წესრიგის ნიშნადაა მიჩნეული.

[8]როგორებიც გვაქვს კიდეც შემორჩენილი ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში თუ ცნობილ ქრისტემდე მე-8-6 საუკუნეების სამლოცველოს ბრინჯაოს მოდელზე სოფ.გამდლოწყაროდან.

[9]ეს კი თავის მხრივ, აღნიშნული საკულტო ნაგებობის განსაკუთრებულობის ხაზგასმად უნდა მივიჩნიოთ.

[10]იხ.მელიქიშვილი გ. 1976, მელიქიშვილი გ. 1999; ხაზარაძე ნ. 1978, აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, მეცნიერება თბ. 1978.

ამ ნიშნების მსგავსად შესაძლოა მივიჩნიოთ, ის ნიშნებიც, რომლებსაც ვხვდებით ამ პერიოდის რამოდენიმე იარაღზე - პირველყოვლისა მხედველობაში გავაქვს სატევრები ბრიტანეთის მუზეუმიდან და ყალაქენდის მახლობლად აღმოჩენილი სამარხიდან (Paata Bukhrashvili, Felix Blocher,Mitteilungen der Deutschen Orient-Gesellschaft 155 (2023) ტაბ. 12,13).

შესაძლოა ისიც, რომ იმ პიქტოგრამული ნიშნების ჩამოყალიბების საფუძვლები (გ. გიგაური, 2010), რომლებსაც დღესაც ასე ხშირად ვხვდებით კავკასიაში მოსახლე ხალხების თუ ეთნოგრაფიულ ჯგუფების ყოფაში, გვიანი ბრინჯაო – ადრერკინის ხანის ცენტრალურამიერკავსიურ არქეოლოგიურ კულტურაში ვეძებოთ.

ჩვენი ეს გამოთქმული მოსაზრება, მხოლოდ ძალზე ფრთხილი ვარაუდია; მით უმეტეს, რომ ძეგლის შესწავლა კვლავაც გრძელდება და არ არის გამორიცხული კიდევ სხვა მსგავსი არტეფაქტების გამოვლენა.

და, თუკი მართლაც დადასტურდა ნაზარლების სამლოცველოზე აღმოჩენილ ცულზე დატანილი ამ ნიშნების გარკვეული პირდაპირი თუ არაპირდაპირი კავშირი ხეთურ-ლუვიურ სამწერლობო სისტემასთან, **ეს იქნება კიდევ ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტი, ცენტრალურამიერკავკასიური არქეოლოგიური კულტურის, ხეთურ-ლივიურ კულტურულ სამყაროსთან ახლო კავშირისა.**

და ბოლოს, ნაზარლების სამლოცველო, როგორც ამაზე მიგვანიშნებს აქ განვითარებული ძლიერი ნგრევის კვალი, განადგურებული უნდა იყოს მტრის შემოსევის ან შესაძლო ძლიერი სტიქიური უბედურების (მაგ., მიწისძვრა) შედეგად, რამაც გამოიწვია ამ რეგიონში, მოცემულ ქრონოლოგიურ პერიოდში, აქ მაცხოვრებელ ტომთა საზოგადოებრივი და ადრეკლასობრივი ურთიერთობების მკვეთრი დაქვეითება-დაუძლურება; ხოლო, **როდესაც ქვეყანა უძლურდება, „ღმერთთა კუთვნილიც სუსტდება და აღარ უნდათ (მისი) პატივისცემა“ (**ევრიპიდე) (ყაუხჩიშვილი თ. 1957; 124**).**

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბუხრაშვილი, პ. და სხვ, 2018; ბუხრაშვილი, პ. / ბლოხერი, ფ. / დავითაშვილი, შ. / ცქვიტინიძე, ზ. 2018, *მთა „ნაზარლებზე” (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი) მიმდინარე ქართულ-გერმანული ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიციის 2018 წლის სამუშოების მოკლე ანგარიში;* ამირანი XXXI, თბ. 2018; გვ. 5 – 27
2. ბუხრაშვილი პ. 2019, ილიასა და ჰალეს მარტინ ლუთერის უნივერსიტეტის მიერ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში 2019 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში, 2019 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიშების კრებული, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო; თბ. გვ. 263-269.
3. ბუხრაშვილი, პ. 2018, ერთი არქეოლოგიური ნივთის ფუნქციის განსაზღვრისათვის*;* ამირანი XXXI, თბ. 2018; გვ.118 – 128.
4. ბუხრაშვილი პ. 2021; ნაზარლების სამლოცველო, თბ. 2021.
5. გარეჯი, კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები VIII, რედ. კ. ფიცხელაური, მეცნიერება, თბ., 1988, 266 გვ.
6. ინაძე, მ. 1976, მცირე აზიის სატაძრო ქალაქების წარმოქმნა განვითარება საკითხისათვის სტრაბონის ცნობების მიხედვით, ივანე ჯავახიშვილი - 100, საიუბილეო კრებული, „მეცნიერება“, თბ., 1976., გვ.136-144.
7. კავკასიაში სახელმწიფოებრიობის სათავეებთან (კვლევითი პროექტი ილიას სახ. უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკ-ზე - პ. ბუხრაშვილი, კ. ფიცხელაური, გ. ყიფიანი), ამირანი XVII-XVIII, კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მოამბე, მონრეალი-თბილისი 2007, გვ.9-24.

8. მაისურაძე,ბ. / მინდიაშვილი, გ. 1999, *აეროარქეოლოგია შირაქში,* ძიებანი N4, თბ., 1999, გვ. 29-36.
9. მაისურაძე, ბ. / ფანცხავა, ლ. 1984, *შილდის სამლოცველო (კატალოგი),* კაე-ს შრომები VII, „მეცნიერება“, თბ., 1984; 113 გვ.
10. მამულია, გ. 1976, აგნატური ჯგუფები ძველ ქართლში და მათი გენეზისი, ივ. ჯავახიშვილი - 100, საიუბილეო კრებული, „მეცნიერება“, თბ., 1976, გვ.120-135.
11. მელიქიშვილი გ. 1976, მახლობელი აღმოსავლეთისა და კავკასიის უძველესი საზოგადოების ბუნების საკითხისათვის, ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, „მეცნიერება“, თბ., 1976, გვ. 145-171.
12. მელიქიშვილი გ. 1999, ძიებანი საქართველოს, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ძველი ისტორიის დარგში, ,,ჯალი“, თბ., 1999, 664 გვ.
13. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, რედ. მელიქიშვილი გ., „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1970.
14. სურგულაძე ი. 1986, ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლოკა, „მეცნიერება“, თბ., 1986.
15. ფიცხელაური, კ.ნ, 1973, *აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ-ის XV – VII ს.ს.)*, „მეცნიერება“, თბ., 1973.
16. ფიცხელაური, კ. / მენაბდე ც. 1982, *გადრეკილის სამაროვანი,* „მეცნიერება“, თბ., 1982.
17. ფიცხელაური კ. 2018, ,,დიდნაურის“ ნაქალაქარსა და სამაროვანზე 2018 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში, 2018 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო, თბ., 2019, გვ. 56.
18. ფიცხელაური კ. 1988, დავით გარეჯის უდაბნოს არქეოლოგიური შესწავლის ძირითადი შედეგები და პერსპექტივები, გარჯი, კაე-ს შრომები VIII, „მეცნიერება“, თბ., 1988, გვ.14-17.
19. ფიცხელაური კ.კ. 2005, ცენტრალურამიერკავკასიური არქეოლოგიური კულტურა (ძვ.წ. XIV – XIII ს.ს.) „მეცნიერება“, თბ., 2005
20. ფიცხელაური კ. 2018, ჰერეთი და ჰერები, მაცნე 2018-1, საქართველოს მეცნიერაბათა ეროვნული აკადემია, საზ. მეცნიერებათა განყოფილება, თბ., 2018.
21. ფიცხელაური, კ. / ვარაზაშვილი, ვ. / ბუხრაშვილი, პ./ფიცხელაური,კ.კ. 2007, *არქეოლოგიური სამუშაოები ნაზარლების ნაქალაქარზე და სამაროვანზე (2007 წ-ის გაზაფხული),* ამირანი XVII-XVIII, კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მოამბე, მონრეალი-თბილისი, 2007, გვ. 48-58.
22. ქართლის ცხოვრება, 1995, ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართუელთა მეფეთა და პირველთაგანთა ნათესავთა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ.1, „სახელგამი“, თბ., 1955.
23. ყაუხჩიშვილი თ. 1957, სტრაბონის გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., საქ. სსრმეცნ. აკად. გამ-ბა, თბ., 1957.
24. ყიფიანი გ. 2007, მოსაზრებანი უდაბნოს ნაქალაქართა ხუროთმოძღვრების შესახებ, ამირანი, კავკასიოლოგიის საერთაშორისო-სამეცნიერო კვლევითი ინსტუტის მოამბე, XVII-XVIII, მონრეალი-თბილისი, 2007, გვ. 18-24.
25. ჯანელიძე ზ. 2007, გარეჯის არქეოლოგიური ძეგლების პალეოგეოგრაფიული ინტერპრეტაცია, ამირანი. XVII-XVIII. 2007, გვ. 233-238.
26. ხიდაშელი მ. 1982, ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება, „მეცნიერება“, თბ., 1982.
27. ხაზარაძე ნ. 1978, აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, „მეცნიერება“, თბ., 1978.

28. Bukhrashvili, P u.a 2019; Bukhrashvili, P./ Blocher, F./ Tskvitinidze, Z./ Davitashvili, Sch. 2019, *Ausgrabungen in Nazarlebi, Kachetien (Georgien) 2017 und 2018*, Mitteilungen der Deutschen Orient-Gesellschaft zu Berlin (MDOG) 151, 2019, 271-294;
29. Bukhrashvili, P u.a 2018; Bukhrashvili, P. / Blocher, F. / Tskvitinidze, Z. / Davitashvili, Sch. 2020, *Ausgrabungen in Nazarlebi, Kachetien (Georgien) 2019, Mit einem Beitrag von Jörg Fassbinder,* Mitteilungen der Deutschen Orient- Gesellschaft zu Berlin (MDOG) 152, 2020, 125 - 154
30. Knauß F. S. 2005, Zur Eisenzeitlichen wohnarchitektur Ostgeorgiens, ANES, Ancient Near Eastern Studies Volume 42, 2005, st 187-210.
31. Motzenbäcker I. 2007, Tachti Perda: eine mehrschichtige Siedlung der Bronze- und Eisenzeit in Kachetien, Georgien, Der Schwrzmeeraum vom Äneulithikum bis in die Früheisenzeit (5000 – 500 v. Chr.), Tbilisi, 2007.
32. Motzebäcker, I. 2014, Ausgrabung einer mehrschichtige Bronze- und Eisenzeitliche Siedlung Tachti Perda in Kachetien, Georgien, Aktuelle Forschungen in Eurasien, Berlin, 2014,66-67
33. Pizchelauri, K. 1984, Jungbronzezeitliche bis ältereisenzeitliche Heiligtümer in Ost-Georgien. Materialien zur allgemeinen und vergleichenden Archäologie, Bd. 12 Published by München : Beck, (1984).
34. Брилева О. А. 2012, Древняя бронзовая антропоморфная пластика Кавказа (XV в. до н.э.— X в. н.э.) М., 2012.
35. Гуммель Я.И. 1940; Археологические очерки,Баку: Издательство АзФАН, 1940.
36. Наджафов, Ш.Н. 2018, *Археологическое исследование древнего поселения Сарвантепе в 2009-2014 гг.,* Актуальная археология 4, Комплексные исследования в археологии Тезисы Международной научной конференции молодых ученых, Санкт-Петербург, 2018, стр.: 275-278.
37. Периханян, А. Г. 1959, *Храмовые объединения Малой Азии и Армении (IV в. до н. э. — III в. н. э.).* М: Изд-во вост. лит., 1959.

Ornamented double ax from the Nazarlebi sanctuary

Paata Bukhrashvili
Ilia State University Professor

Archaeological excavations have been taking place in the Nazarlebi ramparts since 2017. Research into the complex is being carried out as part of a cooperation between the Laboratory for Visual Anthropology and Local History at the State Ilia University and the Seminar for Oriental Archeology and Art History at the Martin Luther University in Halle-Wittenberg. The excavation project is financed by the German side. This is the continuation of the research project that started in 2007 at the Ilia State University.

The working day -11.09.2018 was particularly successful for the excavation campaign. A unique depot find came to light. This was hoarded to the east of the western part of the rounded sacral building and contained sacral and agricultural objects made of bronze, as well as weapons, a total of 457 sword replicas (a few days later another sword replica in a highly fragmented state was found north-east of the depot find after it was cleared of the densely concentrated pottery vessel fragments), so-called “Kakhetian sword” with the compound handle and a similar dagger, an East Caucasian double ax and a miniature axe, a sickle, various spearheads, 2 “aphti” and discos.

Of particular interest is the double-sided Middle Transcaucasian axe. There are interesting ornaments on it - maybe these ornaments are also hieroglyphs with a certain content.

წინაქრისტიანული საკულტო ძეგლები საქართველოში

ალექსანდრე ნაზღაიძე, დოქტორანტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ვაჟა სადრაძე, პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აბსტრაქტი: საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი საკულტო ძეგლები ნეოლითურ-გვიანანტიკური ხანის დასახლებებში გვხვდება. დღეისათვის არქეოლოგიურად შესწავლილია ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი ბევრი ნამოსახლარი, რომელთა გარკვეული ნაწილი სამლოცველოს ფუნქციას ატარებდა.

უძველესი ძეგლებია: ხრამის დიდი გორა, იმირის გორა, ბერიკლდეები, ქვაცხელები, გუდაბერტყა, ამირანის გორა და სხვ. ამ ძეგლებზე აღმოჩენილი თიხის ქანდაკებები ძირითადად უკავშირდება ნაყოფიერების კულტს.

ადრეულ ნეოლითურ ძეგლებში ნაყოფიერების ღვთაება წარმოადგენდა დიდ დედა ნანას, რომელიც ადრე ბრინჯაოს ეპოქაში სამეურნეო და საზოგადოებრივი ცვლილებებიდან გამომდინარე მამრობით ბუნების ღვთაებად გარდაისახა. ამ ხანაში საოჯახო კულტმსახურების ადგილი იყო კერა, სადაც სრულდებოდა საკულტო რიტუალები, ხოლო შედარებით გვიან ჩნდება სათემო სამლოცველოები, გვიან ბრინჯაო-ადრე რკინის ხანიდან მოყოლებული ეს ძველი წეს-ჩვეულებები საქართველოს მთიანეთში თანაარსებობს სხვა რელიგიურ აღმსარებლობასთან ერთად (ელინიზმი, ზოროასტრიზმი, მითრაიზმი) და აგრძელებს არსებობას გვიან შუასაუკუნეების ჩათვლით.

საკვანძო სიტყვები: საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ყველაზე ძველი საკულტო ძეგლები ენეოლითის ხანის დასახლებებში გვხვდება. დღეისათვის არქეოლოგიურად შესწავლილია რამდენიმე ნაგებობა ადრესამიწათმოქმედო კულტურის გორა ნამოსახლარებზე, რომლებსაც შესაძლოა სამლოცველოს ფუნქცია ჰქონდა, ესენია:

ხრამის დიდი გორია (მირცხულავა გ., 2011, გვ. 15-30)., (ჯაფარიძე ო., 2003) (ჯავახიშვილი ა. ღ. ლ., 1973).

იმირის გორია (ჯაფარიძე ო., 2003). (ლორთქიფანიძე ო., 2022, გვ. 121). იმირის გორაზე და ხრამის დიდ გორაზე აღმოჩენილი ქალის თიხის ქანდაკებები მიჩნეულია ნაყოფიერების და ბუნების მფარველი „დიდი დედის“ გამოსახულებად. (ხიდაშელი მ., 1982, გვ. 97-98).

ბერიკლდეები (ჯაფარიძე ო., 2003, გვ. 92-93). (ჯალაბაძე მ., 1998).

ქვაცხელები (ჯავახიშვილი ა. ღ. ლ., 1962, გვ. 52). კედლის გასწვრივ გამართულ ბაქანზე იდგა ნაცრის გორები, თიხით გადალესილი და წითლად შეღებილი. (ლორთქიფანიძე ო., 2022, გვ. 152).

გუდაბერტყა (ნადიმაშვილი ს., 1963, გვ. 148-152). თიხატკეპნილი იატაკი ხორბლის, ქერის, ჭვავის და ფეტვის შერეული ფენით იყო მოლესილი (ლორთქიფანიძე ო., 2022, გვ. 149). როგორც ჩანს, თაყვანს სცემდნენ მზეს (ირემი - მზის სიმბოლო) და სხვა ციურ მნათობებს.

ამირანის გორის სამლოცველო. (სამცხე. ქ. ახალციხისთან მდებარეობს. ადრებრინჯაოს ხანა). ფერდობზეა გამართული ნამოსახლარი და სამაროვანი. ხოლო გორაზე საკულტო მოედანი (70 კვ. მ), სამსხვერპლო. აღმოჩენილი საგანგებოდ შემკული ჭურჭელი ასტრალური და ზოომორფული ორნამენტით. ერთ დერგზე რელიეფურად გამოსახული ახალმთვარის მსგავსი ფიგურა და მასთან დაკავშირებული წყვილი მეანდრულ-სპირალური ნიშანი (სათვალისებრი სპირალი). იგივე ორნამენტი, უფრო დახვეწილი ფორმით მეორდება. ნამოსახლარზე აღმოჩნდა ხარის სტილიზებული სადგარი, ნაცრის სქელი ფენა და შეწირულ ცხოველთა დამწვარი ძვლები. (ჩუბინიშვილი ტ., თბილისი, გვ. 43-45, 67); (ორჯონიკიძე ა., 1983, გვ. 116); (ჯაფარიძე ო., 2003, გვ. 106-107). საკულტო

დანიშნულებას ადასტურებს იქ აღმოჩენილი შეწირული ცხოველების ძვლების სიმრავლე, მდიდრულორნამენტიანი ჭურჭელი და მცირე ზომის თიხის ქანდაკებები. ლითონის ავგაროზები, ნამგალი, ცული, თოხი. ჭურჭელზე გაფრენილი წეროების რელიეფური გამოსახულებები. (ლორთქიფანიძე ო., 2022, გვ. 135, 147, 148).

ადრებრინჯაოს ხანის სხვა საკულტო ძეგლებია: **სამშვილდის სამლოცველო.** (გაზ. დროება, 1889, N 26; (აბაშიძე ბ., 1984, გვ. 24), **მურჯახეთის სამლოცველო** (მელიქსეთ-ბეგი ლ., 1938, გვ. 98-104), **განძის სამლოცველო** (სიხარულიძე ა., 1970, გვ. 45-48), **რეხას სამლოცველო** (ნარიმანიშვილი გ., 2020, გვ. 37-38), **ჭივჭავის მენჰირი, საგვარჯილეს საკურთხეველი** (ბერძენიშვილი ნ., 1992, გვ. 253) და სხვ.

შუაბრინჯაოსსამლოცველოებიდან მნიშვნელოვანია:

ბერიკლდეები (შიდა ქართლი. ქარელის მუნიციპალიტეტი. ნამოსახლარი გამოვლინდა სწორკუთხა შენობა, რომელშიაც ჩადგმული იყო თიხის მრგვალი კერა. კერის ერთ მხარეს რელიეფური სახე იყო გამოძერწილი, რომელსაც თვალების ადგილას ობსიდიანის ქვები ჰქონდა ჩასმული. „როგორც ჩანს, ბედენის კულტურის გავრცელების დროს, ბერიკლდეები ძლიერი რელიგიური ცენტრი უნდა ყოფილიყო“. (ჯაფარიძე ო., 2003, გვ. 148).

შაორის საკულტო-საფორთიპიკაციო კომპლექსი. (ჯავახეთი. გვიანბრიჯაოს ხანა. ბაზალტის დიდი ლოდებით ნაგები საკულტო და თავდაცვითი არქიტექტურული კომპლექსი უნდა ყოფილიყო, ნაყოფიერების ღვთაების დიდი საკულტო ცენტრი. (ნარიმანიშვილი გ., 2020, გვ. 87-97).

აბულის საკულტო კომპლექსი. (ჯავახეთი. გვიანბრინჯაოს ხანა). მეგალითური ნაგებობა მცირე აბულის მთის თხემზეა აღმართული, საკულტო მოედანი შემოზღუდულია მძლავრი კედლით, (სისქე 3-5 მ.), რომელსაც შიგნიდან მცირე სენაკები შემოუყვება. სავარაუდოდ, ეს იყო დიდი საკულტო-ცერემონიალური ცენტრი. (ნარიმანიშვილი გ., 2020, გვ. 98-108).

შილდის სამლოცველო. (კახეთი, სოფელ შილდა. გვიანბრინჯაოს ხანა). საკულტო მოედანი შემოზღუდული წრიულად, მშრალი წყობის კედლით. შესასვლელი ჩრდილო აღმოსავლეთის მხრიდან. წრის შიგნით აღმოჩნდა დიდი ზომის თიხის ჭურჭელი, რომელშიც ეწყო ბრინჯაოს ურიცხვი: მახვილი, სატევარი, ცული და შუბისპირი, სხვა ჭურჭელში აღმოჩნდა მძივები, სამკაულები, ღილები. იქვე მრავლად აღმოჩნდა ადამიანის, ხარისა და ირმის ბრინჯაოს ფიგურები. სულ 3500-მდე შეწირული ნივთი. ძეგლი თარიღდება ძველი წელთაღრიცხვის XIV-XII საუკუნეებით. (მაისურაძე ბ., 1984, გვ. 3), ტაბულა I). სავარაუდოდ, ეს არის ნაყოფიერებისა და მოსავლის ქალღვთაების (მზის) და ასევე ნაყოფიერების, ომის და გამარჯვების ღვთაების (მთვარის) საერთო სამლოცველო.

მელიღელე I სამლოცველო. (კახეთი. გურჯაანის მუნიციპალიტეტი, ს. მელაანიდან სამხრეთით), წარმოადგენს წრიული ფორმის საკულტო მოედანს, რომელიც შემოფარგლულია 2 მეტრის სიგანის თხრილით. აღმოსავლეთ მხარეს გამართულია დიდი ორმოები. (დიამეტრი 3-3,5 მ). ორმოებში იდგა ნაცრით შევსებული დიდი ზომის თიხის ჭურჭლები. ნაპოვნია: მძივები, ღილები, ბეჭდები, ობსიდიანის ისრისპირები (ათასამდე), მახვილის რამდენიმე იმიტაცია, თიხის საბეჭდავები ციურ მნათობთა გამოსახულებებით (სვასტიკა, ჯვარი, სპირალი). აღმოჩენილია ბრინჯაოს 7 და თიხის შიშველი ქალის 2 ფიგურა. საკულტო მოედანზე აღმოჩენილია გამოსახულებები, რომელითა შორის იკითხება ცხოველთა და ფრინველთა სტილიზებული სახეები. ასეთი გამოსახულებები გვხვდება ყათნალისხევის სამლოცველოშიც. (Пицхелаури К., 1979, стр. 51-52).

ნაზარლების სამლოცველო. (ქიზიყი. შირაქის ველი). (გვიანბრინჯაოს ხანა). წარმოადგენს რიყის ქვებით წრიულად მოზღუდულ საკულტო მოედანს. კედლის შიგნით აღმოჩნდა ბრინჯაოსგან ჩამოსხმული ირმისა და ფრინველის მცირე ქანდაკებები და განძი, ბრინჯაოს მახვილების (470-ზე მეტი) იმიტაციები. (ბუხრაშვილი პ., 2021, გვ. 38). სავარაუდოდ, ეს არის ნაყოფიერების და გამარჯვების ღვთაებათა სამლოცველო.

ყათნალიხევის სამლოცველო. (შიდა ქართლი, უფლისციხესთან, გვიანბრინჯაოს ხანა). შედგება რამდენიმე შენობისაგან. ნაპოვნია თიხით ნაძერწი: ადამიანის თავის ბარელიეფური გამოსახულება, ხარის ქანდაკება, მოზვრის თავის ნატეხი, დისკოები. აგრეთვე საკურთხეველი, რომელზეც იდო მოზვრის თავის გამოსახულება. იატაკზე ამოკვეთილი იყო: ხარის, თხის, ძაღლის, ირმის, შვლის და სხვა ფიგურები. სავარაუდოდ, ეს უნდა იყოფილიყო ნაყოფიერების მდედრობითი ღვთაების, (მზის კულტი) და ნაყოფიერების მამრობითი ღვთაების (ხარის კულტი) სამლოცველო. (ხახუტაიშვილი დ., 1964, გვ. 18-44). (ფიცხელაური კ., 1979, გვ. 19-20). სამლოცველოს იატაკზე მელიღელე I-ის მსგავსი მეთოდით გამოსახული არის ცხოველთა და ფრინველთა ფიგურები (Пицхелаури К., 1979, стр. 51-52). ყათნალიხევის სამლოცველო თარიღდება ძვ. წ. XII-VIII სს. სამლოცველოს პირველ ნაგებობაში აღმოჩნდა თიხის, დაზიანებული ჰორელიეფი, ადამიანის თავის იმიტაცია, თვალების ადგილზე ჩასმული აქვს ობსიდიანის ანატკეცები. მიჩნეულია, რომ ეს არის დიდი დედა ნანას გამოსახულება. ჰორელიეფი აღმოჩნდა სამლოცველოს იატაკზე, მაგრამ თავიდან კედელზე უნდა ყოფილიყო მიძერწილი. ეს სამლოცველო სავარაუდოდ მაშინ გაჩენილა, როდესაც ნამოსახლარის I ფენის მოსახლეობას გორა მიუტოვებია და ჭალაში ჩასახლებულა, ხოლო გორა საკულტო ადგილად დარჩენილა. (სადრაძე ვ., 2018, გვ. 35-38).

მამიდაის ქვა. მანგლისთან, სოფელ ახოტილას (შახვეტილას) ზევით, მიწაზე დევს დიდი ქვა, რომელსაც „მამიდაის ქვას“ ეძახიან. ამინდის ღვთაების სამლოცველო უნდა ყოფილიყო. ხანგრძლივ გვალვასა და ავდარში დღესაც ამ ქვისკენ მიემართება მლოცველთა პროცესია და ლოცვა-ვედრებით ამ ქვას ან მხარს უბრუნებენ ან აწევენ და ისევ დადებენ (აბაშიძე ბ., 1984, გვ. 22). სავარაუდოდ ამ ქვაზე მოგვითხრობს ვახუშტი ბატონიშვილი: „პატივანს ქვეით ვაკეს არს ლოდი, რომელი გვალვასა თუ გარდააბრუნო და შენამო, მოვალს წვიმა, ხოლო წვიმიანობასა შინა თუ შეაყარო ნაცარი და გარდააბრუნო, იქმნების უწვიმრობა.“ (ბაგრატიონი ვახუშტი., 1842, გვ. 170).

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სხვა საკულტო ძეგლებია: **შავი მთის სამლოცველო** (ნარიმანიშვილი გ., 2020, გვ. 105-111), **სამსარის სამლოცველო** (ნარიმანიშვილი გ., 2020, გვ. 111), **სპეროზას მთის სამლოცველო** (ჟურნ. მოამბე, 1897, ტ. VIII, გვ. 38; (აბაშიძე ბ., 1984, გვ. 22), **დამასტეს სამლოცველო** (ვიყავი 1989 წ. ზახულში, დამასტობაზე), **გოგიჩაანთღელეს სამლოცველო.** (ნარიმანიშვილი გ., 2020, გვ. 111), **ბოდბის ქალქვა** (გაზ. ივერია 1888, N 9; (აბაშიძე ბ., 1984, გვ. 21), **შქმერის ქვაგახეთქილა** (აბაშიძე ბ., 1984, გვ. 12), **მეღრეკის სამლოცველო, კლდეკარის სამლოცველო** (ნარიმანიშვილი გ., 2020, გვ. 82-86), და სხვ.

გოხების სამლოცველო. (ქიზიყი. დედოფლისწყაროს მახლობლად, (ფიცხელაური კ., 1979, გვ. 58).

მელიღელე II სამლოცველო. (კახეთი. გურჯაანის მუნიციპალიტეტი. ს. მელაანიდან სამხრეთით 7 კილომეტრის დაცილებით). თარიღდება ძველი წელთაღრიცხვის I ათასწლეულის I ნახევრით (ძვ. წ. VII ს.). საკულტო მოედანი დიამეტრით 90 მეტრი. შემოზღუდული იყო სამი წრიული კედლით, სიმაღლე 1 მ. აღმოჩენილია რკინის საბრძოლო იარაღი, ისრისპირები, შუბისპირები, ბრტყელძირიანი ქვევრების ნამტვრევები, სამკაულები. შუაში ქვის წრე იყო გამართული, დიამეტრი 70 სმ. შიგნით ნაცარი. ალბათ ცეცხლი ენთო. შიგა სივრცეში ბრინჯაოს რამდენიმე ფიგურა (კაცი და ცხენის) გამოჩნდა.. ეს უნდა ყოფილიყო ნაყოფიერების და ომის ღვთაების სამლოცველო. (Пицхелаури К., 1979, стр. 53-54)

მელაანის სამლოცველო. (კახეთი. გურჯაანის მუნიციპალიტეტი. ს. მელაანის მახლობლად. რკინის ხანა). საკულტო მოედანი შემოზღუდული იყო წრიული კედლით. შიგნით აღმოჩნდა: ნაცარი, ბრინჯაოს და რკინის საბრძოლო იარაღი (234 ცალი), ცხენის აღკაზმულობის ფრაგმენტები, კაცის ფიგურები, დანები, კერამიკა, ბრინჯაოს სარტყლები. როგორც ჩანს აქ იყო ნაყოფიერების და ომის

ღვთაების სამლოცველო. თარიღდება ძველი წელთაღრიცხვის VII-VI საუკუნეებით. (Пицхелаури К., 1979, стр. 54-57).

ცხინვალის ნაცარგორა. (შიდა ქართლი. ქ. ცხინვალის მახლობლად). თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევრით. აქ მე-5 სენაკში აღმოჩნდა სავარძლის ფორმის საკურთხეველი. მის ჩაზნექილ ზედაპირზე გამართული იყო ნალისებრი კერა ორი შვერილით. შვერილები ხარის რქებს განასახიერებს. საკურთხევლის უკან, კედელში რელიეფურად გამოსახული იყო ხარის თავი. კერასთან აღმოჩნდა თიხისგან გამოძერწილი ხარის ქანდაკება. დამატებით, სენაკის ჩრდილო კედელზე გამოსახულია სვასტიკა. სენაკის სამხრეთ კუთხეში აღმართული იყო დიდი სამსხვერპლო, რომლის მახლობლად აღმოჩნდა ხარის ფიგურები. ცხინვალის ნაცარგორის მე-2 სენაკში აღმოჩნდა საფეხურებიანი საკურთხეველი, რომლის გარშემო კი - ჭურჭლის ნამტვრევები, ხელსაფქვავები, ადამიანთა თიხის ფიგურები. გამოთქმულია აზრი, რომ ცხინვალის ნაცარგორის სამლოცველოში განმსაზღვრელი როლი ეკუთვნის ხარის კულტს. (გობეჯიშვილი გ., 1951, გვ. 265); (ხიდაშელი მ., 1982, გვ. 93). ხარი და სვასტიკა ნაყოფიერების ღვთაებათა სიმბოლოებია.

კალანდაძისგორა 2-ის სამლოცველო. (შიდა ქართლი. მცხეთის მუნიციპალიტეტი, ნარეკვავის დასახლება. რკინის ფართო ათვისების ხანა. ძვ. წ. VI ს). ამ გორაზე გათხრილია ნამოსახლარი, რომლის ერთ ტერასაზე გამოჩნდა წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმის სამლოცველო. მისი ფასადი მიმართულია ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ, ხოლო ზურგის მხარე, სამხრეთ-დასავლეთისკენ, წარმოადგენს ნახევრად მიწურს. სამლოცველო სიგრძეზეა გაყოფილი ორ ნაწილად, ალიზის დაბალი კედლით. მარცხენა კუთხეში აღმოჩნდა თიხით ნაგები ღუმელი, რომელიც ხოვლურ ღუმელს წარმოადგენს. სამხრეთ კედელთანგამართულია მართკუთხედის ფორმის სამსხვერპლო. ნაგებობის ჩრდილო კედელთან, კუთხეში კიდევ ერთი სამსხვერპლოა გამართული, ნახევარწრიული ფორმის. სავარაუდოდ, სამლოცველოს მარჯვენა მხარე იყო ოჯახის სამლოცველო, ხოლო მარცხენა მხარე საქონლის და მოსავლის კულტმსახურებასთან დაკავშირებული სამლოცველო. შეიმჩნევა ხანძრის კვალი. სამლოცველო დამწვარა ძვ. წ. VI საუკუნის შუახანებში (სადრაძე ვ., 2018, გვ. 85-86). იგივე საკულტო ძეგლი ნარეკვავის სამლოცველოს სახელითაც იხსენიება. (დავლიანიძე რ., 1989, გვ. 202-203).

რკინის ფართო ათვისების ხანის სხვა ძეგლებია: **ხოვლეგორის სამლოცველო.** (ხიდაშელი მ., 1982, გვ. 93), **ვანის სამლოცველო** (ყიფიანი გ., 2000, გვ. 5), **არაშენდას სამლოცველო.** (ფიცხელაური კ., 1979, გვ. 57) და სხვ.

საირხეს მზის ტაძარი. (ზემო იმერეთი. საჩხერის მუნიციპალიტეტის ს. საირხე). ძვ. წ. V-IV სს. ადგილ ლომინაურში აღმოჩენილი სვეტის ბაზისების და ლომის ფიგურის გამო გაჩნდა ვარაუდი, რომ საირხეში იდგა ნაყოფიერების ღვთაების სახელზე აგებული გრანდიოზული ტაძარი (მზის ტაძარი) (ნადირაძე ჯ., 1972, გვ. 71).

ნასტაკისის ბაზილიკა. (შიდა ქართლში, მცხეთის მუნიციპალიტეტი, ს. ციხისძირთან, ადრეანტიკური ხანა). ნასტაკისის ველზე გამოვლენილი ქრისტიანული სამეკლესიიანი ბაზილიკა, სინამდვილეში არის გადაკეთებული ანტიკური სამნავიანი ბაზილიკა. ეკლესიის აღმოსავლეთ მხარეს შემორჩენილია საფეხურები, რომელიც ამ წარმართული სამლოცველოს აღსავალი უნდა ყოფილიყო. მისი გაუქმების შედეგად, ამ ადგილზე შეუქმნიათ ქრისტიანული ეკლესიის აბსიდები. გადაკეთება მომხდარა ახ. წ. IV საუკუნეში. ანტიკური ბაზილიკის ცოკოლი ქვის ყოფილა, ხოლო კედლები - ალიზის. ასევე დარჩენილა ქრისტიანულ ეკლესიად გადაკეთების შემდეგაც. (ყიფიანი გ., 2000, გვ. 109-110).

ადრეანტიკური ხანის სხვა საკულტო ძეგლებია: **სამადლოს კოშკურა ტაძარი** (ყიფიანი გ., 2000, გვ. 33-34), **ვანის ხის ტაძარი** (ყიფიანი გ., 2000, გვ. 5), **უფლისციხის ცეცხლის ტაძარი** (ყიფიანი

გ., 2000, გვ. 52-54), **უფლისციხის მზის ტაძარი, ციხიაგორის ტაძარი** (ყიფიანი გ., 2000, გვ. 35-40); (მახარაძე ზ., 2023, გვ. 7-8) და სხვ.

სარიტუალო ორმო ციხიაგორის ტაძართან. (შიდა ქართლი. კასპის მუნც.), (მახარაძე ზ., 2023, გვ. 17).

საკურთხევლები ციხიაგორის მარანში. (შიდა ქართლი. კასპის მუნიციპალიტეტი, ს. კავთისხევის მახლობლად). ძვ. წ. IV ს. ციხიაგორის ელინისტურ ტაძართან გამოვლინდა მარანი მრავალი ქვევრით. მარანში აღმოჩნდა სამი საკურთხეველი. ერთ-ერთ მათგანზე იდო ციკნის დამწვარი თავის ქალა რქებით. ციკანი იყო ვაზისა და ღვინის ბერძნული ღვთაების, დიონისეს თანმხლები ცხოველი (მახარაძე ზ., 2023, გვ. 16). როგორც ჩანს, მარანში მეღვინეობისა და მევენახეობის მფარველი ღვთაების მიმართ გარკვეული რიტუალი სრულდებოდა.

ცეცხლსაგზნები არმაზციხის სვეტებიანი დარბაზის წინ. (შიდა ქართლი, მცხეთის მუნიციპალიტეტი, ადგილი ბაგინეთი). ძვ. წ. VI-III სს. (აფაქიძე ა., 1990, გვ. 240). ადრეანტიკურ ხანაში ქართლის პოლიტიკურ ცენტრში, მცხეთის მამასახლისთა და ქართლის მეფეთა სასახლის წინ მუდმივი ცეცხლი ენთო.

თრელიგორების სამლოცველო. ელინისტური ხანა. (თბილისი, დიღმის მასივი. ელინისტური ხანა). საქართველოს სამხედრო გზის პირას, თრელიგორების ერთ-ერთ ბორცვზე 2010, 2015, 2018 წლებში გაითხარა ელინისტური ნამოსახლარი და ელინისტური საკულტო ნაგებობა თხემზე (ძნელაძე მ., 2023, გვ. 184).

დიღმის ცეცხლის ტაძარი. ს. დიღმის წმინდა გიორგის ეკლესიის ტერიტორია ქრისტიანობამდეც სამლოცველო ადგილი ყოფილა. აქ ეკლესიის მიმდებარედ 2016 წელს აღმოჩნდა ძვ. წ. I საუკუნის ზოროასტრული სამლოცველო. სიგრძე 11.5 მ. სიგანე 8 მ. კედლის სისქე 1,4 მ. ნაპოვნია საკურთხევლის და ცეცხლსაგზნების ქვები. ტაძრის შიგნით, აღმოსავლეთის კედელთან აღმოჩნდა ორად გატეხილი სამსხვერპლო. შენობის იატაკის დონეზე ნაპოვნია პართიის მეფის ფრაატ III-ის (ძვ. წ. 70-57 წწ.) დრაქმა, (ძნელაძე მ., 2023, გვ. 184).

დედოფლის მინდვრის ცეცხლის ტაძარი. (გაგოშიძე ი., 1974, გვ. 70). დედოფლის მინდორზე ერთ არქეოლოგიურ ძეგლად არის წარმოდგენილი რამდენიმე ტაძარი: მთავარი ტაძარ-პროპილეუმი, სამხრეთის სამლოცველო, მცირე ტაძარი, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ტაძარ-პროპილეუმები. ძეგლი არის სიმეტრიული და აქვს მართკუთხედის ფორმა. ზუსტად ემთხვევა ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზს. (ყიფიანი გ., 2000, გვ. 40-52).

ელინისტური ხანის სხვა საკულტო ძეგლებია: **ზადენგორის სამსხვერპლო** (ლიჩელი ვ., 2020, გვ. 17); (ჩუბინიშვილი ტ., თბილისი, გვ. 11), **ვანის გვიანელინისტური ტაძარი** (ყიფიანი გ., 2000, გვ. 9-10), **ვანის ტაძარ-პროპილეუმი** (ყიფიანი გ., 2000, გვ. 10-25), **ხოვლეს სამლოცველო** (გვასალია χ., 1972, გვ. 42-50), **მცხეთის აპოლონის ტაძარი** და **ჭერემის ცეცხლის სამლოცველო** (ყიფიანი გ., 2000, გვ. 87) ტაბულა LXXVII 7), **არმაზის კერპის კვარცხლბეკი** (აფაქიძე ა., 1990, გვ. 241) და სხვ.

აწყურის აპოლონის და არტემიდეს ტაძარი. (სამცხე, ს. აწყური). ახ. წ. I ს. მესხეთის მხარის ადმინისტრაციულ ცენტრში, აწყურში იდგა აპოლონისა და არტემიდეს ბერძნული ტაძარი. მისი განადგურების შემდეგ, ზუსტად იმავე ადგილზე აშენდა აწყურის ღვთისმშობლის ტაძარი (ლიჩელი ვ., 2020, გვ. 22).

ძალისის ტაძარი. (შიდა ქართლი. მცხეთის მუნიციპალიტეტი, ს. ძალისი. გვიანანტიკური ხანა). ახ. წ. II ს. აქ იყო ქართლის მეფეთა რეზიდენცია, რომაული სასახლით, რომაული აბანოთი, რომაული ღია აუზით და რომაული ტაძრით.

დასკვნა: ამრიგად, საკულტო არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილი ფიგურები (დიდი დედის, მამაკაცის, ირმის, ხარის, ცხვრის, ფრინველის), ნაყოფიერების კულტს უკავშირდება და ადგილობრივ (პირობითად ქართულ) სარწმუნოებას შეიძლება მივაკუთვნოთ.

საქართველოს ტერიტორიაზე მწარმოებლური მეურნეობის წარმოშობის შემდეგ, როგორც ჩანს, ჩამოყალიბდა მოსავლის და ნაყოფიერების ღვთაების თაყვანისცემა. ეს იყო დიდი დედა ნანა, რომელსაც: მაღლა მზე, დაბლა დედამიწა, შინ კერა, ტყეში ირემი განასახიერებდა. დიდი დედა ნანა იყო: მოსავლის და ნაყოფიერების მომცემიც, ნადირთ მფარველიც, ადამიანის და მისი ფუძე-კერის მფარველიც. ეს სარწმუნოება იყო ნეოლიურ-ენეოლითისა და ადრებრინჯაოს ხანის საწყის ეტაპზე. შემდეგ, მტკვარ-არაქსის კულტურის გარკვეულ საფეხურზე, საზოგადოებრივი ცხოვრების და სამეურნეო საქმიანობის სფეროში მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებების კვალდაკვალ, ნაყოფიერების მდედრობითი ბუნების ღვთაება, ადამიანთა წარმოდგენაში თანდათან მამრობითი ბუნების ღვთაებად გარდაისახა. შემდეგ ადგილობრივი სარწმუნოების ეს „დიდი მამა“, ჩვენი წინაპრების რწმენა-წარმოდგენებში უფრო გადიდდა და ყველაფრის საწყისად, ყველაფრის გამჩენად, „დიდ მორიგედ“ იქცა. დღემდე შემორჩენილი კულტმსახურების ტექსტის მიხედვით, იგი იყო: „დედამიწის დამდგმელი, ცის დამხურავი, მზის შუქის მომფენი, ცის ნამის ჩამომდენი, სულის ჩამდგმელი და ცა-ვარსკვლავთ რიგის დამდები“. ნაყოფიერების ღვთაებად გამოიკვეთა „დიდი დედის“ და „დიდი მორიგეს“ შვილი „კვირია“.

საქართველოს ტერიტორიაზე, ადგილობრივ ტომებში წარმოშობილი სარწმუნოება, ადრებრინჯაოს ხანის დასასრულისთვის, როგორც ჩანს წარმოადგენდა უამრავი ავი და კეთილი სულების რწმენას. კეთილი სულების, (კეთილი ღვთიური ძალების) სათავეში უკვე გამოკვეთილი იყო უმაღლესი სამეული, ღვთიური ტრიადა: „დიდი მორიგე“, იგივე „დამბადებელ ხოშა ღერბეთ“ (სვან.), იგივე „გუმორჩქინალი დიდი ღორონთ“ (მეგრ.), მისი სიმბოლო იყო ცაში მთვარე, დედამიწაზე ხარი, შინ კერის შვერილები. ღვთიური ტრიადის მეორე წევრი იყო „დიდი დედა“, იგივე მზექალი, იგივე დი (სვან.), იგივე ნანა (მეგრ), მისი სიმბოლო იყო ცაში მზე, დედამიწაზე ირემი, შინ კერის წრე. ღვთიური ტრიადის მესამე წევრი ღვთისშვილი კვირია, სვანურად და მეგრულად ასევე კვირია. მისი სიმბოლო იყო ცაში ცისკრის ვარსკვლავი, დედამიწაზე ცხვარი, შინ კერის ცეცხლი.

ენეოლითისა და ადრებრინჯაოს ხანაში, საოჯახო კულტმსახურების ადგილი არის კერა. კერა განასახიერებდა ღვთაებათა უმაღლეს სამეულს. კერასთან სრულდებოდა საოჯახო საკულტო რიტუალები. შემდეგ კულტმსახურება გადავიდა სათემო სამლოცველოებში. შეიქმნა საზოგაგადოებრივი საკულტო ცენტრები, თუმცა საოჯახო კულტმსახურება გაგრძელდა შემდგომ პერიოდებშიც და დღემდე მოაღწია სახეცვლილი გადმონაშთების სახით.

შუაბრინჯაოს ხანაში, მიუხედავად უცხო, სამხრეთული კულტურული ნაკადის შემოდინებისა, რომელმაც მოიცვა მესხეთი და ქვემო ქართლი (თრიალეთის ჩათვლით), ადგილობრივი (პირობითად ქართული) რელიგიური სოფლხედვა შენარჩუნდა დასავლეთ საქართველოში და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში სრულად, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ბარში ნაწილობრივ.

შუაბრინჯაოს ხანაში სამლოცველოების შესახებ არქეოლოგიური მასალა მცირეა.

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამლოცველოების შესახებ არქეოლოგიური მასალა მრავალიცხოვანია, სათემო საზოგადოებრის-საკულტო ცენტრების სახით. ნაყოფიერების მამრობითი ბუნების ღვთაებამ ომის ფუნქციაც შეითავსა. შემდეგ ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნიდან გაჩნდა ანტიკურ-ბერძნული საკულტო ძეგლები დასავლეთ საქართველოში და აქემენიდურ-სპარსული საკულტო ძეგლები აღმოსავლეთ საქართველოში. ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნიდან ახალი წელთაღრიცხნის IV საუკუნემდე გვხვდება რომაული საკულტო ძეგლები დასავლეთ საქართველოში და რომაულ-სპარსული საკულტო ძეგლები აღმოსავლეთ საქართველოში.

წინაქრისტიანული არქეოლოგიური საკულტო ძეგლების მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე იკვეთება ძეგლთა 4 ჯგუფი.

1. ადგილობრივი (პირობითად ქართული) საკულტო არქეოლოგიური და მიწისზედა ძეგლები.
2. ანტიკურ-ელინისტური ბერძნული საკულტო არქეოლოგიური ძეგლები.
3. აქემენურ-სასანური სპარსული საკულტო არქეოლოგიური ძეგლები.
4. რომაული საკულტო არქეოლოგიური ძეგლები.

საკულტო ძეგლების მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე რელიგიის წინაქრისტიანული ხანის ისტორია 4 პერიოდად შეიძლება წარმოვიდგინოთ:

1. ადგილობრივი საკულტო არქეოლოგიური ძეგლების გავრცელების პერიოდში, უნდა ყოფილიყო ადგილობრივი (პირობითად ქართული) სარწმუნოება. (ძვ. წ. V ათასწლეული - ძვ. წ. VI ს.), ხოლო ძვ. წ. VI საუკუნიდან დღემდე ადგილობრივი (პირობითად ქართული, ხალური) სარწმუნოება თანაარსებობდა და თანაარსებობს შემორეულ, უცხო რელიგიებთან.
2. ანტიკურ-ბერძნული საკულტო არქეოლოგიური ძეგლების გავრცელების პერიოდში, უნდა ყოფილიყო საბერძნეთიდან მოსული ელინისტური სარწმუნოება, ადგილობრივ (ქართულ) სარწმუნოებასთან თანაარსებობით. (ძვ. წ. VI ს - ძვ. წ. I ს.) გავრცელებული იყო დასავლეთ საქართველოში და ნაწილობრივ აღმოსავლეთ საქართველოშიც.
3. აქემენურ-სპარსული საკულტო არქეოლოგიური ძეგლების გავრცელების პერიოდში, უნდა ყოფილიყო სპარსეთიდან მოსული ზოროასტული სარწმუნოება, ელინისტური და ადგილობრივი (ქართული) სარწმუნოებების თანაარსებობით. (ძვ. წ. VI ს. - ძვ. წ. I ს.) აღმოსავლეთ საქართველოში და ნაწილობრივ დასავლეთ საქართველოშიც.
4. რომაული საკულტო არქეოლოგიური ძეგლების გავრცელების პერიოდში, უნდა ყოფილიყო რომიდან მოსული სპარსული წარმოშობის სარწმუნოება, მითრაიზმი: ელინისტურ, ზოროასტრულ და ადგილობრივ (ქართულ) სარწმუნოებებთან თანაარსებობით. (ძვ. წ. I ს - ახ. წ. IV ს.).

შემდეგ დაიწყო რომის იმპერიიდან მოსული, ებრაული წარმოშობის სარწმუნოების (ახ. წ. IV-XXI სს), ქრისტიანობის და ოსმალეთის იმპერიიდან მოსული, არაბული წარმოშობის სარწმუნოების (ახ. წ. XVII – XXI სს), ისლამის გავრცელების პერიოდები, როდესაც ადგილობრის (ქართულ) სარწმუნოებას უხდებოდა თანაარსებობა, ბრძოლა გადარჩენისთვის, მაგრამ რელიგიის ისტორიის ეს საინტერესო პერიოდი ჩვენი თემის ჩარჩოებს სცილდება.

წინაქრისტიანულ ხანაში ქრონოლოგიურად ყველაზე ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს ადგილობრივი (პირობითად ქართული) სარწმუნოების პერიოდი (დაახლოებით 50 საუკუნე). შემდეგ, თანამიმდევრობით: ელინიზმის, ზოროასტრიზმისა და მითრაიზმის პერიოდები დროის უფრო მცირე მონაკვეთებს მოიცავს. ეს სარწმუნოებები თანაარსებობდნენ ერთმანეთთანაც და ადგილობრივ სარწმუნოებასთანაც. ახ. წ. IV საუკუნიდან, კიდევ ერთი ახალი, სარწმუნოების შემოსვლის შემდეგ, ერთად მოისპო ყველა არაადგილობრივი სარწმუნოება. ახალი რელიგია, ქრისტიანობა, მონოთეისტური იყო და სხვა ღმერთების არსებობას გამორიცხავდა. ასევე ახ. წ. IV საუკუნიდან მოისპო საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული ყველა უცხო წინაქრისტიანული რელიგია. როგორც ჩანს, ამის მიზეზი იყო ის ფაქტი, რომ მათ ფესვები არ ჰქონდათ გადგმული ადგილობრივ მოსახლეობაში, ისინი ზედა ფენების რელიგიები იყვნენ. მხოლოდ ადგილობრივმა (ქართულმა) სარწმუნოებამ შეინარჩუნა არსებობა ახალმოსული, უცხო, მონოთეისტური სარწმუნოების გაბატონების პირობებში. უფრო მეტიც, ადგილობრივმა (ქართულმა) სარწმუნოებამ განაგრძო არსებობა გვიან შუასაუკუნეებში, საქართველოს სამხრეთ რეგიონებში, ასევე მონოთეისტური, მაჰმადიანური სარწმუნოების გაბატონების პირობებშიც.

ადგილობრივი სარწმუნოება, აღმოცენებული ადგილობრივ ნიადაგზე, ახლოს მდგომი ქართულ ყოფასა და კულტურასთან, ქართულ ეთნოფსიქოლოგიასთან, შეიძლება ითქვას, ხალხური

სარწმუნოებაა, მშობლიურია და შესაბამისად უფრო გამძლე აღმოჩნდა. ამის შედეგია, რომ ადგილობრივი, ანუ ძველი ქართული სარწმუნოების გადმონაშთები დღემდე არსებობს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Пицхелаури К. (1979). *Восточная Грузия в конце бронзового века,*. Тбилиси, "Наука".
2. აბაშიძე ბ. (1984). *მითოლოგიის ზოგიერთი საკითხი ქართულ ზეპირსიტყვიერებაში.* თბილისი.
3. აფაქიძე ა. (1990). არმაზციხე,. *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა N 5,*, 498.
4. ბაგრატიონი ვახუშტი. (1842). *აღწერა სამეფოსა საქართველოისა,*. სანკტ-პეტერბურგი, საიმპერატორო აკადემია.
5. ბერძენიშვილი ნ., ფ. გ. (1992). გამოქვაბული საგვარჯილე, ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ფენა,. *არქეოლოგია ტ. II,*, 282.
6. ბუხრაშვილი პ. (2021). *ნაზარლების სამლოცველო,*. თბილისი, კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მოამბე "ამირანი"-ს XXXV.
7. გაგოშიძე ი. (1974). წარმართული ტაძარი დედოფლის მინდორზე. *ძეგლის მეგობარი, N 35,*.
8. გვასალია ჯ. (1972). ელინისტური ხანის საკულტო ხასიათის არქეოლოგიური მასალა სოფ. ხოვლედან, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის,. *მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის = Материалы по этнографии Грузии, კრებული : ტ. 16-17,*, 417.
9. გობეჯიშვილი გ. (1951). სტალინირის ნაცარგორა,. *მიმომხილველი, II*, 495.
10. დავლიანიძე რ., ხ. ნ. (1989). რკინის ფართო ათვისების ხანის სამლოცველო კალანდაძის გორიდან. *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 134, N 3.*
11. კალანდაძე კ. (1994). *თეთრი მღვიმე.* "მეცნიერება".
12. ლიჩელი ვ. (2020). *აწყურის არქეოლოგია, წარმართული ხანა.* თბილისი, თსუ-ს უნივერსიტეტის გამომცემლობა.
13. ლორთქიფანიძე ო. (2022). *ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან.* თბილისი: "პალიტრა L".
14. ჯალაბაძე მ., (1998). *ბედენის კულტურა შიდა ქართლში (ბერიკლდეების ნამოსახლარი).* თბილისი, "მეცნიერება".
15. მაისურაძე ბ., ფ. ლ. (1984). შილდის სამლოცველო,. *კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები VII,*, 113.
16. მახარაძე ზ., კ. ნ. (2023). *ციხიაგორა,*. თბილისი: საქართველოს ეროვნული მუზეუმი.
17. მელიქსეთ-ბეგი ლ. (1938). *მეგალითური კულტურა საქართველოში.* თბილისი: ფედერაცია თბილისი,
18. მირცხულავა გ. (2011). *მტკვარ-არაქსის კულტურის პრობლემები.* თბილისი.
19. ნადიმაშვილი ს. (1963). გუდაბერტყა-ციხიაგორა. *ჟურ. ლიახვი*.
20. ნადირაძე ჯ. (1972). *არქეოლოგიური ნარკვევები,*. თბილისი, "მეცნიერება".
21. ნარიმანიშვილი გ., შ. ნ. (2020). *საქართველოს მეგალითური კულტურის ძეგლები.* თბილისი: საქართველოს ეროვნული მუზეუმის გამომცემლობა.
22. ორჯონიკიძე ა. (1983). *სამცხე-ჯავახეთი ადრებრინჯაოს ხანაში,*. თბილისი, "მეცნიერება".
23. სადრაძე ვ., ხ. თ. (2018). *შიდა ქართლის გვიანბრინჯაო-რკინის ფართო ათვისების ხანის ნამოსახლარების კულტურა (ძვ. წ. XIV-VI სს.),*. თბილისი, საქართველოს ეროვნული აკადემია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტთან არსებული სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი ,,ქართული კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა და დაცვა".
24. სიხარულიძე ა. (1970). *საქართველოს ვეშაპები და ვეშაპოიდები.* თბილისი, "მეცნიერება".

25. ფიცხელაური კ. (1979). *აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV-VIII სს.* თბილისი, "მეცნიერება".
26. ყიფიანი გ. (2000). *კოლხეთის და იბერიის წარმართული ტაძრები და ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების წარმოშობის საკითხები.* თბილისი, "მეცნიერება".
27. ჩუბინიშვილი ტ. (თბილისი). *ამირანის გორა,.* 1963," მეცნიერება".
28. ძნელაძე მ., ს. ვ. (2023). *ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები თბილისიდან, თბილისის არქეოლოგია III,.* თბილისი, "საარი".
29. ხახუტაიშვილი დ. (1964). *უფლისციხე I,.* თბილისი, "მეცნიერება".
30. ხიდაშელი მ. (1982). *ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეულ რკინის ხანაში.* თბილისი, "მეცნიერება".
31. ჯავახიშვილი ა., ღ. ლ. (1962). *ურბნისი I.* თბილისი, "მეცნიერება".
32. ჯავახიშვილი ა., ღ. ლ. (1973). ხრამის დიდი გორის ანთროპომორფული ქანდაკებანი,. *ძეგლის მეგობარი,.*
33. ჯალაბაძე მ. (1998). *ბედენის კულტურა შიდა ქართლში (ბერიკლდეების ნამოსახლარი), .* თბილისი, "მეცნიერება".
34. ჯაფარიძე ო. (2003). *საქართველოს ისტორიის სათავეებთან.* თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა.

Pre-Christian cult monuments in Georgia

Aleksandre Nagzaidze, PhD student,
Georgian Technical University
Vazha Sadradze, Professor,
Georgian Technical University

Cultic monuments, that are discovered in Georgia are found in Neolithic antique settlements. Nowadays, lots of former settlements are archaeologically studied, some of them functioned as chapels.

The ancient monuments are: Khrami big hill, Imiri hill, Berikldebi, Kvatskhelebi, Gudabertka, Amirani hill etc. Clay monuments, that are discovered on these monuments mainly relate to cult of fertility. Big mother Nana was a goddess of fertility in early Neolithic monuments, that was transformed as a male nature god because of economic and social changes in bronze epoch.

In this epoch, cult rituals were made in family, and lately communal chapels were created, from late bronze-early iron age these old traditional customs co-exist with other religious creeds in highland region of Georgia (Hellenism, zoroastrism, Mithraism) and existed including late midcenturies.

კერამიკული სასმისების გენეზისი საქართველოს არქეოლოგიური მასალის მიხედვით

მარიამ (მარიკა) იზორია, არქეოლოგიის დოქტორი,
საქ. ტექნ. უნივერსიტეტი.
მაია იზორია, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
თბილისის სამხატვრო აკადემია

აბსტრაქტი: კერამიკული სასმისები საქართველოს არქეოლოგიური მემკვიდრეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. მათი ფორმისა თუ დეკორის გენეზისი თიხის ისტორიული მასალებისა და ტექნიკური ხერხების ინოვაციურად გამოყენების ასპექტებს მოიცავს. გენეზისის პროცესი განიხილება კერამიკის ტექნოლოგიურ პროგრესთან მიმართებითაც, რომლის განხორციელება შეუძლებელია ადგილობრივი რესურსების გარეშე. ამ ამოცანათა რიგში დგას სასმისების უტილიტარული და მხატვრულ-სემანტიკური დანიშნულების შეძლებისდაგვარად წარმოჩენა.

აღნიშნული საკითხების კვლევისას გამოიყოფა ნიმუშების ის ტიპი, რომლის ფორმაში პირ-დაპირაა გადმოტანილი წინარეხანის არქეოლოგიურ მასალაში შემონახული ტრადიციული სქემები. ასევე განკერძოებით დგას გარემომცველი პირობების ზემოქმედებით წარმოქმნილი სასმისების ჯგუფი, რომელშიც ძველი მოტივები ადგილობრივ ნიადაგზეა იმპროვიზებული და წმინდა წყლის მხატვრულ შემოქმედებას წარმოადგენს. თუმცა ყველა შემთხვევაში სხვადასხვა ეპოქის მოთხოვნებთან ადაპტაციის პროცესში კერამიკული სასმისების ფორმასა და დეკორში თავს იჩენს კულტურათა დიალოგი, რასაც მათ ვიზუალურ სახეში კოსმოპოლიტიზმის ელემენტი შემოაქვს.

ამიტომ დიდ მნიშვნელობას იძენს სასმისების ადგილობრივი ნიმუშების შედარებითი ანალიზი ახლო და შორეულ მსოფლიო პარალელებთან, რომელიც წარმოდგენილია კულტურათა ურთიერთგავლენების არეალში მოქცეული ახლო აღმოსავლეთის, მცირე აზიის, შავი და ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნების, სამხრეთ და ჩრდილო კავკასიის ნიმუშებით. შედარებითი ანალიზის პროცესში ვლინდება ადგილობრივ და პარალელურ მასალას შორის არსებული კავშირები ფორმის, დეკორის მოტივებისა და ტექნიკური ხერხების მსგავსები მხრივ. აგრეთვე ნათელი ხდება კერამიკულ მასალებსა და ტექნოლოგიებში ასახული ინოვაციების საერთო საფუძველი.

საკვანძო სიტყვები: თიხა, სასმისი, გენეზისი, არქეოლოგია, საქართვველო.

საქართველოს არქეოლოგიურ მემკვიდრეობაში კერამიკული სასმისების არაერთი სახეობაა შემორჩენილი. მათი ფორმისა და დეკორის გენეზისი უპირველესად განპირობებულია ადაპტაციის პროცესით, რომელიც ამა თუ იმ ეპოქის ისტორიულ-სოციალურ და მსოფლმხედველობრივ ცვლი-ლებებს უკავშირდება. ეს პროცესი აგრეთვე მოიცავს ტექნიკური ხერხების ინოვაციურად გამოყენების ასპექტებს და განიხილება კერამიკის ტექნოლოგიურ პროგრესთან მიმართებით, რომლის განხორციელება შეუძლებელია თიხის ადგილობრივი რესურსების გარეშე. სასმისების ფორმისა და დეკორის გენეზისი აგრეთვე ინსპირირებულია ცალკეული ეპოქის სტილის, მხატვრულ-სემანტიკური გააზრებისა და ფუნქციის მნიშვნელობიდან გამომდინარე. დაკვირვება ცხადყოფს, რომ სასმისების ვიზუალურ სახეში არც თუ იშვიათად თავისებურად აირეკლება მსოფლიოს წამყვანი კულტურული ელემენტები, რის საფუძველზეც ისინი ხშირად მის ლოკალურ ვარიანტებად აღიქმება. თუმცა ყოველი ეპოქის სიახლეებით ტრანსფორმირებულ ნაკეთობებში უპირატესად თავს იჩენს ადგილობრივი მემკვიდრეობითობის გარკვეული ტრადიცია და ამ გზით შენარჩუნებული თიხის სასმისების იდენტობა.

აღნიშნული საკითხების კვლევისას გამოიყოფა ნიმუშების ის ჯგუფი, რომლის მხატვრულ ფორმაში პირდაპირაა გადმოტანილი წინარე ხანის არქეოლოგიურ მასალაში დამკვიდრებული სქემები. განკერძოებით დგას გარემომცველი პირობების ზემოქმედებით წარმოქმნილი სასმისების მეორე ჯგუფი, რომელშიც ძველი მოტივები ადგილობრივ ნიადაგზეა იმპროვიზებული და წმინდა წყლის მხატვრულ შემოქმედებას წარმოადგენს. თუმცა როგორც შევნიშნეთ, სხვადასხვა ეპოქის მოთხოვნასთან ადაპტაციის პროცესში ნებისმიერი ტიპის კერამიკული სასმისის ფორმასა და დეკორში თავს იჩენს კულტურათა დიალოგი, რასაც მის ვიზუალურ სახეში კოსმოპოლიტიზმის ელემენტი შემოაქვს.

საქართველოს ტერიტორიაზე კერამიკული სასმისების გავრცელება ენეოლითის ხანიდან იწყება და ყოველ მომდევნო ეპოქაში ახალ-ახალი სახეობებით მდიდრდება. მათი გენეზისის პროცესის წარმოსაჩენად მოვიხმობთ სასმისების იმ ტიპებს, რომლებმაც დროის გამოცდას გაუძლეს და უკანასკნელ ხანებამდე მოაღწიეს. პირველ რიგში ეს არის ენეოლითის ხანაში აღმოცენებული სხვადასხვა სიღრმის ჯამი, რომლის ნახევარსფერული თუ ნახევრად ცილინდრული, ან ნახევრად კონუსური ფორმა ყველაზე მეტად იჩენს მდგრადობას და იმდროინდელ მსოფლიოში (მცირე აზია, მესოპოტამია, ეგვიპტე) ფართოდაა გავრცელებული. ამავე დროს ჯამისა თუ თასის ტიპის სასმისები ერთმანეთისგან განსხვავებული ბრტყელი ძირებით (განიერი-ვიწრო, ქუსლიანი-უქუსლო, ფეხიანი-უფეხო) და პირის მოყვანილობით (სწორი, გადმოზნექილი) გვევლინება. ამ ეტაპზე წითელკეცა ჯამის ზედაპირს დეკორის გარეშე ტოვებენ. ალბათ იმიტომ, რომ თვალსაჩინო გახადონ უძველეს რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული მისი სოლარული ფორმა. დასავლურ-ამიერკავკასიური ნეოლით-ენეოლითური კულტურის წრეში შემავალი კერამიკული ძეგლები და მათ შორის ჯამებიც ლოკალურ ჯგუფებად ერთიანდება {ნებიერიძე, 1992:226}, რაშიც უცხო ინოვაციური იმპულსები უპირატესად თავს იჩენს წინააზიის ადრეული კულტურებისთვის დამახასიათებელი ბზენარევი თიხის გამოყენებით. ეს კავშირები აგრეთვე ვლინდება ჯამების ტექნიკური შესრულებისას მათი ტლანქად ნაძერწი კეცის შიდაპირზე აღბეჭდილი ტილოს ხამი ქსოვილის, ან ჭილოფის კვალით. ასეთი ანაბეჭდები როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოს ნეოლითური სადგომების თიხის ნიმუშებსაც შეენიშნებათ, რაც დასტურია იმისა, რომ კერამიკული ნაკეთობების ხელით ძერწვისას ორივე რეგიონი იმდროინდელ მსოფლიოში გავრცელებულ ტექნიკას მიმართავს. დაბალი ტემპერატურის გამო ჯამები, რომელიც ზოგ შემთხვევაში სამფეხაზე დგას **(ილ. 1**), ჯერ კიდევ ცუდადაა გამომწვარი, მოვარდისფრო-მონაცრისფრო-მოყვითალო ტონალობისაა და საგრძნობლად სქელი კეცი აქვს. მათი არასაკმარისად განლექილი თიხა ადგილობრივი წარმომავლობისაა. მაგალითად, დასავლეთ საქართველოს ნაკეთობების თიხის სტრუქტურა ამ რეგიონისთვის დამახასიათებელი კირნარევი შემადგენლობისაა და გასამჭლევებლად ქვიშიანი კვარცისა და ქარსის მინარევები ურევია.

აღმოსავლურ-კავკასიური ნეოლით-ენეოლითური კულტურის წრეში შემავალი აღმოსავლეთ საქართველოს კერამიკა სხვაგვარი იერით გამოირჩევა. ამ რეგიონში გენეზისის პროცესის წარმოსაჩენად საინტერესო სურათს იძლევა ღვინის ჭურჭელიც, რომელსაც სასმისები ფუნქციურად უკავშირდება. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს შულავერ-შუმუთეფეს კულტურის საზღვრებში {ჯაფარიძე,1976:53}, ხრამის დიდი გორის ნამოსახლარზე, ძვ. წ. VI ათასწლეულის ფენაში აღმოჩენილი ქვევრის ტიპის თიხის დერგი. მისი ბრტყელ ფუძეზე აღმართული უყელო კვერცხისებური ფორმა, ისევე როგორც ჯამები ჯერ კიდევ ტლანქადაა ამოყვანილი. ფართოდ გაშლილი პირის ორივე მხარე კი, რელიეფურად დაძერწილი ყურძნის მტევნის მოტივითაა მორთული, რითიც ნაძერწობით გაფორმებულ ენეოლითის თიხის ჭურჭელს ეხმიანება და ღვინოსთან დაკავშირებულ ფუნქციასაც ავლენს. შიდა ქართლში, ქარელის რაიონში, ბერიკლდეების ნამოსახლარზე მიკვლეული ქვევრისებური თიხის დერგის (ძვ. წ. IV ათასწლ.) ფორმა უკვე საკმაოდ სიმეტრიულია, რაც აქ აღმოჩენილ ჯამების მოყვანილობასაც ახასიათებს. ორივე

სახეობა ნამზადია კარგად განლექილი ბზენარევი თიხისაგან, რომელშიც შერეულია გასამჭლევებელი ნივთიერებები, ხოლო მოვარდისფრო სქელი კეცის ზედაპირი გაპრიალებამდეა მიყვანილი. სიონის ძეგლების რიგში შემავალი ჭურჭლის იგივე სახეობები (ძვ. წ. V ათასწლ. ბოლო და ძვ. წ. IV ათასწლ. I ნახ), უფრო ხშირად თხელკედლიანია და ინტერესს იწვევს სხვადასხვაგვარად გამჭვარტლული პრიალა, ან მოგლუვებული ზედაპირით. ამით გარკვეულწილად ემსგავსება მტკვარ-არაქსის კულტურის თიხის ნაწარმს და სიახლოვეს პოულობს ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ, თელუთას (არარატის ველი). ალიკემეკ-თეფესი და ლეილა-თეფესის (აზერბაიჯანი), აგრეთვე ჩრდილო ობეიდის ძეგლებთან.

მომდევნო, ადრებრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურაში სასმისების ახალი სახეობები ტექნიკურ-ტექნოლოგიური ინოვაციებითაც იპყრობს ყურადღებას. უზარმაზარ ტერიტორიაზე (ჩრდ. კავკასია, ჩრდ-დას. ირანი, აღმ. ანატოლია) განფენილი კულტურის ცალკეულ რეგიონში, მათ შორის საქართველოში მოპოვებულ ყველა ტიპის კერამიკას გარკვეული ლოკალური თვისებები აქვს. ამ დროს შექმნილი ჯამ-ფიალის, სამფეხა სასმისის, ზიარჭურჭლის თუ ღვინის ჭურჭლის - დოქის, ყურიანი ტოლჩის, ქვევრისებური დერგის სრულფასოვნად გამომწვარი ფორმები საკმაოდ დახვეწილია. კარგად განლექილი თიხით ნაძერწი მათი ვარდისფერსარჩულიანი კეცი უმეტესწილად შავლეგაა და გულდასმით გაპრიალებული, იშვიათად წერნაქითაც იხატება. სამოსახლო-სამაროვნების კომპლექსებში მიკვლეული წითელკეცა კერამიკაც ძლიერადაა გაპრიალებული. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ორი, ან სამი იდენტური სასმისის შეერთებით შექმნილი ზიარჭურჭლის ორიგინალური ფორმა. ფიქრობენ, რომ სხვა სასმისებისაგან განსხვავებული კომპოზიცია ზიარჭურჭლის მნიშვნელოვანმა საკრალურმა დატვირთვამ განაპირობა. ზოგი მეცნიერის (ვ. ბარდაველიძე, გ. გობეჯიშვილი, ი. კიკვიძე, გ. ფხაკაძე) მოსაზრებით, ზიარჭურჭელი საკულტო დღესასწაულებზე შეწირული წმინდა სითხის „ზედაშეს“ შესასმელად იყო განკუთვნილი და სარიტუალო მარნის ფუნქციას ასრულებდა[1].

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ამ ტიპის სასმისის გამოჩენას მცირე აზიასა და ეგეოსურ სამყაროს უკავშირებენ. მახლობელ აღმოსავლეთში იგი ჯერ კიდევ ნეოლითიდანაა ცნობილი (ბ. კუფტინი, ო. ჯაფარიძე, გ. გობეჯიშვილი). კავკასიაში შემოსვლის დღიდან კი, რეგიონულ თავისებურებებს იძენს {გობეჯიშვილი, 1980:75}. ჩვენში ზიარჭურჭლის უძველესი ნიმუში, მუცლით გადაბმული სასმისების წყვილი (H-6,7სმ), თრიალეთის ბეშთაშენის ციხე-სიმაგრის მტკვარ-არაქსული კულტურის ფენაშია აღმოჩენილი **(ილ. 2**). ზიარჭურჭლის შემადგენელი ბრტყელძირა სასმისები ერთმანეთის ანალოგიაა, მათ ოდნავ გამოყვანილი ყელი, მსუბუქად გაშლილი პირი და ნახევრადმრგვალი საერთო ყური აქვს. იგი თიხატკეპნილ სარიტუალო მოედანზე სხვა ნაკეთობებთან ერთად იპოვნეს[2], რაც უნდა ადასტურებდეს ზიარჭურჭლის საკრალური დანიშნულების შესახებ გამოთქმულ მოსაზრებას. მის კიდევ ერთ ვარიანტს წარმოგვიდგენს ბედენის პლატოზე, ე. წ. გადაჭრილი გორის N5 ყორღანის, სოციალურად დაწინაურებული პირის აკლდამაში მიკვლეული წყვილი სასმისის ნიმუში (H-10სმ). იგი წინარე ხანის პროტოტიპების თავისებური იმპროვიზაციაა, რომლის კომპოზიცია იგივე რჩება, იცვლება მხოლოდ ცალკეული ელემენტი. პირველ რიგში, ეს ითქმის სასმისების ფორმაზე, რომელიც კოჭობისებურად მრგვალ მოყვანილობას იღებს და ჰორიზონტალური სახელურით უკავშირდება ერთმანეთს. სასმისების მყარ აღნაგობასა და წონასწორობას ბრტყელი სადგამი და მკვეთრად პროფი-ლირებული პირით დაგვირგვინებული ცილინდრული ყელი განსაზღვრავს. მხარზე შემოყოლებული რელიეფური კოპების ორი რიგი კი, ზიარჭურჭლის ამ ნიმუშს განსაკუთრებულ გამომსახველობას სძენს. განხილულ ძეგლებთან ახლოს დგას ჩრდილო კავკასიასა (ველიკენტის

[1] გ. ფხაკაძე, ადრებრინჯაოს ხანის ზიარჭურჭლის დანიშნულებისა და გავრცელების შესახებ. ჟურნ., ძიებანი N9, 2002 გვ. 32.

[2] გ.ფხაკაძე, დასახ. ნაშრომი, ჟურნ. ძიებანი N9, გვ 29.

კატაკომბა) და ქვედა ვოლგისპირეთის (კალინოვსკის N2 ყორღანი) სამარხებში მოპოვებული სასმისები[3].

ძვ. წ. III ათასწლეულის I ნახ.-ში ჭურჭლის ეს სახეობა თითქმის პარალელურად ჩნდება კოლ-ხეთის დაბლობზე - ფიჩორის გორა-ნამოსახლარში (გალის რ-ნი), სადაც ორსასმისიანი ზიარჭურჭლის ფრაგმენტი (H-6,5სმ) საკულტო დანიშნულების სათავსში აღმოჩნდა. ყურადღებას იქცევს ამ ნიმუშის ძლიერ გაპრიალებული თხელკედლიანი კეცის ნახევარშებოლვით მიღებული მუქი წაბლისფერი ზედაპირი. კანელურებით შემკული ორსასმისიანი ზიარჭურჭელი ვერტიკალურად მიძერწილი ყურით დასტურდება დღვაბას სამაროვნის N 2 კოლექტიურ ორმო-სამარხშიც (ხობის რ-ნი)[4]. დაკვირვება ცხადყოფს, რომ ზიარჭურჭლის შემკობისას სასმისების ფორმის გამოსაკვეთად უპირატესად დეკორის მარტივ ელემენტებს; შვერილებს, კოპებს, ან ნაკაწრი ხაზებით გამოყვანილ ასტრალური იდეის მატარებელ გეომეტრიულ გამოსახულებებს მიმართავენ. მტკვარ-არაქსის კულტურის წამყვან ელემენტს, აგრარული შინაარსის მზიური სიმბოლოს, სპირალის ვარიაციებსაც კი {Урушадзе,1988:32-33} ძირითადად საღვინე ჭურჭელზე იყენებენ. ამის არაჩვეულებრივი ნიმუშია თრიალეთში სოფ. გუნიაში (ოზნი) მოპოვებული ბრტყელძირა და ფართოპირა წითელკეცა ქვევრისებური ჭურჭელი (H-1მ), რომელსაც კალთები სიმეტრიულად ეშვება და რომლის გამომსახველობას მხარზე დაძერწილი სათვალისებური სპირალი იწვევს.

სასმისების ახალი ვარიანტები ახალი შემოქმედებითი ძალით იქმნება ძვ. წ. III ათასწლ. II ნახ-დან აღმოცენებულ თრიალეთის კულტურაში (აღმ. და სამხრ. საქ.). ამ პერიოდის არტეფაქტების მხატვრული სახე ძველაღმოსავლურ სამყაროს აირეკლავს და ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის კულტურათა გენეტიკურ ურთიერთკავშირსაც ასახავს. სანიმუშოდ მოვიყვანთ ბედენური პერიოდის შავკრიალა სამფეხა ჯამებს, რომელთა პლასტიკური გადაწყვეტა ადრეული სამფეხა სასმისების ერთგვარ გენეზისს წარმოგვიდგენს. ზემოთქმულის საბუთად ასევე გამოდგება თრიალეთის ეპოქის ბედენის საფეხურის ჭურჭელი (**(ილ.3-4**). წაღვლის სამაროვანზე (სამარხი N100 კენოტაფი) მოპოვებული შავკრიალა ზიარჭურჭელი, რომელიც ასევე ადრეულ პროტოტიპებზე აგებული იმპროვიზაციაა (**(ილ.5**). პირსა და კორპუსზე დაძერწილი საერთო სახელურის პლასტიკური ელემენტი არა მარტო ამთლიანებს ზიარჭურჭლის კომპოზიციას, არამედ მის შემადგენელ კოჭობისებურ სასმისებს დამოუკიდებელი კომპონენტის ხასიათსაც ანიჭებს. თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანულ ხანაში ჩნდება წერნაქით მოხატული ჯამები, რომელიც წინამორბედი და თანადროული ადგილობრივი კერამიკისთვის დამახასიათებელი შევრონების მოტივითა და ტალღისებური ხაზებითაა გაფორმებული. სპილოსძვლისფერ ფონზე ყავისფერი ნახატისა და მუქ წითელზე შავი ფერის კომბინაციებით მიღწეული მხატვრული ეფექტები გენეტიკურ ხედვაზე დამყარებულ გარეგანი იმპულსების (სავარაუდოდ, წინააზიურის) გარდასახვა-გადამუშავებაზე უნდა მიგვითითებდეს[5].

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის აღმოსავლურ-ქართული კერამიკული სასმისებიც (თრელი, სამთავრო, ნარეკვავი, ხოვლე, ხირსა, მელიღელე I, II და სხვა) ტექნიკურ-ტექნოლოგიური სიახლეებით ეხმიანება ეპოქალურ პროცესებს. სამეთუნეო მორგვზე ანუ სწრაფმბრუნავ ჩარხზე ამოყვანილი ღრმა ჯამების, თასების, კათხების, ზიარჭურჭლის, ზოომორფული სასმისების თანაბარი სისქის კედლებიდან გამომდინარე ნაკეთობათა ფორმა უფრო სწორი, სიმეტრიული ხდება. წინამორბედი ნიმუშებისგან განსხვავებით ისინი ნაკლებად ბზინვარე ლითონისებური ფაქტურით ხასიათდება, რასაც შავად გამოწვის (შებოლვის) შემდეგ ცვილით დაფარვისა და

[3] გ.ფხაკაძე, დასახ. ნაშრომი, ჟურნ. ძიებანი N9, გვ,.29.

[4] ლ. ჯიბლაძე, მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული არქეოლოგიური არტეფაქტები კოლხეთის დაბლობიდან და მათი ურთიერთმიმართების საკითხები ეთნოგრაფიულ მონაცემებთან, ჟურნ.ამირანი XXV, 2014 გვ. 50.

[5] ო. ლორთქიფანიძე, ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბ., 2002 გვ.94.

ქსოვილით (თექა, ან შალი) გაპრიალება-მოგლუვების მეთოდი იძლევა [6]. ფართოდ ვრცელდება არა მარტო შავად, არამედ რუხად და წაბლისფრად ანუ ნახევრად შებოლვის წესით გამომწვარი მარტივად გაფორმებული სასმისები. მათ ზედაპირზე დატანილი ნაირსახოვანი გეომეტრიული ორნამენტი შტამპით დაწნეხის ხერხით, გრავირება-ამოტვიფრით, აგრეთვე ამოკაწვრით, ჩარხზე ტრიალით მიღებული ღარებით, ნაჭდევებით და შედარებით იშვიათად ნაძერწობის ტექნიკით სრულდება. ორნამენტის ზემოდან გაპრიალება, ან პირიქით, გაუპრიალებლად დატოვება და ირგვლივ არსებული სიბრტყის გაპრიალება სასმისის მხატვრულ სახეში დამატებითი ეფექტის გაჩენას იწვევს.

ძვ. წ. VII-VI ს.ს-დან იმავე ფორმებს იმეორებენ წითელი წერნაქით დაფერილი წითელკეცა სასმისებიც (ხოვლე), რასაც ურარტული სამყაროს გავლენას მიაწერენ.[7] ასეთი ტექნოლოგიით შესრულებული ნაკეთობებიდან ცალკე აღნიშვნის ღირსია თრიალეთსა და სამთავროს სამაროვანში მოპოვებული მინიატურული ქვევრები ანუ სასმისად გამოყენებული ქვევრის მოდელები. მათი საღვინე დანიშნულება ეჭვს არ იწვევს, რადგან ძვ. წ. VI ს-დან კლასიკური ფორმის ქვევრის არსებობა (მახვილი ძირის გარეშე) მრავალი აღმოჩენითაა საქართველოში დადასტურებული {ბოხოჩაძე,1963:126}.

სასმისების მრავალფეროვნების მიუხედავად, მათი ისტორიულად ჩამოყალიბებული ფორმები, ერთი მხრივ, უცვლელად განაგრძობს არსებობას. მაგალითად, კოჭობის ფორმის ორსასმისიანი (დმანისის რ-ი, სოფ. განთიადის ადრერკინის ორწყლების სამარხი) და ორსასმისმიანი (2 ერთეული) თუ სამსასმისიანი (თრელის სამაროვანი, N16 ყორღანი, ძვ. წ. VIII-VII ს.ს.) ზიარჭურჭლის ნიმუშები წინამორბედ ვარიანტებს დიდად არ შორდება. იმავდროულად, ფიქსირდება განსხვავებული ტიპის ზიარჭურჭლის შემოქმედებითად შესრულება... ასეთია კახეთში, მელიღელე 1-ის სამლოცველოში მიკვლეული მრავალსასმისიანი მარანი და სადუღას N 2 ყორღანში აღმოჩენილი სამარხეული სამყელა ჭურჭლის უიშვიათესი ნიმუში, რომლის კორპუსსა და ყელთა ძირებზე სამკუთხედების სიმბოლური დეკორია ამოტვიფრული. ორივე სასმისი თავისი გამორჩეული სტრუქტურისა და მხატვრული ელემენტების საფუძველზე, თვალნათლიც წარმოაჩენს ნაკეთობის საკულტო-სარიტუალო ფუნქციის მნიშვნელოვანებას. საფიქრალია, ამას უნდა გამოეწვია ჭურჭლის მხრებზე სასმისების რაოდენობის გაზრდა და ორიგინალური ტექტონიკური ფორმით შეკავშირება. ძვ. წ. XIV-XIII ს.ს. - VIII-VII ს.ს. რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული იდეის ზეგავლენით ფიალის პირზე დაძერწილი ვერძის, ან მოზვრის თავ-კისრის სკულპტურული ელემენტით გაფორმებული ანტიკური პატერების მსგავსი სასმისები ჩნდება (თრელის სამაროვანი, სამაჩაბლო **(ილ. 6**)). ასევე აღმოჩენილია ახლო აღმოსავლეთისთვის დამახასიათებელი სადღესასწაულო რიტონის მსგავსი ზოომორფული სასმისის სახესხვაობა (თრელის, ბრილის სამაროვნები), რომელიც თიხის უტილიტარული ფორმისა და მცირე პლასტიკის სინთეზირებით იქმნება **(ილ. 7-8).** ყოველი სასმისი ფაქტობრივად ქანდაკებაა და სამსხვერპლო ცხოველის (ვერძის, ცხვრის, ხარის, ხარ-ირმის) იკონოგრაფიულად ჩამოყალიბებულ პოზას ასახავს. როგორც ჩანს, ფიგურის სხეული სწრაფმბრუნავი მორგვითაა ამოყვანილი. მისი შებერილი მუცელი და ზურგზე დატანილი ყელი სითხის ჩასხმის საშუალებას იძლევა და დოქის მოყვანილობას იღებს. ყელის პირთან „მიბმული“ ცხოველის აპრეხილი კუდის რკალი კი ხელითაა გამოძერწილი და სახელურის ფუნქციას ასრულებს. ხელით ამოყვანილი ჩანს ფიგურის ირიბად აწეული კისერი და ხახადაღებული თავი, რომელიც ჩაიდნის პრინციპით უკავშირდება სხეულს. ამიტომ ჭურჭლის ოდნავი გადმოქანებისას სითხე შიგთავსიდან მოხერხებულად გადმოდის. ცხოველის განზე დაბჯენილი ფეხების წყალობით ჭურჭელი დასადგმელადაც მყარია. მისი რქების პლასტიკა,

[6] ნიშანდობლივია, რომ თანამედროვე ეპოქაშიც შავად გამომწვარ კერამიკას ასეთი მეთოდით აძლევენ სიკრიალეს.
[7] დ. მუსხელიშვილი, ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა, თბ.1978 გვ 44-48.

თვალების აღმნიშვნელი მცირე ბურცობები, ზოგან სხეულზე პირობითად დატანილი ღარები, რომელიც ბეწვის ფაქტურას იძლევა, ნაკეთობის დეკორატიულ ხასიათს განსაზღვრავს. ნაყოფიერებასთნ დაკავშირებული სამსხვერპლო ცხოველების განმასახიერებელი სასმისების ფუნქცია უთუოდ სარიტუალო უნდა ყოფილიყო და ისევე როგორც ზიარჭურჭელი, სავარაუდოდ, შთაგონებული იქნებოდა შეწირული წმინდა სითხის, ალბათ უფრო ღვინის „ზედაშეს“ შესასმელად {სურგულაძე, 1993:199-201}.

განხილული სასმისების მაღალი პროფესიონალური დონით შესრულებას, ალბათ, უზრუნველჰყოფს ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი თიხის რთული ტექნოლოგიური დამუშავებაც: მისი გაცრა და წვრილფრაქციულ მასად გადაქცევა, პლასტიკურობისა და ცეცხლგამძლეობის გასაძლიერებლად სხვადასხვა თიხების შერევა, ზედმეტი მინარევებისგან თიხის შემადგენლობის გაწმენდა, ან პირიქით სხვადასხვა პროპორციით (I:I; I:II) ახალი მინარევი ტერიგენული მასალის დამატება. ტექნოლოგიური პროცესებისადმი ინტერესს ადასტურებს ძვ.წ. XI-IX ს.ს-ებით დათარიღებული ყვითელი და მწვანე ჭიქურის ზოლებით დაფარული, ანდა შიგა და გარე პირზე გამჭვირვალე ჭიქურით მომინანქრებული ქუსლმაღალი, ცალყურა სასმისებიც (თრიალეთი - მარალინ-დერესის სამაროვანი[8], მცხეთა-სამთავროს ორმო-სამარხი, დიღმის გორა-სამარხი). წერნაქის ქვედა ფენაზე გადასხმული გამჭვირვალე ჭიქური ამ ნიმუშებზე დაბზარული (დაბჟღალული) სახითაა მოღწეული. ამგვარი დაზიანება არახელსაყრელ პირობებში მოხვედრილ ბურიანი შემადგენლობის ე. წ. რბილ მინანქარს ახასიათებს. იმ დროისთვის ჭიქურის ტექნოლოგიას რომ კარგად ფლობდნენ, ამის თქმის უფლებას გვაძლევს თრიალეთის კულტურის გორა-სამარხებში და მელი-ღელე 1-ის შეწირულ საგანთა რიგში გამძლე ჭიქურით დაფარული ქაშანურის თითო-ოროლა ფრაგმენტის აღმოჩენა.

დასავლურ-ქართული კერა აღმოსავლურ-ქართული თიხის სასმისების სახეობებს მცირეოდენი ინტერპრეტაციით იმეორებს. სწრაფმბრუნავ მორგვზე ამოყვანილი კერამიკული ფორმები შავიდან მოყავისფრომდე მერყევი ზედაპირის ფერადოვნებით კოლხეთის დაბლობზეც ფართოდ ვრცელდება. ყველაზე ტიპურია მახვილი, ან მომრგვალებული ძირის კონუსური მოყვანილობის სასმისები, რომელსაც სხეულის ზედა ნაწილზე მრგვალი ყურის რკალი აქვს მიძერწილი (ხელვაჩაური, მახვილაური, ძვ. წ. VII ს.). ბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხეთის ნივთიერ მასალაში ასევე გვხვდება ზიარჭურჭლის რამდენიმე ნიმუში. ყულევის ნამოსახლარის (ხობის რ-ნი) ყავისფრად გამომწვარი ოდნავ დაზიანებული ზიარჭურჭელი ზემოთ განხილულ თრელის სამაროვნის ნიმუშის მსგავსად სამი იდენტური სასმისისაგან შედგება (H-6,5 სმ). ისინი ერთმანეთს წრიულად უკავშირდება მუცელში გაკეთებული ხვრელის საშუალებით **(ილ. 9).** მხრებში ფართოდ გაშლილი კვერცხისებური ფორმის სასმისებს გამოყვანილი ვიწრო ძირი, პროფილირებული დაბალი ყელი და დაწახნაგებული ბაკოთი დაგვირგვინებული მსუბუქად გაშლილი პირი აქვს. სამივეს მხარზე დაძერწილი აქვს მრგვალხვრელიანი პატარა ყური თავზე მცირე წანაზარდით, ხოლო ძირზე ყოველ მათგანს ამოღარული ხაზები შემოსდევს. იშვიათია კოლხური სასმისის სახეობა **(ილ. 10-11),** რომელსაც სითხის შესასმელად მილისებური ცხვირი (ჩაი-დანივით) უკეთდება. ყულევის ნამოსახლარის ნიმუში ქოთნისებური მოყვანილობის ბრტყელძირა ტერაკოტის სასმისია დაბალი ყელით და ვერტიკალურად მიძერწილი ორი მრგვალხვრელიანი ყურით, რომელთა შორის მილისებური ცხვირია „მიბმული“. შავად გამომწვარი იმავე სახეობის სასმისი ერგეტაშიც (ზუგდიდის რ-ნი, N1 სამაროვანი-ნააკარდამუ, N1 კოლექტიური ორმო-სამარხი) აღმოჩნდა. განხილულ ნიმუშთან შედარებით მას უფრო დამჯდარი პროპორციები და მსუბუქად შებერილი მუცელი აქვს. სწორი პირისგან ყელი ოდნავ შესამჩნევად გამოეყოფა. მრგვალხვრელიანი

[8] Б.А. Куфтин, Археологические раскопкивТриалети, Тбилиси, 1941 გვ. 52, 275.

ყურები და მილისებური ცხვირი მხრების გასწვროვ უკეთდება. ურეკის სამაროვანზე (ოზურგეთის რ-ნი) მოპოვებული სასმისი კიდევ უფრო დამჯდარი პროპორციებისაა. ამიტომ ნაკეთობა დაბლდება და კასრისმაგვარ მოყვანილობას იძენს. შესაბამისად მილისებური ცხვირი საკმაოდ ქვემოთაა სხეულზე მიძერწილი.[9] ვარაუდობენ, რომ მილის ფორმის ცხვირიანი სასმისების წარმომავლობა ეგვიპტისა და შუამდინარეთის ცივილიზაციებს უკავშირდება.[10] ყულევსა და ერგეტაში ყურადღებას ასევე იქცევს მილისებური ცხვირით წარმოდგენილი ჯამებიც (ძვ.წ. II ათასწლ. შუახანებიდან ძვ. წ. VII ს-მდე), რომელსაც, ალბათ, იგივე დანიშნულება უნდა ჰქონოდა ანუ რიტუალებში წმ. სითხის შესასმელად გამოიყენებოდა.

ანტიკური ხანის კერამიკული სასმისების საოცარი სიმრავლის მიუხედავად თვალნათლივ ჩანს წინამორბედი ეპოქების ტექნიკურ-ტექნოლოგიური მიღწევების და მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების სხვადასხვა ასპექტით გამოყენება **(ილ. 12**). მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს ორივე ქართული კერა, ბერძნული სამყაროს, ურარტუსა და აქემენიდური ირანის კულტურათა გავლენასაც განიცდის.

სასმისების გენეზისის პროცესის საკვლევ ობიექტებად დასაწყისშივე განისაზღვრა მხატვრული ნიშნის მქონე არტეფაქტები, რომლებიც როგორც გარკვეული ესთეტიკური კატეგორიის მატარებელი ნიმუშები მემკვიდრეობითობისა და ტრადიციის მომცველად განიხილება და ხანგრძლივი დროის მანძილზე მომავალი ტენდენციების ინპირაციის წყაროდ გვევლინება. ასეთია ჯამ-ფიალა, კონუსური, ან ცილინდრული სასმისები, მაღალფეხიანი თასები, კათხები და სხვა. ცალკე აღნიშვნის ღირსია ფიგურული ზიარჭურჭლის (ფიჭვნარი, ძვ.წ. Vს.) იშვიათი ნიმუში **(ილ. 13**), რომელიც მაღალყელიან სასმისს წარმოადგენს. მისი კორპუსი გადმოცემულია ქვევრის მსგავსი ოთხი ბრტყელძირიანი კვერცხისებური ფორმით, რომლის მოყვანილობა სიმბოლურად მკერდთან ასოცირდება და დიდი დედის კულტის სემანტიკურ ველში ექცევა {კახიძე....2017:87) როგორც ჩანს, ინოვაციური ექსპერიმენტებისთვის საუკეთესოდ მიაჩნდათ ჯამის მარტივი სოლარული ფორმა, რომელიც ადვილად ექვემდებარება პროპორციების ცვალებადობას, კედლების ამაღლება-დადაბლებას, პირის და ქუსლის იმპროვიზებას, ზედაპირის სისტემურად დეკორირებას. ამის დამადასტურებელი მრავალი მაგალითი გვაქვს. თუნდაც ავიღოთ გორაძირის ნამოსახლარში (ძვ. წ. V-IV ს.ს.) ნაპოვნი ჯამის ფრაგმენტის ორიგინალური გადაწყვეტა. ჭურჭლის ფსკერზე მიმაგრებული მცირე ზომის სფერული კოჭობი მხარზე დასმული 3-3 კოპით ჯამის განუყოფელი სკულპტურული ელემენტი ხდება და საინტერესო ვარიაციას წარმოგვიდგენს, რომლის ზუსტი ანალოგი ჯერჯერობით არ იძებნება.

შუა საუკუნეებშიც სწორედ ჯამის ფორმა ხდება მძლავრი შემოქმედებითი მუხტის მომზიდველი. ჯამები თავისი მოხატულობით წამყვან ადგილს იკავებენ იმდროინდელი საქართველოს კერამიკულ ცენტრებში: თბილისსა და დმანისში, რუსთავსა და უჯარმაში, გუდარეხსა თუ სხვა გეოგრაფიულ პუნქტებში. ტექნოლოგიის, მოხატვის ხერხებისა და დეკორის სახეების მიხედვით ჯამები ორ ქრონოლოგიურ ჯგუფს ქმნის: გარდამავალი ხანის IX-X საუკუნეების და განვითარებული ხანის XI-XIII საუკენეებისას. ისინი სხვადასხვაგვარად იხატება თეთრი წერნაქით, გამჭვირვალე ან ფერადი-გამჭვირვალე ჭიქურებით, ჭიქურქვედებით, ანდა მეტალის მარილებით. ჯამების მოხატვის ხაზოვან-ფერწერული სტილის თავისებურებებით (პირობითობა, სქემატიზმი, მოქნილი ნახატი, ზომიერი ფერადოვნება) ჩვენი ოსტატების ნახელავები გამორჩეულია ბიზანტიურ კულტურათა წრეში შემავალი ქვეყნების ამავე სახის ნაკეთობებისაგან.

შუა საუკუნეები ზიარჭურჭლის სახეობასაც აცოცხლებს. ჟინვალის ნაქალაქარზე აღმოჩენილი სამსასმისიანი საგნის (XIIIს.) სტრუქტურა გარკვეულწილად უახლოვდება ამავე ტიპის წინამორბედ

[9] ლ. ჯიბლაძე, მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული არქეოლოგიური არტეფაქტები კოლხეთის დაბლობიდან და მათი ურთიერთმიმართების საკითხები ეთნოგრაფიულ მონაცემებთან, ჟურნ.ამირანი XXV, 2014 გვ. 50.
[10] ლ. ჯიბლაძე, დასახელენული ნაშრომი, ჟურნ.ამირანი XXV, 2014 გვ. 51.

ნიმუშებს, განსაკუთრებით მელიღელე I-ის მარანს, თუმცა უფრო მეტ სიახლოვეს ეთნოგრაფიული მარნების რთულ წყობასთან პოულობს. ჟინვალის მარანზე მუცლის ხვრელით შეერთებული მცირე ზომის ორი სასმისი ჭურჭლის შებერილ არეზეა მიძერწილი, ხოლო მესამე სასმისი საპირისპირო მხრიდან ებმის სადგამს. ცალკეული მეცნიერი (ვ. ბარდაველიძე, გ. ჩიტაია, ლ. ბოჭორიშვილი, გ. რჩეულიშვილი) მარანს ნაყოფიერებასთან, ბუნების განახლებასთან, საქორწილო რიტუალთან აკავშირებს, რაც მისი არქაული იდეის საპირწონეა და დღესასწაულების დროს ცოცხლდება მრავალსასმისიანი ე. წ. ჭინჭილებიანი მარნით ღვინის რიტუალური შესმით.

ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ისტორიულად ჩამოყალიბებული ფორმის სასმისების დიდმა ნაწილმა მოაღწია, რადგან უპირატესად საღვინე ჭურჭლის კომპლექსში შემავალი საგნებია და აქტუალობას დღემდე არ კარგავს. XVIII ს-დან ხალხური ხელოვნება მემკვიდრე ხდება იმ მრავალათასწლოვანი მონაპოვრისა, რომელმაც ქართული კერამიკის სახე „გამოძერწა“. ხალხური ოსტატები არქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით ქმნიან ღვინის მოჭიქურებულ ჭურჭელს და მათ შორის სასმისებს ძირითადად საოჯახო მეთუნეობის კერებში.[11] საქართველოს ყველა მხარეში მდებარე კერამიკული ცენტრები ერთმანეთისგან განსხვავებულ ტექნოლოგიას მიმართავენ.[12] ამიტომ მათ პროდუქციას ანალოგი არ მოეპოვება.

პროფესიონალური კერამიკის არსებობის შეწყვეტაში დიდი როლი ითამაშა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ქვეყნის მტრულმა გარემოცვამ, განუწყვეტელმა ომებმა და საბოლოოდ, რუსეთის იმპერიის პერიფერიად გადაქცევამ. ამ ხნის მანძილზე ტექნიკურ-ტექნოლოგიური პროცესების გარკვეული ცოდნა დაიკარგა და მხოლოდ წინა საუკუნის შუახანებში მოხერხდა მათი აღდგენა.

ხალხურმა კერამიკამ ბუნებრივად განაგრძო მრავალსახოვანი თიხის სასმისების – ჯამების, ფიალების, ქვევრის მოდელების, ორკოლისა და ჭინჭილის სახელით ცნობილი მცირე ზომის დოქების **(ილ.14),** მარნის პრინციპით გადაწყვეტილი სასმისების - ორჭინჭილას, სამჭინჭილას. ყლუპ-ყლუპა ჭინჭილას, მრავალსასმისიანი ზიარჭურჭლის დამზადების ტრადიცია. სამეთუნეო ცენტრებში აქტიურად კეთდება როგორც ტერაკორტის, ისე მოჭიქურებული, ან მოწერნაქებული სასმისების ნიმუშები **(ილ,15).** განსაკუთრებული პარადულობით გამორჩეულია სანადიმე ჯამ-ფიალები. ამ პერიოდისთვის ჭიქური დაბალდნობადი თიხისა და მალღობლების შერევით კეთდება, ძირითადად გავრცელებულია რძისფერი-თეთრი, გამჭვირვალე და ფერადი-გამჭვირვალე ჭიქურებით მოხატვა. ამავე დროს რძისფერი-თეთრი ჭიქურის მინანქარზე ზემოდან მეტალის მარილებით ორნამენტული ნახატი დაიტანება. უფრო ხშირად მოხატვისას სპილენძის მარილებს იყენებენ. საგანგებოდ უნდა შევეხოთ სადღესასწაულო ღვინის სასმისს-მარანს **(ილ. 16**). მისი კომპოზიცია მუცლით გადაბმული და წრიულ მილზე დასმული ქვევრისებური სასმისებით იგება, რომლის ცენტრშიც სითხის შესასმელად განკუთვნილი ზოომორფული სკულპტურის ფორმის სატუჩეა აღმართული. ასეთი ზიარჭურჭელი გავრცელებულია ქართლ-კახეთსა და იმერეთში.

ფართო ქრონოლოგიურ ჭრილში განხილულმა კერამიკულმა სასმისებმა აჩვენა, რომ თანამედროვე ეპოქამდე მან განვითარების რამდენიმე საფეხური გაიარა. ამ რთულ და ხანგრძლივ გზაზე თიხის სასმისების ფორმები და დეკორის ელემენტები საოცარ მდგრადობას იჩენს და მკვეთრი გარდატეხის დროსაც წინარე ხანების მონაპოვართან გენეტიკურ კავშირს ინარჩუნებს. ამავე დროს

[11] თბილისი, რუსთავი, მცხეთა, მეტეხი, ერთაწმინდა, ცხავატი (ქსანი), მუმლაანთკარი, ბოდბისხევი, საირმე, ზუბი, ქულბაქები, ოფიტარა, ანაგი, თელავი, იყალთო, ჩხირთულა, წირქვალი, კახი (საინგილო), ვარდისუბანი, გორი, თიანეთი, უწლევი, ვაქირი, რუისპირი, ველისციხე, ნინოწმინდა, არაგვისპირი, დმანისი, რიონი, ნაგომარი, აკეთა, კასპი, ქსანი, ნორიო, შროშა, აცანი, გუდაუთა, ბიჭვინთა, ხუცუბანი, შილდა, ჯვარი, ნამკოლავო, ჭკადუაში, სვანეთი და სხვა.

[12] ეს ეხება თიხის მასის დამუშავებას, ფორმის ამოყვანის წესს (ხელით, ან დაზგით), ჭიქურის დამზადება- გამოყენებას, წერნაქით მოხატვის ხერხებს (დეკორის ელემენტის ან მთლიანი ზედაპირის დაფერვა), რელიეფური ორნამენტის დაძერწვას, ამოკაწვრას და სხვა.

ახალ-ახალი ორიგინალური იმპროვიზაციებით ამდიდრებს სასმისების სახეობებს, რისი წყალობითაც ქართული თიხის სასმისი ჩვენი კულტურის შემადგენელ და განუყოფელ ნაწილად გვევლინება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბოხოჩაძე ა., მევენახეობა-მეღვინეობა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით, თბილისი, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, 1963.
2. გობეჯიშვილი გ. ბედენის გორასამარხების კულტურა, თბ. 1980.
3. დედაბრიშვილი შ., რუსიშვილი რ. სადუღას ველის შუა ბრინჯაოს ხანის N2 გორასამარხი - კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები , ტ. VI, თბ, გვ 56-68.
4. კაკაბაძე ც. , შროშული კერამიკა, თბ., 1982.
5. კახიძე ა. სურმანიძე ნ. ნაგერვაძე მ. აჭარა ენეოლით-ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანაში, ბათუმი, 2016.
6. კახიძე ა., ფარტენაძე თ., აჭარა ადრეანტიკურ ხანაში, ბათუმი, 2017.
7. ლორთქიფანიძე ო., ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბილისი, 2002.
8. მიწიშვილი მ. მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში IX-XIII ს.ს., თბილისი, ხელოვნება, 1969, გვ. 19, 39.
9. მუსხელიშვილი დ., ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა, თბ.1978.
10. ნებიერიძე ლ. ნეოლითი, წიგნში: საქართველოს არქეოლოგია, თბილისი, 1992.
11. სურგულაძე ი., ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, თბილისი, 1993.
12. ფიცხელაური კ., აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ.წ. XV-VIII ს.ს.), თბილისი, 1973.
13. ფხაკაძე გ., ადრებრინჯაოს ხანის ზიარჭურჭლის დანიშნულებისაა და გავრცელების შესახებ. ჟურნ., ძიებანი N9, 2002.
14. ჯაფარიძე ო., ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, თბილისი, 1976.
15. ჯიბლაძე ლ., მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული არქეოლოგიური არტეფაქტები კოლხეთის დაბლობიდან და მათი ურთიერთმიმართების საკითხები ეთნოგრაფიულ მონაცემებთან, ჟურნ.ამირანი XXV, 2014.
16. Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети. Тб., 1941. **12.**
17. Нариманашвили Г. К., Керамика Картли, V-I в. в. до нашей зры, Тбилиси, Мецниереба, 1991.
18. Урушадзе Н., Древнегрузинское пластическое искусство. Тб., Хеловнеба. 1988

ილუსტრაციების ანოტაცია

1. სამფეხა სასმისი, თიხა, ქობულეთი, ისპანი, ტორფქვეშა ნამოსახლარი, ძვ.წ. IV ათასწლ,. ბოლო - III 1 ნახ.
2. ზიარჭურჭელი, თიხა, ბეშთაშენი, ძვ. წ. IV ათასწლ. ბოლო - III 1 ნახ.
3. კათხა, შავკრიალა კერამიკა, მარტყოფი, III ათასწლ. II ნახ.
4. კათხა, შავკრიალა კერამიკა, ქვემო ქართლი, ძვ. წ. III ათასწლ. II ნახ.
5. სასმისები, შავკრიალა კერამიკა, ძვ. წ. III ათასწლ. II ნახ. ბედენის კულტურა.
6. ფიალა ზომირფუ;ლი დეტალით, შავკრიალა კერამიკა, სამაჩაბლო, ძვ. წ. XIV-XIII ს.ს.

7. ზომირფუ;ლი სასმისები, შავკრიალა კერამიკა, თრელის სამაროვანი, ძვ.წ. IX - VII ს.ს.
8. ზომირფუ;ლი სასმისი, თიხა ნახევრადშებოლვა თრელის სამაროვანი, ძვ. წ. IX-VII ს.ს.
9. ზიარჭურჭელი, თიხა, ყულევის ნამოსახლარი, ძვ. წ. II ათასწლ. ბოლო.
10. სასმისი მილისებური ცხვირით, ტერაკოტა, ყულევის ნამოსახლარი, ძვ. წ. II ათასწლ. ბოლო.
11. სასმისი მილისებური ცხვირით, შავკრიალა კერამიკა, ერგეტა, ძვ. წ. II ათასწლ. ბოლო.
12. ორტუჩა სასმისი, ტერაკოტა, კახეთი, ძვ.წ. II-I ს.ს.
13. ფიგურული ზიარჭურჭელი, თიხა, ფიჭვნარი, ძვ. წ. Vს.
14. ჭინჭილები, თიხა, ჭიქური, ხალხური კერამიკა.
15. ფიალები, ტერაკოტა, ფერადი და თეთრი ჭიქური, მარილი, ხალხური კერამიკა.
16. მარნები, ორჭინჭილა, ტერაკოტა, ფერადი ჭიქური, შავკრიალა. ხალხური კერამიკა.

1

2



3

ბედენი. შავკრიალა კერამიკა. ძვ.წ. III ათასწლეულის II ნახ.

4

5

6



7

8

9

10



11

12

13

14

15

Genesis of ceramic bowls according to the archaeological material of Georgia

Mariam (Marika) Izoria, Doctor of Archaeology
Technical University of Georgia.
Maia Izoria, Doctor of Arts, Tbilisi Academy of Arts

Archaeological heritage is one of the most important values of Georgian culture, the main component of which are ceramic bowls. The process of genesis of their shape or decor includes the innovative use of historical materials and technical aspects of decoration. The role of the process of genesis is also important in relation to the technical-technological progress in the field of Ceramics, which makes it impossible without the use of local resources. Among these tasks, it is worth presenting the artistic, semantic and utilitarian purpose of the bowls.

In the course of the study of these issues, a type of samples is distinguished, in which based on the archeological heritage, the local artistic tradition continues in a peculiar way. Identity is evident in it. In this

process, a dialogue of cultures emerges, which is expressed in striving towards the progressive tendencies of that time.

Therefore, acquires great importanceinternational cooperation, for which ceramic bowls excavated on the territory of Georgia will be coordinated with the parallel material of the world, which fairly well represented in the museums of our country. A comparative analysis will be carried out with parallels of the near and far world, represented by samples from the countries of the Middle East, Anatolia, the Black and Mediterranean, the South and North Caucasus, which are in the zone of intercultural interaction. The comparative analysis process will reveal the links between local and parallel material in terms of similarity of shapes, decor motifs and techniques.

Key words: clay, cup, genesis, archeology, Georgian.

შავი ზღვა და კოლხეთის დაბლობის ტორფქვეშა ნამოსახლარების გაჩენა-წარმომავლობის საკითხი

გიორგი კვირკველია, I კურსის სტუდენტი, მაგისტრი
ვაჟა სადრაძე, პროფესორი

აბსტრაქტი: კოლხეთის დაბლობზე არქეოლოგიურად შესწავლილი ე. წ. „ტორფქვეშა'' ნამოსახლარების ტორფის ქვეშ მოქცევას პოლოცენში მიმდინარე ზღვის დონის მკვეთრ აწევას უკავშირებენ. ზემოაღნიშნულ პრეისტორიულ ხანაში გამყინვარების პერიოდის დასასრულს ჰოლოცენში ხდება დედამიწის კლიმატის ცვლილებები, შესაბამისად ოკეანეებში წყლის დონის აწევ-დაწევა. ამ მოვლენებთანაა დაკავშირებული ახალშავზღვური ტრანსგრესიული და ფანაგორიული რეგრესიები, რომელიც შავი ზღვის დონის რყევას იწვევს. ეს პროცესები ძვ. წ. V-IV ათასწლეულებში ეტაპობრივად გრძელდება. როგორც ჩანს, სწორედ ამ პერიოდში ხდება მნიშვნელოვანი კატაკლიზმები ე. წ. „წარღვნა", რომელმაც სრულიად დაფარა და ფაქტობრივად გაანადგურა კოლხეთის დაბლობზე არსებული ნეოლითურ-ენეოლითური ხანის კულტურა, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, კოლხეთის პრეისტორიული ხანის ცივილიზაცია.

შავი ზღვის დატბორვის თეორია დღემდე ბურუსითაა მოცული. მეცნიერებს უჭირთ ამ მოვლენების ახსნა, თუ რა მოხდა დაახლოებით 5000 წლის წინათ. არსებობს მითები და ლეგენდები შავი ზღვის წარმოშობასთან დაკავშირებით, რომლებიც სხვადასხვა ერების ცნობიერებაშია დადასტურებული. მაგალითად, შუმერულ-აქადურ-ეგვიპტური ცნობები წარღვნის შესახებ.

მითები და ლეგენდები წარღვნასთან დაკავშირებით სხვადასხვა ეთნოგრაფიულ მხარებში მოგვეპოვება. მაგალითად, სვანეთში, რაჭა-სამეგრელოსა და საქართველოს სხვა ისტორიულ რეგიონებში. როგორ შეიძლება მსგავსი მოვლენა ამოშლილიყო ადამიანთა მეხსიერებიდან?

ამ მითებსა და ლეგენდებს ერთი ძირი აქვს და სწორედაც ეს იმ ხალხის ქვეცნობიერი მეხსიერებიდან მომდინარეობს, რომლებიც სახლობდნენ ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე, გვაფიქრებინებს, რომ მიწათმოქმედმა მოსახლეობამ ზეპირად, თაობიდან-თაობას გადასცა ეს მოვლენა. მითის სიმაღლეზე აყვანილი ეს ამბავი ჩაწერილი უნდა ყოფილიყო სამი ათასი წლის შემდეგ შუმერულ, შემდეგ ბაბილონურ და ბოლოს ბიბლიურ წყაროებში. წარღვნის უძველეს ისტორიებში სახელები განსხვავებულია, დაწერილია სხვადასხვა პერიოდში. მაგრამ ყველა მათგანი დასაბამს 5000 წლის წინანდელი ბიბლიური წარღვნის მოვლენიდან იღებს. მესოპოტამიურ და ბიბლიურ ისტორიებს ბევრი ანალოგი აქვს. ორივე შემთხვევაში ღმერთ(ებ)მა ადამიანების დასჯა გადაწყვიტეს წარღვნით, მარტო ერთი ოჯახი გადარჩა, რომელმაც კიდობანი ააშენა, შეიყვანეს ცხოველები, გადარჩნენ და შემდეგ გამრავლდნენ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ძალზე მწირი ინფორმაცია მოგვეპოვება. შავი ზღვის ე. წ. „ბიბლიური წარღვნა'' ასახულია და დაცულია მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების ლეგენდებსა და მითებში.

საკვანძო სიტყვები: „ბიბლიური წარღვნა", ტრანსგრესიული და ფანაგორიული რეგრესიები, ნეოლითურ-ენეოლითური ხანის კულტურა.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ადრე და შუაბრინჯაოს ხანის მრავალი ნამოსახლარია მიკვლეული (სადრაძე ვ., ჯიბლაძე ლ., პაპუაშვილი რ.,, 2007, გვ. 24-32). მათი უმეტესობა ზღვის სანაპიროს მიმდებარე ჭაობიან ზოლშია გამოვლენილი (პაპუაშვილი რ., პაპუაშვილი ნ.,, 2005, გვ. 10-25); (ჯიბლაძე ლ., კოლხეთის დაბლობის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა სტრატიგრაფია, ქრონოლოგია და პერიოდიზაცია: ფიჩორის ნამოსახლარის ცენტრალური ბორცვის მიხედვით., 1997).

ამ ძეგლების გავრცელების ტოპოგრაფიის მიხედვით, ირკვევა, რომ ნაწილი ზღვის მიმ-დებარედ დაბლობ ტერასაზე, ხოლო მეორე ჯგუფი შედარებით მაღალ ბუნებრივ ბორცვებზეა გამართული ((Бжания В., 1976, стр. 65-70); (სადრაძე ვ., ჯიბლაძე ლ., პაპუაშვილი რ.,, 2007, გვ. 25).

აღსანიშნავია ისიც, რომ გათხრილი ნამოსახლარების ადრეულ კულტურულ ფენებში ადგილობრივ, ე. წ. პროტოკოლხურ მასალებთან ერთად თანაარსებობს მტკვარ-არაქსული თიხის ნაწარმი (სადრაძე ვ., ჯიბლაძე ლ., პაპუაშვილი რ.,, 2007, გვ. 20-30).

პროტოკოლხური კულტურის წრეშია მოქცეული ჯერჯერობით მცირერიცხოვანი ძეგლების ერთი ჯგუფი, რომელიც შევიდა ტორფქვეშა ნამოსახლარების სახელწოდებით (სადრაძე ვ., ჯიბლაძე ლ., პაპუაშვილი რ.,, 2007); (პაპუაშვილი რ., პაპუაშვილი ნ.,, 2005, გვ. 6-30). (ჯიბლაძე ლ., კოლხეთის დაბლობის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა სტრატიგრაფია, ქრონოლოგია და პერიოდიზაცია: ფიჩორის ნამოსახლარის ცენტრალური ბორცვის მიხედვით., 1997) . ესენია: ისპანი (ქობულეთის მუნიც.), ონწყოშიაში (ზუგდიდის მუნიც.), ჭოლიპა (ლანჩხუთის მუნიც.), თუმცა, როგორც ზემოდ აღინიშნა ამ კულტურის შემცველი მასალები მაღალ ბორცვებზეცაა მიკვლეული (შემოქმედი, ჩაქვი, საკირე).

მივუბრუნდეთ ნეოლით-ადრებრინჯაოს ხანის კულტურის შემქმნელი საზოგადოების მოძ-რაობა-წინსვლის თავისებურებებსა და ამ განვითარებაში შავი ზღვის ტექტონიკის როლს.

ბოლო წლებში, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი ნეოლით-ადრე-ბრინჯაოს ხანის ძეგლები საშუალებას იძლევა შედარებით ახლებურად წარმოვიდგინოთ შავი ზღვის ტექტონიკის თავისებურებები, როგორც საზოგადოების განვითარების მნიშვნელოვანი ზეგავლენის მქონე კატალიზატორი.

როგორც ცნობილია, დასავლეთ საქართველოს ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი ძეგლების შესწავლის პროცესში გამოვლენილი იქნა მთელი რიგი ნეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ნამო-სახლარი, რომელთა ტოპოგრაფია და გავრცელების არეალი მეტ-ნაკლებად სრულყოფილი სურათის წარმოდგენის საშუალებას იძლევა, თუმცა, ჩვენი აზრით, ზემოაღნიშნული ცალკეული ძეგლების ქრონოლოგიური გავრცელების მიხედვით მთელ რიგ მნიშვნელოვან კითხვებს ჰბადებს. კერძოდ:

ა) რა ზეგავლენას ახდენდა შავი ზღვის კატაკლიზმები დასავლეთ საქართელოს ნეოლით-ენე-ოლითური (ადრესამიწათმოქმედო) კულტურების განვითარებაზე.

ბ) როდის გაჩნდა ბრინჯაოს ხანის (პროტოკოლხური) კულტურა დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთში.

კვლევის ამ ეტაპზე თითქოსდა შეიმჩნევა ნეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებს შორის ლაკუნა (წყვეტილი). როგორც ცნობილია, მკვლევრებმა შეისწავლეს ნეოლით-ენეოლითური ხანის დასავლეთ საქართველოს კულტურა. ერთი მხრივ, დაადგინეს მისი უწყვეტი განვითარება, მეორე მხრივ, ზღვის სანაპირო ზოლში აღმოჩენილი ნამოსახლარები ასახავს ადრებრინჯაოს ხანის შე-დარებით გვიანდელ ეტაპს. მეტიც, თუ გავითვალისწინებთ ენეოლითური ხანის ტორფქვეშა ნამოსახლარების არსებობას, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საკვლევ ეპოქაში ზღვამ დაფარა კოლ-ხეთის დაბლობის ძირითადი ნაწილი, რაზეც მიგვანიშნებს ჭოლიპას, ისპაანისა და ონწყოშიაში ტორფქვეშა ნამოსახლარების გამოვლენა და მათი გავრცელების არეალი.

მეტიც, ზემოაღნიშნულზე მიგვითითებს თურქეთის ზღვის სანაპიროზე რობერტ ბალარდის (გეოლოგ-მკვლევარი), რაიან უილიამსისა და უოლტერ პიტმენის მიერ ჩატარებული სამუშაოები ((Ryan W, 1999, pp. 253-261), არაქეოლოგ პეტკო დიმიტროვის მიერ ვარნაში (ბულგარეთი) ჩატარებული კვლევის შედეგები (Димитров П., 2008).

სავარაუდოდ, კოლხეთის დაბლობის ძირითადი ნაწილი შავი ზღვის ტექტონიკური ძვრების შედეგად დაიფარა, რაზეც ისპაანის ჯგუფის ტორფქვეშა ნამოსახლარების არსებობაც მიგვანიშნებს.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს მოსაზრება, თუ რამდენად სრულად ასახავს იმ მოვლენებს, რომელიც არქეოლოგიური ძეგლების საფუძველზე ვლინდება კოლხეთსა და მიმდებარე ტერიტორიაზე ნეოლით-ადრებრინჯაოს ხანაში.

ერთი რამ აშკარაა, შავი ზღის შევსება ე. წ. ,,წარღვნა" ნეოლითის დასასრულსა და ადრებრინჯაოს ეპოქებს შორის უნდა მომხდარიყო და წინასწარულად ეს მოვლენა ძვ.წ. VI-IV ათასწ. უნდა მომხდარიყო.

სწორედ ამ მოვლენის დასასრულს შავი ზღვის გარშემო ჩნდება კულტურები, რომელთა კონტაქტების ზონა ,,ცირკუმპონტოს" პროვინციად ყალიბდება.

როგორც ცნობილია, ამ პროვინციას ახასიათებს ბრინჯაოს მეტალურგიის მკვეთრი განვითარება და განვითარების ერთიანი საფუძველი, დარიშხნიანი ლითონის წარმოება. (Черных Е. Н.., 2022, стр. 15); (ფხაკაძე გ., 1993, გვ. 143).

ზემოაღნიშნულ ზონას ქმნის ბალკანეთი და ეგეოსი – დასავლეთით, ანატოლია – სამხრეთით, შავიზღვისპირეთი-ჩრდილოეთით და კავკასია - აღმოსავლეთით. (ფხაკაძე გ., 1993, გვ. 143,).

ზემოაღნიშნული საკითხის სრულყოფილად შესწავლისათვის, ჩვენი აზრით, საჭიროა შავი ზღვის ტექტონიკური ძვრების შესახებ მეტ-ნაკლებად სრულყოფილი ინფორმაციის მოპოვება. მითუმეტეს, რომ, ჩვენი აზრით, შავი ზღვა, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, გარკვეულწილად ბუნებაზე ზემოქმედებდა, რაც ბუნებრივია სანაპიროსა და შემოგარენში არსებული საზოგადოების განვითარებაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას განიცდიდა.

უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ საქართველოში, კონკრეტულად კოლხეთის დაბლობსა და ბორცვებზე აღმოჩენილი თანადროული ნამოსახლარების კვლევა დღეისათვის ,,საწყისს სტადიაშია" (სადრაძე ვ., ჯიბლაძე ლ., პაპუაშვილი რ.,, 2007, გვ. 25).

სამწუხაროდ, ისპანის გარდა, ამ ძეგლებზე სტაციონარული გათხრები არ ჩატარებულა. (პაპუაშვილი რ., 2002, გვ. 35-38); (Микеладзе, 1994, стр. 17-67) (Т.К. & Хахутаишвили Д. А., 1985, стр. 3-7).

ზოგადად კოლხეთის დაბლობზე ხელოვნური ბორცვები აღნაგობის მიხედვით ორგვარი წარმოშობისაა:

- პირველი ასახავს საზოგადოების მიერ სამეურნეო საქმიანობის ხანგრძლივი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპს (ანაკლია, ნოსირი, ფიჩორის ცენტრალური ბორცვი, ზურგა). (Микеладзе, 1994, стр. 17); (ჯიბლაძე ლ., კოლხეთის დაბლობის ძვ.წ. III-II ათასწლეულების ნამოსახლარები, 2007, გვ. 54-55)
- მეორე ტიპის ბორცვებიც ხელოვნურადაა შექმნილი, მაგრად მათ ქვეშ არსებულ ადრეულ ნამოსახლარებთან კავშირი არ ეძებნება (სადრაძე ვ., ჯიბლაძე ლ., პაპუაშვილი რ.,, 2007, გვ. 25). როგორც ჩანს, შედარებით გვიან, ფუნქციონირების (დაძირვის) შემდგომ, მოზვინეს და ზემოდან გამართეს საცხოვრებლები.

სავარაუდოდ პროტოკოლხური კულტურისათვის დამახასიათებელ ადრეული ნამოსახლარები ,,გამართული იყო ვაკეებზე".

ზოგადად ზემოაღნიშნული ნამოსახლარების წყლით დაფარვას (დაძირვას) ჰოლოცენში მიმდინარე ახალზღვურ ტრანსგრესიას, შავი ზღვის მკვეთრ შევსებას უკავშირებენ (სადრაძე ვ., ჯიბლაძე ლ., პაპუაშვილი რ.,, 2007, გვ. 25).

ამ ფაქტზე მიგვანიშნებს, თუ როდის უნდა მომხდარიყო ეს მოვლენა ვორონცოვის ფარდულების მასალების შერეული ხასიათი ერთი მხრივ მრგვალი ძირი ,,მარგალიტისებური" ორნამენტი, ძაბრისებური ყელი, რომლებიც ნეოლითის მიწურულის ე. წ. გვიანნეოლითურ მასალებს მოგვაგონებს და მეორე მხრივ ლენტისებური ყური, მოგრძო ყელი, ბრტყელი ძირი, მხრის გარშემო

რელიეფური სარტყლები, კაჟის ისრისპირები მტკვარ-არაქსული ადრე-ბრინჯაოს ხანისადმი მიკუთვნების საშუალებას იძლევა (ფხაკაძე გ., 1993, გვ. 143).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ შავმა ზღვამ მნიშვნელოვანი კატალიზატორის როლი ითამაშა ბრინჯაოს ხანის ე. წ. ცირკუმპონტოს ზონის ჩამოყალიბებასა და მკვეთრ განვითარებაში.

დასკვნა: ამრიგად, როგორც ჩანს ბიბლიურ მოთხრობებსა და საზოგადოებაში გავრცელებულ ლეგენდებს წარღვნის შესახებ საფუძვლად უნდა დასდებოდა რეალური, სინამდვილეში მომხდარი მოვლენები. მოულოდნელ, ძლიერ და მძაფრ წყალდიდობას უნდა აეძულებინა მაცხოვრებლები დაეტოვებინათ შავი ზღვის სანაპირო. წყალდიდობის შედეგად მტკნარი ტბა მარილიან შავ ზღვად ჩამოყალიბდა.

ეყრდნობოდნენ რა ნალექებისა და ნიჟარების ანალიზს, დაასკვნეს რომ, წყალდიდობა უნდა მომხდარიყო დაახლოებით 7500 წლის წინ და რომ ძველი ტბის დონე ზღვის ზედაპირიდან 150 მეტრზე ქვემოთ მდებარეობდა. 1999 წელს, ამ კონცეფციის დასაზუსტებლად ბალლარდმა შეისწავლა სინოპის (თანამედროვე თურქეთი) მიდამოები. სონარის მითითებულ ადგილას გამოვლენილი ნიჟარები ამ ჰიპოთეზას ადასტურებენ. მეტიც, აღმოჩნდა ნეოლითური არქეოლოგიური ძეგლები (ძვ.წ. V- IV ათასწლეული).

დადასტურდა ხის ბოძები, ლამში სანახევროდ ჩაფლული სწორკუთხა ბლოკებით ნაგები დანგრეული შენობა და მაცხოვრებლის მიერ ,,წარღვნის“ წინ წარმოებული არქეოლოგიური მასალა. ამ თვალსაზრისით შავი ზღვა და ზღვის გარშემო მცხოვრებთა მახსოვრობა ინახავს იმ კატაკლიზმებს, რომელიც ასახულია უძველეს მითებსა და ლეგენდებში. (სადრაძე ვ., ჯიბლაძე ლ., პაპუაშვილი რ.,, 2007, გვ. 20-30).

სურ(1)- ხის ძელები ტორფქვეშა ნამოსახლარიდან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ კერამიკულ ნეოლითსა და ადრე ბრინჯაოს ეპოქებს შორის უნდა არსებულიყო - ლაკუნა, როცა მოხდა მტკნარი ტბის მარილიან, შავ ზღვად გადაქცევა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. R.D Ballard, D. C. (2000). *Further evidence of abrupt Holocene drowning of the Black Sea shelf.* (M. Geology, Ed.) philadelphia, PA, USA: Elsevier.

2. Ryan W, P. W. (1999). *Noah's flood: The new scientific discoveries about the event that changed histor.* New York, USA: New York, NY : Simon & Schuster.
3. Бжания В. (1976). Поселення Очамчирской культуры в горах Абхазии. (Е. Крупнова, Ред.) *Кавказ и восточная , Европа в древности*, 271.
4. Джибладзе Л. (2006). Поселения Колхидской низменности в эпоху бронзы. (П. К., Ed.) *Археология Кавказа , № 1,*, 388.
5. Димитров П., Д. Д. (2008). *Черное море, потоп и древние мифы, Варна,.* Варна: Издательство "Славена" - Варна.
6. Куфтин Б., М. к. (1950). *Материалы к археологии Колхиды, Т. 2.* Тбилиси: Техника да шрома.
7. Микеладзе, Т. К. (1994). *Протоколхидская Культура. Ранняя и Среднаяя Бронза Кавказа.* (В. И. К. Х. Кушнарева, Ред.) Москва: Наука.
8. Т.К., М., & Хахутаишвили Д. А. (1985). *Древне колхидские пасепение Намчедури,.* (Л. О, Ред.) ТБИЛИСИ: МЕЦНИЕРЕБА.
9. Черных Е. Н., Авилова Л. И., Орловская Л. Б., Кузьминых С. В. (2002). Металлургия в циркумпонтийском ареале: от единства к распаду. (М. Р.М., Ed.) *Российская археология. 2002. № 1.*, 194.
10. Черных Е. Н.. (2022). Циркумпонтийский ареал в макроструктуре Евразийского мира. (А. Н. Гей, Ред.) *ЦИРКУМПОНТИЙСКИЙ АРЕАЛ В МАКРОСТРУКТУРЕ ЕВРАЗИЙСКОГО МИРА (ЭПОХА РАННЕГО МЕТАЛЛА)/ ЭНЕОЛИТ И БРОНЗОВЫЙ ВЕК ЦИРКУМПОНТИЙСКОГО РЕГИОНА: КУЛЬТУРНЫЕ ПРОЦЕССЫ И ВЗАИМОДЕЙСТВИЯ (К 100-ЛЕТИЮ СО ДНЯ РОЖДЕНИЯ Н. Я. МЕРПЕРТА)*, 84.
11. Черных Е.Н. (1987). Культурные контакты Циркумпонтийской области. (П. К.Н., Ed.) *КАВКАЗ В СИСТЕМЕ ПАЛЕОМЕТАЛЛИЧЕСКИХ КУЛЬТУР ЕВРАЗИИ*, 305.
12. ბარამიძე მ. (1998). *აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ.წ. II-I ათასწლეულის პირველ ნახევარში.* თბილისი: მეცნიერება.
13. გოგელია დ., ჭელიძე ვ..,. (1992). ენეოლითის პერიოდი. (ჯ. ო., რედ.) *საქართველოს არქეოლოგია II ტომი*, 282.
14. ინაიშვილი ა. (1977). მასალები ისპანის ძველი სამოსახლოდან საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1972წ. (ხ. დ., Ed.) *სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები VI*, 86.
15. კიღურაძე თ. (1976). *აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის პერიოდიზაცია.* (ა. ჯავახიშვილი, Ed.) თბილისი: მეცნიერება.
16. ნებიერიძე ლ. (1972). *„დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი.* (კ. ალ., Ed.) თბილისი: მეცნიერება.
17. პაპუაშვილი რ. (2002). ტორფქვეშა ნამოსახლარი ონწყოშიაში. (ო. ლორთქიფანიძე, რედ.) *ძიებანი N-10*, 119.
18. პაპუაშვილი რ., პაპუაშვილი ნ.,. (2005). *კოლხეთის ძველი ნამოსახლარები, ერგეტა,.* (ვ. ჯაფარიძე., Ed.) თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. ოთ. ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი.
19. სადრაძე ვ., ჯიბლაძე ლ., პაპუაშვილი რ.,. (2007). პროტოკოლხური ნამოსახლარების შესწავლის საკითხისთვის. (ვ. სადრაძე, რედ.) *გურია, V*, 230.
20. საღრაძე ვ., ძნელაზე მ., გოგუაძე ე., დავლიანიძე რ., მურვანიძე ბ., კალანდაძე კ., კალანდაძე ზ., ჭანიშვილი თ., მგელაძე ნ., წერეთელი კ.. არქეოლოგიური კვლევა ძიება გურიაში 1991-1994 წწ. (1996). არქეოლოგიური კვლევა ძიება გურიაში 1991-1994 წწ. (ა. ა., რედ.) *გურია I*, 244.
21. ფხაკაძე გ. (1992). ენეოლითი და ადრებრინჯაოს ხანა დასავლეთ საქართველოში. (ჯაფარიძე ო., რედ.) *სიქართველოს არქეოლოგია II*, 282.

22. ფხაკაძე გ. (1993). *დასავლეთ ამიერკავკასია ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულში.* (ო. ჯაფარიძე, რედ.) თბილისი: მეცნიერება.
23. ხახუტაიშვილი დ. (1995). *ქობულეთის ქვეყანა.* (ს. გოგიტიძე, Ed.) ბათუმი: აჭარა.
24. ჯაფარიძე ო. (1998). *ქართველი ტომების ეთნოკულტურული ისტორიისათვის ძველი წელთაღრიცხვით მესამე ათასწლეულში.* (ჯ. ალ., Ed.) თბილისი: თბილისი.
25. ჯიბლაძე ლ. (1997). *კოლხეთის დაბლობის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა სტრატიგრაფია, ქრონოლოგია და პერიოდიზაცია: ფიჩორის ნამოსახლარის ცენტრალური ბორცვის მიხედვით.* (მ. ბარამიძე., რედ.) თბილისი: საქართველო.
26. ჯიბლაძე ლ. (2007). *კოლხეთის დაბლობის ძვ.წ. III-II ათასწლეულების ნამოსახლარები.* (ბ. მაისურაძე, რედ.) თბილისი: ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტი.
27. (ფხაკაძე გ., ენეოლითი და ადრებრინჯაოს ხანა დასავლეთ საქართველოში, 1992).

სურ(2)- საცხოვრებელი სახლის გეგმა (სინოპი)

სურ (3) -4. კერამიკული ჭურჭელი (სინოპი)



სურ (5)- საცხოვრებლის გეგმა (თურქეთი)



სურ (6)- საცხოვრებლის გეგმა (თურქეთი)

Black Sea "biblical flood" and So-called ProtokolkhiCulture of "Sunk" Settlers

Giorgi Kvirkvelia – I year student, Master

Vazha Sadradze – Professor. GTU

On the plain of Kolkheti, archaeologicaly studied so-called submergence of "peat" settlements under peat is associated with the sharp rise of the sea level in the Holocene.At the end of the glaciation period in the above-mentioned prehistoric age, there are changes in the earth's climate, accordingly, the water level in the oceans rises and falls in the Holocene.New Black Sea transgressive and phanagoria regressions are related to these events, which cause fluctuations in the level of the Black Sea.These processes in B.C. V-IV millennia continues gradually.It seems that important cataclysms occur in this period. The "flood" which completely covered and literally destroyed the culture of Neolithic-Eneolithic age on the Kolkheti plain, we will not be mistaken if we mention it as the civilization of prehistoric age of Kolkheti. The theory of flooding of the Black Sea is still shrouded in mist. Scientists have a hard time explaining these events to what happened about 5000 years ago. There are myths and legends about the origin of the Black Sea, which are confirmed in the consciousness of different nations. For example, Sumerian-Akkadian-Egyptian accounts of the flood.

Myths and legends related to the flood can be found in various ethnographic areas. For example, in Svaneti, Racha-Samegrelo and other historical regions of Georgia. How can such an event be erased from people's memory?

These myths and legends have one root and it comes from the subconscious memory of the people who lived in the territory of ancient Kolkheti.

It makes us think that the farming population passed this event on from generation to generation orally. This story, raised to the height of myth, should have been recorded three thousand years later in Sumerian, then Babylonian, and finally biblical sources. In the ancient stories of the flood, the names are different, written in different periods. But all of them date back to the biblical flood event of 5000 years ago. Mesopotamian and biblical stories have many parallels. In both cases the god(s) decided to punish the people with a flood, only one family survived, who built an ark, took in animals, survived and then expanded.

There exist very little information concerning this issue.So-called Black Sea "biblical flood" is reflected and preserved inthose peoples’legends and myths who lived in the surrounding area.

Key words: "Biblical flood", Transgressive and Phanagoria Regressions, Neolithic-Eneolithic Epoch Culture

ადრექრისტიანული ხანის ნაქალაქარი - ვაშნარი

თამთა ჭოველიძე არქეოლოგიის მაგისტრი
მერაბ ძნელაძე სტუ-ს პროფესორი
ვაჟა სადრაძე სტუ-ს პროფესორი

აბსტრაქტი: სოფელი ვაშნარი (IV-VIII სს.) მდებარეობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გურიანთაში. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ქალაქი, რომლის სახელწოდებაც დღემდე უცნობია (გურიანთა, ვასნარ-ვასინერი, სპონეტი და სხვ.) ფუნქციონირებდა დიდი ხნის განმავლობაში (IV-VII სს.) და არაერთხელ იქნა გადაკეთებული სტრატიგრაფიული მონაცემების საფუძველზე.

ამ ადგილზე აღმოჩენილი ნივთების დიდი რაოდენობა მიუთითებს იმაზე, რომ ძეგლი შერწყმულია სამონასტრო ცხოვრებასთან, რეგიონის ქალაქურ (სამრეწველო-კომერციულ) ფუნქციასთან. ეს ძველი დასახლება უშუალო თვითმხილველია იბერია-ეგრისის სამეფოების აღზევებისა. სავარაუდოდ, ეს იყო მნიშვნელოვანი ფორპოსტი ეგრისის ტერიტორიაზე. ამიტომ, მისი ფართომასშტაბიანი შესწავლა მჭიდროდ არის დაკავშირებული ადრე შუა საუკუნეების ქალაქმშენებლობის რიგი საკითხის სიღრმისეულ გაშუქებასთან.

საკვანძო სიტყვები: ვაშნარი, გურიანთა, ნაქალაქარი.

აკად. ნანა ხაზარაძის უშუალო ხელმძღვანელობით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხელშეწყობით მიმდინარეობს არქეოლოგიური გათხრები სოფ. გურიანთაში (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი) ადრეშუასაუკუნეების (IV-VII სს.) ნაქალაქარზე.

ძეგლი მდებარეობს სოფ. გურიანთაში, მდინარე ნატანებისა და სკურდუმის ხერთვისში, ძეგლის ნაშთი XIX საუკუნის მიწურულს დაათვალიერეს დიუბუა დე მონპერემ, დიმიტრი ბაქრაძემ, თედო სახოკიამ და სხვ. 1949 წელს იქ ჩაის ფაბრიკის მშენებლობის პროცესში სტაციონალური გათხრები ჩაატარა არქეოლოგმა გერმანე გობეჯიშვილმა, ხოლო 1963 წელს, აკად. ნიკო ბერძენიშვილის თაოსნობით, დაიზვერა ნაქალაქარი და მისი მიმდებარე ტერიტორია. 1993, 2016 და 2018 წლებში ძეგლზე მცირე მასშტაბის გათხრები ჩატარდა (გაიწმინდა ადრე შესწავლილი სამნავიანი ბაზილიკა, მარტირიუმის ზედა ნაწილი და ციტადელის გალავნის ერთი მონაკვეთი).

2020 2023 წლებში, გათხრების პროცესში აღმოჩნდა იმპორტული და ადგილობრივი ნაწარმი: ამფორები, ამფორისკები ჯამ-ფიალები, ხელადები, დოქები და სხვ. სამშენებლო მასალიდან დადასტურდა თიხისა და მარმარილოს ფილები, აგრეთვე, წყლის კოლექტორის თიხის მილები. კამერალური სამუშაოების პროცესსი, ეროვნული მუზეუმის ფონდებში მივაკვლიეთ სამაროვნისეულ ოქროს ნივთებსა და სხვა არტექფაქტებს, ზემოაღნიშნული არტეფაქტების მრავალრიცხოვნობა მიუთითებს, რომ ძეგლი არა მარტო სამონასტრო კომპლექსს, არამედ რეგიონის სამრეწველო-სავაჭრო ცენტრსაც წარმოადგენდა.

ნაქალაქარი იბერია-ეგრისის სამეფოების ზეობის უშუალო თვითმხილველია. სავარაუდოდ, იგი ეგრისის მნიშვნელოვანი ფორპოსტი და IV-VII საუკუნეებში საერთო ქართული პოლიტიკის გამტარებელი იყო. ამიტომ, მისი ფართომასშტაბიანი შესწავლა, ადრესუასაუკუნეების ქალაქმშენებლობის სიღრმისეულ გაშუქებას უკავშირდება, რაც გეგმარების, საგალავნო-დაცვითი სისტემის მშენებლობის სპეციფიკის, კოშკების გალავანთან, კავშირ-ურთიერთობის, საკულტო ნაგებობისა და იქ შესწავლილი და შესასწავლი ადრეშუასაუკუნეების ხანის სამაროვნის არეალის დადგენას, ციტადელის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის გამოვლენასა და შემორჩენილი გალავნის გეგმის დაზუსტებას გულისხმობს.

ძეგლი საკამოდ დიდი ხნის განმავლობაში ფუნქციონირებდა და სტრატიგრაფიული მონაცემების საფუძველზე მრავალჯერ გადაკეთებულია.

გათხრების საფუძველზე დაზუსტდა ნაქალაქარზე შესწავლილი ძეგლების სტრატიგრაფიული მონაცემები, კერძოდ, შიგაციხის გალავნის, მარტირიუმისა და ბაზილიკის გარშემოსასვლელი კედელი შემდგომში გამართულ ციტადელის გალავანს დაუზიანებია.

ბუნებრივია, ზემოაღნისნული გალავანი მარტირიუმისა და ბაზილიკის შექმნის თანადროული არაა. იგი შედარებით გვიანდელია და ქალაქის მშენებლობა-გაძლიერების მოგვიანო, სამშენებლო ფენას უნდა ეკუთვნოდეს.

საარქივო ფოტომასალის საფუძველზე ჩანს, რომ მარტირიუმი 1949 წელს ჩაის ფაბრიკის მშენებლობის შემდეგ, ტერიტორიის ,,კეთილმოწყობის“ პროცესში დაუნგრევიათ, ზედა ნაწილი გადაუჭრიათ და მოუასფალტებიათ.

როგორც ცნობილია, მარტირიუმი, წამებულთა (წმინდანის) განსასვენებელი ორმაგი, ოთხკუთხა გეგმარების ნაგებობა, გეგმაში, ორი მოზრდილ და ერთი შედარებით პატარა სათავსოს წარმოადგენდა. აღმოსავლეთით გამართული მცირე ზომის სათავსო სამი განყოფილებისგან შედგებოდა. საარქივო მასალების საფუძველზე ირკვევა, რომ ჩრდილოეთით არსებულ პირველ განყოფილებაში ადამიანის ცუდად შემორჩენილი ძვლები დაუდასტურებიათ; მეორეზე, ცენტრალურ განყოფილებაში ბრტყელი ქვებით წარმოდგენილი ნიშა საკურთხეველი გამოვლენილა, ხოლო მესამე განყოფილების შესახებ ინფორმაცია არ გაგვაჩნია.

ბაზილიკის გაწმენდის პროცესში, ცენტრალური-ნავის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში შემორჩენილი ჭადრის ძირის ამოღებისას გამოვლინდა ძეგლის გამართვამდელი შემზადება (სიმაღლე - 55-56 (სმ) და ზემოდან 5-8 სმ სისქის ჰიდრავლიკური ხსნარით წარმოდგენილი იატაკის ფრაგმენტები, ბაზილიკის სამხრეთ–აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნავებში არსებული აგურის წყობით. წარმოდგენილ ოთხკუთხა ნიშებს გადაკეთების კვალი ეტყობა. ზემოაღნიშნული ტაძრის მასშტაბური ზომები საკმაოდ მრავალრიცხოვანი მრევლის არსებობაზე მიუთითებს.

შიგაციხის ტერიტორიაზე, ბაზილიკის დასავლეთ ნაწილში, სადაზვერვო თხრილების გაჭრის შედეგად, გამოვლინდა ციტადელის სამხრეთ-დასავლეთი გალავნის ნაწილი და ქვაყრილიანი ნაგებობების ნაშთი. მიუხედავად საბჭოთა პერიოდში მთელი ტერიტორიის ნიველირებისა, იქ არსებული საქალაქო ინფრასტრუქტურისთვის დამახასიათებელი ობიექტების მომავალში გამოვლენა შესაძლებელია.

გათხრილი ძეგლები სამუშაოს დამთავრებისთანავე (გათხრა, ფიქსაცია) მიწითა და მიწით შევსებული ტომრებით დაიფარა (დროებით დაკონსერვდა). გათხრების პროცესში აღმოჩენილი არტეფაქტები აღიწერა და ოზურგეთის მუზეუმს გადაეცა.

საარქივო სამუშაოები გურიანთისა და ოზურგეთის, ასევე საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდებში ჩატარდა. მივაკვლიეთ ვაშნარის სამაროვნის მე-5 სამარხის ოქროს ნივთებს (საყურეებსა და ბეჭედს). ამჟამად მიმდინარეობს მათი საფუძვლიანი შესწავლა (ა.ჭყონია)

ამრიგად, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე ქალაქი, რომლის სახელწოდება დღემდე დაუდგენელია (გურიანთა, ვასნარ-ვასინერი, სპონიეთი და სხვ.) საკმაოდ დიდი დროის (IV-VII სს.) განმავლობაში ფუნქციონირებდა და სტრატიგრაფიული მონაცემების საფუძველზე მრავალჯერაა გადაკეთებული.

ამჟამად მოპოვებულია არტეფაქტების საფუძველზე ძეგლის ფუნქციონირების დასაწყისს ა.წ. III ს. წიაღში აქცევს.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა იქ გათხრილი სალოცავი-მარტირიუმი, როგორც ადრექრისტიანული საკულტო ძეგლი, რომლის ანალოგიები მხოლოდ სირია-პალესტინაშია გამოვლენილი (აშური, ბაბილონი და სხვ.)

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ამ თვალსაზრისით ძეგლის კვლევას პერსპექტიულს ხდის და საშუალებას იძლევა გურიაში შეიქმნას ტურისტული ცენტრი, რომელიც დაეფუძნება აღდგენილი ნაქალაქარის საფუძველზე შექმნილ „ღია მუზეუმს“.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Dubais de Montpereux F. (n.d.). *Vouage autaur Caucase, t III.*
2. Литинский Б.А. (1983). *Погребальные сооружения и погребальная практика в Парфии. Средняя Азия., Кавказ и зарубежный Восток в древности..*
3. გობეჯიშვილი გ. (1952). *არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში. თბ., ჩატარებული გათხრების შედეგები.* თბილისი, 1952.
4. სადრაძე ვ. (2003). *ვაშნარი ,,სპონიეთი-გურიანი".* თბილისი, 2003.
5. სადრაძე ვ. (თ. გ.). *ვაშნარის ნაქალაქარის არქეოლოგიური კვლევის ანგარიში, თბილისი, 2023.*
6. სადრაძე ვ. (2022). ვაშნარის ნაქალაქარი. 2020 წელი. *სტუ-ს ჟურნალი, ,ალმანახი III“*, 55-57.

Early Christian settlement – Vashnari

Tamta Tchovelidze Master of Archaeology,
Merab Dzneladze Professor,
Vazha Sadradze Professor

Summary: The village of Vashnari (IV-VIII centuries) is located in the village Gurianta of Ozurgeti municipality. Based on the information we have, the city, the name of which is still unknown (Gurianta, Vasnar-Vasineri, Sponieti, etc.) functioned for a long time (IV-VII centuries) and was rebuilt many times based on stratigraphic data.

The large number of artifacts found on this site indicates that the monument combined with the monastic life, the urban (industrial-commercial) function of the region. This old settlement is a direct eyewitness of the rise of the kingdoms of Iberia-Egris. Presumably, it was an important outpost in the territory of Egris. Therefore, its large-scale study is closely related to the in-depth coverage of a number of issues of early medieval town building.

Kay words: Vashnari, Gurianta, Early Christian Settlement.

ვახტანგ გორგასლის ღვაწლი დედაქალაქის თბილისში გადმოტანასა და მასში პირველი ქრისტიანული ეკლესიების აშენებასთან დაკავშირებით

მერაბ ძნელაძე პროფესორი,
გია ნადირაშვილი არქეოლოგიის დოქტორი,
თამთა ჭოველიძე საქართველოს არქეოლოგიის მაგისტრი

აბსტრაქტი: უზომოა ღვაწლი დიდი ქართველი მეფის ვახტანგ გორგასლისა (442-502 წწ.), საქართველოსა და თავად ქართველი ერის წინაშე სახელმწიფოში ქრისტიანული რელიგიის დამკვიდრებასა და წარმოჩენაში. ასეთივე ღვაწლი მიუძღვის მას საქართველოს დედაქალაქის თბილისში გადმოტანასთან დაკავშირებით. სწორედ ამ ორი საკითხის განხილვის მცდელობას წარმოადგენს წინამდებარე სტატია, რომელშიც თბილისში ჩატარებული ახალი არქეოლოგიური მონაცემებიცაა გათვალისწინებული.

საკვანძო სიტყვები: ვახტანგ გორგასალი, თბილისი, ეკლესია.

უზომოა ღვაწლი დიდი ქართველი მეფის ვახტანგ გორგასლისა (442-502 წწ.), საქართველოსა და თავად ქართველი ერის წინაშე სახელმწიფოში ქრისტიანული რელიგიის დამკვიდრებასა და წარმოჩენაში. ასეთივე ღვაწლი მიუძღვის მას საქართველოს დედაქალაქის თბილისში გადმოტანასთან დაკავშირებით. სწორედ ამ ორი საკითხის განხილვის მცდელობას წარმოადგენს წინამდებარე სტატია, რომელშიც თბილისში ჩატარებული ახალი არქეოლოგიური მონაცემებიცაა გათვალისწინებული.

თბილისი, უკვე, მეთექვსმეტე საუკუნეშია, რაც საქართველოს მთავარ ქალაქის - დედაქალაქის ფუნქციას ასრულებს. ჩვენ არ გვეგულვება მსოფლიოში დღეისთვის არსებულ დედაქალაქებს შორის ისეთი, რომელსაც თბილისის მსგავსი ჭირ-ვარამიანი ცხოვრება გადაეტანოს.

თბილისის დაარსება, ლეგენდის მიხედვით, ვახტანგ გორგასლის მიერ თბილისში ლეღვთახევში-წავკისის ხეობაში ნადირობასთანაა დაკავშირებული (ხოხობსა და ირემზე), რაც, ჩვენი აზრით, გაცილებით მოგვიანოდ უნდა შექმნილიყო.

მცხეთიდან თბილისში დედაქალაქის გადატანასთან დაკავშირებით არაერთ მეცნიერს აქვს მოსაზრება გამოთქმული (პ. იოსელიანი, დ. ბაქრაძე, ნ. ბერძნიშვილი, მ. ჯანაშვილი, ივ. ჯავახიშვილი, დ. დონდუა, ი. გრიშაშვილი, მ. პოლიევქტოვი და გ. ნათაძე, ნ. ბადრიაშვილი, ნ. ბერძენიშვილი, შ. ჩხეტია, დ. გვრიტიშვილი, შ. მესხია, ა. სურგულაძე, მ. დუმბაძე, ვ. ნალბანდიანი, ლ. ჭილაშვილი, თ. ბერიძე, მ. გაბაშვილი და გ. აფრასიძე, მ. ლორთქიფანიძე ასევე, არქეოლოგები, სხვადასხვა ენაზე შექმნილი წერილობითი წყაროები და სხვ.).

შინაარსი: დ. გვრიტიშვილი აღნიშნავდა, რომ თავისი ბუნებრივ-გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით ახალი წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნისათვის თბილისი უკვე ციხე-ქალაქად იქცევა და ქართლის სამეფოს მაშინდელ სატახტო ქალაქს - მცხეთას პირველობაში ეცილება. ამ ხანებში დიდ სოციალურ ძვრას აქვს ადგილი. ძველ მონათმფლობელური წყობილების წინააღმდეგ აქტიურად იბრძვის ახალი საზოგადოებრივი წყობილება – ფეოდალური ურთიერთობა. ბრძოლა ამ უკანასკნელის გამარჯვებით მთავრდება და თბილისიც ამ ახალის ცენტრი ხდება (გვრიტიშვილი, 1958, გვ. 1).

„თბილისის ისტორია-ს“ პირველი ტომის ავტორთა მიხედვით „დედაქალაქის მცხეთიდან თბილისში გადატანა სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორებს უნდა განეპირობებინა. ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი მცხეთა ანტიკური (მონათმფლობელური) არისტოკრატიის პოლიტიკური ბატონობის ცეტრს წარმოადგენდა. ფეოდალური ურთიერთობის გარიჟრაჟზე დაარსებული თბილისი ახალი ფეოდალური ძალების პოლიტიკური ბატონობის ცენტრი უნდა გამხდარიყო“ (აფრასიძე გ., 1990, გვ. 51).

იმავე მიზეზს ასახელებს პროფ. შ. მესხიაც - თბილისი „თანდათან კიდევ უფრო იზრდებოდა და კონკურენციას უწევდა ძველ მონათმფლობელურ მცხეთას. ამიტომ მიაქცია მას განსაკუთრებული ყურადღება ქართლის მეფემ ვახტანგ გორგასალმა და ამიტომ დაიწყო მან აქ მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში, თბილისის, უკვე ამ დრომდე საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული და ეკონომიურ-სტრატეგიული თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი პუნქტის, სატახტო ქალაქად გადაქცევის მიზნით მშენებლობანი“ . (მესხია შ., 1958, გვ. 8)

დაახლოებით იმავეს აზიარებენ არქეოლოგები: გ. ლომთათიძე, ი. გრძელიშვილი, ო. ტყეშელაშვილი და სხვ.

მრავლად გამოთქმულ მოსაზრებეთა შორის შეიძლება გამოიყოს მკვლევართა: ოთარ ტყეშელაშვილის (ტყეშელაშვილი ო., 1986), მარგო ლორთქიფანიძის (Лорткипанидзе М.Д., 1991), ლევან ჭილაშვილის (ჭილაშვილი ლ., ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, II, 1970) მიერ შემაჯამებელი თვალსაზრისები. გამოთქმულებში შედარებით დამაჯერებლი აკადემიკოს ლევან ჭილაშვილის ანალიზი მიგვაჩნია.

ლ. ჭილაშვილის ფართომომცველი ანალიზის მიხედვით თბილისს „ბევრი ხელისშემწყობი პირობები ჰქონდა (სათანადო ეკონომიკური პირობები, შესანიშნავი გეოგრაფიული გარემო, სატრანზიტო გზა), მაგრამ საკმარისი კი იყო ეს მის უპირატესობისათვის მცხეთასთან შედარებით, რომელსაც იგი საკმაოდ ჯიუტად ექიშპება და საბოლოო ანგარიშით ამარცხებს კიდევაც? აქ უნებურად დაისმის კითხვა: რით იყო გამოწვეული ქართლის მრავალსაუკუნოვანი ცენტრის შეცვლა, რით იყო ნაკარნახევი ახალი ადმინისტრაციული პუნქტის დაფუძნება და დაწინაურება? თავისთავად ეს დიდი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტი და მისი ახსნა არც თუ ადვილი საქმე უნდა იყოს. ბოლოს და ბოლოს, რა ჰქონდა თბილისს, რაზედაც იგი თავის უპირატესობას ამყარებდა? ორივე პუნქტთან დაკავშირებით მოკლედ განვიხილოთ ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორები.

თბილისი ძლიერი ეკონომიკური პუნქტი იყო, რომელსაც შესაძლებლობების სამეურნეო რაიონი ჰქონდა. მტკვრის ხეობა თავისი ნაყოფიერი ჭალებით, ვერა-წავკისის ორთაჭალის სანახები, მიწათმოქმედების ღონიერი კერის შექმნის საშუალებას იძლეოდა. ეკონომიური დონე თბილისს საკმაოდ მაღალი შეიძლებოდა ჰქონოდა. თუ ეკონომიური ფაქტორის შედარებას შევეცდებით, ძნელი არ იქნება დავინახოთ, რომ მცხეთაში ეს მომენტი გაცილებით ძლიერი და სრულყოფილი იყო; მუხრანის ველი და არაგვისპირეთი, მცხეთის დიდად დაწინაურებულ სამეურნეო რაიონს შეადგენდა. რა თქმა უნდა, ეს მხარე, მცხეთასთან შედარებით, ფერკმთალად გამოიყურებოდა. მცხეთის ზემოხსენებულ რაიონში მიწათმოქმედების მძლავრი კერა იყო შექმნილი. საკმარისია გავიხსენოთ ქსნის სარწყავი სისტემა, ტრადიციით ალექსანდრე მაკედონელთან დაკავშირებული, მუხრანის საირიგაციო რთული საკმაოდ დიდი ფართობი, რომ მცხეთის ეკონომიური უპირატესობა სამიწათმოქმედო მეურნეობაში ნათელი გახდეს.

თბილისს კარგი გეოგრაფიული მდებარეობა აქვს; გაშენებული იყო მტკვრის ხეობის ძნელად მისავალ ვიწროებში. მდინარის კლდოვან და ვიწრო ნაპირზე, ძველი დროიდან მოკიდებული, შეიძლებოდა ხიდის გადება. ქალაქი ირგვლივ შემორტყმული იყო ბუნებრივად დაცული ადგილებით, რომლებიც შემდგომად ზღუდე გალავნებით შემოსაზღვრეს. მაგრამ მცხეთას განა ნაკლები გეოგრაფიული მდგომარეობა ჰქონდა? ორი მდინარის - მტკვრისა და არაგვის შეერთებაზე გაშენებულ ქალაქს, მაღალ, კლდოვან ქედზე განლაგებული ძლიერი ციტადელი იცავდა. თრიალეთისა და იალნო-საგურამოს ქედებს შორის მოქცეულ ქალაქს ორი მხრიდან მტკვარ-არაგვის წყალი იცავდა, სხვა მხრიდან კი არც თუ მაღალი, მაგრამ თავდაცვისუნარიანობის თვალსაზრისით, ადვილად გასამაგრებელი მთები შემოუყვებოდა.

მცხეთის კარგ გეოგრაფიულ გარემოში განლაგება, ორი მნიშვნელოვანი ხევის შესაყარზე, ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი იყო აქ ქალაქის წარმოშობისათვის. რაც ამ საკითხში ჩანს თბილისის უპირატესობა მცხეთის მიმართ.

თბილისის დაწინაურებაში ერთ-ერთი დიდი როლი შეასრულა გზამ. მტკვრის ხეობაზე გამავალი სავაჭრო გზა თბილისზე გადიოდა. აქვე იყო შესაძლებელი გადებულიყო ხიდი მდინარე მტკვარზე. მაგრამ ეს გზა ხომ მცხეთამდეც გადიოდა. ანტიკური მცხეთის საქალაქო მეურნეობის განვითარება სწორედ გზასთან იყო დიდად დაკავშირებული. თანაც განა მარტო ერთი გზა გადიოდა მცხეთაზე? აქვე უერთდებოდა ცნობილ ანტიკურ მაგისტრალს არაგვის ხეობაზე ჩამავალი გზა. მცხეთას მოემართებოდა ქსნის ხეობის გზა. თრიალეთიდან მომავალი გზა, არაგვზე, ოხერ-ხიდაზე (ხიდარი) გადასასვლელით მეტად მნიშვნელოვანი გზა იყო კახეთისკენაც. ერთი სიტყვით, არც ამ ფაქტორით ჰქონდა თბილისს უპირატესობა მცხეთასთან შედარებით . . . მცხეთა ანტიკური ხანის მოწინავე ქალაქია, სადაც ცხოვრების დონე ეთანაბრებოდა იმდროინდელი ცივილიზებული სამყაროს წარჩინებულ ცენტრებს. აქ მაღალი დონეა საქალაქო ცხოვრებისა. იგი ჩართულია საერთაშორისო ვაჭრობაში. მემატიანები არ ზოგავენ ეპითეტებს მის შესამკობად: „დიდი ქალაქი მცხეთა“, „სამეფო ქალაქი მცხეთა“, „წმინდა მცხეთა განდიდებული“ და სხვ. იგი ქრისტიანული ცენტრია“. საბოლოოდ მკვლევარი ეთანხმება რა სხვათა მოსაზრებებს - ასკვნის, რომ **„მცხეთის დაცემა და თბილისის წამოწევა ნაკარნახევი უნდა ყოფილიყო შექმნილი პოლიტიკური ცხოვრებით“** (ჭილაშვილი ლ., ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, II., 1970, გვ. 50-52)**.**

ჩვენ მიერ შეკრებილი მონაცემების (წერილობითი და ისტორიული წყაროები, ახალი არქეოლოგიური კვლევები) ანალიზი შედარებით განსხვავებული მოსაზრების საფუძვლის გამოთქმის საშუალებას გვაძლევს - **მთავარი მიზეზი დედაქალაქის თბილისში გადატანისა, ქრისტიანობის უდიდესი სიწმინდის სვეტიცხოველში დავანებული „ქრისტეს კვართის-ა“ და თავად „წმიდა ქალაქ მცხეთა-ს“ დაცვა წარმოადგენდა.**

წარმოდგენილი მოსაზრების უპირველესი საკითხთაგანია თბილისში დედაქალაქის გადმოტანის იდეის განმახორციელის - მეფე ვახტანგ გორგასლის ფაქტორის განხილვა. მასთანაა დაკავშირებული საქართველოში ქრისტიანული რწმენის გაძლიერება, ბიზანტიურ ორიენტაციაზე გადასვლა, ავტოკეფალიის შექმნა, არაერთი ეკლესიის აშენება, მათ შორის სვეტიცხოვლისა, „მცხეთის მეორე იერუსალიმად“ გადაქცევა. ასევე თბილისის „ახალ ირუსალიმად“ გადაქცევის სურვილი და ა. შ.

გონებითა და რწმენის სიმტკიცით გამორჩეულმა მეფემ, სახელმწიფო მოღვაწემ, დიდმა მთავარსარდალმა, იცოდა, რომ მტრის მთავარი - გამანადგურებელი დარტყმა ყოველთვის სახელისუფლო რეზიდენციას - დედაქალაქს უწევს და რომ მტერი, ძირითადად, არაქრისტიანული რწმენის მატარებელია. მტერი არამარტო მიწას გვეცილებოდა, აგრეთვე ჩვენი რწმენის-ქრისტიანობის განადგურება სწადდა. უდიდესს სიწმინდეს - ქრისტეს კვართს, წმინდა ქალაქს წინ დიდი საშიშროება ედგა. სწორედ ამიტომაც, ვახტანგის შორს გამიზნული მოსაზრებით, მტრის პირველი გამანადგურებელი დარტყმა თავის თავზე ახალ დედაქალაქს უნდა მიეღო. მას შემდეგ განვლილმა **ისტორიამ სრულად დაადასტურა მეფის გადაწყვეტილების მართებულება. თბილისი „ზვარაკად“ გადაედო ერისა და ქვეყნის წმინდა მცხეთა-ქალაქს.**

ერის გამორჩეულმა მეფემ, როგორც ჩანს, გაითვალისწინა ყველა ის საკითხი რომელიც დედაქალაქის ყოფა-ცხოვრებისთვის აუცილებელი უნდა ყოფილიყო. მას „ტფილისი“ „პატარა იერუსალიმად ჰქონდა ჩაფიქრებული. ამიტომაც გვაქვს აქ უძველესი, იმ სახელის მქონე ეკლესიები, რომლებიც იერუსალიმში იყო. ქრისტიანული სალოცავების მშენებლობის მხრივ, მის მიერ, ჩატარებულ იქნა მნიშვნელოვანი სამუშაოები.

ცნობილი ქართველი ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი საეკლესიო წყაროებზე დაყრდნობით აღნიშნავდა, რომ ვახტანგმა თბილისში ხუთი ეკლესია ააშენებინა. ეს ეკლესიები შემდეგია: **სიონის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია, მეტეხის ღვთისმშობლის შობისა, როგორც კარის ეკლესია** (გადმოცემის მიხედვით ამ ეკლესიასა შინა 432 წელს დაფლული იქნა წმინდა მოწამე შუშანიკ, ვარსქენ პიტიახშის მეუღლე), **წმ. ჯვარისა - სახელწოდებით გოლგოთის ეკლესია, ბეთლემისა** (ზემო

ბეთლემი-ფეთხაინის ეკლესია მაცხოვრის შობისა. გადმოცემით ამ ადგილზე პირველი ეკლესია V ს-ის ბოლოს ვახტანგ გორგასალმა ააგო. აქვე ყოფილან დაკრძალულნი მისი დედა და და).

მეხუთე იყო **მთავარანგელოზ მიქაელის სახელწოდებისა. ამ ეკლესიის ნანგრევებზე გვიან შუასაუკუნეებში აშენებულ იქნა წმ. გიორგის კარის ეკლესია** (საპატრიარქოსთან). არც ერთი ზემოდ ჩამოთლილი ეკლესია არაა პირვანდელი სახით დარჩენილი, ზოგი გადაკეთებულია რადიკალურად (მაგ., ჯვარის ანუ გოლგოთისა), ზოგი ახლად აგებული, მაგრამ საყურადღებოა, რომ გადმოცემა ვახტანგ გორგასლის ხანას მიაწერდა ამ ხუთივე ეკლესიის აშენებას (იოსელიანი პ., 2022) (კაკაბაძე ს., 1994, გვ. 220-221).

სარგის კაკაბაძის მოსაზრებით თბილისში- „ამ დროისათვის საგულისხმებელია კიდევ ერთი ეკლესიის აშენება - **წმ. ორმეოც სებასტიელ მოწამეთა“.** ორმეოცი მოწამენი სებასტიელნი წამებით 320 წელს დახოცილ იქნენ ქრისტიანობის აღიარებისათვის ქალაქ სებასტიაში. ისინი იყვნენ მეომრები. ქრისტიანული ეკლესია მათ ხსოვნას აღნიშნავდა 9 (22) მარტს (კაკაბაძე ს., 1994, გვ. 228) იმავე მოსაზრებას იზიარებენ თბილისში, აბანოთუბანში წმ. ორმოც სებასტიელ მოწამეთა მონასტრის ტერიტორიაზე გამოვლენილი ეკლესიის არქეოლოგიური გათხრების მკვლევარნი (ძნელაძე მ. ი. მ., 2014) სავარაუდოდ, სამეფო რეზიდენციასთან ეკლესიის აშენების მთავარი მიზეზი ვახტანგ მეფის მეუღლის - დედოფალ ელენეს (ბიზანტიის კეისრის ლეონ I-ის ასული) სახელთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. შესაძლოა თავად ბერძნების მიერ აშენებულიც. აქვე, ეკლესიის არქეოლოგიური გათხრებისას, აღმოჩნდა **ასომთავრულწარწერიანი ქვაჯვარის (V-VII სს.)** ფრაგმენტი (ძნელაძე მ. ი. მ., 2014, გვ. 37).



ქალკედონიის მსოფლიო საეკლესიო კრების (451 წ.) შემდგომ ქართლის ეკლესია, ფორმალური თვალსაზრისით, ანტიოქიის საპატრიარქოს გავლენის ქვეშ მოექცა, 486-487 წლებში, ვახტანგ გორგასლის თაოსნობითა და იმპერატორ ზენონის და კონსტანტინოპოლის პატრიარქ აკაკიუსის შემწეობით, ქართლის ეკლესიამ ანტიოქიის საპატრიარქოსგან ავტოკეფალია მოიპოვა (მამულია გ., 1992, გვ. 90). ვახტანგის რეფორმა ქართლის საეკლესიო ერთიანობისა და ქვეყნის ცენტრალიზაციის განმტკიცებისაკენ მიმართულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს.

ქალაქ თბილისის ეკლესიათა მშენებლობის დაწყებას 457- 458 წლისათვის ადასტურებს ის გარემოებაც, რომ თბილისში მალევე დაფუძნებული იქნა საეპისკოპოსო კათედრა - ქართლის ეპისკოპოსების 463-465 წლის ახლოდროინდელ სიაში უკვე იხსენიება ეპისკოპოსი ტფილელი (კაკაბაძე ს., 1994, გვ. 220) .

თბილისის გადედაქალაქების ახლოდროინდელ პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს კლდისუბნის წმ.გიორგის ეკლესიის არქეოლოგიური კვლევისას აღმოჩენილი ადრეული (V-VII სს.) ეკლესიის ნაშთი (ძნელაძე მ., 2014) ამ ეკლეესიის მიმდებარედაა აშენებული ვატანგ გორგასლის დროინდელი გოლგოთისა (წმ.ჯვრის მამა) და ბეთლემის ეკლესიები.

დასკვნა: ზემოთ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე, ჩვენი აზრით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართველი ერის მიერ წმინდანად შერაცხულმა მეფე ვახტანგ გორგასალმა დედაქალაქის მცხეთიდან ტფილისში გადმოტანით მნიშვნელოვანწილად ააცილა დანგრევასა და განადგურებას „მეორე იერუსალიმად“- „წმინდა ქალაქად“ წოდებული ქრისტესა და მრავანი სიწმინდის მატარებელი მცხეთა და სვეტიცხოველი. მცხეთის „ზვარაკად“ შექმნილ ახალ დედაქალაქში - თბილისში მან შექმნა ქართული ქრისტიანული რწმენის ახალი სავანეებ-ეკლესიები. მეფის შორსმჭრეტელური გადაწყვეტილება დედაქალაქის ისტორიამ ნათლად დაადასტურა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Лорткипанидзе М.Д. (1991). Тбилиси (IV - начало XII в.). *Общество «Цодна», Тип. «Самшобло»*.

2. აფრასიძე გ., ბ. ,. (1990). *თბილისის ისტორია ტ.I,.* თბილისი: „მეცნიერება".
3. გვრიტიშვილი, დ. (1958). თბილისი 1500 წლისაა.
4. იოსელიანი პ. (2022). *აღწერა თფილისის სიძველეთა.* თბილისი: „ლაზარე".
5. კაკაბაძე ს. (1994). *ვახტანგ გორგასალი და მისი ხანა.* თბილისი: „ნეკერი".
6. მამულია გ. (1992). *ქართლის ეკლესია V-VI საუკუნეებში.* თბილისი.
7. მესხია შ., გ. დ. (1958). *თბილისის ისტორია.* თბილისი: საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა.
8. ტყეშელაშვილი ო. (1986). თბილისის წარმოქმნა-განვითარება. *„მნათობი“, №7,8.*
9. ძნელაძე მ. (2014). *თბილისის კლდისუბნის წმ.გიორგის ეკლესია. თბ.,2014.* თბილისი.
10. ძნელაძე მ., ი. მ. (2014). *თბილისის წმიდა ორმოც სებასტიელ მოწამეთა ეკლესია.* თბილისი.
11. ჭილაშვილი ლ. (1970). *ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, II.* თბილისი: „მეცნიერება".
12. ჭილაშვილი ლ. (1970). *ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, II.* თბილისი: „მეცნიერება".

თბილისი, ერეკლე მეორეს მოედანზე 1956-1957 წლებში არქეოლოგიური გათხრებისას მეოთხე ფენაში (**V-X სს.**) აღმოჩენილი აქატის ქვის ვახტანგ გორგასლის გამოსახულებიანი გემა - საბეჭდავი [გრძელიშვილი ი., ტყეშელაშვილი ო., თბ.,1961] .

ვახტანგის გამოსახულებიანი გემა ბრიტანეთის მუზეუმიდან [Ш.Я. Амиранашвили „Вестник древней истории“, Москва, №2,1960 г. გვ.90-92].

1. წმ.ნინოსა და მირიან მეფის სვეტიცხოველი (IV ს.)
2. ვახტანგ გორგასლის მიერ აშენებული სვეტიცხოველი (V ს.)
3. ტაძის რეკონსტრუქცია-შენება მელქისედეკ კათალიკოსის ხელმძღვანელობით და არქიტექტორ არსუკიძის მიერ შესრულდა. დაიწყო ბაგრატ III-ის (975-1014 წწ.) დროს 1010 წელს, გაგრძელდა გიორგი I-ის (1014-1027 წწ.) მეფობისას, დასრულდა 1029 წელს, ბაგრატ IV-ის (1027-1072 წწ.) დროს.



The merits of Vakhtang Gorgasli in connection with relocation of the capital to Tbilisi and building the first Christian churches in it.

Prof. Merab Dzneladze,
Doctor of Archeology Gia Nadirashvili,
Master of Archeology Tamta Tchovelidze

Resume: The contribution of the great Georgian king Vakhtang Gorgasli (442-502 AD) to Georgia and the Georgian nation itself in establishing and presenting the Christian religion in the state is immense. The same merit is attributed to him in connection with the transfer of the capital of Georgia from Mtskheta to Tbilisi. The present article is an attempt to discuss these two issues, in which the new archaeological data conducted in Tbilisi is included.

Key words: Vakhtang Gorgasali, Tbilisi, church

გვიანანტიკური ხანის ქართლის სამხედრო-სამოხელეო არისტოკრატია – ეზოსმოძღვარი

მაია ქუთათელაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი: გვიანანტიკური ხანის ქართლში მკვეთრად დიფერენცირებული საზოგადოება გვხვდება, რომლის გამორჩეული ნაწილია სამხედრო-სამოხელეო არისტოკრატია. ქართული სამოხელეო ინსტიტუტის შესწავლის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წერილობითი წყაროების მონაცემები. სამხედრო-სამოხელეო თანამდებობებიდან ეზოსმოძღვარია ის მოხელე, რომელიც ქართულ და უცხოურ ნარატიულ წყაროებში არ მოიხსენიება, თუმცა ეპიგრაფიკულ წარწერებში მისი არსებობა დადასტურებულია. თანაც ყველა ეს ეპიგრაფიკული ძეგლი ქართლის (იბერიის) დედაქალაქის – მცხეთის ტერიტორიაზეა მიკვლეული. მცხეთა-ბაგინეთის წარწერაში ნახსენები ეზოსმოძღვარი ანაგრანესი ქართლის მეფის მამამძუძედ სახელდება. ქართულ ნარატიულ წყაროებში დაცულია ცნობა იმის შესახებ, რომ აზომ „არიან-ქართლიდან“ გადმოასახლა რამდენიმე ოჯახი ,,მამამძუძეთა და დედამძუძეთა” და მოგვიანებითი ხანის ეს ეპიზოდი ქართლში ნათესაობის ამ ფორმის არსებობის ხანგრძლივ ტრადიციაზე მეტყველებს. არმაზის ბილინგვის ტექსტი გვაფიქრებინებს, რომ ქართლის სამეფოში ეზოსმოძღვრის თანამდებობა, ისევე როგორც სპასპეტისა, სამეფო საგვარეულოს ნათესავთა ხელშია. იმის მიუხედავად, სამეფო საგვარეულოს წევრის სტატუსი სისხლის ნათესაობით არის განპირობებული თუ ,,მამამძუძეთა და დედამძუძეთა” ინსტიტუტის არსებობით.

საკვანძო სიტყვები: გვიანანტიკური ხანა, სამოხელეო ინსტიტუტი, ეპიგრაფიკა, ეზოსმოძღვარი

გვიანანტიკური ხანის ქართლის (იბერიის) სამეფო მკვეთრად დიფერენცირებული საზოგადოებით ხასიათდება. სოციალური ფენებისა და სამოხელეო ინსტიტუტის შესწავლის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წერილობითი წყაროების მონაცემები. ქართლის სამოხელეო არისტოკრატიის შესახებ ინფორმაცია დაცულია როგორც ქართულ, ისე უცხოენოვან წარწერებში. სამხედრო-სამოხელეო თანამდებობებიდან ეზოსმოძღვარია ის მოხელე, რომელიც ქართულ და უცხოურ ნარატიულ წყაროებში არ გვხვდება, თუმცა ეპიგრაფიკულ წარწერებში მათი მოხსენიება რამდენჯერმე დასტურდება. თანაც ყველა ეს ეპიგრაფიკული ძეგლი ქართლის (იბერიის) დედაქალაქის - მცხეთის ტერიტორიაზეა მიკვლეული.

1945 წელს მცხეთაში, არმაზისხევის ტერიტორიაზე ბაზალტის სტელაზე აღმოჩნდა ათ სტრიქონიანი ბერძნულ-არამეული ორენოვანი წარწერა, რომელსაც როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა. მასში ნახსენებ ისტორიულ პირებზე დაყრდნობით (არამეული ტექსტის გამოყენებით), აგრეთვე პალეოგრაფიული ნიშნებისა და ენობრივი მონაცემების მიხედვით, წარწერას II-III საუკუნეებს მიაკუთვნებენ **(წერეთელი, 1942, გვ. 34-42; ყაუხჩიშვილი, 1999, გვ. 255-256).**

არმაზის ბილინგვამ ქართლის სამეფო კარზე ეზოსმოძღვრის თანამდებობის არსებობის შესახებ მოგვაწოდა ინფორმაცია. წარწერის მიხედვით, ეს არის ხსეფარნუგ მეფის ეზოსმოძღვარი იოდმანგანი. ,,ეზოისმოძღვარი” ვისიმე ეზოს (მეურნეობის) გამგებელს ნიშნავს. ეზოსმოძღვარი განაგებდა სახელმწიფო შემოსავალს – ხაზინას, იყო სამეფო ხარკის, როგორც მას ,,ქართლის ცხოვრება” უწოდებს ,,ხარკი სამეუფეოს” შემკრები, სათავეში ედგა სამეფო მეურნეობას, უძღვებოდა სამეფო კარის სხვა საქმეებს. მის ფუნქციაში შედიოდა, აგრეთვე, სამხედრო ლაშქრობებში მონაწილეობა. არმაზის წარწერის თანახმად, ეზოსმოძღვარი იოდმანგანი არის ,,ძლევამოსილი და

მრავალი გამარჯვების მომპოვებელი", რაც მის სამეფო ლაშქარში აქტიურ მონაწილეობაზე მიუთითებს.

ამ ეპიგრაფიკული ძეგლის სამეცნიერო მიმოქცევაში მოხვედრისთანავე, ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოითქვა მოსაზრება (მათ შორისაა ა. აფაქიძე), რომ ქართლის სამეფოში ეზოსმოძღვრები ხელმძღვანელობას უწევდნენ მშენებლობის საქმეს ქვეყნის ცალკეულ უბნებზე – საპიტიახშოებში **(აფაქიძე, 1963, გვ. 227).** ვფიქრობთ, შესაძლებელია, ეს საზოგადოებრივ, საფორტიფიკაციო თუ სამეფო რეზიდენციის კომპლექსებსაც შეეხებოდა.

არმაზის ბილინგვაში ეზოსმოძღვართან დაკავშირებით მოხსენიებული ბერძნული ტერმინი **ἐπίτροπος** – რომაულ procurator-ს ნიშნავს. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ტერმინის შინაარსი დღემდე დავას იწვევს. შესაბამისად მეცნიერებში სამოხელეო ინსტიტუტის ამ წარმომადგენლის – ეზოსმოძღვრის ფუნქციებისა და მოვალეობების შესახებ განსხვავებული თვალსაზრია გამოთქმული.

გ. მელიქიშვილის აზრით, ეზოსმოძღვრის ფუნქციაში მეფის პირადი რაზმის ან კიდევ ,,სამეფო მიწებზე" მსხდომი ,,ტაძრეულისაგან" შემდგარი ლაშქრის ხელმძღვანელობა შედიოდა **(Меликишвили, 1959, с. 458).** იგივე მოსაზრებისაა გ. ლომთათიძე. იგი აღნიშნავს, რომ ამ დიდად გავლენიან მოხელეს ჯარის სარდლობა და ამასთანავე, მეფის პირადი მცველი რაზმის მეთაურობა ევალებოდა, ანუ იგი ტერმინს „მხედართმთავრად" თარგმნის **(ლომთათიძე, 1955, გვ. 359-369).** ასევე ფიქრობს კ. გრიგოლია **(გრიგოლია, 1954, გვ. 18-19).** განსხვავებულ პოზიციაზეა გ. წერეთელი. იგი მიიჩნევს, რომ ქართლის სამეფო კარზე სპასპეტი ეზოსმოძღვრის სახელითაც იყო ცნობილი, ანუ ,,ძლევამოსილი, მრავალი გამარჯვების მომპოვებელი" ეზოსმოძღვარი მხედართმთავარი, ანუ სპარსული ტერმინის სპასპეტის შესატყვისი ყოფილა **(Церетели, 1941, с. 70; წერეთელი, 1942, გვ. 44 და შემდგ.).** ო. ლორთქიფანიძე მას „სამეფო მეურნეობის გამგებელს" უწოდებს **(ლორთქიფანიძე, 1968, გვ. 26).** ა. შანიძესა და ს. ყაუხჩიშვილს ეთანხმება თ. ყაუხჩიშვილი და თვლის, რომ ეს ტერმინი ძველ ქართულ „ეზოსმოძღვარს" და თანამედროვე „მეურვეს", „გამგებელს" უნდა აღნიშნავდეს **(ყაუხჩიშვილი, 2019, გვ. 248).** თ. დუნდუას თვალსაზრისით, ტექსტში აღნიშნული ტერმინი სპასპეტის მნიშვნელობითაა გამოყენებული **(ფიფია, კობახიძე, დუნდუა, 2023, გვ. 264).**

არმაზის ბილინგვაში მოხსენიებულ ეზოსმოძღვარ პუბლიკიოს აგრიპასთან დაკავშირებით საინტერესო გამოკვლევა ეკუთვნის თ. დუნდუას. იგი მიიჩნევს, რომ აგრიპა ქართლის სამეფოში მეორე კაცია და აგრეთვე, თუ სახელის მიხედვით ვიმსჯელებთ - რომის მოქალაქეც. Publicius არის აშკარად, რომაული nomen. ამასთანავე, მკვლევარი პუბლიკიოს აგრიპას ხედავს იმპერატორ ადრიანეს მმართველობის ეპოქაში რომაული ჯარის დამხმარედ, რომელიც იუდეველთა წინააღმდეგ აჯანყების ჩასახშობად სამხრეთიდან დაძრულ იბერიელთა სამხედრო ძალას მეთაურობს. იბერთა სამხედრო კონტიგენტის იმპერიულ საჯარისო სტრუქტურაში ყოფნის ფაქტს ნუმიზმატიკური მასალაც უჭერს მხარს. საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, ქართლში ადრიანეს 8 აურეუსია აღმოჩენილი. ეს ორჯერ მეტია სხვა რომელიმე იმპერატორის აქ მიკვლეულ ოქროს მონეტაზე. როგორც მეცნიერი მიიჩნევს, მოლაშქრეებს კარგი საჩუქარი აუღიათ **(დუნდუა, 2017, გვ. 152-156).**

მიგვაჩნია, რომ ქართლის სამეფო კარზე სპასპეტი და ეზოსმოძღვარი ორი სხვადასხვა პოლიტიკური ინსტიტუტია. სპასპეტის ფუნქციები უფრო ფართოა. იგი არის მხედართმთავარი, ხელმძღვანელობს ლაშქარს, მაშინ როდესაც ეზოსმოძღვარი მხოლოდ მეფის პირადი მცველი რაზმის მეთაურია. ეს ის მცველი რაზმია, რომელიც დიონ კასიუსის თანახმად, აკროპოლისში იდგა. ეზოსმოძღვარი კი, სამეფო მეურნეობასა და სახელმწიფო ხაზინას განაგებდა. ის როგორც სამხედრო, ისე საერო მოხელეა. ასევე საერო და სამხედრო ხელისუფლება უპყრია ხელთ სპასპეტსაც, თუმცა მისი ფუნქციები უფრო მრავალმხრივია. ჩანს, იგი მთელ სამეფო ლაშქარზე ვრცელდება და ამას შიდა

ქართლის მმართველობაც ემატება. ამასთანავე, სტრაბონის მონაცემებით, სპასპეტი ფარნავაზიანთა სამეფო საგვარეულოს წარმომადგენელია, მეფის ახლო ნათესავი. ქართლის სამეფო კარზე ეს ორივე პოლიტიკური სახელო - სპასპეტისა და ეზოსმოძღვრისა შთამომავლობითია, იგი მამიდან შვილზე მემკვიდრეობით გადადის. ამის დასტურია არმაზის ბილინგვა, რომლის მიხედვითაც, ეზოსმოძღვარ პუბლიკიოს აგრიპას ძემ - იოდმანგანმა მამის თანამდებობა ეზოსმოძღვრისა მიიღო ფარსმან II-ის ძის ხსეფარნუგის სამეფო კარზე. უმაღლესი რანგის სახელმწიფო სახელოთა მემკვიდრეობითი ხასიათი ქართლის სამეფოს პოლიტიკური ინსტიტუტის განვითარების მაღალი დონის მაჩვენებელია.

ქართლის სამეფოს სამხედრო-სამოხელეო არისტოკრატიის წარმომადგენელი - ეზოსმოძღვარი ქართულ წერილობით წყაროებში არ გვხვდება. თუმცა, XX საუკუნის 90-იან წლებში მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ბაგინეთის ტერიტორიაზე წარმოებულმა გათხრებმა გამოავლინა არტეფაქტები, სადაც ეზოსმოძღვრის მოხსენიება კვლავ დადასტურდა, თანაც სამ ეპიგრაფიკულ წარწერაში.

1993 და 1995 წლებში მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ბაგინეთის უბანზე ქვიშაქვის ფილაზე ბერძნულ ენაზე შესრულებულ ორ ფრაგმენტს მიაკვლია. თ. ყაუხჩიშვილმა წარწერა II-III საუკუნეებით დაათარიღა და ტექსტის ამგვარი თარგმანი შემოგვთავაზა: „მეფის ... მამამძუძემ და ეზოსმოძღვარმა გააკეთებინა თავისი საზრდელით (ან სახსრებით) მიწისქვეშა გაყვანილობა (ან წყალსადენი) და აბანო (ან წყალსადენი აბანოსთვის) და შესწირა დრაკონტის დედოფალს" **(ყაუხჩიშვილი, 2000, გვ. 227).** ქართველი მეცნიერის ვერსიისგან მცირედით განსხვავებულია დ. ბრონდის მიერ შესრულებული ინგლისურენოვანი თარგმანი: „ ... მეფისა, ანაგრანესმა, მამობილმა და მმართველმა (ეზოსმოძღვარმა) საკუთარი ხარჯებით კეთილმოაწყო აბანოს შენობა მისი აღზრდილი დრაკონტისისთვის, დედოფლისთვის, მიუძღვნა (ეს)" **(ფიფია, კობახიძე, დუნდუა, 2023, გვ. 236).** აღნიშნულ წარწერაში დ. ბრონდმა აღადგინა გამზრდელისა და ეზოსმოძღვრის სახელი – ანაგრანესი, რომელიც ქართველი მეცნიერის თარგმანში არ გვხვდება. შეწირვითი ხასიათის ტექსტიდან ირკვევა, რომ მეფის ეზოსმოძღვარმა ანაგრანესმა წყალსადენი გაიყვანა აბანოსთვის ან აბანოს შენობა ააგო და დედოფალ დრაკონტისს შესწირა. თავად ეზოსმოძღვრის სახელი ბერძნული წარმოშობისაა და ის ქართულ ონომასტიკაში პირველად დასტურდება.

იმავე 1993 და 1995 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროსაა აღმოჩენილი ქვიშაქვის ფილაზე შესრულებული მეორე ბერძნული წარწერის ფრაგმენტი, რომლის თ. ყაუხჩიშვილისეული თარგმანი ასეთია: „მეფის ... მამამძუძემ ანაგრანესმა ... იბერთა ასულთა ღმრთისა, ხოლო დიდისა ..." აღნიშნული ეპიგრაფიკული ძეგლი II-III საუკუნეებით თარიღდება. შეწირვით ხასიათის ტექსტში, სავარაუდოდ, საუბარია მეფეზე, იბერთა მეფის ასულებზე, ღმერთზე, რაღაც დიდზე და იმაზე, რომ იბერთა მეფის ასულებს მეფის მოხელემ შესწირა რაღაც. მკვლევრის აზრით, წარწერაში უნდა ყოფილიყო მეფის სახელი, შემდეგ მისი მოხელის და იბერთა მეფის ასულების სახელები და ბოლოს დიდი ღმერთისადმი ვედრება, თუმცა კონკრეტულად, ძნელია იმის დადგენა, თუ რა გაკეთდა, რა შესწირეს მეფის ასულებს და რას ევედრებიან დიდ ღმერთს **(ყაუხჩიშვილი, 2000, გვ. 228-229).**

ამ ორ წარწერასთან - დედოფალ დრაკონტისის და იბერთა მეფის ასულების მოხსენიებით - დაკავშირებულია ამავე პერიოდით დათარიღებულ ეზოსმოძღვარ ანაგრანესის წარწერა, სადაც უკვე ქართლის მეფე ამაზასპიცაა ნახსენები.

1996 წელს არმაზციხე-ბაგინეთის ტერიტორიაზე, რომაული ტიპის აბანოს მახლობლად, მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ბერძნული წარწერის შემცველი ქვიშაქვის ფილა აღმოაჩინა. წარწერა თ. ყაუხჩიშვილმა თარგმნა და II-III საუკუნეებს მიაკუთვნა. ტექსტიდან ირკვევა, რომ ქართლის მეფის ამაზასპს ეზოსმოძღვარმა ანაგრანესმა საკუთარი სახსრებით აგებული აბანო შესწირა ,,არმენიის მეფის ვოლოგეზეს ასულსა და იბერთა მეფის ამაზასპის მეუღლეს". წარწერა

შეწირვითი ხასიათისაა და მასში მოხსენიებულია ქართლის (იბერიის) მეფე ამაზასპი და არმენიის მეფე ვოლოგეზე. თ. ყაუხჩიშვილი მიიჩნევს, რომ აქ მოხსენიებული ისტორიული პირებია არიან: ქართლის მეფე ამაზასპ II და სომხეთის მეფე ვოლოგეზე (ვალარშ) II (186-198 წწ.). რაც შეეხება „ანაგრანესს", მეცნიერის აზრით, სახელი ბერძნულია და ტექსტის მიხედვით, მისი თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინებია: **ἐπίτροπος** (ეპიტროპოსი) და **τροφεύς**. აქედან **ἐπίτροπος** არის ეზოსმოძღვარი და **τροφεύς** - აღმზრდელი, დამრიგებელი, გამგებელი, რასაც შეიძლება ქართულად „მამამძუძე" შეესაბამებოდეს **(ყაუხჩიშვილი, 2000, გვ. 228).**

წარწერაში ნახსენები ანაგრანესი, როგორც ისტორიული პირი სხვა წყაროებიდან არაა ცნობილი. მის შესახებ საგანგებო გამოკვლევა ეკუთვნის დ. ბრონდს. იგი მიიჩნევს, რომ დედოფალ დრაკონტისის წარწერაში ბაგინეთიდან ნახსენები მამამძუძე და ეზოსმოძღვარი ანაგრესი და ამ წარწერის მამამძუძე და ეზოსმოძღვარი ანაგრანესი ერთი და იგივე პიროვნებაა. აქედან გამომდინარე, დრაკონტისი შეიძლება იყოს არმენიის მეფის ვოლოგეზეს ასული, რომლის სახელიც ამ წარწერაში დაიკარგა **(ფიფია, კობახიძე, დუნდუა, 2023, გვ. 239).**

მნიშვნელოვანია ქართლისა და სომხეთის მეფეების ამაზასპისა და ვოლოგეზეს იდენტიფიკაციის საკითხი. თ. დუნდუას მიხედვით, სამივე წარწერაში (ანაგრანესის წარწერა მცხეთიდან და ანაგრანესის წარწერები დრაკონტის დედოფლისა და იბერთა მეფის ასულების მოხსენიებით) ნახსენები მეფეები შესაძლებელია იყვნენ ამაზასპ I და ვოლოგეზე (ვალარშ) I (117-140 წწ.), რომელიც ამავე დროს პართიელი უფლისწული იყო. ეს რომ ქართლის მეფე ამაზასპ I-ია და არა ამაზასპ II, ამის არგუმენტად მკვლევარს წარწერიანი ქვის ფილის რომაულ აბანოსთან სიახლოვეს აღმოჩენის ფაქტი მოჰყავს. ამასთანავე, რომაული გავლენა და, სავარაუდოდ, პრორომაული ორიენტაცია უფრო ამაზასპ I-ს ჰქონდა **(ფიფია, კობახიძე, დუნდუა, 2023, გვ. 237).** „ქართლის ცხოვრებისა" და „მოქცევაი ქართლისას" მიხედვით, ამაზასპის შემდეგ ქართლში მეფობს ფარსმან II ქველი. მეფე ფარსმანი რომის იმპერატორების ადრიანესა და ანტონიუს პიუსის თანამედროვედ მიიჩნევა და მათთან ინტენსიური და არაერთგვაროვანი ურთიერთობითაა ცნობილი.

მცხეთაში აღმოჩენილ ყველა ამ წარწერაში ნახსენებ ტერმინ **τροφεύς**-ის წარმომავლობის შესახებ კვლევისას დ. ბრონდი პარალელებს ელინისტურ სამყაროში ეძებს და აღნიშნავს, რომ სელევკიდებისა და პტოლემაიოსების კარზე **τροφεύς** თანამდებობა არსებობდა და ელინისტური ხანის იბერიაზე გავლენა სწორედ ამ ქვეყნებიდან ჩანს. შესაბამისად მათი ფუნქციაც, სავარაუდოდ, მსგავსი უნდა ყოფილიყო. მკვლევარი თვლის, რომ ანაგრანესი აღმზრდელია სომეხი მეფის ასულისა (რომელსაც მცხეთის ეპიგრაფიკულ წყაროებში უკვე ქართლის დედოფლის სტატუსი აქვს) და შეიძლება თავადაც სომეხი ყოფილიყო, თუმცა არც იმას გამორიცხავს, რომ აღნიშნული მოხელე იბერიელი იყოს. ქართველი მეცნიერი თ. დუნდუა მიიჩნევს: მტკიცებულება იმის შესახებ, რომ ანაგრანესი დედოფლის აღმზრდელია, არ არსებობს. სამივე წარწერაში ანაგრანესი ნახსენებია, როგორც მეფის „მამამძუძე". ამასთანავე, იგი ეზოსმოძღვარიცაა. სერაფიტას ეპიტაფიიდან კი ჩანს, რომ ეზოსმოძღვარი „მრავალი გამარჯვების მომპოვებელია" **(Церетели, 1941, с. 23-24; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1970, გვ. 770),** ანუ სარდალია და ნაკლებად სავარაუდოა, იბერიაში სომეხი წარმოშობის სარდალი (სპასპეტი) ყოფილიყო, მით უმეტეს იმ ვითარებაში, როდესაც ქართლს ხშირად უხდებოდა სომხეთთან დაპირისპირება **(ფიფია, კობახიძე, დუნდუა, 2023, გვ. 244-245).**

დასკვნის სახით შეიძლება გამოვთქვათ რამდენიმე მოსაზრება: 1. XX საუკუნის 90-იან წლებში მცხეთაში აღმოჩენილმა ეპიგრაფიკულმა წარწერებმა დაადასტურეს ჯერ კიდევ ა. აფაქიძის მიერ გამოთქმული თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ეზოსმოძღვრის ფუნქციებში სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული გრანდიოზული მშენებლობების გაძღოლა შედიოდა; 2. სამხედრო-სამოხელეო არისტოკრატიის მნიშვნელოვანი წარმომადგენლის – ეზოსმოძღვრის ძირითად მოვალეობად სამ-

ხედრო ლაშქრობებში მონაწილეობა ითვლებოდა. არმაზის ბილინგვის ტექსტის სიტყვებით ,,ძლევამოსილი, მრავალი გამარჯვების მომპოვებელი" ეზოსმოძღვარი, შესაძლებელია, ყოფილიყო მეფის პირადი მცველი რაზმის ან მთელი იმ სამხედრო კონტიგენტის მეთაური, რომელიც დიონ კასიუსის მიხედვით, მცხეთის აკროპოლისში იდგა. თ. დუნდუას კვლევის თანახმად, ბილინგვაში ნახსენებმა ეზოსმოძღვარმა პუბლიკიოს აგრიპამ იმპერატორ ადრიანეს მმართველობის ეპოქაში დახმარება გაუწია რომაულ ჯარს და იუდეველთა წინააღმდეგ აჯანყების ჩასახშობად სამხრეთიდან დაძრულ იბერიელთა სამხედრო ძალას მეთაურობდა. გამოდის, რომ ეზოსმოძღვრის ფუნქცია ქართლის (იბერიის) სამეფოს პოლიტიკური „მეგობრისა და მოკავშირის" - რომის იმპერიის სამხედრო მისიებში მონაწილეობაც შეიძლება ყოფილიყო; 3. მცხეთა-ბაგინეთის წარწერაში ნახსენები ეზოსმოძღვარი ანაგრანესი ქართლის მეფის მამამძუძედ - **τροφεύς** მოიხსენიება. ამგვარი თანამდებობების არსებობა ცნობილია სელევკიდების სირიისა და პტოლემაიოსების ეგვიპტის ელინისტურ სახელმწიფოებში. სავარაუდოდ, ამ ქვეყნების (მათ შორის ქართლის) სახელმწიფო მოხელეებს სახელების მსგავსად, ფუნქციებიც მსგავსი უნდა ჰქონოდათ. ქართულ ნარატიულ წყაროებში დაცული ცნობა იმის შესახებ, რომ აზომ „არიან-ქართლიდან" გადმოასახლა რამდენიმე ოჯახი ,,მამამძუძეთა და დედამძუძეთა" და მოგვიანებითი ხანის ეს ეპიზოდი ქართლში ნათესაობის ამ ფორმის არსებობის ხანგრძლივ ტრადიციაზე მეტყველებს. 4. არმაზის ორენოვანი წარწერა გვაფიქრებინებს, რომ ქართლის სამეფოში ეზოსმოძღვრის თანამდებობა, ისევე როგორც სპასპეტისა, სამეფო საგვარეულოს ნათესავთა ხელშია. იმის მიუხედავად, სამეფო საგვარეულოს წევრის სტატუსი სისხლის ნათესაობით არის განპირობებული თუ ,,მამამძუძეთა და დედამძუძეთა" ინსტიტუტის არსებობით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აფაქიძე, ა., (1963), *ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში,* თბილისი, „მეცნიერება".
2. გრიგოლია, კ., (1954), *ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან,* შრომები, (ტ. I), ახალი ქართლის ცხოვრება, თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
3. დუნდუა, თ., (2017), *საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიის ნარკვევები,* თბილისი, „მერიდიანი".
4. ლომთათიძე, გ., (1955), *საქართველოს მოსახლეობის სოციალური და კულტურული დახასიათებისათვის,* ისტორიის ინსტიტუტის შრომები, (ტ. I), თბილისი.
5. ლორთქიფანიძე, ო., (1968), *ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო,* თბილისი: მეცნიერება
6. Меликишвили, Г., (1959), *К истории древней Грузии,* Тбилиси: Издательство академии наук Грузинской ССР.
7. აფაქიძე, ა., (1970), *ანტიკური ხანის საქართველოს კულტურა,* საქართველოს ისტორიის ნარკვევები, (ტ. I), თბილისი, „საბჭოთა საქართველო".
8. ფიფია, ნ., კობახიძე, ე., დუნდუა, თ., (2023), *ანტიკური ხანის ბერძნულ-ლათინური წარწერები, როგორც საქართველოს ისტორიის წყარო,* თბილისი, „სამშობლო".
9. ყაუხჩიშვილი, თ., (2000), *საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, აღმოსავლეთ საქართველო,* (ტ. II), თბილისი, „ლოგოსი".
10. ყაუხჩიშვილი, თ., (2019), *საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები,* თბილისი, „ლოგოსი".
11. ყაუხჩიშვილი, თ., (1999), *საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, დასავლეთ საქართველო,* (ტ. I), თბილისი, „ლოგოსი".

12. წერეთელი, გ., (1942), *არმაზის ბილინგვა,* ენიმკის მოამბე, (XIII), თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
13. Церетели, Г., (1941), Армазская Билингва, Тбилиси: Издательство Академии наук Грузинской ССР.

Late Antique Georgian Military and Court aristocracy - Ezosmodzgvari

Maia Kutateladze, professor
of Georgian Technical University

Summary: The society of the Late Antique kingdom of Kartli/Iberia was stratified and diverse. The existence of the office of *ezosmodzgvari* is not attested in Georgian and non-Georgian historiographical accounts. However, several extant bilingual (Greek and Aramaic) inscriptions found in the vicinity of the city of Mtskheta, the political and royal center of Kartli, testify to the existence of the office of *ezosmodzgvari*.

The office of ezosmodzgvari is mentioned in the Greek inscription from Mtsketa, which is dated between 2nd and 3rd centuries. From the inscription one learns that ezosmodzgvari Anagranes financed the construction of tomb for Iberian King Amazasp's wife.

Ezosmodzgvari oversaw the royal treasury and tax collection in Kartli/Iberia. Moreover, it is hypothesized that *ezosmodzgvari* was in charge of building activities initiated by the royal court. Besides the administrative functions, *ezosmodzgvari* participated in military campaigns. According to the bilingual inscription, *ezosmodzgvari* Iodmangan participated in several victorious military expeditions. Armazi bilingual inscriptions infer that the office of *ezosmodzgvari*, like the office *spaspeti* (commander of the chief of the army), was allocated only to the members of the royal house.

აკრძალვები ყივჩაღებში

იაროსლავ პილიპჩუკი, მ. დრაგომანოვას სახელობის
უნივერსიტეტის ლექტორი კიევი, უკრაინა

აბსტრაქტი: ნაშრომი ეძღვნება ყივჩაღების აკრძალვებს და მათ დარღვევაზე პასუხისმგებლობის აღწერას. დარღვევები, რომლებიც ეხებოდა ძალაუფლებას (ღალატი, დაუმორჩილებლობა) ან ინტიმურ სფეროს (ჰომოსექსუალიზმი და მრუშობა), ისჯება სიკვდილით. მაგიური აკრძალვების დარღვევა ასევე ისჯება სიკვდილით. დასჯადი ქურდობა შედარებით ადვილი იყო, პასუხისმგებლობა არსებობდა ჯარიმის სახით. საბაჟო baranta/barimta ბარიმთა იყო უფლების აღდგენა ძალაუფლებით.

საკვანძო სიტყვები: ყივჩაღები, აკრძალვები, პასუხისმგებლობა, სიკვდილით დასჯა, ჯარიმა.

Запреты у кыпчаков

Пилипчук Я.В. доктор исторических наук,
старший преподаватель кафедры всемирной истории
и археологии исторического факультета
Украинского государственного университета
им. М. Драгоманова Киев, Украина.

Данная статья посвящена запретам у кыпчаков и описанию ответственности за их нарушение. Нарушения, касающиеся отношений власти (измена, нарушение подчиненности) и интимной сферы (гомосексуализм и супружеская измена) карались смертной казнью. Нарушение магических запретов также каралось смертью. Воровство каралось сравнительно легко, ответственность за него существовала в форме штрафа. Существование обычая баранта/барымта у кыпчаков было обусловлено невозможностью ненасильственно восстановить нарушенное права. Барымта являлась силовым восстановлением нарушенного права.

Одним из наиболее интересных аспектов истории кипчаков есть вопросы запрещенного в их обществе и ответственность за нарушение запретов. Этот аспект практически не исследован по причине нехватки свидетельств письменных источников. Б. Кумеков в одном из своих трудов вскользь упоминал о праве и наказаниях у кипчаков. Фрагменты его работы касались правовых качеств обычаев кипчаков [8]. Турецкий исследователь татарского происхождения Садри Маскуди исследовал тюркское право в целом. Обычно его наследие имеет большее значение для истории мусульманских тюркских стран и государств уйгуров, однако исследователь также затрагивал вопрос запретов у кочевых тюрок [15]. Вопросу магических запретов посвящены отдельные фрагменты работ А. Юрченко. Магические запреты были связаны с тюркской языческой религией, повседневными предубеждениями и предрассудками [22; 23]. Однако все запреты не были рассмотрены в комплексе. В данном исследовании мы попытаемся проанализировать все существовавшие у кыпчаков табу. Важно выяснить роль влияния религии на сознание кочевников, а также отметить роль баранты/баримты в юридической практике кочевников евразийских степей. Для реконструкции запретов у кыпчаков необходимо привлечь свидетельство о запрещенном у других кочевников. При выполнении исследования необходимо использовать компаративный метод, то есть сравнение с использованием определенных социальных практик в более ранних и поздних кочевниках Евразийской степи.

Кипчаки, как и другие тюрки, имели представление об определенных моральных и социальных нормах. В них господствовали нормы обычного права. У горцев Северного Кавказа он назывался адат, а у тюрок торе. У монголов правовые и социальные нормы были кодифицированы в ''Джасак'' Чингисхана. У кипчаков они существовали в устной форме и являлись обычным правом. Бейбарс рассказывал, что тюркская Яса выше монгольской. Таким образом, он считал тюркскую тору выше монгольского Джасака. Важно заметить, что у тюрок была поговорка о том, что государство может и погибнуть, а вот тору остается. Даже при отсутствии имперской или квазиимперской конфедерации, обычное право продолжало существовать. Б. Кумеков придерживается мнения о наличии кыпчаков социальных и правовых норм вроде монгольских. Это не кажется чем-то невероятным, тем более что нормы монгольского писанного права имели своими корнями обычное право монгольских кочевников [8, С. 477].

Попыткой сформировать отрицательный образ кипчаков некоторых хронистов было приписывание им сексуальной распущенности. Следует отметить, что представление о сексе у христиан, мусульман и язычников особенно отличалось. В письме фландрскому графу Роберту сохранившемуся в хронике Гиберта) византийский император Алексей Комнин писал, что печенеги и турки во время своих вторжений превращали церкви в конюшне, насиловали женщин и даже мужчин. Однако у Рогерия при описании миграции кыпчаков в Венгрию в 1239 г. нигде не описывались подобные случаи. Рогерий писал только, что кыпчаки похищали венгерских женщин. Однако и венгры похищали кипчачьих женщин [2; 10, С. 19].

Башкиры изготовляли фаллос из дерева и носили его как амулет на туловище и оправданно считали, что происходили от пениса (т.е. рождались от секса мужчины и женщины). Ибн Фадлан сообщал и о содомии у кочевников. Однако данный случай скорее свидетельствует о табу на такие отношения. Указывалось, что хорезмиец склонил сына тюрка к гомосексуализму и отец застал их при этом. Ибн Фадлан указывал, что гомосексуализм у тюрок жестоко наказывают. В этом отношении язычники мало отличались от представителей других религий. Обычно гомосексуалистов казнили. Но этот случай был одним из исключений. Отец не выдал своего сына на суд и именно тому хорезмийцу удалось уцелеть, заплатив выкуп за себя [20].

Жилище кочевника делилось на правую (женскую) и левую (мужскую) стороны. Следует заметить, что у тюрок также здание делилось на мужскую и женскую часть. Мужская называлась ак ей и на ее пространстве находился хозяин дома и мужья члены семьи. У тюркских кочевников (ногайцев, башкиров, казахов) юрта делилась на две части. Мужчина мог повесить колчан только на своей стороне и входить только со своей стороны, которое обозначалось вымением кобылы, в то время как вход с женской стороны обозначался вымением коровы. Женская часть называлась кара ей и там находились хозяйка. Обязанности женщины и мужчины четко разделялись. Кроме законной жены, кипчацкий муж мог заниматься сексом и с наложницей-рабыней. Среди кочевников обычной была полигамия и мужчина мог иметь столько женщин, сколько мог обеспечить. Гомосексуализм считался противоестественным, осуждался и карался. Гомосексуалисты если и были, то казнились [3, с. 78-79].

Джиованни де Плано Карпини отмечал как раз целомудрие женщин в обществе кочевников. Тот, кто прелюбодействовал, карался. Наказывали и мужчину и женщину. Подобные обычаи были у волжских булгар, которые, по данным Ибн Фадлана, также наказывали за прелюбодеяние. Подобная правовая норма существовала у древних тюрок. Гардизи отмечал, что карлукские женщины отличались целомудрием. Следовательно, Садри Максуди считал, что наказание за супружескую измену случалось среди тюрок крайне редко, поскольку тюрки придерживались установленной морали. Очевидно, Ибн Фадлан говорил об исключительных единичных случаях [20; 15, с. 274–275].

Кроме запретов, касающихся интимной сферы, у кочевников были распространены запреты, связанные с опаской мести со стороны Высших сил. Так одним из запретов было наступать на порог юрты. Под порогом юрты, по убеждению кочевников, жил хороший дух, который оберегал семью. При этом иностранцев предупреждали о непреходимости этого действия. Если человек наступал на порог юрты умышленно, то его казнили. Кочевники верили, что этим действием они могут навлечь на владельца юрты гнев Небес и что в юрту попадет молния. Если же человек это делал нечаянно, например в нетрезвом состоянии, он не карался. Запрещено было ходить к ветру в юрте. Запрещалось проливать мочу на огонь и воду. Это противоречило элементарным правилам гигиены и вере кочевников в священные свойства огня. Огонь по верованиям алтайских народов очищал человека от дурного. Проливать мочу на воду означало также вызвать на себя гнев божества Идук-Йер Суб (Священной Земли-Воды). Но особенно кочевники опасались мести Тенгри. Это опасение зафиксировано в хронике Мовсеса Каганкватцы [23, с. 126, 130-132, 138-139; 3, с. 80].

Ч. Валиханов указывал, что первая весенняя молния пользовалась у казахов почетом, поскольку она дарила людям и животным очищение. В китайской хронике ''Вэй-шу'' указано, что гаоцзюй (тюркские племена теле) уважали гром. Молния по верованиям алтайских народов была небесным огнем. В то же время место, куда попадала молния, считалось нечистым. Ибн Фадлан зафиксировал у волжских булгар обычай после попадания молнии в юрту, не касаться умершего и его вещей. Место, куда попала молния, считалось нечистым. Его должны были объезжать некоторое время на лошадях, чтобы выполнить ритуал очищения. Подобные обычаи зафиксировали у монголов Плано Карпини и Ц. Де Бридиа [22, с. 312-314, 317-318].

Запрещалось купаться в водоемах летом. Монголы полагали, что человек может совершать магические действия над водой и назовет беду на них. Интересно, что мамлюкский посол во время миссии в Среднее Поволжье получил совет от местных жителей не гладить одежду при людях. Послы могли стирать одежду подальше от глаз и использовали для этого снег. Любопытное наблюдение сделал и Ибн Фадлан. Во время пребывания в землях огузов арабским послам запрещалось совершать ритуальное омовение, так как огузы могли воспринять эти действия как вредоносную магию. Арабы делали свои дела ночью, когда никто ничего не видел. Кочевникам запрещалось даже мыть руки перед едой. По указаниям источников в отношении монголов, чжурчжэней и огузов простые кочевники не меняли одежды, пока он не на них не распался. Запрещалось проливать молоко внутри юрты. Если человек проливало молоко по верованиям кочевников, он мог навлечь гнев Небес в форме молнии. Запрещалось садиться на кнут. Кнут по тюркским и монгольским верованиям обладал магической силой. Кнутом можно было бить по ветру, надеясь, что он утихнет. Он должен был отгонять злых духов и воскрешать умерших. Камы использовали пугу во время камлания и при лечении больных. Также запрещалось ломать кости, поскольку их тоже связывали с представлениями о жизненной силе [19, с. 193; 23, с. 121-123, 126-128, 135-138; 20; 22, с. 310–313].

Также, наверное, не оставалось без наказания похищение женщин. К сожалению, нам неизвестны примеры, касающиеся кипчаков. Однако у нас есть интересный момент у монголов до того, как они приобрели писаное законодательство. В ''Тайной истории монголов'' указывалось, что меркиты напали на кочевье Темуджина и похитили у него жену - Борте-Фуджин. На это будущий вождь всех монголов спустя некоторое время ответил походом в союзе с кереитским Ван-ханом и своей андой Чжамухой. Похищение женщины могло привести к межродовой и межплеменной вражде [16, с.29-40].

Месть могло вызвать похищение скота. Скот кочевники обозначали тамгой, то есть было видно где чья собственность. Если вора ловили с награбленным, то он должен был возместить ограбленному вред десятью головами своего скота. Если вор не имел скота, то должен был отдать в рабство своего ребенка. Если же он был без детей, то сам должен был стать рабом. Обычай похищение скота был

типичным для кочевников, хотя и запрещен. Если то, что было совершено преступление, то виновная сторона должна была заплатить за это в десятикратном размере (так называемый штраф кун). Если виновники уклонялись от уплаты куна, то совет биев мог позволить пострадавшей стороне угнать скот у тех, кто их ограбил (у казахов этот обычай назывался barimta (чайтайское слово baranta – разбойничий набег)). Возможно, аналогом суда биев у казахов был суд беков у кипчаков. Аристократия была носителем власти и имела право воспринимать правовые решения. Для решения спорных вопросов собирался совет аристократов [8, с. 477; 19, с. 134—137; 21, с. 134—137; 5, с. 118–122].

Кроме того, барымта позволяла вернуть имущество и женщин. Преступления против личности также наказывались штрафами. Это практически ничем не отличалось от германских законов Раннего Средневековья. Если посмотреть текст той же тайной истории монголов, то меркиты считали себя в праве похитить Борте-Фуджин, поскольку отец Темуджина Есугей-багатур похитил у мерков Оэлун, которая стала мамой Темуджина и женой Есугея. При этом стоит отметить, что похищения были разными. Если мужчина похищал свою невесту, он мог отделаться штрафом. Если же мужчина похищал чужую или уже усватанную чужую невесту, то это было оскорблением для всего рода, чья невеста была похищена. Роду того, кто похитил женщину, угрожала баримта. Хотя при желаемом деле можно уладить калымом (определенным имуществом). Интересно, что похищение женщин не считалось чем-либо экстраординарным у казахов. Таким же могло быть отношение у кипчаков. Что характерно, кыпчаки в Венгрии могли похищать женщин венгров в ответ на похищение венграми кыпчакских женщин. Кипчаки могли угонять венгерских женщин и без повода. О том, что скифы, то есть кыпчаки, платили выкуп за женщину, писал Михаил Хониат. В обычном праве кавказских горцев было также понятие барымта. Очевидно, оно было заимствовано от тюрок. У горцев оно называлось и школ. Кредитор мог насильно отобрать имущество должника, если тот не платил. Подобные правовые нормы существовали даже у индоевропейских народов, например, у ирландцев. Таким образом, обычай барымты – это легализованное насильственное восстановление нарушенного права. Баранта была обычным явлением у мусульманских тюркских народов Центральной Азии. Эта традиция была еще домусульманской. Ф. Назаров называл барантой разбойничий набег по ночам для угона скота. Баримта рассматривалась как преступление оседлыми соседями кочевников [16, с. 29-31; 21, с. 134-137; 5, с. 118–122; 6; 18; 17, с. 96-97; 9, с. 3-20; 10, с. 19; 11; 1, с. 78–79; 25, P. 32-34; 26].

У кыпчаков существовал обычай кровной мести. Так ан-Нувайри и Ибн Халдун вспоминали, что между племенами токсоба была давняя вражда. Указано, что сын Котяна Мангуша охотился. Однако похоже он вышел за пределы владения своего племени и был убит Ак-Кубулем из токсоба. Это, в свою очередь, вызвало войну и токсоба пришлось просить о помощи у монголов. В общем, в кыпчакском обществе за убийство наказывали казнью [14, с. 541]. По свидетельству Михаила Хониата, никто не мог причинить зло человеку, помилованному вождем. Человеку, как охрана грамота, вручалась стрела. Стрела имела значение у тюрок подобно монгольской пайцзы. Стрела была символом власти. Так, каган западных тюркютов дал каждому из десяти правителей племен дулу и нушиби по стреле, что означало делегирование определенных полномочий. Десятистрельными тюрками также называли тюргешей. В кыпчакском социуме задевать человека со стрелой хана было опасно, поскольку это значило, что человек не придерживается субординации. Византийский православный клирик считал, что кипчаки более тщательно используют наставления Евангелия, чем христиане. Выполнение норм обычного права было вызвано опаской перед силой, которая может осуществить наказание. Неисполнение воли хана могло расцениваться как мятеж или предательство. За это была предусмотрена смертная казнь. Власть кагана или хана считалась дарованной небом. Нарушитель таким образом шел против воли Тенгри. Отношения субординации в обществе были связаны также с небесным порядком. Похищение невест, угон скота, нападение на соседей и кровная месть за убитых

членов племени или рода были обычным явлением и не считались чем-либо экстраординарным. Обиженные часто мстили своим обидчикам и войне не было конца. Кыпчакские племена находились в состоянии войны всех против всех. Только имперская власть вроде ханов Улуса Джучи могла обеспечить относительный порядок в Дешт-и Кипчаке [11; 18; 4, с. 238; 8, с. 477].

Другие источники указывают, что кочевники были склонны нарушать данные ими обещания. Анна Комнина сообщала, что ромеи брали заложников для того, чтобы обеспечить выполнение взятых на них условий перед битвой при Левунионе. Феофилакт Болгарский сообщал, что более ранние кочевники – печенеги были склонны нарушать договоренности. Однако не только они являлись жертвами нарушения договоров. Так однажды они договорились с кипчаками о совместном выступлении против ромеев. Конечно, кыпчаки согласились участвовать за определенные материальные выгоды. Однако кыпчаки вовремя не прибыли на поле боя и печенегам пришлось воевать самим. Когда печенеги победили ромеев, кыпчаки прибыли на поле битвы и потребовали своей доли добычи. Печенеги им в этом отказали, мотивируя это тем, что они не участвовали в битве. Тогда началась война, закончившаяся поражением печенегов. Правовыми нормами кочевники пренебрегали, чувствуя, что на их стороне сила. Поэтому среди тюркских кочевников продолжались длительные воины, обидам между отдельными племенами не было видно конца [18; 7, Книга 7, параграф 5, книга 8, параграфы 4-6].

Удержать кочевников от возбуждения клятв могли в результате магических обрядов, в которых важную роль играли жертвенные животные (как правило это были собаки или лошади). Сделки обычно заключались в устной форме. Соглашение скреплялось клятвой. Кочевники отмечали, что пусть они будут убиты как животные, если нарушат клятву. О таких клятвах у кыпчаков сообщали Жан де Жуанвиль и Раби Петахья. Существование подбиных присяг зафиксировано и якутов с енисейскими кыргызами во время русской колонизации [18; 7, Глава 8 Параграфы 4-6; 24, p. 96; 13; 15, с. 281–282].

Таким образом, мы пришли к следующим выводам: 1) Юридические нормы существовали в кочевых обществах в формах обычного права. У кыпчаков, как и у печенегов, волжских булгар-язычников и огузов не было писаного законодательства. Договоренности и запреты существовали в устной форме. Запреты у кыпчаков были разными и наказание за нарушение социальных норм было разным. Смертной казнью наказывались нарушения сообразования и измена. Запрещенными были гомосексуализм и супружеская измена. Смертью карались нарушения магических запретов, которые могли, по мнению кочевников, вызвать гнев небес в виде молнии, попадающей в юрту. Это воспринималось как наказание за нарушение установленных норм со стороны Тенгри; 2) Преступления, касающиеся имущества и похищение невесты обычно наказывались штрафом. Если штраф не выплачивался, пострадавший был в праве восстановить нарушенное право силой (этот обычай назывался баранта/баримта). Такое решение проблемы было характерно не только для одних тюрок. Восстановление силой нарушенного права было общечеловеческой практикой. Однако стороны могли договориться и без кровопролития, в форме выплаты какой-либо части имущества. Право наказывать и выносить юридические решения имела аристократия. Вместе с тем баранта/барымта было причиной многочисленных стычек между кочевниками. Имея на своей стороне силу, кочевники часто могли игнорировать запреты. Удержать их от этого могла власть сильного вождя или страх наказания со стороны. Исследования в сфере запрещенного у кыпчаков чрезвычайно перспективны, поскольку данная проблема еще недостаточно изучена и позволит заполнить существующую лакуну в социальной истории евразийских кочевников. Изучение юридической стороны данной проблемы позволит понять мировоззрение и мировосприятие кыпчаков.

Литература

1. Бобровников В.О. Обычай, шариат, рекет в письмах о ишкиле из Дагестана XVII-XIX вв./ О.В. Бобровников // История и современность. – №1 (11). – М., Учитель, 2010. – с. 78-98.
2. Василевский В.Г. Византия и печенеги (1048-1094)/ В.Г. Василевский // Труды В.Г. Василевского. – Т. 1. – СПб., 1908. Annales [Електронний ресурс]. Режим доступу. http://annales.info/byzant/vasiljevsk/1_02.htm#_Toc199962013 — Назва з екрану
3. Вайнштейн В.И. Мир кочевников Центра Азии/ В.И. Ванштейн. – М., ‚Наука’’, 1991. – 296 с.
4. Гумилев Л.Н. Древние тюрки/ Л.Н. Гумилев. – СПб.: СЗКЭО, Издательский дом ’’Кристалл’’, 2002. –576 с.
5. Ибрагимов Ж.И. Суд биев – как институт защиты прав человека/ Ж.И. Ибрагимов // Права человека как высшее достояние человечества: Сборник материалов международной научно-практической конференции. Астана, 2 декабря 2011 г. – М., РУДН, 2012. – с. 118-122.
6. Исмаилов М.А. Эволюция системы налогообложения пошлин и податей Дагестана. От Кавказской Албании до Дагестанской области/ М.А. Исмаилов // Історія торгівлі, податків та мита. Збірник наукових праць. – №1. – Дніпропетровськ: Дніпропетровський національний університет імені Олеся Гончара, 2010. – с. 139-150.
7. Анна Комнина. Алексиада / Пер., вступит. статья, комм. Любарского Я.Н. – М.: Наука, 1965. – 688 с. Alanica. [Електронний ресурс]. Режим доступу. http://www.alanica.ru/library/Komn/text.htm — Назва з екрану
8. Кумеков Б.Е. Кыпчаки: хозяйство, общественный строй, племенной состав / Б.Е. Кумеков// История татар. – Т. 2: Волжская Булгария и Великая Степь – Казань: Институт истории им. Ш. Марджани, 2006.– с. 472-481.
9. Ларина Е.И., Наумова О.Б. Кража – это вечный наш обычай. Умыкание невесты у российских казахов/ Е.И. Ларина, О.Б. Наукмова // Этнографическое Обозрение. – №5. – М.: ,,Наука’’, 2010. – с. 3-20.
10. Магистр Рогерий. Горестная песнь о разорении венгерского королевства татарами. – СПб.: Дмитрий Буланин, 2012. – 304 с.
11. Назаров Ф. Записки о некоторsх народах и землях средней части Азии/ Ф. Назаров. – М.: Наука, 1968. – 66 с. Lib.ru [Електронний ресурс]. Режим доступу. http://az.lib.ru/n/nazarow_f_m/text_1821_zapiski.shtml— Назва з екрану
12. Никишенков А. Традиционный этикет тюркоязычных народов Европейской России. Татарский мир [Електронний ресурс]. Режим доступу. http://www.tatworld.ru/article.shtml?article=636&section=0&heading=0- Назва з екрану
13. Кругосветное путешествие Петахьи Регенсбургского. // Три еврейских путешественника / Пер. и прим. П.В. Марголина –М. : Мосты культуры; Jerusalem: Gesharim, 2004.’’Восточная литература’’. [Електронний ресурс]. Режим доступу. http://www.vostlit.info/Texts/rus15/Petach_Regensburg/text.phtml?id=1083 — Назва з екрану
14. Тизенгаузен В.Г. Сборник материалов, относящихся к истории Золотой Орды/ В.Г. Тизенгаузен. — СПБ. : Издано на иждевении С.Г. Строганова, 1884. — Т.I: Извлечения из сочинений арабских. — XVI, 563, [1] с.
15. Садри Максуди Арсал. Тюркская история и право/ Арсал Садри Максуди. – Казань: Фэн, 2002. – 412 с.
16. Сокровенное сказание монголов. М. Товарищество научных изданий КМК, 2002. – 156 с.

17. Стасевич И.В. Брак и семья у казахов в конце XIX – начале XXI вв. Время и традиция/ И.В. Стасевич // Центральная Азия: Традиция в условиях перемен. – №2. – СПб.: МАЭ РАН, 2009. – с. 93-111.
18. Хониат Михаил 2009 – Византийцы и их соседи в проповедях Михаила Хониата // Причерноморье в средние века. – Вып. VII. –М.: Изд-во московского ун-та, 2009. Из XIII огласительной беседы Михаила Хониата. Восточная литература. [Електронний ресурс]. Режим доступу.http://www.vostlit.info/Texts/rus3/Honiat_2/text.phtml?id=7931 – Назва з екрану
19. Хуббутдинова Н.А. Художественное отражение обычая барымта в повести Абдряш П.М. Кудряшова (к проблеме русско-башкирских фольклорных связей) // Вестник Челябинского государственного университета. – Вып. 13 (151). Филология. Искусствоведения. Челябинск: Изд-во Челябинского университета, 2009. – с. 134-137.
20. Путешествие Ибн-Фадлана на Волгу / [Перевод и комментарии А.П.Ковалевского.] Под редакцией И.Ю.Крачковского. – М.-Л.: Изд. Академии наук СССР, 1939. – 228 с.''Библиотека электронных ресурсов Исторического факультета''. [Електронний ресурс]. Режим доступу. http://www.hist.msu.ru/ER/Etext/fadlan.htm — Назва з екрану
21. Федотова Т. Суд биев как демократический институт отправления правосудия в казахском традиционном обществе. // Вестник Челябинского государственного университета. – Вып. 3 (76). –Челябинск: Изд-во Челябинского университета, 2006. – с. 134-137
22. Юрченко А.Г. Империя и космос: Реальная и фантастическая история походов Чингис-хана по материалам францисканской миссии 1245 года. – СПб. Евразия, 2002. – 432 с.
23. Юрченко А.Г. Между Ясой и Кораном. Начало конфликта. Книга-конспект. – СПб. Евразия, 2012. – 368 с.
24. Golden P.B. Wolves, Dogs and Qipchaq religion // Acta Orientalia Academiae Scientiarium Hungaricarum. – Vol. 50 (1-3). – Budapest: Akademia Kiado, 1997. – P. 87-97
25. Martin V. Barymta: Nomadic Custom, Inperial Crime // The Russian Orient: Imperial Borderlands and Peoples. – Washingrton D.C.: University of California, University of New Orleans, 1995. – P. 32-34.
26. Martin V. Law and Custom in the Steppe: The Kazakhs of the Middle Horde and Russian Colonialism in the Nineteenth Century. – Richmond: Taylor and Francis, 2001. – 244 p.

Prohibitions of Qipchaqs

Pylypchuk Ya.V.Doctor of Historical Sciences,
Senior Lecturer. Department of World History
and Archeology Faculty of History. Ukrainian State
DragomanovUniversity Kyiv, Ukraine

Summary: This paper is devoted on prohibitions Qipchaqs and description of responsibility for their violation. Violations, that concerned the relations of power (treason, insubordination) or intimate sphere (homosexuality and adultery), punishable by death. Violation of magical prohibitions also punishable by death too. Stealing punishable relatively easy, responsibility existed in the form of a fine. The existence of custom baranta/barimta was not due to the inability to force a way to restore the violated rights. Barimta was restoration of the right by power.

Key-words: Qipchsaqs, prohibitions, responsibility, death penalty, fine, barimta.

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქიის 21 კათედრის ადგილმდებარეობა და აბისინიის (აბაშელთა) ეკლესიის შესახებ

სტუ-ს დოქტორანტი ნუგზარ ვანიშვილი

აბსტრაქტი: საბჭოთა ისტორიოგრაფიაში და დღევანდელ სასკოლო-საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებში ფესვებგამდგარია აზრი და სწავლება, რომ თითქოსდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქიის კათედრები მე-10-მე-11 საუკუნეებამდე მდებარეობდნენ ზუგდიდი-ბაღდათი-ქობულეთი-ფოთი-ოჩამჩირის სამკუთხედში, ანუ დღევანდელ დასავლეთ საქართველოში. აღნიშნული საკითხი და შეცდომა აკნინებს საქართველოს ისტორიას, ამცირებს მის ისტორიულ გეოგრაფიას და იმ ეპოქის ქართველთა რიცხოვნებას... და უმთავრესი, ბრალს სდებს საქართველოს სამოციქულო ეკლესიას პროზელიტიზმში, ანუ კრებათა მიერ არაერთგზის დაგმობილ საეკლესიო დანაშაულში.

პროფესორმა, მიტროპოლიტმა ანანია ჯაფარიძემ თავისი მრავალი ნაშრომით (საიდანაც განსაკუთრებით აღსანიშნავია სქელტანიანი წიგნები „საეპისკოპოსოები ლაზიკაში“ და „ქალდეა“) დაასაბუთა, რომ ლაზიკის ეპარქია იყო განფენილი ტრაპეზუნტას რეგიონიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, ანუ ერზერუმ-ბასიანის მიმართულებით და ვიდრე ვანის ტბამდე. საეპისკოპოსო ნოტიციებში (ანუ ნუსხებში) ჩამოთვლილი კათედრა-ქალაქებიდან მან მოიძია და განსაზღვრა უმრავლესი მათგანის ზუსტი ადგილმდებარეობა. დაასაბუთა კათედრათა ზუსტი ლოკაციები არა მხოლოდ ისტორიული დოკუმენტებით, არამედ მომიჯნავე მეცნიერებათა მასალებითა და ცნობებით. მიტროპოლიტ ანანიას კვლევა დასკვნები საკმარისიც არის, რათა განისაზღვროს ლაზიკის ეპარქიის მდებარეობა და დედაეკლესიის უბრალოება პროზელიტიზმის ბრალდებაში.

მაგრამ გამოიკვეთა ახალი მასალები, წყაროები და ლიტერატურა ამ ვრცელ რეგიონში, (ანუ ტრაპეზუნთა-ქალდეადან ვანის ტბამდე და არარატის ფერდებამდე) არსებული ტაძრების, ქალაქების, ანკლავების, ეთნოჯგუფების შესახებ. ვიკვლევთ რა თურქულ, სპარსულ, არაბულ, ბერძნულ, ქურთულ, სომხურ და ქართულ ისტორიულ და გეოგრაფიულ ლიტერატურას, შესაძლებელი გახდა დავადგინოთ ზუსტი ადგილმდებარეობა ყველა, ანუ ნოტიციებში მოხსენიებული 21 კათედრისა. მათგან განსაკუთრებულად საგულისხმო გვეჩვენა აბისენელთა ეკლესიის მდებარეობა. Ecclesia Abissenorum. (ლათ), Εκκλησία Αβισσηνων(ბერძნ). იგივე წინა ნოტიციებში მოხსენიებული როგორც საისინელთა ანუ საისინის ეკლესია, Σαιαηνων, Σαισσινων (Saissinon).

დიდი მეცნიერი ს.ყაუხჩიშვილი ვარაუდობს და აბისენელთა ეკლესიას აიგივებს ცაიშის ეკლესიასთან. ხოლო სიტყვა „აბისენონზე“ ვარაუდობს, რომ იგი სახეცვლილი, სემანტიკურად გადაკეთებული ან შეცდომით დაწერილი სიტყვა „საისინონ“ არის. ჩემი კვლევითა და აღმოჩენით აბისენია (და მისი კათედრა) არის იგივე ადრეშუასაუკუნეების აბაშეთი, რომელსაც მოიხსენიებს ჯუანშერი და რომელიც დიდებითა და წარმატებებით დალაშქრა დიდმა მეფემ წმ. ვახტანგ გორგასალმა.

საკვანძო სიტყვები: კონსტანტინოპოლი, ლაზიკის ეპარქია, აბისინია.

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქიის გეოგრაფიული განფენილობა და მისი კათედრების ზუსტი ადგილმდებარეობის დადგენა უმნიშვნელოვანესი საკითხია იმდენად, რომ პროზელიტურობის ცრუ ბრალდება მოეხსნას საქართველოს სამოციქულო ეკლესიას. რომ ობიექტურად გაიზარდოს იმ ეპოქის დროინდელი ჩვენი ეკლესიის იურისდიქციის სივრცეები და ქართული სახელმწიფოს საზღვრები. ამ ეტაპზე და ბოლო საუკუნის განმავლობაში გამარჯვებულია თეორია, რომ თითქოსდა ლაზიკის ეპარქია ვრცელდებოდა დღევანდელ დასავლეთ საქართველოში და მისი კათედრები მდებარეობდნენ ვარციხეში, ცაიშში, ფოთში, გუდავაში ანუ ოჩამჩირესთან, ციხისძირში ანუ ჩაქვთან.

საბჭოთა ეპოქის ისტორიოგრაფიამ ხილული შეცდომები დაუშვა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს კათედრების ლოკალიზაციაში.

მიტროპოლიტმა ანანია ჯაფარიძემ თავისი ვრცელი კვლევა-ნაშრომებით და გამოცემებით (მაგ.: „საეპისკოპოსოების ლაზიკაში“, „ქალდეა“ და ა.შ.) დაადასტურა არსებული თეორიის უზუსტობა და დაასაბუთა, რომ ლაზიკის ბერძნული ეპარქია მდებარეობდა არა დასავლეთ საქართველოში, არამედ განფენილი იყო დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე, კერძოდ, ტრაპეზუნთას რეგიონიდან აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, ვიდრე კარნუ-ბასიანსა და ვანის ტბის მიდამოებზე. მის კვლევებში უკვე განხილულია და ლოკალიზებულია ბერძნულ საეკლესიო ნუსხებში მოცემული ლაზიკის მრავალი ცნობილი კათედრა და ქალაქი, კერძოდ, როგორიცაა ფასისი, როდოპოლისი, პეტრა, ზიგანა, პაიპერი, ანდაკი, ლერიონი, ხერიანა, ფასიანა, ბიზანა, სამიტროპოლიტო ცენტრი ტრაპეზუნთა და ა. შ. ცხადია, აღნიშნული მიკვლევა სრულ სურათს იძლევა ტრაპეზუნთადან ეპარქიის განფენის მიმართულებაზე და სივრცეებზე.

მაგრამ, საეპისკოპოსო ნუსხებში ასევე მოცემულია რამდენიმე ისეთი კათედრა, ქალაქი, ტოპონიმი, ანკლავი („ანკლავი“ - ციტატაა ლიტერატურიდან), რომელნიც მეუფე ანანიას კვლევებში მოხსენიებული აქვს, მაგრამ მათი ადგილმდებარეობა აღარ განუხილავს, რადგან დანარჩენი კათედრა-ტოპონიმის დიდი უმრავლესობის მოძიება საკმარისიც არის იმის დამადასტურებლად, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქია ტრაპეზუნთა-ერზერუმის-მანასკერტისა და ვანის ტბის რეგიონში იყო და არა დასავლეთ საქართველოში.

დიდი უმრავლესობა ნუსხებში მოხსენიებული კათედრა-ქალაქებისა სხვა ისტორიკოსებს მოძიებული არც აქვთ. ძირითადად და ამასთანავე არასწორად ახდენენ მხოლოდ ფასისის, ზიგანას, როდოპოლისის. პეტრას, საისინ-აბისენას ლოკალიზებას. თვით ძვ. ბერძნული ტექსტების მთარგმნელი და კომენტატორი, დიდი მეცნიერი ს. ყაუხჩიშვილი გვაწვდის რა საეკლესიო ნუსხების ქართულ ვერსიას არაფერს გვიწერს ხსენებული 21-დან 15 კათედრა-ტოპონიმის რაობა-ლოკალიზაციის შესახებ. მეტიც, იგი ამ თემის განხილვისას გვერდის სქოლიოში წერს, რომ **„ამ კათედრათა ცენტრების** (იქვე ჩამოთვლილია რამდენიმე კათედრა 15-დან) **სახელწოდებათა** (ანუ შესაბამისად მდებარეობათა) **გარკვევა ამჟამად ჩვენს მიზანს არ შეადგენსო“** (გეორგიკა. მე-4 ტ. მე-2 ნაკვ. გვ 199.).

რაც შეეხება დანარჩენ კათედრებს. კონკრეტულად, მაგალითად, **„აბისენიის ეკლესიის“**, ანუ ქართულად „აბაშელთა ეკლესიის“ (იგივე უმეტეს ნუსხებში მოხსენიებულ **„საისინის“.** იქვე. გვ.144. იხ. სქოლიო.) შესახებ ს. ყაუხჩიშვილი უშვებს ვერსიას (იქვე. გვ.185-186), რომ ეს შესაძლოა ყოფილიყო სამეგრელოს ქალაქ აბაშაში, თუმც იქვე უარყოფს ამის ალბათობასაც კი, იმაზე დაყრდნობით, რომ აბაშაში არასოდეს ყოფილა საეპისკოპოსო ცენტრი და სახელწოდება „აბაშა“ გაცილებით ახალია ნუსხების შედგენის ეპოქებზე. (ამაზე მსჯელობა და დასტური შესაძლოა გარემოს, მხარის გეოლოგიითა, მელიორაცია ჭაობთა დაშრობის დოკუმენტური მასალებითაც). ხოლო „საისინის კათედრის“ იდენტობას ახდენს ზუგდიდის რაიონის ცაიშის კათედრასთან, სადაც უმთავრესი არგუმენტია ის, რომ ცაიში ძალზე ჰგავს სიტყვას „საისინ“. (იქვე. გვ.188-189). ხოლო სახელი **საისინ** ერთ ნუსხაში შეცდომით და სემანტიკური ცვლილებით გადაკეთდა **„აბისინონად“** და მასშიც ცაიში იგულისხმებაო (ჟღერსა და იკითხება კი როგორც **აბაშელთა** ან **ავაშელთა)** - განმარტავს ს. ყაუხჩიშვილი. ჩემი **კვლევის სიახლე და ერთ-ერთი მიზანი** მდგომარეობდა სწორედ ამაში, რომ ზუსტად განგვესაზღვრა ბიზანტიის საეპისკოპოსო ნუსხებში (ნოტიციებში) ხსენებული 21-ვე ტოპონიმის ადგილი რუკაზე. **იხილეთ წარმოდგენილი რუკა: კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქიის კათედრების განფენა.** შემდგომ მიკვლეულ გეოგრაფიულ წერტილებში მოხდეს შუასაუკუნეების ეკლესიათა და არქეოლოგური მასალათა მოძიება.

საქართველოში აღნიშნული საკითხის ერთ-ერთ პირველ და უმნიშვნელოვანეს მკვლევრად ითვლება დიდი მეცნიერი სიმონ ყაუხჩიშვილი. მან 1950-იანი წლების დასაწყისიდან თარგმნა და

გამოსცა ბერძნული ლიტერატურა და ცნობები საქართველოს შესახებ და იქვე განიხილავს მათ, ურთავს კომენტარებს. დიდ და ვრცელ გამოცემაში „გეორგიკა“ ს. ყაუხჩიშვილი გვაწვდის თარგმანს საეპისკოპოსო ნოტიციისა:

ლაზიკის ეპარქია (ანუ პროვინცია): კათედრები 1. ფასისი. 2. როდოპოლისი, 3. პეტრა, 4. ეკლესია აბისენისა. 5. ეკლესია ზიგანასი. ხოლო ეს პროვინცია განფენილია 16 ანკლავზე (ანუ ქალაქებზე, ანუ მხარეებზე). 1. ხერიანი, 2. ხამაძური, 3. ხახეი, 4. პაიპერტი, 5. კერამევი, 6. ლერიონი, 7. ბიზანა, 8. საკაბუსი, 9. ხავიძატი, 10. ხანძიორძი, 11. ოლნუტი, 12. ფასიანი, 13. ტოჩანტირე, 14. ტოსერმანძი, 15. ანდაკი, 16. ზარინაკი. (გეორგიკა: 4 ტ, 2 ნაწ, გვ.185. და გვ 145. ასევე გვ. 165. 1952 წ). აღნიშნული ნოტიცია ასახავს მე-9 მე-10 საუკუნის მდგომარეობას. (ჩვენი საკვლევია 12 ნუსხა ნოტიცია შედგენილნი მე-7-11 საუკუნეებში, სადაც იხსენიება ლაზიკის ეპარქია)

იქვე იგი ასკვნის, რომ, მაგალითად, ფასისის კათედრა იყო ფოთის ადგილას, როდოპოლისისა დღევანდელი ბაღდათის რაიონში, პეტრა იყო დაბა ჩაქვის მახლობლად სოფ. ციხისძირში, ზიგანას ეკლესია ოჩამჩირეს სოფ. გუდავაში. ხოლო აბისენიის ეკლესიაზე გამოთქვამს ვარაუდს, რომ შესაძლოა აბისენია ნიშნავდესო აბაშას, თუმცაღა იქვე უარყოფს ამის რეალურობას, რადგან აბაშას სახელწოდებით საქართველოში საეპისკოპოსო კათედრა არ ყოფილაო და ეს ტოპონიმიც იმ რეგიონში გაცილებით გვიანდელია.

ჩვენი საკვლევი თემის წყარო შერჩეულიცა და მოპოვებულიც მხოლოდ ერთადერთია, ესაა ის საეპისკოპოსო ნუსხები (ნოტიტია ეპისკოპატუუმ), რომელსაც კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ადგენდა იმ საუკუნეთა განმავლობაში. ეს წყაროები, ანუ ნოტიციები ლაზიკის ეპარქიის შესახებ სრულიად შესწავლი გვაქვს. მუშაობის პროცეში კი ხდება მასში მოცემული სახელდებების, განსაზღვრებების მოძიება სხვადასხვა ეპოქის, სხვადასხვა მეცნიერის ლიტერატურაში და სხვადასხვა ენაზე და მათი შეჯერება. მათი პოვნა-ლოკალიზაცია და სხვა მონაცემები. **ლაზიკის ეპარქიის ადგილმდებარეობის დადგენას ვიწყებთ პირველწყაროდან.** კერძოდ, კონსტანტინოპოლის ეკლესია ადგენს საეპისკოპოთა ნუსხებს (ნოტიტია ეპისკოპატუუმ). აღნიშნული მაგალითად თარგმნილი, განხილულია ვრცელ და მოცულობით გამოცემაში „გეორგიკა“ ს. ყაუხჩიშვილს. ასევე ვიკვლევთ ბერძნულ ორიგინალ ტექსტებს. კონკრეტულად ლაზიკის შესახებ ნოტიციების მუხლებში არსებული სიტყვების-სახელების-ტოპონიმების მნიშვნელობას, ეტიმოლოგიას, ჟღერადობას, ფუძეს. აღნიშნული ნოტიციები მრავალ ენაზეა ნათარგმნი გასული 4-5 საუკუნის განმავლობაში. ვადარებ ერთმანეთს სხვადასხვა ენაზე მოცემულ ერთი მნიშვნელობის სიტყვას. ეს ენებია ბერძნული, ლათინური, ინგლისური, ქართული, სპარსული, სომხური, თურქული, ქურთული, რუსული. მაგალითად, ხელთ გვაქვს ინგლისელი მეცნიერისა და სწავლულის, სასულიერო პირის ჯოზეფ ბინგჰამის წიგნი, რომელიც 1740 წელს ოქსფორდში გამოიცა, განმეორებით კი 1856-ში. წიგნის სახელწოდებაა: **ქრისტიანული ეკლესიის სიძველეები.** The Antiquities of the Christian Church Joseph Bingham (1668 – 1723). წიგნში 402-ე გვერდზე ზემოთ მოყვანილი ნოტიციიდან ამონარიდის ინგლისური ვერსიაა და ასეა ჩამოყალიბებული: **Province of Lazica** 1.Phasis. 2. Rhodopolis. 3. Petra. 4. Ecclesia Abissenorum. 5. Ecclesia Ziganeorum. But un Leunclavius there are reckoned sixteen in the province. 1. Trapezus, the metropolis. 2. Cheriana. 3. Chamuzur. 4. Chachaeum. 5. Paiper. 6. Ceramea. 7. Tochatziti. 8. Bizana. 9. Sacabus. 10. Phasiana. 11. Tochantierz. 12. Toulnutus. 13. Lerium. 14. Tosermatzus. 15. Andacta. 16. Zarima.

ამ რეგიონისა და ეპარქია-ეკლესიებისათვის იმ ეპოქაში ლაზიკა-იბერიის დარქმევა ხომ ცალსახად მიანიშნებს იმას, რომ მრავალად იყო ლაზურ-იბერიული მრევლი, მმართველობა, გავლენა და ღვაწლი.

ნოტიციების ტექსტის სხვადასხვა ენაზე თარგმნა მოპოვება გვეხმარება ლოკალიზაციის დადგენაში. ამ მეთოდით უახლოეს წარსულში მივაკვლეთ კათედრას სახელად **საკაბუსი,** რომელიც ქალაქ აღრის მიმდებარედ მდებარეობს, არარტის მთის დასავლეთ კალთებზე.

თანამედროვე ინტერნეტრესურსები და მრავალი ბიბლიოთიკის ონლაინწვრობა დიდი სარგებელია მსგავსი საკითხების კვლევებში. ვფიქრობთ, ასეთის მსგავსი გახსნილობა, რესურსები და წვდომა რომ ყოფილიყო საბჭოთა დროში, ჩვენი მეცნიერები გაცილებით დიდ აღმოჩენებს გააკეთებდნენ და ზუსტ დასკვნებს დადებდნენ.

როგორც ბერძნული საეპისკოპოსოთა ნუსხებდან ვიგებთ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქია, მისი 5 უმნიშველოვანესი კათედრა და იურისდიქცია განფელილია 16 ქალაქზე. როგორც აღინიშნა მიტროპოლიტმა ანანიამ უკვე დაასაბუთა ლაზიკის ეპარქიის განფენილობის მიმართულება ტრაპეზუნთადან, ანუ სამიტროპოლიტო ცენტრიდან, ანუ მიმართულება ცენტიდან აღმოსავლეთ და სამხრეთ აღმოსავლეთის სექტორით. ამით მან დაძლია საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიერ დაშვებული შეცდომა რომ თითქოსდა ლაზიკის ეპარქია მდებარეობდა ციხისძირი-ბაღდათი-ზუგდიდი-ოჩამჩირე-ფოთის მრავალკუთხეთის ტერიტორიაზე. სქელტანიანი შრომა „საეპისკოპოსოეი ლაზიკაში“ სრულიად აქარწყლებს ყველა არგუმენტს, რომ თითქოსდა დღევანდელ დასავლეთ საქართველოში იყო ლაზიკის ეპარქიის განფენა და იურისდიქცია. მაგრამ არც მიტროპოლიტ ანანიას, არც ს. ყაუხჩიშვილს და არც უცხოელ მკვლევრებს არ აქვთ კომენტირებული, სად შეიძლებოდა ყოფილიყო ნოტიციის უმნიშვნელოვანესი კათედრა (ხუთიდან ერთ-ერთი): **აბისენელთა ეკლესია**. Ecclesia Abissenorum. (ლათ.), Εκκλησία Αβισσηνων (ბერძნ). იმავე წინა ნოტიციებში მოხსენიებული როგორც **საისინელთა, ანუ საისინის ეკლესია**, **Σαιαηνων**, **Σαισσινων** (**Saissinon)** მიტროპოლიტ ანანიას დეტალურად აქვს დახასიათებული ნოტიციის ამავე ჩანაწერის მსგავსი მეორე სახელწოდება და ლოკალიზებული მისი ადგილი - **ზიგანელთა ეკლესია.** Ecclesia Ziganeorum. ანუ ერთ კუთხეს დიდი ლაზიკის ქვეყნისა, ზიგანელებს ჰქონდათ თავიანთ მხარეში კათედრა. ზიგანა ტრაპეზუნთას სამხრეთით დღესაც მხარეა, მთიანეთის სახელწოდებაა, ასევე ქალაქისა, ტბისა, მიკრორეგიონისა. შედარებისათვის ეს ისეთივე ნაწილია, მაგალითად, ლაზიკისა ან იმავე ჭანეთისა, როგორი ნაწილიცაა კახეთისათვის ქიზიყი, ან ქართლისათვის სამაჩაბლო, ან ვრცელი სამეგრელოსათვის სამურზაყანო. ანუ ქალაქ ზიგანაში არსებულ კათედრას ნოტიციები მოიხსენიებენ არა ერთი სიტყვით როგორც მაგალითად „პეტრა“ ან „როდოპოლისი“, არამედ როგორც მცირე მხარის, ქვეეთნოχგუფის, მიკრორეგიონის ეკლესიას ანუ **ზიგანელების ეკლესიას**. თვითონ დიდი მეცნიერი და მთარგმნელი ს. ყაუხჩიშვილიც აღნიშნავს, რომ კათედრის სახელწოდებები (ზიგანეონ და აბისსენონ) მრავლობით რიცხვშია წარმოდგენილი, ანუ აბისენელთა, საისინელთა, ზიგანელთა.

მეუფე ანანიას მოკვლევის თანახმად, ჩვენთვის უკვე სრულიად ცნობილია თუ სად იყო ზიგანას კათედრა. საბედნიეროდ სახელი-მხარე-ტრადიცია-კვალი დღემდე შენარჩუნებული არის ძვ. ჭანეთის მხარეში. და ფაქტობრივად მანდედანვე იწყებოდა-იშლებოდა აღმოსავლეთისაკენ ლაზიკის ეპარქია. ხოლო **აბისენელთა მხარის-ხალხის-რაობის დადგენა,** რომელიც კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს უდიდეს ნაბიχს გადაგვადგმევინებს სფეროს სრულ კვლევაში. **გადაიჭრება უმთავრესი პრობლემა** ნოტიციების სრული გაშიფრვისა, მაშინდელი ტოპონიმების ზუსტი ლოკალიზებისა. ნოტიციაში ხსენებული 21-ვე ტოპონიმის რუკაზე დასმით შემოიფარგლება ლაზიკის ეპარქიის საზღვრები და ობიექტური ადამიანების თვალში მაინც მოიხსნება ცრუ ბრალდება ქართული ეკლესიისადმი, რომ იგი თითქოსდა სხვის იურისდიქციაში შეიჭრა ოდესმე. როგორც დავწერე, აღნიშნული ნოტიცია, მეუფე ანანიასაგან საკმარისად განხილულია და არსი გამოვლენილია, მაგრამ **წინამდებარე და ამ ეტაპის კვლევის საგნად დავისახე:** 2) მიმეკვლია ამ ჩამონათვალში (ანუ საეპისკოპოსო ნოტიციებში) ხსენებული ეკლესიის-კათედრის-მხარე-ქალაქისათვის სახელწოდებით: **საისინელთა ანუ საისინის ეკლესია**, **Σαιαηνων**, **Σαισσινων** (**Saissinon**) შემდგომ ნოტიციაში კი **აბისენელთა ეკლესია**. Ecclesia Abissenorum. (ლათ), Εκκλησία Αβισσηνων (ბერძნ.). მე-10 ნოტიციაში ხსენებული ლაზიკის ეპარქიის N4 კათედრა: **ეკლესია აბისენორუმ.**

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეპისკოპოსოთა ნუსხების გაცნობისას იმთავითვე ჩნდება კითხვა და კვლევის ინტერესი, თუ რას უნდა ნიშნავდეს საეპისკოპოსოთა ჩამონათვალში ადვილად გასაგები ფასისის-პეტრას-როდოპოლისის გვერდით მოხსენიებული „ეკლესია აბისენორუმ“ (4. Ecclesia Abissenorum - ლათინურად) და „ეკლესია ზიგანეურუმ“ (5. Ecclesia Ziganeorum- ლათ.). ა) Εκκλησία Αβισσηνων (და Εκκλησία Αβισηνων) – Εκκλησία **Σαιαηνων,** Εκκλησία **Σαισσινων** (Saissinon) ასეა მოცემული ეს სიტყვა-სახელწოდება ბერძნულ ნოტიციებში. როგორც ბერძნულ, ისე ლათინურ ვერსიებში სახელწოდება ასე ითარგმნება: საისინელთა ან საიანელთა, შემდგომ კი „აბისენელთა ეკლესია“. ასეთივე თარგმანი ექნება მოხსენიებულ მეორე ეკლესიასაც, ანუ „ზიგანელთა ეკლესია“. უდავო არის ის, ფასისი-პეტრა-როდოპოლისი ბიზანტიური ციხე-ქალაქ-კათედრებია. ხოლო საისი-საისელნი და „აბისენა“-აბისენელნი და „ზიგანა“-ზიგანელნი მხარე-კუთხეებია, სადაც რაიმე სახით ან ნიშან-თვისებით განსხვავევული ხალხი ცხოვრობს, განსხვავებულნი შესაძლოა მაქსიმუმ ეთნიკურობით, წარმომავობით და მინიმუმ საცხოვრისი გარემოთი ან გარეგნობით.

ჩემ მიერ, პირველ რიგში, მოძიებულ იქნა ნოტიციების ტექსტების თარგმანნი და ტოპონიმ-კათედრების შესატყვის-გამოთქმანი საკვლევი რეგიონის ხალხების სხვადასხვა ენაზე. მოვახდინეთ მოძიებული კათედრების ადგილმდებარეობის დადგენა და დატანა რუკაზე. შემდგომ მოვიძიეთ ისტორიული წყაროები იმის დასადგენად, თუ რა ტომები, რა ხალხები, რა ქვეყნები და ვასალი სახელმწიფოები ფარავდა ანკლავების-ქალაქების-ეკლესიების წერტილებს.

(იხილეთ რუკა: კონსტანტინოპოლის ეკლესიის ლაზიკის ეპარქიის განფენილობა)

1. ერზინკას (ეზინჯანის) აღმოსავლეთით, კარნუქალაქის (ერზერუმის), მარდალისა და ფასიანის სამხრეთით, არარატის ანუ კარდუანის მთების სამხრეთ-დასავლეთით ვანის ტბის ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთით, ტარონისა და პიზნიუნქის და გარკის ჩრდილოეთით ძევს ვრცელი მხარე, რომელიც დასახლებულია არაბული-მუსულმანური ხალხით. მათი სახელწოდებაა ცაისინ ანუ კაისინ ტომი, **მათ ენაზე „ქაისინ“,** ცაისიკები ანუ კაისიკები.

სომხები ამ მხარეს უწოდებენ აპახუნიკს, რაც ძალიან ახლოსაა სიტყვასთან აბაშ-უნიქთან.

ბერძნულ წყაროებში კი მოიხსენიები როგორც „აბახუნის“, რაც ასევე სემანტიკურად ახლოს მდგომია აბეშინიასთან. (აბესინორუმ).

არაბულ ენაზე ვისმენთ რა ამ სიტყვას „ القيسيين „ იგი ჟღერს როგორც **ქაისიინა-საისიინა.** ანუ რეგიონის ერდროულად ჰქვია ცაის-იკი, ქაისინი და აბახუნი. ინტერნეტ ენციკლოპედიაში მასზე შემდეგი რესურსია: **Апахуник** (арм. Ապահունիք) или Апакунеац дзор (арм. Ապահունեաց ձոր) — четырнадцатый гавар области Туруберан[1] Великой Армении. Примерно соответствует Малазгердскому санджаку Османской империи на обоих берегах Восточного Ефрата (Арацани). Владетелями в эпоху раннего средневековья являлись князья Апахуни. С 860-х годов Апахуник находится в руках мусульманских кайсиков арабского племени сулайм. აპახუნიკი (სომხ. Ապահունիք) - მეთოთხმეტე გავარი დიდი სომხეთის ტურუბერის რეგიონში[1]. დაახლოებით შეესაბამება ოსმალეთის იმპერიის მალაზგერდის (ანუ მანასკერტი) სანჯაყს აღმოსავლეთ ევფრატის ორივე ნაპირზე. ადრეულ შუა საუკუნეებში მფლობელები იყვნენ აფახუნის მთავრები. 860-იანი წლებიდან აპაჰუნიკი სულაიმის არაბული ტომის მაჰმადიანი კაისიკების ხელშია.

2. ხოლო 916 წლიდან (სმბატ პირველის გარდაცვალების შემდგომ) კაისიკების (ცაის ტომის) ემირატი ხდება ბიზნტიის მოხარკე და ვასალი.

3. По сведениям Константина, кайсики после смерти Смбата I начали платить подати, прежде предназначавшиеся царю Армении, императору ромеев. В середине X в. через территорию Западной Армении совершал ежегодные походы против Византии владетель Диар Бакра Хамданид Сайф ад-Даула. К 966 г. он захватил города кайсиков (Тер-Гевондян А.Н. Армения и Арабский алифат. С. 246).

4. Судя по гл. 44, Византия стремилась утвердиться на северном побережье оз. Ван. "Персидское" войско не может проникнуть в Романию, поскольку, находясь между Романией и

Арменией, Хлат, Арчеш, Беркри и Арцкэ - заслон на пути движения вражеских отрядов (DAI. 44. 125-128). В середине X в. сложная система связей с вассалами оказалась нарушенной. Эта система мало отвечала истинному соотношению местных сил с Византией, навязывалась Византией и являлась для империи необходимой предпосылкой военного вмешательства (Юзбашян К.Н. Армянские государства. С. 129-130). Окончательно города кайсиков (кроме Хлата) были завоеваны уже при византийских наместниках фемы Васпуракан в 1026-1027 и 1033-1034 гг. (Арутюнова- Фиданян В.А. Фема Васпуракан. С. 85-88). Генеалогию кайсиков см.: DAI. II. P. 169; Константин. С. 225, примеч. 17, 18; С. 227-228, примеч. 27 и указанную там литературу.

5. როგორც არმენოლოგი მეცნიერი და ისტორიკოსი სერგეი გლინკა თავის წიგნში „არმენი ერის ისტორიის განხილვა“ გადმოგვცემს: აბაგუნიკი კარდუს მთათა ფერდებზეა. ეს ოლქი გარკთან და პიზნუნიკთან ერთად იმპერატორმა ბასილმა დაუთმო ტაოს კურაპალატ დავითს, იმ პირობით რომ საჭიროებისამებრ იგი ბიზანტიას დახმარებოდა ჯარით. მისივე სიტყვით აქ მოსახლებდნენ ცაისიკები, თათრული (ანუ მუსლიმური) ტომები. ანუ ამ მიწებზე და ამ მხარეებამდე განმგებლობა მე-11 საუკუნის დასაწყისში ივერებს გვქონია. ალბათ, ეს საფუძველიცაა ადმინისტრაციულად ამ მხარეს კონსტანტინოპოლმა უწოდოს იბერიის თემი.

6. ამ რეგიონის მკვლევარია და ასევე არმენოლოგია ივან ივანეს ძე შოპენი. იგი 1830-იან წლებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა არარატის მთის რეგიონში და წერდა ისტორიულ ნარკვევებს. მისი სიტყვებით აპახუნისი ანუ აბაგუნიკი არის ვანის ტბის ჩრდილო და კიდევ აღმოსავლეთისკენ და სომეხი ისტორიკოსი ფავსტოს ბუზანდი მას მასისის (არარატის) მთის ახლოს ასახელებს და რაც ამჟამად არარატის პროვინციაა.

7. აქვე უნდა აღინიშნიშნოს, რომ ამ რეგიონის ანუ აპახუნესის, აპაგუნიკის, ცაისიკის ოლქი რადგან ამასთანავე არარატის მთის კალთებიცაა, მას ბერძნული სამყარო აბუშ-ის მთად და აბუსინიად მოიხსენიებს. ასე უწოდებს სტრაბონი არარატის მთას. შესაბამისად ამ რეგიონის კიდევ ერთი მიღებული სახელია აბისენია, ქართულად აბუშეთი, აბაშეთი. შესაბამისად არარტის მთა, იგივე კარდუენის მთიანეთი ბერძნული გადმოსახედიდან არის აბისენია. ესაა, მაგალითად, დღევანდელი სამხრეთ ფერდები არარატისა დასავლეთი მხარე ურმიისა, ვანის ტბის ჩრდილო-დასავლეთი და ჩრდილოეთი, აპაგუნიკის ოლქი და შემოგარენი.

8. გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ ქართლის ცხოვრებაში ჯუანშერთან მოცემული ამბავიც ვახტანგ გორგასლის აბაშეთში ბრძოლა-გამარჯვებისა ხდებოდა ამ რეგიონში. სწორედ ამ რეგიონში იყო და ჭაობიანი დატბორილი სივრცეები, სადაც არარატიდან და ჩამომავალი მდინარე მურატი და აღმოსავლეთ ტავრის მთებიდან ჩამომავალი ტიგროსი დღესაც ქმნის ვრცელ ჭალებსა და ადრეულ ეპოქაში წმნიდნენ ლერწმიან (ლელიან და ე.წ. „კამიშებიან“) ვრცელ ტბორებსა და ჭაობებს. მსგავსად იმისა, როგორსაც აღწერს ჯუანშერი.

9. Above Mount Masius far to the east along Gordyene is the Niphates, then the Abus,[165] from which flow both the Euphrates and the Araxes, the former to the west, the latter to the east; then the Nibarus, which extends as far as Media. [3] -- ეს არის ამონარიდი სტრაბონის გეოგრაფიის მე-11 წიგნის მე-14 თავიდან. იგი არარატის მთიანეთს მოიხსენიებს აბაშის-აბუსის მთად და ასევეა განხილული ეს ადგილი მკვლევარ-კომენტატორთა მიერ.

10. სომეხი ისტორიკოსი მალაქია ორმანიანი წერს: თურქებმა კონსტანტინოპოლის „ახ-ლადშექმნილ სომეხთა საპატრიარქოს დაუმორ-ჩილეს სომხები, სირიელები, ქალდეველები. კოპ-ტები, ქართველები (იგულისხმება აშ დროს თურქების მიერ სამხრეთ საქართველოს დაპყრობილი პროვინციების ქართველები, ყარს-არზრუმისა და ნაწილობრივ იმიერ ტაოს მიმდებარე მიდა-მოების ქართული მოსახლეობა), აბისინიელები“. (მ. ორმანიანი, „სომხური ეკლესია“, 1913, გვ. 74.). აქედან ჩანს, რომ ამ რეგიონში აბაშელთა-აბისინელთა დიდ და ესოდენ აღსანიშნავ ტომად ცხოვ-რება და ყოფნა სწორედ რომ ჩვეულებრივი რამეა.

11. აღსანიშნავია ისიც, რომ მოდის რა სალაშქროდ საქართველოში მურვან ყრუ, იგი გამოივლის აბაშეთს (ეთიოპიას) და იქიდან მოჰყავს მათი ხალხის წარმომადგენელნი. ამას აღწერს იოანე ბაგრატიონი თავის „აღწერა საქართველოს თავადთა და აზნაურთა გვარებისაში“. სხვა აბაშეთსა და ამჟამინდელ აფრიკის ეთიოპიაში კი მურვან ყრუ არ ყოფილა.

12. ამ უკანასკნელ პუნქტში ჩნდება ახალი სიტყვა ეთიოპია. სიტყვა და მხარე ეთიოპია. ეთიპია ნახსენებია მატათა მოციქულის სამოღვაწეო არეალად ეპისკოპოს დოროთეს, ნიკიტა პაფლაგონიელის, სოფრონეს და სხვათა გადმოცემებში. ნახსენებია პირველი ეთიოპა, სხვა ეთიოპია და ა. შ., ანუ უდავოდ, გარდა აფრიკის სახელმწიფო ეთიოპიისა, ჩვენ სამხრეთ ძირძველ მიწებზეც იყო მხარე ეთიოპია და თან არაერთი. ეთიოპიის სინონიმი კი არის აბაშეთი და აბისენია.

13. აღნიშნული სიტყვა-ტოპონიმები ასევე ხშირად გვხვდება ძვ.აღთქმის წიგნებში. მათი სხვადასხვა ენაზე მთარგმნელი დიდი მეცნიერი და გონებანი კი დიდებულ მასალას გვაძლევენ რათა ზუსტი იდენტიფიციება მოხდეს ამ ქვეყნისა და ერისა.

დასკვნის სახით უნდა ჩამოვაყალიბოთ, რომ: ნოტიციებში ნახსენები სიტყვა და კათედერა-ეკლესია საისი-ნონ არის ვანის ტბის მიმდებარე ცაისი-კის ქვეყნიდან და ხალიფატიდან ნაწარმოები. მე-10 ნოტიციაში ჩნდება რა საისი-ნონ-ის ნაცვლად სიტყვა აბისენ-აბუშენ, ეს არის უკვე ბერძნული დასახელება ოლქისა აპახუნეს.

თვით სიტყვა აპაგუნიქ, რომლის შესატყვისიც არის ბერძნული აბახუნეს, შესაძლოა გაჩნდა ძველბერძნული სიტყვიდან აბუშ. სწორედ ასე მოიხსენიებდა ძვ.ბერძნული სამყარო ამ მთას და რეგიონს. ანუ არარატს, კარდუენის მთებს. **ნოტიციებში მოხსენიებული „ეკლესია აბისენორუმ**“ (4. Ecclesia Abissenorum - ლათინურად) და ბერძნულად Εκκλησία Αβισσηνων (და Εκκλησία Αβισηνων) – Εκκλησία **Σαιαηνων,** Εκκλησία **Σαισσινων** (Saissinon) **<u>არის მარდალისა და კარნუს სამხრეთით, ვანის ტბის ჩრდილო და დასავლეთ მიმართულებით არსებული მხარის კათედრა, სადაც იყო ანკლავები: ზარინაკი, ხორძენა, ოლნუტი, ბიზანა, სერმანძი და დიდი ქალაქი მანასკერტიც.</u>**

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯაფარიძე, ა. (2014 წ). საეპისკოპოსოები ლაზიკაში. თბილისი; ტექნიკური უნივერსიტეტი.
2. ჯაფარიძე, ა. (2015 წ). არიან ქართლი. თბილისი; გამომცემლობა კოლორი.
3. Bingham, J. (1855). The antiquities of the Christian church. Oxford.
4. ყაუხჩიშვილი, ს. (1952 წ). გეორგიკა. თბილისი; საქ. სსრ მეცნიერებათა აკად. გამომცემლობა
5. Тер-Гевондян, А. (1977). Армения и Арабский халифат. Ереван; издательство АН Армянской ССР
6. Арутюнова- Фиданян, В. (1977). Фема Васпуракан. византийкий временник, 38. 80-93
7. Глинка, С. (1832). обозрение истории армянского народа. Москва. типография лазаревых.
8. ყაუხჩიშვილი, ს. (1955წ). ქართლის ცხოვრება. I ტ. გვ195. თბილისი. სახელგამი.
9. ბაგრატიონი, იოანე. (1997წ). „აღწერა საქართველოს თავადთა და აზნაურთა გვარებისა“. თბილისი. გამომცემლობა დიალ.
10. Орманян. М. (2005). Армянская Церковь. Ереван; издательство АН Армянской ССР.

Location of the Diocese of Lazika of the Patriarchate of Constantinople and about the Abyssinian (Abashian) Church.

Nugzar Vanishvili, GTU Doctoral student

Summary: In Soviet historiography and today's school and university textbooks, the thought and teaching is rooted in the idea that the cathedrals of the Lasik diocese of the Patriarchate of Constantinople

were located in the Zugdidi-Baghdati-Kobuleti-Poti-Ochamchir triangle, i.e. in today's western Georgia, until the 10th-11th centuries.

The mentioned issue and mistake detracts from the history of Georgia, reduces its historical geography and the number of Georgians of that era... and most importantly, it accuses the Apostolic Church of Georgia of proselytism, i.e. the ecclesiastical crime repeatedly condemned by congregations.

Professor, Metropolitan Anania Japaridze, with his many works (of which the thick books "Bishoprics in Lazika" and "Chaldea" are especially noteworthy) proved that the diocese of Lazika was spread from the Trebizond region to the southeast, i.e. in the direction of Erzerum-Basian, and than to Lake Van. From the cathedral-towns listed in the episcopal notices (i.e. lists), he searched and determined the exact location of most of them. He substantiated the exact locations of the chairs not only with historical documents, but also with materials and references of related sciences. Metropolitan Anania's research findings are sufficient to determine the location of the Diocese of Lazik and the simplicity of the Mother Church in the accusation of proselytism.

But new materials, sources and literature about the temples, cities, enclaves, ethno-groups existing in this vast region (that is, from Trebizond-Chaldea to Lake Van and the slopes of Ararat) have emerged. By studying the Turkish, Persian, Arabic, Greek, Kurdish, Armenian and Georgian historical and geographical literature, it was possible to determine the exact location of all the 21 chairs mentioned in the notices.

Among them, the location of the Abyssinian Church seemed particularly significant. Ecclesia Abissenorum. (Lat), Εκκλησία Αβισσηνων (Greek). The same one mentioned in the previous notices as the Church of the Saisinians, Σαιαηνων, Σαισσινων (Saissinon).

The great scientist S. Kaukhchishvili assumes and equates the Church of Abyssinians with the Church of Tsaish. As for the word "Abisenon", it is assumed that it is a changed, semantically modified or misspelled word "Saisinon".

According to my research and discovery, Abyssinia (and its chair) is the same Abashet of the Middle Ages, which is mentioned by Juansher and which was marched with glory and success by the great king St. Vakhtang Gorgasali.

Key words: Constantinepole, Lazika, Abisinya

ქტიტორის გამოსახულებები ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცული ხელნაწერიდან (№263)

მანანა აბუთიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი: ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერის (#263) ფერწერული სცენები ტრადიციულია ზოგადად ქრისტიანული სახვითი ხელოვნების პრინციპების თვალსაზრისით, მაგრამ წინამორბედ (ქართულად გადაწერილ) ფსალმუნის წიგნებში დამკვიდრებულ „რეგლამენტს“, ილუსტრაციების სქემებისა თუ აპრობირებული კომპოზიციების შერჩევის მხრივ, აფხაზეთის კათალიკოს ბესარიონის კოდექსის (#263) მინიატურისტი აშკარად უვლის გვერდს.

კოდექსის მცირე ფორმატის და, აქედან გამომდინარე, მინიატურათა კომპოზიციების მეტად ლაკონური ვერსიების გარდა, „რეგლამენტის“ „კორექტირების“ გამოვლინებად ჩვენ თვით შემკვეთის სავარაუდო გამოსახულების სამ მინიატურაში ჩართვის ფაქტი მივიჩნიეთ, მაგრამ ძეგლზე დაკვირვებამ, ჩვენი აზრით, ზოგიერთი სხვა კომპოზიციის გარკვეული კომპონენტის, ასევე, ბესარიონის ხატად იდენტიფიკაციის შესაძლებლობა ცხადყო.

საკვანძო სიტყვები: ფსალმუნი, ქტიტორი, მინიატურა, ხელნაწერი (№263).

აფხაზეთის კათალიკოს ბესარიონის ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცული დასურათებული ხელნაწერის (N263), ფსალმუნის, მინიატურით მორთულ პრაქტიკულად ყველა გვერდზე მეორდება ძირითადი ტექსტის ასოებზე ოდნავ მცირე ზომის ნუსხურით და სხვადასხვა დაქარაგმებით მიწერილი: „მ(ეუ)ფეო მ(ეო)ხ ექმენ კათალიკ(ო)ზს ბეს(ა)რიონს.” (ფაქტობრივად) ამ ანდერძიდან გამომდინარე (წიგნში ფსალმუნის ტექსტის ბოლოს არსებული მინაწერი მომდევნო გვერდის დაკარგვის გამო დასრულებული სახით არაა ჩვენამდე მოსული), მფლობელისა და ქტიტორის ვინაობის გათვალისწინებით, ბუნებრივია, რომ კოდექსი მე-18 საუკუნით არის დათარიღებული.[1] წიგნი ერთ-ერთია იმ ქართულად გადაწერილ თითზე ჩამოსათვლელ დასურათებულ ფსალმუნთა შორის, რომლებიც ცნობილია მკვლევრებისათვის.

ქუთაისის მუზეუმის დავითნის (N263) ფურცლები დიდი ფორმატით არ გამოირჩევა, რაც გვაფიქრებინებს, რომ იგი არა საჯარო, არამედ პირადი მოხმარებისთვის იყო განკუთვნილი. როგორც აღვნიშნეთ, ის უხვადაა დასურათებული: შეიძლება ითქვას, თითოეულ ფსალმუნს თავისი ილუსტრაცია ახლავს და მათი რაოდენობა 155-ს აღწევს. ფსალმუნის ტექსტი ნუსხურია, ხოლო მინიატურათა განმსაზღვრელი წარწერები მხედრულითაა გამოყვანილი. როგორც ჩანს, ბესარიონის დავითნი იდგა იმ ნუსხურად გადაწერილ წიგნთა რიგში, რომლებიც მე-19 საუკუნეში მხედრულად „ითარგმნა“ ან უნდა „თარგმნილიყო“, რადგან ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია გამჭვირვალე ქაღალდზე ცნობილ კოპიისტ ალექსი ბაქრაძის მიერ დატანილი ხსენებული წიგნის მინიატურების ასლები (1138[b]). მათ ახლავს ცენტრის დოკუმენტაციაში არსებული ჩანაწერი, საიდანაც ვიგებთ, რომ დედანი ანუ მუზეუმის კოდექსი (N263) მთავარ ს(ვ)იმონ აბაშიძის საკუთრება ყოფილა.[2] იგი, ალექსი ბაქრაძის მსგავსად, ნუსხურის მხედრულად „მთარგმნელია“ და, ასე ვთქვათ, თანამშრომლობს ბერ (მღვდელ) ბაქრაძესთან.[3] თუ გავიხსენებთ, რომ ბესარიონ კათალიკოსი და ლევან აბაშიძე 1752 წელს ახალგამეფებული სოლომონის წინააღმდეგ არსებული „კოალიციის“ წევრები იყვნენ,[4] ალბათ, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ბესარიონის დავითნი ლევანის შთამომავლის - ს(ვ)იმონის ხელში მოხვედრილიყო.[5]

დასურათებული ფსალმუნი დიდი ხნის მანძილზე, სავარაუდოდ, XV საუკუნემდე, ქართული ხელოვნებისათვის ტრადიციული არ იყო, რადგან მისი, ჩვენთვის ცნობილი, უადრესი ნიმუში სწორედ XV საუკუნით არის დათარიღებული. მას შემდეგ, XVIII საუკუნის ჩათვლით, „არატრადიციული“_ მორთული ფსალმუნის მხოლოდ რამდენიმე მაგალითია ჩვენამდე მოსული და მათ

შორის მეტად საინტერესო დეკორაციულ რედაქციას სწორედ ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერი (#263) წარმოადგენს, – მისი ფერწერული სცენები ტრადიციულია ზოგადად ქრისტიანული სახვითი ხელოვნების პრინციპების თვალსაზრისით, მაგრამ წინამორბედ (ქართულად გადაწერილ) ფსალმუნის წიგნებში დამკვიდრებულ რეგლამენტს, ილუსტრაციების სქემებისა თუ აპრობირებული კომპოზიციების შერჩევის მხრივ, აფხაზეთის კათალიკოსის კოდექსის (#263) მინიატურისტი აშკარად უვლის გვერდს. კოდექსის მცირე ფორმატის და, აქედან გამომდინარე, მინიატურათა კომპოზიციების მეტად ლაკონიური ვერსიების გვერდით,[6] „რეგლამენტის“ „კორექტირების“ ერთ-ერთ გამოვლინებად ჩვენ თვით შემკვეთის (ერთზე მეტი) სავარაუდო გამოსახულების მინიატურებში ჩართვის ფაქტი მივიჩნიეთ[7], მაგრამ ძეგლზე დაკვირვებამ, ჩვენი აზრით, სხვა კომპოზიციების გარკვეული კომპონენტის, ასევე, ბესარიონის ხატად იდენტიფიკაციის შესაძლებლობა ცხადყო. ამ კომპონენტებში, ბუნებრივია, ფიგურულ გამოსახულებებს ვგულისხმობთ: ეს გამოსახულებები კომპოზიციებში ერთგვარ „ხაზგასმულ“ ელემენტებად გვევლინება, თუმცა, თვით ფსალმუნის საილუსტრაციო ტექსტში პერსონაჟი მკაფიოდ შეიძლება არც ფიგურირებდეს. მივყვეთ თანამიმდევრობით: პირველ ეტაპზე „ეჭვმიტანილი“ ელემენტის შემცველი სამი მინიატურა გამოვყავით, მათ შორის ერთზე (ტაბ.1), 126-ე ფსალმუნის („...არა თუმცა უფალმან აღაშენა სახლი, ცუდად შურებიან მაშენებელნი მისნი; არა თუმცა უფალმან დაიცვა ქალაქი, ცუდად იღÂიძებენ მÃუმილნი მისნი...“) ილუსტრაციაზე (310r), ალექსი ბაქრაძის ერთგვარი ვარაუდით, „სახლის მაშენებლის“ სახით ბესარიონ კათალიკოსია გამოსახული, მეორეზე (ტაბ.2) – 124-ე ფსალმუნის მინიატურაზე (299r) - ზეცისკენ ხელაპყრობილ პერსონაჟთაგან ერთ-ერთი, ბაქრაძის მიერ 126-ე ფსალმუნის ილუსტრაციიდან ბესარიონად იდენტიფიცირებული ფიგურის სახით მსგავსი, თანაც კვერთხით გამოსახული შავკაბიანი პერსონა, რომელიც ზოგადად კათალიკოსს მოგვაგონებს და ცის გასხივოსნებული სეგმენტისკენ ანუ უფლისკენ ხელაპყრობილი ადამიანების ერთ სილუეტად დაწერილი ჯგუფისგან („...რომელნი ესვენ უფალსა...“) გამოცალკევებულია, მესამეზე (ტაბ. 3) კი - მე-11 ფსალმუნის ილუსტრაციიდან (20 v) - მფლობელისა და სასულიერო პირის პოზიციისათვის ყველაზე ადეკვატურად წარმოდგენილი, ასევე შავკაბიანი და კონკრეტული ტექსტისთვის „შეუფერებელი“ მუხლმოყრილი მლოცველი[8]. აქვე ირიბ პარალელად შეგვიძლია რუსეთის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში დაცული მე-12 საუკუნის ბიზანტიური ხელნაწერის (rpeч.118) ერთ გვერდზე მოგვიანებით - მე-15 საუკუნეში - ჩაწერილი - კოდექსის იმდროინდელი მფლობელის - ბერად შემოსილ დიმიტრი პალეოლოგოსის გამოსახულება (ტაბ.4) მოვიყვანოთ.[9]

რაც შეეხება თვალსაზრისს დაკავშირებულს სხვა მინიატურებს, რომელთა კომპოზიციებში, ვფიქრობთ, ასევე აფხაზეთის კათალიკოსის ბესარიონის გამოსახულებაა ჩართული, ქვემოთ შემოგთავაზებთ:

შეწირულ საკულტო ნივთზე შემკვეთის, მომგებლის აღბეჭდვის ტრადიცია უძველესი დროიდან არსებობს. ბესარიონის დროის და უფრო ადრინდელ - მე-16 -მე-17სს-ის - ამ ხასიათის ძეგლებზე გამოსახული ისტორიული პირები მრავლადაა: ლევან დადიანი, სარგის მხეცისძე, ესტატე აბაშიძე, მიტროპოლიტი კირილე ჟვანიძე (ტაბ. 5) და ა. შ., თუმცა, ყველგან გამოსახული ფიგურის ქტიტორად იდენტიფიცირება უპირობოა,[10] ქუთაისის მუზეუმის კოდექსის შემთხვევაში - არა; ასევე, არც ჩვენთვის ცნობილ დასურათებულ დავითნებს შორის ახლავს რომელიმეს ქტიტორის „პორტრეტი“.

მუზეუმის კოდექსის (№263) ამ თვალსაზრისით ადრე ყურადღების მიღმა დარჩენილ მინიატურათაგან ერთზე (38v), რომლის განმარტებით მხედრულ წარწერაში ვკითხულობთ: „დავითი და იაკობ“ და რომელიც მე-19 ფსალმუნს ასურათებს (ტაბ. 6), ვხედავთ ორ გვირგვინოსანს, რომელთა შორის ერთი - დავითია, ასევე, უფალს - აღმართული მარჯვენით,[11] ცის სეგმენტს, დავითისადმი მუხლმოყრილ ფიგურას, სიონს და სხვ. აქვე მოვიყვანთ ილუსტრაციის ყველაზე შესაფერ მუხლებს მე-19 ფსალმუნიდან: „... შეისმინენ შენი უფალმან დღესა ჭირისა შენისასა, შემწე გეყავნ შენ სახელი

ღმრთისა იაკობისი...“ და „...აღგისრულენ უფალმან ყოველი თხოვნაი შენი, აწ გულისხმა-ყავ, რამეთუ აცხოვნა უფალმან ცხებული თვისი და შეისმინოს მისი ზეცით წმიდით მისით; ძლიერებით არს ცხორებაი მარჯუენისა მისისა...“ როგორც აღვნიშნეთ, კომპოზიცია ორი გვირგვინოსნის გამოსახულებას შეიცავს. ვნახოთ ვინაა მეორე გვირგვინოსანი: 74-ე ფსალმუნის ილუსტრაცია (176 r) ორ პერსონაჟს წარმოგვიდგენს და თითოეულს საკუთარი განმარტებითი წარწერა ახლავს: ერთს - „ასაფ“, რახან ფსალმუნი ასაფისია და მეორეს - გვირგვინოსანს - „იაკობ“. შესაბამისად მე-19 ფსალმუნის მინიატურაზეც, ვფიქრობთ, იაკობი ისეთივე წვეროსანი გვირგვინოსანია, როგორც 74-ე ფსალმუნის ილუსტრაციაზე (ტაბ. 7). დავითისადმი მუხლმოყრილი ფიგურა კი, ჩვენი აზრით, სწორედ მეფისგან მეოხების მაძიებელია ხსენებულ 38-ე ფურცელზე შესრულებული ნუსხური მინაწერიდან: “მ(ეუ)ფეო მ(ეო)ხ ექმენ კ(ათალიკო)ზს ბესარიონს.”

31-ე ფსალმუნი დასურათებულია სამკომპონენტიანი კომპოზიციით: დავითის, სეგმენტში ჩაწერილი მაცხოვრის და კვლავ დავითისადმი მუხლმოყრილი ფიგურით (ტაბ.8). მინიატურის (65 v) განმარტებით წარწერაში მხოლოდ დავითია ნახსენები. ვნახოთ ფსალმუნის ტექსტი: „...იხარებდით უფლისა მიმართ და იშუებდით, მართალნო, და იქადოდეთ ყოველნი წრფელნი გულითა.“ მუხლ-მოყრილი ფიგურა, სავარაუდოდ (დიდი-დიდი), „გულით წრფელის“, „მართალის“ გამოსახულებაა და ისიც მხოლოდ ერთის, მაშინ, როცა, როგორც წესი, ხელნაწერთა დეკორირებისას ტექსტში ხსენებულ პირთა რაოდენობა (რამდენიმე თუ ერთი) ძირითადად დაცულია ანუ ეს „მართალიც“, შეიძლება, ფსალმუნით ნათქვამის მკაფიო ასახვის მაგალითად ვერ მივიჩნიოთ.

81-ე ფსალმუნის ილუსტრაცია (192 r) მეორედ მოსვლის („...უსაჯეთ ობოლსა და გლახაკსა, და მდაბალი და დავრდომილი და ხელთაგან ცოდვილისათა იხსენით იგი...“) კომპოზიციას წარმო-ადგენს (ტაბ.9). თვით მინიატურის იკონოგრაფიული სქემა საერთოა მაგ. ქრისტეს მენელსაცხებლე დედების ანუ მარიამების წინაშე გამოცხადების სცენისა და არამარტო მისი, მაგრამ ახლა ამ სა-კითხს არ ჩავუღრმავდებით. ყურადღებას კი, მფლობელის გამოსახულების ხელნაწერის ფერწე-რულ დეკორაციაში ჩართვის თვალსაზრისით, გავამახვილებთ მინიატურის მარჯვენა კუთხეში გამოსახულ წვეროსანზე, რომლის ასაფად წარმოდგენაც ძალიან გაჭირდება (იგულისხმება, რომ ფსალმუნი ასაფს მიეწერება), რადგან კოდექსის არცერთ ილუსტრაციაში ასაფი შავი ტანსაცმლით გამოსახული არ არის.

ერთი მხრივ, განმარტებითი წარწერის გარეშე დარჩენილი და ფსალმუნის საილუსტრაციო ტექსტთან მკაფიო კავშირის არმქონე ფიგურების, ხოლო, მეორე მხრივ, ალექსი ბაქრაძის ვარაუდმა ბესარიონის ხატის წიგნის ილუსტრაციაში ჩართვის თაობაზე, ჩვენ მიერ გამორჩეულ კომპო-ზიციებში მომგებლის პოზასა თუ ანაფორით წარმოდგენილი პირის ფსალმუნის მრავალ მინაწერში მოხსენიებულ კათალიკოსთან გაიგივებისკენ გვიბიძგა, თუმცა, იმ, ასე ვთქვათ, კრიტერიუმით, რომლითაც კოდექსის (№263) მფლობელის თუ შემკვეთის გამოვლენა ვცადეთ, „სახლის მაშენებელის“ ანუ ალექსი ბაქრაძის „კანდიდატურის“ ბესარიონ ერისთავად იდენტიფიცირება[12] სარწმუნოდ აღარ გამოიყურება, ხოლო, ბაქრაძისეულ ან სხვა საბუთს ამ საკითხის თაობაზე არ ვფლობთ. დაგვრჩა ხუთი ფიგურა, რომლებსაც ბესარიონ აფხაზთა კათალიკოსის ხატად მივიჩნევთ და აღვნიშნავთ იმასაც, რომ ისტორიულ პირთა გამოსახულების ბიბლიურ თემაზე შესრულებულ კომპოზიციაში ჩართვა ქრისტიანულ ხელოვნებაში აპრობირებული ალეგორიაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ხელნაწერთა აღწერილობა, მეცნიერება, თბილისი, 1964, ტ. II., 8.
2. ქართულ ხელნაწერთა ფონდის I კატალოგი, შემოსულობათა წიგნი №721.
3. აბუთიძე მ., ექვთიმე თაყაიშვილი და ალექსი ბაქრაძე; ექვთიმე თაყაიშვილი, გზა ერისკაცობიდან ღვთისკაცობამდე, სტუ, ექვთიმე თაყაიშვილის საზოგადოება, თბილისი, 2014, 122–125.

4. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1973, ტ.IV, 636_648.
5. აბუთიძე მ., ბესარიონ კათალიკოსის გამოსახულებები მისივე ფსალმუნიდან, "ტექნიკური უნივერსიტეტი", ივანე ჯავახიშვილის იუბილესადმი მიძღვნილი კრებული, 2017, 200-203.
6. აბუთიძე მ., ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ფსალმუნის მინიატურების კომპოზიციები, სტუ-ს თეოლოგიის ცენტრის კონფერენციის (წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო - მომავალისა) მასალები, 2011, 128-130.
7. აბუთიძე მ., ბესარიონ კათალიკოსის გამოსახულებები მისივე ფსალმუნიდან...
8. აბუთიძე მ., ბესარიონ კათალიკოსის გამოსახულებები....
9. https://blagoroden-don.livejournal.com/1473454.html?ysclid=lshkr553lh707595196
10. თ.საყვარელიძე, XIV-XIX საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობა, ნაკვეთი პირველი, XIV-XVI საუკუნეები, მეცნიერება, თბილისი, 1987, 78-130.
11. იაკობთან დაკავშირებულ კონტექსტში არ უნდა გაგვიკვირდეს უფლის ფრთოსანი ანგელოზის სახით ანუ იაკობის წინაშე მისი გამოცხადების შესატყვისად გადმოცემის ფაქტი.
12. აბუთიძე მ., მინიატურათა ასლები ხელნაწერთა ინსტიტუტიდან, სტუ, ჰტფ, შრომები, ისტორიულ-ფილოლოგიური სერია, თბილისი, 2000, ტ.II(2), 5-9.

ტაბულები

1.301 r

2.299 v

3. 20 v

4

ნშინდა გიორგის ფეხებთან: მარცხნივ სასწაულებრივი ხარი, მარჯვნივ ცაიშულ-ბედიელი მიტროპოლიტი, კირილე (ჟვანიძე)

5.

6.38v

7. 176 r

8.65 v

9. 192 r

Images of the ktitor from the manuscript (№263) kept in Kutaisi Historical Museum

Manana Abutidze,
Georgian Technical University
Associate Professor

Summary: The pictorial scenes of the Kutaisi Historical Museum manuscript (№ 263) are traditional in terms of the principles of Christian fine art in general, but the miniaturist of the Codex (№ 263) of Catholicos of Abkhazia Bessarion clearly bypasses the "regulations" established in the preceding (transcribed into Georgian) books of Psalms, in terms of the selection of illustration schemes and approved compositions.

In addition to the small format of the codex and therefore, the more concise versions of the miniature compositions, we considered the fact of including the supposed image of the ktitor in three miniatures to be a manifestation of the "correction" of the "regulations", but observing the monument, in our opinion, clarified the possibility of identifying certain component of some other compositions also as image of Bessarion.

Key words: psalm, ktitor , miniature, manuscript (№263)

ქუტირის წმიდა გიორგის ეკლესია

ედიშერ გვენეტაძე საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი: ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სოფელ ქუტირის წმიდა გიორგის ხის ტაძარი 1790 წელსაა აგებული. ქუტირის წმიდა გიორგის ეკლესია მასზე მუდმივად მზრუნველ მრევლს ტაძარი 1843 წელს განუახლებია.

1860-იანი წლების ბოლოს სოფელი ისე მომძლავრებულა, რომ მრევლს გადაუწყვეტია ქვის გუმბათიანი ეკლესიის აგება. მორწმუნეების ეს სურვილი შეუტყვია დიდ სასულიერო და საერო მოღვაწეს, იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელს (ქიქოძეს). მას 1871 წელს კიდევ უფრო შეუგულიანებია ქუტირელები და კიდევაც უკურთხევია მათთვის ახალი ტაძრის მშენებლობის დაწყება.

ეკლესიის მშენებლობა 1872 წელს დაუწყიათ. ამის მოწმე თავად ტაძარის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე წარწერაა:: **"ეკლესია ესე დაწყებულ არს 1872 წ. მრ.პ.ბ."**

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში მიუხედავად მძლავრი ათეისტური კამპანიისა ქუტირლებს დიდი სიმამაცისა და ვაჟკაცობის წყალობით მაინც მოუხერხებიათ ეკლესიის შენარჩუნება,

საკვანძო სიტყვები: იმერეთი; ხონი; ქუტირი; წმიდა გიორგი; ეკლესია; გაბრიელ ეპისკოპოსი; მორწმუნეები.

ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სოფელ ქუტირის წმიდა გიორგის ეკლესია მე-19 საუკუნის დასაწყისის წყაროების მიხედვით, ხისაა. ტაძარი 1790 წელსა აუგია აქ მცხოვრებ მრევლს. მასზე 1920-იანი წლებისათვის მიწერილია 50 კომლი. ამ პერიოდში მღვდელმსახურებას აღავლენდა თომა რუხაძე (დაბ. 1780 წ.)[1].

ქუტირის წმიდა გიორგის ეკლესია მასზე მუდმივად მზრუნველ მრევლს ტაძარი 1843 წელს განუახლებია. 1840-იანი წლების ბოლოს ქუტირში ჩატარებულა ეკლესიის ქონების აღწერა შეუდგენიათ აღწერის დოკუმენტი რის შედეგადაც ცნობილი ხდება, რომ იმ დროისათვის ეკლესიაში დაბრძანებული ყოფილა მაცხოვრის ორი ხატი, წმ. გიორგის ორი ხატი, ღვთისმშობლისა და ფერიცვალების ხატები, ვერცხლის ბარძიმი, ფეშხუმი, ტაკუკი, კალის კოვზი, ლახვარი და სიწ-მინდის კოლოფი (სანაწილე), ემბაზი, საიაზმე, გვირგვინი, ორი – პატარა და საშუალო ზარი, საეკლესიო შესამოსელი: ორი სტიქარი, ერთი ფილონი, სამკლავე, სარტყელი (ყველა ფარჩისა), სამი დაფარნა (ჩითის), ოდიკი და გარდამოხსნა. ეკლესიაში დაცული იყო საეკლესიო წიგნები: დავითნი, ჟამნი, სამოციქულო, ორი – დიდი და პატარა სახარება, პარაკლიტონი, მარხვანი, ზატიკი, დიდი სადღესასაწაულო, კონდაკი და კურთხევანი. ამ ნივთების ნაწილი, კერძოდ, ვერცხლის ბარძიმი, ფეშხუმი, კოვზი და ტრაპეზის ჯვარი ახალი ეკლესიის კურთხევამდე, 1884 წლის 14 მარტს, მძარცველებს გაუტაცებიათ.

მკითხველს წარმოვუდგენთ 1847 წელს დაწერილ დოკუმენტს, სადაც წარმოდგენილია სოფელ ქუტირში არსებული დავა ვექილ რუხვაძესა (რუხაძე) და თავად წულუკიძეებს შორის:

მის ბრწყინვალებას

ყ˜ს კავკასიის მოადგილეს ღენერალ ბატონ იფანტერის ღენერალ ატიუტანტს და სხვათა და სხვათა ორდენთა კავალერს მიხაილ სვიმონის ძეს ვარნაცოვს

ხონის ნაწილის სოფლის ქუტირს მცხოვრების საზოგადოების ვექილის მიქაელ სვიმონის შვილის რუხვაძისაგან

ყოვლად უქვეშევრდომილესი თხოვნა

მცხოვრებნი ქუტირისანი ს˜დ (სრულიად) ვართ იმერეთის სამეფოს ტახტისანი რომ-ლისათვის ვიჩივლე. გარნა როგორც იმერეთის უეზდის სუდისაგან, ეგრეთვე გარდამოტანილმა საქართველოს შინა აპელაციამა დაგვაშთინეს უკმაყოფილოდ და სიმართლესა ჩვენს ხედვენ, როგორც საქართველოს პროკურორი, ეგრეთვე იმერეთის, რომლისთვის გარდავიტანეთ აპელაცია სენატში იქმნების ორი წელიწადი და ნახევარი. გარნა ისინი ასე იგი აწ უკანონოდ მიმთვისებელნი ჩვენი თავადნი წულუკუძენი ამა შურით და გვაწუხებენ ამ სახით, რომელ ჩვენ გვემართა სამეფოის ტახტისა და ვაძლევდით გამოსაღებს ბეგარას და ვმსახუროებდით ბატონის შვილს იმერეთისას ბაგრატოვანს თეიმურაზს. თვითო კომლის ორმოცი ჩაფი ღვინო, ორი ღორი, ერთი პატარა და მეორე დიდი ---- ქათამი და ფარეში აღდგომამდინ პირველის წლიდამ იმსახურებდა და შემდგომად გამოუშობდა და წელიწადში ერთს ცხენს თავის მეჯინიბეს ჩამოგვიბამდა და შემდგომად წაიყვანდა, და ორს ძროხას და ერთს ცხვარს საზოგადოდ ჩვენის სოფლის მცხოვრებლებს და სოფლის მცხოვრებლებს გამოგვართმევდა აღდგომის დღეები-სათვის. ჩვენის პატრონის იმერეთის ბატონის შვილის თეიმურაზის დროს ზემო განცხადებული ბეგარა და სამსახური გვემართა და ამასთანავე ათი ბათმანი ღომი კაკალი და ერთი ურემი თაველი. გარნა ამა სახით, რომელიც ვმსახურებდი იმერეთის ბატონის შვილს ბაგრატოვანს თეიმურაზს აწ უკანონოდ მიმთვისებელთა ჩვენის ქვეყნის საზოგადოებისაგან. თავადი წულუკიძეთა მოგვიმატეს ბეგარა თითო კომლს ათი ჩაფი ღვინო, ერთი ღორი და ერთი ბატკანი და რამოდენი კვირა არის წელიწადში თითო ქათამი და ძროხა საზოგადოებას რომ გვემართა ან დაიყვენ წულუკიძენი შემდგომად ჩვენის დაფლობის. თუ აწი გაიყოფიან ორი კომლი რომ შეხვდეს თითოს წულუკიძე მაინც თითო ძროხას სთხოვენ. ერთის ცხენის ჩაბმის წილ ერთის კერძო ორ კვირას (ჩაგვიბამს) წელიწადში რომ ცხენს და (ამას) მეჯინიბეს და გვაოხრებენ და ფარეშის წინ მოყავსთ შინა ყმა მუდამ შემდგომ მეორე კაცს გამოიყვანს და ამუშავებს და ჩვენგანს რამაოდენსმე ამოუწერეს ბეგარა ქრთამად, გარნა ქრთამი შეჭამეს. და ისევ ბეგარას მომატებულად ახდევინებენ. მე თვითონ ვექილ საზოგადოებისას ქუტირ მიქაელა რუხაძეს მყვანდა გლეხით დავითა ბუაძე, სვიმონ წულუკიძემ გამომართვა, რომლისთვის ამომიწერა საური და ერთი ღორი, გარნა შვილმან მის სვიმონისმან ლეონ წულუკიძემ ის ამოწერილობა საურის და ღორის გამოტეხა და ჩემი მამა პაპით კუთვნელი გლეხიც დავითა ბუაძეს მას ყავს. ვთხოვ უმორჩილესად მასა. ამას ერთი, რომ რაც ბატონის შვილის თეიმურაზს ბაგრატოვანის დროს გვემართა საზოგადოებას ქუტირის უკანონოდ მითვისებულია ჩვენთა წულუკიძეთა გარდაწყვეტამდის სენატის არის, იმითი დაკმაყოფილდენ. ნუ გვიმეტებენ შურითა სამსახურს და ბეგარას და უკეთუ მამისა მისი სვიმონის აღთქმას სტეხენ ამოკვეთისათვის ერთს დროს და საურისათვის მამაჩემი მამა პაპით საკუთვნელი გლეხი გარდაცვალებულის გლეხის დავითა ბუაძის შვილები მაინც დამიბრუნოს თავადმა ლეონ წულუკიძემ. ამასთანავე ამას ითხოვს საზოგადოება ჩუენის ქუტირისა. ქალისშვილნი, რომ დაებადებათ და ყავსაცა გასათხოვარნი არ აძლევენ ნებას გათხოვების თავადნი წულუკიძენი, უკეთუ საჩუქარს სურვილისამებრ მათის ქრთამს არ მიიღებენ. ჩვენთან რა სიმართლე აქვს ჩვენი ქალი რომ არ გაგვათხოებინონ ჩვენ აროდეს გვმართებია მეახლობა და გვმართებდა შემდგომი ჩივილის ჩვენის ჩვენგანი დააგირავეს შვიდი კომლი წულუკიძეთა და ის ფული ჩვენს დაბნელებაში დახარჯეს. ამისათვის ვითხოვთ ბრწყინვალების თქვენისადმი დაგვიფაროთ მათგან მომდგარის მწუხარების და მომატებულის ბეგარის მუშაობის და სხვადასხვა უსამართლობის მათგან მომდგარის ჩუენზა და შემდგომად უკეთუ კანონი არ სცნოთ სენატისგან ჩემი გარდატანილი ეპილაციისათვის და არა დავეკარგოთ სამეფოს ტახტის ყმანი ხაზინას. უკეთუ დაეკმაყოფილოთ დავშნით სასო-წარკვეთილი ვართ მათგან მომდგარის მწუხარებისაგან. გვსურს რათა თავი ჩვენი იყოს

წყალობითა დაშთობილნი. ამასთანავე ამას განვაცხადებ: ივანე ამილახორი, იაკინთე მესხი და დიმიტრი ჯორჯაძეარს მათი წულუკიძეთა მეგობარი და სურთ ჩვენი თხოვნის დაბნელება. ნუ მიენდობით. ჩუენი საქმე. ჩყმზ წელს თებერვალ იე. დღეს სიტყვითა მთხოვნელისათა დავსწერე მის მაგიერ, რადგან წერა არ იცოდა და მის მაგიერ ისე მოაწერა.

ჩყმზ თებ (1847 წლის თებერვალი) - დოკუმენტი ქვეყნდება პირველად[1].

1860-იანი წლების ბოლოს სოფელი ისე მომძლავრებულა, რომ მრევლს გადაუწყვეტია ქვის გუმბათიანი ეკლესიის აგება. მორწმუნეების ეს სურვილი შეუტყვია დიდ სასულიერო და საერო მოღვაწეს, იმერეთის ეპისკოპოსს აწ უკვე წმინდანად შერაცხულ გაბრიელს (ქიქოძეს). სულკურთხეულ იმერთა მწყემსს 1871 წელს კიდევ უფრო შეუგულიანებია ქუტირელები და კიდევაც უკურთხევია მათთვის ახალი ტაძრის მშენებლობის დაწყება.

ამ ამბით გახარებულებს 1872 წლის 1 იანვარს აურჩევიათ ახალი ეკლესიის ამგები „მზრუნველთა საბჭო" (საამშენებლო კომიტეტი).

გაბრიელ ეპისკოპოსის თხოვნით ქუთაისის გუბერნიის არქიტექტორ მიანოვსკის შეუდგენია ეკლესიის პროექტი. მოიჯარადეებს ეკლესიის ამგებად მოუწვევიათ საქვეყნოდ ცნობილი ბერძენი ოსტატი აბრამ თეოდორის ძე პოლიტოვი, რომელსაც მანამდე სუჯუნის ეკლესია ჰქონია აგებული. ეკლესიის მშენებლობა 1872 წელს დაუწყიათ. Aamის მოწმე თავად ტაძარის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე წარწერაა: **"ეკლესია ესე დაწყებულ არს 1872 წ. მრ.პ.ბ."** (მღვდელი პავლე ბახტაძე - **ავტ.**) [5].

"**ეკლესია ესე დაწყებულ არს 1872 წ. მრ. პ. ბ**."

ქუტირის წმიდა გიორგის ეკლესიის მრევლი მკაცრ მოთხოვნებს უყენებდა კომიტეტის წევრებსა და მშენებლებს.

საბოლოოდ ეკლესიის არქიტრავის წარწერაში ვკითხულობთ: **1884ს-წელსა დროსა დიდისა ხელმწიფის ალექსანდრე 3-სა და მღუდელმთავრობასა ღვთივ განათლებულის ეპისკოპოსის გაბრიილსა. აღშენდა ეკკლესია ესე ს: ქუტირის ორასსამოცმა 260 ს კომლის საკუთრის ხარჯითა იყო ბერძენი აბრამ თეოდორის ძე პოლიტოვი.~**

აუცილებელი იყო ეკლესიის შესაბამისად გამშვენება. ამ მიზნით მე-2 გილდიის ვაჭარს 1885 წლის აპრილში გოჯასპირ სიმონის ძე რუხაძეს და მისმა მეუღლეს ხახვა ფარცხალაძეს ტაძრისათვის შეუწირავათ 200 მანეთი, რათა შეძენილი ყოფილიყო ხატები.

ქუტირის წმ. გიორგის ეკლესია 1885 წლის 27 ოქტომბერს (ახ. სტილით 9 ნოემბერი) აკურთხა იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე)[5].

ეკლესიის კურთხევის შემდეგაც გრძელდებოდა ზრუნვა მის კიდევ უფრო მეტ გამშვენებაზე. გოჯასპირ რუხაძის ოჯახი (შვილები: პავლე (1839-1894); ლუკა(1843-1913); პეტრე (1849-1896)), ისევ უანგაროდ და უხვად გასცემდა თანხებს ტაძრის კეთილმოწყობისათვის. **(რუხაძეთა გვარის ამ დიდებულ ქმედებებს დღეს დიდის რუდუნებით აგრძელებს ამ საგვარეულოს ღირსეული წარმომადგენელი, საქველმოქმედო ფონდ - „ივერიელთა ეკლესიის მატიანეს“ დამფუძნებელი და თავმჯდომარე, სერგი რუხაძე - ავტ).** სწორედ ამ და სხვა კეთილ საქმეთა ქმედებებისათვის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძემ) 1889 წლის ოქტომბერში რუსეთის იმპერატორის წინაშე წარადგინა გოჯასპირ რუხაძის შვილი ლუკა. რუსეთის იმპერიის საჭეთმპყრობელმა ალექსანდრე III-მ ვერცხლის მედლით დააჯილდოვა ქ. ფოთში მცხოვრები მე-2 გილდის ვაჭარი ქუტირელი ქველმოქმედი ლუკა გოჯასპირის ძე რუხაძე. ლუკა რუხაძე გარდაიცვალა 1913 წელს. იგი მშობ-ლებთან ერთად დაკრძალულია ქუტირის წმიდა გიორგის ეკლესიაში .

გაბრიელ ეპისკოპოსს არ ავიწყდებოდა კეთილი საქმის მქმნელნი, ეკლესიასა და სამშობ-ლოზე მზრუნველი, მოფიქრალი და მოღვაწე მამულიშვილნი. ამიტომაც 1890 წლის ტრადიციულ ჩვენს ზემოდ ნახსენებ სახალხო დღესასწაულ „მოისარობაზე“ სწორედ მისი დავალებით დალოცა ბლაღოჩინმა ერასტი მაჭარაძემ მამა-შვილი გოჯასპირ და ლუკა რუხაძეები.

ეკლესიის მშენებლობაში განუზომელი ყოფილა ქუტირელი მღვდელმსახურების ფილიპე დავითის ძე დათიაშვილის და პავლე იესეს ძე ბახტაძის ღვაწლი. ამას ადასტურებს ტაძრის სამკვეთელოში აღმართულ ქვაზე ამოკვეთილი უაღრესად დიდი თავდამბლობის გამომხატველი წარწერა:



"1872-1884 წელსა მოიხსენე უფალო მღ-ლი ფილიპე დათიაშვილი, მღ-ლი პავლე ბახტაძე მოღვაწენი მცირეოდენ ამა ტაძრისა აშენების დროს".

როგორც წყაროებიდან ირკვევა, მღვდელი პავლე ბახტაძე აქტიურად თანამშრომლობდა ჟურნალ „მწყემსში".

სოფლის თავკაცები დაუღალავად ზრუნავდნენ ახალგაზრდობის სწავლა-განათლებაზე. ამის დასტურია მათ მიერ 1891 წელს ძველი ეკლესიის ხის მასალისაგან აშენებული ორკლასიანი საეკლესიო-სამრევლო სკოლა. მისი პირველი დირექტორი კონსტანტინე ალექსის ძე ბალავაძე ყოფილა.

ქუტირელთა მოწადინებას და რწმენისადმი დიდ ერთგულებას გამოხმაურებია ილიასეული „ივერია". გაზეთი 1890 წელს წერდა: „დიდი ხანია არ არის, რაც ქუტირელებმა თავიანთი ხარჯებით დიდი გუმბათიანი ეკლესია ააშენეს. ეხლა კიდევ სამრევლო სკოლის აშენების ზრუნვაში არიან. სამი თვალი ოთახი ამ აზრით კეთდება და მალე სრულიად მზად იქნება"[3].

1885 წელს ქუტირში ცხოვრობდა 261 კომლი. 799 კაცი და 759 ქალი. სულ 1558 სული.

1914 წელს ქუტირში ცხოვრობდა 342 კომლი - 994 სული კაცი და 1018 სული ქალი. სულ 2012 სული.

სოფელ ქუტირში ცხოვრობდნენ **საბატონო გლეხები:** რუხაძეები; ადამიები, ბახტაძეები, ბაზიარიშვილები, ქაბძინაძეები (ქავზინაძეები); შენგელიები; ბალავაძეები; ბუაძეები; კრავე-იშვილები; ხაბეისშვილები; სილაგაძეები; ნაჭყეპიები; ჯიქიძეები; შონვაძეები; მელქაძეები; დათიაშვილები; ჩხენკელები; კუჭავები; ,**თავადი:** წულუკიძე;

აზნაური: ხაფავა; მაჭავარიანი; წულუკიძე.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში მიუხედავად მძლავრი ათეისტური კამპანიისა ქუტირლებს დიდი სიმამაცისა და ვაჟკაცობის წყალობით მაინც მოუხერხებიათ ეკლესიის შენარჩუნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეროვნული არქივი. ფონდი 2.
2. თვალავაძე ვ. სამტრედია 1870-1914. თბ., 2001.
3. „ივერია", 1890, # 114.
4. კეზევაძე მ. ეგზარქოსობისდროინდელი იმერეთის ეკლესიები და მღვდლები. ქუთაისი, 2008.

5. კეზევაძე მ. ქუტირის წმიდა გიორგის ეკლესია. ქუთაისი, 2010.
6. კვარაცხელია დ. ხონისა და სამტრედიის ეპარქიის ისტორია 1996-2011 წწ. თბ., 2011.
7. კობახიძე ნ. სამტრედიის ისტორიული რარიტეტები. თბ., 2000.
8. „მიწა“ 1920.
9. „მწყემსი“ 1892, #3.
10. „მწყემსი“, 1901, #14
11. „მწყემსი“, 1906 # 14.
12. „მწყემსი“, 1889 #7-8. #12.
13. „მწყემსი“, 1895 # 16.
14. „მწყემსი“, 1898 # 20.
15. „მწყემსი“, 1899 # 18.

The Church of St. George in Kutiri

Edisher Gvenetadze
Professor of Georgian Technical University

Summer: The history of the church of St. George in the village of Kutiri, located in the territory of the Khoni Municipality, is investigated in the paper. It should be noted that according to the sources of the beginning of the 19th century, the church of St. George in the village of Kutiri, located in the territory of the municipality of Khoni, is made of wood. The church was built in 1790 by the parishioners living here.

The church of St. George of Kutiri was renovated in 1843 by the parishioners who constantly take care of it.

For the first time, an archival document written in 1847 is presented, which mentions the dispute between the lawyer Rukhvadze (Rukhadze) and the noble Tsulukidze in the village of Kutiri.

At the end of the 1860s, the village became so powerful that the parishioners decided to build a church with a stone dome. At the request of Bishop Gabriel, the architect of Kutaisi Governorate, Mianovski, drew up the project of the church. The world-famous Greek master Abram Politov, father`s name Teodor was invited to build the church. The construction of the church began in 1872 and was completed in 1884.

ქალები საქართველოს ისტორიაში
(ქალების უფლებრივი მდგომარეობა შუა საუკუნეების საზოგადოებაში)

მარინე მესხია, საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი: საქართველოს ისტორიაში ქალის როლი ყოველთვის იმაზე დიდი იყო, ვიდრე ამას აღიარებდნენ. საქართველოში ბევრი მნიშვნელოვანი და ქვეყნისთვის გარდამტეხი მოვლენა ქალთა სახელებს უკავშირდებოდა. დღევანდელი თემის მიზანია, ქართული სამართლის წიგნების, იურიდიული დოკუმენტებისა და მხატვრულ ნაწარმოებებში დაცული ცნობების საფუძველზე მიმოვიხილოთ ქალთა უფლებრივი მდგომარეობა შუა საუკუნეების საქართველოს საზოგადოებაში.

საკვანძო სიტყვები: მზითვი, უძრავი ქონება, მოძრავი ქონება.

IV-V საუკუნეებში საქართველოში ქალთა უფლებრივი მდგომარეობის დონე ბევრად დაბალ საფეხურზე იყო, ვიდრე XI-XIII სს. ან გვიან შუა საუკუნეში (XIV- XVIII სს.). ახ. წ. V ს. ქალთა უფლებები რეგულირდებოდა ქრისტიანული რელიგიის დამკვიდრების პარალელურად და ამ რელიგიის მოძღვრების შესაბამისად, რომლის მიხედვითაც ქალი წარმოადგენდა მამაკაცის საკუთრებას, იგი უუფლებოა თავისი მეუღლის წინაშე და ისე უნდა ემორჩილებოდეს კაცს, როგორც უფალს (მეტრეველი, 2003, გვ. 365).ქალთა საზოგადოებრივ მდგომარეობაზე, მათ უფლება-მოვალეობებზე ზუსტად მოგვითხრობს პირველი ჰაგიოგრაფიული ძეგლი, იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“. ამ ნაწარმოებიდა ჩანს, რომ მამაკაცს (კონკრეტულ შემთხვევაში ქმარს) უფლება აქვს მეუღლესთან - დედოფალთან შეთანხმების გარეშე მიიღოს სხვა სარწმუნოება, მეუღლე და შვილებიც მოაქციოს მასზე. როგორც ნაწარმოებიდან ირკვევა, ვარსქენისათვის წარმოუდგენელია ქალის შეწინააღმდეგება და მამაკაცის (ქმრის) სიტყვა მისთვის ბრძანების ტოლფასია,ე.ი. ქალი სრულიად უუფლებოა და მამაკაცი კი განუსაზღვრელი უფლებით სარგებლობს. მას შეუძლია ცოლს მიაყენოს ფიზიკური შეურაცხყოფა, იძალოდოს ცოლზე „უხეთქნა მას თავსა და ჩაჰფლა და თუალი ერთი დაუბუშტა“. სამწუხაროდ, ძალადობა დღესაც აქტუალურია საქართველოში. ქალთა უუფლებობა საზოგადოებაში ყოველდღიური ზნე - ჩვეულებიდანაც კარგად ჩანს. მაგალითად, ქალს არ ეძლევა საშუალება თავის ქმართან ერთად ვახშმობისა: „ ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური“. ასევე აღსანიშნავია ის დეტალიც, საიდანაც ირკვევა, რომ ქალი ბუნებით მამაკაცზე დაბლა დგას, რადგან მისი გონება შეზღუდულია „ნურას ფიცხელსა სიტყვასა ეტყვი მას, რამეთუ დედათა ბუნება იწრო არს“. ნაწარმოების მთავარი გმირის, შუშანიკის აზრით, ქალისა და მამაკაცის თანასწორობა მხოლოდ იმ ქვეყნად, საიქიოში არსებობს (ქართული პროზა, 1981, გვ. 10,13). აქედან გამომდინარე, კარგად ჩანს, რომ იმ დროის საქართველოში, ისევე როგორც იმ დროის სპარსეთსა და სომხეთში, ქალის უფლებრივი მდგომარეობა არ იყო სახარბიელო. პატრიარქალური საზოგადოების პირობებში სხვანაირად, ალბათ, არც შეიძლებოდა ყოფილიყო (ნადარეიშვილი, 1996, გვ. 33).

ქალის უუფლებო ქონებრივი ურთიერთობის სფეროში იწვევდა მის უუფლებობას პირადი ურთიერთობების საკითხებშიაც. ამ დროისათვის დამახასიათებელი იყო შეხედულება ქალზე, როგორც არასრულფასოვან არსებაზე. იგი ნაწილობრივ სამართლის ობიექტია - ნივთი, ნაწილობრივ კი სუბიექტი - პიროვნება (ნადარეიშვილი, 1996, 34).

VIII-Xსს. საქართველოში საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში მეტად მნიშვნელოვანი პროგრესი შეიმჩნევა. ქალის ქონებრივი უფლებებიც იცვლება. მაგალითად, ბასილ ზარზმელის „ სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ მიხედვით, ქალი მამულის მემკვიდრედ ჩანს. აქ აღნიშნულია, რომ უშვილი გიორგი ჩორჩანელმა მთელი თავისი ქონება უანდერძა თავის დასა და დისშვილებს (ქართული პროზა,1981). ამ ძეგლის მიხედვით ქალს აქვს სამემკვიდრეო და ქონებრივი

უფლებები და თუ ქალს ამ პერიოდში ასეთი უფლებები გააჩნდა, ის ამ თავისი მდგომარეობით გაცილებით მაღლა იდგა, ვიდრე შუშანიკი (მეტრეველი, 2003, გვ. 367)

IX საუკუნეში საქართველოში მზითვის ინსტიტუტის განვითარებული სახით არსებობამ, ქალთა უფლებრივ მდომარეობას გარკვეული ასპექტით დიდი მნიშვნელობა მიანიჭა.ძველი ქართული საისტორიო მწერლობიდან ვიგებთ,რომ წარჩინებულთა წრეში ქალს მშობლების ქონებაზე მემეკვიდრეობის უფლება ჰქონდა. უკვე ქალი ნივთი კი არ არის, არამედ პიროვნებაა. მზითვის ინსტიტუტით ქალმა მაღალი უფლებრივი, მემვიდრეობითი მდგომარეობა მოიპოვა. მზითვი არის ქალის პიროვნება, გამოხატული გარე სამყაროში (ნადარეიშვილი, 1996,35). V-VIII სს. საქართველოში მზითვის ინსტიტუტი ისე განვითარებულია, რომ არა მარტო მოძრავი, არამედ უძრავი ქონებაც (მიწა) შეიძლებოდა მიეცათ. (ნადარეიშვილი,1996,35). ჟამთააღმწერლის ცნობით, რუსუდანის ასულს - თამარს მზითვად გაატანეს აწყვერი - მთელი სენიორია (ნადარეიშვილი 1996,,35). ამ პერიოდში ქალები, როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, თავიანთ მოძრავ და უძრავ ქონებას თავისუფლად განაგებდნენ, ყიდდენ, მონასტრებს სწირავდნენ. ქალი მონაწილეობდა სამოქალაქო ურთიერთობის ყველა სფეროში. მართალია, საერთო - საჯახო ქონების გამგებელი ქმარი იყო, მაგრამ როდესაც ეს უკანასკნელი არ იყო, ქალს უფლება ჰქონდა, ოჯახის ინტერესებისათვის, განეგო საერთო ქონება (ნადარეიშვილი 1996,37). ქალს, გარდა მზითვისა, შეიძლებოდა ჰქონოდა საკუთარი ნასყიდი, ნაჩუქარი ან ანდერძით მიღებული ქონება. ქართული სამართლის ნორმების მიხედვით, მზითვის ინსტიტუტის არსებობა ქალის ისეთ მაღალ მდგომარეობაზე მიუთითებს ოჯახსა და საზოგადოებში, როგორიც ბიზანტიურისა და ზოგიერთ დასავლეთევროპული ქვეყნებისათვის იყო დამახასიათებელი (ნადარეიშვილი, 1996,39).

ქალის ქონებრივ უფლებებთან დაკავშირებით საინტერესო ცნობებია დაცული ბექა- ღბუღას სამართლის წიგნში. მოძრავი ქონება, რომელიც ქალს მზითვის სახით ჰქონდა მშობლების სახლიდან წაღებული, მისი უპირობო, სრული საკუთრება იყო. ქალის მზითევი დაცული იყო იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მრუშობისათვის გააგდებდნენ. 81 -ე მუხლის მიხედვით, თუ ქმარდაკარგული ქალი არ დარჩებოდა ქმრის ოჯახში, რომელსაც შვილები არ ჰყავდა, მზითევი სრულად თან მიქონდა (დოლიძე, 1963, 456, მუხ.81). ყოველივე ეს ნათლად მიანიშნებდა ოჯახში ქალის უფლებრივ მდგომარეობაზე, მაგრამ რაც შეეხება უძრავ ქონებას, როგორც ნადარეიშვილი აღნიშნავს,როგორც მზითვს,აქ ანალოგიური მდგომარეობა ნამდვილად არ იყო. თუ ცოლი ქმარს „მისი ნებით და წადილით“ დატოვებდა და ხელახლა გათხოვდებოდა უძრავი ქონება ქალის მშობლების განკარგულებაში გადადიოდა, მათზე იყო დამოკიდებული.(ნადარეიშვილი, 1996, გვ. 40) .

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქალი გათხოვების შემდეგაც არ კარგავდა თავის გვარს და ამ მხრივაც თავის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ტენდენციას იჩენდა (ნდარეიშვილი, 1966, გვ. 42).

საინტერსოა ქალის უფლებები განქორწინების დროს. მართალია, ქალის უფლებები IX საუკუნიდან, წინარექრისტიანულ ხანა თუ ადრეულ შუასაუკუნეებთან შედარებით გაუმჯობესებულია, მაგრამ ამავე დროს საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრ სფეროში ქალი მაინც დაჩაგრულია, რაც განსაკუთრებით კარგად ჩანდა განქორწინების საკითხებში. ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნის მიხედვით ქმარს, რომელიც უბრალოდ „დააგდებს“ ცოლს, ნახევარი სისხლის გადახდით ისჯება, ცოლი კი ქმრის მიტოვებისათვის მთელი სისხლის გადახდით (დოლიძე, 1966). გ. ნადარეიშვილის მითითებით, მსგავსად სხვა ქრისტიანული ქვეყნებისა, საქართველოშიც განქორწინების მიზეზი უნდა ყოფილიყო, თუ ცოლი უცხო მამაკაცთან იქეიფებდა, ან აბანოში მასთან ერთად ტანს დაიბანდა, ან თუ დაესწრებოდა საცირკო სანახაობებს ქმრის ნებართვის გარეშე. აღნიშნული მიზეზები გათვალისწინებული იყო ქრისტიანული კანონებით, რომელიც საქართველოში მოქმედებდა (ნადარეიშვილი, 1996, გვ. 362).

ვახტანგ VI კანონმდებლობით ჩანს, რომ განქორწინების ინიციატივა ყოველთვის ეკუთვნოდა მამაკაცს, დედაკაცს არ ჰქონდა უფლება განქორწინების საკითხის დასმისაც კი “დედაკაცი ქმრის

დაგდებას არა ღირსა და ნურც ჰკადრებს. და თუ ღვთით შერისხდეს და მისი უსირცხვილობით ქნას, რასაც გვარისა იგი კაცი არის, მთელი სისხლი დედაკაცმან ქმარს მისცეს“(დოლიძე, 1963, გვ 500, მუხ. 74).

საინტერესოა ქალის უფლებები სასამართლოში. იგივე ვახტახტანგ VI სამართლის კრებულის მიხედვით ქალს, რომელიც მამაკაცს უჩიოდა, სასამართლოში მისვლა შეეძლო და მოსამართლეებიც ვალდებულნი იყვნენ, მისთვის მოესმინათ, მაგრამ ქალის მოთხოვნით მოპასუხეს არ შეიძლებოდა ფიცი დაკისრებოდა (დოლიძე 1963, 537, მუხ.216). დოკუმენტებით დასტურდება, რომ ქალების საჩივარს მდივანბეგის სასამართლო - საქართველოს მსაჯულთ შეკრებულებაც - არჩევდა.

საქართველოში სასამართლო ხელისუფლებას დედოფალი არასდროს ახორციელებდა. მაგრამ ყოფილა ისეთი შემთხვევაც, როდესაც ერეკლე II მეუღლე დარეჯან დედოფალი თვითონ გამოსულა მსაჯულად და მეფის შემდეგ მეორე მოსამართლედაც ითვლებოდა. დედოფალი მოსამართლეობდა, როგორც პირადად, ისე სხვა პირებთან ერთად. მდივანბეგთა სასამართლოც არცთუ იშვიათად განიხილავდა საქმეს დედოფლის თავმჯდომარეობით. მხოლოდ მეფეს ჰქონდა უფლება დაევალებინა დედოფლისათვის სასამართლო საქმის განხილვა. დედოფალი საქმეებს არჩევდა თავისი ინიციატივითაც. ერთადერთი, რაც დედოფლის სასამართლოს არ შეეძლო, მხოლოდ სისიხლის საქმეების განხილვა იყო (მეტრეველი, 2003, გვ.400).

როგორც ვხედავთ, გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში ქალი და მამაკაცის ურთიერთობა ეს არ იყო ბატონ-მორჩილება, ქმარი ცოლის ბატონი კი არა, მასზე მზურნველი ჩანს. ოჯახში ქალის უფლებების აღიარებას, მისი საზოგადოებრივი მდგომარეობის გაუმჯობესესბა მოჰყვა. ქალები პოლიტიკურ ასპარეზზეც გამოჩნდნენ.

X-XIII სს. ქალის პოლიტიკური უფლებები ფართოვდება და ქალს გამონაკლისის სახით, მიეცა უმაღლესი თანამდებობის დაკავების უფლება. ცხადია, ყველა ქალი როდი სარგებლობდა ასეთი მასშტაბის უფლებებით, როგორც მეფე და დიდებულთა წრის ქალები. ამ პერიოდში აღიარებულ იქნა, რომ ქალსაც შეუძლია მეფობა.

თამარის გამეფებით გამოჩნდა, რომ ქალს შეუძლია კაცზე არანაკლებ მართოს ქვეყანა, დაძლიოს რთული წინააღმდეგობები როგორც ქვეყნის შიგნით ისე, ქვენის გარეთ და ქვეყანა პოლიტიკურ-ეკონომიკურად ძლიერ სახელმწიფოდ აქციოს. მეფე ქალს - თამარს, ქართველი ისტორიკოსი წმიდა სამების მეოთხე წევრად აღიარებს. ეს პატივი იყო უმაღლესი, რაც შეიძლებოდა მეფის მიმართ თქმულიყო. მეფე ქალი საოჯახო ურთიერთობის სფეროში მამაკცის უფლებების მქონე ჩანდა..მას ჰქონდა უფლება, ქმრის ღალატის შემთხვევისთვის გაეძევებინა იგი.

საქართველოში მეფე ქალების ქმრებს საკუთარი გვარის დამკვიდრების უფლება აღკვეთილი ჰქონდათ. ლაშა - გიორგის თამარის ძედ იხსენიებენ, დავით ნარინს კი რუსუდანის ძედ.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ისეთი საპატიო საქმე, როგორც სამეფო ტახტის მემკვიდრის აღზრდა იყო, ქალებს ჰქონდათ მინდობილი. მეფე გიორგი I გამზრდელი მისი მამიდა გურანდუხტი იყო, გიორგი III - დავით აღმაშენებლის ასული თამარი. როდესაც ნიკოლოზ გულაბერიძე ქალის ღირსებისა და პატივის შესახებ ტრაქტატებს წერდა, შოთა რუსთაველი კი „ვეფხისტყაოსანს“ საოცარი ღირსებებით შემკულ ქალებს უძღვნიდა, დასავლეთ ევროპაში, როგორც სამართლიანად აღნიშნავს გ. ნადარეიშვილი, ქალის პიროვნება დაუნდობლად ითვლებოდა და მას სულ უბრალო „ცოდვისთვის“ ცეცხლზე წვავდნენ (ნადარეიშვილი,1996გვ.,46).

საქართველოს ისტორიაში ძალიან ბევრია საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილე ქალების სახელები. ქალის პატივსცემის გამოხატულებად ითვლება ის ჩვეულებაც, რომლის მიხედვითაც ქალის გამოჩენა დაპირისპირებულ მხარეთა შორის მშვიდობის სიმბოლოდ აღიქმებოდა. ამის ნათელ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ თამარ მეფის პერიოდში ორი ქალბატონის, ქართლის ერისთავის, რატი სურამელის დედის, კრავაი ჯაყელის და სამძივართა დიდებული გვარის წარმომადგენელ ხვაშაქ ცოქალის დიპლომატიის შედეგად აჯანყებული ყუთლუ

არსლანის დასთან მიღწეული შერიგება. ასეთი ჩვეულების შესახებ ცნობა XVII საუკუნიდანაც შემოგვრჩა. როსტომ მეფემ 1642 წელს თავის მოსისხლე მტრის - ნოდარ ციციშვილის - დედას, რომელიც სათხოვნელად მივიდა, დიდი პატივი დასდო და მისი თხოვნით ნოდარს და მის მომხრეებს - სიცოცხლე შეუნარჩუნა. ამასთან დაკავშირებით ისტორიკოსი აღნიშნავდა: „საქართველოში ძველათ წესათ იყო, რომ ვისაც გასჭირვებია შესახვეწად, ან დედასა და ან ჯალაბს გაუგზავნიდეს: მეფენი და თავადნი პატივს დასდებიან“ (ნადარეიშვილი1996,გვ.47).

ამრიგად, როგორც ზემოთ მოყვანილი მასალებიდან კარგად ჩანს, რომ დაახლოებით IX საუკუნიდან ქალი აღარ წარმოადგენს საკუთრების ობიექტს - იგი თვითონვეა სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი. საქართველოსათვის უცხო იყო აღმოსავლეთ ქვეყნებისათვის დამამცირებელი ქალის (ცოლის) სრული უუფლებო. ქართველი ქალი შუა საუკუნეებში, როგორც იურიდიული, ისე ფაქტობრივი მდგომარეობით მაღლა იდგა აღმოსავლელ წარმომადგენლებთან შედარებით. და, როგორც სწორად აღნიშნავს გ. ნადარეიშვილი, აქ ტრადიცია კი არ იყო გადამწყვეტი, არამედ სოციალური ვითარების ისტორიული დონე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დოლიძე, ი. (1963). *ქართული სამართლის ძეგლები* (ტ. 1), *ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებული; ბექასა და აღბუღას სამართალი.* თბილისი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.
2. მეტრეველი, ვ. (2003). *საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია.* თბილისი. „მერიდიანი“
3. ნადარეიშვილი, გ. (1996). *ძველი ქართული საოჯახო სამართალი.* თბილისი. „სამთავისი“
4. ქართული პროზა. (1981). *მეხუთე მეთერთმეტე საუკუნეების მწერლობა.* (წიგნი 1). თბილისი. „საბჭოთა საქართველო“

Women in the history of Georgia
(Legal status of women in medieval society)

Marine Meskhia, Georgian Technical University, Associate Professor

Summary: The role of women in the history of Georgia was always bigger than it was recognized. In Georgia, many important and turning events for the country were associated with women's names. The purpose of today's topic is to review the legal status of women in the Georgian society of the Middle Ages based on references preserved in Georgian law books, legal documents and artistic works.

Key words: dowry, real estate, movable property

ქართულ-ვაინახური ეთნიკური და ყოფითი ურთიერთობები XVIII-XIX ს. დასაწყისამდე

ლამარა ასლამაზიშვილი სტუ
ასისტენტ-პროფესორი

აბსტრაქტი: ხალხთა შორის მრავალმხრივი ურთიერთობის სფეროში მნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნება ყოფითი ხასიათის ურთიერთობას, რაც, პირველ რიგში, დამახასიათებელი იყო ერთიმეორის მეზობლად მდებარე ქვეყნების მოსახლეობისათვის.

ხალხთა შორის ურთიერთობის შესწავლისათვის საყურადღებო ეთნოგრაფიული მონაცემებია ფიქსირებული ვაინახებისა და ქართველი მთიელების ყოფაში, რასაც ნაშრომში თანამიმდევრობით გავეცნობით.

საკვანძო სიტყვები: ვაინახი, ეთნიკური, ყოფითი, ჩაჩნეთი.

ხალხთა შორის მრავალმხრივი ურთიერთობის სფეროში მნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნება ყოფითი ხასიათის ურთიერთობას, რაც, პირველ რიგში, დამახასიათებელი იყო ერთიმეორის მეზობლად მდებარე ქვეყნების მოსახლეობისათვის. ტერიტორიული მეზობლობის პირობებში ერთიმეორეს ენაცვლებოდა მშვიდობიანი ცხოვრებაც და ურთიერთდაპირისპირებაც, ხოლო ამის შესაბამისად თავის სახეს იღებდა ურთიერთობის ფორმებიც. ამ ურთიერთობაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა ცხოვრების წესი და ტრადიცია, ერთნაირიც და განსხვავებულიც, რაც თვალსაჩინო ხდება ისეთი საკითხების შესწავლის საფუძველზე, როგორიცაა ეთნიკური ურთიერთობანი და მატერიალური კულტურა, თემის სტრუქტურა და თემური მმართველობის სისტემა, სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციები, ნათესაურ ურთიერთობათა ფორმები, საქორწინო წეს-ჩვეულებანი, მეურნეობის სახეობანი, სამხედრო დემოკრატიის გადმონაშთები (მეკობრეობა), ენა და სულიერი კულტურა.

ზემოხსენებული საკითხების მიხედვით, ხალხთა შორის ურთიერთობის შესწავლისათვის საყურადღებო ეთნოგრაფიული მონაცემებია ფიქსირებული ვაინახებისა და ქართველი მთიელების ყოფაში, რასაც ქვემოთ თანამიმდევრობით გავეცნობით.

ქართულ-ვაინახური ეთნიკური და ყოფითი ურთიერთობის წარმოსაჩენად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მონაცემებს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობისა და სხვადასხვა ეპოქისათვის დამახასიათებელი ეთნიკური პროცესების შესახებ· როგორც არსებული ლიტერატურის, ისე ხალხური გადმოცემების მიხედვით, აშკარად ჩანს, რომ ორივე მხრიდან ადგილი ჰქონდა მოსახლეობის ინფილტრაციას. ერთ შემთხვევში თუ საქართველოს მთიანეთში ვაინახური პლასტის არსებობა დასტურდება, მეორე შემთხვევაში აღინიშნებოდა ქართული წარმომავლობის მქონე გვარების განსახლება ჩაჩნეთ-ინგუშეთში. ეთნიკური შერევა, პირველ რიგში, ხდებოდა სასაზღვრო ზოლში. ამასთან დაკავშირებით დამაფიქრებელია, პირველ რიგში, ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა თუშების შესახებ: ,,ხოლო რომელნი არიან მჯარეთა ქისტთა და ღლიღუთა, უწყიან ენანი უფროს მათნი. გარნა ფარსმანის ჯევისანი სარწმუნოებით და ენით შერეულნი არიან, ვითარცა ქისტნი.“ (ვახუშტი : 555).

ამ ცნობის მიხედვით, ვაინახური ენების მცოდნე თუშებად, პირველ რიგში, იგულისხმებიან წოვა-თუშები, ხოლო რაც შეეხება ფარსმანის ხეობას ანუ პირიქით თუშეთს, აქაც ჩაჩნეთთან ახლო მეზობლობა ედო საფუძვლად სარწმუნოებისა და ენის შერევას. როგორც ჩანს, ამგვარ მდგომარეობას ქმნიდა ეთნიკური ასიმილაციის შემთხვევები, რაზედაც ვახუშტი არაფერს იტყობინება, მაგრამ ეს ცნობილია ხალხური გადმოცემებით და სამეცნიერო ლიტერატურით. ვახუშტის ცნობა სარწმუნოების შერევის თაობაზე ისე უნდა გავიგოთ, რომ ფარსმანის ხეობის მოსახლეობა ქრისტიანობას აღიარებდა, მაგრამ წარმართობასაც არ ივიწყებდა, ხოლო ჩაჩნური წარმოშობის გვარებში, ალბათ, ისლამის კვალიც შეინიშნებოდა. იგივე ვითარება დამახასიათებელი ჩანს ვაინა-

ხებშიც, რამდენადაც ვახუშტი ქისტებში თუშების ანალოგიას ხედავს. რაც შეეხება ენას, მისი ცოდნის საფუძველი იყო როგორც ეთნიკური კავშირი, ისე ტერიტორიული მეზობლობა. ბუნებრივია, რომ ვაინახური წარმომავლობის გვარის თუშებს სცოდნოდათ ვაინახური ენა, ისევე როგორც ქართული წარმომავლობის ვაინახებში ყოფილიყვნენ ქართულის მცოდნენი. ეთნიკური ფაქტორის გარეშეც მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში მოინახებოდნენ ერთიმეორის ენის მცოდნენი.

ის, რაც ვახუშტი ბაგრატიონმა შენიშნა, მრავალმა სხვა მკვლევარმა და დამკვირვებელმა დაადასტურა XVIII-XIX საუკუნეებში. პირველ რიგში, აღსანიშნავია XVIII საუკუნეში საქართველოში მყოფი გერმანელი მეცნიერის, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის იოჰან ანტონ გიულდენშტედტის (1745-1781წწ) ცნობები თუშეთის მოსახლეობისა და ენის შესახებ: თუშები, როგორც ამას მათი ენა მოწმობს, რომელიც ქართული დიალექტია მრავალი ქისტური სიტყვით შენარევი, რასაკვირველია, არიან ქართველები, ქისტებთან შერეულნი.“ შემდეგ თხრობას აგრძელებს წოვათის შესახებ: ,,პირველ ოთხ სოფელში (ჩამოთვლილია: წოვა, საგირთა, ეტელთა, ინდურთა) ლაპარაკობენ ქართულ-ნარევ ქისტურად. მცხოვრებლები შესაძლებელია უფრო მეტად ვიდრე სხვაგან, ქისტური შთამომავლობისა იყვნენ.“ მისივე დაკვირვებით, ადამიანთა სახელებიც შერეულია – ქისტურ-ქართულია (გელაშვილი, 1962 : 263).

გიულდენშტედტის ცნობები რეალური ვითარების ამსახველია. სავსებით ბუნებრივია, რომ წოვათში მან დაინახა ქართულ-ქისტური შენარევი ეთნიკურ შემადგენლობაში, ენაში და ადამიანთა სახელებში, მით უმეტეს, რომ წოვა-თუშები გენეტიკურად ქისტებს დაუკავშირა. როგორც ჩანს, ეთნიკურ და ენობრივ შენარევს ხედავდა მკვლევარი პირიქით თუშეთშიც, რომელსაც კონკრეტულად არ ასახელებს, მაგრამ ამის საფუძველია ცნობა, რომ „თუშები... რასაკვირველია, არიან ქართველები, ქისტებთან შერეულნი“. ეს ცნობები ავსებენ ვახუშტის მონაცემებს და გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან თუშეთში ქართულ-ვაინახური ეთნო-ლინგვისტური და კულტურული ურთიერთობის შესახებ.

XIX საუკუნის სწავლულთაგან აღსანიშნავია რაფიელ ერისთავის დაკვირვება. მისი შეხედულებით, ფშავის, ხევსურეთისა და თუშეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი საქართველოს ბარიდან მთაში ასახლებული ქართველების შთამომავალია, მაგრამ იგი არ გამორიცხავს ჩრდილოკავკასიური წარმოშობის გვარების არსებობასაც. ამ მხრივ მისი ყურადღება, მიუქცევია პირიქით ხევსურეთს, რომლის მოსახლეობა სხვადასხვა წარმოშობისაა (ქართველები, ოსები, ქისტები და სხვ. მთიელები), საფიქრებელია, რომ ამგვარი ვითარების საფუძვლად რ. ერისთავს მიაჩნია ხევსურეთის ამ ნაწილის ტერიტორიული მეზობლობა ჩრდილო კავკასიის ქვეყნებთან, პირველ რიგში, კი ჩაჩნეთ-ინგუშეთთან, როდესაც აღნიშნავს, რომ აქაც, ისევე როგორც თუშეთის თემსაზოგადოებებში – წოვათასა და პირიქითში, ქართულთან ერთად ჩაჩნური ენაც უნდა სცოდნოდათ.

რ. ერისთავის ამ შეხედულებაზე დაყრდნობით, ა. ზისერმანმაც აღნიშნა, რომ ხევსურეთში ქართული მოდგმის მოსახლეობას დროთა ვითარებაში ქისტები და ოსებიც შეერივნენ.

მეორე უცხოელი ავტორი, რომელიც ხევსურეთის მოსახლეობის ვინაობით დაინტერესდა, ხევსურეთშიც იმოგზაურა, მასალაც მოიპოვა და თავისი წიგნის ეთნოგრაფიულ ნაწილში ფაქტობრივად რ. ერისთავის კვლევის შედეგები გამოიყენა, იყო გუსტავ რადე. ძირითადად რ. ერისთავის ნაშრომზე დაყრდნობით და საკუთარი დაკვირვების საფუძველზე იგი წერს, რომ ხევსურეთში მოხდა ქართულ მოსახლეობასთან მეზობელი ჩრდილო კავკასიელების შერევა. ამის საბუთად იგი მიიჩნევს ენობრივსა და ანთროპოლოგიურ ნიშნებს. მისთვის ცნობილი იყო, რომ ჩაჩნეთ-ინგუშეთის მეზობელ ქართულ კუთხეებში – ხევსურეთიდან შატილელები და არდოტელები, ხოლო თუშეთში წოვა-თუშები ჩაჩნური ენის ქისტურ კილოზედაც ლაპარაკობდნენ. მკვლევარი ქისტებისადმი მსგავსებს ხედავს შატილელთა გარეგნობაშიც, რომლებიც ამ მხრივ განსხვავდებოდნენ გუროელთაგანრი გ. რადე ფაქტობრივად ავითარებს რ. ერისთავის შეხედულებას, რომ

ანთროპოლოგიური შესწავლა გამოავლენდა ქართველი და ვაინახი მთიელების შერევის მაჩვენებლებს, რაც საქართველოს მთიანეთში ხანგრძლივი ეთნიკური პროცესის შედეგად ყალიბდებოდა. ამასთან შეპირისპირებაში გ. რადე არადამაჯერებლად მიიჩნევს ა. ზისერმანის ჰიპოთეზას ჯვაროსნებთან ხევსურების ეთნიკური კავშირის შესახებ.

საქართველოს მონაპირე კუთხეების სტრატეგიულ მნიშვნელობას, მოსახლეობის შემადგენლობას და ჩრდილო კავკასიის ქვეყნებთან ეთნიკური ურთიერთობის საკითხებს ეხება ალ. ყაზბეგი ნარკვევში „გადაკარგული მხარე“, რომელიც წარმოადგენს გ. რადეს ზემოხსენებული წიგნის ვრცელ რეცენზიას. ფაქტობრივად კი ეს სცილდება რეცენზიის ფარგლებს და შესანიშნავი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნაშრომის ხარისხითაა აღჭურვილი. ალ. ყაზბეგი აქ იმ შეხედულებას ავითარებს, რომ ხევსურები ქართული წარმომავლობისანი არიან, მათ „სრულის სიწმინდით შეუნახავთ ჩვენი ქართული ენა“ და თავიანთ ტერიტორიაზე „საქართველოს დამცველი წრე შეუდგენიათ“ (ყაზბეგი, 1950 : 50).

მოცემული განმარტებით, ალ. ყაზბეგმა არა მარტო ის აღნიშნა, რომ ხევსურეთს გამორჩეული სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა, პირველ რიგში, ჩაჩნეთ-ინგუშეთთან ურთიერთობაში, არამედ ნიადაგი შეამზადა ხევსურთა წარმომავლობის შესახებ გავრცელებული ზოგიერთი მცდარი შეხედულების გასაბათილებლად. მისი აზრით, მცდარია ა. ზისერმანის შეხედულება ხევსურულ მოსახლეობაში ოსური სუბსტრატის შესახებ და მით უფრო მიუღებელია ხევსურების გენეტიკური კავშირი ევროპელ ჯვაროსნებთან. რაც შეეხება გ. რადეს, ალ. ყაზბეგის შეფასებით, ის ა. ზისერმანისა და რ. ერისთავის შეხედულებათა შუა ტრიალებს და გადაწყვეტით არაფერს ამბობს. ,,დარჩა რ.ერისთავი, რომელსაც რამდენადმე უნდა დავეთანხმოთ, მაგრამ სრულებით კი არა. მე ზევითვე ვთქვი, რომ უწინ ქისტები და ხევსურები ერთმანეთს ქალს აძლევდნენ და მოყვრობდნენ-მეთქი; მაშასადამე, ხევსურების სისხლში ქისტების სისხლიც უნდა იყოს გარეული, მაგრამ რაც კი შეეხება ოსებს, იმათ არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ ხევსურებთან და ისე მოშორებულნი არიან, რომ ვერც კი მოხვდებიან ხოლმე მათ მხარეს. ხევსურებს გარს ახვევიან ქისტები, ფშავლები, თუშები, გუდამაყრელები (მთიულები) და მოხევეები. აშკარაა, რომ ამ ხალხებთან უნდა ჰქონოდათ ხევსურებს დამოკიდებულება, როგორც მეზობლებთან და არა შორეულ ოსებთან ეხლაც კიდევ იპოვით გახევსურებულ ქისტებს, ქისტაურის გვარით, რომელნიც სისხლს გამოქცევიან და იქ შეხიზნულან. შეხვდებით ათასში ერთს ქისტურს სიტყვებს, სახელებს, მაგრამ ოსური არც გვარი, არც სახელები, არც სიტყვები არ მოიძევება ხევსურებში. ხევსურები სწორედ ქართველთა გვარტომობას უნდა ეკუთვნოდნენ და ეს მტკიცდება სხვათა შორის იმით, რომ მათ შორის ქართული ენა სრულის სიწმინდით შენახულა. მთებისა, სოფლებისა და მდინარეებისათვის დაურქმევიათ ხევსურებს იმისთანა სახელები, რომელთაც მნიშვნელობა მარტო ქართულს ენაზედა აქვთ“ (ყაზბეგი, 1950 : 56).

როგორც ვხედავთ, ალ. ყაზბეგმა კრიტიკულად განიხილა გამოთქმული მოსაზრებები, ძირითადად დაეთანხმა რ. ერისთავს ხევსურთა ქართული წარმომავლობისა და ვაინახების შერევის შესახებ, მაგრამ ხელაღებით უარყო ოსურ-ხევსურული ეთნიკური კავშირის შესაძლებლობა იმ მოტივით, რომ იმ დროისათვის არსებული ეთნოგრაფიული მონაცემებით და სპეციალური ლიტერატურის მიხედვით არ არსებობდა ამგვარი სინთეზის თუნდაც მინიშნების საფუძველი. მწერლის შეხედულებით ეს ისეთივე გაუგებრობა იყო, როგორიც ზოგიერთი დამკვირვებლის მიერ ხევის მიჩნევა საოსეთოდ, რასაც მან კრიტიკული შეფასება მისცა (ყაზბეგი, 1950 : 5, 187).

საჭიროდ მიგვაჩნია, აქვე ითქვას ზოგიერთი უზუსტობის შესახებაც. ხევსურეთის მეზობელი მხარეების ჩამონათვალში ხსენებული ფშავლები, თუშები, გუდამაყრელები, მოხევეები ხალხებადაა სახელდებული. სინამდვილეში ისინი ქართველი ხალხის შემადგენელი ეთნოგრაფიული ჯგუფები არიან. ერთგვარ გაუგებრობას ქმნის გუდამაყრელების დასახელებისას ფრჩხილებში „მთიულების“ ჩასმა, რაც გუდამაყრელებისა და მთიულების გაიგივების შთაბეჭდილებას ქმნის,

მაშინ, როდესაც ისინი ცალკე ეთნოგრაფიული ერთეულებია. ყურადღებას იმსახურებს იმის მტკიცებაც, რომ ხევსურეთში მხოლოდ ქართული ტოპონიმებია. რეალობის ჩვენებისათვის საჭიროა ითქვას, რომ ქართულ-ვაინახური მეზობლობისა და მოსახლეობის შერევის შედეგად ხევსურეთში, ისევე როგორც თუშეთში, ვაინახური ტოპონიმებიც გაჩნდა (შანიძე, 1984).

ქართველ მთიელთა ჩაჩნეთში შესვლისა და ადგილობრივ მოსახლეობასთან შერევის ტენდენციაზე მიუთითებდა უ· ლაუდაევი. მან დაასახელა ხევსურეთის მოსაზღვრე ჩაჩნური სოფლები – მაისტა და მალგი, სადაც ზოგიერთი ხევსურული წარმოშობის გვარი ჩაჩნურ მოსახლეობას შერწყმია. არღუნის ოლქის მოსახლეობაში ა. იპოლიტოვმა ასევე დაასახელა ზოგიერთი ქართული წარმოშობის ტეიპა (გვარი).

ერთ-ერთი ცნობილი სოფელი ხევსურეთში, სადაც ვაინახების ნაკვალევი შეინიშნებოდა, იყო მუცო. ა. ზისერმანი აღნიშნავდა, რომ აქ მესისხლეობის მიზეზით გამოხიზნული ქისტების რამდენიმე ოჯახი ცხოვრობდა. მისივე ცნობით, მუცო მოსაზღვრეა მაისტის საზოგადოებისა (ჩაჩნეთი), საიდანაც მტაცებლური ბანდები ყველაზე ხშირად იჭრებოდნენ ოლქში. კიდევ ერთი დამკვირვებელი წერდა, რომ მუცოში მხოლოდ ერთადერთი ქისტის ოჯახი იყო დარჩენილი, ვინაიდან ეს სოფელი მოსახლეობისაგან დაცლილა ადგილ-მამულის ნაკლებობისა და ქისტების ხშირი თავდასხმების გამო. მუცოში რომ ქისტებს უცხოვრიათ და რომ მისი ესოდენ ძლიერი გამაგრება ნაკარნახევი იყო თავდაცვის აუცილებლობით. ეს ნათლად ჩანს ა. ქალდანის გამოკვლევიდანაც. სხვათა შორის, ამ ნაშრომში ითქვა შემდეგიც: „მუცოსთან გვხვდება გვიანდელი წარმომავლობის ე. წ. ქისტური წარმოშობის საფლავებიც. ისინი მარტივი აგებულებისაა და მიწაში ვერტიკალურად დასობილი, გრძელი, საკმაოდ ფართო ფიქალის ფილებითაა წარმოდგენილი“ (ქალდანი, 1991 : 24).

მოსახლეობის მიგრაციის საინტერესო მაჩვენებლები გამოავლინა ლ. სემიონოვმა. მის მიერ ხალხში ფიქსირებული მასალების მიხედვით, ინგუშეთში საქართველოდან მოსულან ევლოევების წინაპრები და მათი და სახლებისათვის შეურქმევიათ ევლოი. მისივე დაკვირვებით, ჩაჩნეთის სოფელ ჰულიდან საქართველოში გადასულა მაზიევის გვარი, მაგრამ არ აღნიშნავს მის მერმინდელ ქართულ სახელწოდებას. იგივე მკვლევარი იმოწმებს ბიბო ახრიევის ნათქვამს ჯარიახის ხეობიდან ზოგიერთი გვარის საქართველოში გადასახლების შესახებ. მთხრობლის ინფორმაციის მიხედვით, მათ არ შეუწყვეტიათ ურთიერთობა ჯარიახში დარჩენილ ნათესავებთან. ამგვარი კავშირების მაჩვენებლად დამოწმებულია აგრეთვე გადმოცემა იმის შესახებ, რომ მესისხლეობის მიზეზით გამოხიზნულ ქისტებს უცხოვრიათ შატილსა და არდოტში.

ქართველ ეთნოგრაფთა მიერ ინგუშეთში ჩაწერილი მასალის მიხედვით არხოტის ტერიტორიაზე ადრე „თათრებს“ (ე. ი. მაჰმადიანებს, ურჯულოებს) უცხოვრიათ, ხოლო საკუთრივ არხოტიონთა წინაპრების ადგილ-სამყოფელი ყოფილა ასას ხეობა“. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა XIX საუკუნის ქართულ პრესაში გამოქვეყნებული გადმოცემა იმის შესახებ, რომ თამარ მეფის დროს არხოტელი ხევსურების წინაპრები მოსახლეობდნენ ღლიღვის თემში ანუ საზოგადოებაში, როდესაც თამარ მეფეს ასას ხეობაში ეკლესია აუშენებია, არხოტელთა წინაპრებს მართლმადიდებლობა მიუღიათ, მაგრამ შემდეგ ისინი არხოტის თემში გადასულან, ხოლო არხოტში მცხოვრები „თათრები“ გაქრისტიანების შიშით აქედან გადასახლებულან (კრებული, 1872 : 133-160).

ფიქსირებული გადმოცემები გვიჩვენებენ როგორც ორ მეზობელ რეგიონ შორის მოსახლეობის მოძრაობას, ისე საქართველოს ფეოდალური მონარქიის გავლენას ჩრდილო კავკასიაზე, კონკრეტულ ვითარებაში ინგუშეთზე, რამაც გამოვლინება ჰპოვა რელიგიის სფეროში. ამ გადმოცემაში აირეკლა ასას ხეობაში XII საუკუნის ეკლესიის აშენების რეალობა, ეკლესიისა, რაც დღემდეა შემორჩენილი და თავის დროზე ინგუშთა ერთ-ერთ უმთავრეს სალოცავსა და რჯულის კაცების შესაკრებ ადგილს წარმოადგენდა.

როგორც ვხედავთ, ჩაჩნეთ-ინგუშეთიდან ჩამოსახლებულმა ვაინახებმა შესანიშნავად მოიწყვეს ცხოვრება პანკისის ხეობაში, რაშიაც უსათუოდ აღსანიშნავია ქართველი ხალხის დამსახურება, ქისტების მიმართ კეთილმეზობლური დამოკიდებულება. ქისტებს აქ ყოველგვარი პირობები შეუქმნეს იმისათვის, რომ აეთვისებინათ ქართული სამეურნეო ცხოვრების წესი, ენა და დამწერლობა. ქისტებისათვის ქართული ენა იქცა სასჯულო განათლების ენად იქ არსებულ ქართულ სკოლებში. თვით გვარებიც კი ქართული დაბოლოებით გაიფორმეს. ყოველივე ეს საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს ხალხის ცხოვრება საქართველოს ტერიტორიაზე მოწყობილ დიასპორაში.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ ქართველებსა და ვაინახებს შორის მრავალმხრივი ეთნიკური და ყოფითი ურთიერთობა არსებობდა. ეს ურთიერთობა გამოხატულებას პოულობდა მოსახლეობის მიგრაცია-შერევაში, გვართა გენეტიკისა და მონათესაობის ხსოვნაში, მატერიალური კულტურის სფეროში, თემური მმართველობის მსგავსებასა და შემონახულობაში, ორმხრივი ადათობრივი სამართალწარმოების წესებში, სტუმარმასპინძლობის ტრადიციებში, დაძმობილების ჩვეულებაში საქორწინო ურთიერთობაში, საოჯახო ყოფის თავისებურებაში, მსგავსი სამეურნეო ყოფის არსებობაში, მეკობრეობის წესში, ენობრივი ურთიერთობისა და სულიერი კულტურის სფეროში.

ყოფითი კულტურის მსგავსებას განაპირობებდა ურთიერთმეზობლობა და ორმხრივი კონტაქტები, რაც ხორციელდებოდა არსებული საკომუნიკაციო საშუალებების – გზა-ბილიკებისა და გადასასვლელების გამოყენებით. ყოფითი კულტურის იდენტურობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი იყო ჩაჩნეთ-ინგუშეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მთაგორიანობა, დაახლოებით ერთნაირი სამეურნეო პირობები, მისი შესაბამისი სამეურნეო ყოფისა და ცხოვრების წესის ფორმირება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვახუშტი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა (1941)*, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქტიით, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
2. გელაშვილი, გ. (1962), *უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ, გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“,* წიგნი IX, თბილისი.
3. ყაზბეგი, ალ. (1950) *თხზულებანი,* ტ. V.
4. შანიძე, ა. (1984). *თხზულებანი,* ტ. I, თბილისი.
5. ბ. გაბუურის მიერ შეკრებილი ხევსურული მასალები (1923-1924) *ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული*, I-II თბ., ა. შანიძის რედაქციითა და ლექსიკონით.
6. ქალდანი, ა. (1991). *პირიქითი ხევსურეთის ტრადიციული დასახლებანი* და *ნაგებობები*, კრებული „ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები“, თბილისი. ჟურნალი „კრებული“, (1872), N6.

Georgian-Vainakh ethnic and social relations in the 18th-19th centuries

Lamara Aslamazishvili, Georgian Technical University,
assistant professor

Summary: In the field of multilateral relations between peoples, an important place belongs to the relationship of the existing nature, which was, first of all, characteristic of the population of the neighboring countries.

In order to study the relationship between the people, there are noteworthy ethnographic data in the life of Vainakhs and Georgian mountaineers, which we will introduce in order in the work.

Key words: Vainakh, ethnic, former, Chechnya.

აფხაზ-ადიღელების გენეტიკური ისტორია

თედო ისაკაძე, საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი: სტატიაში, ძირითადად, შევეხებით ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის იმ მოსახლეობის შესაძლო წარმომავლობის საკითხს, რომელთა სასაუბრო ენა აფხაზურ-ადიღურ ენათა ოჯახს განეკუთვნება.

ზემოაღნიშნული პოპულაციის წარმომავლობის შესახებ არქეოლოგები და ლინგვისტები რამდენიმე ჰიპოთეზას გვთავაზობენ. მათ შორის ყველაზე აქტუალურია აფხაზურ-ადიღურის ხათურთან ნათესაობის ვერსია, რომლებიც უძველეს დროში ცენტრალურ ანატოლიაში სახლობდნენ. ჩვენთვის საინტერესოა, რა წვლილის შეტანა შეუძლია პოპულაციურ გენეტიკას უკვე არსებული ჰიპოთეზების გასამყარებლად ან უკუსაგდებად იმის გათვალისწინებით, რომ ეს, სრულიად ახალგაზრდა დისციპლინა, ფლობს საკმაოდ საიმედო ინსტრუმენტებს ხალხთა ადრეული მიგრაციების მარშრუტებისა და ქრონოლოგიური მონაკვეთის დასადგენად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ აფხაზ-ადიღელების წინაპარი პოპულაციები სახლობდნენ ცენტრალურ და დასავლეთ ანატოლიაში და მათ მონაწილეობა მიიღეს ევროპის ნეოლითიზაციის პროცესში, რის შედეგედაც დამკვიდრდნენ კავკასიის ჩრდილო-დასავლეთის ტერიტორიაზე.

საკვანძო სიტყვები: აფხაზ-ადიღეური კულტურა, მაიკოპის კულტურა, მიგრაცია.

შესავალი: G2a2b2a (P303/PF3340), რომელიც ადრე მოიხსენიებოდა, როგორც G2a3b1, მაღალი სიხშირით გვხვდება შაფსუღებში - 86%, აფხაზებში - 20,7%, ჩერქეზებში - 29,6%.

აფხაზურ-ადიღურ ენათა ოჯახის წარმომადგენელი თანამედროვე მოსახლეობის (აფხაზები, აბაზები, ადიღელები, ყაბარდოელები, ჩერქეზები) კვლევა კვლავაც გრძელდება და მონაცემები ზუსტდება, თუმცა, უკვე გამოიკვეთა გარემოება, რომ ეს რეგიონი G2a2a (PF3147) და, განსაკუთრებით, G2a2b (L30/PF3267/s126) ჰაპლოჯგუფების ყველაზე მაღალი კონცენტრაციით ხასიათდება.

წარმოდგენილ სტატიაში, ჩვენ, ძირითადად, შევეხებით G2a2-Cts4367 ჰაპლოჯგუფის სუბკლადებს.

ძირითადი ნაწილი: ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, ადრეულ ეტაპზე, დარკვეთი-მეშოკოს ენეოლითის კულტურულ-არქეოლოგიურ ფენაში, უნაკოზოვსკაიაში, გვხვდება კავკასიელი მონადირე-შემგროვებლების კვალი ახლოაღმოსავლური მინარევით (ინდივიდები I1722, I2056, I2055). აღნიშნული ინდივიდები განეკუთვნებიან დარკვეთი-მეშოკოს კულტურას და ეს გენეტიკური ხაზი, ამ რეგიონში, ჩანს ნოვოსვობოდნენსკაიას ადრეულ პერიოდშიც, კლადი და დლინნაია პოლიანას სამარხებში (I6266 და I6268).

ამ სურათის ფონზე, 3500-3000 წლის BCE წინანდელი ინდივიდი I6272 კლადი და დლინნაია პოლიანიდან ავლენს Y-ჰაპლოჯგუფს - G2a2a, ის თითქოს ამოვარდნილია მაიკოპისა და, შემდგომ, იამნაიას კულტურების საერთო გენეტიკური სურათიდან და, არქეოლოგიური მონაცემებითაც, იხრება ნოვოსვობოდნენსკაიას (ადრე მოიხსენიებოდა, როგორც „ცარსკაია“) კულტურისკენ. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით კი არაერთგზის გამოითქვა აზრი, რომ იგი მაიკოპის კულტურის გაგრძელება კი არა, განსხვავებული კულტურული მოვლენაა, რომელიც ამჟღავნებს ნათესაობას დასავლეთ ევროპის კულტურებთან.

ამ მსგავსების შესახებ ჯერ კიდევ გორდონ ჩაილდი წერდა, რომ მიუხედავად ზოგიერთი არტეფაქტის (ისრის თავები, ორკბილა კაუჭები და სხვ.) სამხრეთ მესოპოტამიური და ჩრდილო-ირანული (გისარი III) წარმოშობისა, „კერამიკა პირიქით - ყოველგვარი ეჭვის გარეშე ამჟღავნებს მსგავსებას შუა რუსეთის ფატიანოვის ჭურჭელსა (ბრინჯაოს ხანის კულტურა, რომელიც ევროპის

schnurkeramik-ის (იგივე Corded Ware culture) ადგილობრივ ვარიაციას წარმოაგენს - თ. ი.) და ცენტრალური ევროპის Globular Amphora-ს კულტურასთან“.

ნოვოსვობოდნენსკაიაზე დასავლეთ ევროპის, კერძოდ Funnelbeaker-ის კულტურის გავლენას ხედავენ სხვა მკვლევრებიც. ალექსეი რეზეპკინი მიუთითებს, რომ ადრეულ ეტაპზე მაიკოპის კულტურა წინააზიურია, ნოვოსვობოდნენსკაიას ეტაპი კი, უდავოდ, დასავლეთ ევროპული წარმომავლობისაა. ნადეჟდა ნიკოლაევამ და ვლადიმერ საფრონოვმა, ასევე, განაცალკევეს მაიკოპისა და ნოვოსვობოდნენსკაიას კულტურული ფენები და წარმომავლობა.

ამ მოსაზრებას ამყარებს ჩვენ მიერ უკვე ნახსენები, კლადის სამარხიდან ამოღებული გენომი, რომელშიც აღმოჩნდა გამყინვარების შემდგომი ევროპისთვის დამახასიათებელი მიტოქონდრიული ჰაპლოჯგუფი V7. ავტორები ფრთხილად აღნიშნავენ, რომ: „შედეგები არ ეწინააღმდეგება ჰიპოთეზას ადრეული ჩრდილოეთ და დასავლეთევროპული კულტურებისგან ნოვოსვობოდნენსკაიას კულტურის მომდინარეობისა და ცალკე არქეოლოგიურ კულტურად მისი გამოყოფის შესახებ (იგულისხმება, მაიკოპისგან - თ. ი.)“. იმავდროულად, „ნოვოსვობოდნენსკაიას ადრეული ადამიანის მიტოქონდრიული გენომის სრული სეკვენირების შედეგები მიუთითებს მის შესაძლო კავშირებზე Funnelbeaker (ძაბრისებრი თასების) კულტურასთან“.

ამრიგად, 3 ათასი წლის წინათ BCE, მაიკოპის კულტურას, ფაქტობრივად, ანაცვლებს ახალი არქეოლოგიური და გენეტიკური პლასტი, რომელიც ამჟღავნებს ნათესაობას დასავლეთევროპულ კულტურასთან.

ახლა, გავადევნოთ თვალი, თუ რა წინაპირობები ახლდა თავად ამ ევროპული კულტურების წარმოშობას და რა ინფორმაციას გვაწვდის ამის შესახებ პალეოგენეტიკა.

ევროპის კონტინენტის ნეოლითურ კულტურაზე გადასვლის პროცესი დაკავშირებულია ანატოლიელ ადრეულ მიწათმოქმედთა გაფართოებასთან დასავლეთის მიმართულებით. ეს მიგრაცია, ძირითადად, უკავშირდება Y-ჰაპლოჯგუფ G2a2-ს და სუბკლადებს - G2a2a-სა და G2a2b-ს.

ორივე ეს სუბკლადი ანატოლიური წარმომავლობისაა.

ნეოლითის დასაწყისში, სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში, ბონჩუკლუში (Boncuklu tarla), გვხვდება G2a2b2b-ჰაპლოჯგუფი (Bon001, Bon004), საიდანაც ის ფართოვდება როგორც ჩრდილოეთით, მენთეშ ტეპეს (Mentese) (I0723, I0727), ისე დასავლეთით, ტეპეციკის (tepecik Ciftlik) მიმართულებებით (tep003).

VII ათასწლეულში BCE ის ფართოდ არის წარმოდგენილი მარმარილოს ზღვის სანაპიროსთან, ბარცინში (Barcın), სადაც G2a2a-PF3147 გვხვდება ინდივიდებში: I1583 და I1103, G2a2b-L30 კი - ინდივიდებში: I1097, I0746 და I0744. მოგვიანებით დავინახავთ, რომ ანატოლიელი მიწათმოქმედები გასცდებიან ახლო აღმოსავლეთის ტერიტორიას და მძლავრი, ინტენსიური ნაკადებით დაიძვრებიან ევროპისაკენ.

ევროპის ნეოლითიზაციის პერიოდში, ლეპენსკი ვირში ნაპოვნი ინდივიდი I4665, შეიცავს მიტოქონდრიულ ჰაპლოჯგუფს - J2b1 (ასაკი 6205-5907 BCE), ხოლო ინდივიდი I5405, მიტოქონდრიულ ჰაპლოჯგუფს - HV (ასაკი 5836-5632 BCE), ანუ „აქვთ მთლიანად ჩრდილო-დასავლეთის ანატოლიური წარმომავლობა, რომელიც დაკავშირებულია ნეოლითთან“.

ლეპენსკი ვირი მდებარეობს ახლანდელი სერბეთის ტერიტორიაზე, დუნაის მარჯვენა სანაპიროზე და ხასიათდება სხვადასხვა დროის არქეოლოგიური ჰორიზონტით. მიუხედავად იმისა, რომ აქ, უკვე მე-6 ათასწლეულში BCE შეიმჩნევა კარგად განვითარებული სოციალური ურთიერთობების ნიშნები, სამიწათმოქმედო მეურნეობა მაინც შემოტანილს ჰგავს - სავარაუდოდ, ევროპის სამხრეთიდან, სადაც უფრო ადრე განვითარდა ნეოლითური ცხოვრების წესი. იქვე აღმოჩენილი ინდივიდი I4666 აჩვენებს ჩრდილო-დასავლეთ ანატოლიური და მონადირე-შემგროვებლების ნარევს. ასეთივე ნაზავი ჩანს ინდივიდში I5232 პადინადან (სერბეთი, ქალწულ მარიამის ხეობა, „რკინის კარიბჭე“).

ბალკანეთის ნეოლითის პალეოგენეტიკური მონაცემები აჩვენებს G2a2 წინაპარი ჰაპლოჯგუფის ორი სუბკლადის პარალელურ თანაარსებობას:

სუბკლადი G2a2a ჩანს: იაბალკოვოში (Yabalkovo) ინდივიდში I0698 (სამხრეთ-აღმოსავლეთ ბულგარეთი), მდინარე მარიცას მარჯვენა სანაპიროზე; ოსიჯეკში (osijek, სოპოტის კულტურა), 28-35 წლის ასაკის მამაკაცში - ინდივიდი I5077; კარგადურში (Kargadur, ხორვატიის იმპრესო), ინდივიდი I5072, რომელიც ცნობილია არტეფაქტით - „მაკედონიელი ადამი“. გომოლავას (Gomolava, სერბეთი) სამ ინდივიდში (I0633, I0634, I1131).

სუბკლადი G2a2b გვხვდება: ჯულინიცაში (Dzhulyunitsa) - ინდივიდი I2521, ბულგარეთი; გოვრლევოში (Govrlevo) - ინდივიდი I0676, მაკედონია; კოტატკუში (Coțatcu) - ინდივიდი I2532, რუმინეთი.

ორივე სუბკლადია გამოვლენილი ბალკანეთის ხალკოლითისა (ივანოვო, ინდივიდი I2431) და ბრინჯაოს ხანის (ჯულინიცა, ინდივიდი I2510) პალეოგენეტიკურ მონაცემებში. უფრო გვიან, როდესაც ევროპამ უკვე განიცადა დიდი ევრაზიული სტეპიდან იამნაიას კულტურის ექსპანსია და მაღალი სიხშირით გაჩნდა R* ჰაპლოჯგუფი, ხორვატიის ტერიტორიაზე, ვუჩედორში, პანონის ზეგანზე, კვლავ გვხვდება ეს ადრეული ჰაპლოჯგუფი G2a2a1a2a (ინდივიდი I2792, ასაკი - 2872-2582 BCE).

G2a2a1a2a1a ჰაპლოჯგუფი აღმოჩენილია იტალიაშიც, ცნობილი „ყინულის ადამიანის“, ოტცის გენომში (ასაკი - 3484-3104 BCE).

ბალკანეთი, დუნაის ქვედა წელი, აშკარად იკვეთება, როგორც პროქსიმალური წყარო (სხვა რეგიონებში რემიგრაციის ყველაზე ახლო მომიჯნავე რეგიონი), რომელიც ფართოვდება როგორც დასავლეთით - დუნაის სათავისკენ, ასევე ჩრდილოეთით - უკრაინის მიმართულებით.

ასე რომ, მარშრუტის - „ანატოლია-ბალკანეთი-შავი ზღვის ჩრდილოეთი“ გავლის შემდგომ, IV ათასწლეულის დასაწყისში BCE ანუ მაიკოპის კულტურის პირველ პერიოდში, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის არეალში უკვე ჩნდება ანატოლიური წარმომავლობის დასავლეთევროპული კლასტერი ჰაპლოჯგუფით - G2a2b, რომელიც, დღესაც, აფხაზებისა და ადიღელების პოპულაციის მაჟორული ჰაპლოჯგუფია.

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის თანამედროვე პოპულაციის გენოფონდი დღესაც ამჟღავნებს ამ ანატოლიური კომპონენტის კვალს. აფხაზურ-ადიღური მოსახლეობის ჰაპლოჯგუფების ღრმა სუბტიპირების შედეგად მკაფიოდ იკვეთება წინა აზიის ადრეული პოპულაციების გენეტიკური მემკვიდრეობა.

ანალოგიურ სურათს გვაძლევს ამ რეგიონის მოსახლეობის მიტოქონდრიული ჰაპლოჯგუფების მონაცემები ანუ გენეტიკური ისტორია დედის ხაზით.

დასკვნები: როგორც პალეოგენეტიკური მონაცემები, ისე არქეოლოგიური მასალა, ცალსახად და მკაფიოდ ასახავს ადრეულ ანატოლიელ მიწათმოქმედთა მიგრაციას შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროს გავლით ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის სუბრეგიონისკენ. ჩრდილოეთის მარშრუტი, ანატოლიიდან დასავლეთ საქართველოს გავლით, ნაკლებად სავარაუდოა იმ პერიოდში კოლხეთში ტყე-ჭაობიანი მასივის არსებობის გამო, რომელიც, ბუნებრივია, ადრეულ მიწარმოქმედთათვის ნაკლებად მიმზიდველი იყო.

ამრიგად, ჰიპოტეზა აფხაზურ-ადიღერ ენათა ოჯახსა და ხათურ ენებს შორის შესაძლო ნათესაობის თაობაზე მეტ დამაჯერებლობას იძენს არქეოგენეტიკური (პალეოგენეტიკური) მონაცემების გათვალისწინებით.

გამოყენებული ლიტერატურა :

1. Balanovsky o. et al. „Parallel evolution of genes and languages in the Caucasus region.“ 2011.
2. Rootsi Siiri et al. “Distinguishing the co-ancestries of haplogroup GY-chromosomes in the populations of Europeand the Caucasus.” 2012.

3. Дибирова Х. Д. და სხვები. „Генетический рельеф кавказа: четыре лингвистико-географических региона по данным о полиморфизме хромосомы У.“ 2010.
4. Cinnioglu Cengiz . „Excavating Y-chromosome haplotype strata in Anatolia.“ 2004.
5. Wang Chuan-Chao et al. “The genetic prehistory of the Greater Caucasus.” 2018.
6. Wang Chuan-Chao et al. „Ancient human genome-wide data from a 3000-year interval in the Caucasus corresponds with eco-geographic regions.“ 2019.
7. Childe Gordon. „The Dawn of European Civilization.“ 1925.
8. Резепкин А. Д. „Новосвободненская культура (на основе материалов могильника «Клады»)“.
9. Николаева Н. А., Сафронов В.А. „Происхождение дольменной культуры Северо Западного Кавказа.“ 1974.
10. Kılınc Gulşah Merve et al.) „The Demographic Development of the First Farmers in Anatolia.“ 2016.
11. Mathieson Iain et al. “Genome-wide patterns of selection in 230 ancient Eurasians.” 2015.
12. Lipson Mark. „Parallel paleogenomic transects reveal complex genetic history of early European farmers.“ 2017.
13. Fu Qiaomei . „The genetic history of Ice Age Europe.“ 2016.
14. Mathieson Iain, David Reich. „The Genomic History of Southeastern Europe.“ 2018.
15. Haak Wolfgang et al. „Ancient DNA from European Early Neolithic Farmers Reveals their Near Eastern Affinities.“ 2010.
16. Lazaridis Iosif et al. “A genetic probe into the ancient and medieval history of Southern Eeurope and West Asia.” 2022.
17. Ozdogˇan Mehmet. „Anatolia and the Balkans: archaeology.“ 2013.
18. Ammerman, A. J.; Cavalli-Sforza, L. L. “Measuring the Rate of Spread of Early Farming in Europe”. 1971.
19. Hofmanova Zuzana et al. “Early farmers from across Europe directly descendedfrom Neolithic Aegeans.” 2016.
20. Теучеж И. Э. „Генофонд абхазо-адыгских народов, грузин и армян по данным о полиморфизме Y-хромосомы и фамилий.“ სადოქტორო დისერტაცია. 2013.
21. Литвинов А. А. „Изучение генетической структуры народов западного кавказа по данным о полиморфизме y-хромосомы, митохондриальной днк и alu-инсерции“ 2007.
22. Федоров Я. А. „Этнокультурные связи Западного Кавказа и Передней Азии в эпоху позднего неолита.“ Вестник МГУ. 1973. #5.
23. Дунаевская И М, Дьяконов И М. „Хаттский (протохеттский) язык.“ § 1. 1979.
24. Dyakonov I. M. „Languages of the ancient Western Asia.“ M.: nauka, 1967.
25. Тихонова А. П. „Хаттско – адыгские лексические параллели (лингвокультурный аспект языкового знака). 2012.
26. Тихонова А. П. „Хаттско-абхазо-адыгские лексические параллели: история и современность.“ 2017.
27. Канделаки Д. Ф. „Хатты. Локализация. Идентификация. Хронология.“ კრებული „Нучное наследие Ф. А. Щербины: Казачество и история Кавказа.“ 2016.
28. Lazaridis Iosif et al. „Genomic insights into the origin of farming in the ancient Near East.“ 2016.
29. Berger B. et al. “High resolution mapping of Y haplogroup G in Tyrol (Austria)” 2013.
30. Marchi nina et al. “The genomic origins of the world’s first farmers.” 2022.
31. Rootsi siiri et al. „Distinguishing the co-ancestries of haplogroup G Y-chromosomes in the populations of Europe and the Caucasus.“ 2012.

დიაგრამები, რუკები, ჰისტოგრამები

დიაგრამა 1: ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის თანამედროვე მოსახლეობის ჰაპლოჯგუფები.

გამოყენებულია მონაცემები ნაშრომიდან: Теужек Ирина Эдуардовна, „Генофонды абхазо-адыгских народов, грузин и армян по данным о полиморфизме y-хромосомы и фамилий.“ 2013. სტატიაში მოხსენიებული ჰაპლოჯგუფის ძველი სახელი G2a3b, შევცვალეთ თანამედროვე აღმნიშვნელით G2a2b.



რუკა 1. ნეოლითის ხანაში ჰაპლოჯგუფ G2a2-ის სუბკლადების გავრცელების ადგილები პალეოგენეტიკური მონაცემების საფუძველზე

რუკა 2. ანატოლიიდან ევროპაში ნეოლითის გავრცელების გზები და არქეოლოგიური კულტურები



რუკა 3. სტატიაში ნახსენები ადრეული ენათა ოჯახების სავარაუდო გავრცელების მარშრუტები

დიაგრამა 2. სტატიაში მოყვანილი პალეოგენეტიკური მონაცემების ჰისტოგრამები







ინდივიდების საიდენტიფიკაციო კოდები მოცემულია მარცხნივ, თითოეულ რიგში. კლასტერების ნარევები წარმოდგენილია ფერებში: ანატოლიის ნეოლითი (რუხი), იამნაია სამარიდან (ყვითელი), დასავლეთის მონადირე-შემგროვებელი EHG (ვარდისფერი) და აღმოსავლეთის მონადირე-შემგროვებელი (მწვანე).

(Iain Mathieson et al. "The Genomic History of Southeastern Europe." 2018. მიხედვით).

ცხრილი. სპეციალიები მოყვანილი ანალიზებიდან ბიოლოგიური მონაცემები:

Sample ID	Date:	Culture	Location	Country	mtDNA	Y chrom.	Publication
I0744	6402-6243 calBCE	Anatolia_Neolithic	Barcın, Marmara Region	Turkey	J1c11	G2a2b2a	Mathieson 2015
I0746	6067-5892 calBCE	Anatolia_Neolithic	Barcın, Marmara Region	Turkey	K1a or K1a1	G2a2b2a1a1c	Mathieson 2015
I1097	6424-6251 calBCE	Anatolia_Neolithic	Barcın, Marmara Region	Turkey	W1-T119C	G2a2b2a3	Mathieson 2015
I1099	6500-6200 BCE	Anatolia_Neolithic	Barcın, Marmara Region	Turkey	T2b	G2a2a1a2a	Mathieson 2015
I1103	6500-6200 BCE	Anatolia_Neolithic	Barcın, Marmara Region	Turkey	K1b1b1	G2a2a1a2a	Mathieson 2015
I1583	6426-6236 calBCE	Anatolia_Neolithic	Barcın, Marmara Region	Turkey	K1a2	G2a2a1a2a	Mathieson 2015
I0723	5995-5845 calBCE	Anatolia_Neolithic	Mentese	Turkey	X2m2	G2a2a1	Mathieson 2015
I0727	6400-5600 BCE	Anatolia_Neolithic	Mentese	Turkey	K1a2	G2a	Mathieson 2015
Bon001	8212-7952 calBCE	Anatolia_Neolithic	Boncuklu	Turkey	U3	G2a2b2b	Kilinc 2016
Bon004	8300-7952 BCE	Anatolia_Neolithic	Boncuklu	Turkey	N1a1a1	G2a2b2b	Kilinc 2016
Tep003	6635-6475 calBCE	Anatolia_Neolithic	Tepecik Ciftlik	Turkey	N1b1a	G2a2a	Kilinc 2016
I2510	2906-2710 calBCE	Bulgaria_BA	Dzhulyunitsa	Bulgaria	H4a1	G2a2a1a2	Mathieson 2018
I2431	4725-4605 calBCE	Bulgaria_Middle_Chal	Ivanovo	Bulgaria	N1b2	G2a2b2a1a1c1a	Mathieson 2018
I2532	5715-5626 calBCE	Romania_EN	Coţatcu	Romania	K1a2	G2a2b2b	Mathieson 2018
I2521	5619-5491 calBCE	Bulgaria_Neolithic	Dzhulyunitsa	Bulgaria	H	G2a2b2b1a	Mathieson 2018
I0633	5604-5376 calBCE	Balkans_Neolithic	Gomolava	Serbia	HV	G2a2a1	Mathieson 2018
I0634	4710-4504 calBCE	Balkans_Neolithic	Gomolava	Serbia	K1a4	G2a2a1a	Mathieson 2018
I1131	4605-4460 calBCE	Balkans_Neolithic	Gomolava	Serbia	H	G2a2a1a	Mathieson 2018
I0676	5979-5735 calBCE	Macedonia_Neolithic	Govrlevo	Macedonia	J1c1	G2a2b2b1	Mathieson 2018
I5072	5641-5560 calBCE	Croatia_Impressa_EN	Kargadur	Croatia	H7c	G2a2a1	Mathieson 2018
I5077	5207-4945 calBCE	Sopot_MN	Osijek	Croatia	U5a1a2	G2a2a1	Mathieson 2018
I0698	6000-5900 BCE	Bulgaria_Neolithic	Yabalkovo	Bulgaria	H	G2a2a1a2a	Mathieson 2018
I0551	3400-3025 BCE	Salzmuende_MN	Salzmuende-Schiebzig	Germany	U3a1	G2a2a	Mathieson 2015
I1314	3363-1903 BCE	Iberia_Chalcolithic	El Mirador Cave	Spain	J2a1a1	G2a2b2b1a1	Mathieson 2015
Iceman.SG	3484-3104 calBCE	Iceman_MN.SG	Ötz valley, Tyrol	Italy	K1	G2a2a1a2a1a	Keller 2014
I5204	5500-4500 BCE	LBK_Austria	Schletz	Austria	J1c2	G2a2b2a3	Mathieson 2018
I0048	5210-5002 calBCE	LBK_EN	Halberstadt-Sonntagsfeld	Germany	K1a26	G2a2a	Lipson 2017
I0659	5211-4963 calBCE	LBK_EN	Halberstadt-Sonntagsfeld	Germany	N1a1a2	G2a2a	Lipson 2017
I0821	5201-4850 calBCE	LBK_EN	Halberstadt-Sonntagsfeld	Germany	X2d1	G2a2a1	Lipson 2017
I1295	5800-5400 BCE	Balkans_MP_Neolithic	Malak Preslavets	Bulgaria	J1c	G2a2b2a	Mathieson 2018

I3879	5800-5400 BCE	Balkans_MP_Neolithic	Malak Preslavets	Bulgaria	H	G2a2b2a	Mathieson 2018
RISE374.SG	1866-1619 calBCE	Maros.SG	Szöreg, Sziv Utca	Hungary	T2b	G2a2a1a2a	Allentoft 2015
I9130	2210-1680 BCE	Minoan_Odigitria	Phaestos, South-western Cre	Greece	U3b3	G2a2b2a	Lazaridis 2017
Klei10.SG	4230-3995 calBCE	Greece_Final_Neolithi	Kletios	Greece	K1a2	G2a2a1a2	Hofmanova 2016
I1926	3931-3640 calBCE	Trypillia	Verteba Cave	Ukraine	H5a	G2a2b2a	Mathieson 2018
I2110	3911-3659 calBCE	Trypillia	Verteba Cave	Ukraine	T2b	G2a2b2a	Mathieson 2018
I2111	3758-3636 calBCE	Trypillia	Verteba Cave	Ukraine	HV	G2a	Mathieson 2018
ANI159	4711-4530 calBCE	Bulgaria_Varna_Eneo	Varna	Bulgaria	T2b2b	G2a2b2b	Mathieson 2018
ANI160	4685-4499 calBCE	Bulgaria_Varna_Eneo	Varna	Bulgaria	H1ag	G2	Mathieson 2018
I2792	2872-2582 calBCE	Croatia_Vucedol	Vucedol Tell	Croatia	T2c2	G2a2a1a2a	Mathieson 2018
I1876	5641-5547 calBCE	Starcevo_EN	Alsónyék-Bátaszék	Hungary	K1a4	G2a2a1	Lipson Unpublished
I1904	5208-4948 calBCE	LBKT_MN	Bátaszék-Lajvér	Hungary	K1b1a	G2a2a1	Lipson Unpublished
I1882	5300-4900 BCE	LBKT_MN	Budakeszi, Szőlőskert	Hungary	T1a	G2a2b2a	Lipson Unpublished
I1880	5800-5500 BCE	Starcevo_EN	Lánycsók, Gata-Csatola	Hungary	W5	G2a2b2b1a	Lipson Unpublished
I2739	5309-5074 calBCE	LBKT_MN	Alsónyék-Bátaszék, site 11	Hungary	T2c1	G2a2b2b1	Lipson Unpublished
I2744	5300-4900 BCE	ALPc_Szakalhat_MN	Cegléd, site 4/2	Hungary	J2b1	G2a2b2a	Lipson Unpublished
I1896	5320-5080 calBCE	Vinca_MN	Szederkény-Kukorica-dülö	Hungary	K2a	G2a2b2a1a	Lipson Unpublished
I2746	5000-4500 BCE	Tisza_LN	Vésztő-Mágor	Hungary	H26	G2a	Lipson Unpublished
I4183	4904-4709 calBCE	Sopot_LN	Szemely-Hegyes	Hungary	K1b1a	G	Lipson Unpublished
I1901	4936-4742 calBCE	Lengyel_LN	Veszprém Jutasi út	Hungary	J1c2	G2a2a1	Lipson Unpublished
I2354	4500-4000 BCE	Tiszapolgar_ECA	Pusztataskony-Ledence I.	Hungary	T2c1	G2a2b	Lipson Unpublished
I2788	3909-3651 calBCE	Protoboleraz_LCA	Abony, Turjányos-dűlő	Hungary	H	G2a2b2a	Lipson Unpublished
I2366	3340-2945 calBCE	Baden_LCA	Budakalász-Luppa csárda	Hungary	H26a	G2a2b2a1a1b1	Lipson Unpublished
I2367	3332-2929 calBCE	Baden_LCA	Budakalász-Luppa csárda	Hungary	HV	G2a2b2a1a	Lipson Unpublished
I2369	3367-3103 calBCE	Baden_LCA	Budakalász-Luppa csárda	Hungary	J2a1a1	G2a2b2a1a1c1a	Lipson Unpublished
I2371	3359-3098 calBCE	Baden_LCA	Alsónémedi	Hungary	U5b3f	G2a2a	Lipson Unpublished
I2014	5199-4857 calBCE	LBK_EN	Halberstadt-Sonntagsfeld	Germany	N1a1a1a3	G2	Lipson Unpublished
I2020	5500-4850 BCE	LBK_EN	Halberstadt-Sonntagsfeld	Germany	K1a2	G2a2a	Lipson Unpublished
I2021	5500-4850 BCE	LBK_EN	Halberstadt-Sonntagsfeld	Germany	T2b	G2a2a	Lipson Unpublished
I2026	5500-4850 BCE	LBK_EN	Halberstadt-Sonntagsfeld	Germany	N1a1a3	G2a2a	Lipson Unpublished

I2037	5210-5002 calBCE	LBK_EN	Halberstadt-Sonntagsfeld	Germany	H1e	G2a2a1	Lipson Unpublished
I3276	3092-2918 calBCE	Iberia_CA	Alto de la Huesera, Basque	Spain	V	G2a2a	Lipson Unpublished
I1302	2900-2346 BCE	Iberia_CA	El Mirador Cave, Atapuerca	Spain	J2b1a3	G2a2b2b	Lipson Unpublished
I1877	5704-5556 calBCE	Starcevo_EN	Alsónyék-Bátaszék	Hungary	X2d1	G2a2b2b	Lipson Unpublished
I2743	5300-4900 BCE	ALPc_Szakalhat_MN	Cegléd, site 4/1	Hungary	H	G2a2b2a	Lipson Unpublished
I2368	3300-2850 BCE	Baden_LCA	Budakalász-Luppa csárda	Hungary	U5b	G2a2b2a	Lipson Unpublished
I2383	5300-4900 BCE	ALPc_III_MN	Hajdúnánás-Eszlári út	Hungary	T2b23	G2	Lipson Unpublished
I0056	5213-5009 calBCE	LBK_EN	Halberstadt-Sonntagsfeld	Germany	T2b	G2a2a	Lipson Unpublished
I2356	4500-4000 BCE	Tiszapolgar_ECA	Pusztataskony-Ledence I.	Hungary	T2c1	G2a2b	Lipson Unpublished
I1889	5202-4851 calBCE	Vinca_MN	Szederkény-Kukorica-dülö	Hungary	K1a2	G2a2a	Lipson Unpublished
I1883	5301-5076 calBCE	LBKT_MN	Tolna-Mözs TO26	Hungary	K1a1a	G2a	Lipson Unpublished
I2374	6000-5500 BCE	Koros_EN	Törökszentmiklos	Hungary	K1a4	G	Lipson Unpublished

Genetic history of the Apkhazian-Adyghe

Tedo Isakadze, Doctoral student
Tbilisi Technical University

Summary: Many scientists have expressed their views about the issue of affinity of Abkhazian-Adyghe language group with Hattian-Kaskian.

We attempted to consider this hypothesis with multidisciplinary approach, within archeology, paleogenetics and linguistic disciplines.

In haplogroups of contemporary population speaking in Abkhazian-Adyghe languages, G2a2b dominates, is early traces were found in Neolithic Central and Western Anatolia, among them, in the territories ofsettlements of Hattians and Kaskians.

This population actively participated in the process of Europe Neolithization and provided foundation for such archeological cultures, as Starčevo-Criș, Vinča, Boian-Marita, Linear-Band culture, Bug-Dniester etc. Along the entire route, in the paleogenetic material, G2a2b haplogroup is present. In early Bronze Age, this haplogroup appears in Northwestern Caucasus, in Novosvobodnenskaya culture, in Klad and Dlinnaya Polyana burials, demonstrating affinity to Faryanovo culture archeologically, in turn, Fatyanovo culture is of Western-European origin. It has actually replaced Maykop culture, represented there earlier, by Caucasian hunter-gatherers in Unakozovskaya, from Darkveti-Meshoko cultural layer.

In our opinion, these data supports the assumption of affinity of Abkhazian-Adyghe language with Hattian and as migration route, we regard Anatolia – Balkans – west of the Black sea - northern coastal area of the Black Sea.

The route Anatolia – Western Georgia seems less likely in that period, due to forested and marshy ecological environment at Colchis Lowland, to which “Black Sea catastrophe” has contributed. At the same time, there is apparent difference Adjara-Guria Region Neolith and Neolithic culture represented to the north from Colchis Lowland, i.e. no heredity at this stage was found.

Key words: Abkhaz-Adyghe culture, Maykop Culture, Migration

„ჩემი ტაო-კლარჯეთი“ და პოეტური სიტყვა - „სულის განმანათლებელი“

თამარ შაიშმელაშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

აბსტრაქტი: ტაო-კლარჯეთის ძველმა ხუროთმოძღვრულმა ძეგლებმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ქართული მწიგნობრობის ისტორიაში და ქართული სულიერი ცხოვრებისა და კულტურის დიდი ეპოქა შექმნა, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების მიერ ამ მხარის თურქეთის შემადგენლობაში გადაცემის გამო ივანე ჯავახიშვილის მიერ „ზემო ქართლად“ წოდებული ტერიტორია ქართველი კაცისთვის მიუწვდომელი გახდა. ერთხანს მათი მონახულების საშუალება არ არსებობდა. „დიდებულია იგი ქვეყანა. იქ გაფანტული კულტურის ნაშთები – სულია ჩვენი ერისა“, - ასე მოიხსენიებდა ვაჟა-ფშაველა დიდებულ მესხეთს, ვახუშტი ბაგრატიონი კი ამბობდა: აქ ოდით-განვე ჟღერდა „სიტყვა ქართული რუსთაველისაო“.

თუ ქართველი მწერლები, დაუსწრებლად, კულტურის ნაშთების მოუნახულებლად, უძღვნიდნენ ლექსებს ტაო-კლარჯეთის ძველ დიდებას და მესხეთის მთებზე დიდ ტაძრებს, XXI საუკუნეში შესაძლებელი გახდა, ისტორიულ მესხეთში მოგზაურობა და ქართული კულტურის ძეგლების მონახულება.

დალი მაზმიშვილის პოეტური კრებულიც „ჩემი ტაო-კლარჯეთი“ ისტორიულ მესხეთში მოგზაურობის შთაბეჭდილებებით, პოეტის ტკივილნარევი განცდით და მონატრებით დაიწერა. ქართლში, საზღვრისპირა სოფელ დირბში, დაბადებულმა პოეტმა 2006-2007 წლებში იმოგზაურა ისტორიულ სამშობლოში - ტაო-კლარჯეთში და იქიდან დიდი მონატრება წამოიყოლა.

წიგნი წარსულის და იმ ფესვების არდავიწყებაა, საიდანაც მოვდივართ, ხოლო მისი დედააზრი შესაძლოა, ორიოდე სტრიქონშიც ამოვიკითხოთ: „და მოუხმობს კვლავ ზარის ხმას მონატრება ახალი“.

ახალ მონატრებას „ქართველთა სულისა და გულის ენა ქართული“ ახლებურად აახმიანებს, და როგორც წიგნის რედაქტორი შუშანა ფუტკარაძე ამბობს: იგი მკითხველთა სულის განმანათლებლად მოგვევლინება.

საკვანძო სიტყვები: ტაო-კლარჯეთი, განმანათლებელი, მონასტრები, პოეტური, მისია.

პოეტური განცდით ნაძერწ ემოციას საუკუნეების მიღმიდან მოაქვს დიდი ტკივილი - ქართული მწიგნობრობისა და სულიერების დაკარგულ საგანძურზე. კრებული არა მხოლოდ ტაო-კლარჯეთისა და მონასტრების აღმშენებელთა გახსენებაა, არამედ ძველისძველი ქართული მიწა-წყლით შთაგონებული იმედია. პოეტი წერს: „დაქცეულ გუმბათებზე მზე მინთებს იმედს, და მე გელოდები“ (მაზმიშვილი, 2011, 50).

ეს სტრიქონი მთელ წიგნს გასდევს იმედად. ლირიკული გმირის მისტერიალური მოლოდინი გაზაფხულია. ჯერ კიდევ 1946 წელს გიორგი ლეონიძე კითხულობდა:

„ისე დავბერდი,
ვეღარ ვნახე ტბეთი, შატბერდი...
ვერც არტანუჯი, ოშკი, ხახული...
როდის მოუვა მათ გაზაფხული“? (ლეონიძე, 1980, 240).

XXI საუკუნის პოეტს კი, რომელსაც უკვე თავისუფლად შეუძლია ისტორიული ძეგლების - საგანძურის მონახულება ტაო-კლარჯეთის ძირძველ მიწა-წყალზე, თებერვალში ენძელების მოულოდნელი ხილვის სიხარული ეუფლება... ადრეული გაზაფხულის ეს განცდა მოულოდნელ სიხარულს უტოლდება - „მომლოდინე ტაძრები“ - ხანძთა, ტბეთი, დოლისყანა, ოშკი, ხახული,

პარხალი, ოთხთა, იშხანი, ბანა... დიდ წინაპრებს გვანან, როგორც ცოცხალნი, სუნთქავენ, ხარობენ, დარდობენ, მათი ნაშალიდან გესმის ვედრება - ძახილი...

„ღვთიურ ნატერფალებზე
მზე პირს იბანს როცა,
ეს გუმბათთა სხივია
მათეული ლოცვა.
წმინდა გრიგოლ ხანძთელის
დაგვატარებს მზერა,
დიდი ურთიერთობის
მჯეროდა და მჯერა“ (მაზმიშვილი, 2011, 33).

პოეტისთვის ტაო-კლარჯეთი რწმენით ნაშენია, უფლის ჯვარსახულია, დიდ სიჩუმეში ოშკი და ხახული, ტაძრების მაშენებელი წმინდა მამების სასოებით, კვლავ ისმენს ლოცვას.

„დღესაც რომ გვეოცება
შატბერდი და ბანა,
რწმენამ გადაგვარჩინა,
რწმენამ გვამთლიანა...
უფალი ჯვარს სახავდა
ამ მადლიან მთა-ბარს,
მრევლი მოძღვარს ბაძავდა:
გრიგოლს, ეფრემს, საბას“ (იქვე, 40).

პოეტი ტაოს - „ფესვძირძველს. ნანატრს და სხვისას“ გულისტკივილით სტუმრობს. დემირელის კაშხლის მშენებლობის გამო წყლით დაიფარა ისტორიული ძეგლები, „ნაშთი ძველი დიდებისა“. ეს ემოცია - ერთხელ დაკარგულის ხელმეორედ დაკარგვა - ტკივილს აასკეცებს. მისი ხმა მგლოვიარე და მოზარე დედამიწის ხმად ქცეულა, რომელსაც თმა გაუშლია:

„მგლოვიარე დედამიწას
გაუშლია თითქოს თმები“ (იქვე, 31).

ამ დროს პოეტსაც გულში ჩარჩენილ ნაისრალთან ერთად წამიერი სასოწარკვეთა იპყრობს. გოდებად ისმის ულამაზესი ხეობების ხმებიც. მაგრამ გაკრთება თუ არა მთაზე დანგრეული ციხის საძირკველი, ის ჩაგებული მახვილივით მოჩანს.

„მთაზე ციხის საძირკველი -
ჩაგებული მახვილი“ (იქვე, 35).

ბევრის მთქმელია ჩაგებული მახვილის ციხის საძირკველთან შედარება. პოეტურ მეტაფორა-სიმბოლოში ქვეტექსტი იკითხება, რატომ შეიძლება ჰქონდეს უცხო მიწაზე ჩასხმულ ციხის საძირკველს მახვილის ძალა... სამშობლოსგან მოწყვეტილი ტაო და კლარჯეთი ქართველების ბედისწერად ქცეულა, ტაძართან მდგარი მინარეთის ხილვისას თორთუმის წყალი ღელვას იწყებს, გაუცხოებული შვილებისა და მოდგმის გამო კი ადგილის დედა შველას ითხოვს...

„ღვთისმშობელს თვალი
მოუჩანს სველი“ (მაზმიშვილი, 2011, 43).

ამ დროს გულის კედელთან ფიქრი „საფეთქელზე მიბჯენილ ტყვიას“ ემსგავსება და შეძრული ლირიკული გმირი კითხულობს:

„ვინ აღადგენს გუმბათებს, ვინ დადგება სვეტად,
რეკავს ზარი გაბმულად, გამეტებით, მეტად!
ჩვენ თუ არა, ხახული ვიღამ უნდა ნახოს,
ჩვენ თუ არა, ოშკის წინ ჯვარი ვიღამ სახოს.
ჩვენ თუ არა, მაშ ვიღამ გაუქარვოს სევდა,

ვიღამ მიუალერსოს ან ადგილის დედას“ (იქვე, 41).

პოეტი კრებულში ერთიანი საქართველოს დიდ იდეას ახმიანებს. ტაო-კლარჯეთთან ერთად მისი ფიქრი მეოცე საუკუნეში დაკარგულ და ოკუპირებულ ტერიტორიებს: აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონსაც სწვდება. მძიმე ჟამი დამდგარა...

„აშლილ ზღვაში ტორტმანებს
მიწა, როგორც გემი.
რეკავს ზარი გაბმულად
ცხინვალსა თუ გაგრას,
ზარის ხმა არ ნელდება
კარგ დარსა თუ ავდარს.
აფხაზეთის სამზეო
უცხო ცის ქვეშ გოდებს“ (იქვე, 33).

ზარი რეკავს სარფს გაღმა და სარფს გამოღმა საქართველოშიც... განსაცდელი აქვს ორივე მხარეს, აქეთ ოკუპირებული აფხაზეთი და შიდა ქართლია, ზეცა დადრეკილა „ძმობის უარყოფად“... იქით კი ტაო-კლარჯეთი მაცხოვარივით გაკრულია ჯვარზე:

„ჯვარზე გაკრული ვარ,
როგორც მაცხოვარი,
დედა საქართველო
ისე მენატრება,
ტანზე მაჩნევია იმ დღეების კვალიც,
ოდეს ვიწეოდი ცისკენ კელაპტრებად.
ზეცა დადრეკილა,
იქცა აფხაზეთი
ძმობის უარყოფად,
ქართლში სამაჩაბლო ისევ მოწყენილა“ (მაზმიშვილი, 2011:51).

პოეტის ლირიკული „მე“ ტაო-კლარჯეთიდან ხმიანობს, პირველ პირში თხრობა ტკივილს უფრო მეტ სიმძაფრეს სძენს, რაც მკითხველზე ზემოქმედებას აძლიერებს. განსაცდელის ჟამს პოეტის ფიქრებში ისევ გრიგოლ ხანძთელი აისვეტება, ვისი დიდი ძალისხმევითაც ტაო-კლარჯეთიდან საქართველოს გაერთიანება დაიწყო.

„ავედრებდა უფალს ქართველს,
მისი დარდით დარდობდა,
იხანძთელა, იშატბერდა,
ქედდრეკილმა აზიდა
სიწმინდე და რწმენა ბერთა,
სხივჩამდგარი ვაზიდან“ (იქვე, 32).

დღეს? - კითხულობს პოეტი და იქვე უპასუხებს: „უფსკრულთან ვართ შესაზართან, ერთ დროს შეუპოვრები“ (იქვე).

უფსკრულის პირზე გადის ერი: უჭირს მამულს, დაკარგული ტერიტორიებით, „ავკაცობა ბორგავს“, სწორედ დღეს ყველაზე მეტად სჭირდება მამულს გრიგოლ ხანძთელის და ღვთიურ მამათა რწმენა და სათნოებანი. ილიასეული „მამული, ენა, სარწმუნოება“ - კრებულის მთავარი ღერძია.

„ენითა ქართულით
აქ იყო მლოცველი
და შეიწირვოდა ჟამი“ (იქვე, 24).

ტაძრები დღესაც ინახავენ ანბანის დიდებულებას. პოეტს ახარებს იშხანზე ნანახი ასომთავრული - ნატიფი, ლაღი, მეფური იერით, მზეც კი ამაყი იყო მისი ხილვითო... უემოციოდ ვერც ლექსს „ნუსხურის საგალობელს“ წაიკითხავთ. თავად ანბანი ლაპარაკობს პირველ პირში, ძალიან ახლობელი ადამიანივით, მეგობარივით გვესაუბრება და სათქმელი ჩვენამდე ექსპრესიულად მოაქვს:

„განა შემთხვევით,
ამ კედლების სიმტკიცედ ვიშვი,
საუკუნეებს კვლავ დადრეკავს
ჩემი მშვენება,
მე ვარ ნუსხური,
არ მქონია გაქრობის შიში,
შენთან ვარ და არ მიწერია
გადაშენება“ (მაზმიშვილი, 2011, 37).

პოეტი ნუსხურს ტაძრებზე ამონთებულ გვირილას ადარებს. გვირილა ხომ ქათქათა ღვთიური ყვავილია მარადიულობის ნიშნით?

„ტაოს ტაძრებზე
ამონთებულ გვირილას ვგავარ
და ანგელოსთა შთაგონებით მძერწეს გულებმა“ (იქვე).

„ნუსხურის საგალობელი“ ტაოს ტაძრების მარადიულობის საგალობელია - ენასთან ერთად ვერც ტაძრებს შემუსრავს „მარადი მწუხრი“:

„ზოსიმეს ენას
ვერ შემუსრავს მარადი მწუხრი,
ჩუქურთმის ხაზში
შეიცნობა ღვთიური ნება“ (იქვე).

პოეტისთვის ტაო-კლარჯეთი დედაა. დედა სიცოცხლის საწყისია, ღვთისმშობელივით წმინდა საფიცარი და სალოცავი ხატია. ასეთივეა პოეტისთვის - ტაო-კლარჯეთი, საიდანაც კვლავინდებურად უნდა იშვას სულიერი სინათლე და ძლიერება ერისა.

„ტაო-კლარჯეთო,
ო, დედაჩემო,
ცის გაბრწყინებას
ისევ თუ ელი“?! (მაზმიშვილი, 2011:39)

რწმენამ, საწმუნოებამ უნდა იხსნას სამშობლოს მომავალი, გაამთლიანოს ერი და ბერი. რა გვიშველის?

„ლოცვებით ღამენათევი
ღვთიურობისკენ ზეობა.
ეს გვიხსნის, ეს გადაგვარჩენს“ (იქვე, 38).

რწმენა, გრიგოლ ხანძთელისეული ნათელი კრებულს უჩინრად გასდევს. მრავლის მთქმელია მხატვრული გამოსახვის სახე, გაპიროვნება, რითაც გრიგოლ ხანძთელის პიროვნებას ახასიათებს:

„ახლაც ფეხის წვერზე დგანან ყვავილები,
შენ რომ გაიარე ხანძთას“ (იქვე,12).

რამხელა მოწიწება, რიდი და კრძალვა იგრძნობა ამ სტრიქონებში, უზარმაზარი ემოციის გადმომდები, და, რაც მთავარია, ყვავილები ახლაც ფეხზე დგანან და ელოდებიან გრიგოლის გავლას!..

მაშინ, როდესაც „მაცილი გვერევა“ და ლიბო ერღვევა ავბედობაგამოვლილ ტაძრებს, „ტაძარ-ში სანთელიც კი არ თრთის“, პოეტს ის ერთადერთი სული ესიზმრება, რომელსაც გრიგოლის

სახელი ჰქვია. მასთან ასოცირდება სწორედ „შეუპოვარი ოცნება“ ტაო-კლარჯეთზე. ეს წიგნიც „შეუპოვარი ოცნებით“ არის დიდი გასაოცარი სიზმრიდან ცხადში გადასასვლელი.

„დღესაც რომ გვეოცება
შატბერდი და ბანა,
რწმენამ გადაგვარჩინა,
რწმენამ გვამთლიანა“ (იქვე, 40).

პროფესორ თემურ ჯაგოდნიშვილის აზრით, გრიგოლ ხანძთელს დიდი ამოცანა ჰქონდა განზრახული, სინას მთის ზეციური ჯვარიონის გამეორება ტაო-კლარჯეთში. 12 ქართული მონასტრის მაგალითზე გრიგოლმა ანალოგიურად გაიმეორა ეს ტაო-კლარჯეთში.

„საქართველოს სინას“ უწოდებენ შავშეთსა და ტაო-კლარჯეთში აგებულ და განახლებულ სამონასტრო სავანეებს. ეს მონასტრები განლაგებით გიგანტურ ჯვარს ქმნის. ჩრდილოეთით ამ ჯვრისა მერეს მონასტერია, სამხრეთით შატბერდი, აღმოსავლეთ კიდეს ქმნის ძველი ხანძთა (ზოგიერთის მიხედვით, ნუკა), წყაროსთავი, მიჯნაძორი, ბარეთელთა, დასავლეთით პარეხი, ჯმერკი, დაბა, ბერთა, დოლისყანაა. ისინი ერთგვარად მასშტაბურად იმეორებენ ვახტანგ გორგასლის ეპოქას ძველი ფრთის, ანჩის, ახაზის კათედრალებით შემორკალულ ჯვაროვან სივრცეს“ (ჯაგოდნიშვილი, 2016:10).

დალი მაზმიშვილის პოეტურ კრებულშიც რამდენჯერმე არის ნახსენები „ჯვარი“, თითქოს კოსმოსური ენერგიით ტაო-კლარჯეთს შეკრული, იქ, სადაც ფიქრიც კი ჯვრის მტვირთველია... ამიტომაც „ეს გზა არ ჰგავს ქვეყნად არცერთს“, თითქოს ცისა და მიწის გასაყარია, საოცნებო აღთქმულ მხარესავით... ბანას ნანგრევის იდუმალი მშვენიერებით.

„ფიქრი რწმენით ნათდება,
ჯვრის სიტვირთეს თავობს,
გველოდება კლარჯეთი,
გველოდება ტაო“! (მაზმიშვილი, 2011, 41).

მოლოდინი - ბოლო აკორდია და ამ განცდას ამშვენიერებს ეპითეტ-მეტაფორა-შედარებები. ურცის ყვავილი ბანას სახასიათოა („ურცს მოვყვებოდით შენსკენ ბანა“), ბროწეულის ყვავილი - ხანძთის („წვიმა შერჩენია ბროწეულის ყვავილს და უფლის ცრემლივით ბრწყინავს“), „და მოდის ფიქრი წვიმის თვალებით პარხალში“, იშხნის „ხოხბისყელისებრ“ გუმბათთან კი დილა იწყებს თენებას...

კრებულის ბოლო ლექსში „და მე გელოდები“ პოეტი დგას მხცოვანი მიწის ძირძველ ბალავართან, თავად პოეტია ტაო-კლარჯეთი და სარფის ღია კართან ქარს მოაქვს ვედრება-გადმოძახილი... სასწაული უნდა მოხდეს (დედა-ღვთისმშობელს ჰგავს და ჩვენი დედაა. „ღვთიშობელი მტრედისფერი კალთებით დამდგარი საქართველოზე. მის ლურჯმა მზერამ რასის მაგარი სიმტკიცე მოღვედა“ (ლეონიძე, 1986, 76).

ეს არის მისტერიული მოლოდინი სასწაულის ახდენისა, რომელიც უფლის ლოცვასთან ერთად ტაძრის შესასვლელთან აყვავებული ალუბლის სახე-სიმბოლოში ცნაურდება.

„ნატვრა-საესავის
შეხსნილია კარი...
ლურჯი გუმბათიდან
უფლის ლოცვა ისმის,
ტაძრის კარიბჭესთან
ყვავის ალუბალი“ (მაზმიშვილი, 2011, 51).

დაბოლოს, დალი მაზმიშვილის პოეტური კრებული „ჩემი ტაო-კლარჯეთი“ „ჩვენი დიდებული ისტორიული სამშობლოს გაცოცხლებისათვის“ ზრუნვით დაიწერა - ახალი თვალით და ახლებური განცდით. ზარის ხმა, რომელიც ახალ მონატრებას უნდა მოჰყვეს, ილიასეულ სამებას -

„მამულს, ენას და სარწმუნოებას“ კვლავინდებურად გვახსენებს. „რწმენამ გადაგვარჩინა და გვამთლიანა“ მაშინ, ახლაც „ფიქრი რწმენით ნათდება“.

მთავარია, რომ დროის მსვლელობასთან ერთად ტაო-კლარჯეთის ძეგლების მონახულება XXI საუკუნის ქართველს თავისუფლად შეუძლია. ქართული სულისა და ცნობიერების გამთლიანების გზაზე კი დიდი მისია ეკისრებათ სწორედ მწერლებს და სიტყვას, რომელიც „სულის განმანათლებლობას“ იტვირთებს....

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლეონიძე, გ. (1980). „ლექსები, პოემები“. ერთტომეული. „მერანი“, თბილისი,1980.
2. მაზმიშვილი, დ. (2011). „ჩემი ტაოკლარჯეთი“. თბილისი, 2011.
3. „ქართული ლიტერატურული ესსე“. XX საუკუნის 20-იანი წლები. (1986). შეადგინა, წინასიტყვაობა და გამოკვლევა დაურთო მანანა ხელაიამ. „მერანი“, თბილისი, 1986.
4. ჯაგოდნიშვილი თ. (2016). „ისევ ცოცხლობენ ქართულ ოცნებით მესხეთის მთებზე დიდი ტაძრები“. თბილისი, 2016.

"My Tao-Klarjeti" and poetic word - "Enlightener of the soul"

Tamar Shaishmelashvili, Georgian Technical University,
assistant professor

Summary: The ancient architectural monuments of Tao-Klarjeti played an important role in the history of Georgian literacy and created a great hub of Georgian spiritual life and culture.

But due to the transfer of this region to Turkey by the Soviet authorities, the territory called "Upper Kartli" by Ivane Javakhishvili became inaccessible to Georgians. For a long time there was no way to visit them.

“It is a glorious country. The remains of culture scattered there are the soul of our nation” - that's how Vazha-Pshavela referred to the glorious Meskheti. And Vakhushti Bagrationi said: “The Georgian word” of Rustaveli was heard here since time immemorial.

If Georgian writers, in absentia, without visiting the remains of culture, dedicated poems to the ancient glory of Tao-Klarjeti and the great temples of Meskheti, in the 21st century it became possible for writers to travel to historical Meskheti and visit monuments of Georgian culture.

The poetry collection "My Tao-Klarjeti" by Dali Mazmishvili was also written with the impressions of the trip to historical Meskheti, the poet's painful feeling and longing.

The book is about not forgetting the past and the roots from which we come.

The main thing is that Georgians of the 21st century can freely visit the monuments of Tao-Klarjeti.

On the way to the purification of the Georgian spirit and consciousness, a great mission is assigned to the writers and the word, which will have the mission of enlightening the soul...

ერთი გრეციზმის შესახებ ქართულ გვარ-სახელში – სალაყაია – σάλαξ, ακος ὁ – „გისოსი, ცხაური“; „გრგვინვა, ზათქი, გრიალი, რყევა“

ქეთევან ჯერვალიძე ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრის მეცნიერი-თანამშრომელი
ნინო პეტრიაშვილი პრიორიტეტული დისპეტჩერიზაციის კორპორაცია ლინგვისტი/საერთაშორისო ურთიერთობების ლიეიზონი/ კოორდინატორი

აბსტრაქტი: ქეთევან ჯერვალიძისა და ნინო პეტრიაშვილის მიერ წარმოდგენილ ნაშრომში მოცემულია ერთი ქართული გვარის - სალაყაია/Salaqaia - წარმომავლობის დადგენის მცდელობა.

მართალია, ქართველური საკუთარი სახელების ლექსიკონი არ იცნობს ქალისა და მამაკაცის **სალაყ (კ) - ფუძეზე** ანთროპონიმებს**, მაგრამ ის არის** _ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში (ქართული ენის დიალექტთა ლექსიკონი):

სალაკ-ი - (თუშ.) ბრტყელი მოგრძო ქვა, რომელსაც ბავშვები თამაშობისას ისვრიან.

ავტორების აზრით, გვარის ფუძე **სალაყ** უნდა მომდინარეობდეს ძველბერძნული საზოგადო არსებითი სახელის - **σάλαξ, ακος ὁ** - ბრალდებითი ბრუნვისაგან: **σάλακα** და ის ჯერჯერობით გვარად - **სალაყასძე -** პირველად გვხვდება 1595 წლის თურქულენოვან ფისკალურ დოკუმენტში - „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარში“.

ისეთი დიდი ლექსიკოგრაფები, როგორიც არიან რობერტ ბეეკესი/ Robert Beekes, იალმარ ფრისკი/Jöns Ivan Hjalmar Frisk *ფურნეე* Furnée, E.J.

256-ზე დაყრდნობით ლექსემა **σάλαξ, ακος ὁ** მიიჩნევენ წინარებერძნული წარმომავლობისად, მომდინარეს ლექსემიდან σάλος (ᾰ) ὁ: 1) волнение, колебание; 2) морская качка; 3) потрясение, смута: 4) якорная стоянка, рейд.

გეორგიოს ბაბინიოტისი/Georgios *Babiniotis აღნიშნავს სიტყვის გაურკვეველ წარმომავლობას და მას აკავშირებს ზმნიზედა* **σαλός**-სთანაც - სულელი.

სიტყვა **სალოს**-ი **(σαλός)** ქართულ ენაშიც არის და აღნიშნავს მშფოთვარე გონების მქონეს, ასევე სულელს, ბრიყვს. ის გვიანაა შემოსული ამ ფორმით. აკადემიკოსი რ. გორდეზიანი **565. σαλός**-ს - სულელი WKE (255) -ზე მითითებით უკავშირებს ქართულ შალ/შლ ფუძეს, რომელიც სხვა მნიშვნელობებთან ერთად უკვე უძველეს ტექსტებში შეიცავს „არევის, შეშლის“ გაგებას და აღდგება ქართულ-ზანური ერთიანობის დონეზე. (ქეელ, 546).

მეგრულში კი არის ლექსემა **სალასი -(salasi)** დათვის დასაჭერი მოწყობილობის ნაწილი, სასხლეტი, ჩამკეტი, რაც ძველბერძნული **ὁ σάλαξ, ακος**-ის შინაარსთან ახლოს დგას, ფონეტიკურადაც, თუ **ს** მეგრულში **ξ- (κς/ქს)** რთული თანხმოვნის გამარტივებითაა მიღებული.

ამრიგად, ავტორები არ გამორიცხავენ ქართული გვარის - სალაყაია/Salaqaia - ბერძნული **ὁ σάλαξ, ακος (acc.. σάλακα-სალაყა)** - დან წარმომავლობას, თუნდაც წინარე ბერძნულიდან მომდინარეობდეს თვითონ ის და შემდგომი მსჯელობისთვის სივრცეს ღიად ტოვებენ.

საკვანძო სიტყვები: ონომასტიკა, ქართული, გვარი, სალაყაია, სალოსი, სალაყას ძე, წინარე ბერძნული.

ონომასტიკა ენათმეცნიერების ნაწილია, რომელიც საკუთარ სახელთა ერთობლიობას სწავლობს: ანთროპონიმებს, ტოპონიმებს, ორონიმებს, ჰიერონიმებს, ჰიდრონიმებს ეთნონიმებს... ონომასტიკურ კვლევებს, ენათმეცნიერების გარდა, კიდევ სჭირდება ისტორიის, ლიტერატურის, გეოგრაფიის, ეთნოლოგიის, ეთნოფსიქოლოგიის, რელიგიების და სხვა დისციპლინების ცოდნაც. ქარულ ონომასტიკაში თეორიული ნაწილი იქნება მისი თუ პრაქტიკული, ბევრი რამ არის გაკეთებული. ნაშრომების ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანს. საკვლევი კი არ ილევა.

ამჯერად ჩვენი მოხსენება ეხება ერთი ქართული (მეგრული) გვარის -სალაყაია - წარმომავ-ლობის დადგენის მცდელობას, რასაც აქვს თავისი პრელუდია. კოვიდის დროს გადავწყვიტე, ასაცრელად წავსულიყავი, სადაც სხვანი, იქაც – მე. როდესაც მივედი, წნევა 200-ზე მაღალი აღმო-მაჩნდა, ეტაპობრივად მომცეს სამნაირი წამალი, წნევის დასაწევი. ძალს ექიმები, ძალს ჩემი წნევა. ექიმებს ჩემმა წნევამ აჯობა და აი ,იმ დროს, ერთ-ერთი შესანიშნავი ექიმი აღმოჩნდა გვარად სალაყაია. ვუთხარი, თქვენი გვარი გრეციზმი უნდა იყოს. ცხადია, მე დვორეცკის ლექსიკონი მთლიანად არ მახსოვს, მაგრამ, წესით, ამოსავალი **სალაკოს** უნდა იყოს-მეთქი. ამ ძველბერძნული სიტყვის მნიშვნელობაც არ ვიცოდი, არ მახსოვდა, ან არ შემხვედროდა თარგმნის დროს... მოკლედ, დავბრუნდი თუ არა შინ, ვეცი დვორეცკის ძველბერძნულ-რუსულ ლექსიკონს, გადავშალე და რას ვხედავ? გამოჯგიმულა სიტყვა: **σάλαξ, ακος** ὁ решето для руды-მადნის ცხაური, გისოსი, ჩამკეტი; грохот Arst. გრიალი, გრგვინვა, გრუხუნი, ზათქი, ჭექა-ქუხილი[1]- სწორედ იმ ფორმით, მე რომ დავასახელე მოანდევებით. განა ეს საკვირველი თუ არა, უცნაური მაინც არ არის?

გარდა ამისა, სიტყვას აქვს ორი მნიშვნელობა, ერთი შეხედვით ერთმანეთისგან განსხვავებული. სად ცხაური და გისოსი და სად ხმაური და გრუხუნი?

ქართველური საკუთარი სახელების ლექსიკონი არ იცნობს ქალისა და მამაკაცის **სალაყ (კ) - ფუძეზე** არსებულ ანთროპონიმებს[2]**.** თუმცა ის გვაქვს ქართულ დიალექტთა ლექსიკონში: სალაყ-ი - ბრტყელი მოგრძო ქვა, რომელსაც ისვრიან ბავშვები გილძაობისას; გილძაობაჲ (თუშ.) თამაშობაა ბავშვთა.

ამავე ლექსიკონსა და ამავე კილოში ჩანს ორი საინტერესო ლექსემა: სალაჟა-ჲ, სალაჯა-ჲ

ინგილ. მკვდრის ასაწევი კიბე-კუბო (მ. ჯან.), რომლებსაც მიწერილი აქვს რუსულად: салача[3].

ძველი თურქეთის მეტალურგიაში კი ცნობილი ყოფილა ლექსემა **салача** ( ) – носилки -საკაცე, паланкин სიმძიმეების გადასატანი ხელსაწყო; погребальные носилки დასაკრძალი საკაცეები [АХ: 248]; салґи – качели საქანელა, люлька- აკვანი [ТЗ: 371]; салґу ( ) – праща Древнее ручное оружие для метания камней.

(метательное приспособление მეტალის სამარჯვი) [МЗ: 109][4]. ბერძნული და თურქული ენები კი ინდოევროპულია.

გრძელი და ბრტყელი ქვა, ლოდი, შესაძლოა, ცხაურადაც გამოეყენებინათ მაღაროში. ლოდი კარის მნიშვნელობით ხომ ჩველებრივი რამ იყო ძველად? განა დღევანდელი **კარი** უძველესი დროიდან სიღრმეში კლდის სემანტიკას არ შეიცავს?

სალაყ - არა, მაგრამ მეგრულში ვნახეთ სიტყვა **სალასი:**

1.დათვის დასაჭერი მოწყობილობის, **რაგვის ნაწილი, სასხლეტი, რომელიც ფეხის დადგმისას რაგვს,** მახეს მოძრაობაში მოიყვანს (შდრ. მასალები, ტ. 3, გვ. 141);

2. წისქვილის ნაწილი, რომელზედაც დგას ბორბალი (მასალები, ტ. 4, ნაწ. 3, გვ. 223)

ჭიჭე სალასი, რომლითაც გოჟოს აწევ-დაწევენ[5].

სალაყაია -სასიმინდის კარის წინ გადებული საცალფეხო ძელი ან ფიცარი; მაღალი, აწოწილი კაცი.

თუ დავაკვირდებით, ძველ**ბ**ერძნული მნიშვნელობა სიტყვისა **σάλαξ, ακος** ὁ решето для руды-, грохот Arst და მეგრულიც: დათვის დასაჭერი მოწყობილობის, **რაგვის ნაწილი, სასხლეტი, რომელიც ფეხის დადგმისას რაგვს,** მახეს მოძრაობაში მოიყვანს, ქართული დიალექტებისასაც,

---

[1] И. Х. Дворецкий **древнегреческо-русский словарь, т. II, М., 1958.**

[2] ალ. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1986.

[3] ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა,II, შეადგინა ალექსანდრე ღლონტმა, თბ., 1975.

[4]https://www.academia.edu/37293425/Металлургия_и_ремесленное_производство_у_древних_тюрков_В_2_х_томах_Том_2_Ташкент_Extremum_Press_2017

[5] ოთარ ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. თბ., 2001, 572.

ისინი ძალიან ახლოს დგანან მნიშვნელობით ერთმანეთთან: ცხაური, გისოსი მადნისა, ჩასაკეტი, ჩამკეტი. ხმაური. ამასთანავე უცხოელი ეტიმოლოგისტები ბეეკესი იქნება ეს, თუ ფრისკი, ერთნაირად მიუთითებენ **σάλαξ, ακος** ὁ -ის ამოსავალ ფორმაზე **σάλος,** რომელსაც შემდეგ დაერთოო სუფიქსები. ცნობილი ბერძენი ლექსიკოგრაფი გეორგიოს ბაბინიოტისის ლექსიკონში საერთოდ არ არის ლექსემა **σάλαξ, ακος** ὁ შეტანილი.

საქართველოში, სახელდობრ, სამეგრელოშივე, გვაქვს გვარი **სალაყაია. მათი საცხოვრებელი ადგილები დღეს ყოფილა:** ზუგდიდი, სენაკი, მენჯი, თეკლათი, ხობი, ბათარია, ბია, ქვალონი, ისულა, რეკა.

გვარ-სახელს სალაყაია ახსენებენ ონომასტიკოსები ავთანდილ სილაგაძე და ანზორ თოთაძე, მაგრამ მათი ნაშრომი დოკუმენტირებული არ არის[6].

ონომასტიკოს პაატა ცხადაიას ისტორიული საბუთებიდან სალაყაიას ვარიანტებად მოჰყავს გვარები: სალდაყია, სალდაყაია. „საცაიშვილო დავთარში“ მოხსენიებული ყოფილან გიორგი სალდაყია (1612-1621) ქსძ III, 443; და კოპალა სალდაყაია (იქვე) 765; 1712 წელს შედგენილ საბუთებში ფიგურირებს კანდელაკის შვილი სალაყაია კოჩალეი[7].

გვარი სალაყაია იხსენიება აგრეთვე 1766 წლით დათარიღებულ ბიჭვინთის საბუთებში #71. ეს გახლავთ ნიკოლოზ დადიანის ძის თავდებობის წიგნი, რომელშიც მოხსენებულია **როსტომელა სალაყაია:** „ქ ესე წიგნი მოგეცი მე ნიკოლოზ დადიანიშვილმა, თქვენ კათალიკოზს ბესარიონს, ასე რომ თუ შენ **როსტომელა სალაყაია** წაგივიდეს ან თქვენს იქით იცოდეს რამე, თქვენ რომ გლეხი მიბოძეთ, ისიც მოგართვა და ერთი იმისთანა სხვა გლეხი მოგართვა...“[8]

1595 წელს ფისკალური საკითხებისთვის შედგენილ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ კი გვხვდება გვარი **სალაყასძე**[9]. გამოდის, რომ გვარის ფუძე - **სალაყ** პირველად სწორედ ამ თურქულენოვან წყაროში გვხვდება და თანაც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში.

1917 წელს კი იოსებ ბეჟანის ძე სალაყაია საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი ყოფილა, შემდეგ კი დამფუძნებელი კრების, პიროვნება საინტერესო ბიოგრაფიით[10]...

სვანურ ლექსიკონში მსგავსი სიტყვა ვერ დავძებნეთ.

ქართული მონაცემების შემდეგ კვლავ დავუბრუნდეთ ძველბერძნულ ლექსიკონს. ძველბერძნული ლექსიკური ერთეული **σάλαξ**: -ακος, ὁ, **(σᾰλάσσω** κόσκινον) τῶν μεταλλουργῶν, Θεόφρ. ἢ Ἀριστ. παρὰ Πολυδ. Ι΄, 149· Ἡσύχ. σάλαγξ. დვორეცკის ლექსიკონის მიხედვით და არა მხოლოდ დვორეცკისა, გამოყენებული აქვთ არისტოტელეს **(Ἀριστοτέλης,** -384—322) და მის მოწაფე თეოფრასტეს (-371 - 287) როგორც მეტალურგიული ტერმინი, შეტანილი აქვს ასევე ადრეული დროის ისეთ ბერძენ ლექსიკოგრაფს, როგორიც ჰესუხიოს ალექსანდრიელია᾽**Ἡσύχιος ὁ Ἀλεξανδρεύς,** (V - VI სს.) თავის წიგნში „სიტყვის კონა, ანბანის მიხედვით გაწყობილი - **Συναγωγὴ πασῶν λέξεων κατὰ στοιχεῖον“.**

გადავხედოთ ახლა ძველბერძნული სემანტიკური ერთეულის - σάλαξ: -ακος, ὁ, - სემანტიკურ ველს, რომელიც **σάλος** (ᾰ) ὁ - დან მომდინარედ მიაჩნიათ. **σᾰλάσσω** перегружать, переполнять (γαστέρα Βάκχῳ Anth.): σεσαλαγμένος οἴνῳ Anth. упившийся вином.

σάλευσις, εως (ᾰ) ἡ колебание, качание Arst.

σᾰλευτός 3 [*adj. verb. к* σαλεύω] качающийся, шатающийся (γυῖα Anth.).

---

[6] აპოლონ სილაგაძე, ანზორ თოთაძე, გვარ-სახელები საქართველოში, თბ., 1997.

[7] პაატა ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, თბ., 2000, 1024.

[8] დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები II, , Nonumenta Georgica გამოცემული სარგის კაკაბაძის მიერ, თბ., 1921, 30
http://dspace.gela.org.ge/bitstream/123456789/6624/1/Dasavlet%20saqartvelo%20saeklesio%20sab.1921.pdf

[9] სერგი *ჯიქია,* „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, თბ., 1958, 265.

[10] სალაყაია:https://prosopography.iliauni.edu.ge/persons/6733-ioseb-bezhanis-dze-salayaia

σᾰλεύω 1) трясти, качать, шевелить (τινά Anth.; κάλαμος ὑπὸ ἀνέμου σαλευόμενος NT): χθὼν σεσάλευται Aesch. земля всколебалась; γυῖα σαλευόμενος Anth. качающийся всем телом (*досл.* с шатающимися членами); ὑπὸ τῆς τύχης σαλεύεσθαι Plut. быть швыряемым судьбой; σαλεύεσθαι πρός τι Plut. испытывать влечение к чему-л.; **2)** расшатывать, подрывать (δόξαν Plut.; ἀλήθειαν Sext.); **3)** качаться, быть колеблемым: ἰσχυρῶς σαλεύοντες (ἐν τοῖς πλοίοις) Xen. попавшие на (своих) судах в сильную качку; ἐπ᾽ ἀγκύρας σ. Plut. качаться на якорях; **4)** быть расстроенным, расшатанным (ἡ τυραννὶς σαλεύουσα Plut.; ἐν νόσοις σαλεύοντες Plat.); **5)** волноваться, быть потрясенным (Ἠλέκτρα σαλεύει Soph.): πόλις σαλεύει Soph. город охвачен волнением; **6)** быть привязанным, доверять(ся) (ἐπί τινι Plut.); **7)** быть поглощенным, постоянно заниматься (ἔν τινι Sext.); **8)** возбуждать, возмущать (τοὺς ὄχλους NT).

***σάλη,** *дор.* **σάλα** (σᾰ) ἡ волнение Aesch.

Σάλη ἡ Сала (*город на о-ве Самофракия*) Her.

σάλος (ᾰ) ὁ **1)** волнение, колебание (πόντιος σ. *или* πόντιοι σάλοι Eur.); **2)** морская качка: ἐκ πολλοῦ σάλου Soph. после сильной качки; καρηβαρῶν ὑπὸ τοῦ σάλου Luc. страдающий головной болью от качки; **3)** потрясение, смута: ἐν πολλῷ σάλῳ καὶ κινδύνῳ γενέσθαι Lys. подвергнуться страшным потрясениям и опасностям; σ. φοίνιος Soph. кровавая смута; **4)** якорная стоянка, рейд Polyb., Diod

დიდი ლექსიკოგრაფი რობერტ ბეეკესი, ფურნეე 256-ზე დაყრდნობით, θάλασσα /*σάλασσα ზღვა და „ζάλης ζάλο 'tornado, whirlpool' –„ზღვის ღელვა, შტორმი, ტორნადო-ქარბორბალა“, სიტყვას, **σάλαξ**: -ακος, ὁ წინარებერძნული წარმომავლობისად მიიჩნევს, და მას, როგორც ვთქვით. აკავშირებს სხვა ბერძნულ სიტყვასთან - **σάλος** ὁ**,** რომელსაც შემდეგ დაერთო ველარული სუფიქსები: αγ-, -ακ-, -αγκ, რაც კიდევ უფრო აძლიერებსო მოსაზრებას ლექსემის წინარებერ-ძნულიდან მომდინარეობის შესახებ. ამავე დროს მითითებულია სიტყვის კავშირი ლათინურ ლექსემებთან salus, salum და მათი სავარაუდო მომდინარეობა ბერძნულიდან აღნიშნულია[11].

რაც შეეხება მითითებულ **I salus, utis f [salvus] -ŭ** კი ლათინურში აქვს შვიდი მნიშვნელობა. ამათგან სამია ჩვენთვის ძალიან საინტერსო: 3. ხსნა, გადარჩენა, სიცოცხლის შენარჩუნება; 4. მხსნელი; 5. ხსნის, დაცვის იარაღი, საშუალება;

salum, i n (грeч.) открытое море, рейд (navis in salo fluctuat C; in salo stare или esse bAfr); 2) море (immensum 0; altum H); 3) морское волнение, качка (salo nauseaque confectus Cs); 4) беспокойство, тревоги, треволнения (mentis s. et cogitationum dissensio Ap)[12] **ასევე განიხილავს ამ სიტყვას შვედი ლინგვისტ-ელინისტი იალმარ ფრისკი ფურნეე 256-ზე დაყრდნობით**: Orig. technical word of sailors language; without convincing etymology. A very doubtful hypothesis (Lat. *tullius* etc.) s. τύλη, τύλος. – Furnée

56 connects θάλασσα\/* σάλασσα (s.v.) and ζάλη, ζάλος `tornado, whirlpool' and concludes that the word i s Pre-Greek. This is confirmed\/shown by the suffixes - αγ-, - ακ-, - αγκ-; cf. σηλαγγεύς (s.v.). - Lat. LW [loanword] *salus*, *salum* ?[13] .

---

[11] Robert Beekes, Etymological Dictionary of Greek With the assistance of Lucien van Beek, Leiden Bostom 2010, 1304.. https://www.docdroid.net/mgTxkdr/robert-beekes-etymological-dictionary-of-greek-vols-1-2-brill-2010.

[12] И.Х. Дворецкий, Латинско-русский словарь, **М., 1976. https://ashishkin.ru/wp-content/uploads/2019/03/Latinskii---Dvoretskii--.pdf**

[13] Jöns Ivan Hjalmar Frisk; Griechisches Etymologisches Wörterbuch. Bd. I—III. Heidelberg, 1954—1972. Page: 2,673-674. https://archive.org/details/hjalmar

ბერძენი ენათმეცნიერი და ლექსიკოგრაფი გეორგიოს ბაბინიოტისი კი აღნიშნავს, რომ სიტყვა გაურკვეველი წარმომავლობისაა და მის ინდოევპროპულობას სიტყვის დასაწყისისში σ- სიგმა პრობლემას უქმნისო[14].;

ჩვენ ჩავიხედეთ **ბერძნულ-ქართულ დოკუმენტირებულ ლექსიკონშიც. არც იქ დაგვხვდა სიტყვა σάλαξ**: -ακος, ὁ. იყო მხოლოდ **σάλος** ὁ მაგალითებია ფსალმუნიდან[15] **.**

აკადემიკოსი რისმაგ გორდეზიანი **κ-ს** შემცველ სუფიქსებს რეალურად მიიჩნევს როგორც წინარებერძნულში, ისე - ქართულში [16]. ჩვენდა გასაკვირად, გორდეზიანი არ განიხილავს თავის კაპიტალურ ნაშრომში WKE (256)-ს, იქნებ იმიტომ, რომ ფურნეე ὁ, **σάλαξ**: -ακος, სიტყვის უსუფიქსო ნაწილზე - **σάλος** ὁ -ზე მიუთითებს და გორდეზიანიც მხოლოდ WKE (255)-ზე მსჯელობით შემოიფარგლება:

565. σαλός-ს - სულელი WKE (255) -ზე მითითებით განიხილავს შემდეგ ლექსემებს: δάλος „უგუნური“, „სულელი“ δαλής δαλίς, δαλεῖς „უგუნურები“, „უვიცები“, ლათ. Dalivus “ სულელი” ζαλαίνω „სულელობა“ ფორმატივებს. ქწ. (66)-ში რისმაგ გორდეზიანმა დაუკავშირა ქართულ შალ/შლ ფუძეს, რომელიც სხვა მნიშვნელობებთან ერთად უკვე უძველეს ტექსტებში შეიცავს „არევის, შეშლის“ გაგებას „შეგეშალოს გონება გულისა მალვითა“. მ. სწ. 159, 16 * შალ-/შლ არქეტიპს ქეელ, 546 ამჟამად აღადგენს ქართულ-ზანური ერთიანობის დონეზე. (ქართ. შლ-ა, დაშალ-ა; მეგრ. შქილ--უ-ა, „დარტყმა, ცემა“)[17].

გრაფემულად ორი ერთნაირი ბერძნული სიტყვა არს. სახ. **σάλος** ὁ –„ზღვის ღელვა, შტორმი, ტორნადო-ქარბორბალა“და ზმნიზედა **σαλός** - „უგუნური“, „სულელი“, ანუ ზღვარგადასული, ერთი შეხედვით განსხვავებული შინაარსები, სინამდვილეში ახლო დგანან ერთმანეთთან. შემდეგ კი ამ მსგავსი მოვლენების შემკავებელ, ზღვრისდამდებ საშუალებასაც უნდა დარქმეოდა ამავე ფუძეებისგან ნაწარმოები სახელი - **σάλαξ**: -ακος, ὁ - ცხაური, გისოსი დირე, მეტალურგიაში გამოყენებული და ამ დარგისთვისვე იყო დამახასიათებელი ხმაურიც.

რაც შეეხება სიტყვა **σαλός**-ს - სულელი, ის ქართულ ენაშიც არის შემოსული. სიტყვა ქრისტიანულ მწერლობაში პირველად „ლავსაიკონის“ ავტორს, პალადიოს ელენოპოლელს (364-431) გამოუყენებია[18]. ქართულ მწერლობაში ეს სიტყვა გვიან ჩანს შემოსული. სიმართლე გითხრათ, ჩვენ აკაკიზე უწინ სხვა ავტორი, რომელიც მას იყენებს, არც გვახსენდება.

სიტყვა სალოსი გვხვდება მხოლოდ დავით ჩუბინაშვილის (1814-1891) ლექსიკონში[19]. თუ სხვა მასალები არ გამოჩნდება, მისი შემოსვლის მხოლოდ რუსული გზა დარჩება.

რაც შეეხება ფონეტიკას, არქაულ ბერძნულში არაფშვინვიერი ყრუ ხშული k ფონების გადმოსაცემად გამოიყენებოდა ორი ასო-ნიშანი **q Κόππα** ο, υ ხმოვნების წინამავალ პოზიციაში და როგორც ჩანს, გადმოსცემდა **y** ბგერას, ხოლო α, ε, ι ხმოვნების წინამავალ პოზიციაში გამოიყენებოდა **κ Κάππα** და გადმოსცემდა **k** -ს. შემდეგ მათ შორის დაპირისპირება იშლება, **q ინარჩუნებს მხოლოდ რიცხვით მნიშვნელობას და ქრება ხმარებიდან** - მისი დანიშნულება გადაეცემა **k-** ს. ზემოხსენებულ ხმოვნებთან მიმართება რჩება უცვლელი[20]. იწერებოდა **κόραξ, ἄκος** ὁ **1 ყორანი; I κόρος** ὁ [κορέννυμι] **1)** сытость - სიმაძღრე, ამოყორვა; **II κόρος** ὁ [κορέω I] сор, мусор-ნაგავი, ყრილი -ყორე ;**III κόρος,** *эп.-ион.* **κοῦρος,** *дор.* **κῶρος** ὁ **1)** ребенок, младенец ბავშვი.

---

[14]Γεώργιος Μπαμπινιώτη Λεξικό της νέας ελληνικής γλώσσας, Αθηνα 1989 .
https://users.sch.gr/galexiad/files/lexika/babiniotis.pdf

[15] ლიანა კვირიკაშვილი, ბერძნულ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონი, ტ. 5 σ-ω, თბ., 2007, 2.

[16] რისმაგ გორდეზიანი, მედიტერანულ-ქართველური მიმართებები II, წინარებერძნული, თბ., 2007, 39.

[17] რისმაგ გორდეზიანი, მედიტერანულ-ქართველური მიმართებები II, თბი., 256.

[18] https://www.pemptousia.ge/2013/11/06/ქრისტეს-მიერ-სალოსნი-როგ/

[19] დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1864.

[20] თამაზ გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, თბ., 1989, 76-77.

ეს პროცესი q=κ კლასიკურ პერიოდში უკვე დასრულებულია.

σάλαξ, ακος ὁ ბრუნების თვალსაზრისით, ძველბერძნულ ენაში მესამე კანკლედობის საზოგადო არსებითი სახელია. ხორხისმიერ, გუტუალურ თანხმოვნებზე (γ, κ, χ) დაბოლოებულთ სახელობითი ბრუნვა სიგმატურად ეწარმოებათ. ხორხისმიერი თანხმოვანი ς-თან შეერთებით გვაძლევს ξ-ქს-ს[21], როგორც ამ შემთხვევაში გვაქვს, რთულ თანხმოვანს.

მეგრულ **სალას**-ში ფუძეა **სალას-,** ბერძნულ **σάλος** -ში - **σάλο-, ς** მეორე კანკლედობის სახელობითი ბრუნვის ნიშანია მხოლობით რიცხვში. ὁ, **σάλαξ** -ακος -იდან კი მხოლოდ მრავლობითი რიცხვის მიცემითი ბრუნვიდან **σάλαξι (ν)** შეიძლებოდა მეგრული სალას-ის მიღება, ბერძნული **ξ -ქს** რთული თანხმოვნის გამარტივებით.

ამას გარდა, ანთროპონიმებად ქცეული ბერძნული არსებითი სახელებიც საზოგადო იყო თავდაპირველად.

ბერძნული საკუთარი სახელების ქართულად გადმოტანისას ჩვენი ძველი მთარგმნელები ეყრდნობოდნენ ბერძნული ანთროპონიმების სამი ბრუნვის ფორმას: სახელობითს, მიცემითს, ბრალდებითს, მაგალითად: სახ. პლატონი; მიც. ქსენოფონტი; ბრალდ. დემეტრა, პლატონა.

რაც შეეხება ქართულ ფონება **ყ-ს**, ის მეექვსე სამეულის **ϱ, ϟ, ყ** ერთადერთი გადარჩენილი ფარინგალური/ხახისმიერი ბგერაა, რომელიც სლავების მიერ წარმოთქმისას **κ თანხმოვნით** გადმოიცემა - ყაყაჩო/ какачо, ხოლო სხვა ევროპულ ენებზე ***q' ქ'-თი q'aq'acho).*** ალბათ იმიტომ, რომ რუსული ანბანი ბერძნულის ანალოგიითაა შექმნილი, ისიც გვიან. ენათმეცნიერები გიორგი ახვლედიანი[22], არჩილ ჩარგეიშვილი[23] ადასტურებენ **ყ-ს** ფარინგალობას, ხოლო სერგი ჟღენტი ადასტურებს ქართულ ენასა და მის დიალექტებში **ყ- -ს** გამოთქმის ორ ვარიანტს[24].

ამრიგად, 1. ქართული გვარი სალაყაიას ფუძე იქნებ, მართლაც იყოს წინარე ბერძნული სივრცის სიტყვა, მაგრამ დღევანდელ ქართულ გვარ-სახელში დაცული ფორმა ნამდვილად გრეციზმი ჩანს, ჯერჯერობით 1595 წლის თურქულ ფისკალურ დოკუმენტში „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ დადასტურებული გვარით: **სალაყასძე,** ანუ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, სადაც კონტაქტი ძველბერძნულ და შემდეგ რომაულ და ბიზანტიურ სამყაროსთან უფრო მჭიდრო იყო და ენების შეხვედრის არეალიც ფართო და ვრცელი. ამჯერად, თურქულენოვან წყაროზე უადრესი დოკუმენტი, სავარაუდოდ, არსებული, ჩვენ ვერ მოვიძიეთ.

2. დიდ მეცნიერ ფურნეეზე დაყრდნობით, ჩვენ რაც არ უნდა წინარებერძნულად, სახელდობრ, პელაზგური წარმომავლობისად მივიჩნიოთ **სალაყ - ფუძე,** თუ პელაზგების შთამომავლები ვართ ჩვენ, ქართველები, თვითონ ბერძნები უფრო არიან მათი შთამომავლები აქილევსით, პითაგორათი და სხვა ცნობილი თუ უცნობი ბერძნებით. პელაზგების უშუალო შთამომავლებად სხვანიც მიიჩნევენ თავს, მაგალითად, ალბანელები.

შემდგომ კვლევებს, ჩვენ სხვათ მივანდობთ, ფონეტიკის - ენათმეცნიერების ამ ურთულესი დარგის - ჩვენზე უკეთ მცოდნეებს...

---

[21] აკაკი ურუშაძე, ძველი ბერძნული ენა, 1969, 62.

[22] გიორგი ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბი., 106.

[23] არჩილ ჩარგეიშვილი, ქართული თანხმოვნების „ყ“ და „ϟ“ ბიომექანიკის საკითხისათვის: საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. VII, #8, 1946, 539-540..

[24] სერგი ჟღენტი, ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები, თბილისი, 1965, 121.

Towards one Grecism in the Georgian surname Salaqaia - σάλαξ, ακος ὁ - "lattice-work, lattice"; "thundering, loud thudding, roaring, shaking"

Ketevan Jervalidze, Circassian (Adyghesn) Culture Center, researcher

Nino Petriashvili, Priority Dispatch Corporation, Linguist, Liaison for International Affairs Coordinator

Summary: The paper presented by Ketevan Jervalidze and Nino Petriashvili contains an attempt to determine the origin of one Georgian surname - **Salaqaia.**

It is true that the dictionary of Georgian proper names does not give female and male anthroponyms based on **salaq**(**k**)- stem, but **it is attested** in the dictionary of Georgian dialects and sub-dialects (Dictionary of Dialects of the Georgian Language):

salaǫ-i - (Tush.) a flat oblong stone that is thrown by children while playing.

According to the authors, the stem of the surname **Salaq-** must be derived from the accusative case of the ancient Greek common noun - **σάλαξ, ακος ὁ: σάλακα**: **σάλακα** and it is attested as the surname - **Salaqasdze** - for the first time in the Turkish fiscal document of 1595 - "The Great Register of the Vilayet of Georgia".

Based on 256, such great lexicographers as Robert Beekes, Jöns Ivan Hjalmar Frisk, E.J. Furnée consider the lexeme **σάλαξ, ακος ὁ** to be of proto-Greek origin, derived from the lexeme **σάλος (ᾰ) ὁ**: 1) excitement, hesitation; 2) sea rocking; 3) shock, confusion: 4) anchorage, raid. Georgios Babiniotis notes the uncertain origin of the word and connects it with the adverb **σαλός** – "stupid".

The word **salos** (**σαλός**) is also attested in the Georgian language and denotes *someone with a turbulent mind*, as well as a *stupid, fool*. It entered in this form later. With reference to WKE (255) Academician Gordeziani connects **σαλός** – "stupid" to the Georgian **shal/shl** stem, which, along with other meanings, means "confusion, madding" in ancient texts and is restored to the level of Georgian-Zan unity. (Georgian Etymological Dictionary, 546).

In Megrelian, there is a lexeme **salasi -** *a part of a device for catching a bear, catch/pawl, a lock,* which is close to the content of the ancient Greek **ὁ σάλαξ, ακος**, even phonetically, if **-s**- in Megrelian is a result of simplifying of the compound consonant **ξ- (κς).**

Thus, the authors do not rule out the origin of the Georgian surname - **Salaqaia** from Greek **ὁ σάλαξ, ακος (**acc.. **σάλακα - salaqa**), even if it is originated from ancient Greek, and they leave the space open for further discussion.

Key words: Onomastica, Georgian, Surname, Salaqaia, Stupid, Salaqasdze, Prot-Greek

საისტორიო-ფოლკლორული და წერილობითი წყაროები დიმიტრი ფურცელაძის მიერ 1863 წელს შედგენილ სახელმძღვანელოში

დოდო ჭუმბურიძე
საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი,
თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის
ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

აბსტრაქტი: ნაშრომი ეხება დიმიტრი ფურცელაძის მიერ შედგენილ და 1863 წელს დაბეჭდილ წიგნს, რომელიც ბევრი სახის ცოდნას აძლევდა მოწაფეს, ასწავლიდა არა მარტო წერა-კითხვას, მათემატიკას, სიგრძისა და მანძილის გაზომვას, ზომა-წონის ერთეულებს, არამედ უფრო ღრმა ცოდნასაც აძლევდა. არკვევდა მეცნიერულ მიღწევებში, ესაუბრებოდა ბუნების მოვლენებზე, საეკლესიო და სამოქალაქო სჯულზე, ასწავლიდა ძველ სალიტერატურო თხზულებებს - იოანე შავთელს, ჩახრუხაძეს, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის საგალობლებსა და იამბიკოებს, ლოცვებს, ქადაგებებს და სხვ. ამ დროის სახელმძღვანელოებსა და განათლების სისტემის დაწესებულებებს თუ გავიხსენებთ, ამ წიგნს უთუოდ ღრმა შინაარსი და მეთოდური დანიშნულება ჰქონდა.

საკვანძო სიტყვები: დიმიტრი ფურცელაძე, სახელმძღვანელო, წერილები.

ქართული საისტორიო აზრის სიღრმისეულ განვითარებას XIX საუკუნის მეორე ნახევარში მიეცა ახალი შესაძლებლობა. ამ პერიოდში ქართველოლოგია ჩამოყალიბდა როგორც სამეცნიერო დარგი ისეთი ცნობილი ქართველოლოგების დაუღალავი მოღვაწეობის შედეგად, როგორებიც იყვნენ თეიმურაზ ბაგრატიონი, მარი ბროსე, დავით ჩუბინაშვილი, ალექსანდრე ცაგარელი და სხვ. ამ ჯგუფს მოჰყვნენ ნიკო მარი და მისი მოწაფეები, რომელთაც შეძლეს ევროპელი მეცნიერები დაეინტერესებინათ ორიენტალისტიკის ისეთი დარგით, როგორიცაა აღმოსავლური ქრისტიანობის ისტორია. ამ მიმართულებით ქართული ქრისტიანობის ისტორიის შესწავლა აქტუალურ თემად იქცა და ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს ისეთმა ევროპელმა მკვლევარებმაც, როგორებიც იყვნენ სენ-მარტენი და კლაპროტი.

ქართველმა მკვლევარმა დიმიტრი ფურცელაძემ (1825-1891) დიდი წვლილი შეიტანა ქართული ეკლესიის ისტორიის შესწავლასა და საეკლესიო წყაროების შეგროვება-დამუშავებაში. მან პირველმა გათხარა და შეისწავლა ზოგიერთი არქეოლოგიური ძეგლი კახეთში, იყო გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, მონაწილეობდა ეროვნული საქმეების განხორციელებაში. რამდენიმე წელი იყო კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარეც და ეს თანამდებობა ძირითადად გამოიყენა იმისათვის, რომ დახმარებოდა ასპარეზზე ახლად გამოსულ ქართულ დემოკრატიულ პრესას იმპერიული ხელისუფლების მკაცრი საცენზურო პოლიტიკის თავიდან აცილებაში. თითქმის მივიწყებული მისი სამეცნიერო ღვაწლი ბოლო წლების საისტორიო კვლევებში ისევ გამოიკვეთა. ჩვენი მონოგრაფიული ნაშრომიც გვერდს ვერ აუვლიდა ამ საინტერესო ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის დამსახურებას, მისი წვლილის გათვალისწინებას ქართული საისტორიო აზროვნების განვითარებაში.

ბიოგრაფია

საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი და პედაგოგი დიმიტრი პეტრეს ძე ფურცელაძე 1825 წელს დაიბადა, სიღნაღში.

მისი ბიოგრაფია, განსაკუთრებით ბავშვობისა და ახალგაზრდობის წლები, დეტალურად უცნობია. ვიცით, რომ დაამთავრა კიევის სასულიერო აკადემია 1849 წელს და გაანაწილეს თბილისის სასულიერო სასწავლებლის უმაღლესი განყოფილების მასწავლებლად; ორი წლის შემდეგ მიანიჭეს კანდიდატის ხარისხი და გაამწესეს თბილისის სასულიერო სემინარიის პროფესორად;

1853 წელს თავისივე თხოვნით გაათავისუფლეს სასულიერო წოდებიდან, დანიშნეს ტიტულოვან მრჩევლად და უბოძეს მაგისტრის ხარისხი; 1860 წლიდან კავკასიისა და ამიერკავკასიის სამოქალაქო მოწყობის მოხელეა; იგი ზედამხედველობას უწევდა ეკლესიებს და სასულიერო საქმიანობას მთიან რეგიონებში; 1864 წლიდან მუშაობდა კავკასიის მეფისნაცვალთან, სადაც დიდი მთავრის დავალებით განაგებდა კავკასიაში ქრისტიანობის გამავრცელებელი საზოგადოების საქმეებს; 1868 წელს დაინიშნა შტატის მრჩევლის თანამდებობაზე განსაკუთრებულ დავალებათა IV კლასის მოხელედ; ისტორიული საბუთებიდან ცნობილია, რომ 1869 წელს კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვთან მსახურობდნენ დიმიტრი სტეფანეს ძე კოზაკოვი და დიმიტრი პეტრეს ძე ფურცელაძე, რომლებიც იყვნენ საგანგებო დავალებათა VI კლასის ჩინოვნიკები, ანუ მისი თანამდებობრივი კარიერა იერარქიულად ზემოთ იწევდა. 1875 წელს დიმიტრი პეტრეს ძე ფურცელაძე კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა. ქართველი კაცის მიერ ამ თანამდებობის დაკავება, თუკი საიმპერიო ხელისუფლების მართვაში ამ საგანგებო ინსტიტუტის როლსა და დანიშნულებას გავითვალისწინებთ, მართლაც, ბევრ რამეზე მეტყველებდა. დიმიტრი ფურცელაძე, ისევე, როგორც მისი დროის ბევრი ქართველი სწავლული, მრავალი მიმართულებით მუშაობდა. მას აქვს ნაშრომები როგორც პოლიტიკურ, ისე საეკლესიო ისტორიაში, არქეოლოგიასა და ლინგვისტიკაში, ეწეოდა ძველი ხელნაწერი ძეგლებისა და ნივთების შეგროვებას, მთარგმნელობით საქმიანობას. 1885 წლის 17 მარტის „დროებაში“ ქართულიდან მეგრულ ენაზე საეკლესიო წიგნების გადათარგმნის შესახებ დიმიტრი ფურცელაძის ცნობები დაიბეჭდა. დიმიტრი ფურცელაძის ნაშრომებიდან აღსანიშნავია: „ქართული საეკლესიო გუჯრები", „სათავადაზნაურო გუჯრები", „საგლეხო გუჯრები", „კახეთის უმთავრესი საჭიროებანი და მოთხოვნილებანი", „ბოდბის მონასტრის აღწერა", „დღესასწაულნი საქართველოს ეკლესიისა", „ანდერძი ანტონ კათალიკოსისა", „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ვახტანგ მეფის სამართლის მიხედვით" და სხვა.

დიმიტრი ფურცელაძე 1891 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

„ქართული ანბანი და წიგნი საკითხავი მდაბიო ხალხთათვის, შედგენილი დ. ფურცელაძის მიერ, ტფილისი, ნამესტნიკის სტამბა, 1863.“

წიგნის მნიშვნელობა უდიდესი იყო იმ დროისათვის, როდესაც 60-იანი წლების რუსული რეფორმები ჯერ არ იყო საქართველოში გატარებული და სოციალურად დაუცველი დაბალი ფენებისთვის სასკოლო განათლების მიღება ძნელი იყო. ამ წრის სწავლას მოწყურებული ადამიანები ხშირად თვითგანვითარებით ეუფლებოდნენ ცოდნას და გამორჩეულები ამ გზით დიდ წარმატებასაც კი აღწევდნენ, მაგალითისათვის ილია და ივანე ოქრომჭედლიშვილები (სერებრიაკოვიც) გამოდგება, რომელთაც ამ გზით იმდენი განათლება მიიღეს, რომ ილია პეტერბურგის უნივერსიტეტის პედაგოგიც კი გახდა.

წიგნის შესავალში, ხუთი გვერდი უკავია ქართულ ანბანს, მოტანილია ამ დროს ხმარებაში არსებული ყველა ასო-ნიშანი (რაღაცატომ არა 38, არამედ - 39).

ამას მოსდევს ერთმარცვლიანი, ორმარცვლიანი და სამმარცვლიანი ქართული სიტყვების ჩამონათვალი. სიტყვები სპეციალურადაა შერჩეული, ისინი უმეტესად ბიბლიური წარმომავლობისაა. მაგალითად, სამმარცვლოვანები: მპყრობელი; ხილული, შობილი; ქალწული; განკაცნა; ამაღლდა; მჯდომარე; მომავალ, ცხოველი და სხვ. პირველი პარაგრაფიდან მოზარდი იწყებდა კითხვას, სწავლობდა სიტყვათა გადაბმას და აზრის ჩამოყალიბებას. წინადადებები იწყებოდა ორსიტყვიანი მარტივი კომბინაციით და თანდათან რთულდებოდა: „ვხედავ ნემსსა; ჩემი თივა ხმელია; იჯექ ჭკვიანად, ჩემო საყვარელო შვილო!; მე ვზივარ მთაზედ და ვხედავ კიდევ ერთსა მთასა და ზღვასა.“ 1-2 პარაგრაფის შემდეგ სავარჯიშო რთულდებოდა. მე-3 - მე-4 პარაგრაფი უკვე სიტყვათა რთული კონსტრუქციებია. მაგ., აიღე ჩანგალი, კოვზი და პატარა ჯამი, ისინი თაროზე

აწყვიან; კასრი სავსეა წყლითა, ქვევრი კი ღვინითა; ღმერთს მოუცია ჩვენთვის სიცოცხლე და ყოველი საჭირო სიცოცხლისათვის. თორმეტი პარაგრაფი იმგვარი წინადადებებია შეთავაზებული, რომ მოსწავლემ ისწავლოს სწორი ქცევა, იაზროვნოს სწორად, ამასთანავე, შეითვისოს კეთილი ზნეობა, იყოს ღვთისმოშიში და მოყვასის მოყვარული: მაგალითისათვის ერთი სავარჯიშოს დასასრულს მოვიყვან: „ღმერთი გიყვარდეს, ჩემო მეგობარო!; დედ-მამას პატივი მიეცი; სწავლაში ბეჯითი იყავი; ზარმაცს მოწაფეს პური არ შეერგება; ერთმანეთის სიყვარული გქონდესთ; ცუდ სიტყვებს ეკრძალებოდე; ანჩხლი ნუ იქნები; მორჩილი და მომთმენი იყავ; სწავლა განანათლებს გონებასა; უგუნურს ქვეყანაში არ გამოეხედება; ეკლესიაში ჭკვიანად დადექი; ლოცვა გიყვარდეს; ყველაფერი ღვთისგან გაქვს და მადლობა გმართებს; კეთილისმოქმედი კაცი ბედნიერია სააქაოსაც და საიქიოსაცა; ყოველი კეთილი დიდის ღვაწლით მოიგება“. ყველა გამონათქვამი, გარკვეული სიბრძნის შემცველობის გარდა, ამ დროინდელი მაღალი მორალის მქონე ადამიანის პორტრეტს განასახიერებს.

ამ სწავლებაში ჩანს დიმიტრი ფურცელაძის პედაგოგიური ნიჭი და მისი მეთოდოლოგია - მოზარდში ცოდნასთან ერთად მაღალი მორალიც გამოემუშავებინა. ვინაიდან პედაგოგის მიზანი „მდაბიო ხალხის“, ანუ ძირითადად ყმა-გლეხობის მოზარდებში განათლების შეტანა იყო, ის ცდილობს ასწავლოს მათ მაღალ საზოგადოებასთან ქცევა და გააცნოს ის სიტყვიერი მასალა, რაც აუცილებელი იყო ამ ორი წრის კეთილი ურთიერთობისათვის. მე-12 პარაგრაფში მოწაფეებს სწორედ ამგვარი მიმართვები ეძლევა სავარჯიშოდ: „ბატონი ადღეგრძელოს ღმერთმა; როგორ მშვიდობით ბრძანდებით; მადლობა ღმერთსა, მშვიდობით გნახეთ; დიდათ მიამა თქვენი ნახვა; როგორ ატარებთ დროებასა; როგორ მოგწონთ აქაური ცხოვრება; მგონია ყოველთვის სიხარულში ბრძანდებით, ნუ მოგაკლოთ ღმერთმან ყოველი კეთილი; მისი მშვენიერი ლაპარაკი დაუფასებელია, რასაც იტყვის სულ დასასწავლებელია; სამსახური მიბრძანეთ, ყოველთვის თქვენი უმორჩილესი მონა გახლავართ“...

ამ სწავლებიდან კარგად ჩანს ჩვენში ამ დროს არსებული ბატონყმური იდეოლოგია, პურიტანიზმი და შუასაუკუნეობრივი სქოლასტიზმი, ნაკლები ჰუმანიზმი და დემოკრატიის არარსებობა სწავლების პროცესში, რაც ამ პროცესს ჩაკეტილს ხდიდა, საზოგადოების წინსვლა-განვითარებას კი საგრძნობლად აფერხებდა.

13-დან 19 პარაგრაფამდე მოყვანილია მოკლე შეგონებები: მაგ.: „რასაც ვერ აიტან სხვისაგან, ნუ უზამ სხვასა“, „კეთილნი ბაგენი აღმოიტყვიან კეთილსა, ხოლო ბოროტნი აღმოანთხევენ შფოთსა და ურიგოებასა“; „მდიდარნო, ნუ დასცინით გლახაკთა, ვაითუ სიცილი ტირილად გადაგექცესთ“; „რეგვენთა ასწავებდე, რაოდენიცა შეგეძლოს, ეგება როდესმე გონზე მოვიდნენ“; „საუკუნო დიდებასა ეძებდე, სააქაო ყოველივე ამით არს“; „უკეთუ გსურს ისწავლო სასარგებლოდ, მოიგე თავმდაბლობა წინაშე ღვთისა, ჭეშმარიტი სიბრძნე არს ნიჭი ზეციური მამისა, ძალით ვერ მიიღებ მას ყოვლად შემძლებელისაგან თუ არ ვედრებითა სიმდაბლითა და სასოებითა“; „ვინც მოიგო ჰსწავლა და სიყვარული იესო ქრისტესი, მას აქვს დაუფასებელი საუნჯე. ქრისტესა ეკუთვნის ცა და ქუეყანაცა“.

ფულის ანგარიშის სწავლებაში დასახელებულია ამ დროს არსებული ფულის ერთეულები: თუმანი, აბაზი, შაური, ბისტი, მინალთუნი... წიგნის ავტორი შეგირდებს ასწავლის მათ შეფარდებას, მაგ., რამდენ მინალთუნს უდრის სამი ბისტი და ა. შ. (გვ. 27-30).

„საკითხავი ხალხთათვის“ სახელმძღვანელოს მეორე განყოფილება

„საკითხავი ხალხთათვის“ ჰქვია წიგნის მეორე განყოფილებას, სადაც შესულია: ა) სიბრძნე-სიცრუის ზღაპრისაგან რამდენიმე იგავი, რომელთა მორალი ქურდობის, სიცრუის, უპასუხისმგებ-ლობის, შურისა და უსამართლობის დაგმობას ემსახურებოდა. ეს იგავებია: მკერვალი და ქურდი, ლურჯი მელა, სოფლის მაშენებელნი, კაცი და დათვი, ძალა ერთობაშია, ხარბი და კეთილი ძმის ამბავი და სხვ.

მეორე ნაწილი ეთმობა ეზოპედან ამოღებულ იგავებს: ჯორი და მელა, კუ და ორბი, მგელი და დედაკაცი, გ. განყოფილებაში შესულია ანდაზები: მაგ., ავი შვილი დედ-მამის მაგინებელია, ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა. ამახანაგი ნუ გძულს, საშოვარი ნუ გშურს, აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი ორივე ქურდიაო. ერთი ალილუია ხუცესსაც წაცდებაო. ეშმაკის მუშა ღმერთმან დაფუშა; ნუ დასცინებ სხვასა, გადაგხდება თავსა, ვინც დასცინებს სხვასა მოიბრიყვებს თავსა. ობლის მამა ღმერთიაო. ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო, ცუდად ყოფნას ცუდად შრომა სჯობიაო.

განყოფილება დ - გამოცანებს მოიცავდა: თეთრი ხნული შავი თესლი, თესლი მთესველს ეუბნება;

შვიდი ფიცარი, შვიდათ შეკრული, ვერც მეფე იხსნის, ვერც მისი ჯარი...

ამავე განყოფილებაში შესულია ბერძენი მეიგავის - ეზოპეს იგავები.

ისტორიულ თემაზე შექმნილი ხალხური ლექსები

ამავე განყოფილების II ნაწილში შეტანილია ისტორიული ლექსები: ერთი ლექსი ეძღვნება ვახტანგ მეექვსეს, „ვახტანგ მეფის საფლავზე დაწერილი არს ლექსი ესე“, – ნათქვამია ლექსის დასაწყისში. აქვე შენიშვნის სახით ვიტყვით, რომ ვახტანგ მეექვსის საფლავი ასტრახანში სამჯერ გაიძარცვა და იქ არათუ წარწერა, როგორც ამბობენ, აღარაფერი აღარ არის. ამიტომ ამ ლექსს ქართული ისტორიოგრაფიისთვის სიმბოლური მნიშვნელობა აქვს.

„მე უმცირესმან ძმათაგან, ვახტანგმან სახელდებულად,
ვქმენ ოთხ წელ მცხეთა, ურბნისი, სადგურ-კამარა გებულად,
ტფილისს სიონი სულ ახლა შევძერწე ქანდაკებულად.
და ჩემთვისცა სახლი სარკისა, შიგ ლხინი მოწონებულად.
სტამბა მოვიღე ვლახეთით , ვამრავლე წიგნთა მელანი,
ქციის რუ ხუნანს წავიღე, გაღმითად მოვრწყე ველანი,
მასავრის რუ ხომ ტბას შევრთე, შიგ თევზი ჩავსხი ყველანი,
და ესე მთა მოვინადირე, ვხოცე ირემი ძველანი.
სამართლის წიგნი დავწერე, მსაჯულს არ უნდა ცილობა,
ვეფხისტყაოსნის თარგმნობა, სხვა წერილთ არ ვსთქვა ცილობა,
ჩემთანა მყოფთა ჭაბუკთა უქმნია კარგა ზრდილობა,
და ბოლოს მიმიღო სოფელმან სიმდიდრე, მეფეთ-შვილობა...

ისტორიულ თემაზე დაწერილი ლექსებიდან აღსანიშნმავია „ნარის სოფელ ნუზლი საყ-დარზედ დაწერილი ლექსი“. ლექსი ოსებისა და ქართველების ურთიერთობაზეა.

ისტორიული მოთხრობები: ნაწყვეტები ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსვლათა“ წიგნიდან

წიგნის ისტორიულ ნაწილში შეტანილია – ისტორიული მოთხრობანი, ტიმოთეს მოგზაურო-ბისაგან“. ესაა ნაწყვეტები ტიმოთე გაბაშვილის თხზულებიდან (გვ. 50-58),

ნაწყვეტი ეხება წმინდა მთაზე ტომოთე გაბაშვილისა და მის მხლებელთა მიბრძანებას, იქ დახვედრილ ვითარებას. ამ ნაწყვეტში საუბარია დედოფალ თეოდორას მიერ ბერი იოანიკის, ყოფილი ქართველი ბერის იოანეს მიწვევაზე კონსტანტინეპოლში და დახმარების თხოვნაზე გამაჰმადიანებული ბერძენი მოწინააღმდეგის - სკლიაროსის წინააღმდეგ ბრძოლაში, ქართველთა მეფე დავით მესამე კურაპალატის მიერ გაგზავნილ ლაშქარსა და ბერად აღკვეცილი თორნიკეს მიერ მონაზვნის სამოსის გახდაზე, მხედრის სამოსით შემოსვასა და სპარსელთა დამარცხებაზე. გამარჯვებული თორნიკეს კვლავ დაბრუნებაზე ათონის მთაზე. ეს არის ადგილი ტიმოთეს თხზულებიდან, სადაც დიდი ოსტატობით აღწერილია კარის ღვთისმშობლისა და ნათლისმცემლის ეკლესიები, ღვთისმშობლის ხატის სასწაული, ხატების დევნის დროინდელი ამბავი, რომელსაც ტიმოთე გაბაშვილი ხატოვნად გადმოსცემს. ასრულებს რა ხატის სასწაულებრივ ისტორიას, წერს, რომ „წარმოასვენეს სენაკთა გაბრიელისით და დაასვენეს კარისბჭესა შინა, ამისთვის უწოდებენ

კარისა, (ხოლო ბერძნულად პორტაიტისა) ღვთისმშობელსა. შემდგომად მოუჭედია მძიმედ ატა-ბაგსა და ამირსპასალარსა სამცხისასა ჯაყელ ციხის-ჯუარელსა ყვარყვარეს, ძესა ქაიხოსროსას და დედის-იმედის მუხრანბატონის ასულისასა, (მე ეგრეთ ვჰგონებ: წმინდისა ქეთევან დედოფლის დისწულსა). ხოლო კარზედ ხატისათვის გუმბათიანი მცირე ტაძარი აღუგია აშოთან მუხრან-ბატონსა თვითცა შიგ ხატია და ძე მისი იესე თან უხატია“ (გვ. 56-57),

განსაკუთრებული ემოციით ტიმოთე გაბაშვილი საუბრობს ღვთის მოწყალებაზე, რომელიც მას ერგო ამ ადგილების მოხილვით. „მაღალმან ჯერ იჩინა გარდამეტებულითა მოწყალებითა თვისთა ჩემზედა მივრდომა ჩემი მუნ, სადაცა მე, ტიმოთე, უფროსად მდაბალი, ღირს ვიქმნებოდი სამარად ზიართა მათ თანა ზოგად ცხოვრებულობასა, ლოცვასა და აღსარებასა ბაგეთასა, ზიარ და უკლებელ პურის-მტედ და ინახით ჯდომა მონასტრისათა მით ახარებდა სულსა ჩემსა, და მადლობასა შევსწირვედი ღვთისმშობლისა მიმართ ქალწულისა, სასოისა ყოველთა ქრისტია-ნეთასა და უმეტეს ნათესავისა საქართველოისა და განცვიფრებულ იყო გონება ჩემი ამისათვის, თუ ვითარ მე ცოდვილი და უმეტეს საქართველოსა კაცთასა ბრალეული, მომიწოდა აქა და გზათა შორეულთა სვლასა შინა და ზღვათა ღელვათაგან უვნებელად განმარინა და ღირს მიჩინა აღ-რიცხვად ღირსთა მამათა ჩუენთა ქართველთა ჭირნახულსა, ტკივილ-მოყუარებით და რუდუნებით ნაღვაწსა მონასტერსა, რომლისაგანა განათლდა საქართველო წიგნთა თარგმანებითა. უკეთუ უნარჩევესისა იმის სათნო იყო აქა მოვრდომაი, რაოდენ უმეტესად ჰსთნდეს მეუფესა სულიერთა საქართველოსათა მამათა აღმოსვლაი, რომელთა სრულიად დაჰვიწყებიესთ დიდებული ესე ადგილი და არღარავინ არს მოწადე მოსვლად აქა“.

ამ ადგილს ისტორიისადმი მოწიწება და თაყვანი უნდა გამოეწვია ახალგაზრდა ქარ-თველებში, მათ უნდა შეემეცნებინათ წინაპართა როლი და ადგილი ქრისტიანულ ცივილიზაციაში. როგორც საეკლესიო ლიტერატურისა და სულიერების კარგ მცოდნეს - დიმიტრი ფურცელაძეს ეს სურვილი ამოძრავებდა, როდესაც სასწავლო სახელმძღვანელოს ასე თემატურად და შინაარსობ-რივად ამრავალფეროვნებდა, მას ახალგაზრდობისათვის ერის მთავარი ფასეულობების გაცნობის ფუნქციას აძლევდა.

ქართველ მეფეთა და დიდებულთა დახმარების თხოვნები რუს ხელმწიფეთა მიმართ

მეორე ნაწილის გ. განყოფილებაში შედის „ისტორიულნი წერილნი“ .

აქ საინტერესოა „წერილი რომელიმე ქართველისაგან მიწერილი რუსეთის ხელმწიფის მიხეილ თევდორეს ძისადმი“.

მასში კახთა მეფის -ალექსანდრეს ქრისტიანული სარწმუნოების ერთგულებასა და ოსმალ-თაგან შევიწროებაზეა საუბარი. „ჩემმან ბატონმან სხვა ღონე ვერა მონახა რა, თავისი თავი და ეკლესიანი და საბატონო თქვენ მოგაბარათ და თავი კალთაში ჩაგიდვათ. დიდი კონსტანტინეს მსგავსი ხელმწიფე ეგ არის, ყოვლის ქრისტიანის, სემნახავნი ეგენი არიან, პირველმც მაგათი ტახტის მოსამსახურენი ვყოფილვართ და ახლა ჩვენი ხელმწიფე ფიცით ჰყმობია. მაგ ხელმწიფეს საქართველო ყოვლად წმიდის ღვთისმშობლის წილხვდომილია, წმინდას ღვთისმშობელს დამად-ლოს. ერთს წელიწადში ათასი და ორიათასი ნათლის - ღებული ყოველი გათათრდების, ქრისტეს გმობენ, ეკლესია შეურაცხდა და საკურთხეველსა მოგლიჯეს, ძაღლებს შეასხმენ, იბრძვის ცემი ხელმწიფე მაგრად, როდემდის გავიდებთ თავსა, მეორედ მოსვლის ქრისტეს, რომ დაჯდეს განკითხვად, იმას შეზღევენით ამდენი ქრისტიანის მოხმარება. ორი საქმე გვიყავით ქრისტეს გულისათვის. ერთი ესე, რომე რაც წყალობა ჯამაგირი გვქონდეს, დაუკლებლად გვიბოძია, რაც მაშინ ნიკიფორე მიტროპოლიტის ხელით ებოძა, ჩვენმან ხელმწიფემან, იმისმან მზემან, ნახევარი ქრისტეს საფლავს და მონასტერს მისცა და გაცრცვილ ეკლესიას გაუყო სახატავად და საშენებლად, და მაგ ხელმწიფის სადღეგრძელოდ და საულიეროდ, და ნახევრით აქმდინ თითონ დარჩა და ლაშქარსაც მისცა. აქამდის თავი ხელთა არა ჰქონდა, უქონლობით ვერა მოგიკითხეთ. მეორეს ამას ვეხვეწებით ხელმწიფეს, რომე ერთი დიდი ელჩი უბოძოს ყიზილბაშთა ხელმწიფესა, რომ

დაგვეხსნას, ჩვენ არას შევცოდებთ, ნუ გვარბევენ, ამტონს ჩვენის რჯულისას ნუ ატყოებთ (ატყვევებთ?) თუ ჩემი მთავრობა გინდოდეს თქო, დაეხსენ თქო. ჩემის გულისათვის თქვენს ეკლესიას ნუ აქცევთ, კმა ამდენი ძალი უსამართლო, თუ არ დაეხსნები, მეც დაგემტერები-თქო. (გვ, 58-60).

ამ ტექსტით რას სწავლობდა მოწაფე, ან წიგნის ავტორს რისი გაგებინება სურდა ახალგაზრ-დისთვის, ცოტა ძნელი გასაგებია დღევანდელი მკითხველისთვის. ვფიქრობთ, დიმიტრი ფურცე-ლაძეს, ნამდვილ რუსეთუმესა და რუს იდეოლოგს, სურდა ეჩვენებინა ის განვლილი გზა, რითაც საქართველომ მიიღო რუსეთის ე. წ. „მფარველობა-ქვეშევრდომობა და ნანატრი მშვიდობა და თავისუფლება.

ამავე მიზანს თუ ემსახურება დოკუმენტი - „ფიცი თუშთა, ხევსურთა და ფშავთა, ყმობასა ზედა რუსეთის ხელმწიფის ალექსი მიხეილის ძისა ჩქნზ-სა წელსა ((1657), ასევე, წერილი საქართველოს კათალიკოზის ნიკოლოოზისა , რუსეთის პატრიარქის _იოაკიმესადმი ჩკპზ-სა წელსა. (გვ. 61-72)

ორივე დოკუმენტი არის ვედრება , რათა რუსთა ხელმწიფემ მუსლიმთა მიერ შევიწროებული და განადგურების პირას მიყვანილი ქართველები დაიფაროს ქრისტეს სჯულის სახელით.

რას წერდნენ თუშები, ფშავლები და ხევსურები რუსთ ხელმწიფეს

„ ფიცი თუშთა, ხევსურთა და ფშავთა ყმობასა ზედა რუსეთის ხელმწიფის ალექსი მიხეილის ძისა ჩქნზ=სა წელს (1657)

წერილი I

„დიდო და ყოვლის მპყრობელო ბატონო, დიდო მეფევ და ყოველ ქრისტიანეთ ხელმწიფევ ალექსი მიხაილის შვილო! ყოვლისა მპყრობელო! შენის ბრძანებით ჩვენს დედოფალსა და ბატონის შვილსა კაცი ებოძა და ჩვენი ქვეყნის კაცი დაებარებინა , რომე ჩვენც ამ დიდის ხელმწიფის ხელთა ვართო და თქვენც ამის ყმანი შეიქენითო და თქვენც ამას დაუკარით თავიო აწყ... ხელმწიფევ. ჩვენი ხელმწიფეც თქვენი არის, და ჩვენც თუშეთის და ხევსურეთის და ფშავლის ქვეყანაცა , სამთავ ქრისტიან ქვეყანასა პირობა გვიქნია და ზურგი მოგვიბამს ერთმანეთისათვინ და ელჩები გამოგვიგზავნია , ხევის ბერი სოზიმე მაქსიმიჩ, და გრიგოლ სიდორიჩ და პავლე ივანიჩ და შენი ყმანი შევქნილვართ და თავი დაგვიკრავს, როგორც თქვენი ბძანება იქმნება ჩვენ იმისა მქმნელი ვართ. ჩვენი ერთი ღმერთი ვიცით და მეორე ხელმწიფე თეიმურაზ. ჩვენ მაგარს ალაგს ვართ და არას კაცს შევეპოვებით. ამდენი ხანი არის საქართველოს ყეენი ებრძვის და ჩვენ არც შემოგვიშვია ყაენის კაცი და სადაც მოგვიხელებია, მოგვიკლავს, და მისი სარდარი გაგვიქცევია და ლაშქარი გაგვიწყვეტია,; აწყ, დიდო ხელმწიფევ, ჩვენი ხელმწიფე ყეენმა წაახდინა, და ზურგი აღარსადით გვქონდა და მღვთისაგან ველოდებოდით, რომე ერთი შენი ბძანება და კაცი მოგვსვლიყო; აწყ მოგვივიდა შენი ბრძანებაცა და ჩვენი დეედოფლის კაციცა და თქვენი ბძანება გაგვითავებია და შენ შემოგხვეწნივართ და შენთვის თავი დაგვიკრავს, გვიმსახურე და გვალაშქრე, საიმდღეშიოთ შენი ყმანი შევქნილვართ“ (გვ 61-62).

წერილი II

„წერილი თუშთა, ხევსურთა და ფშავთა რუსეთის ხელმწიფის ალექსი მიხეილის ძისადმი, ჩქნ Ჩსა (1658) წელსა.“

დიდო და ყოვლისმპყრობელო ხელმწიფევ, ყოველთა ქრისტიანეთ რჯულის დამამტკიცე-ბელო სრულებ საქრისტიანოს საჭეთმპყრობელო და ყოველთა ურჯულოთა გამქარვებელო დიდის მოსკოვის ტახტზდ მჯდომელო და სრულ საქრისტიანოს ზურგო და სიქადულო, დიდებულო ხელმწიფევ მღვთივ გვირგვინოსანო, მეფეთ მეფევ, დიდო მეფევ ბატონო ალექსი მიხაილის შვილო. თქვენმა მონდობილმა ქვეყანამა თუშეთმა, ხევსურეთმა და ფშავმა სრულ ერთობილთა თავი დაგვიკრავს,და თქვენს ნადგომს მიწას ვმთხვევნივართ: აგრეთვე ამასწინათაც, დიდო ხელმწიფევ,

ჩვენი ელჩები გაახელით და სრულად ერთობილთა თავი დაგიკარით და ასრე მოგახსენეთ,რომე ჩვენ ერთი ღმერთი ვიცით, და მეორე საქართველოს ხელმწიფე, მეფე თეიმურაზ და ჩვენ სხვას ურჯულოს კაცის ხელქვეითი არა ვყოფილვართ, თუ არ ქრისტიანის ხელმწიფის ყმანი ვყოფილვართ და გვიმსახურებაა და ახლა, ჩვენს ხელმწიფესა ურჯულომ ყეენმა დასძლივა და რადგან ჩვენი ხელმწიფე თქვენ ხელთ ქვეს არის, დიდო ხელმწიფევ, ჩვენც თქვენს ხელთ ქვეშ შევიქნებით და არც უსიკვდილოდ ურჯულოს კაცის ყმობა არ შეგვიძლიან თუ არ ქრისტიანის ხელმწიფის, და ახლა მაღალო ხელმწიფევ, ჩვენი ელჩები რომ გამობრუნებულ იყო და ჩვენის ბატონის რძლის კაცი ივანე მაქსიმეს შვილი და თერგზ რომ მოსულ იყუნეს ჩვენი ხელმწიფე წინ შემოჰყროდა, და ერთი ჩვენი ელჩი იქ დაეჭირა და ორი კიდევ გამოუშო და ერთი თავისი კაცი ივანე მაქსიმეს შვილი და ესრე ებრძანა ჩვენს ხელმწიფესა ჩვენთვის რომე „ერთი ღმერთი იცოდეთო, და მეორე, ეს დიდი ხელმწიფეო. როგორც ამისმა ბრძანებამ დაგაროგოსთ ისრე ქენითო, და სხვას კაცისთვის არამც თავი მოგიდრეკიათო, და ან სხვა კაცი თქვენს ქვეყანში შემოგიშვიათო“. მოვიდა ჩვენი ელჩებიც და ჩვენის ხელმწიფის გამოგზავნილი კაციც, და ჩვენთვის მრავალი წყალობა გებძანებინა და მაგათი ბედნიერი ხელი დაუღებია, ასრე გებძანა:. „ჩემნი ყმანი შეიქენითო და მემსახურეთო და ვისამც გამტერო უმტერეთო. თუ რამ დაგჭირდეს, შემატყობინეთო და ლაშქარს მოგაშველებო, და თუ ჩემი ლაშქარი გამოუძახო, ან ლეკზედ ან სხვაგნით, თქვენ მზას იყვენითო, რა ხან ჩემი ბძანება მოგივიდეს, შეიყარენით და ჩემს ლაშქარში გაერივენთო და მილაშქრეთო.“ და სხვა მრავალი წყალობა გებძანა ჩვენთვინ: ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირის სანაცვლონი გვამყოფოს და მაგათი დღე ერთი ათასად ქნას: ჩვენ არა ღირს ვიყვენით, რომ ბედნიერს ხელმწიფეს ჩვენთვინ წყალობა ექნა: ახლა კიდევ ელჩები ვაახელით დიდსა ხელმწიფესა რვა კაცი. ნაუმ ივანეს შვილი, პეტრო ნაუმის შვილი, ალექსანდრე აბრამის შვილი,, მიხაილ გრიგოლის შვილი, გრიგოლ მიხაილის შვილი, ივანე ივანეს შვილი, სვიმონ ზაქარიას შვილი, კუზმა სვიმონის შვილი გამოგვიგზავნია და შევიტყევით, რომ ჩვენი ხელმწიფე თქვენთან წამოსულა და როგორაც თქვენი ბრძანება მოგვივა, ისრე ვიქთ და ისრე გმსახურებთ.“

ეს ორი დოკუმენტი XIX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში აღმოაჩინა რაფიელ ერისთავმა. რომელმაც თიანეთის მაზრაში ადმინისტრაციულ თანამდებობაზე ყოფნის დროს შეისწავლა თუშ-ფშავ-ხევსურეთის ეთნოგრაფიული ყოფა და ტრადიციები, მათი ისტორიული წარსული და 1854 წელს გაზეთ „კავკაზში“ გაგრძელებებით გამოაქვეყნა სტატიების სერია შემდეგი სათაურით: Записки о Тушино-Пшаво-Хевсурском округе“ („კავკაზ“, 1854, №№43, 45=47, 49-52).

რაფიელ ერისთვამა თავისი ეთნოგრაფიული ნარკვევის წერისას გაუგია თუშ-ფშავ-ხევსურეთისა და რუსეთის ისტორიული მოლაპარაკების წარმოების შესახებ და სანკტ-პეტერბურგში მცხოვრებ ქართველოლოგ აკადემიკოს მ. ბროსესათვის შეუთვლია მოენახა ეს წერილები და მისი ასლები გამოეგზავნა თბილისში.

მ. ბროსეს რაფიელ ერისთავის თხოვნა შეუსრულებია, ეს მასალები მართლაც უპოვნია მოსკოვის არქივში. აღნიშნული წერილების ასლები გადმოუღია და 1849 წელს გამოუგზავნია თბილისში რაფიელ ერისთავისათვის.

რაფიელ ერისთავის მიერ მოპოვებული ის ორი დოკუმენტი, რომლითაც თუშ-ფშავ-ხევსურეთის მოსახლეობამ რუსეთის მეფეს მიმართა ქართლ-კახეთის სამეფოს დახმარების თხოვნით, ჯერ რაფიელმა გამოაქვეყნა რუსულ ენაზე გაზეთ „კავკაზში“ (1854 წ.), შემდეგ მანვე შეიტანა 1855 წელს კავკასიის გეოგრაფიული საზოგადოების მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომში, ხოლო 1863 წელს დოკუმენტები ქართულ ენაზე პირველად გამოაქვეყნა დიმიტრი ფურცელაძემ სახელმძღვანელო წიგნში _ ***„ქართული ანბანი და წიგნი საკითხავი მდაბიო ხალხთათვის, , შედგენილი დ. ფურცელაძის მიერ, ტფილისი, ნამესტნიკის სტამბა, 1863.“.***

ამ დოკუმენტებს ჰქონდა და აქვს წყაროს მნიშვნელობა საქართველო-რუსეთის ურთიერთობის მკვლევართათვის. დოკუმენტებში ჩანს ის აზრი, რომ საქართველოს ამ მთიან მხარეს

(თუშეთს, ფშავს და ხევსურეთს) უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, ქართველი ხალხის დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. სტრატეგიული სამეთვალყურეო პუნქტები, რომლებიც მრავლად იყო განლაგებული ამ ტერიტორიაზე, უზრუნველ-ყოფდა საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრებს მტრის თავდასხმისაგან.

დიმიტრი ფურცელაძის მიერ დოკუმენტის ქართული ვარიანტის გამოქვეყნება ნიშნავდა კიდევ ერთხელ ქართული საზოგადოების მიერ ერთგულების გამოხატვას იმპერიისადმი და იმის ჩვენებას, რომ საქართველო და ქართველი ხალხი, მისი ყველა წარმომადგენელი ოდითგანვე მიისწრაფვოდა ჩრდილოელ ძლიერ მეზობელთან „საუკუნო კავშირისკენ“.

წერილი საქართველოს კათოლიკოზის ნიკოლოზისა, რუსეთის პატრიარქის იოაკიმესადმი ჩქპზ-სა (1637) წელსა.

დიდო მღვდელმთავარო იოაკიმ

ეჰა, რომლისა მიერ იქმნეს ყოველნი დაბადებულნი ხილულნი თუ უხილავნი, რომელი იპყრობს და მართებს ცასა და ქვეყანასა, ხილულთა და უხილავთა, რომელმან დაუდვა ზღვასა წესი, რათა არა გარდახდეს საზღვარსა თვისსა, რომლისა ბრძანებითა შეიძურიან მთანი მაღალნი და საფუძველნი ქვეყნისანი, რომლისა ბრძანებით ნათობს მზე დღისი და ღამე შუქმფენობს მთოვარე,, რომელსა შიშით და ძრწოლით აქებენ ანგელოზნი და მთავარ-ანგელოზნი. დიდება, მადლი და თაყვანის-ცემა მამასა უშობელსა, ძესა მამისაგან მხოლოდ შობილსა და სულსა მამისაგან გამო-სრულსა. განგებულებასა მისსა, მის მიერ მწყემსად პირმეტყველთა გამორჩეულო, მეათცამეტო მოციქულო, და მეხუთე მახარებელო, იესო ქრისტეს მიერ, ვითარცა ძმა უფლისა იაკობ მის მსგავსად კურთხევის მიმღებელო, ბასილსი კესარიელის-ებრ უმანკოდ მქცევო, იოანე ოქრო-პირისებრ, ღვთის მიერ საკუთრად გამორჩეულო, ნიკოლოოზ მირონ ქალაქისებრ უბრალოთა სიკვდილისა დამ-ხსნელო, ქრისტეს რჯულის დამამტკიცებელ-დამამყარებელო, მონასტერთა და ეკკლესიათა შემ-კობით განმაშვენებელო, ხატთა და ჯვართა ურიცხვთა სურვილით შემამკობელო,, გლახათა და უპოვართა დიდოდ სიმდიდრეო, მეორე პავლე ქადაგო ჭეშმარიტებისაო. შენ სვეტო შეურყეველო სიმტკიცისაო, მსგავსად ნაშობთა უმეტესისა მქადაგებელო სინანულისა, ყოველთა ქრისტიანე-თაგან საქებელ-სადიდებელო, შენ დიდისა და ცოტას და თეთრის რუსეთის და ყოვლისა ჩრდი-ლოეთისა მწყემსო კეთილო, რომელსა მგელნი ბოროტნი ვერ განრყვნიან, შენ წმინდაო და პატიოსანო, შენ ნერგო ყვავილ გარდაფენილო, შენ წყარო მადინებელო წყლისა ცხოველისაო, შენ სანთელო დაუშრეტელო, რომელი ნათობ ერსა დიდსა და ცოტასა, თეთრი რუსეთისა და ყოვლისა ჩრდილოეთისასა, შენ, რომელსა პატივ-გცემენ დიდნი მეფენი, დიდნი ხელმწიფენი, დიდნი კნიაზნი ივანე ალექსის შვილი, პეტრე ალექსის შვილი, და სული დიდისა და ცოტასა და თეთრისა აღმოსავლეთის, დასავლეთისა და ჩრდილოეთისა, მამით პაპამდე თვით-მპყრობელთ ხელმწიფეთ ტახტსა ქვეყანისა და საბატონოს განმანათლებელო; უფალო, უფალო, პატრიარქო, ბატონო იოაკიმ, დიდისა საქართველოსა მაკურთხეველი, ქართლისა, კახეთისა, სამცხისა-საათაბაგოსა მწყემსთა და საჭეთ მპყრობელო დედა ქალაქისა მცხეთისა , რომელსა შინა მკვიდრ არს კუართი უფლისა ჩვენისა და ხალენი ელიასი, კათალიკოზი ნიკოლოზ, სურვილით და სიყვარულით მოგიკითხავ, შენ კაცო ზეცისა და ანგელოზთ ქვეყნისაო, სადგურო და სავანეო სულისა წმინდისაო, ღვთისაგან შეყვარებულო და მის მიერვე ლოცვა თქვენ მიერ კურთხევა იყოს ჩვენ ზედა ჩვენ მიერ მოწლედ ამბორები ურთიერთის და მარჯვენასა ზედა შემოხვევის ნეტარება მოგვიხსენებია;. მერმე, ჩვენი ქვეყანა და ჩვენნი ქრისტიანენი და საყდარნი და მონასტერნი დიაღ ძალდამართებული შეიქმნა უსჯულოთა აგარიანთა ხელისაგან და მრავალი უწესური და ავი საქმე ჩვენის რჯულისა, ვერ დაითმინა და არც ამას უსჯულოს ბრძანებას დაემონა და მომართა დიდსა მეფესა, დიდს კნიაზსა თეოდორე ალექსის შვილსა, დიდისა და ცოტას, თეთრის რუსეთის მამით პაპით მპყრობელსა, და მისის დიდის იმედით და ზურგით წამოვიდა ბატონი მეფე არჩილ ვახტანგის შვილი იმერეთისა და კახეთისა. ხელმწიფე თეოდორე ალექსის შვილს სოფელმან აღარ დააცალა და მეუფემ

სასუფეველში მისცვალა, აწე, რადგან იმისივე ბრძანება და იმედი ჰქონდა და დაებარებინა მომართა თქვენს დიდს ხელმწიფეთ, დიდს მეფეთ, დიდს კნიაზთ, ივანე ალექსის შვილთ, პეტრე ალექსის შვილთ და სრულიად დიდისა და ცოტას და თეთრის რუსეთის მამით და პაპით მპყრობელთ აწე მოვიდა და მობძანდა თქვენგან კურთხეულსა და თქვენის მადლით კეთილად დამწესულს, თქვენის მაღალი ხელმწიფეთ ტახტსა და საბატონოზე და რომელიც თქვენს ანგელოზთა მიმსგავსებულს თავს და თქვენს პატიოსნებასა და ღირსებასა ეკადრების პატივით შეწყნარება და ნუგეშინის ცემა გიქნიათ მაგაზე ჯერ ღმერთი დაგიმადლებთ რომე უსჯულოთაგან ძალ-დამართებული ხელმწიფე არის იმერეთისა და კახეთისა, მართლ-მადიდებელი მეფე, ბატონი არჩილ ვახტანგის შვილი შემწე შემწე ვყავ ვითარცა შემწე ეყო უფალი იაკობს. უცხოებასა შინა შემწე ვყავ ვითარცა დამბადებელი დავითის გოლიათისა ზედა. შემწე ვყავ ვითარცა უფალი ჩვენი იესო ქრისტე თავსა მოციქულთასა პეტრეს, რომელი არა დაუტევა ბრალთაგან დანათქმად. სოლომონ ბრძანებს ბრძენთან ერთი სიტყვა კმა არისო. აწე ჩვენ მრავალ სიტყვათ ამას გევედრებით და გეხვეწებით, რომელიც სჯობდეს და ქრისტიანობას მოუხდებოდეს, იმისთანა მამაშვილური საქმე მოუხდინეთ, რომ ეს ჩვენი ქვეყანად და ქრისტიანობა, მონასტერი და საყდარი, ხატი, ჯვარი ურჯულოთ ავარიანთაგან დასატაცები და წასახდენი არ შეიქმნას. შენს მეუფესა დაამადლე და შენის პატიოსნებისა და ღირსების მსგავსი საქმე მოუხდინე, რომ ამისგან უფრო ჩვენს ქვეყანას უსჯულომ ძალი და ავი საქმე არ გვიყოს და სჯული არ დაგვიკნინონ; თავად ეგ მართლ-მადიდებელი მეფე, ბატონი არჩილ ვახტანგის შვილი, თქვენის მადლის მონდობილი თქვენი სულიერი შვილი არის და მერმე მართლ-მორწმუნე და მართლ-მადიდებელი მეფე ბატონი გიორგი ვახტანგის შვილი, ბატონი ქართლისა, ბატონი სამცხე-საათაბაგოსა, ბატონი ლორესა და სომხითისა; თქვენ იცით და თქვენმა დიდმა, პატიოსანმა თავმა რასაც მაგასა და ამაზე და მაგის ქვეყნებსა და ამას ქვეყნებს ქრისტიანობას სჯულს ზურგსა და იმედს მისცემ და ამისგან უფრო ამთონი გაურჯულოებასა და დაკარგვას მოარჩენთ და დაიხსნით ბაძვას ჩვენს სიტყვას არქიმანდრიტი, პაპა ლავრენტი მოგახსენებს, მეუფეთა ადამს აქეთ შვიდას ათთუალისს იგი.ას ოთხმოცდათხუთმეტსა, თვესსა...

საქართველოს ისტორიის გამორჩეული ადგილები დიმიტრი ფურცელაძის მიერ შედგენილ სახელმძღვანელოში

დიმიტრი ფურცელაძის მიერ 1863 წელს შედგენილ სახელმძღვანელოში შეტანილია „ქართლის ცხოვრებიდან“ რამდენიმე ისტორიული ქრონიკა. ერთი ეხება ვახტანგ გორგასლის ლაშქრობას ინდოეთში. ესაა ნაწყვეტები „ქართლის ცხოვრებიდან: „აქა ვახტანგ გორგასლანისაგან სპარსთა მეფის შველა ჰინდოთა, სინდელთა, ბაშთა და ჯორჯანთა ზედა და ყოველთა ზე გამარჯვება ვახტანგისაგან“;

შესვლა ჰინდოეთს ვახტანგ მეფის გორგასლისაგან და გამარჯვება მათ ზედა“; „შესვლა სინდეთს ვახტანგ გორგასლისაგან და გამარჯვება“(74-87);

შემდეგ ავტორი გადმოდის გვიან შუა საუკუნეების ეპოქაზე და აღწერს შაჰ თამაზის ლაშქრობებს საქართველოში. მეორე თავი შაჰ-თამაზის თბილისში შემოსვლასა და ყიზილბაშობის უმძიმეს ხანას (გვ. 87-97). ერთს გამარჯვების რწმენა და ჰეროიკული განცდების გამოწვევა შეეძლო, მეორეს კი დამარცხებული და განადგურებული ქვეყნის მრავალმხრივი პრობლემების ჩვენება. ეს ორი საწინააღმდეგო სურათი მეთოდურად იყო შერჩეული სახელმძღვანელოს ავტორი ისტორიკოსის მიერ, რათა მეტად ეჩვენებინა საქართველოს ისტორიული წარსულის კონტრასტები, ბრძოლა გადარჩენისათვის და მოპოვებული წარმატებებით აღტაცება თუ განცდილი მარცხით ნაწვნევი სიმწარე.

სახელმძღვანელოს მომდევნო თავი ეძღვნება განყოფილებას - „ცხოვრებანი“. აქ პირველი მასალა დავით აღმასენებლის ცხოვრებისადმია მიძღვნილი, თავს ჰქვია: ცხოვრება მეფის დავითისა, აღმაშენებლად წოდებულისა“ (გვ. 98-115). ჩანს, რომ ტექსტი თავისებურად არის მეტაფრაზირებული. ავტორი ურთავს განმარტებებს, რომელსაც თავად თვლის საჭიროდ.

მაგალითად: როდესაც წერს, რომ დავითმა მოიყვანა „სანატრელი და ყოვლად განთქმული სიკეთითა გურანდუხტ დედოფალი, შვილი ყივჩაყთა უმთავრესისა ათრაქა შარაღანის ძისა, სჯულიერად მეუღლედ თვისად და დედოფლად ყოვლისა საქართველოსა“ - სიტყვა ყივჩაყს - სქოლიოში შენიშვნას ურთავს - ესე იგი აწინდელთა ჩერქეზთაო. ჩერქეზებთან ყივჩაღების გაიგივება ამ დრომდე სხვა ისტორიკოსებთან არ შეგვხვედრია. ჩანს, დიმიტრი ფურცელაძეს ჰქონდა ეს შეხედულება.

ამავე განყოფილებაში დავითის ცხოვრებას მოსდევს ცხოვრება თამარ მეფისა. (გვ115-125). ფურცელაძის თამარის ცხოვრებიდან განსაკუთრებული ადგილები აქვს გამორჩეული, რომელიც მიუთითებს ამ მეფის დიდებულებაზე, ღვთისმოსაობაზე, სახელმწიფოს შენების ნიჭზე, სადაც ის თავისი სიდიადითა და სარწმუნოებრივი სიმტკიცით ისეთ დიდ მეფეებს არის შედარებული, როგორიც კონსტანტინე დიდია.

ასეთია ისტორიული ნაწილი იმ სახელმძღვანელო წიგნისა, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო დაწერილი სრულყოფილი წიგნი საქართველოს ისტორიაში, ბევრი წერილობითი საბუთი და მათ შორის „ქართლის ცხოვრების“ მნიშვნელოვანი ნუსხებიც კი არ იყო აღმოჩენილი. ეს იყო პერიოდი, როდესაც ილია ჭავჭავაძე „საქართველოს მოამბეს“ აარსებდა და საქართველოს ისტორიის ახლებური წარმოჩენით ერის გამოფხიზლებას, მის მომავალზე ორიენტირებას აპირებდა და წარსულის დიდებულ საუკუნეთა მსგავსი ოპტიმიზმით ქართველთა მომავლისკენ სიარულის სწავლებას გეგმავდა. სახელმძღვანელოში შეტანილი ისტორიულ თემაზე შექმნილი ტექსტები ამ დროს დიდ აღმზრდელობით საქმეს აკეთებდა: ასწავლიდა და აინტერესებდა ახალგაზრდა თაობას ქვეყნის წარსულით, ხელს უწყობდა მის ჩართვას ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ახალ მდინარებაში.

წიგნის მესამე განყოფილება ეთმობა ბუნებას, აქ მიმდინარე მოვლენებს, უფრო მეტად ავტორი მოვლენის გარეგნულ სახეს აღწერს და ხშირად ვერ ხსნის ამ მოვლენის მეცნიერულ მიზეზებს. მაგალითად: პარაგრაფი ა. ჰაერისათვის. ავტორის სვამს კითხვას: რა არის ჰაერი? პასუხობს, რომ ის არის „ფრიად თხელი და წმინდა ნივთი, რომელსაცა ჩუენ, დროსა სულთქმისა ჩუენისასა, თვის შორის მივიღებთ და კუალად განვუტევებთ“.

მეორე კითხვას ჰაერის შესახებს სვამს ასე: შეუძლია თუა რა სულიერ არსებას უჰაეროდ სიცოცხლე. პასუხია, რომ არას ღონის ძიებითა, იგინი მოკუდებიან, ოდესცა მოაკლდებიან ჰაერსა. მაგალითი: თევზნი, მყვარნი და სხვანი წყლისა ცხოველნი. ასევე არის დასმული კითხვები ღრუბლების, ნისლების, წვიმის ცისარტყელის, სეტყვის, ელვის, ქუხილის, ცისათვის, და ზოგადად ქვეყნისათვის. მართალია, კითხვები ძალზე პრიმიტიულია, მაგრამ სასკოლო ასაკის მოზარდებისათვის მთავარი ინფორმაციის მიწოდებას მაინც ცდილობს. . ამ შემთხვევაშიც, სადაც უცხო ტერმინია, ახსნილი აქვს ავტორს. მაგ., მილი უდრის შვიდ ვერსს. მეოთხე განყოფილებაში შესულია საეკლესიო -სამოქალაქო სჯულნი ანუ წესები და კანონები, რომელსაც უნდა ასრულებდნენ როგორც საეკლესიო, ისე სამოქალაქო პირები. V განყოფილებაში შესულია„ სიმღერა“. წარმოდგენილია ერთი სიმღერა, როგორც ჩანს, ამ დროისთვის პოპულარული, მუხამბაზისებური. ამავე განყოფილებაში შედის „ლექს-თხზულებანი წიგნისაგან ჩახრუხაძისა“, „წიგნისაგან შავთელისა“. „დავით აღმაშენებელისა“, რაც წარმოადგენს ცნობილ ეპიტაფიას, რომელიც არსენი ბერს მიეწერბა. („ვინ ნაჭარმაგევს მეფენი“...), თამარ მეფისა:

„უბის ავაგე საყდარი, უწყლოსა წყალი ვადინე,
ისპაანს დავსდე ბეგარა, სტამბოლს ხარაჯა ავიღე,
თეთრ ზღვაში რკინა ჩავაგდე, ხმელეთი ჩემსკენ მოვიგდე,
ამდენის საქმის მომქმედმან ცხრა ადლი ტილო წავიღე“.

იმავე მეხუთე განყოფილებაში შესულია პროზა, სადაც ასეთის სათაურით გვხვდება მსჯელობა: „მკითხველისათვის სიტყვა, ვითარმედ რაისათვის იქმნა შეკრება საქართველოს

მატიანესა“. ამ ნაწილში ნათქვამია, რომ ფილოსოფოსთათა წიგნები აგვავსებენ სიბრძნით, გვასწავლიან, შეგვაცნობინებენ ცხოვრებას, გვაახლოებენ უფალთან. „მხოლო მატიანე მოგვუახსენებს ქმნულებასა და ყოფათა მეფეთა, მთავართა და დიდებულთა, ვიდრე მცირედმდე, ვითარებათა მათთა, განგვაშორებს ბოროტსა, და შეგვრთავს კეთილსა.“

ეს ნაწილი ვახუშტი ბატონიშვილის ნააზრევიდანაა ამოღებული, თუმცა, ავტორი ახსენებს იოანე დამასკელს, პლინიუსს, ციცერონსა და სხვებს, ვახუშტის კი - არა. „მატიანე განარჩევს კეთილსა და ბოროტსა, მატიანე აღამაღლებს კეთილისა ქმნულებას და ჰგმობს უკეთურთა ქმნულებასა. მატიანე მეტყველებს ჭეშმარიტსა და არა სცბის, და მოწმობს სხუატა და სხუათა. მატიანე განამხნობს კაცსა და ერთგულ ჰყოფს ქუეყანისად. მატიანე აცნობებს ნათესავთ შთამომავლობასა და დასდებს თავსა სარწმუნოებისათვის და მოყუარულ ჰყოფს მოყუასსა მოყუასის მიმართ“.

VI განყოფილება ეთმობა ლოცვანს. აქ ძირიდადად სახარებიდან ამოღებული ლოცვებია შესული: დილის ლოცვები, მამაო ჩვენო, სწავლის წინ და შემდგომ წარმოსათქმელი ლოცვები, სარწმუნოების სიმბოლო - მრწამსი, ათი მცნება, „ლოცვები შემდგომად ძილით აღდგომისა და ლოცვა ძილად მისვლისა“.

ამას მოსდევს მეექვსე განყოფილების ბ პარაგრაფი - ქადაგებების ნაწილი, სადაც მოწაფეებს აცნობენ ქუთაისის ეპისკოპოსის გაბრიელის ქადაგებებს...განყოფილების გ - ნაწილში წარმოდგენილია - მოთხრობანი საღმრთო ისტორიიდან, სადაც პირველ ნიმუშად მოწაფეებს ეძლევათ იოსების ცხოვრება, „იაკობის ძეთა მეშურნეობა და ზაკვა იოსებ მშვენიერსა ზედა“ (გვ 166).

საკმაოდ ვრცელი მასალაა წარმოდგენილი იოსების ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოდზე, ავტორის მიერ ის მიჩნეულია ყველაზე უფრო საინტერესო ტექსტად ახალგაზრდებისთვის რწმენისა და მორალის ჩანერგვის მიზნით. ასევე მოზრდილი მასალა მიეწოდებათ აღსაზრდელებს ესთერის ცხოვრებიდან. ამ ბიბლიური სიუჟეტებით ხდებოდა სამოქალაქო კერძო თუ სახაზინო სკოლებში მოწაფეთა სულიერი და გონებრივი აღზრდა.

სახელმძღვანელო დატვირთულია როგორც ახალი, ისე .ძველი აღთქმიდან ამოღებული მასალებით .

საინტერესო წიგნის ის გვერდები, მეექვსე განყოგილების დ ქვეთავი - „სასარგებლო სწავლანი წიგნისაგან სიბრძნისა ზირაქისა“; ქვეთავი ე. უკვე „ახალი აღთქმიდან“ - „ქადაგება იესო ქრისტესი მთასა ზედა“. „ვ“ ქვეთავში შესულია „იგავნი იესო ქრისტესი“, ნაწყვეტები ლუკას სახარებიდან, ქვეთავი „ზ“ წარმოდგენილია „საეკლესიო ისტორიული მოთხრობანით“. მასში გადმოცემულია წმინდა ნინოს მიერ ქართლის გაქრისტიანებისა და წმინდა მეფე-დედოფლის - მირიანისა და ნანას გაქრისტიენების საკმაოდ ვრცელი და პერიფრაზირებული ამბავი „მოქცევაი ქართლისაიდან“. -

მეორე საეკლესიო-ისტორიულ ამბად სახელმძღვანელოში შესულია ამბავი „ღვაწლთა და ვნებათა წმიდისა დიდისა მოწამისა დედოფლისა ქეთევანისა“. ამბავი გრძელია, ის მოიცავს არა მარტო ქეთევან დედოფლის ღვაწლისა და წამების აღწერას, არამედ მეფე თეიმურაზის ურთიერთობას სპარსეთის შაჰთან, მის ტრაგედიასაც დედისა და ვაჟების ბედის გამო. გადმოსცემს საქართველოს ტრაგედიას და მისი ერთი წმინდა ასულის თვგანწირვას, სულიერ სიმტკიცეს, რაც საუკეთესო მაგალითად უნდა ქცეულიყო 60-იანი წლების დასაწყისში მცხოვრები ქართველი ახალგაზრდობისათვის.

ამ განცდას კიდევ უფრო ამძაფრებს მომდევნო თავი - „ღვაწლი წმინდისა და სანატრელისა მოწამისა და მეფისა ლუარსაბისა. რომელიც იწამა შაჰაბას უსჯულოსა მიერ სპარსთა მეფისა“.

ამრიგად: დიმიტრი ფურცელაძის მიერ შედგენილი და 1863 წელს დაბეჭდილი წიგნი ბევრი სახის ცოდნას აძლევდა მოწაფეს, ასწავლიდა არა მარტო წერა-კითხვას, მათემატიკას, სიგრძისა და მანძილის გაზომვას, ზომა-წონის ერთეულებს, არამედ უფრო ღრმა ცოდნასაც აძლევდა. არკვევდა მეცნიერულ მიღწევებში, ესაუბრებოდა ბუნების მოვლენებზე, საეკლესიო და სამოქალაქო სჯულზე,

ასწავლიდა ძველ სალიტერატურო თხზულებებს - იოანე შავთელს, ჩახრუხაძეს, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის საგალობლებსა და იამბიკოებს, ლოცვებს, ქადაგებებს და სხვ. ამ დროის სახელმძღვანელოებსა და განათლების სისტემის დაწესებულებებს თუ გავიხსენებთ, ამ წიგნს უთუოდ ღრმა შინაარსი და მეთოდური დანიშნულება ჰქონდა.

გამოყენებული ლიტერატურა*:*

1. *ბარათოვი 1865,* С. Баратов, История Грузии средних векоа. С. П.
2. *დუმბაძე 1950::43* მამია დუმბაძე, ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1950;
3. *„ივერია“, 1886, №112,* გაზეთი „ივერია“, 1886, *№* 112.
4. *იოსელიანი, 1843,* П. Иоселиани, Краткая История Грузинской церкви, Санкт-Петербург.
5. *მათითაშვილი 2013-2014:81-87,* შოთა მათითაშვილი, დიმიტრი ფურცელაძე ახალი საეკლესიო ისტორიოგრაფიის სათავეებთან, ქართული წყაროთმცოდნეობა XV-XVI, 2013-2014;
6. *მამაიაშვილი ,* ნ. მამაიაშვილი ქალაქი ჭერემი, თბილისი, 2004;
7. *მუმლაძე 2007,133-149* მარიამ მუმლაძე, კახეთის არქეოლოგიური კვლევა-ძიების ისტორიისათვის, ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური ინსტიტუტის კრებული, 2007;
8. *სცსა, 480, 1-155,* საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, აღწერა 1, საქმე 155.
9. *ფურცელაძე 1880, №324, გვ. 2,* Пурцедадзе Д. Старый город Череми, Кавказь, 1880, № 324.
10. *ფურცელაძე 1882-502* Пурцедадзе Д., Раскопки в Сигнагском уезде - Протоколь десятаго заседания Тифлисскаго предварительнаго комитета 12 мая 1881 года - Пятый археологический съездьв Тифлис, I, Трудй предпарительных комитетов, Москва, *1882.*
11. *ფურცელაძე 1863,* დიმიტრი ფურცელაძე,„ქართული ანბანი და წიგნი საკითხავი მდაბიო ხალხთათვის, , შედგენილი დ. ფურცელაძის მიერ, ტფილისი, ნამესტნიკის სტამბა, 1863.“
12. *შარაბიძე. კუჭუხიძე. ჭუმბურიძე 2023,* _თამარ შარაბიძე. გოჩა კუჭუხიძე, დოდო ჭუმბურიძე, ცენზორის ინსტიტუტი XIX საუკუნის 50-70-იანი წლების ქართული გამოცდილების კონტექსტში“, ჟ. „სჯანი“, 2023.
13. *ჭილაშვილი* ლ. ჭილაშვილი ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, ტომი 2. თბილისი, 1970.

Historical-folkloric and written sources in the textbook compiled by Dimitri Furtseladze in 1863

Dodo Chumburidze

Professor of theUniversity of Georgia

Chief Researcher of the Tamaz Beradze Institute of Kartvelology

Summer: In the second half of the 19th century, a new opportunity arose for the in-depth development of Georgian historical thought. During this period, Kartvelology was formed as a scientific field as a result of the tireless work of famous Kartevologists like Teimuraz Bagrationi, Mari Brose, Davit Chubinashvili, Aleksandre Tsagareli and others. This group was followed by Niko Mari and his pupils, who succeeded to stir up the interest of European scholars in a branch of Orientalism, the history of Eastern Christianity. In this direction, the study of the history of Georgian Christianity became an urgent topic, and the European researchers like Saint-Martin and Claprot contributed a lot to this work.

Dimitri Purtseladze has made a certain contribution to the study of the history of the Georgian Church and the collection and processing of church sources. He was the first to excavate and study some

archaeological monuments in Kakheti, was a prominent public figure, and participated in the implementation of national affairs. He was also the chairman of the Caucasus Censorship Committee for several years and used this position mainly to help the newly emerging Georgian democratic press to avoid the strict censorship policy of the imperial government. Among the works of Dimitri Purtseladze, the most noteworthy are: "Georgian church vessels", "Cultural vessels", "Rural vessels", "The main needs and requirements of Kakheti", "Description of Bodbe monastery", "Holidays of the Church of Georgia", "Testament of Catholikos Anton ", "Georgian Criminal Code according to the law of King Vakhtang " and others.

His almost forgotten, scientific achievements have been highlighted again in recent years' historical studies. We also tried to present at least partially the merits of this interesting historian and public figure, his contribution to the development of Georgian historical thought.

დეკაბრისტების კავკასიური ისტორიები

თსუ-ს პროფესორი დალი კანდელაკი

აბსტრაქტი: სტატიაში განხილულია ორი რუსი დეკაბრისტის - პ. მუხანოვისა და ე. ლაჩინოვის - ჩანაწერები მე-19 საუკუნის 20-იანი წლების კავკასიის შესახებ.

პეტრე ალექსანდრეს ძე მუხანოვი (1799 - 1854) თანამედროვეებისთვის ცნობილი იყო, როგორც მწერალი, სამხედრო ისტორიკოსი და დეკაბრისტი. მისი მოთხრობები, სამოგზაურო ნარკვევები და სტატიები სამხედრო ისტორიის შესახებ ხშირად იბეჭდებოდა მაშინდელ ჟურნალებსა და ლიტერატურულ ალმანახებში. ჟურნალში - „მოსკოვსკი ტელეგრაფ“ - 1825-1826 წლებში, გამოქვეყნდა პ. მუხანოვის კავკასიური სამოგზაურო ჩანაწერებიდან - „მოგზაურობა საქართველოსა და ყარაბაღში“ - სამი ნარკვევი: „განჯის აღება (წერილი რ-სთან***)“, „წითელი ხიდი. მოგონებები გილდენშტედტის შესახებ (წერილი რ-სთან***)“ და „ელიზავეტპოლის ველი (წერილი საქართველოდან)“. რუსი მწერალი 1825 წლის მაისში ჩამოვიდა საქართველოში; კავკასიიდან გამგზავრების ზუსტი თარიღი უცნობია, თუმცა ნოემბრის მეორე ნახევარში ის უკვე მოსკოვშია და დეკემბერში აჯანყებაში იღებს მონაწილეობას. მწერალი მიესალმება თავისი ქვეყნის კავკასიურ პოლიტიკურ კურსს. ის აღფრთოვანებულია თანამემამულეების წარმოებული ბრძოლებით.

ევდოკიმ ემელიანეს ძე ლაჩინოვი (1799-1875) კავკასიაში ორჯერ იმყოფებოდა. 1816-1817 წლებში ალექსეი პეტრეს ძე ერმოლოვის ელჩობას ახლდა ირანში, ხოლო 1827 წლის დასაწყისში, დეკაბრისტების აჯანყების შემდეგ, მიესაჯა სასჯელი და ჯარისკაცად ჩამოქვეითებული კავკასიის მოქმედ არმიაში გაიგზავნა. მნიშვნელოვანია მის ისტორიულ ნარკვევში - „აღსარება“ - არსებული ცნობები მე-19 საუკუნის 20-იანი წლების რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის, ასევე ჩრდილო კავკასიაში რუსეთის წარმოებული ომის შესახებ. ის იყო ამ ომების მონაწილე და თვითმხილველი.

საკვანძო სიტყვები: დეკაბრისტები, კავკასია, საქართველო, პეტრე მუხანოვი, ევდოკიმ ლაჩინოვი.

სტატიაში განხილულია ორი რუსი დეკაბრისტის - პეტრე ალექსანდრეს ძე მუხანოვის (1799 - 1854) და ევდოკიმ ემელიანეს ძე ლაჩინოვის (1799-1875) - ჩანაწერები XIX საუკუნის 20-იანი წლების კავკასიის შესახებ. პირველმა დეკაბრისტების აჯანყებამდე კავკასიაში რამდენიმე თვე იმოგზაურა, ხოლო მეორე - „თბილ ციმბირში“ სასჯელის მოსახდელად, კავკასიის ომში მონაწილეობისთვის გაგზავნეს.

პეტრე ალექსანდრეს ძე მუხანოვი - რუსი მწერალი, ისტორიკოსი, დეკაბრისტი, იზმაილოვსკის პოლკის ლეიბ-გარდიის შტაბს-კაპიტანი, წარმოშობით დიდგვაროვანთა ოჯახიდან იყო. იგი თავისი თანამედროვეებისთვის ცნობილი იყო, როგორც მწერალი და სამხედრო ისტორიკოსი. იყო დეკაბრისტული მოძრაობის ერთ-ერთი გამორჩეულთაგანი, თუმცა არა მთავარი ფიგურა. მას მიესაჯა 15-წლიანი საკატორღო სამუშაოები (კატორღაში თითქმის 5 წელი იყო), ხოლო შემდეგ სიცოცხლის ბოლომდე ციმბირში გადასახლება. მისი მოთხრობები, სამოგზაურო ნარკვევები და სტატიები სამხედრო ისტორიის შესახებ ხშირად იბეჭდებოდა რუსეთის მაშინდელ ჟურნალებსა და ლიტერატურულ ალმანახებში.

პ. მუხანოვის, 1824 წლის ივნისის ბოლოს, დასთან - ეკატერინა მუხანოვასთან - გაგზავნილი წერილიდან იკითხება მისი მოსაზრებები საქართველოს შესახებ: „საქართველო რუსეთის პროვინციაა და არაა აფრიკის. საქართველოს კლიმატი იტალიის კლიმატს ჰგავს... საქართველო კოლხეთის ეგოა, საიდანაც ოქროს საწმისი არის მოტანილი.“[1] 1825 წლის მაისში ის ჩამოვიდა საქართველოში, სადაც სამსახურის დაწყება სურდა ადიუტანტად კავკასიის მთავარმართებელ ალექსი

[1] Муханов П. А. Материалы для биографии. Памяти декабристов. Сборник материалов. Ленинград. 1926. http://az.lib.ru/m/muhanow_p_a/text_1854_materialy_oldorfo.shtml

პეტრეს ძე ერმოლოვთან[2], თუმცა მას უარი ეთქვა. მან შეძლო სამხედრო სამსახურიდან შვებულება მიეღო და დეიდასთან, სოფია ალექსანდრეს ასულ მადათოვთან[3] ყარაბაღში გამგზავრებულიყო. მწერლის კავკასიიდან გამგზავრების ზუსტი თარიღი უცნობია, თუმცა ოქტომბრის შუა რიცხვებში კისლოვოდსკში გაემართა, ხოლო ნოემბრის მეორე ნახევარში ის უკვე მოსკოვშია.

პ. მუხანოვი იყო იმ პერიოდის რუსეთში პროგრესული ჟურნალის - „მოსკოვსკი ტელეგრაფის“[4] - მუდმივი თანამშრომელი. ამ ჟურნალში, 1825-1826 წლებში, გამოქვეყნდა მისი კავკასიური სამოგზაურო ჩანაწერებიდან - „მოგზაურობა საქართველოსა და ყარაბაღში“ - სამი ნარკვევი: 1) „განჯის აღება (წერილი რ-სთან***)“[5], 2) „წითელი ხიდი. მოგონებები გილდენშტედტის შესახებ (წერილი რ-სთან***)“[6], 3) „ელიზავეტპოლის ველი (წერილი საქართველოდან)“.[7] რუს მწერალს თავისი სამოგზაურო ჩანაწერებით სურდა გაეღვიძებინა მეცნიერთა ინტერესი კავკასიის სრულიად შეუსწავლელი კუთხეების მიმართ. ერთ-ერთ ნარკვევში წერდა: „კავკასია ისევე ნაკლებად არის ათვისებული, როგორც აფრიკის შიგა მხარეები... ის ელოდება ჰუმბოლდტს - პროტეუსს კვლევის სფეროში“[8].

ნარკვევი - „განჯის აღება“ - ძირითადად თვითმხილველის, ვალერიან გრიგორის ძე მადათოვის[9], მონაყოლის საფუძველზეა დაწერილი. ის სამხედრო გასეირნებას უწოდებს პეტრე დიდიდან პავლე ციციანოვამდე რეგიონის შემოერთებისთვის რუსეთის მიერ წარმოებულ ბრძოლებს. „თავადი ციციანოვი იყო დამპყრობი: მან გაანადგურა აღმოსავლეთის მბრძანებელთა დიდება. მისმა ჯარმა არაერთხელ გადმოლახა კავკასიის მწვერვალები და მებრძოლი მთიელების სისხლის შხეფებით შეღება მისი მრავალსაუკუნოვანი კლდეები... როგორც სიკვდილის მაცნეს, როგორც ღვთის რისხვას ელოდნენ ციციანოვს“[10]. დაწვრილებითაა გადმოცემული განჯის აღების ისტორია, რომელშიც მწერალი სათანადოდ აღნიშნავს როგორც რუსების, ისე განჯელების განწყობას და ბრძოლისუნარიანობას. საუბრობს ასევე რუსების მიერ მოპოვებულ ნადავლზე; რუსებისათვის განჯის, როგორც სპარსეთის ჩრდილოეთის პროვინციების გასაღების, მნიშვნელობასა და ქალაქის სახელის ცვლილებაზე, რომელსაც ციციანოვმა ელიზავეტპოლი უწოდა. თხზულების - „განჯის აღება“ - სქოლიოში, ჟურნალის რედაქტორი უთითებს, რომ ნარკვევი ხელნაწერიდან - „მოგზაურობა საქართველოსა და ყარაბაღში“ ნაწყვეტს წარმოადგენს [11].

---

[2] ალექსი პეტრეს ძე ერმოლოვი (1777 - 1861) - კავკასიის მთავარმართებელი 1816–1827 წლებში. რუსი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე. ინფანტერიისა (1818) და არტილერიის (1837) გენერალი. 1791 წლიდან მსახურობდა არმიაში. 1816 წლიდან იყო „საქართველოს ცალკეული კორპუსის“ (1820 წლიდან - „კავკასიის ცალკეული კორპუსი“) მეთაური, მთავარსარდალი; ასევე იყო საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ირანში.

[3] სოფია ალექსანდრეს ასული მადათოვა (დაბ. საბლუკოვა) - ვალერიან გრიგორის ძე მადათოვის მეუღლე.

[4] „მოსკოვსკი ტელეგრაფ“ (რუს. Московский телеграф) - პირველი ენციკლოპედიური ჟურნალი რუსეთში. გამოსცემდა ნიკოლაი პოლევოი 1825 - 1834 წლებში. ორ კვირაში ერთხელ გამოდიოდა. ჟურნალი შეიცავდა განყოფილებებს მეცნიერებასა და ხელოვნებაზე, ლიტერატურაზე, მოდაზე; იყო ბიბლიოგრაფიისა და კრიტიკის, ასევე ახალი ამბების რუბრიკებიც.

[5] Московский телеграф. Взятие Ганжи (Письмо к Р***). 1825, Ч. V, № 19. С. 242 – 250.

[6] Московский телеграф. Красный мост. Воспоминания о Гильденштедте. (Письмо к Р***). 1825, Ч. VI, № 21. С. 57 – 68.

[7] Московский телеграф. Елисаветпольская долина (Письмо из Грузии). 1826, Ч. VIII, №5, С. 28 - 32.

[8] Муханов П.А. Сочинения и письма. Издание подготовлено Г.В. Чагиним. Иркутск. Восточно-Сибирское книжное издательство. 1991. С. 92.

[9] ვალერიან გრიგორის ძე მადათოვი (1782 - 1829) - სომხური წარმოშობის რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალ-ლეიტენანტი.

[10] Муханов П.А. Сочинения и письма. Издание подготовлено Г.В. Чагиним. Иркутск. Восточно-Сибирское книжное издательство. 1991. С. 98 – 101.

[11] Московский телеграф. 1825, Ч. V, № 19. С. 242.

რედაქტორი მეორე ნარკვევის - „წითელი ხიდი. მოგონებები გილდენშტედტის შესახებ“ - სქოლიოში აღნიშნავს, რომ „დღიურიდან - „მოგზაურობა საქართველოსა და ყარაბაღში“ - ნაწყვეტის ავტორი სიამოვნებით მიიღებს საქართველოს განათლებული მცხოვრებლების შენიშვნებს და თავისი ხელნაწერის გამოქვეყნებისას შეიტანს ცვლილებებს“[12]. ავტორი მკითხველს აცნობს თითქმის 500 წლის წინ აშენებული წითელი ხიდის ისტორიას და იქვე მდებარე ორ ქარავან-სარაის, რომლებიც უკვე გამოუყენებელი იყო. ხიდის შუაში მდებარე კოშკში მისი ყურადღება მიიპყრო ქვის იატაკმა, მოპირკეთების სისუფთავემ, ლამაზმა პლაფონმა და ბუხარმა. პ. მუხანოვი ვარაუდობს, რომ ეს ნახევარწრიული ფორმის ოთახი, სავარაუდოდ, გამოჩენილი მოგზაურებისათვის დასასვენებელ ადგილს წარმოადგენდა, რომლის კედლებსაც სხვადასხვა ენაზე შესრულებული მათი სახელები ჰქონდა შემორჩენილი. მოგზაური ასევე საუბრობს ინგლისელების სპარსეთთან ვაჭრობის შესახებ და აღნიშნავს, რომ ამ მეგობრობის საფარქვეშ ისინი ირანის რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობასაც აკონტროლებდნენ, ხოლო გენერალ ერმოლოვს დავალებული აქვს ამ რეგიონის შემოსავლის დაცვა. სავარაუდოდ, მთავარმართებლის მიმართაა გამოთქმული მოგზაურის ნააზრევი, რომ „მახვილი და კალამი - საშიში იარაღია მცოდნის ხელში“[13]. რუსი მწერლის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა კედელზე წარწერებს შორის იოჰან ანტონ გიულდენშტედტის[14] გვარი აღმოაჩინა, რომელიც წითელ ხიდზე 1772 წლის 25 მაისს ყოფილა. „მისი დამსახურება უზარმაზარია. მან პირველმა გაკვალა გზა მიუწვდომელ კავკასიამდე არეულობის პერიოდში, როცა მთიელები ჯერ კიდევ არ იმალებოდნენ ხეობებში, როცა რუსეთი და სპარსეთი წყვეტდნენ პატარა სამეფოების ბედს, მაგრამ განაჩენი ჯერ კიდევ არ ჰქონდათ გამოტანილი. მას შემდეგ არავინ გაჰყვა მის გაკვალულ გზას... გასაოცარია, რომ ორ ზღვას შორის არსებული სივრცე, უძველეს დროში განთქმული სიტყვაკაზმულობით და ისტორიით, არ იყო მიმზიდველი სწავლულ მეცნიერთათვის... კავკასია უცნობი დარჩა. ის არავინ გამოიკვლია. ის არავინ გაზომა, არავინ არ ეწვია ბუნებით და ისტორიული მოგონებებით მდიდარ ამ მხარეს... კავკასია ძლევამოსილი ადგილია, რომელიც მეცნიერს დიდებას მოუტანს“[15]. მოგზაური საუბრობს იოჰან ანტონ გიულდენშტედტის დამსახურებაზე ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე, მოყავს მეცნიერის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები, მისი მოგზაურობის დეტალები.

ამ ორი ნარკვევის სქოლიოში მოთავსებული შენიშვნის საფუძველზე, უნდა ვიფიქროთ, რომ პეტრე მუხანოვს სურვილი ჰქონდა წიგნად გამოეცა მოგზაურობის ჩანაწერები, მაგრამ დეკაბრისტების აჯანყების ჩახშობის შემდეგ, სასამართლოს განაჩენით ციმბირში გადასახლების გამო, რუსმა ლიტერატორმა ჩანაფიქრი ვერ განახორციელა[16].

ნარკვევში - „ელიზავეტპოლის ველი (წერილი საქართველოდან)“ - ავტორი საუბრობს ამ მხარეში არსებულ გაუსაძლის კლიმატურ პირობებზე, დაცლილ სოფლებზე; აღნიშნავს რუსი მთავარმართებლის - ალექსი ერმოლოვის დამსახურებას, მის მიერ სამხრეთ კავკასიაში სატრანს-

---

[12] Московский телеграф. 1825, Ч. VI, № 21. С. 57.

[13] Муханов П.А. Сочинения и письма. С. 91.

[14] იოჰან ანტონ გიულდენშტედტი - (1745 - 1781) - გერმანელი მეცნიერი, მოგზაური. პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრი (1771), „თავისუფალი ეკონომიური საზოგადოების“ პრეზიდენტი (1780-დან).

[15] Муханов П.А. Сочинения и письма. С. 93 – 95.

[16] ზოგიერთი ქართველი მკვლევარი პ. მუხანოვს კავკასიაში გადმოსახლებულად მიიჩნევს. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ გამოცემულ ენციკლოპედიაში „საქართველო“, სტატიაში „დეკაბრისტები“ (ავტორი ვ. შადური), მკითხველს მიწოდებული აქვს არასწორი ინფორმაცია: „საქართველოში მსახურობდნენ პოეტი ვ. კიუხელბეკერი, ლიტერატორები ე. ლაჩინოვი და პ. მუხანოვი...“ https://georgianencyclopedia.ge/form/3765. ეს მცდარი ცნობა გამეორებულია ქართულენოვან ვიკიპედიაში გამოქვეყნებულ სტატიაშიც „დეკაბრისტთა აჯანყება“.

პორტო მიმოსვლის გასაუმჯობესებლად გატარებულ ღონისძიებებს. მოკლედ მიმოიხილავს შამქორთან არსებულ გერმანულ კოლონიას, რომელიც ვიურტემბერგიდან გადმოსახლებულებმა 1818 წელს დააარსეს. აღნიშნავს, რომ კოლონისტები მიჰყვებიან მიწათმოქმედებას და ხელოსნობას, თუმცა ბევრმა უკვე დატოვა კოლონია და სხვაგან გადასახლდა. ყარაბაღისკენ მიმავალ გზაზე, რუს მწერალს ქალაქ შამქორის ნანგრევები შეხვედრია - დიდი ხიდის ქვები, ძველი მინარეთი, რომელიც მოგზაურებს მოპირკეთების სილამაზით აოცებდა.

პეტრე მუხანოვი უკმაყოფილო იყო ამ უშედეგო მოგზაურობით. მისი დების მიმოწერიდან ირკვევა, რომ „საქართველო საშინლად მოსაწყენი ქვეყანაა, რომ მას იქ ასე ცოტა ნაცნობები ჰყავს და ერმოლოვთან ურთიერთობა ძალიან მძიმეა მისი მრისხანე ხასიათის გამო; იქ ყველაფერი ველურია“[17]. ფუფუნებაში გაზრდილ რუს დიდგვაროვანს, მოსკოვის უნივერსიტეტის თავისუფალ მსმენელს და მოსკოვის სამხედრო სასწავლებლის კურსდამთავრებულს, კავკასიაში ნამდვილად გაუჭირდებოდა. რუს სამხედროს და ლიტერატორს, დეკაბრისტული ორგანიზაციის წევრს აქ არ დახვდა ის გარემო, რომელშიც რუსეთში უწევდა ყოფნა. სავარაუდოდ, მთავარმართებლისგან სამსახურის დაწყებაზე მიღებული უარი, მისი უარყოფითი განწყობის ერთ-ერთი მიზეზი გახდა. მწერალი მიესალმება თავისი ქვეყნის პოლიტიკურ კურსს კავკასიასთან მიმართებით. ის აღფრთოვანებულია თანამემამულეების წარმოებული ბრძოლებით. პ. მუხანოვს მიაჩნია, რომ რუსმა მეცნიერებმა საფუძვლიანად უნდა შეისწავლონ კავკასია, რათა მრავლის მომცველი ინფორმაცია ჰქონდეთ ამ მხარეზე.

„კავკაზსკი სბორნიკის“[18] პირველსა და მეორე ტომში დაიბეჭდა დეკაბრისტ ევდოკიმ ემელიანეს ძე ლაჩინოვის[19] ისტორიული ნარკვევი „აღსარება“[20]. მისი ჩანაწერების მნიშვნელოვანი ნაწილი არქივში ინახებოდა და რამდენიმე წლის წინ გამოქვეყნდა.[21] ე. ლაჩინოვი ორჯერ იმყოფებოდა საქართველოში. პირველად 1816-1817 წლებში ალ. ერმოლოვის ელჩობას ახლდა ირანში, ხოლო მეორედ 1827 წლის დასაწყისში, დეკაბრისტების აჯანყების შემდეგ, მიესაჯა სასჯელი და ჯარისკაცად ჩამოქვეითებული გამოიგზავნა კავკასიაში მოქმედ არმიაში. ის მსახურობდა რიგითად მე-20 ქვეით დივიზიაში. როგორც ჩანს, ბრძოლის პარალელურად, თავისუფალ დროს, ის ლიტერატურულ მოღვაწეობასაც ეწეოდა.

მისი ნაწარმოებები, რომლებიც გამსჭვალული იყო მოწინავე იდეებითა და პატრიოტიზმის მაღალი გრძნობით, ხელმოწერის გარეშე რუსეთის სხვადასხვა გამომცემლობის მიერ იბეჭდებოდა, მათ შორის დედაქალაქის გამომცემლობებშიც. ე. ლაჩინოვის უეჭველ ლიტერატურულ მიღწევებზე

---

[17] Муханов П. А. Материалы для биографии. Памяти декабристов. Сборник материалов. Ленинград. 1926. http://az.lib.ru/m/muhanow_p_a/text_1854_materialy_oldorfo.shtml (საიტზე წვდომის თარიღი: 15.01.2024).

[18] 1876 წელს მისი საიმპერატორო უდიდებულესობის, კავკასიის არმიის მთავარსარდლის მიხაილ ნიკოლაის ძის ბრძანებით გამოიცა „კავკაზსკი სბორნიკის“ პირველი ტომი. კრებულის გამოცემას თავისი შორსმიმავალი გეგმები ჰქონდა, რათა რუსული არმიის ძველი დიდება არ გამქრალიყო და მომავალი თაობებისათვის უკვდავი ყოფილიყო კავკასიური ომების მონაწილეების სახელები და გმირობა.

[19] ე. ლაჩინოვის ნაშრომების შესახებ გამოქვეყნებული მაქვს რამდენემე სტატია: 1) Канделаки Д.Г. Дневниковые записки декабриста Е.Е. Лачинова. Русский язык и литература в пространстве мировой культуры: материалы XIII Конгресса МАПРЯЛ. СПб., 2015. С. 247–251. 2) კანდელაკი დ., დეკაბრისტ ევდოკიმ ლაჩინოვის ცნობები რუსეთისა და კავკასიის ქვეყნების ურთიერთობების შესახებ. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული N 9, 2016, გვ. 383 – 394; 3) კანდელაკი დ., უცნობი კავკასია, XIX საუკუნის უცხოური წყაროების მიხედვით. თ. II. დეკაბრისტ ევდოკიმ ლაჩინოვის ცნობები კავკასიის შესახებ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2019. გვ. 47 – 56. წინამდებარე სტატიაში მოყანილი მაქვს ასევე დამატებითი ინფორმაციები.

[20] Отрывок из „Исповеди“ - г. Лачинова. Кавказский сборник. Под ред. гвардейской артилерии полковника Чернявскаго. Тифлисъ. Типография окружнаго штаба Кавказского военного округа. 1876. Т. 1. С. 123-196; 1877. Т. 2. С.75-115.

[21] საარქივო მასალები გამოაქვეყნა იუ. სულაბერიძემ წიგნში: Сулаберидзе Ю. Декабрист Е.Е. Лачинов: размышление о прожитом. Саарбрюккен, LAP LAMBERT Academic Publishing, 2016. 108 с.

ისიც მეტყველებს, რომ მათგან რამდენიმეს ავტორად თანამედროვეები ა. ს. გრიბოედოვს მიიჩნევდნენ. სპარსეთის კამპანიაში მონაწილეობისთვის ე. ლაჩინოვს უნტერ-ოფიცრობა მიანიჭეს, ხოლო თურქეთთან ომში კი - პრაპორშჩიკობა. ოფიცრის ჩინი აძლევდა მას უფლებას გადამდგარიყო სამხედრო სამსახურიდან, რაც მან გააკეთა კიდეც. 1833 წელს ის დაბრუნდა საცხოვრებლად მამისეულ მამულში ნატალინოში.[22]

დეკაბრისტ ევდოკიმ ლაჩინოვის ჩანაწერები მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავენ 1826-1828 წლების რუსეთ-ირანის, 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომებისა და ჩრდილო კავკასიელი ხალხის წინააღმდეგ რუსეთის მიერ მოწყობილი სამხედრო ექსპედიციების შესახებ. ის იყო ამ პროცესების უშუალო თვითმხილველი და მონაწილე. თავის დღიურებში ის გამოხატავს დიდ ინტერესს როგორც ომში მონაწილე ადამიანების ბედისადმი, ისე მშვიდობიანი ადგილობრივი მოსახლეობისადმი; დაწვრილებით აღწერს რუსი ოფიცრების ყოველდღიურ ცხოვრებასა და მათ ადაპტაციას ომის პირობებში.

ნარკვევის „აღსარება“ პირველ ნაწილში ე. ლაჩინოვი აღნიშნავს, რომ ბრძოლაში მონაწილეობის პარალელურად მას ერევნის ოლქის დაწვრილებითი სტატისტიკური აღწერა ევალებოდა. ნაშრომიდან აშკარად იკვეთება რუსი დეკაბრისტის აუტანელი ყოფა კავკასიაში, რომელიც ვერ ეგუება იმ გარემოს, რომელშიც უწევს ყოფნა და მოგონებებით ცხოვრობს. შესაბამისად, ის ზრუნავდა თავის კარიერაზე, რათა დროულად დაეღწია თავი გაუსაძლისი პირობებისაგან. 1828 წელს თურქეთთან დაწყებული ომი მას არსებული მდგომარეობიდან გათავისუფლების იმედს აძლევდა და ცდილობდა ხელმძღვანელობის ყურადღება მიექცია.

ნაწარმოებში ე. ლაჩინოვი აღნიშნავს, რომ არ იყო ყველა მოვლენის თვითმხილველი; ის მხოლოდ იმიტომ გადმოსცემს ამ ამბებს, რომ თურქეთის ომის თაობაზე ჩანაწერების ერთიანობა არ დაირღვეს; ის მიუთითებს, რომ ამ მიზეზის გამოა ეს აღწერილობები საკმაოდ მოკლე, ხოლო მოყვანილი ცნობების საფუძველს კი ოფიციალური ინფორმაციები წარმოადგენს.[23]

სულ რამდენიმე წლის წინ მეფის რუსეთის წარმოებული პოლიტიკით უკმაყოფილო და მის წინაღმდეგ იარაღის აღმმართველი დეკაბრისტი, რუსეთის არმიას სპარსელებისა და თურქების წინააღმდეგ ომებში მხოლოდ განმათავისუფლებელ ძალად წარმოგვიდგენს, რომლის დახმარების გარეშე ადგილობრივი მოსახლეობა ვერანაირ შედეგს ვერ მიაღწევდა. ე. ლაჩინოვი განსაკუთრებულად წარმოაჩენდა 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდში, კავკასიის ფრონტზე წარმოებული საომარი მოქმედებებისას, ადგილობრივი მოსახლეობის რუსული არმიისადმი კეთილგანწყობას. ის დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ რუსების წასვლის შემდეგ ხალხი არ აპირებდა თურქებისგან გათავისუფლებულ ტერიტორიებზე დარჩენას; ხალხი მხოლოდ რუსებს ენდობოდა, მათ პატივს სცემდნენ და ძმებს უწოდებდნენ. ის რამდენჯერმე იმეორებს, რომ რუსები დაპყრობილ ადგილებში მყარად გრძნობდნენ თავს და კავკასიაშიც რუსები საშიში არიან მხოლოდ ბრძოლისას და მოწინააღმდეგეს, რომელიც იარაღს დატოვებს, მტრად არ მიიჩნევენ. გაიგეს რა ეს კავკასიელებმა, სრულად და თამამად მიენდნენ რუსებს.[24]

ე. ლაჩინოვი აღტაცებით საუბრობს კავკასიის კორპუსის მიერ წარმოებულ ბრძოლებზე, მათ თავდადებაზე. აღნიშნავს, რომ ქვეყნად ყველაზე საუკეთესო ჯარებს შეუძლიათ მათგან ისწავლონ სამხედრო ხელოვნება; ჩამოთვლის ახალქალაქის, ხერთვისის, ახალციხის, აწყურისა და არდაგანისათვის მებრძოლ სამხედრო დანაყოფებს და მათ მეთაურებს, ქრონოლოგიური თანამიმდევრობით მოგვითხრობს ბრძოლების ისტორიას, აღწერს სამხედრო ნადავლს, ორივე მხრიდან დაჭრილებისა და მოკლულების რაოდენობას.

---

[22] Газета Касторенского района Курской области „Вести“, 14.09.2012.

[23] Отрывок из „Исповеди“. Кавказский сборник. 1876. Т. 1. С. 144 - 145.

[24] Отрывок из „Исповеди“. Кавказский сборник. 1876. Т. 1. С. 160; С. 180.

1828 - 1829 წლებში რუსეთის არმიის რიგებში მამაცურად იბრძოდა მრავალრიცხოვანი ქართველი მოხალისე და ადგილობრივი მოსახლეობა, რომელთაც ე. ლაჩინოვი არაერთ საქებარ სიტყვას უძღვნის. განსაკუთრებით ხაზს უსვამს ახალციხელების თავდადებულ ბრძოლას. ის მოგვითხრობს თავად ალექსანდრე ჭავჭავაძის მეთაურობით წარმოებულ ბრძოლებზე, კერძოდ, ბაიაზეთისა და თოფრაკ-კალეს აღების შესახებ. აღნიშნავს, რომ თურქები რაოდენობრივად ყოველთვის აღემატებოდნენ რუსულ ჯარს, მაგრამ თავადს მაინც ვერ აჩერებდნენ.[25]

ე. ლაჩინოვი ეხება ქართული ჯარისათვის რუსეთიდან პროვიანტის მოწოდების საკითხსაც, რაც თურმე ხაზინისათვის უდიდეს დანახარჯს წარმოადგენდა. მისი აზრით, ეს საკითხი მოგვარებადია იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი თურქეთთან წარმოებული ომისას ახალ ტერიტორიებს, კერძოდ, ყარსისა და ახალციხის საფაშოს მიიერთებს. ის დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ ტერიტორიული გაფართოების შემდეგ, რამდენიმე წელიწადში შესაძლებელი იქნება ისეთი მარაგის დაგროვება, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოფილი იქნება პროდუქტით როგორც ჯარის ნაწილები, ისე 1826 წელს სპარსელების მიერ განადგურებულ ტერიტორიებზე მცხოვრები საქართველოს მოსახლეობა. ავტორი აღნიშნავს, რომ არეულობებისა და მარცვლეული თესლის უქონლობის გამო, მოსახლეობა მინდვრებს ვერ თესავს. ისინი მეტად მწირად იკვებებიან, მხოლოდ მჟავე რძე, ყველი, დამარილებული ბალახეულობა და ამის მსგავსები, ხშირად მათ პურის ერთი ნაჭერიც კი არ აქვთ.[26]

რუსი დეკაბრისტი აღშფოთებას ვერ მალავს ჩრდ. კავკასიელების წინააღმდეგ რუსების მიერ წარმოებული სასტიკი და უსარგებლო ექსპედიციების გამო; საჭიროდ მიიჩნევს სისტემის შეცვლას, საწინააღმდეგო შემთხვევაში მსგავსი ნაბიჯები ვერ უზრუნველყოფენ მთიელების სრულ დამორჩილებას.[27] ის ფიქრობს, რომ სანამ ექსპედიციებს არ ექნება საფუძვლიანად გათვლილი საბოლოო მიზანი, იქამდე ჯარები, და მასთან ერთად ამ მხარის საქმეებიც, ისეთივე წარმატებით წავა წინ, როგორც აქამდე მიდიოდა.[28] ე. ლაჩინოვს უჭირს დასკვნის გამოტანა ამ ქმედებებიდან სარგებლისა და ზიანის შესახებ როგორც კავკასიისათვის, ასევე რუსეთისათვის.

ე. ლაჩინოვი აკვირდებოდა რუსული ხელისუფლების წარმომადგენელთა საქმიანობას ადგილობრივი მოხელეებისა და დიდებულების მიმართ. ძღვენი, დღესასწაულები – ეს იყო რუსების მხრიდან კეთილგანწყობილი და შორსგანჭვრეტილი ქმედება, რომლის მიზანს კავკასიელების ნდობის მოპოვება წარმოადგენდა. ავტორი გამოხატავს რწმენას, რომ ეს შორს მიმავალი გეგმა რუსებისა და სხვა სარწმუნოების ხალხის დაახლოებას ითვალისწინებდა.

დეკაბრისტ ე. ლაჩინოვის ჩანაწერებს გარკვეული ისტორიული მოვლენების მეტ-ნაკლები სიზუსტე ახასიათებს. წყაროდ გამოყენების თვალსაზრისით ყურადღებამისაქცევია, რომ ნაშრომი გამოქვეყნებულია ავტორის სიკვდილის შემდეგ, ზოგიერთ მოვლენას იგი აფასებს რუსეთის ოფიციალურ ინფორმაციაზე დაყრდნობით. მიუხედავად ამისა, მათი გათვალისწინება რუსეთისა და კავკასიის ქვეყნების ურთიერთობების მკვლევრებს საკმაოდ დიდ დახმარებას უწევს მრავალი საკითხის გარკვევაში.[29]

---

[25] Отрывок из „Исповеди“. Кавказский сборник. 1876. Т. 2. С. 175.

[26] Отрывок из „Исповеди“. Кавказский сборник. 1876. Т. 1. С. 132.

[27] Отрывок из „Исповеди“. Кавказский сборник. 1876. Т. 2. С. 81.

[28] Отрывок из «Исповеди». Кавказский сборник. 1876. Т. 2. С. 88.

[29] ქართველმა მეცნიერმა, ი. სულაბერიძემ, ევდოკიმ ლაჩინოვისა და რამდენიმე სხვა დეკაბრისტის (ა.ს. განგებლოვი, ა.ე. როზენი, ნ.ა. ლორერი, ა.პ. ბელიაევი) კულტურული და ზნეობრივი სახე მათ მიერ კავკასიის ისტორიისა და კულტურის თავისებურებების აღქმის საფუძველზე გააანალიზა და დაასკვნა, რომ ისინი წარმოადგენენ „დეკაბრისტ-კავკასიოლოგის“ გარკვეულ კულტურულ ტიპს, რომლებსაც აერთიანებთ მაღალი ქრისტიანული მართლმადიდებლური მორალი, მისგან წარმოშობილი აზრისა და სიტყვის თავისუფლება, აქტიური მოღვაწეობა, თავგანწირვა სამშობლოსათვის, იმ ხალხთა ტრადიციებისა და ადათების პატივისცემა,

მრავალფეროვანია ინფორმატიულობით XIX საუკუნის პირველი მეოთხედის რუსული საზოგადოების პროგრესულად მოაზროვნე ნაწილის - დეკაბრისტების - ცნობები კავკასიის შესახებ. განსხვავებულ თემებზე, თუმცა თითქმის ერთნაირი სულისკვეთებითაა დაწერილი დეკაბრისტების აჯანყებამდე სულ ცოტა ხნით ადრე, კავკასიაში სამსახურის საძიებლად ჩამოსული დეკაბრისტული ორგანიზაციის წევრის პეტრე მუხანოვის და სისხლიანი აჯანყების ჩახშობის შემდეგ, ჩინჩა-მოქვეითებული და სასჯელმისჯილი ევდოკიმ ლაჩინოვის თხზულებები. ეს წყაროები მნიშვნე-ლოვანია რუსეთის იმპერიის ხელისუფლების დამყარების პროცესში მიმდინარე სამხედრო, პო-ლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული მოვლენების, ასევე წარმოებული რე-ფორმებისა და ისტორიული პირების შეფასებისას. შესაბამისად, მათი შესწავლა კავკასიის ის-ტორიის აქტუალურ საკვლევ პრობლემას წარმოადგენს.

Caucasian stories of Decembrists

Dali Kandelaki TSU Professor

The article discusses the works of two Russian Decembrists - P. Mukhanov and E. Lachinov - notes about the Caucasus of the 20s of the 19th century.

Pyotr Alexandrovich Mukhanov (1799 - 1854) was known to his contemporaries as a writer, military historian and Decembrist. His short stories, travel essays, and articles on military history were frequently published in periodicals and literary almanacs. From the travel notes of P. Mukhanov “Travel to Georgia and Karabakh”, three essays: “Taking of Ganja (letter to R***)”, “Red Bridge. Memories of Güldenstädt (letter to R***)" and “Elizavetpol's Valley (letter from Georgia)” were published in the magazine – “Moskovsky Telegraph” - in 1825-1826. The Russian writer arrived in Georgia in May 1825. The exact date of the writer's departure from the Caucasus is unknown, although he was already in Moscow in the second half of November and in December, he takes part in the uprising. The writer approves and salutes the political course of his country and admires the battles occurred.

Evdokim Emelianovich Lachinov (1799-1875) visited the Caucasus twice. In 1816-1817, he accompanied the embassy of Aleksey Petrovich Yermolov to Iran, and at the beginning of 1827, after the Decembrist uprising, he was sentenced and demoted to the rank of soldier and sent to the active army of the Caucasus. Important in his historical essay – “Confession“ - are the reports about the Russia-Iran and Russia-Turkey wars of the 19th century, as well as the war waged by Russia in the North Caucasus. He was a participant and eyewitness of these wars.

Key words: Decembrists, Caucasus, Georgia, Pyotr Mukhanov, Evdokim Lachinov.

რომლებიც ბედის ნებით რუსეთის იმპერიაში აღმოჩნდნენ. იხ.: Сулаберидзе Ю.С. Восприятие Кавказа декабристами: культурный тип декабриста на Кавказе. Исторический курьер. 2020. № 6 (14). С. 66.

პარადოქსები საქართველოს ისტორიაში - რამდენიმე სურათი

გიორგი ბაღათურია საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი: ნაშრომში განხილულია საქართველოს ისტორიის რამდენიმე მოვლენა, რომლებსაც სასწაულებრივი პარადოქსი შეიძლება ვუწოდოთ. კერძოდ, გააანალიზებულია ისეთი შემთხვევები, როდესაც რომელიმე ისტორიულად ცნობილი პიროვნება ზოგჯერ მიუტევებელ შეცდომებს უშვებს, ხოლო სხვა დროს კი ქვეყნისთვის ფასდაუდებელ საქმეს აკეთებს. ასეთ პარადოქსებად და ამავე დროს სასწაულადაც შეიძლება მივიჩნიოთ „დავითიანისა“ და ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის გადარჩენა. ისტორიულ პარადოქსებს მიეკუთვნება აგრეთვე ისეთი შემთხვევები, როდესაც ხდება ამა თუ იმ მოვლენისა ან პიროვნების საქმიანობის ურთიერთგამომრიცხავი ახსნა. ერთ-ერთი ასეთი სამწუხარო პარადოქსია საქართველოს პირველი ეროვნული გმირის - ვალოდია გოგუაძის ღვაწლის დავიწყება.

საკვანძო სიტყვები: დავითიანი; მირიან ბატონიშვილი; ნიკოლოზ ბარათაშვილი; ეკატერინე დადიანი; ჩოლოქის ბრძოლა; პირველი ეროვნული გმირი; ვალოდია გოგუაძე; ნამეტია ბერძენიშვილი; ლევილის დედა.

შესავალი: ვინა ვართ ქართველები, როგორ ვცხოვრობდით, რას ვაკეთებდით, რას ვქმნიდით (კარგსაც და, სამწუხაროდ, ცუდსაც), როგორ ვიბრძოდით და როგორ ვშრომობდით, როგორ მოვაღწიეთ დღემდე, მიუხედავად იმისა, რომ თავს გვეხვია (და გვახვევია დღესაც) ურიცხვი მტერი. რა ძალამ გააძლებინა ერთი მუჭა ხალხს მსოფლიო ტრაგიკულ ქარტეხილებში, რომლებმაც წალეკეს მსოფლიო ცივილიზაციის სწორუპოვარი ნიმუშები, გაქრნენ ხალხები, პირისაგან მიწისა აღიგავა ერთ დროს სახელგანთქმული და ვრცელი სახელმწიფოები? პასუხი, რომელიც თითქოს ყველამ ვიცით, ასეთია - ქართველი კაცის საოცარმა ძალამ და ნიჭმა, ბრძოლისა და შრომის უნარმა, და, რაც მთავარია, ღვთის რწმენამ.

როგორ უნდა ვიცხოვროთ მომავალში, რათა არ გაქრეს ქართველთა სახსენებელი, ჩვენი ქვეყანა - საქართველო, რომელიც ჩვენმა დიდმა წინაპრებმა შეინარჩუნეს და ჩვენ გადმოგვცეს? აი, კითხვები, რომელიც ყველა ქართველს აწუხებს. მეტ-ნაკლები სისრულით ქართველთა გმირული ბრძოლისა და თავდაუზოგავი შრომის ეპოპეა გადმოცემულია საქართველოს ისტორიაში, ქართულ მხატვრულ და დოკუმენტურ ლიტერატურაში. ამ თვალსაზრისით ნამდვილი სასწაულია „ვეფხისტყაოსნის“ თავგადასავალი - ამ საოცარი წიგნის გადარჩენა იმ პირობებში, როდესაც მას უამრავი შინაური და გარეშე მტერი ჰყავდა.

ამასთანავე, ისეთი შემთხვევებიც ხშირია, როდესაც მავანი ისტორიული პიროვნება ზოგჯერ უპატიებელ ცოდვებს სჩადის, მაგრამ სხვა დროს ქვეყნისთვისთვის ფასდაუდებელ საქმეს აკეთებს. ასეთ პარადოქსებად და შესაძლოა სასწაულადაც განვიხილოთ „დავითიანისა“ და ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის გადარჩენა. ზოგჯერ კი მთლიანაად ხალხსაც ახასიათებს ზოგიერთი მოვლენის წინააღმდეგობრივი ახსნა. ასეთ მოვლენებს ჩვენ ისტორიულ პარადოქსებს ვუწოდებთ. ერთ-ერთი ასეთი სევდიანი პარადოქსია საქართველოს პირველი ეროვნული გმირის - ვალოდია გოგუაძის ღვაწლის დავიწყება.

„დავითიანი“ და მირიან ბატონიშვილი

ნამდვილი სასწაულია „დავითიანის“ აღმოჩენა. უკვე ღრმად მოხუცებულმა დავით გურამიშვილმა 1787 წელს საკუთარი ხელით გადაწერილი „დავითიანი“ პოტიომკინის კარზე კრემენჩუგში მყოფ მირიან ბატონიშვილს გადასცა „თავშსაქცევად პეტერბურგის დაუსრულებელ ღამეებში“ (კობიაშვილი, 1983). მოგვიანებით მირიან ბატონიშვილი საქართველოში გამოემგზავრა მდ. ვოლგით. გადმოცემით, ხომალდზე ყოფნისას, „დავითიანის“ ხელნაწერი წყალში ჩავარდნილა

და მირიანს ძლივს გადაურჩენია, მან ნამდვილად კარგად იცოდა რა განძი მოჰქონდა საქართველოში, სადაც გურამიშვილის არსებობისა და არც მისი პოეზიის შესახებ არაფერი იყო ცნობილი. აღსანიშნავია, რომ „დავითიანის“ ხელნაწერი სრულად და ფაქტობრივად უვნებელი სახით იქნა შენარჩუნებული, მაშინ როდესაც საქართველოს სხვა მრავალი დიდი პოეტისა თუ მოაზროვნის მრავალი ხელნაწერი, მათ შორის მე-19 საუკუნეში შექმნილი, უკვალოდ არის გამქრალი.

ამ შემთხვევაში ფასდაუდებელია მირიან ბატონიშვილის ღვაწლი, მიუხედავად იმისა, რომ მასაც ამძიმებს ქიშპობა ქართლ-კახეთის უკანასკნელ მეფე გიორგისთან, რამაც თავისი, თუმცა კი მცირე, „წვლილი“ შეიტანა საქართველოს სამეფოს გაუქმებაში.

ნიკოლოზ ბარათაშვილი და ეკატერინე დადიანი

ასეთივე მასშტაბის მოვლენად უნდა ჩაითვალოს ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის „დაბრუნება“ საქართველოში. საოცარია, რომ იმ დროინდელ საქართველოში თითქმის არაფერი იცოდნენ ნიკოლოზ ბარათაშვილზე, როგორც პოეტზე. შესაძლოა მისი შემოქმედებაც უკვალოდ გამქრალიყო, როგორც მრავალი სხვა, რომ არა ეკატერინე დადიანის მიერ ილიასათვის გადაცემული ბარათაშვილის ლექსების რვეული.

ეკატერინე ჭავჭავაძე გამოირჩეოდა სიამაყით და სიმკაცრით. როგორც სამეგრელოს დედოფალი, ეკატერინე მეტად მკაცრი მებატონე გახლდათ, რამაც გამოიწვია კიდეც სამეგრელოს აჯანყება (1856-57 წწ) უტუ მიქავას მეთაურობით. მისი მმართველობის დროს სამეგრელოს სამთავროში მეტად მძიმე ვითარება შეიქმნა, სადაც ყმა გლეხების აშკარა ძარცვა და ძალადობა ხდებოდა, რასაც ყირიმის ომით (1855 წ.) გამოწვეული გამაჩანაგებელი შედეგებიც დაემატა. ეკატერინემ სცადა აჯანყებულებთან მოლაპარაკება, მაგრამ უშედეგოდ. ეკატერინემ დახმარება რუსეთის ხელისუფლებას სთხოვა, რაც დიდი სიხარულით იქნა მიღებული. რუსეთის ჯარებმა აჯანყება ჩაახშეს. ამას მოჰყვა სამთავროს ავტონომიის მოსპობა (1867 წ.).

მიხედავად ფეოდალური ქედმაღლობისა, რამაც მრავალი უბედურება გამოიწვია სამეგრელოში, მაინც ეკატერინე დადიანის ღვაწლი უმნიშვნელოვანესია საქართველოს წინაშე ნიკოლოზ ბარათაშვილის მემკვიდრეობის შენახვითა და გადარჩენით. დღეს შთამომავლობა მას იხსენებს, როგორც პატრიოტსა და პიროვნებას, რომელშიც სილამაზე, ნიჭიერება და ძლიერი ნებისყოფა უნიკალურად იყო შერწყმული.

საქართველოს პირველი ეროვნული გმირი

საქართველოს უახლეს ისტორიაში განსაკუთრებული ყურადღების ღირსია 1918 წლის მოვლენები, ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ ქართველთა თავგანწირული ბრძოლა ვალოდია გოგუაძის (გურიაში ვალოდის ეძახდნენ) ხელმძღვანელობით. სწორედ მაშინ გადაწყდა საქართველოს დამოუკიდებლობის ბედი და რომ არა გოგუაძისა და მისი თანამებრძოლების საარაკო გმირობა, ჩვენს სამშობლოს დაღუპვა ელოდა.

ეს ის პერიოდია, როდესაც მთელი რუსეთის იმპერია ქაოსმა მოიცვა, მძვინვარებს სამოქალაქო ომი, რუსეთის ჯარმა დატოვა თურქეთის ფრონტი და საქართველო ფაქტობრივად უიარაღოდ და ჯარის გარეშე პირისპირ დარჩა ოსმალეთის წინააღმდეგ. გულმხურვალე პატრიოტებმა დაიწყეს მოხალისეთა რაზმების ჩამოყალიბება, რომელიც წინ უნდა აღდგომოდა ოსმალეთის რეგულარულ არმიას, გამოცდილს ხანგრძლივ ბრძოლებში, არმიას, რომელიც მრავალგზის აღემატებოდა სახელდახელოდ შექმნილ ქართულ შეიარაღებულ ძალებს. ამ დროს ქართული ჯავშნოსანი მატარებლის მცირერიცხოვანმა რაზმმა (სულ 80-მდე მებრძოლი) ვალოდი გოგუაძის ხელმძღვანელობით საარაკო გმირობა გამოიჩინა, გაანადგურა ოსმალეთის სახელგანთქმული

გალიპოლის დივიზია[1] და, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, დაღუპვას გადაარჩინა საქართველო. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჯავშნოსანზე ძირითადად გურულები იბრძოდნენ, გოგუაძის მეგობრები და ნათესავები (მათ შორის გოგუაძის სამი ძმა), სოფ. ლიხაურიდან გოგუაძის „მაგიერი“ (ანუ - მოადგილე) პორფილე გორგოშიძე, მისი ძმა ალექსანდრე და სხვები ახლო-მახლო სოფლებიდან. ამ ხალხისთვის სამშობლოსთვის თავდადება ჩვეულებრივი ამბავი გახლდათ. როგორც ერთ-ერთი მებრძოლის მოგონებებიდან ჩანს ჯერ კიდევ რუსეთის ჯარში ყოფნის 1915 წ.-ს სახლში დროებით დაბრუნებულს ახლობლები გაკვირვებით ეკითხებიან ჯარიდან ხომ არ გამოიპარეო და უარყოფითი პასუხის შემდეგ დასძენენ *“სირცხვილია, ქართველის, ისიც გურულის გამოპარვაო“* (გორგოშიძე, 2014).

ჩოლოქის ბრძოლის წინაისტორია. რუსეთის იმპერიის მონარქიის დამხობის შემდეგ ამიერკავკასიაში ხელისუფლებას რუსეთის დროებითი მთავრობის მიერ შექმნილ ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომისარიატი წარმოადგენდა მაგრამ მას რეალური ძალაუფლება არ ჰქონდა. უფრო სერიოზულ ძალას წარმოადგენდა მუშათა და სამხედრო დეპუტატთა საბჭოები. საქართველოში ოქტომბრის გადატრიალებას უნდობლობა გამოუცხადეს. ბოლშევიკური გადატრიალების საფრთხე თბილისშიც არსებობდა, რადგან ჯარი ძირითადად ბოლშევიკურ პოზიციებზე იდგა. ამ დროს მოხერხებულობა გამოიჩინა ნოე ჟორდანიამ (მაშინ საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე), მისი დავალებით და ვალიკო ჯუღელის მეთაურობით მუშათა გვარდიამ და გოგუაძის ჯავშნოსანმა მოახერხეს არსენალის დაკავება და 33 ათასი მეომრისაგან შემდგარი გარნიზონის განიარაღება.

ქართველი სოციალ-დემოკრატები იმედოვნებდნენ, რომ რუსეთში კვლავ დემოკრატიული მთავრობა აღდგებოდა და საქართველოც რუსეთთან ერთად განაგრძობდა სოციალურ გარდაქმნებს. 1917 წლის ნოემბრისათვის ნოე ჟორდანია იმ ეტაპზე საქართველოს დამოუკიდებლობას, რუსეთის მფარველობის გარეშე არსებობას შეუძლებლად მიიჩნევდა: ,,ისეთ პატარა ქვეყანას, როგორიც არის საქართველო, არ შეუძლია დამოუკიდებლად აწარმოოს ომი, შეინახოს ჯარი და სხვა. ამ გარემოების მიზეზია, რომ გვსურს რუსეთში აღდგეს ცენტრალური მთავრობა, რომელიც მოაწესრიგებს საქმეს.”

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება ქვეყნის სახელმწიფოებრივი მშენებლობის გარკვეულ პროგრამას მოითხოვდა, უპირველესად ეროვნული ჯარის შექმნას. მაგრამ ჯარის შექმნაზე ზრუნვის მაგიერ გადაწყდა მუშურ-გლეხური წითელი გვარდიის შექმნა, რაც იმ მომენტისათვის, მართლაც, მახვილგონივრული გადაწყვეტილება იყო. შემდეგ კი სახელმწიფოს არსებობისათვის აუცილებელი იყო რეგულარული ჯარის ჩამოყალიბება. საქართველო ვერ ახერხებდა ჯარის ფორმირებას. ჟორდანია არ ენდობოდა რუსეთის ჯარში ნამსახურებ ოფიცრებს. ოფიცრობის უნდობლობის ობიექტური მიზეზი იყო ჟორდანიას სოციალისტური ორიენტაცია და მონარქიისა და თავად-აზნაურობის ერთგვარად ბრმა სიძულვილი (არა აშკარად გამოხატული). როგორც შემდეგ გამოირკვა, იგი უფრო ბოლშევიკებს (ძველ ,,პარტიელ” ამხანაგებს) ენდობოდა, ვიდრე ეროვნული ორიენტაციის ქართველ პოლიტიკოსებს და სამხედრო მოღვაწეებს.

---

[1] გალიპოლი (გალლიპოლი) - გალიპოლის ნახევარკუნძული ეგეოსის ზღვის საროსის ყურესა და დარდანელის სრუტეს შორის. გალიპოლთან ბრძოლაში 1915 წლის 15 ნოემბერს თურქებმა უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვეს ანტანტის ჯარებთან. ამ ბრძოლამ დასაბამი დაუდო თურქეთის საბოლოო გამარჯვებას დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში. დარდანელის ოპერაცია ანტანტის სრული მარცხით დასრულდა. ამ მარცხის შემდეგ უინსტონ ჩერჩილი, მაშინ დიდი ბრიტანეთის საზღვაო მინისტრი (First Lord of the Admiralty), თანამდებობიდან გადადგა. გამარჯვებული არმიის გამორჩეულ ნაწილს მიენიჭა გალიპოლის დივიზიის საპატიო წოდება. სწორედ ეს დივიზია 7 000 კაცის შემადგენლობით იბრძოდა 1918 წელს საქართველოში, რომელიც ვალოდი გოგუაძის ჯავშნოსანმა, 80-კაციანი ეკიპაჟით, სასტიკად დაამარცხა ჩოლოქის ბრძოლაში და საქართველო გადაარჩინა აოხრებასა და, ვინ იცის, სრულ განადგურებას.

გაუგებარი რჩებოდა მთავრობის პოლიტიკა საკადრო საკითხებში. აქ გადამწყვეტი იყო არა პროფესიონალიზმი და ქვეყნისადმი ერთგულება, არამედ პარტიული წარმომავლობა. „პატიოსანი და მცოდნე გრ. ლორთქიფანიძე 6 თვესაც არ გააჩერეს სამხედრო მინისტრად, გინეკოლოგ ლორთქიფანიძეს ჩააბარეს რკინიგზა, უვარგის ექიმ ჭიჭინაძეს – ჯარი, როგორც საუცხოო რევოლუციონერს, რომელიც როცა ჯარისკაცებს ელაპარაკება, განგებ ოფიცრებს ხელს არ ართმევს და ზურგს აქცევს" (გაბაშვილი, 1992).

რადგან ჯარს ჟორდანია არ ენდობოდა, მისი ყურადღება წითელ გვარდიაზე იყო ორიენტირებული. 1918 წ. 18 იანვარს ბრესტ-ლიტოვსკში გერმანიასა და რუსეთს შორის საზავო მოლაპარაკება გაიმართა. ოქტომბრის გადატრიალების შედეგად ჩამოყალიბებულ საბჭოთა რუსეთს ერთადერთი მიზანი აქვს – შეინარჩუნოს ხელისუფლება, რისთვისაც აუცილებელია ყოველგვარი საომარი მოქმედებების შეწყვეტა საგარეო ფრონტზე და ზავის დადება მეომარ მხარესთან. ამისთვის საბჭოთა რუსეთი მზად არის დათმოს ყველაფერი, რისი დათმობაც შეიძლება. სწორედ ამ პრაგმატულ მიზანს ემსხვერპლა საქართველოს ტერიტორიებიც. როგორც რეზო გაბაშვილი წერს, ბრესტ-ლიტოვსკის ზავზე ხელის მოწერისათვის გერმანელებმა მოიწვიეს საქართველო და კავკასიის წარმომადგენლები საკუთარი ინტერესების დასაცავად, მაგრამ ევგ. გეგეჭკორმა - მაშინ კავკასიის კომისარიატის მინისტრმა, გაგზავნა საყოველთაოდ ცნობილი სამარცხვინო დეპეშა - ,,კავკასია და საქართველო რუსეთის ნაწილია და ზავის საკითხი რუსეთის კომპეტენციას შეადგენს". შედეგად რუსეთმა ბრესტ-ლიტოვსკში ოსმალეთს, როგორც გერმანიის მოკავშირეს, იმაზე მეტი ნაწილი დაუთმო საქართველო-კავკასიის ტერიტორიისა, ვიდრე ერგებოდათ ომის შედეგებით. იგი ხომ გერმანიის მოკავშირე იყო.

ბრესტ-ლიტოვსკის სეპარატისტული მოლაპარაკებები დასრულდა 1918 წლის 3 მარტს. ზავი დაიდო ერთი მხრივ, საბჭოთა რუსეთსა და მეორე მხრივ, გერმანიას, ავსტრია-უნგრეთს, ოსმალეთის იმპერიასა და ბულგარეთს შორის. ბრესტ-ლიტოვსკის ზავით ფინეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა და პოლონეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოები გახდნენ, ხოლო საქართველოს ტერიტორიები (ბათუმის, ყარსისა და არდაგანის ოლქები) ოსმალეთს გადაეცა უკვე ზავის კანონიერი (!) ძალით (ქსე, ტ. 2, გვ. 516). 1918 წლის 10 (23) თებერვალს, შეიქმნა ახალი სახელმწიფო ორგანო – ამიერკავკასიის სეიმი, რომელმაც საკუთარი თავი ამიერკავკასიის საკანონმდებლო ორგანოდ გამოაცხადა. ამიერკავკასიის მთავრობა არ დაეთანხმა ბრესტის საზავო პირობებს, მაგრამ თურქეთისათვის წინააღმდეგობის გაწევის უნარი მას არ ჰქონდა. აზერბაიჯანელები საერთოდ ემხრობოდნენ თურქებს, სომხეთი ომს არ აპირებდა. 11 მარტს ამიერკავკასიის მთავრობამ სცნო ბრესტის საზავო პირობები, მაგრამ ოსმალეთი უკვე ამით აღარ კმაყოფილდებოდა. მარტში ტრაბზონში დაიწყო ამიერკავკასია-ოსმალეთის მოლაპარაკება, რათა დიპლომატიური გზით მოგვარებულიყო ტერიტორიული საკითხები. ტრაპიზონის კონფერენციაზე აკაკი ჩხენკელს ორმოცდაათი კავკასიელი ახლდა. ოსმალები ხუმრობდნენ: ,,თუ საომრად მოდიხართ – ცოტანი ხართ და თუ ზავისთვის – ამდენი დელეგატი რა ამბავიაო". ტრაპიზონის კონფერენცია უშედეგოდ დამთავრდა, ოსმალები საქართველოს ტერიტორიის დასაკავებლად მოიწევდნენ და ბათუმის დაცლას მოითხოვდნენ.

ეროვნული საბჭოს სხდომაზე ბათუმის დაცვისათვის გენერალი ვასო გაბაშვილი ბათუმის ციხის გარნიზონად სამი ათას ჯარისკაცს ითხოვდა: „სიტყვას გაძლევთ ექვსი თვის განმავლობაში ჩიტიც ვერ გადმოფრინდებაო". ევგენი გეგეჭკორს მწყრალი პასუხი გაუცია - „თქვენი თავი შუა საუკუნეებში ხომ არ გგონიათ, ბატონო გენერალო, ზარბაზნებსა და ციხეებზე, რომ გველაპარაკებით? ან სად გვყავს ჯარი?! ბათუმში ჯარი კი არ უნდა წავიყვანოთ, არამედ ხალხი, იქ საპროტესტო მიტინგები გავმართოთ და, როცა ოსმალოები დაინახავენ, რომ მთელი ქართველი დემოკრატია წინააღმდეგია მათი, – დღეს დემოკრატიის ხანაა და ოსმალეთის დემოკრატიაც ჩვენი

ძმები არიან, – ისინი ვერასოდეს ვერ გაბედავენ ბათუმში შესვლას“. ბათუმში 40 ათასამდე ,,შეგნებული ელემენტი“ ჩაუყვანიათ, მრავლად გამართულა საპროტესტო მიტინგი და დემონსტრაციები, მაგრამ ოსმალეთის 5000 კაციანმა ჯარმა, მიუხედავად ,,დემოკრატიის ხანისა“, თითქმის უბრძოლველად აიღო ბათუმი რამდენიმე დღეში, 1918 წ. 1 აპრილს. მრავალი დაატყვევეს და სხვა დემონსტრანტები დაუბრკოლებლად გამორეკეს. თხებივით გამორბოდნენო, უთქვამს გეგეჭკორს: ,,ბათუმიდან გამორბოდნენ გვარდიელები, ჯარისკაცები, როგორც დამფრთხალი თხები სხვადასხვა ქონებით, ზურგზე მოკიდებული ზოგს რა მოჰქონდა და ზოგს რა ... ამხანაგებო, რას შვრებით, სად გარბიხართ? - უყვიროდი და... მიპასუხებდნენ ,,ქე გვესვრიან და რავა დავდგეთო”.

ერთ დროს მდიდარი საპორტო ქალაქი პირწმინდად გაიძარცვა. მაროდიორები ყველაფერს ეზიდებოდნენ, დატვირთეს მატარებლები და სამტრედიაში ვაჭრობდნენ ნაძარცვით. ოსმალები წინ მოიწევენ აქ კი ბაზრობა გაიმართა. მოსახლეობაც კმაყოფილია - იაფად იშოვეს ძვირფასი საქონელი...

ამიერკავკასიის ფედერაცია ფაქტობრივად დარღვეული იყო. საქართველოს ოსმალეთის ოკუპაცია ემუქრებოდა. ერთიანი ქართულ-სომხურ-აზერბაიჯანული ჯარი უუნარო იყო. ამიერკავკასიის ფედერაცია არამცთუ არ უპირისპირდებოდა ოსმალეთს, პირიქით აზერბაიჯანი ითხოვდა კიდეც ოსმალეთისგან – არ მიგვატოვოთო. სომხეთი ერთიანობაზე იდგა, მაგრამ მხოლოდ სიტყვით. საქართველო პირისპირ, მარტო იყო ოსმალეთის წინააღმდეგ. მოსახლეობის ნაწილი, პატრიოტი ოფიცრობა და ჯარისკაცები ეწირებიდნენ უთანასწორო ბრძოლებს, მაგრამ სამხედრო მოქმედებებში არ ჩანდა მთავრობის როლი.

ოსმალეთის არმიამ კი განაგრძო საომარი მოქმედებები და სულ მალე დაიკავა „კუთვნილი“ ტერიტორიები – არდაგანი, ყარსი, ბათუმი, ოზურგეთი. ახალციხე, აბასთუმანი, უშუალო საფრთხე ემუქრება ქუთაისსა და თბილისს. მთელი ამიერკავკასიის ოკუპაციას წინ არაფერი ეღობებოდა. ოსმალეთის საფრთხე დაუძლეველი ჩანდა... მხოლოდ მდინარე ჩოლოქზე მოხერხდა ოსმალების შეჩერება.

ჩოლოქის ბრძოლა. ბათუმის დაცემის დღეს, სამტრედიიდან ბათუმისკენ დაიძრა გენერალი გიორგი მაზნიაშვილი მხოლოდ ერთი ეშელონით და ახალწვეულებით, ძირითადად მოხალისეებით და ერთგული ოფიცრებით. ამ დროს სამტრედიაში უამრავი ხალხი ირევა, მათ შორის ბათუმიდან გამოქცეული ჯარის ნარჩენები, აქ შეიძლებოდა ჯარის მეტ-ნაკლებად დაკომპლექტება, მაგრამ მაზნიაშვილმა აღარ მოინდომა დეზერტირების მობილიზება, რადგანაც „ბათუმიდან გამოქცეული დეზერტირები ისე იყვნენ გახრწნილები, მეშინოდა ახალწვეულებიც არ გაეხრწნათო“ (მაზნიაშვილი). ჩოლოქთან მიახლოებულ უკვე ოსმალების მოწინავე ძალები შენიშნეს. აქვე არის გოგუაძის ჯავშნოსანი. 1917 თებერვლის რევოლუციის შემდეგ საბჭოების დავალებით გოგუაძემ ჩამოაყალიბა ჯავშნოსანი მატარებლის რაზმი 80-მდე კაცის შემადგენლობით, რომელიც მთელ საქართველოში მოძრაობდა წესრიგის აღსადგენად, ამბოხებათა ჩასახშობად, დეზერტირებისგან შემდგარი მოთარეშე შეიარაღებული ბანდების გასანადგურებლად. 1917 წ. 11-12 დეკემბერს გვარდიასთან ერთად აიღო თბილისის არსენალი, რომლითაც დაიწყო ქართული შეიარაღებული ძალის ფორმირება. ჯავშნოსანი მატარებლის მეშვეობით მოხერხდა ფრონტიდან მობრუნებული რუსეთის 200 ათასიანი ჯარის ეშელონებით თბილისისთვის არიდება და აზერბაიჯანში გადაყვანა. შეთანხმების მიხედვით ჯავშნოსანს უნდა გაეცილებინა ბაქოსკენ მიმავალი ფრონტიდან მობრუნებული რუსული არმიის ეშელონები, გზაზე მათ თავს ესხმოდნენ თათრების შეიარაღებული ბანდები, რომელთა შორის მრავლად იყვნენ ოსმალეთის ოფიცრები. ადრე 1918 წ. იანვარში შამქორთან რუსის ჯართან ბრძოლაში, დაიღუპა პირველი ჯავშნოსანის მეთაური როტმისტრი აფხაზავა, მაგრამ ჯარი თბილისში არ შემოუშვა.

ბათუმის ბრძოლაში მონაწილეობდა გოგუაძის ჯავშნოსანიც, რომელიც არ აჰყვა საყოველთაო პანიკას და შეეცადა წესრიგის დამყარებას. ჯავშნოსანი ჩაქვსა და ბათუმს შორის მოძრაობდა და ანადგურებდა ოსმალთა რაზმებს, რომლებიც რკინის გზის დაპატრონებას ლამობდნენ.

1918 წლის 7 აპრილს გენერალმა მაზნიაშვილმა უკან დახევა ბრძანა. „უკან დახევის დროს ჯავშნიანით არიერგარდში ვყოფილიყავი და მტრის თავდასხმისგან იგი დამეცვა, ბოლოს ამეფეთქებინა რკინის გზის ხიდები და სუფსაში მივსულიყავი. მე მას ჩემი გეგმა მოვახსენე: მტრის პოზიციებში შევიჭრები და ბრძოლას გავუმართავ-მეთქი. გენერალმა ეს განზრახვა არ გაიზიარა და ამიკრძალა კიდეც: ტყუილა-უბრალოდ დაიღუპებითო. მე თუ არიერგარდში უმოქმედოდ ვიქნებოდი, მაშინ მტრის არტილერია დამაზიანებდა. გენერალმა ბოლოს მითხრა და დამლოცა: ნახე! როგორც სჯობდეს, ისე მოიქეციო“ (გოგუაძე, 1963) .

ჯავშნოსანი დილის ხუთ საათზე ჩოლოქის ხიდს მიადგა, მტრის ბანაკში შევიდა და შუა ადგილას გაჩერდა. იქაურობა სავსე იყო ოსმალების ჯარით. ჯავშნოსანმა სროლა არ დაიწყო, მტერმა იფიქრა, რომ ჯავშნოსანი ნებდება. ოსმალო ჯარისკაცები ახლოს მოვიდნენ, მატარებლის საფეხურებზეც აცოცდნენ, ზარბაზნებისა და ტყვიამფრქვეველების ლულებს ჩამოეკიდნენ. ჯავშნიანი მატარებელი ჩაკეტილი იყო, შიგ შესვლა არავის შეეძლო. ოსმალთა იქ მყოფი ჯარი შეგროვდა რკინიგზასთან. როცა აქ ყველამ მოიყარა თავი, მაშინ გაისმა ცეცხლის გახსნის ბრძანება. შეიქნა სასტიკი ბრძოლა. მტრის უმთავრესი ძალა განადგურდა.

ეს მართლაც გმირობა იყო, მოულოდნელი და მით უფრო საამაყო. ქართველი კაცის თავგანწირვას თურმე შეუძლია შემოაბრუნოს ბედისწერის ჩარხის ტრიალი. ეს კარგად იგრძნეს ქვეყნის ლიდერებმაც და 1918 წ. 13 აპრილს ამიერკავკასიის საოლქო დელეგატების სხდომაზე ნოე ჟორდანიასა და ირაკლი წერეთლის და ევგ. გეგეჭკორის წარდგინებით ვ. გოგუაძე ეროვნულ გმირად აღიარეს და **რევოლუციის პირველი გმირის წოდება** მიანიჭეს. შემდეგ იყო ასევე ძლევამოსილი ბრძოლები სომხეთთან ომის დროს.

მოგვიანებით მის შესახებ ასე იტყვის გრიგოლ რობაქიძე: „ვალოდია ამოზრდილი იყო ქართული ეპოსითგან. ფესვმაგარი, მტკიცე, ურყევი, უდრეკი, უტეხი, უშიშარი: როგორც თავგამოდებული მებრძოლი თავისუფლებისათვის სამშობლოისა. თვითონ ჯავშანი – საარაკო ბელადი შემმართებელი „ჯავშნოსანისა“. არავითარი სიძნელის წინაშე უკან არ დამხევი – ძალაყრით მოშვიდული, ყოველი დაბრკოლების გადამლახავი“.

ასე დასრულდა საქართველოს თანამედროვე ისტორიის ერთი საოცარი დღე. ჩოლოქის ბრძოლაში გამარჯვებამ იხსნა საქართველო სრული განადგურებისგან. თვენახევრის შემდეგ კი საქართველომ გამოაცხადა. დამოუკიდებლობა და გერმანელ მოკავშირეთა დახმარებით შეძლო სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება.

ვალოდია გოგუაძე ლევილში დაკრძალეს იქვეა დაკრძალული მისი მეუღლე – ნამეტია ბერძენიშვილი, რომელიც ჯერ საქართველოს დამოუკიდებლობის დამცველთა რიგებში იბრძოდა და შემდეგ თვალსაჩინო წევრი გახდა ქართული ემიგრაციისა, რომელსაც სიყვარულით „ლევილის დედა“.

1919 წელს ნამეტია, მაშინ თბილისის უნივერსიტეტის მე-2 კურსის სტუდენტი ცოლად გაჰყვა ვალოდია გოგუაძეს და მასთან ერთად იბრძოდა ჯავშნოსანზე მტრის წინააღმდეგ. ვ. გოგუაძის მოგონებიდან: ,,მე ჯავშნოსანზე მყავდა ახალი მეომარი – ჩემი მეუღლე. მე ჩემ ძმას და ნათესავებს დავავალე: ბრძოლის დროს ჩემს ცოლთან ახლოს ყოფილიყვნენ და თუ საქმე ცუდად წავიდოდა, მოეკლათ კიდეც, რათა ოსმალებს ტყვედ არ ჩავარდნოდა”.

1923 წელს ისინი პარიზში ჩავიდნენ და თავი ლევილის მამულს შეაფარეს. ნამეტია და ვალოდია აპურებდენ გაჭირვებულ ქართველებს, და იჩენდნენ უდიდეს ქართულ მაგრამ ნამეტიას ბედმა კიდევ უფრო მეტი საქმის გაკეთების ხვედრი არგუნა წილად, რათა იმქვეყნად წასაღები მისი სახელი კიდევ უფრო გაბრწყინებულიყო. ადრე ქართველთა საფლავები სად არ იყო გაფანტული!

ევროპასა და ამერიკაზე რომ აღარაფერი ვთქვათ თვით პარიზში და მის ახლომახლო მცხოვრები ქართველებიც სულ სხვადასხვა ადგილას საფლავდებოდნენ. არც არავის დაუვალებია, არც კომიტეტობანას ჰქონებია ადგილი, ერთ მშვენიერ დღეს ნამეტიამ გადაწყვიტა და მიმართა ლევილის ემიგრანტთა საზოგადოებას ფინანსური დახმარებისათვის, საზოგადოებაც მას მხურვალედ გამოეხმაურა, მალე საკმაოდ მოზრდილი თანხა შედგა, რითაც ნამეტიამ ფრანგების სასაფლაოსთან მიმდებარე მიწა შეიძინა, სასაფლაო ქვიტკირით შემოაღობინა და საჩუქრად მიართვა სოფლის კომუნას. ლევილის მერიამაც დაუმადლა და ლევილს გარეთ მცხოვრებ ქართველების დასაფლავების ნებაც დართო. დღეისათვის ლევილიში სამასამდე ქართველი განისვენებს და, ზოგიერთი ემიგრანტის აზრით, შეიძლება ითქვას, რომ თუ ემიგრაციას რაიმე ღირებულება რჩება უცხოეთში, მათ შორის ყველაზე ძვირფასი, ეს სასაფლაოა.

მაგრამ, დღეს ვალოდი გოგუაძის გმირობა და ნამეტია ბერძენიშვილის ღვაწლი საქართველოში ფართო საზოგადოებისთვის უცნობია. ესეც კიდევ ერთი პარადოქსი, უკვე სევდიანი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გაბაშვილი რევაზ „რაც მახსოვს“. სერია „დაბრუნება“ გურამ შარაძის რედაქციით. ტ.3. თბილისი, მეცნიერება, 1992 წ.
2. გოგუაძე ვალოდია. მოგონებები, პარიზი, 1963 წ. სერია „დაბრუნება“ გურამ შარაძის რედაქციით. ტ.3. თბილისი, მეცნიერება, 1992 წ.
3. გორგოშიძე პორფილე „რამდენიმე სურათი გურული კაცის ცხოვრებიდან“. გამომცემლობა „ცის ნამი“, თბილისი. 2014 წ.
4. გურული ზვიად. ჯავშნოსნის მეთაური, რომელმაც თურქებისგან იხსნა საქართველო „კვირის პალიტრა“ 14-02-2011
5. გურულიზვიად. 1918 წელი, ჩოლოქის ბრძოლა „კვირის პალიტრა“ 27-12-2010
6. კობიაშვილი მალხაზ. მეგობრობის ხიდი. მწიგნობარი-82. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1983 წ.
7. ჟორდანია ნოე. ჩემი წარსული (მოგონებანი). პარიზი, 1953. ქართული მემუარული ლიტერატურა, თბილისი: „სარანგი“. 1990 წ..
8. რობაქიძე გრიგოლ, „გურია და სოციალიზმი“ „საქართველო“, 1917, №269,
9. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2, გვ. 516, თბილისი, 1977 წ.

Paradoxes inthe History of Georgia - Some Cases

Giorgi Baghaturia,

Professor of Technical University of Georgia

Summary: The paper discusses several events in the history of Georgia that can be called miraculous paradoxes. Namely, such cases are analyzed when, at the same time, there are also frequent cases when the any historical person sometimes commits unforgivable sins, but at other times will do invaluable work for the country. We can consider the survival of "Davitiani" and Nikoloz Baratashvili's poetry as such paradoxes and maybe even a miracle. Sometimes even people as a whole are characterized by contradictory explanations of some events, which represents the historical paradoxes. One of these sad paradoxes is the forgetting of the merits of the first national hero of Georgia - Valodia Goguadze.

Keywords: Davitiani, Prince Mirian, Nikoloz Baratashvili, Ekaterine Dadiani, Battle of Choloki, the First National Hero, Valodia Goguadze, Nametia Berdzenishvili, Levil's Mother.

კიდევ ერთხელ ხის კულტის შესახებ ქართულ მითოსში (აკად. ნ. ხაზარაძისა და თ. ცაგარეიშვილის ნაშრომის „წმინდა ხის კულტი საქართველოში“ - გამო)

თემურ ჯაგოდნიშვილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი: ხის კულტი საქართველოში ძველისძველი, შორეულ წარსულში პოპულარული რწმენა-წარმოდგენისა და წეს-ჩვევის არსებობის დადასტურებაა. ამაზე მიუთითებს საკრალური ხის თაყვანისცემის დღემდე შემორჩენილი ნაირგვარი რეალიები. ხის საკრალურობა უდევს საფუძვლად ქართველთა საცხოვრისების მოწყობას **ხეობების** პრინციპით (მაგალითად, არაგვის ხეობა, ფოცხოვის ხეობა, ძამას ხეობა, ივრის ხეობა და ა. შ.).

ხის თაყვანისცემის ელფერი გადაჰკრავს ქართველი ქალის სახელს **ხებიბე** (აჭარაში), ასეთივე შინაარსი იმზირება ქართულ ენაში მთვარის, გამორჩეულის გაგებით დაფიქსირებული სახლის სახურავის (თავ-ხე) თუ ინტერიერის (დედა-ბოძი) საყრდენში და სხვა.

ამასვე ცხადყოფს ინტერესი ხის კულტის და მასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენებისა თუ წეს-ჩვევებისადმი ქართულ ეთნოლოგიასა და ფოლკლორისტიკაში. მეცნიერული კვლევების უმთავრესი მიმართულებები ხის კულტის თავდაპირველი არსის დეშიფრირებაა კულტის სათავეების ძიებით, რამაც განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა ამჟამად, როდესაც ესოდენი მნიშვნელობა შეიძინა ეროვნული კულტურული იდენტობის დემონსტრირებამ და შენარჩუნებამ.

ახლო აღმოსავლეთის, კავკასიის ძველი ისტორიისა და ქართველების ეთნოგენეზის პრობლემების მკვლევარი ნ. ხაზარაძე საქართველოში საკრალური ხის კულტის კვალის ძიებით ხეთური თელიფუნის მითისა და წერილობით წყაროებში ($50 კანონი) მოხსენიებული „მარადმწვანე“ ხის გამო დაინტერესდა. ეს ხე მან საქართველოში **ურთხელის** სახელით ცნობილ ხესთან გააიგივა და ამ ხესთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენებისა და წეს-ჩვევების ხეთებისა და სხვა ხალხების ანალოგიური მითოლოგიური წარმოდგენების კვლევა ჩაატარა მითოლოგიური პარალელების გამოვლენის მიზნით. კვლევით ნ. ხაზარაძემ და მისმა თანაავტორმა დაადგინეს, რომ ხეთური მითოსის საკრალური მარადმწვანე ხე **ურთხელია** და ამ ხის კულტი საქართველოშიც იყო გავრცელებული. ამის საფუძველზე გამოავლინეს საინტერესო მითოლოგიური პარალელები, თუმცა ამის იქით აღარ წასულან, აღარ გაუდევნებიათ თვალი მითოლოგიური რწმენა-წარმოდგენების თუ წეს-ჩვევების დესაკრალიზაციის საინტერესო ფაქტებისათვის, რასაც უხვად შეიცავს ქართული ეთნოგრაფიული მასალა და ფოლკლორული ტექსტები და რითაც განისაზღვრება ქართული მითოლოგიური მსოფლგანცდის უნიკალურობა.

საკვანძო სიტყვები: საკრალური ხე, ხის კულტი, თელეფინუს მითი, ლაშარის ჯვრის ციკლის ზეპირსიტყვიერი ტექსტები.

შესავალი: ხის კულტით ნ. ხაზარაძე და ავტორები დაინტერესდნენ თელეფინუს მითისა და ხეთური კანონების ($50 კანონი) ტექსტების, ასევე რიტუალურ-მითოლოგიური ტექსტების ცნობების საფუძველზე.

ამ ცნობების მიხედვით საკულტო ხეს მკვლევართა ერთი ნაწილი **ნაძვად** აღიქვამს, ნაწილი **მუხად**, ნაწილი კი „მარადმწვანე ხედ“.

თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი ხეთური წყაროების საფუძველზე იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ეს უნდა იყოს **ურთხელი**, ანუ **Taxus-ი** და იგი მსოფლიო ხედ გაიაზრეს (Т. В. Гамкрелидзе, В. В. Иванов, Индоевропейский язык и индоневропейцы, II, Тб., 1984, с. 628-631).

ნ. ხაზარაძემ და თ. ცაგარეიშვილმა ყურადღება მიაქციეს თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის იმ ცნობებს, რომ ურთხელის, როგორც აღორძინების, სიკვდილის შემდგომ სიცოცხლის განახლების

სიმბოლოდ გააზრების ფაქტი (განცდა) შემონახულია გერმანულ, ნორვეგიულ, საქსონურ, ძველკელტურ, ანგლო-საქსურ მითოსურ რწმენა-წარმოდგენებსა და რიტუალებში. არ გამოჰპარვიათ ის ცნობაც, რომ სიცოცხლის მარადიულობა და მკვდრეთით აღდგომის სიმბოლოს ფუნქციით ანგლო-საქსები ურთხელის ხეს საფლავებთან რგავდნენ (თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი, გვ. 630).

ნ. ხაზარაძე და თ. ცაგარეიშვილი შეეცადნენ „ქართული ტრადიციებით“ განემტკიცებინათ (დაედასტურებინათ) თ. გამყრელიძის და ვ. ივანოვის აღნიშნული მოსაზრება (ნ. ხაზარაძე, თ. ცაგარეიშვილი, წმინდა ხის კულტი საქართველოში, თბ., 1999, გვ. 6), ხოლო მანამდე თავად ხეთური რწმენა-წარმოდგენები გამოევლინათ და განემტკიცებინათ თ. გამყრელიძე-ვ. ივანოვის ლინგვისტიკურ დაკვირვებათა მართებულობა.

ხეთური ტექსტის მონაცემებით, კერძოდ, კერის დადგმის ხეთური რიტუალის ტექსტი (KUB XXIX, I, III, 37-IV 29), რომლის გაშიფრული ვერსია და ანალიზი ი. ტატიშვილმა გამოაქვეყნა კრებულში „არქეოლოგიური ძიებანი“ 1985 წელს (გვ. 142-151), გაარკვიეს, რომ ხეთები კერასთან ურთხელს დგამდნენ და მეფე-დედოფლის დღეგრძელობას და მათი სიტყვის უკვდავებას შესთხოვდნენ. ასევე დაადგინეს, რომ ხეთურ ტექსტში ხსენებული ურთხელის ხე მარადიულობის სიმბოლოს წარმოადგენდა. ასეთივე დატვირთვა ჰქონდა ამ ხეს ხეთურ თელეფინუს მითში.

საინტერესოა, რომ თელეფინუს მითის მიხედვით, ურთხელის წმინდა ხეზე ცხვრის საწმისს ჰკიდებდნენ როგორც საყოველთაო (მარცვლეულის, შინაური ცხოველების, ნადირ-ფრინველის, პურ-ღვინის, დღეგრძელობის, გამრავლება-გახარების...) სიუხვის სიმბოლოს.[1] საწმისიც ნაყოფიერების, გამრავლებისა და ყველანაირი სიკეთის სიმბოლოა.

გ. გიორგაძის კვლევებით (ხეთური „საიმუნიტეტო სიგელები“, ჟურნ. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1976, N4, გვ. 41) ნ. ხაზარაძემ, თანაავტორთან ერთად, ისიც გაარკვია, რომ ურთხელის ხე გადასახადებისაგან გათავისუფლების სიმბოლოც იყო. ამ ხის ტოტს განთავისუფლებულის სახლკარის ჭიშკარზე ჰკიდებდნენ.

ნ. ხაზარაძეს არც ის გამორჩენია მხედვლობიდან, რომ მითოლოგიური პერსონაჟის თელეფინუს აღსანიშნავად მარადმწვანე ხის ლოგოგრამას იყენებდნენ (გვ. 7). ერთი სიტყვით, ხეთური წყაროებით საკრალური ხე ურთხელი იყო მარადიულობის, ნაყოფიერების, თავისუფლების, სიცოცხლის განახლების სიმბოლოა.

ხეთური საკრალური ხის კულტის მსგავსი რწმენა-წარმოდგენები ნ. ხაზარაძემ და მისმა თანაავტორმა ქართულ მითოლოგიურ მასალაშიც იკვლიეს, შეისწავლეს ქართველი ეთნოლოგების (გ. ლომია, გ. ჩიტაია, ნ. ბენდუქიძე, გ. გიორგაძე, თ. ოჩიური, χ. გვასალია, χ. რუხაძე, მ. ხიდაშელი, ი. სურგულაძე) ნაშრომები, დაადგინეს, რომ ხის კულტი და მასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები საქართველოს ყველა კუთხეში იყო გავრცელებული, ხოლო საკრალურ ხეებად მიიჩნეოდა მუხა, იფანი, ტირიფი, ალვა, ნაძვი, ფიჭვი, ჭადარი, და სხვა ხემცენარეები, მათ შორის გამორჩეულად ურთხელიც, რომელიც სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვაგვარად იწოდებოდა: ურთხმელა, ურთხლი, უთხოვარი და ა. შ.

ნ. ხაზარაძემ, თანაავტორთან ერთად, თვალი გაადევნა ურთხელის საკრალურ ხესთან დაკავშირებულ ქართულ ტრადიციულ ყოფაში დაფიქსირებულ წეს-ჩვეებსა და დღესასწაულებს: სვანურ „ურთხაობას“ - საგაზაფხულო დღეობას, როდესაც საკრალურ ხეს შესაწირავს სწირავდნენ

---

[1] ცხვრის ტყავის ამგვარი საკრალურობა უნებურად აღძრავს ფიქრს მედია-იაზონის ცნობილი მითის ოქროს საწმისის თავდაპირველი ამგვარივე მითოსური შინაარსის შესახებ, რასაც ანტიკური საბერძნეთის მითოსურ ეპოქაში უკვე დაკარგული ჰქონდა საკრალური შინაარსი და ხვავისა და ბარაქის მოტანის ფუნქცია ძვირფასმა მეტალმა (ოქრომ) იტვირთა, ხოლო საკრალური ხის საკრალურობა საერთოდ დაიჩრდილა.

მხოლოდ ხვავ-ბარაქიანობისა და სანატრელი ყოფის ბოძების რწმენა შემორჩა და გვიან ქართულ რწმენა-წარმოდგენებში ნატვრის ხის შინაარსი შეიძინა. ბოლოს ქართუ; პოეზიაში ეს ცნობილ მარტოსულ ხედ - ოლედ მოგვევლინა.

და გამარჯვებას, ხვავსა და ბარაქას შესთხოვდნენ. შემდეგ ოჯახის უფროსი ხეს პატარა ტოტს შეატეხდა, ოჯახის წევრებს სათითაოდ სამ-სამჯერ შემოჰკრავდა, სახლში დაბრუნებისთანავე ხის ტოტს ნახშირს წაუსვამდა, ჯვარს გააკეთებდა და ჭიშკარზე მიამაგრებდა, მეორე დღეს კი ასეთსავე ჯვრებს ბაღ-ვენახებსა და სამეურნეო ნაგებობების კარებზე მიამაგრებდა. ერთი წლის თავზე ამ ტოტებს (წიწვებიანად) მიწაში მარხავდნენ (გადაგდება არ შეიძლებოდა). ურთხელის ტოტით გლეხკაცები მებატონეებს ახალ წელსაც ულოცავდნენ - ხის ტოტს მათს ჭიშკარზე ამაგრებდნენ.

ურთხელის ხის კულტი სამეგრელოშიც არის დაფიქსირებული. ნ. ხაზარაძეს არც ეს ფაქტი გამორჩენია. მთიან სამეგრელოშიც საკრალურ ხეს შვილიერობას შესთხოვდნენ. აქ მთავარი პერსონაჟი ქალი (დედა) იყო. ის ხეს ძღვენს მიართმევდა (შვილების სახელზე გამომცხვარ კვერებს), შემდეგ ხელს გაიმურიანებდა, შვილს კვერს შეაჭმევდა და შუბლზე გამურულ ხელს წაუსვამდა, ურთხელის ტოტს შეატეხდა, სახლში მიიტანდა და კარზე მიამაგრებდა. ერთი კვირის შემდეგ დაბრუნდებოდა საკრალურ ხესთან, დაჩოქილი ხეს სამჯერ შემოუვლიდა, გამურული ხელით ხეს ჯვარს დაუსვამდა, შუბლს მიაბჯენდა, რათა მურით ჯვარი შუბლზე გამოსახოდა და სახლში მიდიოდა. შვილს შუბლზე მჭიდროდ მიადებდა, რათა ჯვარი ბავშვს გამოსახოდა.

საკრალური ხის დღეობას იხდიდნენ 29 ივნისსაც, რომელსაც „პეტრობის დღესასწაულს“ უწოდებდნენ.

ურთხელის (უთხოვარის) კულტს ნ. ხაზარაძემ აღმოსავლეთ საქართველოშიც (ფშავში) გაადევნა თვალი. აქ მან ერთ საინტერესო დეტალზე გაამახვილა ყურადღება - **საკრალურ ხეს სალოცავთან რგავდნენო**. ამ მინიშნების იქით ნ. ხაზარაძე და მისი თანაავტორი აღარ წასულან. არადა საკრალური ხის სალოცავთან ახლოს დარგვა თავისთავად შეიცავს დიდ მისტერიულ შინაარსს: განსაკუთრებით საკრალური ხის - თავისთავად საკულტო ხემცენარის ასევე წარმართული კერპის – ხატის სიახლოვეს „აღმართავს“ (დარგავს). ეს „ორხელისუფლებიანობა“ უთუოდ ადრინ-დელის „დაბერების“ (მაგრამ არაყავლგასულობის!) და ახლის შემოტანის მისტერიული დროის დადგომის დემონსტრირება უნდა იყოს. **კერპი კერპთან?** ფშავური სალოცავი - ხატი თავისთავად განასახიერებს კულტს. რაში სჭირდებოდათ ამგვარი „დებულება“? ხატის სამსხვერპლოს (შესაწირ ცხვარს, თხას) ურთხმელის ხისგან დამზადებულ კირჩხაზე (ორკაპაზე) ჰკიდებდნენ. ეს გარემოება სამსხვერპლოს საკულტო ხისგან ხატზე გადატანაზე მიმანიშნებელი მისტერიული ქმედება უნდა იყოს. აქ ძველი კულტის ახლით (**ხის—>ხატით**) შენაცვლების მისტერიული აქტი უნდა დავინახოთ. ამ აზრს ის გარემოებაც უჭერს მხარს, რომ ურთხელის (უთხოვარის) საკრალურ ხეს საფლავებთანაც რგავენ, ამით მიცვალებულის კულტის დატვირთვას ანიჭებენ (ნაყოფიერების, სიცოცხლის, ხვავ-ბარაქიანობის საწინააღმდეგოდ). ეს მისტერია კი საკრალური ხის კულტის ახალი ფუნქციური დატვირთვის გამოხატულებაა. აქ უკვე აშკარად იკვეთება ხის კულტის ის შინაარსი, რაც მას ქართულმა მითოსურმა მსოფლგანცდამ შესძინა – როცა სამყაროს მოდელის (სკნელებად დანა-წილებული სფეროს) შინაარსი ჩააქსოვა:

საკრალური ხე წვერით ოქროს „შიბის“ (ჯაჭვის) მეშვეობით უკავშირდება ზეცას - ზესკნელს, სადაც მთავარი ღვთაება - მორიგე ღმერთია, ტანით (სვეტით) ადამიანი სამყოფს - შუასკნელს, ფესვებით - მიცვალებულთა სამყოფელს - ქვესკნელს; ადამიანების სამყოფელს კი ორი მხარე (ორი სკნელი) აქვს: **წინა სკნელი** და **უკანა სკნელი** მიცვალებულთა საფლავთან საკრალური ხის დარგვა მიცვალებულთან ხის ფესვების მეშვეობით დაკავშირების შესაძლებლობის რწმენის გამოხა-ტულებას უნდა წარმოადგენდეს. საკრალური ხის ამგვარსავე ფუნქციურ დატვირთვას ადასტურებს უგზო-უკვლოდ დაკარგულის ნეშტის ურთხელის ხის ტოტით შენაცვლების მისტერიული ჩვევა (დაკარგულის ტანსაცმლით ხის ტოტის შემოსვა და დაკრძალვა). მაგრამ ნ. ხაზარაძე და მისი თანაავტორი კვლევის ამ მიმართულებით არ დაინტერესებულან. მათ დააფიქსირეს ხეთური მარადმწვანე ხის (თ. გამყრელიძე - ვ. ივანოვის ურთხელის) კულტის გადმონაშთების არსება ეთნოლოგიის მასალების საფუძველზე და ქართული მითოსური აზროვნების ხეთურთან და

ევროპულთან ერთიანობაზე მითითებით შემოიფარგლნენ. არა და ქართული წარმართობის განსაკუთრებულობა და გამორჩეულობა აშკარად ჩანს თუნდაც მათ მიერ გაანალიზებულ ურთხელის ხესთან დაკავშირებულ წეს-ჩვევებსა და რიტუალებში (განსაკუთრებით ფშაურში). **საკრალური ხის კულტის რწმენა-წარმოდგენების ძველი შინაარსის რეალიები და მათი მსოფლგანცდითი ტრანსფორმაციები კიდევ უფრო ხელშესახებად შემონახულია ქართულ ფოლკლორულ მასალაში (ზეპირსიტყვიერ ტექსტებში), ხალხურ რწმენა-წარმოდგენების ჩანაწერებში (განსაკუთრებით XIX საუკუნის ტექსტებში).**

აღნიშნული თვალსაზრისით ერთ-ერთი უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი ჩანაწერი შემოგვინახა ცნობილმა ქართველმა პოეტმა, ეთნოლოგმა და ფოლკლორისტმა, ლექსიკოლოგმა და ლექსიკოგრაფმა რაფიელ ერისთავმა. იგი XIX საუკუნის 50-იან წლებში დასავლეთ საქართველოში მოღვაწეობდა, იყო ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის კოლუბიაკინის საგანგებო საქმეთა მოხელე. ძირითად სამსახურებრივ საქმიანობას წარმატებით უთავსებდა ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალის ძიებასა და პუბლიცირებას.

1857 წელს გაზეთ „კავკაზში“ (N97) მან გამოაქვეყნა საკრალურ ხესთან დაკავშირებული წეს-ჩვევის აღწერილობა, რომლის მოწამეც თავად ყოფილა. ამ აღწერილობის მიხედვით, იმერეთში (ოფიშკვეთში) და სამეგრელოში (ბანძა) წმინდა გიორგობის დღესასწაულზე (23 აპრილს) ხალხი საყდრის მახლობლად ამოარჩევდა დიდ ხეს, დაეკიდებოდა, აქანავებდა და ამგვარად ფესვებიანად მოსთხრიდა. სამჯერ შემოატარებდნენ ეკლესიის ირგვლივ, შემდეგ ხეს საყდრის კედელს მიაყუდებდნენ (ფესვებით მაღლა) და **ქვებით ჩაქოლავდნენ**!

რაფ. ერისთავი ამ აღწერით დაკმაყოფილდა, რადგან ვერავინ ნახა ამ უცნაური წეს-ჩვევის მცოდნე.

იდენტური ხალხური წეს-ჩვევა დააფიქსირა ცნობილმა ეთნოგრაფმა სერგი მაკალათიამ 1941 წელს სამეგრელოში, სოფელ ბანძაში, „ჭვენიერობის“ სახელწოდებით.

ს. მაკალათიას მიხედვით, ნააღდგომევს, ახალკვირის ორშაბათს. ბანძელები თავიანთი სტუმრებით მიაშურებდნენ წმინდა გიორგის ეკლესიას, გამართავდნენ ცეკვა-თამაშს. ნაშუადღევს გაბუნიების გვარის უხუცესი წითელ ბურთს შემოატარებდა სამჯერ ეკლესიას, წარმოსთქვამდა ლოცვას, შემდეგ მოედანზე გავიდოდა, ბურთს ორ გუნდად გაყოფილ ხალხს მაღლა აუგდებდა. ვინც ლელოს მოიტანდა, სიმღერითა და ბუკის კვრით ეკლესიას მიაშურებდა, მათ მეორე გუნდიც შეუერთდებოდა, სიმღერით ეკლესიას სამჯერ შემოუვლიდნენ და გაემართებოდნენ ხის მოსათხრელად - „ჯაში სოფუა“ (ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბილისი, 1941მ გვ. 371). ხალხი მისცვივდებოდა ხეს, მოთხრიდნენ, მოსტეხდენენ პატარა ტოტებს და შინ მიჰქონდათ, როგორც წმინდა ნაწილი. რაფ. ერისთავის მსგავსად, არც ს. მაკალათია წასულა ამ ხალხური წეს-ჩვევის აღწერის იქით.. დააფიქსირა, რომ რიტუალურ თამაშებში მონაწილე მხარეების მეთაურები ყოველთვის გაბუნიებისა და ფაღავების საგვარეულოებიდან იყვნენო.

ამ ჩვევის მისტერიულობაზე მიმანიშნებელია წმინდა გიორგი, მისი ეკლესია და მისი საკრალური იპოსტასი – წითელი ბურთი. ამ ბურთის დაუფლება ღვთაების ორიგინალური „განწილვის“ (მასთან წილნაყარობის) მისტერიაა. მისი არსი ღვთაებრივი უკვდავების მოპოვებაა. წითელი ბურთის დაუფლება დიონისური ორგიაზმის ტოლფასი ქმედებაა. ხის პატარა ტოტების სახლში წაღებაც საკრალური ხის კულტის წმინდა ნაწილის დაუფლებაა.*

ხის კულტი საქართველოში, როგორც ითქვა, უხსოვარი დროიდან ჩანს. იგი ქართული მითოსური მსოფლგანცდის ერთ კონკრეტულ გამოვლენას კი არ წარმოადგენს, არამედ ამ მსოფლგანცდითი მოდელის ცენტრალურ (სასაფუძვლო) ნაწილს: ოთხ სკნელად დაყოფილ სრულ

* ვრცლად იხ. თ. ჯაგოდნიშვილი, ერთი ხალხური რწმენა-წარმოდგენის სესახებ, წიგნში: ბერი კაცი ვარ, ნუ მამკლავ, თბ., 1990, გვ. 28-36.

ერთიანობას. ზედა ნაწილი - ზედა სკნელი ზეცას განასახიერებს - მთავარი ღვთაების (მორიგე ღმერთის) სამყოფელს. საკრალური ხე კენწეროზე გამობმული ოქროს ჯაჭვით (შიბით) უკავშირდება ზესკნელს მორიგე ღმერთი ღვთისშვილების მეშვეობით განაგებს ადაიანების სამყოფელს - შუასკნელს, რომელიც, თავის მხრივ, ორი ნაწილისაგან - წინასკნელისა და უკანასკნელისაგან - შედგება.

საკრალური ხე ფესვებით არის დაკავშირებული მიცვალებულთა სამყაროსთან - სულეთთან. ფესვების ძირში ვეშაწყარო ჩქეფს. სულეთი სააქაოსთან **სიმურღ მდინარით** არის გაყოფილი და „მკვდართა მზით“ არის განათებული. ქართული მითოსური მსოფლგანცდის ეს მოდელი ფშაური ლაშარის ჯვრის ლექსების ციკლშია წარმოდგენილი. იგი საერთო ფშავური წარმართული ღვთაებაა და ზეპირსიტყვიერი ტექსტების მიხედვით მისი სალოცავის სიახლოვეს არის აღმართული საკრალური ხე. უამრავი ხალხური ლექსის მიხედვით საკრალური ხე ლაშარის ჯვრის კარზეა ამოსული.

ლაშარის ჯვრის ლექსებში ისიც არის აღნიშნული, რომ ღვთაება საკრალური ხის (ბერმუხის) წვერზე გამობმული კიბით ადიოდა ზესკნელში და „საყმოთ შამონაზენი ღმერთთან ახქონდა იქითა“.* ეს მომენტი ასევე გამოკვეთილია, მაგალითად, ლექსში „ბრძანებდა ლაშარის ჯვარი“ (62) და სხვა.

ზოგიერთ ზეპირსიტყვიერ ლექსში საკრალური ხე უკვდავების მაზიარებელ ყურძენსაც „გამოისხამს“. ამ ყურძენს განახლების უნარიც აქვს. ყურძნის ჭამას ღვთაების ორგიალური განწილვის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ამ თემატიკის ზეპირსიტყვიერი ლექსები იმასაც ადასტურებენ, თუ როგორ იკარგებოდა ყურძნის თავდაპირველი მითოსური შინაარსი და როგორ იძენდა აკრძალული ხილის ფუნქციურ დატვირთვას, მაგალითად ისეთ ლექსებში, როგორიცაა „დღესამ დღეობა ვისია“ (50), „ლაშარის ჯვარი“ (61), „თევდორე და ქავთარისა“ (73) და სხვა.

ზეპირსიტყვიერებამ თვალსაჩინოდ შემოინახა ხის კულტის საკრალურობის კარგვის პროცესუალურობაც. ზოგ ლექსში საკრალური ხე გაურკვევლ „რუდიმენტად“ არის გადაქცეული, ხალხური ლექსის სტრუქტურაში მყარი გამონათქვამის მექანიკური არსებობის მოთხოვნილების ძალით. მაგალითად, ლექსში „თევდორე და ქავთარისა“ (73) საკრალური ალვის ხე გაურკვეველ „ოლვრის ხედ“ არის ქცეული: „წმინდის თევდორეს კარზედა ხე ოლვრად ამოსულაო, ზედ მოსხმია ყურძენი, სათქმელად მოწეულაო, ამის შემცოდე ქალ-ვაჟი უდროვოდ დაშაულაო“. ლაშარის ჯვარს ხალხურ ლექსებში წმინდა გიორგი შეენაცვლა, მაგრამ არ შეცვლილა მითოსური მოდელის სტრუქტურა.

ეს მოდელი შედარებით გამოკვეთილად შემონახულია ხევსურულ თქმულებაში „შურის ციხე“.* ქართული მითოსური მსოფლგანცდის სფერულ-სკნელური მოდელის არსებობას ადასტურებს თ. ჩხენკელიც.** აქაც ალვის ხე აერთიანებს ზესკნელს (ცხრაკეცი ოქროს შიბით - ჯაჭვის კიბით) შუასკნელს და ქვესკნელს, ანუ მაერთებელია საკრალური ხე.

საკრალური ხე სამყაროს სამსკნელს აერთიანებს მსოფლიოს არაერთი ხალხის მითოლოგიაში. ზოგან საკრალურ ხეს ანთროპომორფული ღვთაებაც ითავსებს. მაგალითად, ბერძნულ მითოლოგიაში ზევსი დაკავშირებულია წმინდა მუხასთან, სლავ ხალხთა და სკანდინავიელთა მითოლოგიაში საკრალურ ხეს ენათესავება ამინდის (ჭექა-ქუხილის) ღვთაება.

„საკრალურ ხეს სხვადასხვა ხალხის მითოლოგიაში ზოომორფული არსებებით ეთანადება, ინდოევროპულ მითებში საკრალური ხის წვერზე არწივი იმყოფება, ეგვიპტურში - ფასკუნჯი. ფასკუნჯი ზესკნელ-ქვესკნელში მოგზაურობს - ქვესკნელიდან (სულეთიდან) აჰყავს ღვთაებასთან

---

* ქართული ხალხურიპოეზია, ტ. I, თბ., 1972, 60 (ლექსის რიგითი ნიმერი)

* აკ. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, ხევსურული I, 1931, გვ. 222

** თ. ჩხენკელი, ტრაგიკული ნიღბები, თბ., 1971, გვ.10

წილნაყარი გმირი (ამირანი). საკრალურ ხეს ფესვებშიც უჩნდება ზოომორფული არსებები (გველი) და შუასკნელშიც (ბალახჭამია ცხოველები, ზოგან - ციყვი).

ქართულ მითოსში საკრალურ ხეს სხვანაირი მონაცვლეებიც ჰყავს. ერთი მხრივ, ესაა ციხე (წვერით ზეცას რომ ებჯინება, ძირით („მიწი-მიწ“ სავალი გვირაბით) - ქვესკნელს აღწევს (ამგვარი მოდელია წარმოდგენილი თქმულებაში „შურის ციხე“), მეორე მხრივ, ესაა საკრალური სვეტი (სვეტიცხოველი).

საკრალური სვეტი სხვა ხალხთა მითოლოგიაშიც დასტურდება, რომელიც არა მარტო აკავშირებს სამ სკნელს, არამედ აკავშირებს. ამაგრებს ზესკნელს (რათა არ ჩამოიქცეს).*

საკულტო ხე ზოგიერთი ხალხის მითოლოგიაში თავდაყირა დგას - ფესვები ზეცისკენ აქვს მიმართული. რაფ. ერისთავის მიერ აღწერილ ხის მოთხრის, ფესვებით მაღლა საყდრის კედელზე მიყუდებასა და ჩაქოლვის წესჩვევაშიც, შესაძლოა, სწორედ ფესვებით მაღლა აშვერილი საკრალური ხის ხსოვნადაკარგული რწმენა გამოსჭვიოდეს. აქაც ს. მაკალათიას მიერ გადმოცემული „ჭვენიერობის“ წესჩვევაშიც (ხის მოთხრა, ჩაქვავება) მითოსურის რელიგიურით შენაცვლების მისტერია უნდა იყოს დაფიქსირებული. შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ საკრალური ხის კულტს წმინდა გიორგის კულტი შეენაცვლა. წმინდა გიორგი პოპულარობით ხომ ყველა წმინდანს აჭარბებს.

„შურის ციხის“ მითოსში ის წარმოდგენაც იკითხება, რასაც ქართული მითოსური მსოფლგანცდა შეიცავდა. მსოფლიოს არაერთი ხალხის მითოსში არსებობა (ყოფიერება) მარადიულია, უცვლელი და უსაზღვრო, დროის დინების მიღმური, უსასრულო (დასასრულის არმქონე). ქართულ მითოსში კი საკრალური ხით (მისი ანალოგი ციხით) შეკრული ყოფიერება თავისთავში შეიცავს დასასრულს - საიდუმლოში შთაბეჭდილს. ეს საიდუმლო საკრალური ხის შებილწვა-დამხობას შეიცავს მის ძირში კატის დაკვლით. ამ ცხოველის სისხლით შებარბაცება საკრალური ხე და წაიქცევა, გაწყდება ცხრაკეცი ოქროს შიბი (ჯაჭვის კიბე), დაიქცევა ზეცა და დასრულდება მითოსის სამყარო. ეს მისტერია ზეპირსიტყვიერ ლექსში „ლაშარის ჯვარი ჯავრობდა“ (49) არის ასახული, თუმცა არც სხვა ლექსებისათვის არის უცხო (მაგალითად, „ბრძანებდა ლაშარის ჯვარი“ (62), „დიდობდა ლაშარის ჯვარი“ (63) და სხვა).

ლაშარის ჯვრის ციკლის ლექსებსა თუ ხევსურულ თქმულება „შურის ციხეში“ საკრალური ხის მითოსის მსხვრევა (დესაკრალიზაცია) იმდენად ღრმად ჩანს გამიწიერებული, რომ მითოსში შთაბეჭდილი საიდუმლოს გამცემად ისტორიული პირი ზურაბ ერისთავია დასახელებული - არაგვის ზვიადი ერისთავი, რომლის ფშავ-ხევსურეთის დამორჩილების მცდელობებმა ხალხურ პოეზიაში მთელი ციკლი შექმნა, ოღონდ უკვე არა მითოსური მსოფლგანცდისა, არამედ ისტორიული თემატიკის ლირიკული (ე. წ. საისტორიო ლირიკის) ლექს-სიმღერებისა.

საკრალური ხის კულტის ამსახველი ქართული ზეპირსიტყვიერი ტექსტებიც სწორედ იმით არის მნიშვნელოვანი ზოგადმითოსური (აქედან ზოგად კულტუროლოგიური) თვალსაზრისით, რომ შეიცავს ხის კულტის ძველთაძველ (ხეთური ცივილიზაციის თანადროული და თანახმიერ) ცოდნას. ამასთან ცხადყოფენ მასთან დაკავშირებული მითოსური ცნობიერებისა თუ მსოფლგანცდის თანდათანობით **(სტადიალურ**) დემითოლოგიზაციას (დესაკრალიზაციას) და ისტორიული რეალიების შემცველ ლექს-სიმღერებად გადაქცევას, და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, საკრალური ხის რწმენა-წარმოდგენის დესაკრალიზაციის პროცესში შთაბეჭდვას რიტუალში და ამით ახალი წესჩვევის დამკვიდრების ფაქტს, მის გადაქცევას ტრადიციული ყოფის შინაარსის განმსაზღვრელ დღესასწაულად. სწორედ ამაში უნდა დავინახოთ ხის თაყვანისცემის კულტის ქართული განცდის ისტორიული ტრანსფომაციები.

* ე. მელეტინსკი, მითის პოეტიკა, მოსკოვი, 1976, გვ. 215

Regarding the cult of the tree in the Georgian myth once again (thanks to the work of Academics N. Khazaradze and T. Tsagareishvili, "Cult of the Sacred Tree in Georgia")

Prof. T. Jagodnishvili, GTU

Summary: The tree cult is evidence of the existence of antique beliefs and practices that were common in Georgia in the distant past. Several aspects of the devotion of the sacred tree that have persisted to this day serve as evidence for this. The sacredness of the tree serves as the basis for the manner in which Georgian dwellings are arranged using the valley principle (e.g., Aragvi valley, Potskhovi valley, Dzama valley, Ivri valley, etc.).

The Georgian woman's name Khebibe (in Adjara) is covered by the shadow of worship of the tree; the same content is found in the Georgian language of the moon, which is fixed in the meaning of the distinguishing meaning of the interior (mother-pole) support of the house as well as others or the roof (tav-khe).

The myth of the Hittite telephone and the "evergreen" tree mentioned in written sources ($50 canon) excited the interest of N. Khazaradze, a researcher specializing in the issues of ancient Middle Eastern history, the Caucasus, and the ethnogenesis of Georgians, in seeking signs of the sacred tree cult in Georgia. In order to uncover mythical connections, he compared this tree to the tree known as Urtkheli in Georgia and studied the beliefs and practices associated with this tree as well as the comparable mythological depictions of the Hittites and other peoples.

Key words: Telephinus tale, sacred tree, tree cult, oral texts related to the Lashar cross cycle.

სწავლების მეთოდები მეცნიერ მღვდელმთავარ გაბრიელ ქიქოძესთან

ლია მეტრეველი საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის პროფესორი

„თითოეული წამი მისის ცხოვრებისა - მოძღვრებაა, მაგალითია, ანდერძია ჩვენთვის და ჩვენის ქვეყნისათვის. ერთად კი მთელი მისი ცხოვრება ერთი დიდი სკოლაა მაღალ-სათნოებისა და სიყვარულისა, მართლისა და ჭეშმარიტებასა, მადლისა და მოწყალებისა... განსვენებული ღრმად-მიწევნილი მეცნიერი იყო და იმოდენადვე ღრმად-მორწმუნეცა. აქ არის, ჩემის ფიქრით, მისი აღ-მატებულება, მისი მნიშვნელიბა არამც თუ მარტო ჩვენთვის, სხვისთვისაც, რადგანაც ბევრსა ჰგონია, რომ მეცნიერება და სარწუნოება ერთმანეთში მოურიგებელნი და მოუთავსებელნი არიანო. იგია მაგალითი ამ მორიგებისა და მოთავსებისა....“(ილია ჭავჭავაძე).

აბსტრაქტი: პედაგოგიურ მეცნიერებაში დიდი ხნის მანძილზე მუშავდებოდა პედაგოგიური ოსტატობისა და მისი ფორმირების პრობლემა,რომელოც ყველა ეტაპზე მრავლამხრივ საინტე-რესოა.

როგორ მოვახერხოთ, რომ საკლასო ოთახში არ გვყავდეს ნახევრად მძინარე, მოდუნებული, ინდიფერენტული ან სულაც სხვა საქმით დაკავებული მოსწავლეები? ამისთვის ოდითგანვე პედა-გოგებს მომარჯვებული ჰქონდათ კონკრეტული მეთოდები. ისინი ახერხებენ, რომ მათი მოსწავლე-ები მაქსიმალურად ამუშავებდნენ გონებას, ეს კი მოტივაციის გაძლიერების გარეშე წარმოუდგე-ნელია. სწორედ ეს გახლდათ ერთ-ერთი დიდი საფიქრალი გაბრიელ ეპისკოპოსთვისაც, რომელმაც წარმატებით გაართვა თავი ამ მეტად დამაფიქრებლ და საჭირბოროტო საკითხს.

ძირითადი ნაწილი: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას იაკობ გოგებაშვილმა მიმართა წერილობითი თხოვნით, სადაც ბატონი იაკობი ასაბუთებდა გაბრიელ ეპისკოპოსის დიდ ღვაწლს ქართველი ერისადმი და თხოვდა საზოგადოებას, რომ გაბრიელ ეპის-კოპოსი აერჩიათ საზოგადოების საპატიო წევრად, საყურადღებო ისიც რომ, ამ პერიოდში წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე ერის მამა ილია ჭავჭავაძე იყო. ქარ-თველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების საერთო კრებამ გაბრიელ ეპის-კოპოსი აირჩია საზოგადოების საპატიო წევრად, ერის მამა წერდა; ,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საერთო წევრთა კრებამ 21 ნოემბერს 1890 წლის ერ-თბაშად აღიარა უღრმესის პატივისცემით და გულითადის მადლობით თქვენი მრავალგვარი სამაგალითო მოღვაწეობა საზოგადო და ქართული მწიგნობრობის გავრცელებისათვის საკუთრად და ერთხმადვე, დაადგინა.; უმორჩილესად გთხოვთ მიიღოთ ამ ,,საზოგადოების'' საპატიო წევრობა, რათა თქვენი ბრწყინვალე სახელი ჩაერთვას მისთა საქმეთა და თქვენმა მონაწილეობამ გაუადვილოს ,,საზოგადოებას'' გზა მისაღწევად მისდა დანიშნულებისა.

გაბრიელმა, ეპისკოპოსმა იმერეთისამ, ფრიად დიდი სამსახური გაუწია ხალხის განათლებას საქართველოში;

ეპისკოპოსმა ორკლასიანი, კეთილმოწყობილი სკოლა დააარსა გურიაში, სოფელ ბახვში თა-ვისივე ხარჯით.

გახსნა მრავალი სამრევლო სკოლა, რომელთა წყალობით წერა-კითხვამ კარგად მოიკიდა ფეხი იმერეთის მხარეში.

ორ ტომად დაიბეჭდა მისი ფრიად შესანიშნავი ქადაგებანი, აქვე დავძენ, ეს იყო ხალხისთვის გასაგებ ენაზე დაწერილი ნაშრომი, რომელიც ინგლისურის ენაზედ კი თარგმნეს.

მეუფე გაბრიელი ერთობ დიდი დამცველი გახლდათ ქართული ენის და განათლებისა, რო-მელიც XIX საუკუნეშც,დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. მრავალმხრივი იყო მისი შრომა ამ მიმართულებით. ეპისკოპოსმა დაწერა მრავალი წერილი და ქადაგება. მან ამხილა ვაი ქართველი

მუხრანსკი, ეს ზუსტად ის მუხრან ბატონია, რომელსაც ილია ჭავჭავძემ თავის ცნობილ გამოცანებში საკმაოდ კარგად და მიგნებულად აუჭრელა ზურგი.

ბატონი მუხრანსკი წერდა, რომ მცირე ერები, მათ შორის ქართველებიც, „დიდ“ ხალხში გათქვეფის აუცილებლობას ვერ აცდებოდნენ, და რაც უფრო მალე მოხდებოდა ეს მოვლენა, მით უკეთესი.

„რით ამტკიცებ შენ, რომ ეს მოვლენა (მცირე ხალხის ენის განქარვება) არის ბუნების წესი?“ - ეკითხება გაბრიელ ეპისკოპოსი მუხრანსკის, - „პირიქით, ხალხი უნდა ეცადოს ენის გავრცელებას, გამდიდრებას და არა დამარხვასა და დაკარგვას“.მეუფე გაბრიელი თვლიდა, რომ „ხალხის ინდივიდუალობის უმთავრესი ელემენტი“ სწორედ ენაა. მშობლიურ ენას მოკლებული ყოველი ხალხი მოკლებულია ყოველგვარი ინდივიდუალურ ნიშან-თვისებას და „უსარგებლოა თავისთვისაც და სხვისთვისაც“.

დიდია როლი სწავლების ამოცანების განხორციელების საქმეში გაბრიელ ეპისკოპოსის, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ზოგად პედაგოგიურ საფუძვლებს, სწავლების აღმზრ-დელობით პრინციპებს, მათ დაკავშირებას ცხოვრებასთან, პედაგოგიურ პროცესში მოსწავლეთა ასაკობრივად განვითარებისა და სწავლების განმავითარებელი ფუნქციის გათვალისწინებას. აღმზრდელობითი სწავლება გულისხმობს სწავლების პროცესის მიზანმიმართულ და თანმიმ-დევრულ შეერთებას აღზრდასთან,ესე იგი სწავლებას უნდა ჰქონდეს აღმზრდელობითი ხასი-ათი და ცოდნასთან ერთად მოსწავლეები უნდა იძენდნენ იმ ზნეობრივ თვისებებს, რომლებიც აღზრდის მიზანდასახულობას შეესაბამება.

სკოლა თავის მიზანს, ცხადია, ძირითადად სწავლების საშუალებით ახორციელებს ,რასაც საფუძვლად უდევს აღზრდის პრინციპები. ამიტომ, სწავლება, იმავდროულად აღზრდასაც გულისხმობს. წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსს მიაჩნია,რომ მასწავლებელმა,თუ მას სურს მიაღწიოს დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებას, აუცილებლად უნდა გაუწიოს ანგარიში აღსაზრდელის ფსიქო-ფიზიკური განვითარების დონეს, მის უნარსა და შესაძლებლობებს. გაბ-რიელ ეპისკოპოსის დასწავლის ფაქტორს წარმოადგენს აზროვნება, როგორც ,,შემეცნებით უნართა მოქმედება, ესე იგი წარმოდგენები, მსჯელობები, დასკვნები, ცნებები“. აზროვნებაში კი განიხილავს წარმოსახვისა და მეხსიერების მონაწილეობას. მეხსიერება არის ჩვეულება, ჩვევა, რომელიც არაცნობიერ მოქმედებადაა გადაქცეული: ასეთი ჩვევა ყველა ადამიანს აქვს, მაგრამ არსებობენ ჩვევები, რომლებიც ცალკეული პირებისათვის არის დამახასიათებელი. ასეთია, ჩვევა ზოგიერთი სუსტი მოსწავლისა, რომელთაც შეუძლიათ სულმოუთქმელად და თითქმის გაცნობიერების გარეშე, წარმოთქვან კარგად დაზეპირებული გაკვეთილი.

განვითარებული ადამიანისათვის დახსომება ნიშნავს გააზრებას. გაგება-გააზრება მისი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია. წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსისათვის, აზრის დახსომებისას, დასაყრდენს წარმოადგენს, აგრეთვე, თვალსაჩინოება.

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი არჩევს თვალსაჩინოების ორ სახეს: საგნობრივს და სურა-თოვანს. ,,საუცხოოდ მოწყობილ,მაშინ მთელ საქართველოში ერთადერთი ფიზიკის კაბინეტში, თვალსაჩინოების გზით, შეძლო თეორიული სწავლებისა და პრაქტიკის თავისებური შერწყმა.

„საინტერესო და ყველასათვის მისაწვდომი ცდების შემდეგ კი, იგი მიმზიდველი ცოცხალი სიტყვით/სმენითი აღქმით/საბოლოოდ განამტკიცებდა მოსწავლეთა გონებაში ცოდნას. ასევე საყურადღებოა, რომ ახალგაზრდა პროფესორს შეუძენია ზოგიერთი ასტრონომიური ინსტრუ-მენტი, რომელთა დახმარებით იგი...სემინარიის აივნიდან საღამოობით აწარმოებდა ასტრო-ნომიურ დაკვირვებას“ (გოგებაშვილი 1990:159). სწავლების პროცესის გაუმჯობესების ერთ-ერთ საშუალებად წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსს მიაჩნდა სისტემატიურობისა და თანამიმდევრობის დიდაქტიკური პრინციპი, რადგან იგი წარმოადგენს სასწავლო მასალის გადაცემისა და შეთ-

ვისების სისტემის საფუძველს. მასზეა აგებული ყველა დიდაქტიკური წესი/ნაცნობიდან უცნობისაკენ, მარტივიდან რთულისაკენ, ახლობელიდან შორეულისაკენ/.

სისტემატიურობისა და თანამიმდევრობის პრინციპზე იგება; არ ახალია, ძველია, სასწავლო გეგმები და პროგრამები, რომელთა ღირსება და აუცილებლობა, განისაზღვრება,თუ რამდენად უზრუნველყოფს იგი სისტემური ცოდნის თანმიმდევრულ შეთვისებას. და, აი სწორედ ამ პრინციპზე დააფუძნა გაბრიელ ეპისკოპოსმა სემინარიის სასწავლო გეგმა და პროგრამები. საყურადღებო ის ფაქტი, რომ მღვდელმთავარი ხაზგასმით აღნიშნავდა მასწავლებლის პიროვნული თვისებების უდიდეს მნიშვნელობას და მთავარ თვისებად მიაჩნდა ხასიათის სიმტკიცე, პირუთვნელობა, პატიოსნება, უშიშრობა, სიმართლისა და მართლის გამოსარჩლება. იგი მსჯელობდა რა მასწავლებლის პროფესიის შესახებ. ერთ-ერთ ქადაგებაში მღვდელმთვრი წერდა: უკეთუ შენ ხარ მასწავლებელი, ესე იგი გყვანან მოწაფენი, რომელთა შენ ასწავლი, ანუ წიგნსა, ანუ რომელსამე ხელობასა, მაშინ უფრო ფიცხელი და პირუთვნელი ანგარიში უნდა მისცე შენ სინდისსა. რა სახით ასრულდება ეს მოვალეობა გასული წლის განმავლობაში? გახსოვდეს შენ ყოველთვის, რა დიდი საქმე არი მოსწავლის გაზრდა? რა მძიმე პასუხს მოითხოვს ღმერთი მასწავლებლისგან? მასწავლებელმა მარტო წიგნი, ანუ ხელობა კი არ უნდა ასწავლოს მოწაფესა, არამედ, უწინარეს ყოვლისა, პატიოსნება, შრომისმოყვარეობა, ერთი სიტყვით ქრისტიანობა. „წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის პედაგოგიური მოძღვრების ერთ-ერთ ძირითად ნაწილს წარმოადგენს დიდაქტიკა. მისი სწავლების თეორია გაჯერებულია აღზრდა განათლების მიზნებით, სწავლების პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური საფუძვლებით, დიდაქტიკური პრინციპების კონკრეტული ხერხებით და სწავლების მეთოდებით. არაერთ მრავალფეროვან საკითხს განიხილავდა და ქადაგებდა, დიდი საეკლესიო მამა, მაგრამ, ეს გახლდათ უნიშვნელოვანესი და გამორჩეულად მნიშვნელოვანი საკითხი, მისი შემოქმედებიდან. გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღეს და მისი სასწავლო და სააღმზრდელო პროცესში ჩართვა ზნეობრივი აღზრდის ხელისშემწყობად გვევლინება, ამიტომ ავირჩიე საკონფერენციო თემად და შევეჭიდე ურთულეს პრობლემებს იმ იმედით, რომ მცირედ წვლილს შევიტანდი დიდი წმინდანის სწავლებების საგანმანათლებლო პროცესში ჩართვისათვის.

საინტერესო და საყურადღებოა ერთი რამ, ქართული ფილოსოფიის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია გაბრიელ ქიქოძის ნაშრომს „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“, რომელიც რუსულ ენაზე გამოიცა სანკტ-პეტერბურგში, 1858 წელს. ნაშრომმა, როგორც კი იხილა დღის სინათლე ცნობილი ინტელექტუალების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. არც ცნობილი რუსი მოაზროვნე, მწერალი და კრიტიკოსი ნიკოლაი ალექსანდრეს ძე დობროლიუბოვი აღმოჩნდა გულგრილი რომელმაც ჟურნალ „სოვრემენიკში“ („Современник“) გაბრიელ ქიქოძის „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლებზე“ კრიტიკული რეცენზია გამოაქვეყნა, აღსანიშნავია, რომ ნაშრომი გაშუქებული იყო პოზიტიური კუთხითაც ... თუმცა, კრიტიკული შენიშვნებიც ვრცლად იყო გადმოცემული. დობროლიუბოვის აზრით, არქიმანდრიტ გაბრიელის წიგნი - სხვა ფსიქოლოგიურ ნაშრომებთან შედარებით - არსებითად ახალს არაფერს გვეუბნება. მაგრამ ,,მიუხედავად ამისა, იგი ფიქრობდა, რომ სხვა ფსიქოლოგიური ნაშრომებისგან ეს ნაშრომი სპეციფიკურად ახალი მეთოდითა და ფსიქოლოგიური ფაქტების სიუხვით გამოირჩეოდა.. ცნობილი რუსი რეცენზენტის მიხედვით, სწორედ ეს წარმოადგენდა არქიმანდრიტ გაბრიელის წიგნის მთავარ ღირსებასა და უპირატესობას. მართალია, ბატონ დობროლიუბოვის რეცენზიაში ადგილი ჰქონდა ცალმხრივი და ტენდეციურ შეფასებას, მაგრამ მისი მითითება გაბრიელ ქიქოძის ახალ მეთოდზე საყურადღებო და დამაფიქრებელიც იყო. მეუფე გაბრიელი მრავალმხრივ საინტერესო ადამიანი გახლდათ, იგი მტკიცედ აღუდგა წინ კავკასიის სასწავლო მზრუნველის იანოვსკის წინადადებას, „ქართული სამღვდელოების გონების შეზღუდულობის გამო“

პირველ დაწყებით სკოლებში რუსი სამღვდელო პირები დაენიშნათ. ასე მოიქცა მაშინაც, როცა იანოვსკის პოლიტიკის გამტარებელმა, ქუთაისის გუბერნიის სკოლების დირექტორმა ლევიტ-სკიმ სცადა სასწავლებლიდან ქართულის გაძევება. ამის გამო ლევიტსკი გააფრთებით ებრძოდა მეუფეს და მოითხოვდა მის გადაყენებას ეპისკოპოსობიდან. და ბოლოს, განუსაზღვრელია გაბ-რიელ ეპისკოპოსის ღვაწლი, როგორც სასულიერო ცხოვრებაში, ასევე მეცნიერებაში. თავისი ცხოვრებით და თავისი გამოსვლებით გაბრიელ ეპისკოპოსი ჯიუტად ცდილობდა საკუთარი პოზიციის მართებულობის დასაბუთებას, რამაც არსებითად გადაწყვიტა მისთვის ავის მომტანი განაჩენი. განაჩენს, გვერდი ვერ აუარა ილია ჭავჭავაძის შესანიშნავ გამოსვლამ; „სიტყვა, თქმული გაენათის მონასტერში გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს 1896 წელს“.

გამორჩეულად მართალი სიტყვით, ერის მამამ, ილიამ ახალი ეპოქის რელიგიური მოღ-ვაწის სახე შექმნა. ეს იყო ადამიანი, რომელმაც შეაერთა მეცნიერება და სარწმუნოებაო, ამბობს იგი გაბრიელ ეპისკოპოსის შესახებ. „მე არ ვიცი იმისთანა სხვა კაცი, საერო თუ სამღვდელო, რომლის გულშიაც მომეტებულის მშვიდობისყოფით, მომეტებულის დაძმობით ერთად დაბი-ნავებულიყოს სამოქმედოდ მეცნიერების და სარწმუნოების თანხვედრა“.... წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის საგანმანათლებლო მოღვაწეობამ ახალი მიმართულება მისცა საგანმანათლებლო მიმართულებას საქართველოში.რომელის მნიშვნელობა აქტუალობას არ კარგავს დღესაც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. იაკობ გოგებაშვილი ,,მთავარი ღირსება გაბრიელ ეპისკოპოსისა“ გაზეთი ,,ივერია“.
2. გოგებაშვილი 1990: გოგებაშვილი იაკობ ,,თხზულებანი“ ტომი IV თბილისი.
3. გაბრიელ ეპისკოპოსი 1989; ქადაგებები, ტომი II, ქუთაისი.
4. გაბრიელ ეპისკოპოსი 1989; ქადაგებები, ტომი I, ქუთაისი.
5. გაბრიელ ეპისკოპოსი 1993; ,,ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“, თბილისი.
6. კანდელაკი 1968; ნიკოლოზ კანდელაკი ,,ქართული მჭევრმეტყველება“, თბილისი.
7. კელენჯერიძე 1913;კელენჯერიძე მ. ,,გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა“, ქუთაისი.
8. მეგრელაძე 2003; ციალა მეგრელაძე, ,,რელიგიურ-ეთიკური ნორმების ცოდნის სასწავლო პრო-ცესში ჩართვის გზები და საშუალებები“, ბათუმი.
9. მეგრელაძე 1990; ციალა მეგრელაძე, ,,კაცთა შორის სათნოება“, ბათუმი.

Teaching methods with the scientific high priest Gabriel Kikodze

Lia Metreveli, Georgian Technical University, professor

Summary: The field of pedagogical science has long been dedicated to addressing the challenge of pedagogical mastery and its formation. Throughout its development, it has explored various intriguing aspects. One persistent question has been: How can educators prevent students from being disengaged, lethargic, indifferent, or distracted during their studies? To address this, teachers have employed various methodologies throught the ages. Their objective has been to engage their students' minds to the fullest extent possible, a task that would have been unattainable without enhancing motivation. This thought-provoking and challenging problem was among the issues tackled by Bishop Gabriel, who managed to successfully navigate it.

ერთია კიდევ, მეუფე რომ უშიშარი კაცი იყო დასტურად ამისა მოგითხრობთ საკმაოდ ცნობილ, საინტერესო ისტორიას 1888-ის შემოდგომაზე ალექსანდრე მესამე (რუსეთის იმჟამინდელი იმპერატორი) ჩამოვიდა საქართველოში. ჯერ თბილისს მოვიდა, მოიარა კახეთი და ბოლოს ქუთაისს ეწვია. აქ სადგურიდან პირდაპირ სობოროში გაემართა, სადაც გაბრიელს პარაკლისი (საეკლესიო მღვდელმსახურება, სავედრებელი ან სამადლობელი ლოცვა) უნდა გადაეხადა.

ეტლი სობოროს კიბესთან გაჩერდა. ხელმწიფემ ამალის თანხლებით აიარა კიბე, შევიდა სობოროში და ამბიონისკენ გაემართა, როდესაც ეპისკოპოსის ხმა მოესმა: - შესდექ, რუსეთის ხელმწიფევ!..

ხელმწიფე შეყოყმანდაო, ამბობდნენ დამსწრენი, უნდოდა სვლა განეგრძო, მაგრამ უნებლიეთ შედგა კარიბჭეში, სადაც ეპისკოპოსის შემოძახებამ მოასწრო, და ცხადის უკმაყოფილებით მოისმინა ეპისკოპოსის სიტყვა.

- ეს ქვეყანა უძვირფასესი მარგალიტია შენს გვირგვინშიო, - უთხრა სხვათა შორის თავის მისალმებაში გაბრიელმა, - და როგორც ასეთი, სხვა ყურადღებისა და სხვა ზრუნვის ღირსია, სხვა მოპყრობას მოითხოვს, ვიდრე ის, რომელსაც ადგილი აქვსო...

ეროვნული უკმაყოფილება და ჩივილი იმდენად ნათლად იყო გამოთქმული ეპისკოპოსის სიტყვაში, რომ იმთავითვე გუნება გაფუჭებული იმპერატორი სულ მოიღრუბლა. ის ღრუბელი ვერც იმ საღამოს თავადაზნაურობის მიერ გამართულმა ნადიმმა გადაუყარა სახიდან ცნობილია, რომ მეუფემ რთულად და საინტერესოდ განვლო გზა ამ საწუთროში. რთული იყო მის ბოლო დღეებიც. მეუფე გაბრიელს მძიმე სულიერი ბრძოლები დაეწყო, ხშირად ტანჯავდნენ საშინელი მოჩვენებანი. კაცთა მოდგმის მტერმა უკანასკნელი ბრძოლა გამართა, რათა ფიზიკურად დასუსტებული მოხუცი სულიერად ეძლია. გარდაცვალების წინა დღეს მეუფე შემდეგ სიტყვებს იმეორებდა: „ღმერთო, მოწყალე მექმენ მე ცოდვილსა“, ხოლო სულის ამოსვლის წინ ამბობდა: „მომიხსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა“. 1896 წლის 25 იანვარს მღვდელმთავარი გარდაიცვალა. უჩვეულოდ დიდი ზამთარი ყოფილა იმ წელს ქუთაისში. გზები თოვლისაგან იყო ჩალეტილი. არათუ მიცვალებულის ღირსეული გაპატიოსნება, გელათში წასვენება და დაკრძალვა ვერ მოხერხდა უამინდობის გამო, არამედ მეზობელს მეზობელთან მისვლაც კი უჭირდა, ამიტომ გადაწყვიტეს, დაეცადათ გაზაფხულამდე, ვიდრე თოვლი არ გადნებოდა და გზები არ გაიხსნებოდა. მანამდე კი მეუფეს ცხედარი ქუთაისის საკრებულო ტაძარში დაასვენეს. ისეთი დიდთოვლობა იყო, რომ არქიელის გორიდან გამოსვენებულ ცხედარს ადევნებული პროცესია შენობების სახურავებით უფრო მიდიოდა, ვიდრე ქუჩაზე. მიუხედავად უამინდობისა, საკრებულო ტაძარში მიცვალებულის გადასვენებას დიდძალი საზოგადოება დაესწრო. საყურადღებო, საინტერსოა გავბედავ და ვიტყვი საკვირველიცა ერთი რამ,46 დღე ეთხოვებოდა გაბრიელ ეპისკოპოსს სრულიად საქართველო და მთელი ამ დროის მანძილზე მისი გვამი არ გახრწნილა.

ღირსეული კაცი გახლდათ ეპისკოპოსი. ღირსეულადაც აღასრულა ჩვენი დიდი წინაპარის სიტყვები; „ მიეცთ გლახაკთა საჭურჭლე“!.... გარდაცვალებულის პირადი ქონება, საკუთარი სურვილით, მთლიანად ქვრივ-ობლებსა და ღარიბებს დაურიგდა. გამოქვეყნდა გაბრიელ ეპისკოპოსის გამოსათხოვარი საოცარი სიტყვა. მეუფე უკანასკნელ შენდობას ითხოვდა ყველასაგან და თვითონაც ყველას მიუტევებდა შეცოდებებს.

რამდენიმე წერილი გიორგი წერეთლის გარდაცვალების შესახებ

მანანა ქაჯაია, საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

რეზიუმე: ნაშრომში საუბარია XIX საუკუნის დიდ ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეზე - გიორგი წერეთელზე. აქვე განხილულია გიორგი წერეთლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ჟურნალ „კვალში“ გამოქვეყნებული რამდენიმე პუბლიკაცია მწერლის ღვაწლსა და შემოქმედებაზე.

ჩვენი აზრით, საყურადღებო და მეტად მნიშვნელოვანია ნოე ჟორდანიას, ფილიპე მახარაძის, სილ. ფირცხალავას, ვასილ წერეთლის მიერ გამოთქმული მოსაზრებები.

განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ, ნოე ჟორდანიას პატარა გამოსათხოვარი წერილი, ვფიქრობთ, მრავლისმომცველია ნოე ჟორდანიას მიერ გიორგი წერეთელთან დამოკიდებულება მეტად მხატვრული და პოეტური ახსნა: „...გულის მონადირება შეუძლია მხოლოდ გულს და, აი, სწორედ შენში ვიხილე მე ამნაირი გული, ამ საერთო სასოწარკვეთილებაში ვხედავ სიმხნევეს და ძლიერებას, ამ საყოველთაო მოხუცებაში შენშივხედავდი მე ახალგაზრდულ ოცნებას და გატაცებას“. მართლაც, გ. წერეთლის, როგორც პიროვნებას, ჰქონდა თავისებური ხიბლი, რაც მისი დაკრძალვისას წარმოთქმულ სრულიად განსხვავებული შეხედულებების მქონე პირთა სიტყვებშიც გამოიხატა.

ასევე საყურადღებოა ფილიპე მახარაძის წერილი - „გიორგი წერეთელი, როგორც ისტორიკოსი და არქეოლოგი“, სადაც ხაზგასმულია, რომ მწერალი ისტორიული ევოლუციის განვითარების გააზრებას ემხრობოდა.

ფილიპე მახარაძე მაღალ შეფასებას აძლევდა გიორგი წერეთლის ნარკვევს „ფილოლოგიური განხილვა ქართული ენისა“. იგი მიუთითებდა, რომ პირველი აზრი მხედრული ანბანის ხუცურიდან თანდათანობით განვითარების შესახებ სწორედ გიორგი წერეთელმა გამოთქვა ჯერ კიდევ 1871 წელს.

ფ. მახარაძის თქმით, გიორგი წერეთელი იყო საუკეთესო თანამედროვე დარბაისელი ქართველი კაცი. ე. ი. საუკეთესო მოქალაქეთაგანი.

რაც შეეხება ს. ფირცხალავას წერილს, მის ავტორს მოკლედ, მაგრამ საინტერესოდ აქვს განხილული გიორგი წერეთლის ნაწარმოებების პერსონაჟთა ტიპები: კუდაბზიკა, კიკოლიკი, იმათ მოყვება ბახვა ფულავა და სხვები.

საინტერესო წერილი აქვს გამოქვეყნებული ვასილ წერეთელს, იგი ბახვა ფულავას „თავისუფალ, ძლიერ ტიპად თვლიდა“.

ზემოხსენებულ პუბლიკაციებში საინტერესოდაა ასახული ობიექტური სინამდვილე და საგულისხმო მოსაზრებებია გამოთქმული.

გიორგი წერეთლის ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში მნიშვნელოვნად დიდია და ამიტომაც, ქართველ კრიტიკოსთა ინტერესი მწერლის შემოქმედების მიმართ გადაუჭარბებლად დამსახურებულია.

საკვანძო სიტყვები: წერეთელი, ავტორი, ევროპული ხიბლი.

XIX საუკუნის დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გიორგი წერეთელი 12 იანვარს გარდაიცვალა. მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი მასალები ჟურნალ „კვალში“ ძირითადად მესამე ნომერში დაიბეჭდა, ჩვენი აზრით, საინტერესოა საკმაოდ ვრცელი ნეკროლოგი, რომელიც მწერლის მამის ექვთიმე წერეთლის მოკლე, მაგრამ აზრიანი დახასიათებით იწყება.

ასე რომ, გიორგი წერეთელს მკითხველი არა მარტო შესანიშნავ პიროვნებად, არამედ ღირსეულ ოჯახში აღზრდილ ადამიანად აღიქვამს.

ნეკროლოგში აღნიშნულია, რომ გიორგი წერეთელი პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლისას განსაკუთრებით დაინტერესდა ემბრიოლოგიით და ჯერ კიდევ მეორე კურსის სტუდენტმა ჩანასახის განვითარების თაობაზე საკუთარი თეორია შექმნა. აქვე აღნიშნულია, რომ მწერალი 1861 წელს სტუდენტურ გამოსვლებში მონაწილეობდა. ავტორი დაწვრილებით ჩამოთვლის გიორგი წერეთლის ბიოგრაფიის საყურადღებო მომენტებს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „გიორგის იდეალი დასავლეთი ევროპა იყო, ის დარწმუნებული იყო რომ ჩვენი ცხოვრება ევროპულ ცხოვრების გზაზე მიდიოდა და ღონესა და ნიჭს არ ზოგავდა, რომ ხალხი გამოეფხიზლებინა და საზოგადოებისათვის ახალი დროის მოთხოვნილება და მიდრეკილება დაენახვებინა“ (წერეთელი, 1900:38).

ჩვენი აზრით, გიორგი წერეთლის შეხედულებათა ამგვარი შეფასება ნამდვილად რეალურია და მით უმეტეს დღეს მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა იმსახურებდეს. ავტორის აზრით, სწორედ ევროპული ცხოვრების წესის უშუალოდ გაცნობის მიზნით, გ. წერეთელი სხვა ქართველ ახალგაზრდებთან ერთად 1873 წელს ჯერ ციურიხში, ხოლო იქიდან ჟენევაში გაემგზავრა. შემდეგ ნეკროლოგში ისევ ქრონოლოგიური თანამიმდევრობით არის გადმოცემული მწერლის ბიოგრაფიის საკვანძო მომენტები. ავტორს მოყვანილი აქვს მწერლის ცოცხალი სიტყვა, რომელიც დღეს, ჩვენი აზრით, განსაკუთრებული აქტუალობით ჟღერს: „სანამ ჩვენი ხალხო ქონებრივად ცოტა არ მომჯობინდა, სურვილიც რომ დაებადოს, მაინც ვერ დაწინაურდება გონებრივად“ (იქვე, 39).

ჩვენი აზრით, ნეკროლოგში, ძალიან ლაკონიურად, მაგრამ არსებითად სწორად არის განსაზღვრული გ. წერეთლის ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. „კვალის“ ამავე ნომერშია დაბეჭდილი ნ. ჟორდანიას პატარა გამოსათხოვარი წერილი. ბუნებრივია მასში თავისებურად არის არეკლილი როგორც ავტორის პოზიცია და პოლიტიკური სიმპათიები, ისე მისი პირადი დამოკიდებულება გ. წერეთლისადმი, ვფიქრობთ, მრავლისმეტყველია ნ. ჟორდანიას მიერ გიორგი წერეთელთან დამოკიდებულების მეტად პოეტური ახსნა: „გულის მონადირება შეუძლია მხოლოდ გულს და, აი, სწორედ შენში ვიპოვე მე ამნაირი გული. ამ საერთო სასოწარკვეთილებაში ვხედავდი მე სიმხნევეს და ძლიერებას! ამ საყოველთაო მოხუცებაში შენში ვხედავდი მე ახალგაზრდულ ოცნებას და გატაცებას“ (წერეთელი, 1900:40). ეტყობა გ. წერეთელს, როგორც პიროვნებას, მართლაც ჰქონდა თავისებური ხიბლი, რაც მისი დაკრძალვისას წარმოთქმულ სრულიად განსხვავებული შეხედულებების მქონე პირთა სიტყვებშიც გამოიხატა.

ნ. ჟორდანია განსაკუთრებით აღნიშნავს გიორგი წერეთლის ხასიათის პირდაპირობას: „... რა გარემოებაშიც არ უნდა ყოფილიყო ის, თავის აზრს პირდაპირ მოუფერებლივ გეტყოდა. ლაქუცობა, თავზე ხელის მოსმა და ამით კაცის მოყიდვა მისთვის არ დაწერილა, დიპლომატობა და პოლიტიკობა მისთვის არ არსებობდა, გეწყინებოდა თუ გესიამოვნებოდა ეს მისთვის სულ ერთი იყო, მან იცოდა მხოლოდ, რომ მართალს ამბობდა და ამის დამალვა არ ეხერხებოდა“ (იქვე, 41).

ნ. ჟორდანიას აზრით, გიორგი წერეთელს საერთოდ ახასიათებდა მხნეობა, პირდაპირობა, გულწრფელობა, უანგარობა და გულკეთილობა.

ჟურნალ „კვალის“ მესამე ნომერშია დაბეჭდილი ფ. მახარაძის წერილიც „გ. წერეთელი, როგორც ისტორიკოსი და არქეოლოგი“, აღნიშნული წერილი გარკვეულ ინტერესს მოკლებული არაა. ფილიპე მახარაძე მიმოიხილავს გიორგი წერეთლის ისტორიული ხასიათის შრომებს და მათ მაღალ შეფასებას აძლევს, რადგან მიაჩნია, რომ გ. წერეთელი ყოველთვის სათანადო არგუმენტების მოშველიებით ამაგრებს ამა თუ იმ ისტორიულ მოვლენაზე გამოთქმულ მოსაზრებას და თვით პატარა მონოგრაფიაშიც კი „ნათლად გვიხატავს მთელი ეპოქის სურათს“ ამასთან ფ. მახარაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მწერალი ისტორიის ევოლუციური განვითარების გააზრებას ემსახურებოდა.

გ. წერეთლის არქეოლოგიური ნაშრომებიდან ფ. მახარაძე გამოყოფდა მართლაც მაღალ დონეზე შესრულებულ შრომას: Археологическая прогулка по квирильскому ущелью: Кацхский

монастырь, Гвимский монастырь, Саванская базилика, развалины зхвевского храма, развалины Синагуры, Чабукас - мта и св. Гиорги, რომელიც 1898 წელს გამოქვეყნდა.

ფ. მახარაძე განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევს გ. წერეთლის ნარკვევს „ფილოლოგიური განხილვა ქართული ენისა“, იგი მიუთითებს, რომ პირველად აზრი მხედრული ანბანის ხუცურიდან (ასომთავრული, ნუსხა-ხუცური. - **მ.ქ.**) თანდათანობით განვითარების შესახებ სწორედ გ. წერეთელმა გამოკვეთა ჯერ კიდევ 1872 წელს, თანაც აღნიშნავს, რომ მწერლის ეს მოსაზრება ქრონოლოგიურად წინ უსწრებდა ცნობილი ისტორიკოსის დ. ბაქრაძის მიერ გამოქვეყნებულ იმავე მოსაზრებას, რომელიც ისტორიკოსმა ჯერ კიდევ 1881 წელს თბილისში წაკითხულ მოხსენებაში „Грузинская палеография“ გამოთქვა, ხოლო შემდეგ რუსეთის მე-5 არქეოლოგთა ყრილობაზე წაიკითხა“ (დუმბაძე, 1950:64). კერძოდ, ფ. მახარაძე აღნიშნავს: „დ. ბაქრაძის პალეოგრაფიული გამოკვლევა მხედრული თანდათან განვითარდა ხუცურისაგან, მაგრამ ეს აზრი გარკვევით პირველად გ. წერეთელმა წარმოთქვა ჯერ კიდევ 1872 წელს. ყოველივე ეს ამტკიცებს ღრმა დაკვირვებას და ორიგინალობას“ (მახარაძე, 1900:48).

საინტერესოა, რომ გ. წერეთლის მოსაზრება ქართული ანბანის განვითარების თაობაზე არ არის განხილული რ. პატარიძის საყურადღებო წიგნში „ქართული ასომთავრული“, რომელშიც ქართულ დამწერლობასთან დაკავშირებით ბევრი საყურადღებო მოსაზრებაა გაანალიზებული.

ვფიქრობთ, შემდეგში გათვალისწინებული იქნება გ. წერეთლის აღნიშნული ნაშრომიც. საკითხის კვლევის ისტორიისათვის, ჩვენი აზრით, მათ გარკვეული ღირებულება აქვს.

წერილის დასასრულს ფ. მახარაძე აღნიშნავს, რომ გ.წერეთელი იყო „... საუკეთესო თანამედროვე დარბაისელი, ქართველი კაცი, ე. ი. საუკეთესო მოქალაქეთაგანი“ (იქვე, 48).

ჟურნალ „კვალის“ N4-ში დაიბეჭდა გ. წერეთლის გარდაცვალებასთან დაკავშირებული რამდენიმე მასალა, კერძოდ, მწერლის დაკრძალვის დროს ს. ფირცხალავასა და ვ. წერეთლის მიერ წარმოთქმული სიტყვები.

ს. ფირცხალავა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მის მიერ (გ. წერეთლის მიერ. - **მ.ქ.**) გამოყვანილი ტიპები - „კუდაბზიკა, კიკოლიკა გულიდან არიან ამოღებული, მისი მოთხრობები ცხოვრების სარკეა და თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ გიორგი წერეთელი პირველი და საუკეთესო რეალისტი იყო ჩვენში“ (ფირცხალავა, 1900:58).

ს. ფირცხალავა განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას გ. წერეთლის ენაზე, მის ნიჭზე - „პოპულარული ენით“ ეწერა, მეცნიერულ მოღვაწეობაზე, რაც ხელს უწყობდა უბრალო ხალხის განათლებას.

ვ. წერეთლის სიტყვაში ძალიან საინტერესოდ არის დახასიათებული ბახვა ფულავა, კერძოდ, იგი ამბობს: „ავიღოთ, მაგალითად, გ. წერეთლის ერთი ტომთაგანი, ბახვა ფულავა, რა ძლიერი ღირებულებით შემკობილი ტიპია: და ამ ძლიერების გამოხატვაში არავითარი ნაძალადეობა არ ჩანს, ძალა თავისთავად მიმდინარეობს, იქ ძალა არ არის, სადაც ვინმე თავს ძალას ატანს. გიორგი წერეთლის ნიჭმა და ძლიერმა სულმა გაუჭირვებლათ, ადვილად არა ნაძალადევათ, შეჰქმნეს, მშვენიერი, თავისუფალი, ძლიერი ტიპი ბახვა ფულავასი. გ. წერეთელმა ენერგიის ქართველური სიუხვე გამოხატა ბახვა ფულავაში, და საზოგადოდ, მისებურ ტიპებში“ (წერეთელი, 1900:63).

როგორც ვხედავთ ვ. წერეთელი მართლაც საგულისხმოდ ახასიათებს ბახვა ფულავას „თავისუფალ, ძლიერ ტიპს“. სამწუხაროდ, სამგლოვიარო სიტყვა, რა თქმა უნდა, ვ. წერეთელს არ აძლევდა იმის საშუალებას, რომ უფრო ვრცლად ელაპარაკა გ. წერეთლის მხატვრულ შემოქმედებაზე, მაგრამ ვფიქრობთ, ბახვა ფულავას ეს დახასიათება მაინც საყურადღებოა.

ზემოხსენებულ პუბლიკაციებში საინტერესოდაა ასახული ობიექტური სინამდვილე და საგულისხმო მოსაზრებებია გამოთქმული.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დუმბაძე გ. (1950). „ისტორიკოსი დ. ბაქრაძე (ცხოვრება და მოღვაწეობა)“. ბათუმი.
2. მახარაძე ფ. (1900). „გ. წერეთელი, როგორც ისტორიკოსი და არქეოლოგი“. „კვალი“, №3.
3. ფირცხალავა ს. (1900). „სიტყვა წარმოთქმული წერეთლის დასაფლავებისას“. „კვალი“, №4.
4. წერეთელი გ. (1900). „ნეკროლოგი“. „კვალი“, №3.
5. წერეთელი ვ. (1900). „სიტყვა - წარმოთქმული“ გ. წერეთლის დასაფლავებისას“. „კვალი“, №4.

Some letters about Giorgi Tsereteli's death

Manana Kajaia - Georgian Technical University,

Assoc. Professor

Summary: The article talks about the great Georgian writer and public figure of the 19th century - Giorgi Tsereteli. Several publications on the merits and creativity of the writer published in "Kvali" magazine in connection with Giorgi Tsereteli's death are discussed here.

In our opinion, noteworthy and very important are the ideas expressed by Noe Jordania, Filipe Makharadze, Sil. Firtskhalava, Vasil Tsereteli.

In particular, we should mention Noe Jordania's small farewell letter, we think that Noe Jordania's artistic and poetic explanation of his relationship with Giorgi Tsereteli is comprehensive:: "... only the heart can hunt the heart, and I saw such a heart in you, in this common despair I see courage and strength, in this universal old age I could see youthful dreams and passion in you." Indeed, G. Tsereteli, as a person, had a peculiar charm, which was also expressed in the words of people with completely different views at his funeral.

Filipe Makharadze's letter - "Giorgi Tsereteli, as a historian and archaeologist" is also noteworthy, where it is emphasized that the writer was in favor of understanding the development of historical evolution.

Filipe Makharadze highly rated Giorgi Tsereteli's essay "Philological discussion of the Georgian language". It indicates that the first opinion about the gradual development of the modern Georgian alphabet from Khutsuri was expressed by Giorgi Tsereteli back in 1871.

According to F. Makharadze, Giorgi Tsereteli was the best modern sedate Georgian mani. e. one of the best citizens.

As for S. Firtskhalava's letter, its author briefly but interestingly discussed the character types of Giorgi Tsereteli's works: Kudabzika, Kikoliki, Bakhva Fulava and others.

Vasil Tsereteli published an interesting letter, in which he considered Bakhva Fulava to be "a free, strong character".

In the above-mentioned publications, the objective reality is interestingly reflected and significant opinions are expressed.

Giorgi Tsereteli's place in the history of Georgian literature is significant and that is why the interest of Georgian critics towards the writer's works is highly deserved

Key words: Tsereteli, author, European charm

განათლება და ეროვნული იდენტობა საბჭოთა პერიოდის საქართველოში (XX საუკუნის 70-80-იანი წლები)

ნატო სონღულაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი: საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ქართული საზოგადოება და მთლიანად საქართველო ახალი რეალობის წინაშე აღმოჩნდა, რომელსაც განსხვავებული გზით მიყავდა ჩვენი ქვეყანა. დროის აღნიშნულ მონაკვეთში მტერი განსხვავებული ფორმითა და მოტივით მოდიოდა, რომელიც არა მხოლოდ შეიარაღებული ბრძოლით, არამედ იდეოლოგიური გზითაც იპყრობდა საქართველოს.

1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას შეიარაღებული გზით შედეგად მოჰყვა დაპყრობა ყველა მიმართულებით. საბჭოთა რუსეთი არ ერიდებოდა არანაირი მეთოდის გამოყენებას საქართველოს სრულად დამორჩილებისათვის. გარდა იმისა, რომ ტერიტორია უკვე მის დაქვემდებარებაში იყო. საბჭოთა ხელისუფლება მიმართავდა ათასგვარ ძალადობრივ საშუალებას საქართველოს მოსახლეობის იდეოლოგიური დამორჩილების თვალსაზრისითაც:

საბჭოთა ხელისუფლება მთელი არსებობის მანძილზე მუდმივად ცდილობდა საქართველოში თუ საზღვარგარეთ მოქმედი ქართული ეროვნული ძალებისათვის ხელის შეშლას თავისუფლებისათვის ბრძოლაში, თუმცა ეროვნული მოძრაობა ყოველთვის განაგრძობდა არსებობას, რომელიც გამოიხატებოდა, როგორც შეიარაღებული ფორმით, როგორც ეს იყო XX საუკუნის 20-იან წლებში, ან იდეოლოგიური კუთხით, რომელიც მთავარ ხაზად გასდევდა ეროვნული ძალების ბრძოლას მთელი 1921-1991 წლების განმავლობაში. ქართველი დისიდენტების მოღვაწეობაც ამ ბრძოლის ნაწილია, რომელმაც გარკვეული წვლილი შეიტანა ეროვნული ცნობიერების ამაღლებაში.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, იდენტობა, განათლება, ეროვნული, საბჭოთა.

1921 წლიდან მოყოლებული ქართველმა ინტელიგენციამ დიდი დარტყმა განიცადა საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან. ქართველ ეროვნულ ძალებს შეზღუდული და, შეიძლება ითქვას, ჩამორთმეული ჰქონდა უფლება გარკვეული წვლილი შეეტანა საზოგადოების ეროვნული ცნობიერების განვითარებაში. საბჭოთა რეჟიმის დამყარებიდან მოყოლებული, საქართველოში ყოველგვარი ეროვნული იდევნებოდა და ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობდა საკუთარი გავლენის დამყარებას, რის მისაღწევადაც ყოველგვარ საშუალებას მიმართავდა. არ ერიდებოდა ძალადობრივი მეთოდების გამოყენებასაც.

XX საუკუნის 40-50-იან წლებში გარკვეული გამოცოცხლება შეინიშნება ეროვნულ მოძრაობაში, განსაკუთრებით სტალინის სიკვდილის შემდეგ. მართალია, 1956 წლის 9 მარტის „სტალინის კულტის“ კრიტიკით ხრუშჩოვი და მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლები შეეცადნენ ყველაფერი მხოლოდ სტალინისთვის დაებრალებინათ, თუმცა საზოგადოება და განსაკუთრებით მისი მოაზროვნე ნაწილი ასე ადვილად უკვე აღარ ტყუვდებოდა. მათთვის ნათელი იყო, რომ ახალი ხელისუფლებაც წინამორბედის გამგრძელებელი იყო და ისევ ძველი წესებით აპირებდა ცხოვრებას. თუმცა ეროვნული ძალების ერთიანობის აუცილებლობასაც ნათლად აცნობიერებდნენ. სწორედ აღნიშნული იდეის ქადაგებას ისახავდა მიზნად ახალგაზრდა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას პროტესტი არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ. შეიძლება ითქვას, რომ მათმა მოღვაწეობამ საფუძველი ჩაუყარა დისიდენტურ მოძრაობას საქართველოში, რაც ახალი ფორმით

აღორძინდა 80-იან წლებში და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შემადგენელი ნაწილი გახდა.

ამრიგად, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ქართული საზოგადოება და მთლიანად საქართველო ახალი რეალობის წინაშე აღმოჩნდა, რომელსაც განსხვავებული გზით მიყავდა ჩვენი ქვეყანა. მართალია, საქართველოსთვის უცხო არასდროს ყოფილა სხვის მორჩილებაში და დაქვემდებარებაში ყოფნა, როდესაც ხშირად დგებოდა სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის საკითხი, თუმცა დროის აღნიშნულ მონაკვეთში მტერი განსხვავებული ფორმით და მოტივით მოდიოდა, რომელიც არა მხოლოდ შეიარაღებული ბრძოლით, არამედ იდეოლოგიური გზითაც იპყრობდა საქართველოს.

1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას შეიარაღებული გზით შედეგად მოჰყვა დაპყრობა ყველა მიმართულებით. საბჭოთა რუსეთი არ ერიდებოდა არანაირი მეთოდის გამოყენებას საქართველოს სრულად დამორჩილებისათვის. გარდა იმისა, რომ ტერიტორია უკვე მის დაქვემდებარებაში იყო. საბჭოთა ხელისუფლება მიმართავდა ათასგვარ ძალადობრივ საშუალებას საქართველოს მოსახლეობის იდეოლოგიური დამორჩილების თვალსაზრისითაც:

1. საბჭოთა რუსეთმა გააუქმა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და მოსახლეობა აიძულა დამორჩილებოდა და ეღიარებინა ახალი ხე-ლისუფლება. საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი, აღარ არსებობდა და მთლიანად დამოკიდებული აღმოჩნდა ახალ ძალაუფლებაზე. საბჭოთა რუსეთმა საქართველოს წაართვა ტერიტორია, მოსახლეობას სამშობლოს აღქმა და, რაც მთავარია, ეს არ იყო რიგითი დამპყრობელი, რომელიც მხოლოდ ფორმალური აღიარებით, ან ეკონომიკური სანქციებით დაკმაყოფილდებოდა, ეს იყო სისტემა, რომელიც მთლიანად ცვლიდა საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ მძლავრ მექანიზმს, რასაც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა ერქვა.

2. საბჭოთა რუსეთმა დიდი ზიანი მიაყენა და ფაქტობრივად გაუქმების საფრთხე შეუქმნა ქართულ ენას და რელიგიას. მეფის რუსეთის პოლიტიკა, შეიძლება ითქვას, კვლავ გრძელდებოდა ახალი სახელწოდებისა და მმართველობის ფორმის, სისტემის მიერ. განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ თუ მეფის რუსეთის დროს რელიგია მაინც იყო შედარებით თავისუფალი და საზოგადოებას შეეძლო ქრისტიანული სარწმუნოება ეღიარებინა და მისი მეშვეობით საკუთარი ინდივიდუალობა გადაერჩინა, საბჭოთა რუსეთის შემთხვევაში რელიგია მთლიანად უგულებელყოფილი იყო. ეს კი დიდ დარტყმას აყენებდა საზოგადოების ფართო ფენებს, მათ ცნობიერებას.

3. დამპყრობელი განსაკუთრებული სისატიკით უსწორდებოდა ყველა იმ ადამიანს, რომელიც ახალი ხელისუფლების მიმართ პროტესტს გამოხატავდა. საზოგადოება იძულებული იყო მიეღო არა მხოლოდ ახალი პოლიტიკური, არამედ სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-რელიგიური ფორმაც.

საბჭოთა ხელისუფლება მთელი არსებობის მანძილზე მუდმივად ცდილობდა საქართველოში თუ საზღვარგარეთ მოქმედი ქართული ეროვნული ძალებისათვის ხელის შეშლას თავისუფლებისათვის ბრძოლაში, თუმცა ეროვნული მოძრაობა ყოველთვის განაგრძობდა არსებობას, რომელიც გამოიხატებოდა, როგორც შეიარაღებული ფორმით, როგორც ეს იყო XX საუკუნის 20-იან წლებში, ან იდეოლოგიური კუ-თხით, რომელიც მთავარ ხაზად გასდევდა ეროვნული ძალების ბრძოლას მთელი 1921-1991 წლების განმავლობაში. ქართველი დისიდენტების მოღვაწეობაც ამ ბრძოლის ნაწილია, რომელმაც გარკვეული წვლილი შეიტანა ეროვნული ცნობიერების ამაღლებაში.

XX საუკუნის 80-იან წლებში და განსაკუთრებით მის ბოლო ეტაპზე მნიშვნელოვნად აქტიური გახდა ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, თუმცა აღნიშნულ ფაქტს მაშინვე

მოჰყვა რუსეთის გამოხმაურება იმ თვალსაზრისით, რომ დაიწყო სხვადასხვა ნაბიჯის გადადგმა ეროვნული მოძრაობის შესაფერხებლად. პირველ რიგში, მან ეთნოკონფლიქტების გაძლიერებას შეუწყო ხელი. მის მიზანს წარმოადგენდა დაენახვებინა და დაერწმუნებინა არაქართული ეთნოსი, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემთხვევაში მათი მდგომარეობა გართულდებოდა.

მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან იცვლება დამოკიდებულება ეროვნული საკითხისადმი. „ლიტერატურა ისტორიულად კლასობრივი მოვლენაა. მწერალთა შემოქმედების მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით, ანალიზის საშუალებით მოსწავლეთათვის ნათელი უნდა გახდეს, რომ მწერალი გარკვეული კლასის წარმომადგენელია, რომ მის შემოწმედებაში გარკვეული კლასის ინტერესებში, გარკვეული პარტიის მისწრაფებანია გამოხატული. ამ შემთხვევაში ამოსავალ პრინციპად მასწავლებელს უნდა ჰქონდეს მარქსიზმის კლასიკოსების მითითებანი მხატვრული ნაწარმოების ტენდენციურობისა და პარტიულობის შესახებ. თუ ეს პრინციპები სწორად იქნება გამოყენებული, მაშინ ქართული კლასიკური მწერლობა ძვირფას მასალას მოგვცემს მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის.

გაცილებით მეტი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ლიტერატურას, რომელიც ყველაზე რევოლუციური, ყველაზე იდეური, ყველაზე მოწინავე ლიტერატურაა მსოფლიოში. „ბოლშევიკები დიდად აფასებენ ლიტერატურას, მკაფიოდ ხედავენ მის დიად ისტორიულ მისიას და როლს ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის განმტკიცებაში, ხალხის დარაზმვასა და აღზრდაში“. (სუიცსა, ფ. 300, აღწ. 12, საქ. #932: 89).

1977 წელს საბჭოთა შეხედულება სკოლაზე: „ახალი ადამიანის ჩამოყალიბებაში, მისი სწორად აღზრდის საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სკოლას, ოჯახს და სკოლის გარეშე დაწესებულებების ურთიერთშეთანხმებულ მუშაობას.

რას აძლევს ამ მხრივ მოზარდს სკოლა - სკოლაში შექმნილი კაბინეტ ლაბორატორიები, ლექცია-მოხსენებები, დისპუტები, სემინარები ააქტიურებს მოსწავლეთა აზროვნებას, ხელს უწყობს მიდრეკილებებსა და ნიჭის გამოვლენას ადრეული ასაკიდან, ხოლო მიღბული ცოდნა მოზარდმა შემდეგში უნდა გამოიყენოს, სკოლაში მიღებული სიკეთე და შეგნება სამშობლოს, ხალხის კეთილდღობას უნდა მოახმაროს.

კარგი ადამიანის ჩამოყალიბების საქმეს მარტო სკოლა ვერ უზრუნველყოფს, თუ სკოლას გვერდში ოჯახი არ ამოუდგა. სწორედ მშობელია ვალდებული თვალი ეჭიროს შვილის მოქმედებაზე. რას აკეთებს იგი თავისუფალ დროს, რაზე საუბრობს იგი ამხანაგებთან, ვისთან მეგობრობს, როგორი ავტორიტეტით სარგებლობს უფროსებთან და სხვ“. (სუიცსა, ფ. 300, აღწ. 27, ნ. 2, საქმ. #76:43).

თიანეთის რაიონში 1973-1974 სასწავლო წელს 38 ზოგადსაგანმანათლებლო დღის კოლაა /სკოლა-ინტერნატის ჩათვლით/, მათგან საშუალო სკოლა - 8, რვაწლიანი სკოლა - 6, დაწყებითი სკოლა - 24. ამ სკოლების 228 კლასში სწავლობს 3665 მოსწავლე. დაბა თიანეთში გახსნილია საშუალო სკოლა-ინტერნატი 416 მოსწავლით.

ამჟამად სახალხო განათლების საქმეს რაიონში ემსახურება 353 მასწავლებელი, მათგან უმაღლესი განათლებით 272. 1972-1973 წლებში თიანეთის მაზრაში აშენდა ორი სასკოლო შენობა 360 მოსწავლისათვის. (სუიცსა, აღწ. 27, ნ. 2, საქ. #35: 20).

1972-1973 სასწავლო წელს რაიონის სკოლების 0-VIII კლასებიდან გავიდა 74 მოსწავლე, მათგან საღამოს სკოლაში გავიდა 7, გაირიცხა 1, განითესა 3. არაა შესრულებული მოსწავლეთა კონტიგენტის გეგმა საღამოს სკოლებში 8 წლის წინათ პირველ კლასში ჩასარიცხი პირველკლასელთაგან. ამჟამად VIII კლასში სწავლას აგრძელებს მხოლოდ 87, 5%. სკოლებიდან მოსწავლეთა ჩამოშორების მთავარ მიზეზს წარმოადგენს მეორეწლიანობა, 1972-1973 სასწავლო წლის ბოლოს

იმავე კლასებში დატოვებული იქნა 116 მოსწავლე, მათგან 1973-1974 სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლა არ განაგრძო 29 მოსწავლემ. ჯერ კიდევ დიდია მოსწავლეთა მიერ გაცდენილია გაკვეთილების რაოდენობა, რაც უარყოფითად მოქმედებს სწავლის პროცესზე. წინა სასწავლო წელს რაიონის სკოლებში გაცდენილი გაკვეთილების რაოდენობამ შეადგინა 11 259 საათი.(სუიცსა, აღწ. 27, ნ. 2, საქ. #35: 21).

1973-1974 სასწავლო წლებში თელავის რაიონში 33 ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო, რვაწლიანი და დაწყებითი სკოლაა 12 691 მოსწავლით, რაიონში გახსნილია მუშა ახალგაზრდების 2 საშუალო სკოლა, ხოლო სამ საშუალო სკოლასთან გახსნილია მოზრდილთა კლასები. ამ ტიპის სკოლებში სწავლობს 763 მომუშავე ახალგაზრდა.

... რაიონში მომუშავე 978 მასწავლებლიდან უმაღლესი განათლება აქვს 845-ს... 1973 წელს ახალი სასკოლო შენობები გადაეცა ლაფანყურის, ფშავლის, ყარაჯალის და სანიორის საშუალო სკოლებს (სუიცსა, აღწ. 27, ნ. 2, საქ. #35: 23).

1973-1974 წლებში ქ. ქუთაისის 35-ე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მუშაობს 1731 მასწავლებელი, რომელთაგან უმაღლესი სპეციალური განათლებითაა 1545, უმაღლეს დაუმთავრებელი პედაგოგიური განათლებით - 62 და საშუალო სპეციალური პედაგოგიური განათლებით - 124 მასწავლებელი (სუიცსა, აღწ. 27, ნ. 2, საქ. #35: 28).

1972-1973 სასწავლო წლების ბოლოს ქალაქ ქუთაისის 35 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ირიცხებოდა 27 674 მოსწავლე, აქედან გადაყვანილი იქნა შემდეგ კლასში ან დაამთარა სკოლა 26602 მოსწავლემ, დატოვებულ იქნა იმავე კლასში -55, საშემოდგომო გამოცდა მიეცა 1017, შემოდგომაზე ჩააბარა - 938-მა, დარჩა - 34, ე. ი. იმავე კლასში დარჩა სულ 89 მოსწავლე (სუიცსა, აღწ. 27, ნ. 2, საქ. #35: 29).

1972-1973 წლებში რესპუბლიკის 4116 ზოგადსაგანმანათლებლო დღის სკოლაში სწავლობდა 978 213 მოსწავლე. 1971-1972 სასწავლო წელს კონტიგენტის სახალხო მეურნეობის გეგმა დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გასრულდა 99, 7%-ით. საღამოს /ცვლის/ სკოლებში კი - 101, 5%-ით.

1964-1965 სასწავლო წელს 1-ელ კლასებში ჩარიცხული კონტიგენტიდან 1972 წელს დღისა და საღამოს სკოლა დაამთავრა 84815-მა მოსწავლემ, ე. ი. 86, 8%-მა.

1971 წელს სახელმწიფო კაპიტალ-დაბანდებათა სახსრებით აშენდა 59 ახალი სასკოლო შენობა 27108 მოსწავლის ადგილით, 1972 წელს კი - 62 შენობა 27998 მოსწავლისათვის. აჭარის ასსრ-ში 1972 წელს აშენდა 6 სასკოლო შენობა და არსებულ შენობებს მიუშენდა 23 სასკოლო ოთახი (სუიცსა, ფ. 300, აღწ. 27, ნ. 2, საქ. #23: 1).

მასწავლებელთა საერთო რაოდენობის /74826/ 59, 5%-ს /51998 კაცს/ აქვს უმაღლესი განათლება, დაუმთავრებელი უმაღლესი განათლებითაა 12, 2% /9171/, საშუალო სპეციალური განათლებით 16, 0% /11965/ და საშუალო ზოგადი განათლებით 2, 3% /1692 კაცი/. რესპუბლიკის სკოლები ყოველწლიურად იღებენ 1, 5 ათას ახალგაზრდა სპეციალისტს (სუიცსა, ფ. 300, აღწ. 27, ნ. 2, საქ. #23:2).

აჭარის ასს რესპუბლიკის სკოლებში დიდია მეორეწლიან და აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეთა რაოდენობა. 1971-1972 სასწავლო წლის დამლევს აჭარის ასსრ სკოლებში 69 223 მოსწავლიდან 3129 მეორეწლიანია, ანუ 4, 5%.

1972-1973 სასწავლო წლის ბოლოს 67, 885 მოსწავლიდან გადაყვანილ იქნა შემდგომ კლასებში ან დაამთავრა 61204 მოსწავლემ, საშემოდგომო გამოცდა მიეცა 4300 მოსწავლეს, მათ შორის ერთ საგანში - 1998-ს, ორ საგანში - 2279-ს, სამ და მეტ საგანში - 2404 მოსწავლეს. დატოვებულია იმავე კლასში 2367 მოსწავლე. მარტო 1-ელ კლასში ვერ ასწრებს 307, მეორე კლასში - 285, მესამე კლასში - 445 მოსწავლე.

საშუალო სკოლის კურსი დაამთავრა 3104 მოსწავლემ, საშმოდგომო გამოცდა მიეცა 299 მეათეკლასელს, დატოვებულია მე-10 კლასში 24 მოსწავლე (სუიცსა, ფ. 300, აღწ. 27, ნ. 2, საქ. #24: 2).

1972-1973 წლისთვის ბოლნისის რაიონის სკოლებში მომუშავე 1254 მასწავლებლიდან უმაღლესი განათლება აქვს 686-ს, დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება - 299-ს, საშუალო პედაგოგიური - 244-ს და ზოგადი საშუალო - 28-ს.

ბოლნისის რაიონში დაქირავებული შენობებია მოთავსებული 9 დაწყებითი და 1 რვაწლიანი სკოლა 304 მოსწავლი: ავარიული მდგომარეობაში მყოფ შენობებში მოთავსებულია 6 სკოლა 1600-ზე მეტი მოსწავლით. მათ შორის: 1 დაწყებითი, 2 რვაწლიანი და 3 საშუალო- აკაურთის, ქოჩულოსა და ქოჩქილისის სკოლები. სრულიად უვარგის შენობებშია მოთავსებული არახლოს, ქოლაგირისა და ძველი ქვეშის საშუალო სკოლები 2166 და 10 რვაწლიანი სკოლა 2222 მოსწავლით (სუიცსა, ფ. 300, აღწ. 27, ნ. 2, საქ. #24: 6).

საგარეჯოს რაიონში მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმეს ემსახურებოდა 35 ზოგადსაგანმანათლებლო დღის კოლა. მათ შორის საშუალო სკოლა - 15. რვაწლიანი სკოლა - 12, დაწყებითი სკოლა - 8. ამ სკოლების 424 კლასში სწავლობს 9788 მოსწავლე (სუიცსა, ფ. 300, აღწ. 27, ნ. 2, საქ. #24: 38).

1973-1974 სასწავლო წელს თელავის რაიონში იყო 33 ზოგადსაგანმანათლებლო დღის სკოლა: მათგან: საშუალო სკოლა - 21, რვაწლიანი სკოლა - 7, დაწყებითი სკოლა -5. სკლებში სწავლობდა 12691 მოსწავლე (სუიცსა, ფ. 300, აღწ. 27, ნ. 2, საქ. #24: 66).

70-80-იან წლებში მეტი თავისუფლება არსებობდა ეროვნული თემატიკის საგნებისადმი და ფაქტებისადმი. ბუნებრივია, ეს არც ისე მარტივი გადასალახი იყო და პრობლემები მთელი სიმწვავით იდგა, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ იმპერიის რღვევის ნიშნები შეიმმჩნეოდა, ეროვნული პრობლემატიკა უფრო მეტად მნიშვნელოვანი ხდებოდა. „საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართული ენა, დიდი ტრადიციების მქონე და განვითარებული სამწერლობო ენა, მისი შემოქმედი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ცხოვრების უებარი მაცნეა. მასში ასახულია ერის წარსული, აწმყო და მომავალი.

ამ ენაზე შეიქმნა მდიდარი ორიგინალური მხატვრული და მეცნიერული ლიტერატურა, ითარგმნა მსოფლიოს ხალხთა მხატვრული ლიტერატურის შედევრები, პირველხარისხოვანი პოლიტიკური ფილოსოფიური, პედაგოგიური და სხვა ხასიათის ნაშრომები.

ჩვენს ეპოქაში, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ეპოქაში, განსაკუთრებით გაიზარდა დედა ენის, როგორც ერთიანი ეროვნული ენის როლი. მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურის, ხელოვნების წინსვლის მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი ყოფის პარალელურად ვითარდება და აზრის ახალი გამომსახველობითი საშუალებებით მდიდრდება იგი.

შეუძლებელია ქართული ენის ზოგადსაგანმანათლებლო აღმზრდელობითი და პრაქტიკული მშნებლობის გადაფასება ეროვნული სკოლისათვის... „დედა ენა სულია სკოლისა“ /ი. ს. გოგებაშვილი/. იგი, ერთი მხრივ, ძირითადი სასწავლო საგანია, მეორე მხრივ, მის საფუძველზე ეუფლება მოსწავლე მეცნიერებათა საფუძვლებს მათემატიკასა და ფიზიკაში, ბუნებისმცოდნეობასა და ქიმიაში, ისტორიასა და გეოგრაფიაში და სხვა საგანში. მშობლიური ენის დაუფლება მყარ, მტკიცე საფუძველს ქმნის მეორე მშობლიური ენის, რუსული ენის, აგრეთვე უცხოური ენის დასაუფლებლად.

ქართული ენა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა. ზრუნვა მისი შმდგომი განვითარება-გამდიდრებისა და სიწმინდის დაცვისათვის საერთო, სახალხო, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანად არის ქცეული (სუიცსა, ფ. 300, აღწ. 27, ნ. 2, საქ. #34: 1-2).

ქართული ენისა და ლიტერატურის მოწინავე მასწავლებლები სისტემატიურად მუშაობენ თავიანთი იდეურ-პოლიტიკური და მეცნიერულ-პედაგოგიური დონის შემდგომ ასამაღლებლად.

გულმოდგინედ ემზადებიან ყოველი გაკვეთილისათვის, ეცნობიან სასწავლო გეგმითა და პროგრამებით გათვალისწინებულ სიახლეებს, მოხერხებულად ახალებენ ერთმანეთთან ამ საგნების სწავლების ახალ მეთოდებს და ხერხებს ტრადიციულთან, იღწვიან სწავლებაში ტექნიკურ საშუალებათა დასანერგავად, ბეჯითად ზრუნავენ სკოლაში ერთიანი ენობრივი რეჟიმის დაცვის, მოსწავლეთა წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურის, ქრათული ენისა და ლიტერატურის შემოქმედებითი საგნობრივი წრეების მუშაობის დონის ასამაღლებლად, ამ საგნების შესწავლით მოსწავლეთა დასაინტერესებლად, რის შედეგადაც გარკვეულ წარმატებებსაც აღწევენ ცხოვრებისათვის მოსწავლე-ახალგაზრდობის მომზადებაში, მათში მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის, კომუნისტური მორალის, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, საბჭოთა პატრიოტიზმისა და ხალხთა შორის მეგობრობის დიად საკაცობრიო გრძნობათა ჩამოყალიბებაში, ახალი, კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ადამიანის ფორმირებაში (სუიცსა, ფ. 300, აღწ. 27, წ. 2, საქ. #34: 1-2). პატრიოტიზმის კონკრეტული გამოხატულება სხვა მრავალ სახეობებთან ერთად ისიცაა, რომ მოსწავლეს უყვარდეს თავისი მშობლიური მხარის ბუნება, უყვარდეს, იცავდეს და უფრთხილდებოდეს მას. ვისაც მშობლიური მხარის ბუნება არ უყვარს იგი ვერ იქნება ჭეშმარიტი, პატრიოტი და ამ გრძნობას აღზრდა უნდა, შთანერგვა უნდა.

ახლა ისიც ვთქავთ, რამდეჯნერ ვყოფილვართ მოწმენი, იქნებ უტყვი მონაწილენიც კი ბუნების სიმდიდრისადმი, მისი სილამაზისადმი, ეროვნული კულტურისადმი უპატივცემულო დამოკიდებულებისა ჩვენი მოსწავლე-ახალგზარდობის ერთი ნაწილის მხრიდან, როცა ფრიად საჭირო და სასარგებლო ღონისძიებების, ექსკურსიის არაორგანიზებულად ჩატარების შედეგად ტყეში თუ მინდორ-ველზე მიმოპნეული რჩება აუარებელი ნაგავი, როცა ცალკეული მოსწავლეები საკუთარი პერსონის „უკვდავსაყოფად“ თავიანთ გვარებსა და სახელებს მიაწერენ ხოლმე ისტორიულ ძეგლებს და სხვ. ე. ი. სადღაც რაღაცას ვაკლებთ ალბათ. საჭირო კია, რომ ყოველ ღონისძიებას ჰქონდეს არამარტო შემეცნებითი ხასიათი, არამედ ემსახურებოდეს აგრეთვე მოსწავლეთა ესთეტიკური და ზნეობრივი აღზრდის ამოცანებს.

ანდა ასეთი ფაქტი: ცნობილია, რომ ჩვენი რესპუბლიკა ყოველდღიურად საშუალოდ ბეჭდავს 267 დასახელების 4 მილიონ 800 ათას ეგზემპლარ სახელმძღვანელოსა და პედაგოგიურ-მეთოდურ სხვა ლიტერატურას, რისთვისაც ყოველწლიურად იხარჯება რამდენიმე ასეული ათასი ტონა ქაღალდი, ხოლო ეს უკანასკნელი კი, როგორც ყველამ ვიცით, მზადდება ხე-ტყის გადამუშავებით (სუიცსა, ფ. 300, აღწ. 27, წ. 2, საქ. #34: 1-2).

საბჭოთა სისტემის შესახებ სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხის შესწავლაა შესაძლებელი და მით უმეტეს, ეროვნული თემატიკის მოვლენები, რომელიც ნაკლებადაა გაანალიზებული. დღეს, როდესაც მეტი შესაძლებლობაა ამგვარი ფაქტების შეფასების თვალსაზრისით, საარქივო დოკუმენტების ანალიზი მრავალ საინტერესო ფაქტს მოჰფენს ნათელს.

დამოწმებანი:

საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი (შემდგომში სუიცსა): ფ. 300, აღწ. 12, საქ. #932

სუიცსა: ფ. 300, აღწ. 27, წ. 2, საქმ. #76

სუიცსა: აღწ. 27, წ. 2, საქ. #35

სუიცსა: ფ. 300, აღწ. 27, წ. 2, საქ. #23, ფურც. 1

სუიცსა: ფ. 300, აღწ. 27, წ. 2, საქ. #24

სუიცსა: ფ. 300, აღწ. 27, წ. 2, საქ. #34

Education and national identity in Georgia during the Soviet period (70-80s of XX century)

Nato Songulashvili

Associate Professor of Technical University of Georgia

Summary: The study of the history of the "Soviet regime" in Georgia is one of the most topical and undoubtedly distinctive topics in modern historiography. It is a fact, that the mentioned stage of the twentieth century in the world history is known for its contradictions, differences of opinion, struggle of ideas and heterogeneous attitudes and evaluations in scientific circles and in society.

The topicality, complexity and versatility of the problem from the very beginning determine the correct and purposeful approach to the issue, which should result not only in gathering countless materials, but also in evaluating, reasoning, studying and reaching the final result. Therefore, the main goal of the project will be: disclosure of documentary material, and also analysis of problems and ideas.

The research in this area will have not only the burden of reviving and comprehending historical facts, but also a practical purpose which will be manifested in identifying and studying the characteristics of the Soviet policy, based on a comparison of different sources, to understand all the problematic issues typical for that highly complex and controversial twentieth century.

სამშობლოსათვის თავგანწირვის ისტორიული მაგალითი
და უმადური თანამედროვენი

ჰენრი კუპრაშვილი საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის პროფესორი,
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

აბსტრაქტი: თემა ეხება ისტორიის მეცნიერებაში კვლევების კონკრეტული სფეროსა და მისი არეალის გაფართოების პროცესის ანალიზს. საკვლევი პრობლემის შესწავლის აქტუალობას განაპირობებს თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში ეროვნული თვითშეგნების საგნობრივ-თემატური და შინაარსობრივი ველის განუზომლად გაფართოების საჭიროება. ალექსანდრე ბატონიშვილი თითქმის 40 წეი იყო ჩაბმული უთანასწორო ომში უზარმაზარი რუსეთის იმპერიის მრავალჯერ აღმატებულ მასზე დაგეშილ მტრულ ძალებთან. იგი აღიარებულია მტრის წინააღმდეგ სამშობლოს თავისუფლებისთვის დაუღლელი, შეურიგებელი და თავგანწირული ბრძოლის სიმბოლოდ.

ალექსანდრე ბატონიშვილი არც სპარსოფილი იყო და არც – რუსოფობი. იგი პოლიტიკოსი იყო და მის პოლიტიკურ კრედოს განაპირობებდა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის ეროვნული ინტერესები. მის წერილებში ჩანს, რომ იგი შეურიგებელია არა რუსეთთან პოლიტიკური კავშირის არსებობისა, არამედ რუსეთის ხელისუფლების მიერ საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმებისა. სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის დაუღალავმა მებრძოლმა, სიცოცხლის ბოლო წლები ქვეყნიდან შორს, სიღატაკესა და მარტოობაში გაატარა, იგი თეირანში გარდაიცვალა და იქვეა დასაფლავებული.

სამწუხაროდ, ამ პატრიოტი დიდი ქართველის ღვაწლი არ არის საკადრისად დაფასებული. თანამედეროვე ქართველი საზოგადოება (ვიწრო გამონაკლისის გარდა) არ ამჟღავნებს სათანადო ინტერესს მისი საფლავის მოძიებისა და ნეშტის სამშობლოში გადმოსვენებისადმი, დღემდე არც არის საბოლოოდ დადგენილი მისი გარდაცვალების თარიღი და დაკრძალვის ადგილი კი.

საკვლევად ამ პრობლემის ცალკე გამოყოფა ესადაგება ისტორიის მეცნიერებაში არსებული ვითარების საჭიროებებს. შესაბამისად, შეტანილია კონკრეტული წვლილი შესაძლო ტენდენციების შეფასებების კვლევაში.

რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობის შემდგომ, მეფე ერეკლე მეორის მეჩვიდმეტე შვილის ალექსანდრე ბატონიშვილის (1770-1844) ცხოვრების ერთადერთ მიზანს ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის იდეა წარმოადგენდა. მას სამშობლოს თავისუფლებისათვის თავგანწირული ბრძოლა სიკვდილამდე არ შეუწყვეტია.

ალექსანდრე ბატონიშვილის სახელის დადებით კონტექსტში მოხსენიებაც კი, როგორც რუსეთის ცარისტული, ისე საბჭოთა რეჟიმების დროს, ჭეშმარიტების მაძიებელი მკვლევრებისათვის საშიში იყო. თუ რამე იბეჭდებოდა, უმთავრესად, უარყოფით კონტექსტში [11, გვ. 4]. ამ ფაქტორმა იმდენად დიდი გავლენა მოახდინა ქართველთა ფსიქიკაზე, რომ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგაც კი, ამ სამაგალითო პატრიოტმა გმირმა თანამედროვე ქართველებში, მცირე გამონაკლისის გარდა, ვერ დაიმკვიდრა კუთვნილი ადგილი. შთამომავლობამ ვერ დააფასა მისი სამშობლოსათვის უანგარო თავგანწირვა, ვერ აუსრულეს ანდერძი, რათა მისი ნეშტი საყვარელი სამშობლოს მიწისათვის მიებარებინათ, უფრო მეტიც, ვერ გამოიჩინეს სათანადო ძალისხმევა საფლავის მოსაძიებლად კი.

ალექსანდრე ბატონიშვილი ჯერ კიდევ 19-20 წლის ასაკში ერეკლე მეფის მხარდამხარ მრავალ ბრძოლაში იღებდა მონაწილეობას, წარმატებით ასრულებდა ერეკლე მეფის სამხედრო, პოლიტიკურ თუ სამეურნეო დავალებებს [14]. ალექსანდრე ხელმძღვანელობდა აღა მაჰმად-ხანის შემოსევის დროს დანგრეული თბილისის აღდგენასაც. უნდა აღინიშნოს, რომ თავიდან ალექსანდრე ბატონიშვილი ემხრობოდა ერეკლე მეორის რუსეთთან ურთიერთობის პოლიტიკას, მაგრამ რუსეთის დამპყრობლურმა პოლიტიკამ ბატონიშვილს აიძულა აღემართა იარაღი მის წინააღმდეგ, თანაც ცდილობდა საქართველოს ძველი მტერი ახალი მტრისათვის დაეპირისპირებინა და საერთაშორისო ვითარების მიხედვით ემოქმედა. ამავე დროს, ესმოდა რა მდგომარეობის სირთულე, იგი მზად იყო იარაღი დაეყარა, თუკი რუსეთის ხელისუფლება ქართლ-კახეთის სამეფოს თუნდაც შეზღუდულ სუვერენულ უფლებებს მაინც შეუნარჩუნებდა.

ირანის დედაქალაქში, სადაც მრავლად იგზავნებოდნენ ჯერ ფრანგი (1809 წლამდე), შემდეგ ინგლისელი დიპლომატები, სამხედრო ინსტრუქტორები თუ იარაღის მწარმოებლები, ალექსანდრე ბატონიშვილი თვალს ადევნებდა ევროპაში იმ დროს მიმდინარე პოლიტიკური პროცესების უაღრესად დინამიკური განვითარებას. იგი, მოელოდა თავისი ქვეყნის გადასარჩენად ხელსაყრელი მომენტის დადგომას. საერთაშორისო ძალთა დაპირისპირება: ერთი მხრივ, საფრანგეთი-ოსმალეთი-ირანი, მეორე მხრივ, ინგლისი-რუსეთი, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ალექსანდრეს წარმატების იმედს უსახავდა.

ჯერ კიდევ, 1800 წლის ივნისში, ირანში გადასული ალექსანდრე ბატონიშვილი ირანის, დაღესტნის, ყარაბაღის, განჯისა და შირვანის სახანოების კოალიციის შექმნას ცდილობდა. თუმცა იმავე წელს დაღესტნელების 15 ათასიანი ჯარის მდინარე იორთან (სოფ. კაკაბეთის მახლობლად) მარცხისა და რუსეთის დიპლომატიის მხრიდან ირანის მისამართით დათმობების (კოვალენსკის საქართველოდან გაშვება და სხვ.) შემდეგ ეს გეგმა ჩაიშალა. ალექსანდრე აქტიური მონაწილე იყო 1801 წლის შეთქმულებისა, რომელიც 1801 წლის 18 თებერვალს, თბილისში პავლე I-ის მანიფესტის გამოცხადების შემდეგ დაიგეგმა [5, გვ. 31-41]. შეთქმულები ერეკლე მეორეს ქვრივის დარეჯან დედოფლის (1738-1807) სასახლეში იკრიბებოდნენ. მანამდე მასთან დაპირისპირებული ბატონიშვილები და მარიამ დედოფალიც (1768-1850) აქტიურად ჩაებნენ ამ ბრძოლაში [7].

შეიარაღებული ბრძოლისთვის მზადება მიმდინარეობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. დავით ბატონიშვილი (1767-1819) ბორჩალოში მალულად ამზადებდა ჯარს და ერევნის ხანთან კავშირის გაბმას ცდილობდა, თავიანთ საუფლისწულოებში ქმნიდნენ საბრძოლო დანაყოფებს თეიმურაზ, მირიან და ვახტანგ ბატონიშვილები. ამ ორ უკანასკნელს დაკისრებული ჰქონდათ დარიალის ხეობის ჩაკეტვა და ამ გზაზე სტრატეგიული მნიშვნელობის ხუთი ხიდის დანგრევა. საომრად ემზადებოდა იმერეთის მეფეც, რომელსაც თებერვლიდან თავისთან ჰყავდა შეფარებული იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილები. იმერეთში ჩადიოდა ალექსანდრე ბატონიშვილიც, იგი, სოლომონ II და ახალციხელ შერიფ ფაშასთან ერთად აწყობდა იმერეთის, ირანის, ახალციხის საფაშოსა და ლეკების გაერთიანებული ძალებით რუსებთან შებრძოლების გეგმას. იულონ და ვახტანგ ბატონიშვილები მომხრე თავად-აზნაურებთან ერთად სოფ. მარტყოფში შეიკრიბენ. იქ უერთდება შეთქმულებს ალექსანდრე ბატონიშვილიც და აწვდიდა ინფორმაციას სოლომონ და შერიფ ფაშასთან მიღწეული შეთანხმების შესახებ. ერთობლივად დაისახა აჯანყების გეგმა.

რუსეთის სპეცსამსახურებისთვის ცნობილი გახდა ამ სამზადისის შესახებ. მაგ., 1801 წლის აგვისტოში კნორინგისადმი ლაზარევის მიერ გაგზავნილ წერილში ლაპარაკია, თუ როგორ აპირებდნენ ალექსანდრე ბატონიშვილი, სოლომონ II და შერიფ ფაშა ქართული, ირანული და თურქული ძალებით, დაღესტნელებთან ერთად შეეტიათ რუსებისათვის 1801 წლის ზაფხულში [20, გვ. 285). მარტყოფში გამართული შეთქმულთა შეკრების მონაწილე ოთარ ამილახვრის მიერ დაკი-

თხვაზე მიცემული ჩვენებიდანაც ირკვევა [20, 324], რომ შეთქმულები აპირებდნენ ალექსანდრე ბატონიშვილის მეთაურობით შეეტიათ რუსებისათვის და "გაეყარათ რუსეთის ჯარები საქართველოდან და მეფედ გამოეცხადებინათ იულონ ბატონიშვილი" [24, გვ. 23], რა დროსაც აჯანყებულ ქართლ-კახელ მეომრებს უნდა შეერთებოდათ დაღესტნის, ყარაბაღისა და იმერეთის ჯარის ნაწილები.

დაძაბულობამ და მღელვარებამ მოიცვა მთელი კახეთი. იმდენად სერიოზულად იყო საქმე, რომ რუსული სამხედრო რაზმის მეთაური, მაიორი ალექსეევი 1801 წლის 3 აგვისტოს გენერალ ლაზარევს შეშფოთებული წერდა: "აქ ვარშავაზე უარესი დღე მოგველისო" [20, გვ. 340] (იგულისხმება 1794 წელს ვარშავაში პოლონელების მიერ რუსული გარნიზონის უეცარი ამოჟლეტა).

ქართველები დიდ იმედებს ამყარებდნენ გარედან დახმარებაზე, მაგრამ ირანს, თურქეთსა და რუსეთს შორის გაძლიერებულმა დიპლომატიურმა აქტიურობამ და შექმნილმა არასახარბიელო პოლიტიკურმა სიტუაციამ შეთქმულთა იმედები გააქარწყლა. მოულოდნელად უკან გაბრუნდა საზღვართან მოსული ირანის ჯარის 10-ათასიანი კორპუსი პირ ყული ხანის მეთაურობით [24, გვ. 26]. საბოლოოდ ხელისუფლებამ ძალის დემონსტრირებით, დიპოლომატიის გამოყენებით და რეპრესიებით შეძლო პავლე I მანიფესტის საპასუხოდ წამოწყებული 1801 წლის შეთქმულების გაუვნებელყოფა.

1802-1803 წლებში ალექსანდრე ბატონიშვილი ცდილობდა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ერევნის, ნახიჭევნისა და განჯის სახანოების გაერთიანებას. რუსეთ-ირანის 1804-1813 წწ. ომის დროს კი იგი თეიმურაზ ბატონიშვილთან ერთად იბრძოდა რუსეთის ჯარების წინააღმდეგ.

1812 წლის ზაფხულში საფრანგეთის არმიამ რუსეთის საზღვარი გადალახა და გადავიდა შეტევაზე. ამ დროს რუსეთს არ ჰქონდა დამთავრებული ომი ირანთანაც. თიანეთში მყოფმა ალექსანდრე ბატონიშვილმა გადაწყვიტა შექმნილი ვითარებით ესარგებლა. იგი საქართველოში ჩამოვიდა და კახეთის აჯანყებას [6, გვ. 36-39] ჩაუდგა სათავეში. აჯანყება ტერიტორიულად მხოლოდ კახეთით არ შემოფარგლულა. აჯანყება ერთ წელს გაგრძელდა მცირე შესვენებებით. ბატონიშვილის მოწოდებამ ფეხზე დააყენა კახეთი, ქიზიყი, ფშავ-ხევსურეთი, მღელვარება დაიწყო ქართლშიც, მაგრამ ხელისუფლებას იქ ძლიერი პოზიციები ჰქონდა და ქართლელები იძულებულნი იყვნენ ბატონიშვილის ლაშქართან შეერთების გზები ეძებნათ. მალე კახეთიდან და ქართლიდან დაიძრნენ პატრიოტი ქართველები – თავადები, აზნაურები, გლეხები. დაგეგმილი იყო ალავერდობა დღეს ალექსანდრეს მეფედ კურთხევა.

მეამბოხეებმა მოულოდნელი და ერთდროული თავდასხმებით ალყა შემოარტყეს განცალკევებულ რუსულ საოკუპაციო ძალებს, არ მისცეს გაერთიანების საშუალება და გაანადგურეს. ბრძოლაში გმირულად ჩაება ფშავ-ხევსურ-თიანეთელების 1000 კაციანი რაზმიც. ქართველებმა აიღეს დუშეთისა და ფასანაურის საგუშაგოები და ანანურს ალყა შემოარტყეს. მათ გეგმაში ჰქონდათ დარიალის გზის ჩაკეტვა, რათა ჩრდილოეთ კავკასიიდან დამატებითი ჯარების გადმოსხმა აღეკვეთად. აჯანყებულთა მიზანი თბილისის აღება და ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენა იყო [12, გვ. 922-925].

მთავარმართებელი, წარმოშობით იტალიელი, მარკიზი პაულიჩი (1811–1812) პირადად ხელმძღვანელობდა აჯანყების ჩაქრობას. რუსებმა დაიწყეს ძალების მობილიზება. 1-ლ მარტს დიდი ბრძოლა გაიმართა სოფ. ჩუმლაყთან. 4000 აჯანყებული ქართველი გმირულად ეკვეთა მტერს, მაგრამ მოღალატეების წყალობით გამარჯვება რუსებს დარჩათ.

ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელიც ამ მომენტისთვის ხალხის დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა, სათავეში ედგა ქართველი ხალხის სრულიად კანონიერ ბრძოლას სახელმწიფოებრიობის აღსადგენად. მან თავიდანვე ყველასათვის მკაფიო და გასაგები საბრძოლო ამოცანა და-

სახა: სამხედრო გზის ჩაკეტვა, კახეთის შემომტკიცება და ქართლის აჯანყება. ამას უნდა მოჰყოლოდა ირანიდან დამხმარე ჯარის შემოსვლა. თუ რუსეთის მთავრობა დათანხმდებოდა სამეფოს აღდგენას, მაშინ საქმე მშვიდობიანად მოგვარდებოდა.

ბატონიშვილმა საბრძოლო რაზმები სამ ნაწილად დაჰყო და თითოეულს სტრატეგულად მნიშვნელოვანი გზის ჩაკეტვა დაავალა, რათა რუსულ ნაწილებს არ ჰქონოდათ ჩრდილოეთიდან შევსების მიღებისა და გადაადგილების საშუალება. მან პირველ რაზმს დაავალა თბილისიდან კახეთისაკენ მიმავალი გზის ჩაკეტვა, მეორე რაზმს – ქართლიდან თიანეთ-თელავისკენ მიმავალი გზების დაცვა, მესამეს კი – ჩრდილოეთიდან გადმოსასვლელი გზები უნდა ჩაეკეტა. თვითონ რუსთა ჯარის წინააღმდეგ ბრძოლისთვის უშუალოდ უნდა ეხელმძღვანელა. ქართულ ლაშქარს დასახმარებლად 1200 დაღესტნელიც შეუერთდა.

საქართველოს იმდროინდელმა მთავარმართებელმა ნიკალაი რტიშჩევმა (1812–1816) საქართველოში მყოფი მთელი ძალების მობილიზაცია გამოაცხადა, კავკასიის ხაზიდან ბატალიონებიც იხმო და განცხადება გამოაქვეყნა - ალექსანდრე ბატონიშვილის მკვლელობისათვის 2 ათასი ჩერვონეცის დაწესების შესახებ.

ქართველ მოლაშქრეებთან შედარებით რუსთის რეგულარულ ჯარს სამხედრო წყობითა და იარაღით დიდი უპირატესობა ჰქონდა, ამიტომაც ბატონიშვილი ძირითადად მანევრირებდა და პარტიზანულ ბრძოლებს აწარმოებდა, თან აჭიანურებდა დროს ნაპოლეონის გამარჯვებისა და სპარსელთა დახმარების მოლოდინში. აჯანყებულებმა რამდენიმე ბრძოლა მოიგეს და დიდი ზარალიც მიაყენეს მოწინააღმდეგეს. მაგრამ საერთაშორისო ვითარება აჯანყებულთა საწინააღმდეგოდ შეიცვალა. ამასთან, რუსებმა ასლანდუზთან სასტიკად დაამარცხეს აბას მირზას ჯარებიც. ქართველებს გარედან დახმარების იმედი ამოეწურათ. აჯანყება განწირული ჩანდა. 21 სექტემბერს შილდასთან მოხდა დიდი ბრძოლა, მაგრამ გადამწყვეტი გამარჯვება არცერთ მხარეს არ ერგო, თუმცა სამთავრობო ჯარებმა შეძლეს გაერთიანება. მძაფრი ბრძოლები გაიმართა 13 ოქტომბერს ისევ შილდასთან, 18 ოქტომბერს - სიღნაღში, 24 ოქტომბერს - მაღაროში, 29 ოქტომბერს - ჩალაუბანში, 21 ნოემბერს - ხაშმთან. გენერალური ბრძოლა 26 ნოემბერს მანავთან გაიმართა რუსების გაერთიანებულ ჯართან. ლეკებისა და მერუსეთე ქართველების ღალატის გამო ქართველები დამარცხდენენ.

ალექსანდრე თიანეთიდან ფშავში გადავიდა, შემდეგ - ხევსურეთში. 1813 წლის მაისში გენერალმა რტიშჩევმა ოთხი მხრიდან შეუსია ლაშქარი ხევსურეთს. გადამწყვეტი ბრძოლა 3 ივნისს მოხდა. ხევსურები მამაცურად იბრძოდნენ შატილის დასაცავად, 600 ხევსურმა თავიც შესწირა სამშობლოს, მაგრამ რუსეთის არტილერიამ გადაწყვიტა ბრძოლის ბედი. შატილი მტერმა მიწასთან გაასწორა, ამობუგა 22 ხევსურული და 9 ქისტური სოფელი. აჯანყების ყველა კერა იქნა ლიკვიდირებული. რუსებმა უამრავი ქართველი გაჟლიტეს, დაპატიმრებულები კი სასტიკად დასაჯეს.

ალექსანდრე ბატონიშვილი ამჯერადაც გაუსხლტა მტერს და დაღესტანში გადავიდა [2, გვ. 79]. აქ იგი სოფელ უნცუკულში დაბანაკდა და მთიელთაგან საბრძოლო რაზმების ორგანიზებას შეუდგა. სულ მოკლე ხანში მისი დროშის ქვეშ 6000 მებრძოლი იდგა. 1813 წელს შილდის გზით ალექსანდრე ბატონიშვილი კახეთში შევიდა. საბუესთან რუსებმა ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს და ბატონიშვილი უკან გაბრუნდა. საერთაშორისო მოვლენების ირანის სასიკეთოდ შემოტრიალების მოლოდინში ალექსანდრე ბატონიშვილი 1818 წლამდე დაღესტანში იმყოფებოდა.

ირანის, თურქეთის, აგრეთვე, საფრანგეთისა და ინგლისის მცდელობებს პოლიტიკური სარგებელი ენახათ ამ აჯანყებიდან, წარმატება არ მოჰყოლია. პირიქით, 1812 წელს რუსეთი გამარჯვებული გამოვიდა არამარტო საფრანგეთთან, სპარსეთთან და თურქეთთან ომებში, არამედ გამარჯვებას მიაღწია აჯანყებულ ქართლ-კახლებთანაც ერთწლიან ბრძოლაშიც. სხვათა შორის, მაშინ

როდესაც, აჯანყებული ქართველები ალექსანდრე ბატონიშვილის მეთაურობით ფრანგებთან რუსების დამარცხებაზე ამყარებდნენ იმედს. რუსების მხარეს ბოროდინოს ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა ქართული წარმოშობის 13 გენერალი [22, გვ. 10].

ამ აჯანყების მნიშვნელობასა და მასშტაბებზე მოწმობს ის გარემოებაც, რომ მიუხედავად რუსეთში ნაპოლეონის შეჭრისა და 1812 წლის ბოროდინოს ბრძოლისა (რუსეთის ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენა), კახეთის აჯანყება ვერ დაიჩრდილა და დიდი ხნის განმავლობაში რუსეთის ხელისუფლების, ამ მოვლენის თანამედროვე სამხედროების, პოლიტიკოსების, ისტორიკოსების და სხვ. განსჯის საგანი იყო. უფრო მეტიც, რუსები იმდენად უმნიშვნელოვანეს მოვლენად თვლიდნენ, რომ ამ „ერთი ციცქნა" (რუსეთის იმპერიის მასშტაბებისათვის) აჯანყების შესახებ 140 წლის შემდეგ, 1951 წელს, რუსულ ენაზე, ო. მარკოვას ავტორობით, 332 - გვერდიანი ფუნდამენტური ნაშრომი გამოსცა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ.

ამ მოვლენას პუშკინთან და დეკაბრისტებთან დაახლოებულმა, ქართველებისადმი კეთილგანწყობილმა, ცნობილმა რუსმა მწერალმა (პროზაიკოსი, პოეტი, მთარგმნელი) ალექსანდრე შიშკოვმა (1799-1832) რომანიც კი მიუძღვნა „ქეთევანი, ანუ საქართველო 1812 წელს" (მისი პირველი თავები იბეჭდებოდა 1830-1831 წლებში), სამწუხაროდ, იგი მოკლეს და მისი დამთავრება ვერ მოასწრო [25, 26]. ქართველთა ამ აჯანყებას მრავალი რუსი და სხვა უცხოელი შეეხო, მათ შორის – ფრანგები, გერმანელები, ინგლისელები [15] და სხვ.

სამშობლოდან გადახვეწილი ალექსანდრე წლების განმავლობაში ცხოვრობდა კავკასიის სხვადასხვა კუთხეში: ავარელებში, ჩეჩნებში, ლეკებში და როგორც იგი იყო მათი მოიმედე, ისევე ყველგან მისი მიედი ჰქონდათ რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში. მთელი ჩრდილოეთი კავკასია მზად იყო მის ერთ დაძახილზე ფეხზე დამდგარიყო. როდესაც ყაბარდოში არეულობა დაიწყო, მისმა წინამძღოლებმა, ჩერქეზებმა მოსწერეს: ,,ხალხმა ღირს ვცანით, მივყვეთ ერთადერთს ქვეყნის დამცველ კანონიერ ხელმწიფეს და გემსახუროთ თქვენ'' [3].

როგორც ზემოთ აღინიშნა, აჯანყების დამარცხების შემდეგ ალექსანდრე ბატონიშვილი დაღესტანშია. იქაც განაგრძობდა ენერგიულ საქმიანობას რუსეთის წინააღმდეგ კავკასიის ხალხთა გაერთიანებისთვის. მიუხედავად დაღესტნელებზე რუსეთის არნახული ზეწოლისა, იგი მათ არ გაუციათ, პირიქით, უდიდესი სიყვარული მოიპოვა დაღესტნელების და მათთან კავშირი სიკვდილამდე არც გაუწყვეტია. დაღესტნელების მისადმი ერთგულება იმდენად სამაგალითო იყო, რომ მათი ურთიერთობის შესახებ ლეგენდებიც კი დადიოდა. მაგალითად, ინგლისელი უილიამ ალენი (William Edward David Allen, 1901-1973) 1932 წელს ლონდონში გამოცემულ წიგნში „ქართველი ხალხის ისტორია", გადმოგვცემს ლეგენდას, რომლის მიხედვითაც შამილი თითქოს ალექსანდრეს შვილი იყო [15, გვ. 216].

გარდა ირანისა, ბატონიშვილთან კავშირი ჰქონდა არზრუმის სერასკირს ბაბა ფაშასაც, რომელსაც სურდა 1815 წელს, სოლომონ II გარდაცვალების შემდეგ, ალექსანდრეს იმერეთის ტახტი დაეკავებინა. 1819 წლიდან იგი ირანშია. მონაწილეობდა რუსეთ-ირანის 1826-1828 წლების ომში.

1832 წელს ქართველ შეთქმულთა ფარულმა საზოგადოებამ მას სთხოვა დაგეგმილი შეთქმულების დაწყების დროს სათავეში ჩასდგომოდა აჯანყებულთა ლაშქარს, ხოლო გამარჯვების შემდეგ ფარულ საზოგადოებაში მონარქისტებს და კონსტიტუციურ-მონარქიული ფრაქციის წევრებს განზრახული ჰქონდათ მისი მოწვევა საქართველოს მეფედ.

ალექსანდრე ბატონიშვილის წინააღმდეგ რუსეთის ხელისუფლებამ უამრავი ხალხი ჩართო, დახარჯა უამრავი ფული, მიმართა პროვოკაციებს, გამოიყენა გარემოცვის მოსყიდვის, მოწამვლისა და მკვლელობის მცდელობები. მაგალითად, რტიშჩევი ავარელ ხანს სულტან აჰმედს ბატონიშვილის მოკვლისათვის სთავაზობს 6000 მანეთს და სხვა ჯილდოებს [21, გვ. 376]. იგი დათანხმდა

და ითხოვა გაუგზავნონ „საწამლავი, რომელიც საჭმელში ან სასმელში გარევის შემთხვევაში მოკლავს ადამიანს..” [21, გვ. 376]. ამით საწადელს რომ ვერ მიაღწია, რტიშჩევმა 20 ათასი მანეთი აღუთქვა იმას, ვინც ალექსანდრე ბატონიშვილს მოკლავდა.

იმპერიის მესურვენი, ზოგჯერ მუქარითა და ზოგჯერ კიდევ ტკბილი სიტყვით ცდილობდნენ მის მიმხრობასა და გადაბირებას. ერთი მხრივ, თუ რტიშჩევი ემუქრებოდა: ,,მე ბრძანებას გავცემ, რაც შეიძლება გდევნონ, მოსვენება არ მოგცენ, სიცოცხლე გაგიმწარონ'' და ციციანოვმა სამჯერ გაზარდა იმ თანხის რაოდენობა (ასი ათასი ოქრო), რომლითაც მისი სიცოცხლე იყო შეფასებული, მეორე მხრივ, გენერალი ლაზარევი ურჩევდა, დაბრუნებულიყო სამშობლოში და იმპერია სანაცვლოდ დიდ პატივს მიაგებდა მას. მაგრამ მოუხელთებელი უფლისწული კარგად იცნობდა რუსების პირუმტკიცობას და მლიქვნელობასაცა და მუქარასაც ერთნაირად ამაყი უარით პასუხობდა: მე მხოლოდ ერთის ღმერთის მეშინია და ამაზე ვსასოებ, მეტი ჩემი შემშინებელი ჯერ არავინ გამოჩენილა!

როდესაც ვერც ტკბილი სიტყვა და ვერც მუქარა ვერ სჭრიდა, რუსი ხელისუფალი ცდილობდა ქართველი კაცისთვის ყველაზე უფრო მტკივნეულ საგანს შეჰხებოდა და ბატონიშვილს თავისი ხალხის მტრობასაც კი უგონებდნენ. რტიშჩევის ბრალდებაზე, ხალხი მხარს არ გიჭერს და შენ ძალად აშფოთებ მათ და ცუდუბრალოდ ღუპავო, თავისი სიმართლის ღირსებით პასუხობდა: ,,ეს საითგანღა მომიგონე, ხალხი ყურს აღარ გიგდებსო? მაშ ის ამოდენა ხალხი საიდან მოგროვდა ჩემი დროშის ქვეშ? საიდან და რის გამო აღდგა ამდენი ხალხი? თუ თქვენ ხალხის სიყვარულს და მოთხოვნას არაფრად აგდებთ?'' ის, რომ ზემოთქმული ლიტონი სიტყვები არ იყო და მართლაც მთელი ერი იდგა ბატონიშვილი ალექსანდრეს გვერდით, დასტურდება რტიშჩევთან მერუსეთე გენერალ ორბელიანის მიერ გაგზავნილი ერთი დოკუმენტით: ,,მთელი ერი ჩვენს წინააღმდეგ არის აღმდგარი. ალექსანდრე ბატონიშვილს ყველგან ბინა აქვს და ამიტომ ხელში ვერ მოვიგდე. გთხოვთ, ახალი ჯარები მომაშველოთ'' [3].

თუ რა მნიშვნელობა ენიჭებოდა ალექსანდრე ბატონიშვილის გადაბირებას, ამას მიგვანიშნებს მასთან მიმოწერაში მყოფი უმაღლესი დონის სამხედრო და სამოქალაქო მოხელეების სიაც: ლაზარევი, კოვალენსკი, კოჩუბეი, ციციანოვი, ნესვეტაევი, ტორმასოვი, კოზოდავლევი, ნესელროდე, დელპოცო, რტიშჩევი, ერმოლოვი და თვით იმპერატორი ალექსანდრე I [21, გვ. 391].

ალექსანდრე ბატონიშვილი არც სპარსოფილი იყო და არც – რუსოფობი. იგი პოლიტიკოსი იყო და მის პოლიტიკურ კრედოს განაპირობებდა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის ეროვნული ინტერესები. მის საპასუხო წერილებში ჩანს, რომ იგი დარწმუნებული თავის სიმართლეში, შეურიგებელია არა რუსეთთან პოლიტიკური კავშირის არსებობისა, არამედ რუსეთის ხელისუფლების მიერ საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმებისა.

რუსეთის მიერ ამიერკავკასიაში პოზიციების განმტკიცების შემდეგ და საქართველოსთვის შექმნილი არასახარბიელო საერთაშორისო ვითარებიდან გამომდინარე, როცა ნათელი გახდა იმ ეტაპისათვის აჯანყებებით რუსეთის დამარცხების უპერსპექტივობა, ალექსანდრე ბატონიშვილი ირანში გადაიხვეწა. ქვეყნის თავისუფლებისათვის თავგანწირულმა და დაუღალავმა მებრძოლმა, სიცოცხლის ბოლო წლები სამშობლოსგან შორს, უკიდურეს სიღატაკესა და მარტოობაში გაატარა, გადმოცემით იგი გარდაიცვალა თეირანში 1844 წელს, დაკრძალეს სომხური ეკლესიის ეზოში. ერთ-ერთი წყარო მიუთითებს, „იმის უკანასკნელი ანდერძი იყო, რომ გვამი მისი საქართველოში დაესაფალავებინათ... ამის გამო, დიდხანს დაუსაფლავებელი იდვა თეირანში შაჰ-აბდულაზიმის უბანში, სომხის ეკლესიაში. მაგრამ ამის ანდერძი არ ასრულდა და მისი გვამი იადუბ-ხანმა დაასაფლავა სომხის ეკლესიის კარებში. თეირანში ბევრმა არ იცის, რომ ეს უბრალო საფლავი, სომხის

ეკლესიის შესავალ კარებთან, შეიცავს თავის შორის უკანასკნელ სხივს მოსპობილის საქართველოს მეფობისას [11, გვ. 52].

რუსული და საბჭოთა საბჭოთა ისტორიოგრაფია სწორედ მას მოიხსენიებდა განსაკუთრებულად უარყოფით კონტექსტში, როგორც ,,საქართველოს ბოროტ გენიას'' და ცდილობდა ბინძური მეთოდებით დაენერგა ქართველებში მისადმი სიძულვილი (რაც დღესაც, პოსტსაბჭოთა ქართველებშიც კი იგრძნობა ეს გავლენა).

ამ დიდი ქართველი მამულიშვილის საფლავი დღეს დაკარგულად ითვლება. ცალკეული პატრიოტი ქართველის მრავალმხრივმა და მრავალწლიანმა ცდამ, მოეძია მისი განსასვენებელი, არც გამოხმაურება მოჰყოლია მათგან, ვისაც ეს ხელეწიფება და, ცხადია, შესაბამისად შედეგიც ვერ გამოიღო. ამიტომაა, რომ სწორედ დაუზუსტებელი ზეპირი გადმოცემებისა და პიროვნული პატრიოტულ–ემოციური განწყობის საფუძველზე აწყობენ ხოლმე ქართველები უშედეგო ექსკურსიებს საფლავის მოსანახულებლად.

ალექსანდრე ბატონიშვილის საფლავის მოძიებისა და მისი ნეშტის საქართველოში გადმოსვენების ერთ-ერთ ბოლო მცდელობას ადგილი ჰქონდა 2014 წელს. მწერალი ნოდარ კობერიძე თავის წიგნში „შირე-გორჯის“ „საფლავის ძიებაში“ წერს „...ჰენრი კუპრაშვილმა გამოსცა შესანიშნავი ნაშრომი ალექსანდრე ბატონიშვილზე – „მოუხელთებელი უფლისწული ანუ იმპერიის თავის ტკივილი“, სადაც კვლავაც დააყენა დიდი ქართველის მამულიშვილის გადმოსვენების საკითხი, მაგრამ როცა საზოგადოება თავს იყრუებს და თვალს იბრმავებს... ამიტომაც ბატონ ჰენრი კუპრაშვილსა და ცნობილ პოეტს, ირანისტს, საზოგადო მოღვაწეს, პროფესორ ***ნომადი ბართაიას*** შევთავაზე შეგვექმნა საინიციატივო ჯგუფი, რომელიც იზრუნებდა ამ მამულიშვილის საფლავის ზუსტ ადგილმდებარეობის დადგენაზე და შემდგომ მის გადმოსვენებაზეც იფიქრებდა“ [4, გვ. 11.] აღნიშნულმა საინიციატივო ჯგუფმა ღია წერილითაც მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს. რათა ესარგებლა მომენტით და მასპინძელი სომეხი მეგობრების წინაშე დაეყენებინა ჩვენთვის ეს აქტუალური საკითხი, ვინაიდან სომხური ეკლესიის დახმარების გარეშე ვერ მოხერხდება ეკლესიის არქივებში სრულყოფილი მოძიების ჩატარება [10]. სამწუხაროდ, ამ წერილს რეაგირება არ მოყოლია.

ალექსანდრე ბატონიშვილის შესახებ პირველი ნაბეჭდი ბიოგრაფიული ცნობები მოიპოვება სომეხი მწერლის, ისტორიკოსისა და არმენოლოგის ***ალექსანდრ ერიციანის*** (1841–1902) სტატიაში „საქართველოს სამეფო სახლის უკანასკნელი შთამომავალი“. სამწუხაროდ, საქართველოს საბჭოთა ენციკლობედიაში ალექსანდრე ბატონიშვილის შესახებ მოთავსებული სტატიის სქოლიოში მითითებული წყარო: Ери́цов А., Последний потомок грузинского царского дома! „Весь кавказ, 1903б т. 1. სანდოდ ვერ გამოიყურება, ეტყობა, ტექნიკური შეცდომა გაიპარა, რადგან რუსეთის 1901–1916 წლების პერიოდულ გამოცემათა ბიბლიოგრაფიაში ამგვარი სახელწოდებით (Весь кавказ) რაიმე გამოცემას ვერ მივაკვლიე. ალექსანდრე ერიციანი ***ერიცოვის*** გვარით ბეჭდავდა წერილებს 1901–1905 წლებში თბილისში გამომავალ ყოველთვიურ სამეცნიერო-ლიტერატურულ ჟურნალში „კავკაზსკი ვესტნიკ“ (Кавказский вестник). **უნდა ვივარაუდოდ, რომ სწორედ ეს ჟურნალი იგულისხმა საქართველოს საბჭოთა ენციკლობედიაში ალექსანდრე ბატონიშვილის შესახებ გამოქვეყნებული სტატიის ავტორმა** [8].

რადგან ამ სტატიაში ძირითადად ალექსანდრე ბატონიშვილის გარდაცვალებისა და დაკრძალვის შესახებ ინფორმაცია გვაინტერესებს. ამიტომაც ერიციანის სტატიის მთლიან შინაარს აქ არ შევეხები და მოვიხმობ ბოლო აბზაცს: „ალექსანდრე სპარსეთში ატარებდა ტიტულებს „მირზა“, „ხანი“, „საქართველოს ვალი“ (მმართველი), სიკვდილამდე სხვადასხვა თანამდებობა ეკავა, მაგრამ ბოლოსდაბოლოს, როგორც თვითმხილველები ადასტურებენ, გარდაიცვალა უკიდურეს გაჭირვე-

ბაში. **იგი გარდაიცვალა 1844 წელს და დაკრძალულია თეირანში, სომხური ეკლესიის კარებთან მარჯვენა მხარეს**“ [23].

ქარული საბჭოთა ენციკლოპედიის მიხედვით (ეყრდნობა შ. ხანთაძესა და ა. ერიცოვს) ალექსანდრე ბატონიშვილი „გარდაიცვალა **თეირანში. დაკრძალულია იქვე, სომხური ეკლესიის ეზოში**“ [1].

ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე, ირანისტი, სასიქადულო მამულიშვილი, პროფესორი ***მაგალი თოდუა*** წერდა: „მე მოვიხადე ჩემი მოვალეობა, მოვნახე ალექსანდრე ბატონიშვილის **საფლავი შაჰ აბდულ აზიმის ალაყაფთან მდებარე სომხურ ეკლესიაში**. მაგრამ ეკლესიის ეზო, სადაც მარხია „შირე გურჯი“, ეკლესიის პატრონთ გაურემონტებიათ და ცემენტის ფილებით დაუფარავთ. ***კარო მინასიანს***, სომხური გიმნაზიის მასწავლებელს, **უნდა ვუმადლოდე,** რომ იმ წამებული ქართველის **საფლავი ვიცი**: იგი მარხია ეკლესიის ეზოში, მისი დასავლეთის კარების წინ, ოთხ ნაბიჯზე, მარჯვნივ“ [9].

ფონდი „ტაძრელის“ წარმომადგენელი ***სიმონი კოპაძე*** **სერიოზულად მიუდგა საკითხს, მაგრამ მისი მცდეოლბა უშედეგოდ დამთავრდა**: „მისი საფლავი პრაქტიკულად დაკარგულია, მე ვმუშაობდი მისი გადმოსვენების საკითხზე და მინდა გითხრა, რომ ერთადერთი შანსი მისი საფლავის მიკვლევისა არის კილიკიის სომეხთა პატრიარქის კეთილი ნება, რომელმაც უნდა დართოს ნება თეირანის სომხური ეკლესიის წინამძღოლს დაუშვას ჩვენი მკვლევრები მათ არქივში და მოგცეს ნება გათხრისა, რადგან მათ რეკონსტრუქცია ჩაუტარეს ტაძარს და საფლავების ნაწილზე ფილები გადააგეს“.

მზია სურგულაძეც გარდაცვალების ადგილად თავრიზს მიუთითებს: „იგი გარდაიცვალა 1844 წელს, **<u>თავრიზში.</u>** დასაფლავებულია იქვე, სომხური ეკლესიის ეზოში“ [13].

ირანისტიკულ ჟურნალში, ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებულ გიორგი სანიკიძის სტატიაში „ქართულ-ირანული ურთიერთობის ისტორიული მიმოხილვა მე-19 საუკუნეში“, ვკითხულობთ: „ალექსანდრე **გარდაიცვალა 1844 წელს ირანში** და **დაასაფლავეს ძველ ქრისტიანულ ეკლესიაში თეირანთან ახლოს, შაჰ აბდულ აზიმის სალოცავის ალაყაფის უკან [19, გვ, 148-173]**.

ენციკლოპედია „გენეაგრფიე – ოჯახები მთელ მსოფლიოში“ (Geneagraphie - Families all over the world), საცნობარო სტატიაში „ალექსანდრე კახეთიდან“, გვამცნობს, რომ ალექსანდრე: „გარდაიცვალა **1844 წელს თეირანში, დაკრძალულია სომხურ ეკლესიაში ქავამ ას-სალთანეჰის ქუჩაზე თეირანში**“ [16].

სპარსულენოვანი ვიკიპედიის სტატია „ქართველი ისკანდერ მირზა“ მიუთითებს ალექსანდრე ბატონიშვილის მხოლოდ გარდაცვალების თარიღს (1844) და არაფერია ნათქვამი მისი დაკრძალვის შესახებ [27].

რაც შეეხება ინგლისურენოვან „ენციკლობედია ირანიკას“,[1] სომხური წარმოშობის ამერიკელი ისტორიკოსი. აღმოსავლეთ სომხეთისა და ამიერკავკასიის ახალ ისტორიის კვლევაში მსოფლიო ავტორიტეტად აღიარებული, ***ჯორჯ ბურნუთიანის*** (George A. Bournoutian)[2] სტატიის ქვესათაურში განმარტებულია, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი სპარსეთში ცნობილია, როგორც ისკანდერ მირ-

---

[1] „ენციკლოპედია ირანიკა“ (Encyclopædia Iranica) არის ყოვლისმომცველი და ავტორიტეტული ინგლისურენოვანი ენციკლოპედია ირანული მოდგმის ხალხების ისტორიის, კულტურისა და ცივილიზაციის შესახებ უძველესი დროიდან დღემდე. შეიქმნა კოლუმბიის უნივერსიტეტში (აშშ) და 1973 წლიდან გამოცემულია 15 ტომი (გათვალისწინებულია 45 ტომის გამოცემა). მთავარი რედაქტორია ირანული წარმოშობის ამერიკელი ირანისტი, 95 წლის ეჰან იარშატერი (Ehsan Yarshater, დ. 1920) ოფიციალური გვერდი http://www.perlit.sailorsite.net/yarshater/.

[2] ჯორჯ ბურნუთიანი (George A. Bournoutian დ. 1943), სომხური წარმოშობის ამერიკელი ისტორიკოსი. იგი ითვლება ერთ–ერთ მსოფლიო ავტორიტეტად აღმოსავლეთ სომხეთისა და ამიერკავკასიის ახალ ისტორიაში (1400–1900), ავტორი ენციკლოპედია „ირანიკის“ რამდენიმე სტატიისა..

ზა, საქართველოს სამეფო ოჯახის პროსპარსი წევრი. დაიბადა 1770 წელს, გარდაიცვალა 1830 წლის შემდეგ. ***ირანიკაში არათუ დაკრძალვაზე, არამედ თარიღიც კი არა არის მითითებული.*** სტატიაც მთავრდება წინადადებით **„მისი პირადი ბედი უცნობია“ [16]**.

სანდოობის თვალსაზრისით ალბათ ისევ ა. ერიციანი უფრო დამაჯერებლად გამოიყურება სხვებთან შედარებით, რადგანაც მის დროს ბატონიშვილის გარდაცვალების უშუალო მომსწრეები ჯერ კიდევ არიან ცოცხლები და, როგორც თვითონვე აღნიშნავს, **მათ მონაყოლს ეყრდნობა** „როგორც **თვითმხილველები ადასტურებენ**“-ო. ისიც გასათვალისწინებელი ფაქტორია, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი სომხების სიძე[3] იყო და ინფორმაციის მოპოვება ამ მხრივაც ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო იმ პერიოდში საკმაოდ ავტორიტეტული ა. ერიციანისთვის (მას ალექსანდრე ბატონიშვილის შესახებ ცნობები 1894 წელს გამოქვეყნებულ სტატიაშიც აქვს – Eritsiants, Amenayn hayots katoghi-kosutiune ev Kovkasi hayk XIX darum I, Tiflis, 1894, pp. 10-19).

ისტორიული ფაქტია, რომ ერეკლე II და გიორგი XII მრავალრიცხოვან მემკვიდრეთაგან, ალექსანდრე ბატონიშვილი აღმოჩნდა ერთადერთი, ვინც რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფო სახლის შეურაცხყოფას და ბაგრატიონთა დინასტიის გაუქმებას არ შეურიგდა და მის ხელთ არსებულ ყველა საშუალებით სიცოცხლის ბოლომდე იბრძოლა მის აღსადგენად [11, გვ. 10].

დასკვნა: ქართველი ერი ვალშია ამ დიდი ქართველის წინაშე და აუცილებელია მისი ნეშტი გადმოსვენდეს საქართველოში, იქნებ სიკვდილის შემდეგ მაინც ეღირსოს მშობლიურ მიწაში დამარხვა, რომლის თავისუფლებისათვის ბრძოლას სიცოცხლე შეალია. სამწუხაროდ, აგერ უკვე 200 წელი შესრულდება, რაც გარდაიცვალა საქართველოსთვის თავდადებული ადამიანი და სერიოზული კვლევაც კი არ ჩატარებულა მისი საფლავის მოძიებისა და დაზუსტებისათვის. დღემდე არ არის საბოლოოდ დადგენილი მისი გარდაცვალების თარიღი და სომხურ ეკლესიაში დაკრძალვის ზუსტი ადგილი. არსებული როგორც ქართული, ისე უცხოური წყაროები ხშირად ურთიერთგამომრიცხავ ცნობებს შეიცავს.

წარმოუდგენელია განსაკუთრებით იმ პერიოდის სომეხთათვის ავტორიტეტული ბაგრატიონთა გვარის წარმომადგენლის, ქართველი უფლისწულის და, თანაც სომეხთა სახელგანთქმული სიძის ალექსანდრე ბატონიშვილის დასაფლავება არ იყოს დაფიქსირებული საეკლესიო დავთრებში. ცნობილია, რომ ასეთ საკითხებში სომხური ეკლესიები საკმაოდ აკურატულები იყვნენ საუკუნეების განმავლობაში. ცხადია, რომ აუცილებელია, პირველ ყოვლისა, საეკლესიო არქივებში იქნეს მოძიებული სათანადო დოკუმენტი, ეს კი სომხური ეკლესიის სერიოზული დახმარების გარეშე ვერ მოხერხდება. კარგი იქნება, მისი უწმიდესობა, უმაღლესი პატრიარქი და ყოველთა სომეხთა კათოლიკოსი ***გარეგინ მეორე*** და კილიკიის დიდი სახლის კათოლიკოსი ***არამ პირველი*** გულთან ახლო მიიტანენ ჩვენ სატკივარს და გამოავლენენ დახმარების კეთილ ნებას. საჭიროა დაშვებულ იქნას მკვლევრები არქივებში, პირველ ყოვლისა, კათოლიკოსატის არქივში (სპარსული ხელნაწერების ფონდი, 680, 682, fol. 1e (ჯგუფი 29). [4] არქივში დაზუსტების შემდეგ საჭირო იქნება 1768 წელს აგებული წმინდანების თადეოსისა და ბართლომეს (en. Sts. Thaddeus-Bartholomew, ru.

---

[3] რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში სომეხთა დახმარების იმედით ***აბას მირზასა*** და სომეხთა კათოლიკოსის ***ეფრემის*** მეცადინეობით ალექსანდრეს ცოლად შერთეს ერევნელი გავლენიანი ჩინოვნიკის ***საკ მელიქ–აღამალიანი***ს ქალიშვილი ***მარიამი*** და იგი შვილთან ***ირაკლისთან*** ერთად ცხოვრობდა ერევანში. მაგრამ ეს ქალაქი მალე დაიპყრეს რუსებმა. 1834 წელს რუსეთის მთავრობამ უბრძანა მას სანკტ-პეტერბურგში გადასვლა, სადაც იგი ცნობილი იყო, როგორც დედოფალი მარიამ ისააკის ასული გრუზინსკაია. ალექსანდრეს მასთან ყავდა ერთადერთი შვილი ირაკლი (1826–1882).

[4] „ენციკლოპედია ირანიკაში“ ჯ. ბურნუთიანის მინაწერის მიხედვით, კათოლიკოსატის არქივი ამჟამად ინტეგრირებულია მატენადარანის არქივებში (ALEXANDER, PRINCE. http://www.iranicaonline.org/articles/alexander-prince-known-in-persian-as-eskandar-mirza-pro-persian-member-of-the-royal-family-of-georgia-b) ამ შემთხვევაში, საჭირო იქნება სომხეთის მთავრობის დახმარება.

Свв.Фаддея и Бартоломея, სომხ. თადევოსი და ბართოღიმევოს) ეკლესიაში საფლავის გათხრის ნებართვის მიღება. ამ თვალსაზრისით, ასევე ფასდაუდებელი დახმარების აღმოჩენა შეუძლია ირანის ისლამური რესპუბლიკის ხელისუფლებასაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალექსანდრე ბატონიშვილი (ბაგრატიონი). ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 1.
2. ებანოიძე, ლ. (1968). *ნიკოლოზ ბარათაშვილი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზოგიერთი საკითხი საქართველოში*. თბილისი: ნაკადული.
3. ერიშვილი გ. დავუბრუნოთ ალექსანდრე ბატონიშვილის ნეშტი საქართველოს! http://www.georoyal.ge/?MTID=4&TID=3&id=596
4. კობერიძე, ნ. (2015). "შირე-გორჯის" საფლავის ძიებაში". თბილისი: საზოგადოება „ტაო-კლარ-ჯეთი.
5. კუპრაშვილი, ჰ. (2011). *„დიდი რუსიანობა" საქართველოში. XIX საუკუნის პირველი ნახევარი*. თბილისი: უნივერსალი, 2011. ISBN 978-9941-17-381-3.
6. კუპრაშვილი, ჰ. (2011). *რუსეთის კოლონიური პოლიტიკა და ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრი XIX საუკუნის პირველ ნახევარში.* თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი, ISBN 978-9941-14-978-8.
7. კუპრაშვილი, ჰ. (2012). *ხუთი უკვდავი ქართველი.* XIX საუკუნის პირველი ნახევარი. თბილისი: უნივერსალი. ISBN 978-9941-17-569-5.
8. კუპრაშვილი, ჰ. (2016). თეირანში დაკრძალული ალექსანდრე ბატონიშვილის საფლავის მოძიებისა და საქართველოში გადმოსვენების საკითხისათვის. მოხსენება. საერთაშორის კონფერენცია თემაზე: „ირან - საქართველოს თანამედროვე ურთიერთობები". თსუ-ს საქართველოს განვითარების კომპლექსური პრობლემების კვლევის ცენტრი. თსუ.
9. იხ,. საქართველოს სამეფო. http://www.georoyal.ge/?m=1000&id=596&fb_comment_id=fbc_413660902060098_67686854_493631060729748#f2cf124d8c
10. საზოგადოების წარმომადგენლები ირაკლი ღარიბაშვილს ალექსანდრე ბატონიშვილის ნეშტის მოიძიებაში დახმარებას თხოვენ. (2014) საქართველოს ახალი ამბების სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენ"-ი (GHN), 22 აგვისტო https://ghn.ge/news/113494-sazogadoebis-tsarmomadgenlebi-irakli-gharibashvils-aleksandre-batonishvilis-neshtis-moidziebashi-dakhmarebas-tkhoven
11. საითიძე, გ. (2016). *ჰაჰიდან შვილთაშვილამდე - უსიხარულოდ განვლილი ცხოვრების გზა*. თბილისი: უნივერსალი, 2016.
12. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. თბილისი: საბჭოთა საქართველო. ტ. IV.
13. სურგულაძე, მ. ალექსანდრე ერეკლეს ძე (1770-1844), http://qim.ge/al%20batonishvili%20erekle%201.html
14. ჭიჭინაძე ზ. (1919). *საქართველოს მოსპობა და ქართველი ერის გარუსება და ამის შესახებ ისტორიკოსის პლატონ იოსელიანის წინასწარმეტყველება*. ტფილისი: ზ. ჭიჭინაძის გამოც.
15. Allen, W. (1932). A history of the Georgian people. London.
16. ALEXANDER, PRINCE. http://www.iranicaonline.org/articles/alexander-prince-known-in-persian-as-eskandar-mirza-pro-persian-member-of-the-royal-family-of-georgia-b
17. Alexander von Kakheti. Geneagraphie - Families all over the world. http://geneagraphie.com/getperson.php?personID=I670710&tree=1 [31.03.2022]
18. Baddeley, J. (1908). The Russian conquest in Caucasus. London.

19. Sanikidze, George. (2008). An Historical Survey of Georgian-Iranian Relations in the Nineteenth Century. “Journal of Persianate Studies”, 1.
20. Акты, собранные Кавказской археографической комиссией. Издание Архива Главного управления наместника кавказского. Под ред. А. П. Берже, Тифлис, т. I.
21. Акты, собранные Кавказской археографической комиссией. Издание Архива Главного управления наместника кавказского. Под ред. А. П. Берже, Тифлис, т. V.
22. Джавахишвили Н. Г. (2003). *Грузины под российским флагом*. Тбилиси: ТГУ.
23. А. Ерицов. Царевич Александр - Последний потомок грузинского царского дома! http://nobility.pro/ru/statya/735-tsarevich-aleksandr-poslednij-potomok-gruzinskogo-tsarskogo-doma
24. Маркова, О.П. (1951). *Восстание в Кахетии*, 1812 г. Москва: Издательство Академии наук СССР.
25. Шишков, Александр Ардалионович. //Большая биографическая энциклопедия. http://dic.academic.ru/dic.nsf/ enc_biography/119838/Шишков
26. Шишков А. А.: биобиблиографическая справка http://az.lib.ru/s/ shishkow_aleksandr_ardalionowich/text_0050.shtml
27. اسکندرمیرزا گرجی (ქართველი ისკანდერ მირზა) https://fa.wikipedia.org/wiki/%D8%A7%D8%B3%DA%A9%D9%86%D8%AF%D8%B1%D9%85%DB%8C%D8%B1%D8%B2%D8%A7_%DA%AF%D8%B1%D8%AC%DB%8C [31.03.2022]

A Historical Example of Self-sacrifice for the Motherland and Ungrateful Contemporaries

Henri Kuprashvili Full Professor of Georgian Technical University Doctor of Political Sciences

Summary: The topic refers to the analysis of a specific field of research in the science of history and the process of expanding its area. The urgency of studying the research problem is determined by the need to immeasurably expand the subject-thematic and content field of national self-awareness in the modern globalized world.

For almost 40 years, Alexander Batonishvili was engaged in an unequal war with the enemy forces of the vast Russian Empire, which were much stronger than him. He is recognized to be a symbol of tireless, uncompromising and self-sacrificing struggle for the freedom of the motherland against the enemy. Aleksandre Batonishvili was neither a Persianophile nor a Russophobe. He was a politician and his political credo was determined by the national interests of restoring Georgian statehood. In his letters we can see that he is not opposed to the existence of a political union with Russia, but to the cancellation of Georgia's statehood by the Russian government. He was a tireless fighter for the independence of his homeland, and he spent the last years of his life far from the country, in poverty and loneliness. He died in Tehran and is buried there. Unfortunately, the merits of this great patriotic Georgian are not appreciated enough. Modern Georgian society (with a narrow exception) does not show proper interest in finding his grave and repatriating his remains to the homeland. Until now, the date of his death and the place of burial are not determined.

Separation of this problem for research will suit the needs of the current situation in the science of history. Accordingly, a specific contribution has been made in this direction to the research of possible trends assessments.

Key words: Alexander Batonishvili, Patriotism, Russian Empire, Persia, Kartli-Kakheti.

ეროვნული თანხმობა - საქართველოს ერთიანობის საფუძველი

ნინო გომართელი სტუ-ს პროფესორი

აბსტრაქტი: თავისუფლება სულიერების მტკიცე საყრდენია, თავისუფლება ყველა ახირების დაკმაყოფილებას როდი ნიშნავს, იგი ნიშნავს აბსოლუტურ ძალაუფლებას საკუთარ თავზე. თავისუფალი - ნიშნავს აკონტროლებდე საკუთარი აზროვნების მექანიზმს, მართავდე საკუთარ თავს, ახდენდე შენი შესაძლებლობების რეალიზებას. ჯორჯ ვაშინგტონის აზრით: „თავისუფლება ეკუთვნის იმას, ვინც იბრძვის თავისუფლებისათვის“. ტომას ჯეფერსონის მტკიცებით, „სახიფათო თავისუფლება მირჩევნია მშვიდობიან მონობას“.

საკვანძო სიტყვები: ეროვნული, მრავალპოლუსიანი მსოფლიო, საქართველო.

XXI საუკუნის 20-იან წლებში მსოფლიო საზოგადოება მტკივნეულ ტრანსფორმაციას განიცდის. ძალთა ბალანსი იცვლება, ყალიბდება მრავალპოლუსიანი მსოფლიო-ახალი კონფიგურაციით, ძველი მსოფლიო წესრიგის მყიფე ნაგებობა იმსხვრევა, მაგრამ არავინ იცის, როგორი იქნება ახალი... პატარა ქვეყნებს დიდი შეცდომების დაშვების უფლება არ აქვთ, ჩვენი ქვეყანა უნდა გადარჩეს არა მოლოდინით, არამედ - მოქმედებით. განსაცდელი, რომელიც XXI საუკუნის 20-იან წლებში მოევლინა სამყაროს, უნდა იქცეს ადამიანებისათვის შანსად, თავადაც შეიცვალოს და ქვეყანაც უკეთესობისაკენ შეცვალოს, მაგრამ ჩვენმა პოლარიზებულმა საზოგადოებამ პრობლემები ვერ აღიქვა. ძველ საქართველოში საერთო ჭირის დროს ეროვნული თანხმობა დგებოდა. დღეს ჩვენ ეს ვერ მოვახერხეთ - არ აღმოგვაჩნდა სათანადო პოლიტიკური კულტურა (გომართელი, 2021, გვ. 138). ადამიანმა თავად უნდა განსაზღვროს საკუთარი ძალა, ინტერესები, მისწრაფებები, სურვილები... შევეცადოთ ნაკლებად გავიხსენოთ მტკივნეული წარსული, ვიფიქროთ მომავალზე, როცა ვიფიქრებთ ხვალინდელ დღეზე, მსუბუქი იქნება დღევანდელიც... ადამიანებმა უნდა აღვადგინოთ ნდობა ჯერ ერთმანეთის მიმართ, მერე სხვა სახელმწიფოების მიმართ, ჯანსაღი პოლიტიკის, კანონების, წესრიგის მიმართ. „რაც დიდია ჩვენში ნდობის ფაქტორი, მით მაღალია ჩვენი შინაგანი კომფორტი და სიმშვიდის განცდა, და რაც უფრო დაბალია ურთიერთნდობა, მით დაბალია ჩვენი შინაგანი კომფორტი და მაღალია შფოთვის და სულიერი განგაში დონე“ (ფუკუიამა, 1999, გვ. 79). ქართველებს დიდი გამოფხიზლება გვჭირდება. აგრესიას სულიერება არ მოაქვს. თუ რამე გვაახლოებს ევროპასთან ეს ჩვენი სულიერებაა და თუ რამე გვაშორებს, ეს ჩვენი დღევანდელი ყოფითი უკულტურობაა. არ უნდა დავივიწყოთ ვინ ვართ, საიდან მოვდივართ, რა გზით უნდა ვიაროთ... უნდა ვიყოთ იმ ჯანსაღი ტრადიციების ერთგული და მიმდევარი, რომელიც ისტორიულად ჩამოყალიბებულია და თაობიდან თაობას გადაეცემა თავისი რიტუალებით, ადათებით, წეს-ჩვეულებებით. ტრადიციას კი არ უნდა ვინარჩუნებდეთ, ტრადიცია ჩვენში თავისით უნდა იყოს შენივთებული, შესისხლხორცებული. ძალით შენარჩუნებული ტრადიცია დოგმატიზმია, დოგმატიზმი კი - პრიმიტივიზმი. მერცხალი თავის ბარტყებს ფრენას, ბუდის აშენებას ასწავლის. ჩვენი ვალია მომავალ თაობას გადავცეთ ის, რაც გადაგვარჩენს, ქართველობას შეგვინარჩუნებს. არაფერი არ არის ისეთი იოლი, როგორც სიძულვილის ენაზე საუბარი, არაფერი არ არის ისეთი მარტივი, როგორც ბოროტების ქმნა - არც ერთს ფიქრი არ ახლავს. ფიქრი თვითგანწმენდის პროცესია. კაცობრიობა ფიქრს გადაეჩვია, დროსტარებაზე გადავიდა, გაქრა ზნეობა, რწმენა... უზნეობამ იმსხვერპლა დიდი იმპერიები: ძველი რომი, ბიზანტია... ინფორმაციის სიჭარბეში დავკარგეთ ორიენტაცია და ავცდით სწორ გზაზე. ჩვენ მცირერიცხოვანი ერი ვართ, საჭიროა ერთმანეთის გვერდში დგომა, დახმარება, უნდა გავთავისუფლდეთ უაზრო, ეგოისტური ამბიციებით აღსავსე სურვილებისაგან. სულიერი რეგენერაცია ყველას არ შეუძლია, მხოლოდ გამორჩეულების ხვედრია საკუთარი არცოდნის და არასრულფასოვნების გაცნობიერება. ჩვენ უნდა შევძლოთ კარგისა და ცუდის გარჩევა. არ შეიძლება ათი მცნების ღირებულებათა რევიზია, არ შეიძლება ქრისტიანული

მორალის თავდაყირა დაყენება. ჩვენ სულ მუდამ მესიას ვეძებთ, მაგრამ ჩვენი პრობლემები ყოველთვის სხვამ რატომ უნდა მოგვიგვაროს?! უმოქმედობა რეგრესის წინა პირობაა, ადამიანმა თუ ცხოვრებაში ვერაფერი გააკეთა, ვერც თავის თავს არგო და ვერც სხვას, ეს მის სისუსტეზე და უუნარობაზე მეტყველებს და არა უიღბლობასა და სასტიკ ბედისწერაზე. ცხოვრება შავ-თეთრ ზოლებადაა დაყოფილი. იგი თავსატეხი როდია, რომელიც უნდა ამოხსნა, იგი რეალობაა, რომელიც უნდა გამოსცადო. რობერტ უტარო აღნიშნავდა: „არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენი ბოროტება ნახე შენი ცხოვრების მანძილზე, გაცილებით მნიშვნელოვანია ყველამ აღიქვას, რამდენად მეტია სინათლე ამ ქვეყნად, ვიდრე სიბნელე“ (გომართელი, 2021, გვ. 144-145).

თავისუფლება სულიერების მტკიცე საყრდენია თავისუფლება ყველა ახირების დაკმაყოფილებას როდი ნიშნავს, იგი ნიშნავს აბსოლუტურ ძალაუფლებას საკუთარ თავზე. თავისუფალი - ნიშნავს აკონტროლებდე საკუთარი აზროვნების მექანიზმს, მართავდე საკუთარ თავს, ახდენდე შენი შესაძლებლობების რეალიზებას. ჯორჯ ვაშინგტონის აზრით: „თავისუფლება ეკუთვნის იმას, ვინც იბრძვის თავისუფლებისათვის“. ტომას ეფერსონის მტკიცებით: „სახიფათო თავისუფლება მირჩევნია მშვიდობიან მონობას“ (ნოვიკოვა, 2021, გვ. 456). დემოკრატიული ღირებულებები ყველაზე დიდ ქრისტიანულ იდეას - თავისუფლების მარადიულ იდეას უკავშირდება. თავისუფლება ყველაფრის გვირგვინია - ნიჭიერების, სათნოების, სიკეთის, სიყვარულის. ჩვენი ქვეყნის თავისუფლება ბევრად უფრო ძველია, ვიდრე ბებერი ევროპა, ან ახალგაზრდა ამერიკა. პირველი ქართველი, ვინც თავისუფლებისათვის იბრძოდა და ამ ბრძოლას შეეწირა აიეტის ძე აფსირტე იყო. მეცამეტე საუკუნეში, როცა ინგლისში „თავისუფლების ქარტიას“ ხელს აწერდნენ, ჩვენ უკვე გვყავდა უკვდავი შოთა რუსთაველი, რომელიც ყველას შთააგონებდა „მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები“... „ვეფხისტყაოსანი“ ფაქტობრივად ერთა ძმობისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების უნიკალური კონსტიტუციაა, რომელსაც ვერ შექმნიდა ერი, თუ არ ექნებოდა მაღალი სული და ინტელექტუალური კულტურა. მხოლოდ თავისუფალ ადამიანს შეუძლია სიყვარული, მისთვის ბედნიერება ბუნებრივი განცდაა, მიზეზი ამისათვის არ არის საჭირო, ბედნიერია იმიტომ, რომ არსებობს, თავისუფალია, უყვარს, ჰქმნის... ბედნიერება, როგორც ჭეშმარიტება, მუდმივად აწმყოშია, მოცემულ მომენტში, რომელშიც იმყოფება და ეს წამი, ამავდროულად, მარადიულია. ჩვენ გვახასიათებს თავისუფლებისადმი დაუოკებელი სწრაფვა, სიცოცხლის უბადლო ნიჭი, შემწყნარებლობა, ანუ ყველაფერი ის, რამაც გადაგვარჩინა და დღევანდელ დღემდე მოგვიყვანა, როგორც ცივილიზებული სამყაროსათვის მიმზიდველი სულიერი ერთობა. თავისუფლება აზროვნების კატეგორიაა და იგი უპირველეს ყოვლისა პროფესიონალიზმსა და პასუხისმგებლობას გულისხმობს. ევროპული ღირებულებებიდან არაფერია ჩვენთვის ახალი, უცხო და უჩვეულო. ქალთა უფლებებზე ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნეში იაკობ ხუცესი საუბრობდა, თანასწორობაზე შოთა რუსთაველი, მედეა კოლხზე ადრე სიყვარულით და თავისი ნებით გათხოვილი ევროპელი ქალი უბრალოდ არ არსებობდა. ადამიანის მთავარი ფუნდამენტური ფასეულობებია თავისუფლება, მშვიდობა, სტაბილურობა, კეთილდღეობა.

როგორ შეიძლება არ ვიამაყოთ ჩვენი უძველესი და თვითმყოფადი კულტურით: პირველი ევროპელი დმანისში დასახლდა სამი ათასწლეულის წინ, მეოთხე საუკუნის დასაწყისში ქრისტიანობა ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, მეხუთე საუკუნეში ვახტანგ გორგასალმა ქართველებს ბერძენთა ანუ ევროპელთა სიყვარული უანდერძა, „ოქროს ხანად“ წოდებული მეთორმეტე საუკუნე „აღმოსავლური რენესანსის“ სახელითაც დამკვიდრდა, დიდმა თამარ მეფემ სიკვდილით დასჯის გაუქმების დეკრეტი გამოსცა... ჩვენი კულტურა ევროპული კულტურის ნაწილია, საკუთარი ანბანით, ჩვიდმეტ საუკუნოვანი ლიტერატურით, რუსთველის პოეზიით, ჯვრით, სვეტიცხოვლით, ვარძიით, ყინწვისით, ფიროსმანით...

საქართველო მთელი ისტორიის მანძილზე ყოველთვის მარტო იყო, გარშემორტყმული ძლიერი და დიდი იმპერიებით, რომლებიც თავიანთი ინტერესების გატარებას ცდილობდნენ. ჩვენი

ქვეყანა კი იბრძოდა არსებობისათვის, დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისათვის, სარწმუნოებისათვის... ჩვენი ქვეყნის ცხოვრება, ჩვენი განვლილი გზა განსაკუთრებული იყო, ძალზე რთული, ერთი მუჭა ხალხისა და ერთი ბეწო მიწისათვის. ხშირად იტყვიან ჩვენში, „ღმერთმა დალოცვილი და რჩეული მიწა გვიწყალობა“-ო, მაგრამ ამ დალოცვილ მიწას ბევრი მოცილე და მოძალადეც მოჰყვა. საქართველო მუდამ იბრძოდა რათა გზა გაეჭრა თავისუფალი სამყაროსაკენ, ვიბრძოდით და გადავრჩით...! (დაუშვილი, 2019, გვ. 164)

1992 27 აპრილს ჩვენ პირველად შევაღეთ ევროპის კარი, რითაც დაიწყო ჩვენი დიდი ევროპული თავგადასავალი. 2023 წლის დეკემბერში მოგვენიჭა ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი, რითაც მოგვეცა საშუალება გავხდეთ დასავლური სამყაროს მნიშვნელოვანი ნაწილი, ევროინტეგრაციას, ალტერნატივა არა აქვს, ჩვენ გვინდა ევროპა...

მარადიული არაფერია ამქვეყნად - არც ომი და, სამწუხაროდ, არც მშვიდობა. ამიტომ ჩვენი ვალია, მშვიდობიანობის ჟამს ვიზრუნოთ ერთმანეთზე, სიფრთხილით წარმოვთქვათ ყოველი სიტყვა, გული არ ვატკინოთ ჩვენს გარშემო მყოფთ. უკანასკნელ დროს განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ უნდა შეგვახსენოს, რომ ამქვეყნად ყველაზე ძვირფასი რამ ადამიანის სიცოცხლეა, რადგან ყოველი სიცოცხლე განუმეორებელია, ერთადერთია და მეორედ მისი გავლის შანსს ვერავინ მიიღებს. გავუფრთხილდეთ ერთმანეთს, შევინარჩუნოთ მშვიდობა, თავისუფლება, ვიმოქმედოთ ჩვენი ეროვნული ინტერესის გავითვალისწინებთ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გომართელი, ნ. (2021). საქართველო და საერთაშორისო პოლიტიკის აქტუალური საკითხები. თბილისი, „ცოდნა“, გვ. 138.
2. დაუშვილი, რ. (2019). საქართველო და დასავლეთი. თბილისი, „მერიდიანი“, გვ. 164.
3. მჭედლიშვილი, გ. (2018). საქართველო ევროპულ სივრცეში. თბილისი, უნივერსალი, გვ. 65.
4. ნოვიკოვა, ნ. (2021). ამერიკის ისტორიის ნარკვევები. თბილისი, „ცოდნა“, გვ. 456.
5. ფუკუიამა, გ. (1999). ისტორიის დასასრული. თბილისი, „ინტელექტი“, გვ. 79.

National consent – the strength of Georgia

Nino Gomarteli GTU Professor

Summary: Throughout history, Georgia has always been alone, surrounded by powerful and large empires that tried to pursue their interests. And our country fought for existence, for independence, freedom, faith... The life of our country, the path that we have traveled, was special, very difficult, for a handful of people and a piece of land. We often say: “God has mercy on the blessed and chosen land,” but this blessed land was followed by many ill-wishers and offenders. Georgia has always fought to break into the free world, we fought and survived...!

1992 On April 27 we arrived in Europe for the first time, starting our great European adventure. Today we are given the opportunity to become an important part of the Western world, there is no alternative to European integration, we want Europe.

მსოფლიო წესრიგი და მისი განსაზღვრის თეორიული საფუძვლები

თამარ კიკნაძე პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი,
მალხაზ კაპანაძე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორანტი

აბსტრაქტი: ცნება - „ახალი მსოფლიო წესრიგი“, რომელმაც პოლიტიკის მეცნიერებაში განსაკუთრებული აქტუალობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი პერიოდიდან შეიძინა, გამოიყენება ძალთა ბალანსის ცვლილებების აუცილებლობის განსახილველად. როგორც მსოფლიო ისტორიული მოვლენები ცხადყოფს, აღნიშნული პარადიგმა მნიშვნელოვანი გლობალური მოვლენების პარალელურად ვითარდება და მსოფლიო პოლიტიკის დიდ სურათს ქმნის, თუმცა ამ ტერმინის მნიშვნელობა დაბინძურებულია შეთქმულების თეორიით.

სტატიის მიზანია განიხილოს „ახალი მსოფლიო წესრიგის“ ისტორიული ნარატივები, ნაშრომში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია XX საუკუნეში დამყარებულ წესრიგზე, რომელმაც მსოფლიო გავლენის სფეროებად გაყო და მნიშვნელოვნად განსაზღვრა XXI საუკუნეში გლობალიზაციის კვალდაკვალ ჩამოყალიბებული „ახალი მსოფლიო წესრიგიც“.

კაცობრიობის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად რჩება მშვიდობის დამყარება და ომის დამანგრეველი ფენომენის თავიდან აცილება, რომლის მოლოდინში სამყარომ ათასწლეულები გალია. მშვიდობიანი მსოფლიოს აუცილებლობა ალბათ დასაბამითვე იდგა, მაგრამ XX საუკუნე წინა საუკუნეებზე გაცილებით უფრო სასტიკი აღმოჩნდა, რომელსაც წითელ ზოლად სდევდა ყველაზე მასშტაბური და დამანგრეველი ომები კაცობრიობის ისტორიაში. პოლიტიკური, კულტურული და ტექნოლოგიური რევოლუციების კვალდაკვალ, საომარი ოპერაციები და კონფლიქტები მსოფლიოს თითქმის ყველა რეგიონში ინტენსიურად მიმდინარეობდა. სწორედ XX საუკუნის პროდუქტებია როგორც ატომური იარაღის შექმნა, ისე სხვადასხვა მასობრივი განადგურების საშუალებები. აღნიშნულმა მოვლენებმა სამეცნიერო წრეებში მოამწიფა შეხედულება, რომ საყოველთაო კეთილდღეობის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების მიღწევა ჯერ კიდევ შორეული ხედვის მირაჟია და კაცობრიობის წინაშე კვლავ დგას ცივილიზაციათა გადარჩენის საკითხი, რომელიც, თავის მხრივ, სწორედ პოლიტიკის ამოუხსნელი ბუნებითაც არის განპირობებული.

პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის მიერ ჩამოყალიბებული საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემა, „ცივი ომის“ დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კოლექტიური უსაფრთხოების მექანიზმის ხელახლა ამოქმედებას ითვალისწინებდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „ახალი მსოფლიო წესრიგი“ ტერორის საფრთხისგან თავისუფალ სამყაროს, სამართლიანობისა და მშვიდობისკენ სწრაფვას, აღმოსავლეთ-დასავლეთისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის ჰარმონიულ თანაარსებობას მოასწავებდა. ამრიგად, ეს ბუნდოვანი ფრაზები სინამდვილეში დიდ სახელმწიფოთა მეტ თანამშრომლობას, გაეროს გაზრდილ როლსა და საერთაშორისო სამართლის მეტ მნიშვნელობას გულისხმობდა. (აბაშიძე, 2009), თუმცა დღესდღეობით საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემა ახლებურად იქსელება და, შესაბამისად, პროცესები ჯერაც ფორმირების ფაზაშია. ახალი სამყაროს ფორმირების კომპლექსურობა იმითაც გამოირჩევა, რომ გადავდივართ უნიპოლარულიდან მულტიპოლარულისკენ. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, ერთადერთი სუპერ სახელმწიფო, რომელიც აყალიბებდა წესრიგს და დანარჩენ მსოფლიოს თავის თამაშის წესებს სთავაზობდა, იყო ამერიკის შეერთებული შტატები, თუმცა, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, აღნიშულ ე. წ. ზესახელმწიფოს აქვს ჰეგემონიის დაღმავალი ციკლი, რომლის არსებობაც როგორც ერთგვარი ისტორიული კანონზომიერებაა, ასევე წინ უძღოდა გარკვეული გეოპოლიტიკური პროცესები. (Ahmed, 2018).

„ახალი მსოფლიო წესრიგი“ ისტორიულ ჭრილში

ვინაიდან მსოფლიო პოლიტიკაში „ახალი მსოფლიო წესრიგის“ პარადიგმის ძირითადი პრინციპები და ამოცანები მსოფლიო ჰეგემონობისკენ სწრაფვაა, ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ იგი ჯერ კიდევ უძველესი დროიდან იღებს სათავეს. პირველი და მეორე მსოფლიო ომების შემდეგ, პოლიტიკურმა ლიდერებმა, ვუდრო უილსონმა და უინსტონ ჩერჩილმა, შემოიტანეს ტერმინი „ახალი მსოფლიო წესრიგი“ გლობალურ პოლიტიკაში, რათა აღეწერათ ისტორიის ახალი ერა, ძალთა ბალანსის ღრმა ცვლილების ფონზე. (Robertson, 1992) კერძოდ, იგი დაინერგა ვუდრო უილსონის მცდელობასთან ერთად აეშენებინა ერთა ლიგა, რომელიც მიზნად ისახავდა მორიგი მსოფლიო ომის თავიდან აცილებას. ვუდრო უილსონის მიერ „ერთა ლიგის“ შექმნა „ახალი მსოფლიო წესრიგის“ ერთგვარ პოლიტიკურ-სამართლებრივ კონსტრუქციად მიიჩნევა და, ფაქტობრივად, XX საუკუნის მსოფლიო წესრიგის ქვაკუთხედადაც მოიაზრება, თუმცა, „ერთა ლიგის“ უძლურებამ მსოფლიოში ყველაზე მასშტაბურ და სისხლიმღვრელ კონფლიქტამდე მიგვიყვანა, რაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ცხადი იყო, რომელმაც სამოცი მილიონი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა და კიდევ ერთხელ ეჭქვეშ დააყენა კაცობრიობის გადარჩენის საკითხი. მიუხედავად განცდილი კრახისა, ერთა ლიგა მაინც დაედო საფუძვლად ისეთი გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნას როგორიცაა გაერო, იგი დაარსდა 1945 წელს და ცდილობდა თანამშრომლობის გაზრდას და მესამე მსოფლიო ომის თავიდან აცილებას, არსებითად, ახალი მსოფლიო წესრიგის შექმნას. იგი რეალიზმისა და იდეალიზმის ერთგვარი ნაზავია, რომელიც ორგანიზაციაში გაწევრიანების მსურველ ყველა სახელმწიფოს ავალდებულებს, უარი თქვას ძალის გამოყენებაზე და საერთაშორისო კონფლიქტები მოაგვაროს მშვიდობიანი გზით. (Keohane, 1984).

მიუხედავად იმისა, რომ გაერომ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა და დიდ წარმატებას მიაღწია მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტზე მიმდინარე კონფლიქტების დარეგულირების კუთხით, გაეროს ქმედითუნარიანობის საკითხი კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა, რადგან დაფიქსირდა სრული უმოქმედობა საბჭოეთის ინტერვენციების წინააღმდეგ.

ცივი ომის დასასრული და ახალი მსოფლიო წესრიგი

ფართო გაგებით, „ცივი ომიც“, როდესაც ყოფილ მოკავშირეებს შორის მწვავე იდეოლოგიური და პოლიტიკური დაპირისპირება ორმოცდაათწლიან კონფრონტაციაში გადაიზარდა და მსოფლიო ე. წ. „ზესახელმწიფოებად“ და მათზე დაქვემდებარებულ სატელიტებად დაყო, „ახალი მსოფლიო წესრიგის“ გარანტი იყო. დაპირისპირებამ კაპიტალისტურ და სოციალისტურ ბანაკებს შორის რამდენჯერმე დააყენა ბირთვული ომის საფრთხე და არაერთი კრიზისული სიტუაცია შექმნა ე. წ. „მესამე სამყაროს“ ქვეყნებში.

ცივი ომის დროს, საერთაშორისო სისტემა შეიცვალა და ბიპოლარული გახდა. მსოფლიოში ჩამოყალიბდა ძალის ორი ცენტრი - აშშ და სსრკ, ხოლო დანარჩენი სახელმწიფოები, როგორც წესი, მათდამი მიტმასნების პოლიტიკას ირჩევდნენ. „ცივი ომის“ პერიოდი გამოირჩევა „რბილი ბიპოლარული“ სისტემით. ბუნებრივია, ორივე ზემოხსენებული სახელმწიფო სისტემაში დომინირებას და ერთპიროვნული ჰეგემონიის დამყარებას ცდილობდა. (Kaplan, 2013) ამერიკული თვალთახედვა იქიდან გამომდინარეობდა, რომ **დომინოს პრინციპის** მსგავსად, სსრკ-სთან ერთხელ დათმობაზე წასვლა სხვა არაერთი მარცხის საწინდარი იქნებოდა. (გორგილაძე, 2016) შედეგად ჩამოყალიბდა შეკავების სტრატეგია, რომელიც გულისხმობდა საბჭოთა ექსპანსიონიზმის შეკავებას მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, სადაც იგი შეეცდებოდა თავისუფალი და დემოკრატიული სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლას. შეკავების პოლიტიკის გაგრძელება აღმოჩნდა „ტრუმანის დოქტრინა“, როდესაც აშშ-მ დიდძალი სამხედრო და ეკონომიკური დახმარება აღმოუჩინა საბერძნეთსა და თურქეთს და ეს ქვეყნები გაწითლებას გადაარჩინა. ცივი ომის საწყის ეტაპზე, აშშ-მა საკუთარი

სტრატეგია ორი უმნიშვნელოვანესი მიმართულებით განავითარა, დაარსა ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია და შეიმუშავა მარშალის გეგმა, რომელიც მიზნად ისახავდა ევროპის ეკონომიკურ აღდგენას და საბჭოთა კავშირზე დამოკიდებულების კიდევ უფრო შემცირებას. (ყიფიანი, 2020).

ცივი ომის დასრულებამ ახალ მსოფლიო წესრიგს დაუდო საფუძველი. აშშ მსოფლიოს თითქმის ყველა რეგიონში სხვა დიდ სახელმწიფოებთან შეუთანხმებლად, უნილატერალურად მოქმედებდა, თუმცა, დროთა განმავლობაში „დემოკრატიის ექსპორტის" პროექტმა ამერიკელ მოქალაქეებში უკმაყოფილების მუხტი დანერგა, აშშ-ს შეჭრამ ერაყსა და ლიბიაში მას გარკვეულწილად ევროპელი მოკავშირეების ნდობაც დააკარგვინა. (ჯენტლესონი, 2015) 2008 წელს, ობამას იზოლაციონისტურმა კურსმა შეცვალა ჯორჯ ბუში უმცროსის ხისტი საგარეო პოლიტიკური კურსი. შედეგად, აშშ თავისი ინერტული პოლიტიკით, ვერ შეეწინააღმდეგა მოძლიერებული რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიას და აღმოსავლეთ უკრაინაში წარმოებულ ომს. უფრო მეტიც, იგი არ ჩაერია სირიის სამოქალაქო ომში, რის გამოც, დატოვებული ძალაუფლების ვაკუუმი რევიზიონისტული ზრახვების მქონე რუსეთმა შეავსო. აქედან გამომდინარე, ჰეგემონიის დაღმავალი ციკლი რეალობაა, რაც ნიშნავს, რომ დღეს მსოფლიო რუკაზე გამოჩნდნენ სახელმწიფოები, რომლებიც კონკურენციას უწევენ აშშ-ს, მათ შორის, ჩინეთი და რუსეთი, თავისი ჰეგემონური ამბიციებით და გეოსტრატეგიული ინტერესებით. (Allison, 2017).

ამ ყველაფრის პარალელურად, კონსპირაციული თეორიების მიმდევრებს სჯერათ, რომ არსებობს ფარული საზოგადოება, რომლებიც მსოფლიოს კულისებიდან მართავს. მათ სურთ დაამყარონ ახალი მსოფლიო წესრიგი, რომლის მიზანი ტოტალიტარული, ერთიანი მსოფლიო მმართველობის დამყარებაა, სადაც მდიდარი ელიტა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე იღებს ეგოისტურ გადაწყვეტილებებს (Gardner, 2023).

შეთქმულების თეორიაში „ახალი მსოფლიო წესრიგის" შესახებ არსებული საერთო თემის მიხედვით, ფარული ელიტა ამზადებს გლობალურ შეთქმულებას, რათა საბოლოო ჯამში აკონტროლოს მთელი მსოფლიო - ჩამოაყალიბოს მსოფლიო მმართველობა. გენიალური შექსპირი ამბობდა: „არაფერია იმაზე გავრცელებული, როგორც სურვილი, რომ გამორჩეული იყო". შეთქმულების თეორიის თანახმად, აუცილებელია გაქრეს რელიგიები, ეროვნულობა, კულტურა, ენა და ყველაფერი ის, რაც ადამიანებს ერთმანეთისგან ჰყოფს. მათი მიზანია დედამიწის მოსახლეობის შემცირება, რაც შეიძლება განპირობებულ იქნას ომებით, პანდემიით და ა. შ., ეს ყველაფერი ხელოვნურია.

როგორც ცნობილია, შეთქმულების თეორიასთან დაკავშირებულია მასონები, რომლებიც არიან ელიტური მაღალი დონის საზოგადოების წარმომადგენლები, მსოფლიოს დაწყობა-დალაგების მოტივით ლოჟებს ქმნიან და აქვთ გარკვეული რიტუალები.

დასკვნა: ტერმინი „ახალი მსოფლიო წესრიგი" აღნიშნავს ისტორიის ახალ პერიოდს, რომელიც ადასტურებს დრამატულ ცვლილებას მსოფლიო პოლიტიკურ სივრცეში და ძალთა ბალანსის ცვალებადობას საერთაშორისო ურთიერთობებში, თუმცა კონსპირაციული თეორიების მიმდევრებს ყველაზე მეტად სწამთ, რომ არსებობს ფარული საზოგადოება, რომლებიც არიან ეშმაკისეულნი და სურთ დაამყარონ ახალი მსოფლიო წესრიგი, სადაც აღარ იარსებებენ სუვერენული სახელმწიფოები, იქნება საერთო ფული და მმართველობა, ასევე აუცილებელია გაქრეს რელიგიები, ეროვნულობა და ყველაფერი ის, რაც ადამიანებს ერთმანეთისგან ყოფს, საბოლოოდ ეს ყველაფერი ქმნის ანტიქრისტეს გამეფების წინაპირობას დედამიწაზე.

ზემოაღნიშნული პროცესების თანამიმდევრული ანალიზი ცხადყოფს, რომ „ახალი მსოფლიო წესრიგი", რომელიც რამდენიმე ასწლეულს მოიცავს, საზოგადოების განვითარებასთან ერთად ყალიბდება და სხვადასხვა ეტაპზე გლობალური მასშტაბის ტრანსფორმაციას განიცდის. ,,ცივი

ომის“ პერიოდში ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის მწვავე გეოპოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური დაპირისპირების ერთგვარი პროდუქტებია ნატოსა და ვარშავის პაქტის შექმნა, ბერლინის კრიზისი (1948-1949), გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა (1949), კრიზისი კორეაში, ვიეტნამში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში და სხვა, როდესაც ზესახელმწიფოები ფართომასშტაბიან ომებს აწარმოებდნენ მათი რეგიონული დომინანტობის შენარჩუნებისათვის.

როგორც ცნობილია, XXI საუკუნის მსოფლიო წესრიგი ,,ცივი ომის“ ერთგვარი გაგრძელებაა, ვინაიდან ყოფილ ზესახელმწიფოებს შორის დღესაც არსებობს ინტერესთა დაპირისპირება მწვავე სამხედრო კონფლიქტების ჭრილში (სირია, ლიბია, იემენი და სხვ.) ამასთანავე, რეგიონული დომინანტობისთვის იბრძვიან ჩინეთი, თურქეთი, ირანი და ნავთობით მდიდარი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები, რომელიც, თავის მხრივ, კიდევ უფრო რთულსა და კომპლექსურ ხასიათს სძენს საერთაშორისო სისტემას.

რუსეთის ფედერაციის მიერ ჯერ საქართველოს სუვერენული ტერიტორიების ოკუპაციამ, მოგვიანებით კი - ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსიამ და რუსეთ-უკრაინის კონფლიქტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ დიდი ძალები კვლავ ახდენენ ძალის დემონსტრირებას მათი „იმპერიალისტური“ ამბიციების დაკმაყოფილებისა და „ახალი მსოფლიო წესრიგის“ დამყარების მიზნით. ამ ყველაფერმა ისევ დააფიქრა მსოფლიო თანამეგობრობა იმაზე, თუ როგორია რეალურად XXI საუკუნის მსოფლიო წესრიგი, რომელიც ახლა ყალიბდება და უკრაინის ომის შემდეგ სრულ სახეს მიიღებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Ahmed, R. (2018). https://thegeopolitics.com/from-the-ruins-of-unipolarity/, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.04.2023. From The Ruins of Unipolarity.
2. Allison, G. (2017). „Destined for war: Can America and China escape Thucydides's trap“. Houghton Mifflin Harcourt.
3. Gardner, D. (2023). იხhttps://en.wikipedia.org/wiki/New_World_Order_(conspiracy_theory), უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 22.06.2023. New World Order (NWO) (conspiracy theory).
4. Kaplan, R. (2013). იხ. https://worldview.stratfor.com/article/anarchy-and-hegemony უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.01.2024. . „Anarchy and Hegemony”. Global affairs with Robert D. Kaplan, Stratfor.
5. Keohane, R. (1984). After Hegemony: Cooperation and Discord in the World Political Economy” . Princeton University Press.
6. Robertson, R. (1992). Globality, global culture and images of Word Order. Social change and modernity. Barkeley.
7. აბაშიძე, ზ. (2009). „ცივი ომი, წარსული თუ დღევანდელობა“. თბილისი, 2009.
8. გორგილაძე, ი. (2016). „ახალი მსოფლიო წესრიგი ამერიკულ გეოპოლიტიკაში. სოციალური მეცნიერების საკითხები. გამომცემლობა „უნივერსალი”, თბილისი, 2016.
9. ყიფიანი, ვ. (2020). „რეგიონული ურთიერთკავშირები - დამატებითი შესაძლებლობა ქვეყნის მეტი უსაფრთხოებისა და უკეთესი ეკონომიკისათვის“. „ინტერპრესნიუსი".
10. ჯენტლესონი, ბ. (2015). „ამერიკის საგარეო პოლიტიკა“. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2015.

World order and theoretical foundations of its definition

Tamar Kiknadze Professor of Georgian Technical University Doctor of Political Science
Malkhaz Kapanadze Georgian Technical University Student of international relations (PhD)

Summary: The concept of "new world order", which has gained special relevance in political science since the collapse of the Soviet Union, is used to discuss the need for changes in the balance of power. As world historical events show, this paradigm develops in parallel with important global events and creates a big picture of world politics. However, the meaning of this term is tainted by conspiracy theory.

The purpose of the article is to discuss the historical narratives of the "New World Order". The article focuses on the order established in the 20th century, which divided the world into spheres of influence and significantly defined the "New World Order" established in the 21st century parallel to globalization.

ქართული პოლიტიკური კულტურის ძირითადი მახასიათებლები

ქეთევან ჯოჯიშვილი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
პოლიტიკის მეცნიერების აკადემიური დოქტორი

აბსტრაქტი: დღეს საქართველოში არსებული პოლიტიკური კულტურა დაბალ დონეზეა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ქართველი ხალხი განიცდის პოლიტიკური კულტურის მწვავე დეფიციტს. საზოგადოების მნიშვნელოვანი სეგმენტი, რომ პასიურია ისეთ მოვლენებთან მიმართებით, როგორიც არის არჩევნები, სამოქალაქო კამპანიები, დიპლომატიური მოლაპარაკებები, მშვიდობიანი აქციები თუ სხვა ქვეყნის წინსვლისა და განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯები, არ სურს მონაწილეობის მიღება და წვლილის შეტანა ქვეყნის აღმშენებლობაში, სამწუხაროდ, დაბალ პოლიტიკურ კულტურაზე მეტყველებს.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო პერიოდში იყო გარკვეული ცვლილებები პოლიტიკური კულტურის ამაღლების თვალსაზრისით, როგორიც არის დასავლეთის მაღალ განვითარებული პოლიტიკური კულტურიდან სხვადასხვა მახასიათებლების გადმოღება, არჩევნებში ქალი კანდიდატისთვის უპირატესობის მინიჭება, ცივილიზებული გზით ხელისუფლების ცვლილება თუ ოპოზიციის არსებობა, საქართველოს ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი სასურველი შედეგის მისაღწევად.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკა, კულტურა, დემოკრატია.

პოლიტიკური კულტურის თავსებადობა დემოკრატიასთან და მისი განსაზღვრის თეორიული საფუძვლები

პოლიტიკური კულტურა, როგორც საზოგადოების პოლიტიკური ქცევის მოდელი და სულიერი კულტურის ორგანული ნაწილი, ფაქტობრივად განსაზღვრავს საზოგადოების დემოკრატიზაციის ხარისხს. იგი მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ყოველი ერისთვის, რომ მათ ჰქონდეთ პირდაპირი თუ ირიბი მონაწილეობის შესაძლებლობა სახელმწიფოს განვითარებასთან.

ალმონდი და ვერბა მიუთითებენ, რომ დემოკრატიის სტაბილური განვითარებისათვის აუცილებელია მოსახლეობაში გავრცელებული იყოს სამოქალაქო კულტურა, რომელიც თავის მხრივ, პოლიტიკური კულტურის სამი ტიპის გარკვეულ კომბინაციას წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს საქართველოს აქვს გარკვეული წინსვლა პოლიტიკური კულტურის ამაღლების კუთხით, ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი სასურველ შედეგზე გასასვლელად. (Chilton, 1988) პოლიტიკური კულტურის არსებობაზე მიუთითებს:

- **ოპოზიციის არსებობა** - საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღემდე ყველა პოლიტიკური პარტია, რომელიც ხელისუფლებაში იყო, არჩევნებში დამარცხების შემდეგ დაიშალა და ვერ მოახერხა ოპოზიციაში დარჩენა, თუმცა ნაციონალურმა მოძრაობამ შეცვალა ეს ტენდენცია.
- **ხელისუფლების ცვლილება** - მიუთითებს პოლიტიკური კულტურისა და დემოკრატიის განვითარებაზე. ამის მაგალითია ქართული ოცნების მიერ ნაციონალური მოძრაობის ჩანაცვლება, რაც მოხდა ცივილური გზით, ხალხის ნებითა და დარღვევების მნიშვნელოვნად შემცირებით.
- **მიტინგები, მანიფესტაციები და გაფიცვები** - ამ მხრივ საზოგადოებამ ყველა არსებული ხელისუფლების დროს - (მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო, მოქალაქეთა კავშირი, ნაციონალური მოძრაობა და ქართული ოცნება) თავისი პოზიცია მყარად და პრინციპულად დააფიქსირა.

ასევე არსებობს პოლიტიკური კულტურის განმსაზღვრელი სხვადასხვა ინდიკატორი, რაც მის განვითარების დაბალ დონეზე მიუთითებს და რომელთა განახლება-გაძლიერება სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ქვეყნის განვითარებისთვის. ასეთი ინდიკატორებია (Dittmer, 1977):

ელექტორატის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი – არჩევნებზე მისვლა და საკუთარი აზრის დაფიქსირება პოლიტიკური კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია. საყოველთაო არჩევნები არის საკუთარი პოლიტიკური ინტერესების დაფიქსირებისა და რეალიზების საშუალება. თუკი ჩვენ გადავხედავთ ამომრჩევლის ჩართულობასა და მონაწილეობას საარჩევნო პროცესში და ერთმანეთს შევადარებთ პირველ მრავალპარტიულ არჩევნებსა და ბოლოს ჩატარებულ თვითმმართველობის არჩევნებს, დავინახავთ, რომ ამომრჩეველთა აქტივობა განსხვავებულია და ბოლო არჩევნები ამომრჩევლის დაბალი აქტივობით ხასიათდება, რაც კიდევ ერთხელ დაბალ პოლიტიკურ კულტურაზე მიგვანიშნებს (ხუნდაძე, 2016).

დემოკრატიულ სახელმწიფოსთვის, რომლის არჩევნებზეც ამომრჩევლთა ნიჰილიზმი დიდია, რაც მიუსვლელობით გამოიხატება, არცთუ ისე დამაიმედებელი სტარტია.

პოლიტიკური განათლების დაბალი დონე - პოლიტიკური კულტურის სისუსტეებს ნამდვილად უნდა მივაკუთვნოთ ის ფაქტი, რომ საქართველოში მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს საერთოდ არ გააჩნია პოლიტიკური განათლება. ეს იწვევს პარტიის მხარდაჭერას არა იდეოლოგიის და პროგრამების, არამედ ლიდერის მიმართ ანგაჟირებული დამოკიდებულების გამო. კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითი არის ის, რომ ხშირ შემთხვევაში მინისტრი და სხვა მაღალი თანამდებობის პირი ინიშნება არა ცოდნისა და გამოცდილების, არამედ მათი ცნობადობისა და პარტიული კუთვნილების მიხედვით. ცნობადი სახეები დიდ გავლენას ახდენენ ამომრჩევლის მნიშვნელოვან ნაწილზე და მათგან საარჩევნო ხმების მიღებაც აღარ წარმოადგენს დაბრკოლებას (Heywood, 2002).

მედია - ხალხის განათლებასა და გათვითცნობიერებაზე მედია საშუალებებმა უნდა იზრუნონ. თუმცა ქართულ რეალობაში მიუკერძოებელი მედია საშუალებები ნაკლებადაა. მათი უმრავლესობა განათლების ნაცვლად ერთი შეხედულების გავრცელებას უწყობს ხელს.

პარტიების სისუსტე - საქართველოში პოლიტიკური კულტურის განვითარების დონეზე მეტყველებს პარტიების სისუსტე. მათ არ აქვთ გათვითცნობიერებული რამდენად მნიშვნელოვანია პარტიისთვის იდეოლოგიისა და პრინციპების ერთობლიობა. პარტიების ლიდერების მიერ გაკეთებულ განცხადებებში ხშირად ვხვდებით, როგორც იდეოლოგიათა აღრევას, ისე არარეალურ და გამოწვევების შეუსაბამო დაპირებებს. აქედან გამომდინარე, პარტია უნდა იყოს გარკვეული იდეოლოგიის მატარებელი, რის მიხედვითაც იხელმძღვანელებენ (Adelson, 2008).

გენდერული თანასწორობა - ვერანაირად ვერ მივიჩნევთ მაღალი პოლიტიკური კულტურის ნიმუშად ქალთა უფლებების შეზღუდვასა და პოლიტიკიდან გამიჯვნას, რადგან ქალებს სწორედ ისეთივე უფლებები აქვთ, როგორც მამაკაცებს. ამერიკელი ფემინისტი ქალი ანე კენტ რუში თავის წიგნში „ფემინიზმი და თერაპია“ წერს, რომ ფემინიზმი პოლიტიკის თერაპიად მოგვევლინა, იგი მას მორალური დაცემისაგან იხსნის და ეს შემთხვევითი არ არის. რთულ სიტუაციაში, რომელიც თავადვე შექმნეს, მამაკაცები ყოველთვის ქალებს მიმართავდნენ. გენდერული თანასწორობის მხრივ საქართველო მაინც და მაინც არ გამოირჩევა, რადგან სახელმწიფო მოხელე თუ პარლამენტის წევრი ძირითადათ არის მამრობითი სქესის წარმომადგენელი. 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ქალი კანდიდატის, კერძოდ კი, სალომე ზურაბიშვილის, გამარჯვებამ ცხადყო, რომ საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა გენდერული პრობლემის აღმოფხვრის კუთხით.

რამდენიმე პოლიტიკური პარტია - საქართველოში არ არის გამოკვეთილი რამდენიმე იდეოლოგიურად ძლიერი პოლიტიკური ძალა. ქვეყანაში მინიმუმ 4-5 ასეთი პარტია უნდა არსებობდეს. ეს არის კიდევ ერთი პრობლემა, რაც, თავის მხრივ, პოლიტიკური კულტურის განვითარებას აფერხებს, რადგან ამომრჩეველი გაურკვევლობაშია, საზოგადოება ვერ ახერხებს მისთვის შესაფერისი მიმართულების მქონე პარტიის არჩევას.

სიახლის მიმღებლობა - პოლიტიკური კულტურის მაჩვენებელია, ის, თუ როგორ იღებს ადამიანი სიახლეს. ხშირ შემთხვევაში ნებისმიერი სიახლე ყოველგვარი სერიოზული თუ დილეტანტური კვლევის გარეშე ნეგატიურად ან პოზიტიურად მიიღება, მაშინაც კი თუ აღნიშნული მოვლენა აშკარად საზიანო ან სასიკეთოა. პოლიტიკურ და საერთოდ კულტურას უყვარს კვლევა და არა ცალსახა შეფასებები.

სოლიდარობა - პოლიტიკური კულტურის ერთგვარი საზომია. სოლიდარობის გარეშე საზოგადოება ვერ შეძლებს ნაბიჯის გადადგმას საკუთარი ქვეყნის წინსვლისა და განვითარებისთვის (მელაძე, 2016).

საქართველოს პოლიტიკური კულტურის უკეთ აღსაქმელად საინტერესო იქნება გარკვეული პარალელების გავლება ისეთ ძლიერ პოლიტიკურ მოთამაშეებთან, როგორიც არის ევროპა და აშშ. შესაბამისად მოხდება არსებული საკითხის განსხვავებულ პრიზმაში აღქმა (Kim, 1964).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს აქვს გარკვეული მცდელობა, რომ გადმოიღოს დასავლური პოლიტიკური ფასეულობები, ის მაინც შორს არის ევროპული პოლიტიკური სივრცისგან (თუნდაც ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამართლიანი სასამართლოს დამკვიდრების კუთხით). ევროპული სახელმწიფოები არიან სოციალურები, სადაც ხელისუფლების ცვლილება ყოველთვის ცივილიზებურად, არჩევნების გზით ხდება, რაც შინაგანი ეროზიის გავრცელებას უშლის ხელს (Barker, 1994), თუმცა, უნდა აღინიშნოს ისტორიული ფაქტი 2023 წლის 8 ნოემბრის ევროკომისიის დადებითი რეკომენდაციის შესახებ, რომელსაც ამავე წლის დეკემბერში ევროპული საბჭოს მიერ საქართველოსთვის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭება მოჰყვა.

აშშ-ს მაღალ პოლიტიკურ კულტურაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ მისი პოლიტიკური პარტიები ეყრდნობა იმგვარ პრინციპებს, რომლებზეც იგება წარსული, აწყმო და მომავალი. კარგი იქნება, თუ მივბაძავთ ამ გზას და ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების ბარომეტრად ვაქცევთ.

პოლიტიკური კულტურის ამაღლების მექანიზმები

პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბება და ამაღლება რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომელიც სწორ რეაგირებასა და ეტაპობრივად განხორციელებას მოითხოვს. როგორც რონალდ რეიგანი იტყოდა, „პოლიტიკური კულტურა ტუალეტიდან იწყება“, რაც ნიშნავს, რომ ყველაზე უმნიშვნელო დეტალსაც კი შეუძლია არსებულ პოლიტიკურ კულტურის ხარისხზე ზეგავლენის მოხდენა, თუმცა, ისიც ფაქტია, რომ თუ სამომავლო პერსპექტივებს სწორად დავსახავთ, მაშინ მისი ამაღლება სრულიად შესაძლებელი იქნება (ტუკვაძე, 2004). ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამაღლების მექანიზმი არის სოციალიზაცია (პროცესი, რომლის გზითაც მოცემული კულტურის ღირებულებები და ნორმები თაობიდან თაობას გადაეცემა და რომლის საფუძველზეც ინდივიდი მოცემულ სოციალურ ჯგუფთან იდენტიფიკაციას ახდენს).

ალმონდი აღნიშნავს, რომ პოლიტიკური სოციალიზაცია არის პოლიტიკურ კულტურაში ჩართვის პროცესი და მისი საბოლოო შედეგია პოლიტიკური სისტემის მიმართ დამოკიდებულებების, ღირებულებისა და გრძნობების ერთობლიობის არსებობა. (Almond, 1989) გარდა ამისა, იგი მოიცავს ცოდნას, ღირებულებებსა და გრძნობებს სისტემაში შემავალი და გამომავალი პროცესების მიმართ. (Almond, 1956)

თავდაპირველად, მნიშვნელოვანია, რომ გავაცნობიეროთ პრობლემის არსი და ვცნოთ მისი არსებობა, რათა სამომავლოდ შევძლოთ მისი მოგვარება და სახელმწიფოს განვითარების ტემპიც დავაჩქაროთ. ასევე სასიცოცხლო მნიშვნელობის არის მოქალაქეების გააქტიურება და ჩართვა საზოგადოებრივ საქმიანობაში, რათა არ შეუშინდნენ არსებულ გამოწვევებს. ამასთანავე, უნდა გავაცნობიეროთ ახალი მიდგომების ჩამოყალიბების აუცილებლობა და წარსულზე მიჯაჭვულობის

უგულებელყოფა შევძლოთ, რათა არ მოხდეს პრობლემათა მხოლოდ სტატიების დონეზე გაანალიზება და შევძლოთ სტრატეგიული დაგეგმარება.

შემდეგ ეტაპზე სასურველია მედიის ხელშწყობა, რომ იყოს თავისუფალი და ობიექტური. უნდა მოხდეს მედიის ტრანსფორმაცია და მისთვის სასურველი მიმართულების არჩევა, რადგან ის იყოს სრულიად მიუკერძოებული და არ მოახდინოს საზოგადოებაში ცრუ ინფორმაციისა და ცალმხრივი შეხედულების გავრცელება.

დასკვნისთვის, ხელი შეეწყოს მოსახლეობის ჩართულობის გაზრდას პოლიტიკაში და მისი პოლიტიკური განათლების ამაღლებას, რაც მოხდება სხვადასხვა საშუალებით და თანამედროვე ტექნოლოგიებით.

დასკვნა: დემოკრატია, როგორც მრავალი განვითარებადი ქვეყნის სახელმწიფო წყობის საუკეთესო ფორმა, დაკავშირებულია მშვიდობიან მომავალსა და კეთილდღეობასთან. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არაერთი დემოკრატიზაციისაკენ მიმართული ცვლილების განხორციელება მოხდა და ყოველი პოლიტიკური პარტია საბოლოო მიზნად საქართველოში სტაბილური დემოკრატიის განვითარებას ისახავდა, რომელსაც ფონად გასდევს გარკვეული სირთულეებისა და დაბრკოლებების მთელი სპექტრი.

დემოკრატიის, ისე როგორც არც ერთი სხვა წყობის შემთხვევაში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ხალხის ჩვევები და დამოკიდებულებები. იმისათვის, რომ სისტემამ იმუშაოს, აუცილებელია, რომ იგი თანხმობაში იყოს ხალხში გავრცელებულ დამოკიდებულებებსა და ღირებულებებთან, რომლის საზომი პოლიტიკური კულტურის მაჩვენებელია.

რეალობაა, რომ პოლიტიკური კულტურა და მოქალაქეთა პოლიტიკური შეგნება არ არის მაღალ დონეზე. ამას სჭირდება მეტად ინფორმირებულობა, საზოგადოების ჩართულობა, მოქალაქეთა აქტიური ქმედებების ხელშეწყობა, განსხვავებულობის მიმღებლობა, ხელისუფლებისა და პოლიტიკური ოპონენტების მხრიდან ერთმანეთის განეიტრალების დასრულება, პოლიტიკაში მერიტოკრატიული მმართველობის შემოტანა და დამკვიდრება, სამართლიანი სასამართლოსკენ სვლა, მედიის მრავალფეროვნება და მეტად ობიექტურობა. ასევე ტოლერანტული გარემო, სადაც სამოქალაქო კულტურა ვითარდება და პოლიტიკური სპექტრის გაახლებას ამკვიდრებს. ყოველივე ეს პოლიტიკური კულტურის ცვლილებისა და განვითარების გარანტიაა, ჩვენი აზრით, ესაა გზა განვითარებული პოლიტიკური კულტურის არსებობისა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Adelson, J. (2008). *Inventing adolescence: The Political Psychology of Everyday Schooling.* New Brunswick, N.J.: Transaction Books.
2. Almond, G., Verba, S. (1989). The Civic Culture Revisited. Newbury Park, Calif: Sage Publication.
3. Almond, G. (1956). *Comparative Political Systems.* Journal of Politics, 18(3).
4. Barker, P. (1994). Is the Canadian Political Culture Becoming Americanized? In Crosscurrents: Contemporary political issues (2nd Ed.). Scarborough, Ont.: Nelson Canada.
5. Chilton, S. (1988). *Defining Political Culture. Political Research Quarterly.*
6. Dittmer, L. (1977). *Political Culture and Political Symbolism: Toward a Synthesis.*
7. Heywood, A. (2002). *Political Ideologies.* third edition, Palgrave Foundation.
8. Kim, Y. (1964). *The Concept of Political Culture in Comparative Politics. Journal of Politics.*
9. მელაძე, თ. *პოლიტიკური კულტურა, როგორც ეროვნული დეფიციტი.* თბილისი, 2016.
10. ტუკვაძე, ა. *საქართველოს პოლიტიკური კულტურა.* თსუ პოლიტოლოგიის სახელმძღვანელო, გოგიაშვილის რედაქციით, თბილისი: 2004.
11. ხუნდაძე, ც. *ქართული პოლიტიკური კულტურის ძირითადი მახასიათებლები.* თბილისი, 2016

Main features of Georgian political culture

Ketevan Jojishvili
Georgian Technical University,
Academic Doctor of Political Science

Summary: Today, the political culture in Georgia is at a low level, which is an indicator that the Georgian people are experiencing an acute deficit of political culture. An important segment of the society that is passive in relation to such events as elections, civil campaigns, diplomatic negotiations, peaceful demonstrations or important steps for the progress and development of another country, does not want to participate and contribute to the reconstruction of the country, unfortunately speaks of a low political culture**.**

Although there have been some recent changes in terms of raising the political culture, such as the transfer of various characteristics from the highly developed political culture of the West, giving preference to female candidates in elections, changing the government in a civil way or the existence of the opposition, Georgia still has a long way to go to achieve the desired result.

Key words: Politics, culture, democracy

საქართველოს გამოწვევები ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების იმპერატივებში

სოფიო დემეტრაშვილი სამართლის დოქტორი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
პოლიტიკის მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა
და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ასოცირებული
პროფესორი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
განათლებისა და კულტურის მინისტრის მრჩეველი
ალუდა ღუდუშაური საქართველოს პარლამენტის წევრი,
ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის
კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო
ურთიერთობების ფაკულტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი: ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირება ნებისმიერი სახელმწიფოსთვის, მათ შორის, საქართველოსთვის არსებით გამოწვევას წარმოადგენს, განსაკუთრებით გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, რა დროსაც არსებითია სახელმწიფოს სუვერენიტეტის დელიკატური დაცვა. ახალი მოსფლიო წესრიგის ფორმირება თავის მხრივ, გულისხმობს ძალა-უფლების დინამიკის ფორმაციას გლობალურ აქტორებს შორის, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ერ-თგვარი გაურკვევლობაც, მით უფრო, საქართველოს მსგავსი პატარა ან ნაკლებად გავლენიანი სა-ხელმწიფოებისათვის, განსაკუთრებით ცვალებად პოლიტიკურ ლანდშაფტთან ადაპტაციასთან მი-მართებით. საქართველოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა სუვერენიტეტის განმტკიცება და ტერიტორიული მთლიანობის კონსოლიდაცია, შემდგომში ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმი-რების პროცესში სრულყოფილი მონაწილეობისათვის.

საკვანძო სიტყვები: სუვერენიტეტი, უსაფრთხოება, გეოპოლიტიკა.

შესავალი: ყველა საერთაშორისო სისტემა მოიცავს გეოპოლიტიკურ წესრიგს. უკლებლივ ყველა გეოპოლიტიკური წესრიგი მრავალფეროვანია, რადგან წარმოდგენილია ძალის რამდენიმე პოლუსი, რომელშიც იგულისხმება პირველხარისხოვანი სახელმწიფო, რომელსაც პოლიტიკური ამინდი შემოაქვს მსოფლიოს დღის წესრიგში. საერთაშორისო სისტემის მდგრადობა და გეოპო-ლიტიკური წესრიგის შენარჩუნება დამოკიდებულია ხსენებული ფორმაციის სახელმწიფოებზე, ანუ ძალის პოლუსებს შორის წონასწორობაზე. (დავითაშვილი, 2004) ასეთი სახის საერთაშორისო სისტემა კი, მეორე მსოფლიო ომამდე იყო ფაქტობრივად ერთადერთი, მულტიპოლარულად წოდებული სისტემა.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ კი, იწყება „ცივი ომის“ პერიოდი მსოფლიოში, რაც ნაკარნახევი იყო რადიკალურად განსხვავებული ორი სამყაროს დაპირისპირებით - საბჭოთა სოციალური რესპუბლიკის კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები. ბიპოლარიზმი იყო ძალთა ბალანსის ღერძი, რომელიც პოლიტიკური ინსტრუმენტია ურთიერთდაბალანსებული პოლუსების თვალსაზრისით. საკმაო პერიოდის განმავლობაში მოუწია მსოფლიოს „ცივი ომის“ რეჟიმში ყოფნა, რა დროსაც სასწორის ერთ მხარეს იყო წარმოდგენილი ამერიკის შეერთებული შტატები და დასავლეთის სხვა სახელმწიფოები, ხოლო მეორეს მხრივ, საბჭოთა კავშირი და მისი სატელიტები. აღნიშნული პერიოდი გრძელდებოდა 1990-იან წლებამდე და გეოპოლიტიკური ტრანზიციის

მოკლევადიანი მოვლენა საბჭოთა კავშირის დაშლით დასრულდა. დღემდე ამოუცნობია „ცივი ომის“ ეპოქის გავლენა კაცობრიობის ისტორიაზე, ისევე, როგორც ადამიანთა წარმოდგენების კარდინალურ ძვრებზე, თუმცა აპრიორი შეიძლება ითქვას, რომ „ცივი ომის მსოფლიო“ იყო დეფაქტო უნიპოლარული.

მსოფლიო ნათლად დაყოფილი ორი სოციალურ-პოლიტიკური სისტემით იყო წარმოდგენილი, რომლებიც მუდმივად ურთიერთპაექრობაში იყვნენ, საფრთხეებსა თუ შეიარაღებასთან მიმართებით. შედეგად, ორი სუპერსახელმწიფო (ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირი) მუდამ ორიენტირებულნი იყვნენ სამხედრო ძალაუფლების გაძლიერებისაკენ, რომელიც შედეგად ინსტიტუციონალიზდა, ერთი მხრივ, სამხედრო-პოლიტიკურ (NATO და OVD) და, მეორეს მხრივ, პოლიტიკურ- ეკონომიკურ (BES და CMEA) ალიანსებში, რამაც საბოლოოდ ასახვა პოვა საერთაშორისო სისტემაზე. (ბიპოლარული სამყაროს გაჩენა ბიპოლარული სისტემა - აღწერა, თ. გ.) ზესახელმწიფოებს შორის რბოლამ არსებითი გავლენა მოახდინა კაცობრიობაზე.

1. პოსტსაბჭოთა საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა და სუვერენიტეტის გამოწვევები

სახელმწიფოს ფორმის მეცნიერული კატეგორია ყალიბდება მსოფლიო სახელმწოფოებრივი პრაქტიკისა და კანონმდებლობის შემეცნების საფუძველზე. შემეცნების ობიექტი ამ შემთხვევაში იყო და არის სახელმწიფო ხელისუფლების სტრუქტურული და ტერიტორიული ორგანიზაცია, აგრეთვე, ხელისუფლების განხორციელების მეთოდები. შესაბამისად, სახელმწიფო ფორმის ელემენტებად მეცნიერთა უმრავლესობა მიიჩნევს სახელმწიფო მმართველობის (მართვა-გამგეობის) ფორმას, სახელმწიფოს პოლიტიკურ-ტერიტორიულ ფორმასა და სახელმწიფო (პოლიტიკურ) რეჟიმს.

„სახელმწიფოს ფორმა“ როგორც მრავალელემენტიანი, კომპლექსური ინსტიტუტი ძალზე იშვიათად გვხვდება კონსტიტუციებში, თუმცა წარმოუდგენელია თანამედროვე პირობებში მოქმედი კონსტიტუცია, სადაც სიტყვების ,,სახელმწიფოს ფორმა-ს“ გარეშე ამ ინსტიტუტის სამივე ელემენტი ერთად ან ცალკ-ცალკე არ იყოს დეკლარირებული. მაგალითად, არგენტინის კონსტიტუციის 1-ლი მუხლის თანახმად, ,,...არგენტინელი ერი ამტკიცებს მმართველობის ფედერალურ რესპუბლიკურ წარმომადგენლობით ფორმას“; მაროკოს კონსტიტუციის 1-ლი მუხლის თანახმად, ,,მაროკო არის დემოკრატიული, სოციალური კონსტიტუციური მონარქია“; რუმინეთის კონსტიტუციის 1-ლი მუხლის თანახმად, „რუმინეთის სახელმწიფო მმართველობის ფორმაა რესპუბლიკა“ (B.C., 2013).

ჩვეულებრივ, (პაქტე პ., 2012) სახელმწიფოს ტერიტორია გარკვეული სახით არის ორგანიზებული. ამ ტერიტორიის და იქ მოსახლე ადამიანთა (ადამიანთა ჯგუფების) ეფექტურად მართვის მიზნით, ეს ტერიტორია სხვადასხვა სახის ადმინისტრაციულ თუ პოლიტიკური ხარისხის ტერიტორიულ ნაწილებად არის დაყოფილი. ცნება ,,სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის (ორგანიზაციის) ფორმა“ უპასუხებს კითხვას, რა ნაწილებისაგან შედგება სახელმწიფოს ტერიტორია, როგორია ან ნაწილების სამართლებრივი მდგომარეობა, როგორია ურთიერთობა სახელმწიფოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და ამ ტერიტორიულ ნაწილებს (ტერიტორიულ ერთეულებს) შორის.

მსოფლიოში არსებულ ორასზე მეტ სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის ინდივიდუალური სახეს აქვს, რომელიც მთელი რიგი სოციალური, ისტორიული, გეოგრაფიული, ეროვნული შემადგენლობის ფაქტორებით არის განპირობებული. მიუხედავად ამისა, ზოგადად სახელმწიფოსა და სამართლის თეორიაში, სახელდობრ, კონსტიტუციურ სამართალში ერთმანეთისაგან განასხვავებენ სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის (ორგანიზაციის) ორ ძირითად ფორმას -

უნიტარულ სახელმწიფო და ფედერალურ სახელმწიფო მოწყობას, რაც სულაც არ გამორიცხავს შერეული ტერიტორიული მოწყობის სახელმწიფოთა არსებობას.[1]

ერთ-ერთი ურთულესი პრობლემა, რომელიც დამოუკიდებლობის აღდგენიდან განვლილი 30 წლის შემდეგაც დგას საქართველოს წინაშე, მისი ტერიტორიული ორგანიზაციაა, რაც საკმაოდ საჩოთირო პრობლემებსა და პრინციპულ საკითხებს მოიცავს. ამ პრობლემათა შორის არა მხოლოდ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რეინტეგრაციისა და მათი სტატუსის გარკვევის საკითხია, არამედ იმ ტერიტორიის სტრუქტურიზაცია, რომელზეც რეალურად ვრცელდება საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქცია.[2]

საქართველოს ხელისუფლებას კონფლიქტების მოგვარების არაერთი მცდელობა ჰქონდა, მაგრამ რიგი ობიექტური თუ სუბიექტური დეტერმინანტისა, მცდელობები უშედეგოდ დასრულდა. საქართველოს კონსტიტუციის პირველი მუხლით განმტკიცებულია სახელმწიფო სუვერენიტეტის დებულებანი, რომლის მიხედვით, „საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო..“ (კონსტიტუცია, 1995) საქართველოს ტერიტორიული მოწყობისა და მასში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის[3] პრობლემატიკა საკმაოდ ღრმა კვლევას მოითხოვს. წინამდებარე კვლევის მიზანი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხალხთა შემორიგების გასასვლელი მძიმე გზების ძიება და ამ ტერიტორიული ერთეულების რეინტეგრაცია საქართველოს სახელმწიფოებრივ სივრცეშია. ისიც აშკარად გამოჩნდა, რომ მიზნის მიღწევის გზების მოძიება უნდა დაეყრდნოს კომპლექსურ მიდგომას, რაც თავისთავში გულისხმობს პრობლემის მოგვარებას ისტორიული, პოლიტიკური, სამართლებრივი, სოციო-ეკონომიკური, ეთნო-ფსიქოლოგიური და გეოპოლტიკური ასპექტების გათვალისწინებას. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო), უკლებლივ ყველა ევროპული სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაცია, მსოფლიო თანამეგობრობა (რუსეთის ფედერაციისა, ნიკარაგუას, ვენესუელასა და ნაურუს გამოკლებით) ცნობენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით, (კონსტიტუცია, 1995) რომელშიც აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია.

საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა წარმოადგენს პოლიტიკურ-სამართლებრივ ურთიერთმიმართების სისტემას, რომელიც სახელმწიფოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და ტერიტორიული ერთეულების ხელისუფლებებს შორის მოქმედებს. (კობახიძე, 2019) ქართული კონსტიტუციონალიზმის, პოლიტიკის მეცნიერების, სამართლისა და სოციოლოგიის, ზოგადად სახელმწიფოს უმთავრესი პრობლემა და გამოწვევა სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზაციაა.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ კონსტიტუციის მამები ცდილობდნენ განესაზღვრათ საკუთარი სახელმწიფოებრიობა. აღნიშნულ პერიოდში საქართველო კონსტიტუციური აზროვნების კუთხით შედარებით „გონს იყო მოსული“, თუმცა კონსტიტუციური წესით ცხოვრება ჯერ დაწყებული არ იყო სახელმწიფოში. მაშინ, როდესაც დემოკრატიაზე დანატრებული თაობის პირველი ნაბიჯები კონსტიტუციონალიზმის ქმნადობისაკენ იდგმებოდა და შესაბამისი საკონსტიტუციო პროექტები იქმნებოდა, სახელმწიფო ჯერ არ იყო ნაზიარები კონსტიტუციურ დემოკრატიას.

---

[1] უნიტარულ სახელმწიფოში, როგორც გამონაკლისს, განიხილავენ ავტონომიური წარმონაქმნების არსებობას.

[2] ტერიტორიული ერთეულის ,,მხარე-ს“ ლეგალიზება 1999 და 2013 წლებში წარუმატებელი აღმოჩნდა.

[3] ამ სახელწოდებით, უფრო სწორედ, როგორც ,,სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“ იგი ცნობილია 1922 წლიდან, თუმცა ეს მისი სტატუსი გაუქმებულია 1990 წლის 10 დეკემბერს. საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულა მოიხსენიებს მას როგორც „ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს“, ხოლო სხვა ოფიციალურ დოკუმენტებში გამოყენებულია შესიტყვება „ცხინვალის რეგიონი“ ან „ცხინვალის რეგიონი (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი)“.

1995 წლის 24 აგვისტოს საქართველომ მიიღო პირველი კონსტიტუცია, რომელშიც სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის საკითხი, ალბათ, ობიექტურადაც ღიად იქნა დატოვებული და აღნიშნული ნორმა შინაარსობრივი თვალსაზრისით ფაქტობრივად უცვლელად არის დღემდე შემორჩენილი: „საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა გადაისინჯება საქართველოს კონსტიტუციური კანონით, უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ.“ (კონსტიტუცია, 1995) კონსტიტუციის შემოქმედებმა სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის საკითხი ტაბუდადებულ საკითხად გამოაცხადეს და მომავალს მიანდეს.

დასკვნა: წარსულის მწარე გაკვეთილების, იმ გარემოებათა და ფაქტორთა გათვალისწინებით, რამაც ხელი შეუწყო საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და განდგომილ რეგიონთა (აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი) შორის უთანხმოებასა და დაპირისპირებას, რაც მწვავე კონფლიქტში გადაიზარდა, ამ კონფლიქტების მოგვარება უნდა განხორციელდეს მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გზით, რომაული პრინციპით „იჩქარე ნელა“ და ასეთია სწორად საქართველოს ხელისუფლების მყარი ორიენტაცია. კონფლიქტის მოგვარება აპრიორი მოითხოვს საქართველოს კონსტიტუციურ-სამართლებრივ დონეზე არსებული საქართველოს სახელმწიფო-ტერიტორიული მოწყობის რეფორმირებას. ახალი რეგულაციების საფუძვლად უნდა დაიდოს დეცენტრალიზებული ასიმეტრიული სახელმწიფოს იდეა, რომელშიც უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპზე დაყრდნობით აფხაზეთს, როგორც ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამომყალიბებელი ერთ-ერთი ერის - აფხაზების ერთადერთ სამშობლოს, აგრეთვე, სამხრეთ ოსეთსა და აჭარას უნდა დაუფიქსირდეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, 21/02/1921.
2. საქართველოს კონსტიტუცია, 24/08/1995.
3. გონაშვილი ვ., ,,საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები“, თბილისი, 2004-2008.
4. დემეტრაშვილი ა., დემეტრაშვილი ს., კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2020.
5. პაქტე პ., მელენ-სუკრამანიანი ფ., კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2012.
6. კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2019.
7. უგრეხელიძე მ., დემოკრატიას დანატრებული თაობის საკონსტიტუციო ძიებანი, საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია: ქმნადობის მისადგომებთან, თბილისი, 2022.
8. Нерсесянц В.С. Теория права и государства. М., 2001.
9. დავითაშვილი ზ., გეოპოლიტიკა ცივი ომის პერიოდში, ჟურნალი „პოლიტიკა“, N12, იხ., https://bit.ly/3U3MNqA [31.01.2024].
10. ბიპოლარული სამყაროს გაჩენა. ბიპოლარული სისტემა - აღწერა, მახასიათებლები და საინტერესო ფაქტები, ბიპოლარული სამყარო ცივი ომის დასრულებამდე, იხ. https://bit.ly/3zopD4P [03.02.2024].

Georgia's challenges in the imperatives of forming a new world order

Sophio Demetrashvili Doctor of Law,
Ph.D Student of Political Science at Caucasus International University, Associated Professor at Georgian Technical University, Faculty of Law and International Relations Advisor to the Minister of Education and Culture of the Autonomous Republic of Abkhazia
Aluda Ghudushauri Member of the Parliament of Georgia, First Deputy Chairman of the Human Rights Protection and Civil Integration Committee,Ph.D student at Georgian Technical University, Faculty of Law and International Relations

Summary: The formation of a new world order is a significant challenge for any state, including Georgia, especially considering the geopolitical location, in which case delicate protection of the state's sovereignty is essential. The formation of a new political order, in turn, implies the formation of power dynamics among global actors, which may cause a kind of uncertainty, especially for small or less influential states like Georgia, especially in relation to adapting to the changing political landscape. It is of vital importance for Georgia to strengthen its sovereignty and consolidate its territorial integrity, for its full participation in the process of forming a new world order.

Key words: Sovereignty, Security, Geopolitics.

ნიკო ნიკოლაძე პოლიტიკური კულტურისა და სოციალიზაციის აქტუალურ პრობლემებზე

ვაჟა შუბითიძე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი

აბსტრაქტი: სტატიაში წარმოჩენილი და გაანალიზებულია უდიდესი ქართველი მოაზროვნის და პოლიტიკოსის ნიკო ნიკოლაძის შეხედულებათა ნაწილი პოლიტიკური კულტურის და პოლიტიკური სოციალიზაციის აქტუალურ საკითხებზე საზოგადოდ და, კერძოდ, საქართველოში. ნიკო ნიკოლაძე ხსნის იმ მიზეზებს, რაც იწვევს დაბალ პოლიტიკურ კულტურას საქართველოში და რუსეთის იმპერიაში, დ ა გვთავაზობს მისი გამოსწორების გზებს საქართველოში, რისი მთავარი იარაღია ღიაობა, სიმართლის არდამალვა და საქმიანი კრიტიკა და თვითკრიტიკა. ნიკო ნიკოლაძის ამ იდეებს დიდი მნიშვნელობა აქვს დღესაც საქართველოში პოლიტიკური კულტურის ამაღლებისათვის.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური კულტურა, პოლიტიკური სოციალიზაცია, ნიკო ნიკოლაძე, ქართული პოლიტიკური კულტურა, დებატები.

ტერმინი „პოლიტიკური კულტურა“ პირველად გამოიყენა გერმანელმა ფილოსოფოსმა ჰერ-დერმა, ხოლო პოლიტიკური კულტურის თანამედროვე თეორიის შექმნასა და განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს გ. ალმონდმა, ს. ვერბამ, გ. ლიფსეტმა, მ. დიუვერჟემ, ლ. პაიმ, χ. პაუელმა, ს. ჰან-თიგტონმა და სხვ. (საქართველოში - პროფესორმა გურამ აბესაძემ).

პოლიტიკური კულტურა ეს არის მიდგომათა, გრძნობათა და წარმოდგენათა ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებს პოლიტიკურ პროცესს, იძლევა საფუძველ- დამდებ, ამოსავალ ვარაუდებსა და დაშვებებს, რომელიც განსაზღვრავს მოქმედებათა მიმართულებას პოლიტიკურ სისტემაში. იგი მოიცავს როგორც პოლიტიკურ იდეალებს, ისე პოლიტიკური ცხოვრების მაორიენტირებელ ნორ-მებსაც (სხვაგვარად, პოლიტიკური კულტურა - ესაა წინამორბედი თაობების პოლიტიკური გამოცდი-ლებით განსაზღვრული მოქალაქეთა პოლიტიკური ცოდნის დონე და ხასიათი, რომელიც მიმდი-ნარე პოლიტიკურ ცხოვრებაში გამოიყენება).[1]

პოლიტიკური კულტურის შინაარსისა და სტრუქტურის შემადგენელი ელემენტებია:

ა) ზოგადი პოლიტიკური განათლება;

ბ) პოლიტიკური აზროვნება;

გ) პოლიტიკური გრძნობა.

პოლიტიკური კულტურის მაღალი დონის მაჩვენებელია 3 ძირითადი კრიტერიუმი, რომლებიც ვლინდება ადამიანთა პოლიტიკურ ქცევაში:

- პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობა;
- პოლიტიკური აქტიურობა;
- რაციონალურობა.

ალმონდი და პაუელი პოლიტიკური კულტურის 3 ტიპს გამოყოფენ:

I ტრადიციული (პატრიარქალური) ანუ ადგილობრივი.

II მორჩილების (ანუ სუბიექტური)

III მონაწილეობის ანუ პარტისიპარტიული.[2]

ტრადიციული კულტურა წმინდა სახით შეიმჩნევა ტრადიციულ საზოგადოებაში, რომლი-სთვისაც დამახასიათებელია განუვითარებელი და მარტივი სპეციალიზაცია. ამ პოლიტიკური კულ-ტურის მქონე ადამიანი გულგრილია, ნაკლებადაა დაინტერესებული გლობალური პოლიტიკური

[1] ვაჟა შუბითიძე, ნინო წერეთელი პოლიტოლოგია, სტუ, თბ., 2011. გვ.47.

[2] ვ.შუბითიძე, ნ.წერეთელი, გვ.48-49

კულტურით, ეროვნული მთლიანობით. იგი ყურადღებას ამახვილებს შეზღუდულ პოლიტიკურ სისტემაზე (სოფელი, ტომი, კლანი) და ყურადღების გარეშე ტოვებს ეროვნულ სახელმწიფოს. რ.შვარცნერბეგის აზრით, ამგვარი პოლიტიკური კულტურა ახასიათებთ უმეტესად ახლად წარმოქმნილ სახელმწიფოებს.

მეორე, მორჩილების ანუ სუბიექტური კულტურა (ქვეშევრდომული კულტურა) წარმოიქმნება ისეთ შემთხვევაში, როცა საზოგადოებაში ჭარბობს ორიენტაცია სისტემაზე, როგორც მთელზე და განსაკუთრებით ისეთებზე, რომლებიც დაკავშირებულია მისი ფუნქციონირების საბოლოო შედეგებთან. ამ კულტურის მქონე ადამიანთა პოზიცია ძირითადად პასიურია. იგი თავს პოლიტიკური სისტემის გარეთ და მაღლაც აყენებს, მისგან მოელის საარსებო საშუალებებს, ესენია ამ სისტემის მხრიდან დაწესებული გადასახადების და დიქტატის შეუბრალებლობის, მაგრამ ამავე დროს არც კი ფიქრობს რაიმე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობაზე და თავის მოვალეობად მიაჩნია ის, რომ ეს სისტემა მიიღოს ისე, როგორც არის და არსებობს.

პირველი, ადგილობრივი პოლიტიკური კულტურა ტრადიციულ დეცენტრალიზებულ პოლიტიკას შეესაბამება, მეორე, მორჩილების ანუ „ქვეშევრდომული“ კულტურა - ავტორიტარულ და ცენტრალიზებულ სტრუქტურას.[3]

რაც შეეხება პოლიტიკურ სოციალიზაციას, პ. შარანის განმარტებით, ესაა სწავლა-აღზრდის პროცესი, რის შედეგადაც საზოგადოებისათვის მისაღები ქცევის ნორმები და სქემები თაობიდან თაობას გადაეცემა“.[4] მისი მიზანია პოლიტიკურ მოქმედებათა არსებული მოდელებისა და ფორმების მემკვიდრეობითობის უზრუნველყოფა. უფროს თაობას უნდა ძალუძდეს აღზარდოს ახალგაზრდობა თავიანთი შეხედულებებისა და ფასეულობების შესატყვისი სულისკვეთებით.

თავად ნიკო ნიკოლაძე იყო მონაწილეობის ანუ პარტისიპატიული პოლიტიკური კულტურის მატარებელი, იყო ჰიპერაქტიური მოქალაქე, რომელიც ცდილობდა ზემოქმედება მოეხდინა პოლიტიკური სისტემის საქმიანობაზე არჩევნების, დემონსტრაციების, დებატების და სხვა საშუალებებით და ცდილობდა ამგვარივე სულისკვეთებით თანამემამულეთა და ახალგაზრდების აღზრდას. თავად რუსეთის საზოგადოება და განსაკუთრებით დაპყრობილი ქვეყნების საზოგადოებანი მაშინ ატარებდნენ ტრადიციული, მორჩილებითი,პოლიტიკური კულტურის ნაზავს, ხოლო პოლიტიკური სოციალიზაციის კუთხით მათ ახასიათებდათ კონიუნქტურული პოლიტიკური სოციალიზაციის ტიპი, როცა ხალხის შეხედულება და ქცევა სიტუაციაზეა დამოკიდებული, რომელსაც იგი ეგუება საკუთარი ანგარების დასაკმაყოფილებლად. პოლიტიკური სოციალიზაციის ეს ტიპი უპრინციპობით გამოირჩეოდა.

ნიკო ნიკოლაძე სამართლიანად მიიჩნევდა, რომ მაღალი პოლიტიკური კულტურის (მაშინ ეს ტერმინი არ არსებობდა, მაგრამ კანონების, წესებისა და საღი ტრადიციებისადმი პატივისცემა, პოლიტიკური შეგნება და ცნობიერება, დემოკრატიული ღირებულებების დანგრევა და სხვ. საკითხები, ნიკოს ყურადღების ცენტრში იყო ყოველთვის) ჩანერგვა ბავშვობის წლებიდან უნდა დაიწყოს და ამაში დიდ როლს აკისრებდა ჟურნალ-გაზეთებს, პრესას: „მიეცით ჩვენს ახალგაზრდა მკითხველებს მეტი ცოდნა უფრო მიმზიდველი, ნაკლებ მომქანცველი, იოლად დასამახსოვრებელი ფორმით და, დამერწმუნეთ, რომ მათ თავებში კეთილშობილი გრძნობები და ამაღლებული იდეები თვითონ, ყოველგვარი შთაგონების გარეშე აღმოცენდება“[5] - წერდა ის.

განსაკუთრებულ როლს ამ საქმეში ნიკო აკისრებდა პედაგოგებს და სკოლას. იგი თვლიდა, რომ „თანამედროვე პედაგოგების უდიდესი უმრავლესობა ბავშვებს უდგებიან არა იმ მიზნით, რომ სიცოცხლისკენ, განვითარებისაკენ წარმართონ მათი ბუნების ყველა ძალა და უნარი, არამედ იმით,

[3] ვაჟა შუბითიძე, ნინო წერეთელი, დასახ. წიგნ., გვ.49.
[4] იქვე, გვ.50.
[5] ნიკო ნიკოლაძე. თხზულებანი, ტ.X, გვ.8.

რომ ჭაბუკ თავებში ჩაჭედონ წინდაწინ მორგებული იდეები, ხოლო ახალგაზრდა გულებში შეკრეჭილი გრძნობები. რაც არ უნდა ამაღლებული და ღრმა იყოს ეს იდეები, რაც არ უნდა კეთილშობილება იფრქვეოდეს ამ გრძნობათაგან, სულ ერთია, რადგან ბავშვის აღზრდისა და განათლების საქმე ტენდენციის იარაღად იქცევა - რაც არ უნდა გონიერი იყოს ეს უკანასკნელი - იგი ამით საბოლოოდ მახინჯდება და ვეღარასოდეს აღწევს თავის მიზანს. იდეები და გრძნობები მხოლოდ მაშინაა ჩვენი ხორცისა და სისხლისთვის ბუნებრივი, მხოლოდ მაშინ შეუძლიათ უხელმძღვანელონ ჩვენს საქმიანობას, როცა ისინი ჩვენში აღმოცენდება როგორც ჩვენი შეგნების, ჩვენი სიმტკიცის დამოუკიდებელი მუშაობის ნაყოფი.

მზამზარეული წესებითა და მოძღვრებით მექანიკურად ჩვენში შთაბერილი კი, ან უკვალოდ აორთქლდება მეხსიერებიდან, ან მისი სიცილის გამომწვევ მოცისფრო აღქმათა მსგავსად დარჩება, რომელთაც თითოეული ჩვენგანი ბავშვობაში იზეპირებდა, მაგრამ არავინ მიჰყოლია მას ცხოვრებაში“.[6]

მაღალი პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს ზნეობრივი აღზრდაც, შრომისადმი და სისტემისადმი, ხარჯვისადმი სწორი დამოკიდებულება. ნიკო ნიკოლაძე ყურადღებას ამაზეც ამახვილებდა და თვლიდა, რომ ქართველობა უნდა გათავისუფლებულიყო შრომისადმი აგდებული დამოკიდებულებისაგან, კუდაბზიკური და პროვინციალიზმით აღბეჭდილი ცუდი ჩვევებისაგან: როგორც ცნობილია, წერს ის, - ევროპაში არ არსებობს იმაზე მეტი სირცხვილი, როცა ვინმე თავის გარემოში „მუქთახორის“, ან „უსაქმურის“ სახელს დაიმსახურებს. ადამიანებს, რომლებსაც წელიწადში რამდენიმე მილიონი შემოსავალი აქვთ, ლორდები, რომელთა რენტა დღეში ერთ მილიონს უდრის, დღე-ღამეში 6-8 საათს მაინც მუშაობენ და მუშაობენ არა მარტო საზოგადო ინტერესებისათვის - იყვნენ სასარგებლონი და თავაზიანნი თავიანთი მოქალაქეებისათვის, არამედ წმინდა ჰიგიენური თვალსაზრისითაც, რადგან შრომა სასარგებლოა, ფიზიკური თვალსაზრისით იგი ადამიანის ორგანიზმს ათავისუფლებს „შეგუებებისა“ და „ჩახერგილობისაგან“, ზნეობრივი თვალსაზრისით კი ყოველგვარი მჭმუნვარებისა, აპათიისა, სულით დაცემისა და გარყვნილებისაგან... ჩვენში კი ადამიანებს, რომელთაც ლუკმა-პურიც კი არ გააჩნიათ, რომელთა ოჯახები უკიდურეს გაჭირვებას განიცდიან, არათუ არ რცხვენიათ დილიდან საღამომდე უსაქმოდ იხეტიალონ, არამედ ამაყობენ კიდეც ამით“[7]... ნიკოლაძე მოუწოდებს ქართულ საზოგადოებას, რომ იცხოვროს ისე, როგორც ცხოვრობენ ყველა განათლებულ ქვეყანაში გონიერი და პატივსაცემი ადამიანები, დავანებოთ თავი ქიმერების დევნას, ერთმანეთის გაკვირვებას სიმდიდრითა და ბრწყინვალებით: „ეს არის უბადრუკი საქციელი, მიაჩნია მას, - და სამარცხვინოა იმ შემთხვევაშიც კი, მართაც რომ უაღრესად მდიდრები ვიყოთ, რადგან სიმდიდრით თავის მოწონება და ყოყოჩობა საზიზღრობაა. მაგრამ არცერთი არა ვართ მდიდარი, ამ საზიზღრობას ჩვენში კიდევ მტკნარი სისულელეც ემატება. მოდით, თანამოქალაქეთა გაკვირვებას კი ნუ ვცდილობთ, არამედ ჩვენი პირადი ღირსებით, შრომით, წესიერებით მათი პატივისცემა მოვიპოვოთ“.[8]

სწორი პოლიტიკური და სამართლებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაში ნიკო ნიკოლაძე თავისუფალ ადამიანთა მიერ საფუძველდამდებ დებულებად თვლიდა აზრის გამოთქმის საშუალებას, ობიექტურ დებატს და კამათს, იდეების შეჯახებას. მისი აზრით საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესების საწინდარია იდეებისა და ჯანსაღი ინტერესების შეჯახება: „ამის შედეგად მოაზროვნის, კანონმდებლის, მმართველის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ამ შეჯახებების რეგულირება და გაკეთილშობილება იმ მიზნით, რომ გახადოს ისინი პროგრესის წყაროდ და არა საზოგადოების ორგანიზმის დაუძლურებისა და გარყვნის საშუალებად (როგორც დღესაა ჩვენში - ვ.შ.). ძირითადად

[6] იქვე, გვ.6.
[7] ნიკო ნიკოლაძე. თხზულებანი, ტ.X,გვ.15.
[8] იქვე, გვ.16.

ხომ ველური საზოგადოება ცივილიზებულებისაგან საზოგადოებრივი ბრძოლის იარაღებითა და საშუალებებით განსხვავდება“.[9] ნიკოლაძეს პრინციპულად მიაჩნია, რომ ასეთი დებატები ღიად იმართებოდეს: „საზოგადოების განვითარების თვალსაზრისით, უაღრესად სასარგებლოდ მიმაჩნია, რომ ამგვარი კამათი ხდებოდეს ხალხის თვალწინ, რომ მოსამართლედ ხალხი მოიწვიონ: ასეთი რამ ნელ-ნელა თვით ხალხს გაზრდის, ასწავლის ადამიანების ცნობას, მიაჩვევს თვითმმართველობას, ერთი სიტყვით, ხალხს საკუთარ ფეხზე დააყენებს“,[10] - აღნიშნავდა ის.

ასეთი დებატების დროს ნიკო ნიკოლაძე მნიშვნელოვან ამოცანად თვლის პოლიტიკური და საზოგადოებრივი მეცნიერებების და სათანადო მეთოდოლოგიის დაუფლებას: „დროა, ბატონებო, შევიგნოთ, რომ ქვეყანაზე არსებობენ ისეთი მეცნიერებანი, რომელთაც „სტრატეგია“ და „ტაქტიკა“ ჰქვია და რომ საზოგადო მოღვაწეთაგან იმათ, ვისაც ბრბოს ხელმძღვანელობის პრეტენზია გააჩნიათ, არავითარი უფლება არა აქვთ უგულვებყონ ეს მეცნიერებანი. მხოლოდ პატიოსანი განზრახვით ისე, არ იცოდე, როგორ უნდა ებრძოლო მტერს და დაამარცხო იგი, არ შეიძლება საზოგადოებრივ ბრძოლაში ჩაბმა, ეს უღირსი საქციელია“.[11]

დებატების, კამათის და ჯანსაღი ინტერესების დაპირისპირების არქონას, ნ. ნიკოლაძის აზრით, ერთპარტიულობისაკენ და ავტორიტარიზმისაკენ მივყავართ. იგი ამუნათებს საზოგადოების იმ წარმომადგენლებს და ჟურნალისტებს, რომლებიც „ოცნებობენ ერთსულოვანი, უპარტიო, მშვიდობიან სათათბიროზე, მორჩილად რომ მიჰყვება მმართველობას, რომელიც კამათის გარეშე, ერთი ხელის მოსმით ამტკიცებს ათეულობით მოხსენებას“.[12] ნიკო ნიკოლაძე თავად იყო ჯერ თბილისის, ქუთაისი, ფოთის საკრებულოს ხმოსანი, მერე კი ეროვნული საბჭოსა და საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი. იგი მიუთითებს, რომ ადამიანებს, რომლებიც თვლიან, რომ საკრებულოში პარტიებად დაყოფა და ერთმანეთში კამათი, საქმის კეთებას უშლის ხელს, და რომლებიც „საზოგადოებას ასეთ აბდაუბდას უჩიჩინებენ, ამას მხოლოდ უვიცობით სჩადიან და არა წინასწარგანზრახულად და შეგნებულად... მართლაცდა, იმ პირთაგან, ვინც ოდნავ მაინც გაეცნობა საზოგადოების განვითარების ისტორიას, ვის შეუძლია თქვას, თითქოს სათათბირო არ უნდა მართავდეს კამათს, არ უნდა დაიყოს პარტიებად, არ უნდა აწარმოოს გაფართოებული ბრძოლა, თუ არა სრულიად უმეცარს?“[13]

ნიკოლაძეს ასეთი საკრებულოებისა და პარლამენტარებისათვის პირდაპირი განაჩენი გამოაქვს: „ერთსულოვან, ერთპარტიულ საკრებულოებს, როგორც ისტორია გვასწავლის, მუდამ მიჰყავდა საზოგადოება და მმართველები ბნელეთისაკენ“.[14]

ნიკო ნიკოლაძეს აუცილებლად მიაჩნია ასეთი დებატებისათვის მომზადებული და ორგანიზებული პარტიები კარგად ნაკითხი და განათლებული ხელმძღვანელობით. მისი აზრით, პარტიები არის, მაგრამ იმყოფება ჩანასახოვან მდგომარეობაში, ხოლო მათ მეთაურებს, გამონაკლისის გარდა, „მეტისმეტად სუსტად აქვთ შეგნებული თავიანთი ვალი საზოგადოებისა და შთამომავლობის წინაშე. და აქედან გამომდინარე, მათ პარტიებს არ გააჩნიათ სერიოზულად მოფიქრებული პროგრამები, რომლებიც უძალოა არ განიცადონ წამიერი გავლენა. ბრძოლა მიმდინარეობს უსისტემოდ, ერთმანეთთან შეუთანხმებლად, კამათისათვის ყოველგვარი მოუმზადებლობის გარეშე და თუ შენიშნავთ შეთანხმების ან მომზადების მსგავსს რაიმეს, მხოლოდ და მხოლოდ არჩევნების დროს, როცა საჭიროა ამა თუ იმ კანდიდატის „გაყვანა“ კარგად ანაზღაურებად თანამდებობაზე. ამ უკანასკნელი შენიშვნის სიმართლეს კარგად ამტკიცებს ის, რაც

[9] ნიკო ნიკოლაძე თხზულებანი, ტ.X, გვ.38.
[10] იქვე, გვ.35.
[11] იქვე, გვ.41.
[12] ნიკო ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. X, გვ.453-454.
[13] იქვე, გვ.454.
[14] იქვე, გვ.455.

ხდება უფასო თანამდებობაზე არჩევის დროს. „აქ, კი - აირჩიე ვინც გინდა“; ეს არჩევნები ყოველთვის სრულად შემთხვევითი ხასიათისაა“[15](საკმაო მსგავსებაა ქართულ დღევანდელობასთან - ვ.შ.).

ნიკოლაძე აღნიშნავს, რომ სერიოზული პროგრამების უქონლობა დაუყოვნებლივ აისახება დებატების და კამათის ხასიათზე, მათ უსისტემობაზე: „იგი მუდამ ექსპრომტის სახეს ატარებს, თითქმის არც ერთმა გამომსვლელმა, კრებაზე წასვლის წინ, არ იცის ილაპარაკებს თუ არა, სახელდობრ, რას იტყვის. მაშინაც კი, როცა დგებიან და ლაპარაკობენ, ბევრმა ორატორმა გარკვევით და მტკიცედ არ იცის, რით დაამთავრებენ და რა უნდათ. ათეულობით ადამიანი დგება, ლაპარაკობს, კამათობს, დავობს, წინასწარმეტყველებს განსახილველი საქმისათვის სრულიად უსარგებლოდ და ეს საქმე მაინც ისევ გაურკვეველი რჩება... რომ საზოგადოება იმის მიხედვით უსმენს ორატორს, თუ რამდენად შეუძლია მას მიიზიდოს საერთო ყურადღება აზრის სიახლითა და მისი გადმოცემის სიმსუბუქით. განვითარებულ ქვეყნებში ეს ყველაფერი ძვალ-რბილშია გამჯდარი“.[16] ნიკო მიუთითებს, რომ ამ ქვეყნებში პარტიები ყველა წინასწარ სწავლობს საკამათო საქმეს, წინასწარ ცდილობენ გაარკვიონ, რას იტყვიან მოწინააღმდეგენი და როგორ გააბათილონ მათი მოსაზრებანი. ასეთი მომზადება საშუალებას იძლევა წინასწარ განისაზღვროს მომავალი ბრძოლის ყველა პუნქტი და ხერხი.

ნიკოს აზრით, ჩვენთან კი „ჩვეულებრივ მთელი სხდომისათვის განკუთვნილი დროის ცხრა მეათედი წვრილმანსა და საქმის ფორმალურ მხარეს ეთმობა... ჩვენმა საზოგადოებრივმა სხდომებმა ჯერ კიდევ ვერ ჩამოაყალიბეს ვერც ერთი სერიოზული ორატორი ამ ოცდაათი წლის განმავლობაში... რადგან ჩამოყალიბება, რათა გაითვალისწინო მოწინააღმდეგე პარტიის მთელი საგანი, მისი იდეების ერთიანობა და მთელი სისრულით გაშალო შენი შეხედულება. ცოტათი მაინც მომზადებული მოღვაწესთვის ადვილია ვარაუდი და ცოდნა იმისა, თუ როგორ მოსაზრებებს წამოაყენებენ მისი არანაკლებ მომზადებული მოწინააღმდეგენი მის წინადადებათა საწინააღმდეგოდ. ამიტომ მას შეუძლია სისტემაში მოიყვანოს თავისი მოსაზრებები და საბუთები“.[17] ნიკოლაძის სამართლიანი შენიშვნით, ჯერჯერობით ჩვენს საზოგადოებრივ კრებებზე და საკრებულოებში გაბედულად ამყარებენ იმედს და მხოლოდ და მხოლოდ მასების უმეცრებაზე და სრულიადაც არ რცხვენიათ ილაპარაკონ სავსებით უცნობ და მიუწვდომელ საგნებზე.[18]

აქვე ნიკო ნიკოლაძე საინტერესოდ განიხილავს მიუკერძოებლობის საკითხს იურისტებთან და საზოგადო მოღვაწეებთან მიმართებით. მისი აზრით ის, „რაც სასამართლოში იურისტების სამკაული და ძალაა, საზოგადოებრივი ხელმძღვანელის როლში ყოფნის დროს უძლურების წყაროა. მიუკერძოებლობა მოსამართლის, თავმჯდომარის მოვალეობაა, მაგრამ საზოგადო მოღვაწესთვის იგი დადებითი თვისება კი არ არის, არამედ მანკიერებაა. საზოგადო მოღვაწეს ძლიერ უნდა უყვარდეს ის, რაც მას სიკეთედ ეჩვენება და ასევე ძლიერ უნდა სძულდეს ის, რაც ბოროტად ეჩვენება.“[19]

ნიკოლაძე საზოგადო მოღვაწეებს საკმარისად არ უთვლის მხოლოდ პატიოსნებას და არპარვას: „არ გაძარცვო საზოგადოება“ - წერდა ის, -ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს სიქველეს. ამ უარყოფით სიქველეზე ვერ დააფუძნებ საზოგადებისთვის სამსახურს. ჩვენი დროის ცხოვრების გართულებულ ვითარებაში საზოგადოებას სჭიდება ადამიანები, რომელთაც გარდა პატიოსნებისა, ექნებათ ცოდნა, ჭკუა, ხასიათი, რომლებიც იქნებიან „მცოდნენი და შემძლენი“, „კეთილნი და ძლიერნი“. ნუთუ აღმაშფოთებელი არაა, თითქმის სამყაროს შექმნის დღიდან ხედავდე ერთსა და იმავე სურათს, რომ მოხერხებულობა, ძალა, ამტანიანობა ყოველთვის იმ ეგოისტებისათვის იყო

[15] ნიკო ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ.X, გვ.460-461.
[16] იქვე, გვ.461.
[17] ნიკო ნიკოლაძე თხზულებანი, ტ.X,გვ.462.
[18] იქვე, გვ.464.
[19] იქვე, გვ.44.

დამახასიათებელი, რომლებიც მუდამ საკუთარი კეთილდღეობისათვის ზრუნავენ, მაშინ, როცა ის ადამიანები, რომლებიც გულწრფელად ისახავდნენ მიზნად საზოგადოების სამსახურს, საერთო კეთილდღეობას, უმწეო ბატკნის უძლურებით, არაშორსმჭვრეტელობით და გულუბრყვილობით გამოირჩეოდნენ“.[20] ნიკოლაძის თქმით, გულისამრევია, როცა მომჭირნეობაზე, საერთო კეთილ-დღეობის პატივისცემაზე, მოვალეობაზე, ღირსებაზე დღე და ღამე, ხმის ჩახლეჩამდე ლაპარაკობს კაცი, რომელსაც ერთი ბეწო სინდისი რომ ჰქონდეს, ხალხის თვალს უნდა ემალებოდეს... ამგვარი ვაჟბატონები მთელი საზოგადოების წინაშე ცდილობენ დასაჯონ და დატუქსონ ნამდვილი საზოგადო მოღვაწეები, რომელთა ფეხის მტვრადაც კი არ ღირან ეს თვითმარქვია დემოსთენეები. ნიკოლაძე თავადაც ამხელს ამგვარ ხალხს და პრესას და ინტელიგენციასაც იმავეს მოუწოდებს: „თუ ჩვენი პრესა და ინტელიგენცია თავიანთ ძალ-ღონეს არ გამოიყენებენ ამ ბოროტების აღმოსა-ფხვრელად, მივიღებთ უაღრესად მძიმე შედეგს: ჩვენი საზოგადო თანამდებობები და ყველა ჩვენი საზოგადო დაწესებულებანი აღმოჩნდებიან ისეთი უნიჭოების ხელში, რომელთაც უნარი არ შესწევთ ერთი ბეწო სიკეთე და სარგებლობა მოუტანონ თავიანთ ხალხს. ამავე დროს ჩვენი ქვეყნის ყველა ჭკვიანი და ქველი ადამიანი სამარცხვინოდ ჩათვლის მათ გვერდით მოღვაწეობას და საზო-გადოებრივ სამსახურზე კრინტსაც კი არ დაძრავს, რადგან თანამდებობის დაკავება კანდიდატის ცოდნაზე, პირად თვისებებზე, კეთილსინდისიერებაზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ იმაზე, ვისი ნათესავებიც უკეთესად ვაჭრაკუნობენ, ვინც მეტად უტიფარია.“[21]

ასეთი ადამიანები მეტისმეტად უარყოფით და გამრყვნელ გავლენას ახდენენ ახალგაზრდა თაობაზე, რომლის სულიერება, ზნეობრიობა და იდეალები ამ ვითარებაში ყალიბდება. ნიკოს აზრით, ეს ძლიერ აფერხებს საზოგადოების ზრდას და განვითარებას: „ახლა, ყველა ის დაწე-სებულება, რომლებიც საზოგადოების განვითარებისათვის იყო შექმნილი, გადაიქცა თბილი თანამდებობების საწყობად შესაშური ხელფასებით. არჩვენები, კენჭისყრა იმას კი არ ემსახურება, რომ საზოგადოების სურვილი და საჭიროებანი გავიგოთ, არამედ „შემოსავლიანი ადგილის“ დატაცებას და დასაკუთრებას. ამგვარი აზრის ზეგავლენით, იმ შემთხვევაშიც კი, როცა საზოგა-დოებას მიაჩნია, რომ თანამდებობის პირი სრულიად არ შეეფერება დაწესებულებას, კენჭისყრა შემდეგი მოსაზრებით ხდება: „სად უნდა წავიდეს საბრალო, მას ხომ ოჯახი ჰყავს“. აი, სადამდე მივედით.“[22] შესაბამისად ასეთ ქმედებებს საზოგადოება მიჰყავს მეორე უკიდურესობამდე - თანა-მდებობის პირებს შეუცვლელი ჰგონიათ თავიანთი თავი. ამიტომაც ხაზგასმით ამბობს ნიკო, რომ „არც ჩვენი თანამდებობის პირები, არც ჩვენი საზოგადოება, რომელიც მათ ირჩევს, არ ფიქრობენ იმაზე, რომ ნელ-ნელა აღზარდონ და მოამზადონ ადამიანები, რომლებიც შეძლებენ მათ შეცვლას, როცა ეს უკანასკნელნი ამქვეყნად აღარ იქნებიან. თუ ჩვენში ვინმე ერთხელ მაინც მოხვდა თანამდებობაზე, იგი უკვე თავს შეუცვლელ სენატორად თვლის.“[23]

ნიკო ნიკოლაძე მიიჩნევს, რომ 1890-იან წლებამდე პიროვნების როლი, ხელმძღვანელის მნიშვნელობა ჩვენში დიდი იყო და მათ დიდ საქმეებიც იტვირთეს, მაგრამ ახლა „საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში დადგა ახალი ერა, როცა პიროვნების მნიშვნელობა, რა დიდიც არ უნდა იყოს ის, გადადის მეორე პლანზე, რადგან სცენაზე გამოდის საზოგადოებრივი მომწიფე-ბულობა. დიახ, რისთვისაც ჩვენ ასე მედგრად ვიღვწოდით და რისი იმედიც გვქონდა, თვალნათლივ იწყებს განხორციელებას. დაე, ჩვენმა მოღვაწეებმა წაისულელონ, შეცდნენ, ჩამორჩნენ, ყველაფერი ეს კარგავს თავის წინანდელ მნიშვნელობას. ამჟამად მათ ჰყავთ ყურადღებიანი, პირუთვნელი, მკაცრი მოსამართლე - ჩვენი საზოგადოება.“[24]

---

[20] ნიკო ნიკოლაძე თხზულებანი, ტ.X, გვ.58-59 .
[21] იქვე, გვ.62-63.
[22] ნიკო ნიკოლაძე თხზულებანი, ტ.X, გვ.63.
[23] იქვე, გვ.64.
[24] იქვე, გვ.69.

ნიკო ერთმანეთს უპირისპირებს ჩვენში არსებულ რეალობას უცხოეთში არსებულს და საყურადღებოდ ასკვნის აკეთებს. მისი თქმით, „იქ, სადაც საზოგადოებრივმა ცხოვრებამ მოასწრო მტკიცე ჩვევების, კანონების, ხასიათის გამომუშავება, მაგალითად, ინგლისში, პირველხარისხოვან თანამდებობაზეც კი ცუდი კაცის არჩევა არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს (ასეა დღესაც აშშ-ში და განვითარებულ ქვეყნებში - ვ. შ.) არც იმ დაწესებულებისათვის, რომლის წევრადაც აირჩიეს და არც საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. ასეთ ქვეყნებში არსებობს დაწესებულებები, თა-ნამდებობები და ხასიათები, რომლებიც მოწოდებული არიან მოაწესრიგონ არჩეულის მოღვაწეობა და მის ბოროტ ნებას საკმაოდ ამუხრუჭებენ.... სულ სხვაგვარადაა საქმე ჩვენში. მართალია, კანონის მიხედვით ჩვენი დაწესებულებებიც ისევეა მოწყობილი, როგორც უცხოეთის და ჩვენი წესდებაც ითვალისწინებს კონტროლს, სამეთვალყურეო კომიტეტებს, სარევიზიო კომისიებს და ა.შ. შექმნას, მაგრამ ყველა ამ კეთილ მოქმედ დაწესებულებებზე შეიძლება ითქვას კლასიკური ანდაზა: „კანონი წმინდაა, მაგრამ აღმასრულებელნი მათი ულმობლად მოძულენი არიან“. უმრავლესობის მიერ არჩეული, განსაკუთრებით „დიდი უმრავლესობის“ მიერ კოლეგების, მეთვალყურეებისა და რევი-ზორების თვალთახედვით საარჩევნო ყუთში მხოლოდ იმის ინდულგენციას ეძებს, რომ აკეთოს ყველაფერი, რისი გაკეთებაც კი სურს... მხოლოდ ჩვენში, ხდება, რომ არსებობენ ყოველგვარი საბჭოები და სამეთვალყურეო კომიტეტები, რომლებიც არავის არ შეახსენებენ ისეთ წვრილმანს, როგორიც კანონი და კანონიერებაა“.[25] ნიკოლაძეს მიაჩნია, რომ ასეთ დროს ჩვენი საზოგადოებრივი საქმეების წარმოებაში დადგება სრული უმეთაუროებისა და უკანონობის ზეიმის ხანა, რაც უდიდესი დარტყმა იქნება საზოგადოების სწორად განვითარების ვექტორზე: „იქ, სადაც არ არის წესრიგი და კანონიერება, - წერდა ის, - არც სიმართლემ შეიძლება იზეიმოს და არც თავისუფლებამ.“[26]

ასეთ შემთხვევაში ნიკოლაძე განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს განათლებულ ადამიანებს, ინტელიგენციას. მისი თქმით, „ტყუილად იმშვიდებენ თავს ილუზიებით ჩვენი დროის განათლებული ადამიანები, როცა მკერდზე ხელდაკრეფილნი გულგრილად უყურებენ იმ სისაძა-გლეებს, მათ ირგვლივ რომ ხდება.... ბოროტების მონაწილე ხდება ყველა, ვინც მას წინააღმდეგობა არ უწევს. შენი ქვეყნისა და შენი საზოგადოების თვითნებურად დატოვება მაშინ, როცა მას საფრთხე ელის და როცა მის ღირსებასა და ინტერესებს თავს ესხმიან - ასეთ საქციელს დეზერტირობა ჰქვია და არავის არა აქვს უფლება ასეთ წუთებში სახლში ჩაიკეტოს და მიეცეს უბადრუკ და უძლურ პლა-ტონურ სევდას. ნამდვილ ადამიანებს, რომელთაც არა მარტო სიტყვებით უყვართ თავიანთი სამშობლო, არამედ გულწრფელად და, რომლებიც დგანან პირად ინტერესებზე მაღლა და მხოლოდ სამშობლოს ინტერესებით ცხოვრობენ, არ შეუძლიათ მგზნებარედ არ განეწყონ მისი საქმეებისა და ბედისადმი. ხოლო, როგორც ცნობილია, მგზნებარება არასოდეს იმალება. მას ახასიათებს ცხადი და ძლიერი ფორმით გამოვლენა.“[27]

აქ ნიკოლაძე წარმოაჩენს თავისი ცხოვრების მუდმივ მრწამსს, რომ „პატიოსანი შეიძლება უწოდოს იმ ინტელიგენტს, რომელმაც შესაძლო საქმით გაეწია რეალური სამსახური თავის ქვეყ-ნისათვის და ყოველთვის აქტიურად, უკან დაუხევლად, დაუღალავად იყო, „მისი მეგობრების მეგო-ბარი და მისი მტრების მტერი“, ისინი კი, რომელთაც ერთხელ მაინც უღალატეს ამ მოვალეობას, სხვა არავინ არ არიან, თუ არა უსულგულო ფარისევლები: და რაც უფრო ლამაზია მათი სიტყვები, მით უფრო სატირალია მათი ცხოვრება.“[28]

---

[25] ნიკო ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ.X,გვ.83.
[26] იქვე, გვ.85.
[27] იქვე, გვ.109.
[28] ნიკო ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ.X,გვ.110.

ნიკო ნიკოლაძის ამ უკომპრომისო პოზიციას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ქართული საზოგადოების მაღალი პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებისა და ქვეყნისათვის უანგარო მოღვაწეობისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვაჟა შუბითიძე ნინო წერეთელი, პოლიტოლოგია, სტუ, თბ, 2011.
2. ნიკო ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ.X ქუთაისი, 2023

Niko Nikoladze on current issues of political culture and socialization

Vaja Shubitidze GTU Professor

Summary: The article presents and analyzes part of the views of the greatest Georgian thinker and politician Niko Nikoladze on current issues of political culture and political socialization in general and in Georgia in particular. Niko Nikoladze explains the reasons that lead to low political culture in Georgia and the Russian Empire, and suggests ways to correct it in Georgia, the main tools of which are openness, not hiding the truth, and business criticism and self-criticism. These ideas of Niko Nikoladze are of great importance even today for raising the political culture in Georgia.

key words: Political culture, political socialization, Niko Nikoladze, Georgian political culture, debates

ევროპული ნაციონალისტური პარტიების პოლიტიკური დისკურსები მეინსტრიმული თემების შესახებ

გიორგი ჩხიკვიშვილი,
სტუს-ს ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი: სტატიაში განხილულია ორი ევროპული სახელმწიფოს ულტრანაციონალისტური პარტიის - ვიქტორ ორბანის ("უნგრეთის სამოქალაქო კავშირი" - ფიდესი) და ჯორჯია მელონის ("იტალიის ძმები" - Fratelli d'Italia, FDL) ლიდერების პოლიტიკური დისკურსები. დაკავშირებულია პოლიტიკური მსოფლმხედველობის საკითხებთან. კერძოდ, გაანალიზებულია მიგრაციის თემები, დემოკრატიული ინსტიტუტები, მათი ურთიერთობა რუსეთთან და რუსეთ-უკრაინის ომთან და მათი პროგრამული დებულებების ცალკეული ასპექტები.

საკვანძო სიტყვები: ნაციონალისტური პარტიები, მეინსტრიმული თემები, პოლიტიკური დისკურსები, მიგრაცია, ევროპული იდეა, რუსეთ-უკრაინის ომი.

საერთაშორისო წესრიგის თანამედროვე განზომილებაში ნაციონალისტი პოლიტიკური ძალების გააქტიურება ევროპაში საერთაშორისო საზოგადოების ყურადღებას იქცევს. ნაციონალიზმისათვის ნაყოფიერი ნიადაგი შექმნა ევროპაში მულტიკულტურალიზმისა და მიგრაციის პრობლემების მოუგვარებლობამ, ტერორიზმის საფრთხის გაძლიერებამ და ეკონომიკურმა კრიზისმა.

ევროპის იმ სახელმწიფოებში, სადაც მიგრაციამ ინტენსიური და მასშტაბური სახე შეიძინა და, შესაბამისად, მეტი ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემები დაგროვდა, საზოგადოების ნაწილმა დაიწყო მეინსტრიმული პოლიტიკის ალტერნატივის ძებნა, რაც, საბოლოოდ, მემარჯვენე ნაციონალისტური პარტიებისადმი მხარდაჭერაში აისახა. ეს ძალები თანდათანობით ჩამოყალიბდა ლიბერალური პოლიტიკური წესრიგის ალტერნატივებად. თანამედროვე ეტაპზე მათ მყარი პოზიციები მოიპოვეს პოლიტიკურ დისკურსში და ევროპული პოლიტიკური ლანდშაფტის ანგარიშგასაწევ ფლანგად ჩამოყალიბდნენ, რასაც ცხაყოფს მასობრივი გამოკითხვები და ბოლო პერიოდის არჩევნების შედეგები. ნაციონალისტური ფრთა ევროპაში მოვიდა მთელი თავისი სპრქტრით, დაწყებული ზომიერი ნაციონალისტური პარტიიდან დამთავრებული რადიკალური ექსტრემისტული პარტიებით.

ამ პოლიტიკური ძალებიდან გამოვყავით ხელისუფლებაში მყოფი ორი წამყვანი სახელმწიფოს ულტრანაციონალისტური პარტია - უნგრეთის „უნგრეთის სამოქალაქო კავშირი“ (Fidesz) და იტალიის ,,იტალიის ძმები“ (Fratelli d’Italia, FDL), გავაანალიზეთ ის პოლიტიკური დისკურსები, რომლებიც მათი ხელმძღვანელების - ვიქტორ ორბანისა და ჯორჯია მელონის პოლიტიკური მსოფლმხედველობის საკითხებს ეხებოდა. ამ მიზნით ანიშნული პოლიტიკოსების პოლიტიკური სემანტიკიდან გამოყოფილი იქნა რამდენიმე ცვლადი, რომლებიც ლიბერალური პოლიტიკური წესრიგის მთავარ საფუძლელს წარმოადგენენს - მიგრაციის, დემოკრატიული ინსტიტუტების, რუსეთთან და რუსეთ-უკრაინის ომთან მათი დამოკიდებულების თემები და გაანალიზდა მათი პროგრამული დებულებების ცალკეული ასპექტები.

მიგრაციის საკითხში ორივე პარტია სოლიდარულია და თვლის, რომ იმიგრაცია საფრთხეს უქმნის კულტურის ჰომოგენურობას, მაგრამ გამოხატვის ფორმები სხვადასხვაგვარია.

უნგრეთის პოლიტიკაში ამ თემას განსაკუთრებული ადგილი ევროპაში 2015 წელს დაწყებული ლტოლვილთა კრიზისის შემდეგ უკავია. ვიქტორ ორბანმა მიგრაციის წინააღმდეგ დაწყებული ფართომასშტაბიანი კამპანიით, მნიშვნელოვნად გაზარდა მხარდამჭერთა რაოდენობა. 2018 წლის ივნისში უნგრეთის პარლამენტმა მიიღო მთელი რიგი კანონები „Stop Soros Laws“ (https://www.bbc.com/news/world-europe-44546030), რომლის მიხედვითაც ნებისმიერი ინდივიდი ან ჯგუფი, რომელიც არალეგალ იმიგრანტს უნგრეთის ტერიტორიაზე დარჩენის მიზნით სტატუსის მოპოვებაში დაეხმარება, თავისუფლების აღკვეთა ემუქრება, რადგან დამნაშავეა. ამ ფაქტორმა

შეზღუდა ყველა იმ არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობა, რომელიც მიგრანტებს ეხმარებოდა. უნგრეთის მთავრობამ წარმატებით დააშინა უნგრელები, რომ არათეთრკანიან და მაჰმადიან მიგრანტთა „ურდოები“ უნგრეთსა და ევროპას გაანადგურებდნენ. 2017 წლის გაზაფხულზე უნგრეთის მთავრობამ ე. წ. ეროვნული კონსულტაცია წამოიწყო სახელად „შეაჩერეთ ბრიუსელი“ (Civil.ge). ვიქტორ ორბანი მაშინ ევროკავშირს ბრალს სდებდა უნგრეთისაკენ არალეგალური მიგრაციის წახალისებაში, ტრეფიკინგსა და კომუნალური გადასახადების საკითხზე ზეწოლაშიც კი. ევროკავშირის განცხადებით, ორგანიზაცია პირიქით ეხმარება წევრ ქვეყნებს არალეგალური მიგრაციის საკითხებში და ქვეყნების საგადასახადო და შიდა პოლიტიკაში.

2016 წელს ევროკომისიამ ცენტრალური ევროპის სამი ქვეყნის - უნგრეთის, პოლონეთისა და ჩეხეთის წინააღმდეგ სამართლებრივი პროცესი წამოიწყო, რადგანაც ისინი არ დაეთანხმნენ იტალიასა და საბერძნეთში ჭარბად განლაგებული სირიელი, ერაყელი და ერითრეელი მიგრანტთა გარკვეული რაოდენობის მიღებას. ვიქტორ ორბანმა გერმანულ გამოცემა Welt-ს განუცხადა, რომ: „ჩვენ არ მივიჩნევთ ამ ხალხს მუსლიმ ლტოლვილებად, ჩვენ მათ მუსლიმ დამპყრობლებად მივიჩნევთ“(https://www.ambebi.ge/article/218936-viqtor-orbani-evropashi-chasuli-ltolvilebi-sinamdvileshi-qmuslimi-dampyroblebiq-arian-ungrethi-ar-apirebs-migrantebis-mighebas/). ვიქტორ ორბანმა ბრიუსელის მოთხოვნას საკუთარი პოლიტიკით უპასუხა და გადაწყვეტილების ლეგიტიმაციისათვის ქვეყანაში ჩაატარა რეფერენდუმი ევროპის კავშირის მიერ გათვალისწინებული მიგრანტთა კვოტის მიღების თაობაზე, სადაც ამომრჩეველთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ (98%-მა) მიგრანტთა მიღებაზე განაცხადა უარი. საბოლოოდ, რეფერენდუმი არ აღმოჩნდა ვალიდური, ვინაიდან მასში მონაწილეობა ამომრჩეველთა ნახევარზე ნაკლებმა, მხოლოდ 44%-მა მიიღო.

ვიქტორ ორბანის ხელისუფლება ნაკლები მხარდაჭერით გამოირჩევა უკრაინის მიმართ სამხედრო ხელშეწყობის თვალსაზრისით, მიუხედავად ამისა, უნგრეთი არის უკრაინიდან მიგრანტების რიგით მეორე აქტიური მიმღები ქვეყანა. უკრაინელი მოქალაქეების მიღებისათვის აქტიურად მუშაობენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტები, მათ შორის, სამართლებრივი - დოკუმენტაციის მოწესრიგების თვალსაზრისითაც.

იტალიის პრემიერ-მინისტრმა ჯორჯია მელონიმ არალეგალური მიგრაციის შეჩერებაზე საუბარი დაიწყო 2023 წლის 25 თებერვლის ტრაგედიის შემდეგ, როდესაც რომელიც აღმოსავლეთ კალაბრიაში, სტეკატო დი კუტროს სანაპიროზე ნავი ნაპირიდან რამდენიმე მეტრში კლდეებს დაეჯახა. მელონიმ ეს გადაწყვეტილება მიიღო შემდგომი კატასტროფის თავიდან ასაცილებლად. სტატისტიკის თანახმად, 2023 წელს იტალიაში 31 300 მიგრანტი ჩავიდა, წინა წლის ამავე პერიოდიში კი 7 900. თებერვლის ბოლოს სამხრეთ იტალიის კალაბრიის რეგიონში გემის ჩაძირვის შემდეგ მელონიმ ევროკავშირს მოუწოდა, რომ მეტი გააკეთონ არალეგალური იმიგრაციის წინააღმდეგ.

დემოკრატიული ინსტიტუტების საკითხთან დაკავშირებით ორივე პარტია „დასავლეთის“ დაცვის იდეის ლოზუნგებით გამოდის, მაგრამ თავის რიტორიკაში გაცილებით უფრო რადიკალური არის უნგრეთის ლიდერი. ეს არცაა გასაკვირი, რადგანაც პოსტსოციალისტურ ქვეყნებში და მათ შორის უნგრეთშიც, დიდი გავლენა იქონიეს კომუნისტურმა რეჟიმებმა. მათ დატოვეს გარკვეული სუბიექტური სიცარიელე, რომელსაც ავსებს შესაბამისი გაგების ნაციონალიზმი, მაგრამ მას ძალიან ცოტა რამ აქვს საერთო ძველ ევროპულ ტრადიციებთან. მათ იდეას აკლია იდეოლოგიური თანამიმდევრობა და ამ თვალსაზრისით არ შეიძლება მისი შედარება ირალისა და სხვა დასავლურ კოლეგებთან.

ამ მოსაზრებას ადასტურებს „ფიდესის“ ლიდერის პოლიტიკური რიტორიკა, სადაც ის სასტიკად უპირისპირდება ევროკავშირს, როგორც ინსტიტუციას, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ამავე დროს უნგრეთმა ბრიუსელისადმი მხარდაჭერის ყველაზე მაღალი მაჩვენებლი დააფიქსირა პოლონეთის შემდეგ 2016 წელს 28 ქვეყნიან ბლოკში ბრიტანეთის მიერ ევროკავშირის დატოვებასთან დაკავშირებული გამოკითხვების შედეგების მიხედვით. მოსახლეობის გარკვეული ნაწილი

ასევე ემხრობოდა ევროს აქტიურ გამოყენებას უნგრეთში. ორბანი უპირისპირდება იმ ლიბერალურ პრინციპებს, რომლითაც ევროკავშირი ხელმძღვანელობს. ის დაუპირისპირდა სავალუტო ფონდს და ჯორჯ სოროსს, რომლის სახელობის სტიპენდიანტიც იყო 1987 წელს, ფინანსისტის მიერ შექმნილ პროდემოკრატიულ ორგანიზაციაში, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის კვლევით ჯგუფში, ხოლო 1989 წელს მიიღო სოროსის ფონდის სტიპენდია ოქსფორდის უნივერსიტეტში პოლიტიკური ფილოსოფიის შესასწავლად.

„არსებობს ლიბერალური დემოკრატიის ალტერნატივა, მას ქრისტიანული დემოკრატია ეწოდება. ჩვენ წარუმატებელი ლიბერალური დემოკრატია ჩავანაცვლეთ 21-ე საუკუნის ქრისტიანული დემოკრატიით, რომელიც ტრადიციასა და უსაფრთხოებაზეა ორიენტირებული“ (https://imedinews.ge/ge/theme/866/agmosavlet-evropa-dasavletis-tsinaagmdeg-aris-tu-ara-evrokavshiri-dashlis-piras) - განაცხადა უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა 2014 წლის 26 ივლისს, რუმინეთში, უნგრული აუდიტორიის წინაშე გაკეთებულ განცხადებაში. 2018 წლის 10 მაისს კი ლიბერალური დემოკრატიის ეპოქის საბოლოოდ დასრულება დააანონსა.

ორბანთან შედარებით, უფრო რბილი მიდგომები აქვს ჯორჯია მელონის. ის გამოდის ევროკავშირის გაძლიერების მოთხოვნით; მელონიმ 2023 წელს რომში პარლამენტის ზედა პალატაში გამოსვლის დროს განაცხადა, რომ ევროკავშირი არ შეიძლება დაიყოს პირველი და მეორე კლასის წევრებად (https://geo-first.com/italiis-premier-ministri/). მელონი აკრიტიკებს ევროკავშირის მიერ დაშვებულ შეცდომებს მთავარ სტრატეგიულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით და მიაჩნია, რომ ევროკავშირმა ერთანი პოზიცია უნდა დაიკავოს იმ ქვეყნებთან მიმართებითაც კი, რომლებიც გარკვეულ შემთხვევებში ეწინააღმდეგებიან ევროკავშირის პრინციპებს. მაგალითისათვის მას მოჰყავს პოლონეთი, რომელსაც ბრიუსელი უპირებდა მრავალმილიარდიანი დაფინანსების შეუმცირებას, თუ ვარშავა მოთხოვნებს არ შეასრულებდა, მათ შორის დროებით არ შეაჩერებდა სასამართლო რეფორმას. „ნატოში ფიქრობენ, რომ პოლონეთი შეიძლება რუსეთის მორიგი მსხვერპლი აღმოჩნდეს, თუ მოსკოვი გაფართოებას შეეცდება. რა შეტყობინებას ვუგზავნით რუსეთს, როცა ვამბობთ, რომ პოლონეთი ჩვენი მეგობარი არ არის?“ - განაცხადა ჯორჯია მელონიმ.

რუსეთ-უკრეინის ომთან დამოკიდებულების თემა არის ეს ის საკითხი, სადაც ორბანისა და მელონის შეხედულებანი ყველაზე მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

მას შემდეგ, რაც რუსეთმა უკრაინაში სრულმასშტაბიანი ომი დაიწყო, ორბანმა უარი თქვა კიევისთვის სამხედრო დახმარების გაწევაზე. ბუდაპეშტში პრესკონფერენციაზე მან განაცხადა, რომ რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრა ომს არ წარმოადგენს. უნგრათის პრემიერმა გამოიყენა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის ტერმინოლოგია და ომი „სამხედრო ოპერაციად“ მოიხსენია. ამასთან, ის მჭიდრო ეკონომიკურ კავშირებს ინარჩუნებს რუსეთთან. ორბანის აზრით, მთავარია სტაბილური და უსაფრთხო ევროპა.ამიტომ ის 2024 წლის აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნებში მხარს დონალდ ტრამპის კანდიდატურას უჭერს, რადგან თვლის, რომ და ტრამპს ამის საშუალება აქვს (https://www.amerikiskhma.com/a/7522516.html).

რაც შეეხება ჯორჯია მელონის, ის უკრაინის მხურვალე მხარდამჭერია. პრემიერის აზრით, ევროკავშირმა უფრო მტკიცე და ერთიანი პოზიცია უნდა დაიკავოს და უფრო ეფექტური ენერგეტიკული პოლიტიკა გაატაროს, „ევროკავშრი კი შეცდომებს უშვებს, როდესაც სწრაფად არ რეაგირებს“. მან 2024 წლის 24 თებერვალს კიევში უკრაინასთან უსაფრთხოების თანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმა და მან ხაზი გაუსვა კიევისთვის სამხედრო დახმარების გაგრძელების აუცილებლობას (https://realpolitika.ge/ge/akhali-ambebi/meloni-rom-ara-rusetis-tavdaskhma-ukrainaze-israels-hamasi-tavs-ar-daeskhmeboda).

იტალიის პრემიერი რუსეთ-უკრაინის ომს გლობალურ პრიზმაში უყურებს და მიიჩნევს, რომ უკრაინის მომავალი არის ევროპული მომავალი. ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ესკალაცია შესაძლოა არ მომხდარიყო, რომ არა რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრა უკრაინაში. საერთაშორისო

წესებზე დაფუძნებული სისტემის ასეთ სერიოზულ დარღვევას, გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრის მიერ, სხვა ჯაჭვური რეაქცია მოჰყვება მსოფლიოს სხვა რეგიონებში - ახლო აღმოსავლეთიდან ბალკანეთამდე და შემდგომ აფრიკამდე. (https://realpolitika.ge/ge/akhali-ambebi/meloni-rom-ara-rusetis-tavdaskhma-ukrainaze-israels-hamasi-tavs-ar-daeskhmeboda).

ამრიგად, ევროპის ორი წამყვანი სახელმწიფოს სახელისუფლებო ულტრანაციონალისტური პარტიების - უნგრეთის „უნგრეთის სამოქალაქო კავშირისა“ (Fidesz) და იტალიის ,,იტალიის ძმების“ საკვანძო დებულებების ცალკეული ასპექტების ანალიზის საფუძველზე შექმნილმა კატეგორიზაციამ ცხადყო, რომ საკვლევი პოლიტიკური ძალების გამაერთიანებელი ფაქტორი არის მათი ანტილიბერალიზმი, თუმცაღა თითოეულის ანტილიბერალიზმი ერთმანეთისგან განსხვავდება როგორც დისკურსული სტილით, ისე სკეპტიცზმის ხარისხითა და პოლიტიკური შინაარსით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://www.bbc.com/news/world-europe-44546030. ბოლოს ნანახია: 25.03.2024.
2. Civil.ge, „არალიბერალური დემოკრატიის ბოლო სამი გაელვება უნგრეთში“ https://civil.ge/ka/archives/272769. ბოლოს ნანახია: 25.03.2024.
3. ვიქტორ ორბანი - ევროპაში ჩასული ლტოლვილები სინამდვილეში „მუსლიმი დამპყრობლები“ არიან - უნგრეთი არ აპირებს მიგრანტების მიღებას. https://www.ambebi.ge/article/218936-viqtor-orbani-evropashi-chasuli-ltolvilebi-sinamdvileshi-qmuslimi-dampyroblebiq-arian-ungrethi-ar-apirebs-migrantebis-mighebas/. ბოლოს ნანახია: 25.03.2024.
4. იტალიას ულტრამემარჯვენე მთავრობა და პირველი ქალი პრემიერი ეყოლება - წინასწარი შედეგები. https://netgazeti.ge/news/632161/. ბოლოს ნანახია: 25.03.2024.
5. აღმოსავლეთ ევროპა დასავლეთის წინააღმდეგ: არის თუ არა ევროკავშირი დაშლის პირას? https://imedinews.ge/ge/theme/866/agmosavlet-evropa-dasavletis-tsinaagmdeg-aris-tu-ara-evrokavshiri-dashlis-piras. ბოლოს ნანახია: 25.03.2024.
6. იტალიის პრემიერ-მინისტრი ჯორჯია მელონი პოლონეთს ევროკავშირის თავდასხმებისგან იცავს და ამბობს, რომ ევროკავშირში „მეორეხარისხოვანი“ წევრები არ უნდა არსებობდნენ https://geo-first.com/italiis-premier-ministri/. ბოლოს ნანახია: 25.03.2024.
7. ორბანი: პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, ტრამპი უკრაინას ფულს არ მისცემს და ომი დასრულდება (2024, 03.11). https://www.amerikiskhma.com/a/7522516.html. ბოლოს ნანახია: 25.03.2024.
8. რეალპოლიტიკა, მელონი: რომ არა რუსეთის თავდასხმა უკრაინაზე, ისრაელს ჰამასი თავს არ დაესხმებოდა. (25.02.24). https://realpolitika.ge/ge/akhali-ambebi/meloni-rom-ara-rusetis-tavdaskhma-ukrainaze-israels-hamasi-tavs-ar-daeskhmeboda. ბოლოს ნანახია: 25.03.2024.

Political discourses of European nationalist parties on mainstream topics

Chkhikvishvili Giorgi Doctor of Social Sciences,
Associate Professor of STU

Summary: The article discusses the political discourses of the heads of the ultranationalist parties of two European states - Viktor Orbán ("Civil Union of Hungary" - Fidesz) and Giorgia Meloni ("Brothers of Italy" - Fratelli d'Italia, FDL), which were related to the issues of political outlook. In particular, the themes of migration, democratic institutions, their relationship with Russia and the Russia-Ukraine war, and individual aspects of their program provisions are analyzed.

ევროპული ინტეგრაციის ისტორიულ-სამართლებრივი ასპექტები

ედიშერ ჯაფარიძე, სტუ-ის, ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი: ფართო საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ არ არის ცნობილი, რომ ევროკავშირის (ევროპის კონფედერაციის) გაერთიანების საწყის წერტილში იდგნენ ცნობილი ქართველი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები. მ. მუსხელიშვილი და ა. ნიკურაძე. სანამ რობერტ შუმანი და ჟან მონე ევროპის გაერთიანების იდეაზე საუბრობდნენ, მ. მუსხელიშვილი და ა. ნიკურაძე ერთსა და იმავე თემაზე აქვეყნებდნენ სტატიებს წამყვან გაზეთებსა და ჟურნალებში და აქტიურად მონაწილეობდნენ ევროკავშირის შექმნის პროცესში.

მიხეილ მუსხელიშვილი აქტიურად მონაწილეობდა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენცია - კონგრესებზე. იგი ყოველთვის საინტერესო და ვრცელი მოხსენებებით გამოდიოდა ევროინტეგრაციის და ერთიანი ევროპული საზღვრების მოშლის ინიციატივით, ევროპის საერთო ბაზრის შექმნისა და ერთიანი ევროპული განათლების სისტემის მოდერნიზაციის იდეით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი მოხსენება და ისტორიული გამოსვლა 1950 წლის 6 აგვისტოს ევროკონფერენციაზე სტრასბურგში, რომელიც ჩატარდა მისი უშუალო ინიციატივით. ევროკონფერენციის გახსნის წინა დღეს, ევროპის 8 ქვეყნის 300-ზე მეტმა სტუდენტმა, ევროგაერთიანების მგზნებარე ინიციატორის მიხეილ მუსხელიშვილისა და სამი სხვა მომხრე პროფესორის წინამძღოლობით, მოშალა საფრანგეთ-გერმანიის სასაზღვრო ინფრასტრუქტურა და აღმართა ერთიანი ევროპის დროშა ,,ჩვენ მხოლოდ პატარა კოცონი დავანთეთ, დიდი ცეცხლი ეხლა სტრასბურგში უნდა გაჩაღდეს, რომ ევროპული გულებიც აინთოს,.... თქვა მაშინ მ. მუსხელიშვილმა.

ა. ნიკურაძე იყო მიუნხენში პირველი ქართველი ევროპოლოგი, ქართულ-ევროპული ურთიერთობების ერთ-ერთი ყველაზე კომპეტენტური მკვლევარი და კონტინენტალური ევროპის კვლევა-ძიების ინსტიტუტის დირექტორი. 1951 წლის სექტემბერში მან პარიზის ქართულ სათვისტომოში წაიკითხა მოხსენება „ზოგადი სურათები ქართულ-ევროპული წარსულიდან“, რომელშიც გამოთქმულია ორიგინალური იდეები, და რომლითაც ევროკავშირის კონსტიტუცია დღესაც საზრდოობს. ასევე მან დიდი წვლილი შეიტანა ევროინტეგრაციისა და ევროპოლოგიის-როგორც ინტერდისციპლინარული დარგის ჩამოყალიბება-განვითარებაში. 1952 წლის სექტემბერში საფრანგეთში, ქ. კომპიენთან ახლოს ა. ნიკურაძის ინიციატივით ,,ლაბრევიერის'' სასახლეში შედგა ევროპელ მეცნიერთა ყრილობა, რომლის საგანი იყო ევროპული საჭირბოროტო საკითხების წინ წამოწევა. კერძოდ, სხვა წინადადებათა შორის კონგრესმა მიიღო მისი აზრი მცნება-ტერმინის ,,ევროპოლოგიის'' შემოღების შესახებ. ,,ევროპოლოგია''იმთავითვე გულისხმობდა ევროპულ მეცნიერთა დარგების თავმოყრას და ერთ სწავლებად ჩამოყალიბებას.

საქართველოში ცოტამ თუ იცის, რომ ევროინტეგრაციისა და ევროპოლოგიის, როგორც ინერდისციპლინარული დარგის შექმნის სათავეებთან იდგნენ ორი მსოფლიოში ცნობილი ქართველი ემიგრანტი მეცნიერები მიხეილ მუსხელიშვილი და ალექსანდრე ნიკურაძე, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ევროკავშირის ჩამოყალიბება-განვითარებაში.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი და საქართველო, ევრო გაერთიანების კონცეფცია, ევროკავშირის ისტორია.

თანამედროვე ევროინტეგრაციის იდეის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში ცნობილ ევროპელ მეცნიერთა და პოლიტიკოსთა შორის საპატიო ადგილი უკავია ორ ქართველ ემიგრანტ-მკვლევარს, პროფესორებს მიხეილ მუსხელიშვილსა [1903-1964) და ალექსანდრე ნიკურაძეს (1901-1981).

საქართველო საუკუნეთა მანძილზე მიისწრაფოდა ევროპისაკენ. დღევანდელი საქართველო სავსებით საფუძვლიანად ადგას დასავლეთის ორიენტაციის გზას. ევროპის ისტორიის დასაბამიდან

საქართველო მონაწილეა კაცობრიობის იმ სულიერი განვითარებისა, კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ფორმაციების შექმნისა, რომლებიც შეადგენდნენ ევროპის ცხოვრების არსს. ჩვენ ევროპელები მაშინ გავხდით, როდესაც მივიღეთ ქრისტიანობა და გავხდით ელინისტური სამყაროს ნაწილი რომაულ და ბერძნულ ცივილიზაციის თანაზიარი. საქართველო არის მრავალ საუკუნეთა განმავლობაში წილის შემტანი ევროპის შემოქმედებაში. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ქართველი ემიგრანტი მეცნიერის მიხეილ მუსხელიშვილისა და ალექსანდრე ნიკურაძის ღვაწლი ევროკავშირის შექმნასა და მის ჩამოყალიბებაში, რომლებმაც ერთმნიშვნელოვნად განაგრძეს ნიკო ნიკოლაძის ის გზა, რომელმაც თანამედროვე ეტაპზე საქართველო კიდევ ერთხელ მოაქცია ევროპულ რელსებზე. სწორედაც რომ თერგდალეულთა ახალმა თაობამ განსაკუთრებით კი ე. წ. მეორე დასმა (რომელშიც გაერთიანდებოდა ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე, ს. მესხი და სხვ.) შეძლო ქართველი ერის ისტორიაში ახალი ბილიკების გაკვალვა: „ამ ახალი თაობის საქებრად უნდა ვთქვათ, რომ ეს ახალი გზა იმათ მალე მონახეს, ეს გზა - დასავლეთ ევროპის გზა არის (ს. ხუნდაძე).

ნიკო ნიკოლაძე (1843-1928) ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც დასავლური შეხედულებები ჯერ კიდევ 1870-იან წლებში იქადაგა. ის იყო ევროპული პრაგმატიზმისა და საქმიანობის, ევროპული პოლიტიკური რეალიზმის, ევროპული განათლებისა, ტექნიკის, კულტურის და ნოვაციის უპირველესი დამნერგავი საქართველოში (ვ. შუბითიძე).

დასავლეთ ევროპის პროგრესულ აზროვნებას მან ქართული ნიადაგი შეუფარდა და შექმნა ღრმა ეროვნული მსოფლმხედველობა და საკუთარი სოციალურ-პოლიტიკური კონცეფცია: "არც ერთ მაშინდელ ჩვენს მოღვაწეს არ უგრძვნია ეპოქის სული ისე, როგორც ნ. ნიკოლაძემ იგრძნო, _ წერდა სიმონ ხუნდაძე - არავის არ მოუტანია ჩვენში იმდენი პროგრესული და ევროპული აზრი (ამ სიტყვის კულტურული მნიშვნელობით), რამდენიც შემოიტანა ნიკოლაძემ.

გერონტი ქიქოძეს ნიკო ნიკოლაძე მიაჩნია, ევროპული აზროვნების პირველ წარმომადგენლად საქართველოში. ნიკო ნიკოლაძე იყო პირველი ქართველი, რომელმაც უცხოეთში, ციურიხში 1868 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია უაღრესად აქტუალურ თემაზე ჟენევაში „განიარაღება და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები", რომელიც ფრანგულ ენაზე დაიბეჭდა.

ნიკო ნიკოლაძე ევროპული ტრადიციით განვითარების ეროვნული მოდელის შექმნას უჭერდა მხარს უცხოური დადებითი გამოცდილების გამოყენების გათვალისწინებით. ნიკო ნიკოლაძის ყველასთვის კარგად ცნობილი კონცეფციებიდან გამოვარჩევდით კიდევ რამდენიმეს, რომელმაც საქართველო იმ პერიოდში განვითარებისა და ინოვაციურობის განსაკუთრებულ სიმაღლეზე აიყვანა, კერძოდ, იგი ეხებოდა ეკონომიკას, კრედიტს, მრეწველობას, მიწის მფლობელობასა და კერძო მეწარმეობას, თვითმმართველობას, ასევე ნ. ნიკოლაძე მოითხოვდა, საარჩევნო ცენზის გაუქმებას, მცხოვრებთა მთელი მასის მონაწილეობას თვითმართველობასა და არჩევნებში და საქალაქო თვითმმართველობის სათავეში მოწინავე ინტელიგენციის დაყენებას, შეკრებებისა და პოლიტიკური გაერთიანებების თავისუფლებას, ერთა თანასწორუფლებიანობას, გმობდა უკიდურეს ნაციონალიზმსა და შოვინიზმს. ამ კონცეფციების ცალკეული მიმართულებებით მეტ-ნაკლებად მათი იმპლემენტაცია განხორციელდა, რამაც საქართველო კიდევ უფრო მეტად დაუახლოვა ევროინტეგრაციულ პროცესებს.

საქართველომ ევროპაში ხელახალი დაბრუნება დაიწყო მაშინ, როდესაც მივიღეთ ქრისტიანობა და გავხდით ელინისტური სამყაროს ნაწილი რომაულ და ბერძნულ ცივილიზაციის თანაზიარი, საქართველოს არასოდეს შეუწყვეტია სვლა ევროპისაკენ, საქართველო ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ევროპულ ქვეყნების ცივილიზაციის დინებას და ბევრ საკითხში უსწრებდა კიდეც მათ. ერთ-ერთ ასეთ გამონაკლის წარმოადგენს, ერთიანი ევროპის აპოლოგეტის, ევროპის ხალხთა კონგრესის პრეზიდენტის, ,,ფედერალური ევროპის მოძრაობის'' ცენტრალური კომიტეტის წევრის, ევროპის

ფორმირების ინტერნაციონალური ცენტრის ბიუროს ვიცე-პრეზიდენტის, ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის დამაარსებლის და გენერალური მდივნის, ევროპაში კარგად ცნობილი ევროპოლიტიკოსების მიხეილ მუსხელიშვილისა (ევროპაში ცნობილია მიშელ მუსხელის სახელით) და ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორის, ევროპაში პირველი ,,კონტინენტალური ევროპის კვლევაძიების ინსტიტუტის'' დამაარსებლის ალექსანდრე ნიკურაძის შემოქმედება, რომელთაგან პირველი საფრანგეთში, მეორე კი გერმანიაში მოღვაწეობდნენ და აქტიურად მონაწილეობდნენ ევროპის გაერთიანებისა და ფედერაციის იდეის დაცვაში. მ. მუსხელის აზრით, ევროპული ფედერალიზმი არის არამარტო სასიცოცხლო აუცილებლობა ევროპელი ერებისათვის, არამედ მშვიდობის განმტკიცებისა და ევროპაში საერთო აყვავების, ადამიანთა თავისუფლებისა და ღირსების დაცვის გარანტია... წერდა იგი თავის ნაშრომში ,,ევროპის ფედერალიზმის სტრუქტურა".

ევროპული თანამეგობრობისა და ერთიანი ევროპული კავშირის კონცეფციის პირველი იდეური დამაარსებელი, სტრასბურგის უნივერსიტეტის წამყვანი პროფესორი მიშელ მუსხელი იყო, რომელიც ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჟან მონე და რობერტ შუმანი საუბრობდნენ ევროპის გაერთიანების იდეაზე, მიშელ მუსხელი უკვე გამოდიოდა ძალიან მნიშნელოვანი ინიციატივებით, როგორც ევროპის ინსტიტუციური მოწყობის, ისე ევროპეიზაციის სამართლებრივი ბაზის შექმნის აუცილებლობით, თუმცა სანამ უშუალოდ სამართლებრივ ინიციატივებზე გადავიდოდეთ, ძალიან მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ მისი შემოქმედების სამ უმნიშვნელოვანეს მოვლენაზე, რომელიც ეხება ევროპაში მნიშნელოვანი ინსტიტუტების ჩამოყალიბებას, რომელმაც დასაბამი მისცა შემდგომ ევროპის ინსტიტუციონალურ განვითარებას და ევროპეიზაციის პროცესს, პირველი, ეს გახლდათ კვლევითი ცენტრის შექმნა, რომელმაც მთელი ევროპა მოიცვა. მ. მუსხელმა 1948-1949 წლებში შექმნა სსრკ-ისა და აღმოსავლეთ ევროპის (ე. წ. სოციალისტური) სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, რომელიც 18 წელი სათავეში ედგა მას, რომელსაც შემდგომ მას ,,მუსხელის'' ცენტრი უწოდეს (ახლაც მუსხელის ცენტრი ჰქვია). ,,მუსხელის'' ცენტრი წარმოადგენდა პოლიტოლოგიისა და საერთაშორისო სამართლის, სოვეტოლოგიის დარგის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს საფრანგეთში, სადაც მუშავდებოდა ევროინტეგრაციისა და ევროპული საზღვრების მოშლის იდეა. იგი იყო პირველი ქართველი და ერთ-ერთი პოლიტიკური მოღვაწე მსოფლიოში, რომელმაც ევრო გაერთიანების და ევროპული საზღვრების აღების იდეა წამოაყენა და დაიცვა.

მეორე, იგი ევროპის საბჭოს შექმნასა და ჩამოყალიბებაში (1949) თავიდანვე იღებდა მონაწილეობას, რომელმაც სათავე დაუდო ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიას ევროპაში, 1952 წლიდან მიშელ მუსხელი ,,ევროპის საბჭოს საკონსულტაციო ასამბლეის წარმომადგენლის მანდატის'' მფლობელი გახდა და იგი აქტიურად ჩაერთო ევროპის საბჭოს საქმიანობაში.

მესამე - ეს გახლდათ ,,ქართულ ევროპული მოძრაობა'' პირველი აპოლიტიკური გაერთიანება, რომელიც ორიენტირებული იყო დემოკრატიულ ფასეულობებსა და ლიბერალურ ღირებულებებზე. 1953 წლის 10 აგვისტოს სტრასბურგში ოფიციალურად დაარსდა პირველი ,,ქართულ-ევროპული მოძრაობა'', რომლის სულისჩამდგმელი და ინიციატორი მიხეილ მუსხელიშვილი იყო. ,,ქართულ - ევროპული მოძრაობას'', საფუძვლად დაედო 1953 წლის 7 აპრილს, ქ. მიუნხენში შეკრებილი დამფუძნებელი კრების მიერ შემუშავებული და დამტკიცებული შემდეგი წესდება: 1) ქართველთა შორის ევროპის სახელმწიფოთა კავშირის და მასში სუვერენული, დემოკრატიული საქართველოს შესვლის აუცილებლობის იდეის გავრცელება. 2) გაცნობა უცხოელთათვის, რომ საქართველო მუდამ იყო სულიერად და კულტურულად ნაწილი ევროპისა და სურს გახდეს მისი წევრი. ამ მიზანთა მისაღწევად, იგი უკავშირდება კავკასიელ მეზობელთა და ევროპის სხვა ერთა ევროპულ მოძრაობებს. მოძრაობის წესდებაში ხაზგასმულია, რომ ,,ქართულ-ევროპული მოძრაობა'' არ იყო კუ-

თვნილება რომელიმე პარტიისა ან ϰგუფისა. მასში მონაწილეობის მიღება შეეძლო ნებისმიერ ქართველს, განურჩევლად რელიგიური მრწამსისა და პოლიტიკური შეხედულებებისა, ვინც აღიარებდა საქართველოს სუვერენობას და იზიარებდა ევროპის მთლიანობის იდეას.

რაც შეეხება ევროპეიზაციის სამართლებრივ პროცესს მ. მუსხელის შემოქმედებიდან გამოვარჩევდით შემდეგ ინიციატივებს:

მ. მუსხელმა 1948 წელს ფრანგ კონსტიტუციონალისტ გასტონ სტეფანთან ერთად ევროპის ფედერალური კონსტიტუცის პროექტი დაწერა „Michel Mouskhely, Gaston Stefani, ,,Draftof a European Federal Constitution'' 1948'', სადაც დეტალურად გაწერილია პოლიტიკური და სოციალური დემოკრატიის პრინციპები, რაც დაფუძნებულია მშვიდობასა და სოციალურ სამართალზე ფედერაციის ერთიანობაში და ფედერაციული სახელმწიფოების სხვადასხვაობაში. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თანამედროვე ევროპული სამართალი დღესაც საზრდოობს მიხეილ მუსხელიშვილის მიერ ინიცირებული სამართლის პრინციპებით (განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ფუნდამენტური ნაშრომები, ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებაზე).

1950 წლის 6 აგვისტოს სტრასბურგში, ევრო კონფერენციის გახსნის წინა დღეს, ევროპის 8 ქვეყნის და 300-ზე მეტმა სტუდენტმა, ევროგაერთიანების მგზნებარე ინიციატორის მიშელ მუსხელისა და სამი სხვა მომხრე პროფესორის წინამძღოლობით, მოშალა საფრანგეთ-გერმანიის სასაზღვრო ინფრასტრუქტურა და აღმართა ერთიანი ევროპის დროშა, ,,ჩვენ მხოლოდ პატარა კოცონი დავანთეთ, დიდი ცეცხლი ეხლა სტრასბურგში უნდა გაჩაღდეს, რომ ევროპული გულებიც აინთოს,.... თქვა მაშინ მიშელ მუსხელმა.

1955 წლის სექტემბერში ქ. ტრიესტში გამართულ მსოფლიო კონგრესზე, რომელშიც წარმოდგენილი იყო 18 ქვეყნის 120 წარმომადგენელი, კონგრესზე მთავარმა მომხსენებელმა მიშელ მუსხელმა მიმართა მსოფლიოს ცივილიზებული სამყაროს მესვეურებს: ახლა დადგა დრო ევროპელთა ინტელექტუალური და კულტურული ერთობის გაერთიანების შესახებ, რაც მაშინათვე გულისხმობდა ერთიანი ევროპული განათლების სისტემის მოდერნიზაციის ინიციატივებს, დღევანდელი ბოლონიის პროცესთან მიახლოებულ პროექტს, ევროპის ინტელექტუალური მასის მობილობისა და ერთმანეთთან დაახლოების პერსპექტივებს, ევროპის საგანმანათლებლო პროგრამების ჰარმონიზაციას. მიშელ მუსხელი ϰერ კიდევ მაშინ გამოდიოდა ინიციატივით, რომ მომხდარიყო ევროპის ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებში, სწავლების საერთო მეთოდების შემუშავება, ევროპის უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა მობილობა და გონივრული ურთიერთობების განვითარება.

მ. მუსხელი ბრიუსელში გამოდიოდა ინიციატივით ევროპის საერთაშორისო ტრიბუნებზე ერთიანი ევროპული ბაზრის შექმნის აუცილებლობის შესახებ. 1958 წლის 23-27 აპრილს ბრიუსელში მსოფლიო გამოფენის C.E.C.A-ს პავილიონში შედგა ევროპელ პროფესორთა ასოციაციის მორიგი კონგრესი, რომლის მუშაობის დღის წესრიგში იყო ორი საკითხი: ევროპის საერთო ბაზარი და ევროპის საერთო დაწესებულებები. მოხსენებები ეხებოდა ევროპის ეკონომიკური მთლიანობის იურიდიულ ბუნებას და მის საერთო ასპექტს, მის ფსიქოლოგიურ მხარეს. მ. მუსხელიშვილმა კი ვრცელი მოხსენება წაიკითხა, ევროპის საერთო ბაზრის შექმნის, მისი ინტეგრაციის (მთლიანობის) შესახებ და მის სამართლებრივ ასპექტებზე. იგი მიიჩნევდა, რომ ევროპის გაერთიანების შემდგომ უნდა მოხდეს ევროპის ბაზრის გაერთიანება, რაც გაადვილებდა სავაჭრო კავშირებს ქვეყნებს შორის და შექმნიდა ერთიან საბაზრო სისტემას ევროპის კონტინენტზე. საერთო ბაზრის სისტემის შექმნა ხელს შეუწყობდა ევროპული ქვეყნების გაერთიანებას და გაერთიანების შემდგომ მის საერთო სიმტკიცის შენარჩუნებას.

მიხეილ მუსხელიშვილის ინიციატივების გარდა, საინტერესოა ასევე ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორის ალექსანდრე ნიკურაძის მიერ შეტანილი ქართული წვლილი ევროპოლოგიის -

როგორც ინტერდისციპლინარული დარგის ჩამოყალიბება-განვითარებაში. ალექსანდრე ნიკურაძის ინიციატივით 1952 წლის სექტემბერში საფრანგეთში, ქ. კომპიენთან ახლოს ,,ლაბრევიერის'' სასახლეში შედგა ევროპელ მეცნიერთა ყრილობა, რომლის საგანი იყო ევროპული საჭირბოროტო საკითხების წინ წამოწევა. კერძოდ, სხვა წინადადებათა შორის კონგრესმა მიიღო მისი აზრი ცნებატერმინის ,,ევროპოლოგიის", ,,EuropeanStudies" შემოღების შესახებ, რომელიც იმთავითვე გულისხმობდა ევროპული სამეცნიერო დარგების თავმოყრას და ერთ სწავლებად ჩამოყალიბებას. ასევე, ინიციატივას, შეიქმნას და ჩამოყალიბდეს ცალკე დარგი ,,Volkswirtschaft" ეკონომიკა, სადაც შევა მხოლოდ ეკონომიკური სწავლების საკითხები. მას შემდეგ ევროპოლოგიის ,,EuropeanStudies" და ,,Volkswirtschaft" ეკონომიკის, სამეცნიერო სწავლების მიმართულების შემოღება და მათი დამკვიდრება ევროპის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში პროფესორ ალექსანდრე ნიკურაძის სახელს უკავშირდება.

ალ. ნიკურაძე მუშაობდა აგრეთვე კავკასიის კონფედერაციის პროექტზე, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს ლიდერად გახდომას კავკასიის რეგიონში, გერმანიის პროტექტორატით და ამიერკავკასიის ეკონომიკაზე, მისი განვითარების გზებზე და სამომავლო პერსპექტივებზე. იგი თვლიდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის და სუვერენიტეტის შენარჩუნების გზა მის ეკონომიკაზე გადის. ჯერ კიდევ მაშინ ა. ნიკურაძე და ცნობილი გერმანელი ეკონომისტები, მათ შორის აღმოსავლეთის ეკონომიკური ინსტიტუტის დირექტორი მ. ახმეტელი დარწმუნებულები იყვნენ, რომ საქართველო სამომავლოდ გახდებოდა ეკონომიკურად ყველაზე პოტენციური და მნიშვნელოვანი ხიდი ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ტრანზიტული გზებისა, ვინაიდან ამის მთავარ განმაპირობებელ მიზეზად საქართველოს გეოგრაფიულად და გეოსტრატეგიულად ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე მდებარეობას მიიჩნევდნენ. იგი ამ საკითხებთან დაკავშირებით და ქართულ-ევროპული ურთიერთობების და პარალელების შესახებ გერმანულ ენაზე აქვეყნებდა ქართველოლოგიური ტიპის ნაშრომებს, კერძოდ: ,,კავკასია'', ,,ქართული არქიტექტურის საკითხისათვის შუა საუკუნეების ევროპულ აღმოსავლეთში'', ,,ისტორიოგრაფიული შეხედულებანი ალბანეთის შესახებ", „დასავლეთ ევროპის რომანული არქიტექტურისა და ქართული არქიტექტურის პარალელების ახსნის ცდა", „დასავლეთ ევროპა და კავკასია პარალელების სახით", „სუმერთა პირვანდელი ადგილსამყოფელის საკითხისათვის" (კავკასია შესაძლოა პირველი სამშობლოა სუმერთა ლითონის) და სხვ. გარდა ამისა, ა. ნიკურაძეს გამოქვეყნებული აქვს ასევე ფიზიკა-მათემატიკის დარგში 35-ზე მეტი მაღალი დონის სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის აღსანიშნავია ,,თხევადი დიელექტრიკები'' (Al. Nikurade. Das Flüssige Dialektrikum. Berlin. 1934), რომლის რუსული თარგმანი გამოცემულ იქნა მოსკოვ-ლენინგრადში, სადაც ნათქვამი იყო, რომ მსგავსი ნაშრომი რუსულ ენაზე არ არსებობდა. ეს იყო იშვიათი პრეცენდენტი, როცა საბჭოთა კავშირში დაიბეჭდა ემიგრაციაში მყოფი ქართველი ფიზიკოსის ფუნდამენტალური ნაშრომი. მთელ საბჭოთა სამყაროში და არა მარტო მაშინ, ეს ნაშრომი დღესაც გამოიყენება სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო სახელმძღვანელოდ.

მიხეილ მუსხელიშვილის იდეის რეალიზაცია თანამედროვე საქართველოში დამოუკიდებლობიდან 25 წლის შემდეგ ,,ვიზა ლიბერალიზაციის'' სახით ნაყოფიერი შედეგი გამოიღო, 2017 წლის 2 თებერვალს საქართველომ მიიღო უვიზოდ გადაადგილების უფლება (ვიზა ლიბერალიზაცია) შენგენის წევრ ქვეყნებში, რომელიც საქართველოს დემოკრატიული მთავრობის მიერ ქვეყანაში განხორციელებული წარმატებული რეფორმების შედეგია და ვიმედოვნებთ, რომ ეს იქნება კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციისა.

მაშასადამე, აქ წარმოდგენილი პოლიტიკური და სამართლებრივი ინიციატივები მოწმობს იმას, რომ ევროპის კავშირის შექმნის იდეის ერთ-ერთი პირველი აპოლოგეტი სწორედ რომ მიშელ მუსხელი იყო.

ამრიგად, ავტორის მიერ პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში საარქივო მასალებზე, ახლად შემოტანილ ლევილისა და ჰარვარდის კოლექციებში დაცულ დოკუმენტებზე, ემიგრანტთა შთამომავლების პირად არქივებზე დაყრდნობით, კომპლექსურად შესწავლილი და გამოკვლეული იქნა შემდეგი ძირითადი ასპექტები, სადაც პირველად გაანალიზდა:

1. მიხეილ მუსხელიშვილის ბიოგრაფიის და შემოქმედების მნიშვნელოვანი და დღემდე უცნობი უნიკალური ისტორიული მასალები, რომელიც ევროინტეგრაციაში შეტანილ მნიშვნელოვანი წვლილის წარმოჩენას ეხება. მისი შემოქმედების შესწავლის შედეგად გამოკვლეული და გამოვლენილი იქნა შემდეგი ახალი ფაქტები: ა) 1948 წელს მან ფრანგ კონსტიტუციონალისტ სტეფან გასტონთან ერთად შექმნა ევროპის ფედერალური კონსტიტუციის პროექტი, რომლის მნიშვნელოვანი დებულებანი საფუძვლად დაედო თანამედროვე ევროპული კავშირის სამართალს, ბ) ერთიანი ევროპული ბაზრის შექმნისა და ევროგაერთიანების ინსტიტუციების დაარსების იდეა (რაც მერე განხორციელდა ევროპარლამენტის, ევროკომისიის, ევროკავშირის საბჭოს და სხვათა შექმნით).

   გ) ევროპულ საგანმანათლებლო სივრცის მოდერნიზაცია და ევროპულ საგანმანათლებლო სისტემების და პროგრამების ჰარმონიზაცია (რაც მერე განხორციელდა ე.წ. ,,ბოლონიის პროცესის'' სახით და ა. შ).

   დ) ევროპაში საზღვრების მოშლის კონცეფცია (რაც მოგვიანებით განხორციელდა ე.წ. შენგენის ვიზის სახით, რამაც ევროკავშირში ფაქტობრივად საზღვრები მოშალა).
2. მიხეილ მუსხელიშვილის იდეის რეალიზაცია თანამედროვე საქართველოში ვიზალიბერალიზაციის სახით.
3. მიხეილ მუსხელიშვილი ,,ევროპის საბჭოს საკონსულტაციო ასამბლეის წარმომადგენლის მანდატს ფლობდა, რომელიც დათარიღებულია 1952 წლით, ხოლო აღნიშნული საბჭო შეიქმნა 1949 წლის 5 მაის ლონდონში დასავლეთ ევროპის ათი სახელმწიფოს მიერ, რომლის შტაბბინა სტრასბურგში მდებარეობს, სავარაუდოდ, ამ საბჭოს დაარსებაში ქართველი ევროპოლიტიკოსის წვლილი შემდგომი კლევის საგანია.

   დღევანდელი ვიზა ლიბერალიზაციის მიღება ერთგვარად წარმოადგენს მიშელ მუსხელიშვილის იმ ოთხ ძირითად კონცეფციას ევროგაერთიანებისას, რითაც იგი ამისთვის იბრძოდა, აღნიშნული კონცეფცია მაშინვე გულისხმობდა: ევროპული ქვეყნების გაერთიანებას (ევროპული კავშირი, კონფედერაცია), ევროპის საერთო ბაზრის შექმნას, ევროპის ქვეყნებს შორის საზღვრების მოშლას, ევროპის ერთიანი განათლების სისტემის შექმნას და ჰარმონიზაციას. აქედან ბოლო ორ კონცეფციაში საქართველო უკვე აქტიურად მონაწილეობს ხოლო დანარჩენი კი კვლავ რჩება ქვეყნის მთავარ გამოწვევად. ვიმედოვნებთ, რომ წარმატებული ღონისძიებების გატარებით საქართველო მალე შეუერთდება ევროპის საერთო ბაზარს და ამავდროულად საბოლოოდ დაბრუნდება ევროპულ ოჯახში თავის კუთვნილ ადგილას.

აღნიშნულ კვლევებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ჰმატებს ისიც, რომ ჩვენი საარქივო მასალების შესწავლის შედეგად და საქართველოს ცნობილი დიპლომატის ბატონ ზვიად კვაჭანტირაძის მხარდაჭერით 2019 წელს მოძიებული და აღმოჩენილი იქნა მიშელ მუსხელიშვილის საფლავი, სადაც დაკრძალულია სტრასბურგში-რობერტსოს ჩრდილოეთ სასაფლაოზე, რომელიც მანამდე დაკარგულად ითვლებოდა. ასევე სტრასბურგში 2019 წელს გაიხსნა მიშელ მუსხელის სახელობის საკვირაო სკოლა, სადაც ქართველ ემიგრანტ ბავშვებს ასწავლიან სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად მიშელ მუსხელის შემოქმედებასაც.

დღეს, როდესაც საქართველომ მიიღო ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი და ბრიუსელში საქართველოს შესახებ მიმდინარეობს აქტიური მსჯელობა, საქართველომ უნდა აჩვენოს ფართო საზოგადოებას და ცივილიზებულ სამყაროს, რომ ჩვენ ევროპაში ცარიელი ხელით

კი არ შევდივართ, არამედ ევროგაერთიანების გარიჟრაჟზე საქართველო თავიდანვე მონაწილეობდა ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვაში, ევროპული ღირებულებების შექმნაში, პროპაგანდასა და მის მომავალ თაობებამდე მოტანაში, რადგან ევროპაში საქართველოს დაბრუნება არ არის და არც არასოდეს ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის არჩევანი, არამედ ეს ჩვენი ერის ცივილიზაციური არჩევანი და ისტორიული კანონზომიერების აღსრულება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს ევროპულ ორიენტაციას არ გააჩნია ალტერნატივა, რომ ქართველი ხალხი აუცილებლად, საბოლოოდ დაუბრუნდება თავის პირვანდელ „სამშობლოს“ – ევროპას, თავის სისხლსა და ხორცს, რომლისკენაც მუდამ ისწრაფოდა კულტურით, რელიგიითა და პოლიტიკური სისტემით... ამასთან უნდა ითქვას, რომ ევროინტეგრაციის და ევროპოლოგიის განვითარებაში შეტანილია ქართული წვლილიც, რითაც შეგვიძლია დღეს ამით ვიამაყოთ. (Muskhelishvili, 1952).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Muskhelishvili, M. (1952). Publication of the Georgian-European Movement. Paris.
2. Mouskhely, M, (1952). “Mandate of the Representative of the Consultative Assembly of the Council of Europe”, Strasbourg Archive.
3. Sharadze, G. (1991). In the Overseas Sky, Book N1.
4. Japharidze, E. (2019). At the Outset of European integration.
5. Muskhelishvili, M. (1995). Georgia and Europe, Georgia's Relations with European and American Countries,Volume II.
6. The Journal of the Fate of Kartli, (1953). # 15, September.
7. The Journal of the Fate of Kartli, (1958). # 28-29, Congress of the European Professors' Association.
8. Shubitidze, V. (2013). Europeanization and Georgian Political Thought.
9. Sanders, A. (1942). KAUKASIEN, Nordkaukasien, Aserbeidschan, Armenia, Georgien GeschichtlicherUmriss. München. Hoheneichen-Verlag.
10. ჯაფარიძე, ე. (2023). მიხეილ მუსხელიშვილი-ევროინტეგრაციისა და ერთიანი ევროპის იდეის შესახებ, თემიდა, #18/19, სტუ.

Historical-legal aspects of European integration

Edisher Japharidze, GTU, Associate Professor

Summary: It is still not widely known to the general public that at the starting point of uniting the European Union (European Confederation) were standing famous Georgian scientists and public figures. M. Muskhelishvili and A. Nikuradze. While Robert Schuman and Jean Monnet talked about the idea of uniting Europe, M. Muskhelishvili and A. Nikuradze were publishing articles on the same subject in the leading newspapers and magazines and actively participated in the processes of creating the European Union.

M. Muskhelishvili was born on 6 July of 1903 in Tbilisi in Georgia. After graduation of Gymnasium he went to continue study in Gottingen and Munich University in 1921 and after he went on study at the Lion University in Paris where he was educated Law education. In the 1932-1933 he was lectured in law and political science at the Paris University.

Muskhelishvili was the first Georgian European who preached about the idea of Creating European Union in his way and erasing frontiers among European countries. He formed the European Center of

scientific research and study in Strasburg named ,, Muskheli ’’ center (where it is operating with the name) which researched European integration issues. After the War he raised the idea of uniting Europe and its federation and protected it. To his opinion, European federalism is not only surviving necessity for European people but also a guarantee of peace and for general flourishing in Europe, freedom and integrity of human race…,, he wrote in his work,, The structure of Europe’s federalism’’.

Al.Nikuradze was one of the most competent researchers of Georgian-European relations and the director of the research Institute of continental Europe in Munich. In September 1951 he read a report in the Paris association of fellow countrymen of Georgia. ,, General pictures of Georgian European background’’, in which original ideas are stated. Ideas which nourish European constitution to this day. He is also widely credited with European Integration and Europologee as forming and developing the field of the inter-discipline. In September 1952, near city companies in France with A. Nikuradze’s initiative was a conference of European scientists in La Brévine. The subject of the conference was putting forward European troubling issues to discuss. In particular, among other propositions the congress accepted his opinion, a concept of adopting the term Europologee. Basically ,,Europologee” meant gathering European scientific fields and forming them as one unity of study. It is important to make a merit of A. Nikuradze played very important roll also in developing of kartvelology in Europe.

Also, thus, it can be said that at the initial point of European Integration were standing the two world famous Georgian emigrant scientists M. Muskhelishvili and A. Nikuradze, who are widely credited with forming and developing the European Union.

მეხსიერების პოლიტიკის ძირითადი მარკერები ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში

ქეთი ჯიჯეიშვილი პოლიტიკის დოქტორი,
პროფესორი

აბსტრაქტი: სტატიაში განხილულია პოლიტიკურ მეხსიერებაში აგებული ქართული და აფხაზური ნარატივები, რომლებიც შექმნილია ცხოვრების წესის გასამართლებლად და თანამედროვე გამოწვევებზე პასუხების საპოვნელად; გაანალიზებულია დისკურსები ქართული და აფხაზური მხარის სხვადასხვა ვერსიის შესახებ, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს კონფლიქტების გაღვივებაში და განიხილება კონფლიქტის მეხსიერების მარკერები, როგორც ამ კონფლიქტების მოგვარების, ისე პრევენციის პერსპექტივა. ახალი ძალადობა უკავშირდება ისტორიული მეხსიერების აღდგენას.

საკვანძო სიტყვები: მეხსიერების პოლიტიკა, მარკერები, კონფლიქტები, ნარატივები, სამშვიდობო პროცესი, პოლიტიკური დისკურსი, მშვიდობის მშენებლობა.

"როდესაც მშვიდობა მოვა, ჩვენ დროთა განმავლობაში შევძლებთ არაბებს ვაპატიოთ ჩვენი შვილების მოკვლა, მაგრამ ჩვენთვის უფრო რთული იქნება მათ ვაპატიოთ, რომ გვაიძულებდნენ თავიანთი შვილების მოკვლას. მშვიდობა მაშინ მოვა, როცა არაბებს უფრო მეტად შეუყვარდებათ შვილები, ვიდრე ჩვენ ვძულვართ."

ისრაელის პრემიერი გოლდა მეირი

საქართველომ დამოუკიდებლობის შემდეგ შეიარაღებული კონფლიქტების, სამოქალაქო ომისა და მასობრივი ძალადობის უმძიმესი ისტორია გამოიარა. ეს ისტორია ჩვენი მეხსიერებაში კონსტრუირდა იმის შესაბამისად, თუ ვინ იყო კონსტრუქტორი. პოლიტიკური მეხსიერებაში ნარატივიცა და კონტრნარატივიც შეიქმნა ცხოვრების წესის დასასაბუთებლად და თანამედროვე გამოწვევებზე პასუხების მოსაძებნად. აქედან გამომდინარე, ერთი ისტორია კონფლიქტის სხვადასხვა მხარეს მყოფი ადამიანების მეხსიერებაში სხვადასხანაირად და განსხვავებული მნიშვნელობით დაილექა. ერთი ისტორიის განსხვავებულმა ინტერპრეტაციებმა წარმოქმნეს, სხვადასხვა ტიპის ნარატივები. ამ კონფლიქტური მეხსიერების დაძლევასა და ისტორიული მეხსიერების რეკონსტრუირებაზე არის მიბმული ამ კონფლიქტების დარეგულირების, წარსულის კოლექტიური ტრავმებისგან საზოგადოების გათავისუფლებისა და ახალი ძალადობის არდაშვების პრესპექტივა. ტრავმები, რომელიც არ არის გააზრებული ხშირად პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაციის, ანუ მათი პოლიტიკური გამოყენების მიზეზი ხდება.

აფხაზეთის კონფლიქტის დაწყებიდან 30 წელზე მეტი გავიდა, მაგრამ სამწუხაროდ, ქართული საზოგადოებაში განწყობები კონფლიქტების მოგვარებასა და ტრანსფორმაციაზე არ არის ერთსულოვანი; ჩვენი უახლესი ისტორიის ამ ტრავმატულ გამოცდილებაზე არ არსებობს ერთნაირი გაზიარებული ხედვა, რომელიც თუნდაც საზოგადოებრივ დონეზე იქნება შეთანხმებული. ჩვენი ისტორიის ამ ტრავმატულ გამოცდილებაზე ძალიან ცოტა თუ ისწავლება საჯარო სკოლებსა და უნივერსიტეტებში. მწირია ინტერდისციპლინური და კრიტიკული კვლევების რესურსებიც.

რუსეთის მიერ უკრაინაში დაწყებულმა ომმა და მთიანი ყაბარაღის პრობლემის გადაწყვეტამ ახალი სუნთქვა შესძინა საქართველოს შიგა კონფლიქტებისა და მისი მოგვარების გზების შესახებ ქართული საზოგადოების შიგნით არსებულ დისკურსებს. ამ დისკურსებმა პოლიტიკურ ველზე ერთგანზომილებიანი ინტერპრეტაციის სახე მიიღო, თუმცა მას უფრო სიღრმისეული და მრავალშრიანი ანალიზი ესაჭიროება, რუსეთის ფაქტორის გარდა, გაანალიზებული უნდა იყოს ორივე მხარისა და აქტორის როლი. რასაც შეუძლებელს ხდის დისკურსების ემოციური ხასიათი.

დადასტურებული ფაქტია, რომ ამ კონფლიქტის მთავარი ინსპირატორი არის რუსეთი: შეიარაღებული კონფლიქტების დროს ადგილი ჰქონდა რუსეთიდან დიდი რაოდნეობით დაქირავებული შეიარაღებული მოხალისეების მონაწილეობასა და სამხედრო დახმარებებს;

ისიც ცხადია, რომ რუსეთის ინტერესებში იყო კონფლიქტის რეგიონებზე გავლენის შენარჩუნების გზით, საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ინტერვენცია და კონტროლი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთს სამხრეთ კავკასიაში და შავ ზღვაზე სამხედრო გავლენების შენარჩუნება სჭირდებოდა და აფხაზეთის რეგიონი მისთვის სტრატეგიულად საინტერესო ადგილი იყო; შესაბამისად, ქართულ-აფხაზური კონფლიქტი ჩაისახა და განვითარდა რუსეთის იმპერიაში, აფხაზები თანდათან ქმნიდნენ ქართველებისაგან მტრის ხატს. საქართველოში, აფხაზურისგან საპირისპიროდ, აფხაზის მტრის ხატს არასოდეს უარსებია. აფხაზეთი ქართველებისათვის რუსეთის მარიონეტად იყო წარმოდგენილი, ამიტომაც მთელ ბრალეულობას ისინი რუსეთს აწერდნენ.

აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მკვლევარი, აფხაზი მეცნიერი ირაკლი ხინთბაც პარადოქსულად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ ამ ეტაპზე არც ქართული და არც აფხაზური მხარე ერთმანეთთან კონფლიქტის არსებობას არ აღიარებს: საქართველოს შემთხვევაში კონფლიქტი მდგომარეობს საქართველო რუსეთს შორის, აფხაზეთის გადასახედიდან კი დაპირისპირება ამოწურულია იმდენად, რამდენადაც აფხაზეთს უსაფრთხოების გარანტია აქვს მიღებული მოსკოვიდან და ფინანსური და ეკონომიკური განვითარების სფეროში რუსეთის მხარდაჭერითაც სარგებლობს. შესაბამისად, არ არსებობს თბილისთან კონტაქტის საჭიროება ან სურვილი. მკვლევარი დარწმუნებულია რომ სწორედ ეს არსებული კონტექსტი ხელს არ უწყობს სამშვიდობო პროცესის წარმოებას (კალანდაძე, 2011).

სამშვიდობო პროცესის სირთულე სწორედ აღნიშნულ გარემოებაზეა დაფუძნებული. ქართულმა და აფხაზურმა მხარეებმა ტრამვულ გამოცდილებებზე დაყრდნობით „საკუთარი“ ისტორია შექმნა და ,,საკუთარ“ ჭეშმარიტებას იცავდა. ეს ისტორია რაც უფრო შორეულ წარსულს ეხებოდა, მით უფრო მწვავე იყო კამათი და ურთიერთშეუთანხმებლობა.

მთავარი დისკურსი მდგომარეობს რამდემიმე თემის ირგვლივ ისტორიული მეხსიერების განსხვავებულ ვერსიებში. რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს კონფლიქტების გაღვივებაში.

თემა პირველი - აფხაზების წარმოშობის შესახებ. აფხაზი ერის წარმომავლობის შესახებ ქართული მხარე იზიარებს პროფესორ პავლე ინგოროყვას შეხედულებას, რომელიც მეცნიერმა ჩამოაყალიბა 1954 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში. მასში აფხაზები მიჩნეულ იყვნენ არამკვიდრ მოსახლეობად, რომელიც მე-17 საუკუნეში ჩამოსახლდნენ აფხაზეთში. ნამდვილი აფხაზები კი ქართველები იყვნენ. აფხაზურ პოლიტიკურ და სამეცნიერო ელიტებში, ინგოროყვას თეზისი გადაითარგმნა როგორც იდეოლოგიური ბაზისი ქართული ექსპანსიისთვის (Coppitiers, 2002).

თავის მხრივ, აფხაზმა ისტორიკოსმა შალვა ინალ-იფამ 1976 გამოსცა მონოგრაფია, რომელშიც ინგოროყვას თეზისის საპირისპიროს ამტკიცებდა. ინალ-იფას მიხედვით, აფხაზები კი არა, ქართველები არიან ტერიტორიაზე „სტუმრები“. ის ამტკიცებდა, რომ აფხაზო-ადიღები იყვნენ არა მხოლოდ აფხაზეთის პირველმკვიდრნი, არამედ მთლიანად კოლხეთის. მისი აზრით, ქართული ტომები ტერიტორიაზე ბევრად გვიან დაფუძნდნენ, ხოლო აფხაზეთის სამეფოს ჩამოყალიბებაში ფაქტობრივად სრულად გამოთიშა ქართული როლი (Папаскири, 2012).

თემა მეორე - ,,აფხაზთა და ქართველთა სამეფოს“ ისტორიის შესახებ. ,,აფხაზთა და ქართველთა სამეფოს“ ისტორიის შესახებაც განსხვავებულ ინტერპრეტაციები აქვთ ქართულ და აფხაზურ მხარეებს. აფხაზები მას აფხაზურ, ხოლო ქართველები ქართულ სახელმწიფოდ მოიხსენიებდნენ. რეალურად, ორივე მხარე ივიწყებს იმ ფაქტს, რომ შუა საუკუნეებში იდენტობა არ განისაზღვრებოდა ჩვენი ეპოქისათვის დანახასიათებელი კორელატებით და საზრისებით, არამედ მაშინ სხვა განსხვავებული კრიტერიუმები არსებობდა ტახტისა და რელიგიის სახით. შესაბამისად, იმ ეპოქისათვის, ნაცვლად კითხვისა ,,რა ეროვნებისა ხარ“? რელევანტური კითხვა იყო: ,,რომელი ტახტის ან რწმენის ხარ“?

თემა მესამე - აფხაზი ერის შესახებ. ამ თემის შესახებ ქართული მხარის დამოკიდებულება განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქმება აფხაზების მხრიდან. ქართული მხარის მტკიცებით,

აფხაზები არ წარმოადგენს ერს, რადგანაც მას არ გააჩნია ერის ნიშნები და ის მხოლოდ რუსული იმპერიალიზმის პროექციაა.

აფხაზი ერის როგორც რუსული პროექციის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ცალსახაა რუსეთის ძალისხმევა იმისთვის, რომ აფხაზური ეროვნული და პოლიტიკური იდენტობა ქართულის საპირწონედ განვითარებულიყო და 1980-იანი წლების ბოლოს არსებითი დაპირისპირება ქართულ და აფხაზურ ეროვნულ პროექტებს შორის რუსეთმა თავის ინტერესებში გამოიყენა, მაგრამ აფხაზურ იდენტობებს და ხედვებს უკვე რომ არ ეარსება, რუსეთი ცარიელ ადგილზე კონფლიქტს ვერ შექმნიდა.

აფხაზებს, რომლებიც ქართველების შესახებ ინფორმაციას არაპირდაპირი, ძირითადად პროპაგანდისტული არხებით იღებენ, ღრმად სჯერათ, რომ ქართველები მათ თანასწორად არ აღიქვამენ, ცინიკურად და გულგრილად აფასებენ და გული მხოლოდ მიწაზე შესტკივათ და არა იქ მცხოვრებ ადამიანებზე. ამიტომაც კონფლიქტის მოგვარებისათვის და თანაცხოვრებისთვის, მნიშვნელოვანია, რომ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მშვიდობიანი მოსახლეობა განვიხილოთ, როგორც, მართალია, კონფლიქტის მეორე მხარეს მდგომი, მაგრამ როგორც საკუთარი მოქალაქეები, რომელთა სიცოცხლეცა და უსაფრთხოებაც ასევე იყო დარღვეული. გავაცნობიეროთ, რომ ჩვენ გვყავს მსხვერპლები მშვიდობიან მოქალაქეებს შორის იქითა მხარესაც. ომმა წარმოქმნა უნდობლობა და გაუცხოება, რასაც შედეგად მოჰყვა ისიც, რომ ბევრი არაფერი ვიცით „მეორე მხარის“ ტკივილის შესახებ.

მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ არ უგულვებელყოთ აფხაზი ხალხის ტრამვები და ტკივილები და არ დავინახოთ ეს კონფლიქტები მხოლოდ ტერიტორიული პერსპექტივით. ლათის ტრაგედია არაა მხოლოდ აფხაზების ტრაგედიები, ეს საქართველოს ტრაგედიაა. ის კვალავ რჩება ერთ-ერთ გამოუძიებელ საქმედ და შავ ლაქად ქართულ - აფხაზური კონფლიქტის ისტორიაში. სხვა ტრაგედიებთან ერთად მისი გამოძიებაც, შეფასება და უდანაშაულო მსხვერპლის მიმართ პატივის მიგება დაგვეხმარება ნდობის აღდგენის პროცესის წარმართვაში.

დასკვნის სახით, შეიძლება ვთქვათ, რომ გაყოფილ საზოგადოებებში ნდობის შენება კონფლიქტის მძიმე გამოცდილების შემდეგ სხვადასხვა კომპონენტებთან ერთად ითვალიაწინებს წარსულის გადააზრებასა და მისადმი არსებული სენსიტიური განწყობების დაძლევასაც, რადგან ეს უკანასკნელი მანიპულაციის დიდ შესაძლებლობას ქმნის;

მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკურ და სამეცნიერო დისკურსებში მოხდეს კონფლიქტის მხარეების პოზიციების გადასინჯვა და მათი პასუხისმგებლობის გამოკვეთა; აქცენტირება ქართველებისა და აფხაზების ერთად ცხოვრების პოზიტიურ გამოცდილებაზე, საერთო ადათებზე, თვისებებსა და მსოფლმხედველობაზე. გენეტიკურმა მეცნიერებამაც დაადასტურა, რომ იმერლები, გურულები, მეგრელები, სვანები, აფხაზები, ჩერქეზები და ოსები ატარებენ ერთნაირ გენომს მამის სახით - G ჰაპლოჯგუფს, რომელიც კავკასიაში ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ 485 საუკუნის წინ. ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული იმ ისტორიების აღდგენა მნიშვნელოვანია მათი კულტურული თვითმყოფადობის და, იმავდროულად, საერთო ქართული ისტორიისა და მეხსიერების „შევსებისთვის“; ასევე აუცილებელი პირობაა საერთო ინტერესებისა და დღის წესრიგის საერთო სივრცეების მოძებნისა და დიალოგის დასაწყებად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Kalandadze, A. (2011). From Confrontation to Transformation. https://www.amerikiskhma.com/a/georgia-abkhazia-119781214/534773.html (25.10.23).
2. Coppitiers, B. (2002). In Defence of Homeland, Secession, History and the Social Sciences, Brussel.
3. Папаскири, З. (2012). Моя Абхазия, Издательство: „Меридиани“.
4. მესხია, ნ. (2009). როგორ გასხვისდა აფხაზეთი. თბილისი, 2009.

Main markers of memory politics in the Georgian-Abkhazian conflict

Keti Jijeishvili PhD Professor of Politics

Summary: The article discusses the Georgian and Abkhazian narratives constructed in political memory, which were created to justify the way of life and find answers to modern challenges; The discourses about the different versions of the Georgian and Abkhaz sides, which played an important role in the instigation of conflicts, are analyzed, and the markers of the conflict memory are discussed, the perspective of both the settlement of these conflicts and the prevention of new violence is tied to the reconstruction of historical memory.

სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობა და საერთაშორისო არენაზე ზიანის მიყენების შესაძლებლობები

დავით კუხალაშვილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ეროვნული და კორპორაციული სასწავლო-კვლევითი ცენტრის დირექტორი, ისტორიის დოქტორი, პროფესიული უსაფრთხოების დოქტორი

აბსტრაქტი: მსოფლიოს მასშტაბით სადაზვერვო საქმიანობის ნიშნები უძველესი პერიოდიდან ფიქსირდება. ისტორიული პროცესების ანალიზი აჩვენებს, რომ ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო არენაზე საკუთარი სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად სახელმწიფოები სადაზვერვო სამსახურებს აქტიურად იყენებენ.

სადაზვერვო ქმედებების გამოყენების პერსპექტივა სამყაროს დასასრულამდე არა მარტო იარსებებს, არამედ მისი მნიშვნელობა განსაკუთრებული იქნება, როგორც კონკრეტული სახელმწიფოს, ისე გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფით.

საკვლევი თემა განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსათვის, რადგან საბჭოთა სივრცის რღვევის შემდგომ, იგი უცხო სახელმწიფოთა სადაზვერვო ინტერესთა რკალშია მოქცეული. სწორედ ამიტომ მის წინააღმდეგ განხორციელებულია ისეთი სადაზვერვო ქმედებები, როგორიცაა: საქართველოს კონსტიტუციური წყობის ძალადობრივი დამხობა; ტერორისტული აქტები ხელისუფლების მაღალი რანგის თანამდებობის პირებზე; ეკონომიკური უსაფრთხოების წინააღმდეგ საბოტაჟური ქმედებები; ხელოვნური ხანძრები და სხვ.

კვლევის შედეგები მიღებული კლასიფიკატორის სახით საყურადღებო იქნება, სპეცსამსახურების, მასმედიის, საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისათვის, მკვლევრებისათვის, საზოგადოების ფართო ნაწილისათვის.

საკვანძო სიტყვები: დაზვერვა, კონტრდაზვერვა, კონსტიტუციური წყობა, უსაფრთხოება, საერთაშორისო პოზიცია.

ნებისმიერი ქვეყანა საკუთარი ინტერესებისა და ფინანსური შესაძლებლობების შესაბამისად ახორციელებს სადაზვერვო აქტივობებს, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ორ მიზანს წარმოადგენს:

ა) საკუთარ სახელმწიფოს აარიდოს ის საფრთხეები, რაც დაინტერესებული ქვეყნებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მომდინარეობს;

ბ) მტრულად განწყობილ სახელმწიფოებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს შეუქმნას საკუთარი სახელმწიფოს ინტერესის შესაბამისი საფრთხეები.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად აუცილებელია ყველა სახელმწიფოს სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო სამსახურებს ჰქონდეთ კონკრეტული ამოცანები. მათ შორის გამორჩეულია - დაზვერვის ობიექტი სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობისა და მისი საერთაშორისო პოზიციებისათვის ზიანის მიყენება.

სადაზვერვო საქმიანობა კანონიერად ითვლება მისი ორგანიზატორი სახელმწიფოსათვის. უცხო ქვეყნების წინააღმდეგ მისი განხორციელება ამ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად ქმედებას წარმოადგენს. სახელმწიფოს ამ ტიპის საქმიანობის გამოყენება შეუ-

ძლია, როგორც „პოლიტიკური ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ბრძოლის“ [1] მნიშვნელოვანი საშუალება.

სადაზვერვო აქტივობების გამოვლენა ობიექტი სახელმწიფოს სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო სამსახურების მიერ კოორდინირებულად, საიდუმლოების გრიფით მიმდინარეობს. სადაზვერვო ქმედებების გაშიფვრა მისი ორგანიზატორი ქვეყნებისათვის იწვევს:

- ☞ სადაზვერვო სამსახურისა და ხელისუფლების კომპრომეტაციას ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო არენაზე;
- ☞ საერთაშორისო სანქციებს;
- ☞ უცხო სახელმწიფოებში ჯაშუშური აპარატის დემორალიზაცის, სადაზვერვო შეხვედრებისათვის თავის აცილებას, ე.ი. საფრთხეების იდენტიფიცირებისათვის აუცილებელი სადაზვერვო ინფორმაციების მოპოვების შეზღუდვას და სხვ.

სადაზვერვო საქმიანობის შედეგებზე შეგვიძლია ვისაუბროთ იმ შემთხვევაში, როდესაც გვაქვს ხელისუფლებისა და საზოგადოების როგორც დემორალიზაცია, ისე დეზორგანიზაცია; პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და სამეცნიერო უსაფრთხოების სფეროს დესტაბილიზაცია და სხვ. იმის გათვალისწინებით, რომ დაინტერესებულ სახელმწიფოთა სადაზვერვო აქტივობების გარეშე არ მიმდინარეობს სამიზნე ქვეყნის კონსტიტუციური წყობის დამხობა, საგანგებო სტატისტიკური მონაცემებია განთავსებული ამ ტიპის ორგანიზების თვალსაზრისით ღია წყაროში.

კვლევით [2] დადგენილია, რომ 1955-2022 წლის ჩათვლით ორგანიზებული იქნა სახელმწიფო გადატრიალების წარმატებული 441 და წარუმატებელი 349 ერთეული შემთხვევა, აგრეთვე სახელმწიფო გადატრიალების, შეთქმულების 191 ფაქტი. ამავე ჩამონათვალში საქართველო ფიქსირდება, როგორც მსოფლიოში 45-ე პოზიციაზე[3] მდგომი სახელმწიფო, სადაც 2 წარმატებული შეთქმულებაა განხორციელებული. გამოდის, რომ დამოუკიდებლად არსებობის 35 წლის განმავლობაში საქართველო მოწყვლადი არის კონსტიტუციური წყობის ძალადობრივი დამხობის თვალსაზრისით. უნდა აღვნიშნოთ, რომ ორივე შემთხვევაში საქართველოს ინტერესებზე საზიანო შედეგი უცხო ქვეყნების სტრატეგიული ინტერესების გადაკვეთამ და მათი აღსრულებისათვის სადაზვერვო აქტივობებმა მნიშვნელოვნად განაპირობეს. პრაქტიკულად, საქართველოში უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებმა უზრუნველყვეს საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო და სამეცნიერო უსაფრთხოების ბერკეტებზე ზეგავლენა და საზიანო შედეგის დადგომა.

მიმოვიხილოთ მზვერავი ქვეყნების მიერ საქართველოს წინააღმდეგ სხვადასხვა პერიოდში გამოყენებული ქმედებები, რადგან მათი გათვალისწინება მნიშვნელოვანი იქნება **საფრთხის: სამიზნე ქვეყნის კონსტიტუციურ წყობაზე და მის საერთაშორისო პოზიციაზე დამაზიანებელი ზემოქმედების** კუთხით სათანადო კლასიფიკატორის შედგენაში.

როგორც ერის ***სულიერი ღირებულებების, ისე ეროვნულ-კულტურული ფასეულობის რღვევის უზრუნველსაყოფად*** უცხო ქვეყნების სადაზვერვო სამსახურების აგენტურულ-ოპერატიული საქმიანობის შედეგს უნდა მივაკუთვნოთ საქართველოში, პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით ძლიერი, ეკონომიკურად მდიდარი უცხო სახელმწიფოს/სახელმწიფოთა გაერთიანების ცხოვრების წესის გაბატონება, ეროვნული თვითმყოფადობის მრავალფეროვნების დაკარგვა. გამოთქმული მოსაზრებების დამტკიცება შესაძლებელია საქართველოს ისტორიაში განვითარებული მოვლენების ანალიზით.

ჯერ კიდევ 1878 წლისათვის, აჭარის შემოერთებამდე პერიოდში „ადგილობრივ მოსახლეობაში აქტიურად მიმდინარეობდა თურქული ენის დანერგვა. ისლამიზაციის პროცესმა განაპირობა აჭარის მოსახლეობის ერთი ნაწილში ოსმალური სახელმწიფოსადმი ლოიალური განწყობის შექმნა.“[4] XIX საუკუნის ბოლოს ქობულეთში, სადაც მხოლოდ ქართულენოვანი, მაჰმადიანი

ქართველები იყვნენ დასახლებული, სკოლებში სწავლება არაბულ-ოსმალურ ენებზე ხორციელ-დებოდა. გამოდის, რომ რელიგიურად თანხვედრილ და ეთნიკურად განსხვავებულ სამიზნე ჯგუფზე მზვერავი სახელმწიფოსადმი ლოიალობის შექმნა შესაძლებელია სათანადო სასწავლო პროცესის ორგანიზებით.

XIX საუკუნის საქართველოში „დაუნდობელი ბრძოლა დაიწყო ეროვნული ღირებულებების წინააღმდეგ. ქართველობის იდენტობის მატარებელი ფასეულობანი მტრის რისხვის ობიექტად იქცა. დამპყრობელს, სადაც შეეძლო და როგორც შეეძლო, ისე უსწორდებოდა ყოველივე ქართულს. არავინ დარჩენილა საქართველოში სამეფო ოჯახის წევრთაგან, ვინც მაჰმადიან ქვეყანაში, უცხო მიწაზე დალია სული და ვინც რომანოვების სასახლეში. სრულად ჩამოაშორეს ბაგრატიონები ქვეყნის სათავეს და მართვის სადავეები თავადვე მიისაკუთრეს“[5]. ამასთან ერთად უნდა აღვ-ნიშნოთ ის გარემოება, რომ კრიზისულ ვითარებაში ადამიანებმა უარი თქვეს უპირველეს ღირე-ბულებებზე - სიყვარულსა და ოჯახის შექმნაზე. ითვლებოდა რომ, ოჯახში ახალი წევრის დაბადება უკავშირდებოდა როგორც უიმედოობას, ისე გაურკვევლობას. საყურადღებოა საქართველოში უკვე 1916 წლისათვის არსებული ვითარება, რომლის მიხედვითაც: „ქართველი კურსდამთავრებული არ იცნობს საკუთარ ერს არც პრაქტიკულად, არც ლიტერატურის წყალობით, ხოლო თუ აქვს წარმო-დგენა უთუოდ ტენდენციური, პარტიულია, რაც ფრიად არანორმალურია“[6].

აქვე არ შეიძლება არ გამოვყოთ 1917 წლამდე რუსეთის იმპერიის მიერ ქართული მართლმა-დიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ კონტრდაზვერვის ფარგლებში „რუსი ეგზარქოსების“ საქმია-ნობა, როგორც ტაძრებში საკომუნიკაციო ქართული ენის, ისე ქართული გალობის, ქართველი მართლმადიდებელი მოძღვრების შევიწროების საწინააღმდეგოდ.

დამოუკიდებლობის პერიოდში, 1919 წლისათვის არსებულ მდგომარეობაზე წარმოდგენას გვიქმნის სოციალ-ფედერალისტების შეფასება ქართული ენისადმი საზოგადოებისა და ხელისუფ-ლების დამოკიდებულების შესახებ. „ძნელად თუ მოიპოვება ქვეყნად ერი, რომელსაც ისე აბუჩად ჰქონდეს აგდებული თავისი სამშობლო ენა, როგორც ქართველ ერს. ქართული ენა დამცირებული იყო ძველად, როდესაც საქართველო რუსეთის ნაწილს შეადგენდა, დამცირებულია დღეს, როცა ჩვენ თითქოს დამოუკიდებელი საქართველო შევქმენით“[7]. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში საქართველოში მცხოვრები გერმანელი კოლონისტებიც ცდილობდნენ განათლების სფეროში აქტიურ ჩარევას.

გამოდის, რომ როგორც კოლონიურ, ისე დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობის პირო-ბებში საქართველოსთან მიმართებით ნათელია სადაზვერვო საქმიანობის ნიშნების შემცველი შედეგი. საქართველო მფარველი სახელმწიფოს მხრიდანაც და დამოუკიდებლობის პერიოდშიც საკუთარი ხელისუფლების და საზოგადოების მხრიდანაც ქართული ენის ზეგავლენის შესასუს-ტებლად მოქმედებდა. გვაქვს სხვადასხვა მმართველობის პირობებში პროცესის უწყვეტობა, რაც სადაზვერვო ზეგავლენის კუთხით გამოთქმულ მოსაზრებას კიდევ უფრო ამყარებს.

1924 წლის აჯანყებამდე საქართველოში გამომავალ ერთ-ერთ გაზეთში გამოითქვა მო-საზრება, რომ: „ეროვნული პოლიტიკის ხაზი თანდათან გადაიხრებოდა საქართველოს საზიანოდ, რომ რუსული ენა სტიქიურად დასჩაგრავდა ქართულს“[8]. საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნის პირობებში, საბჭოთა პერიოდში დომინირებდა რუსული ენა. უფრო მეტიც 1978 წლისათვის საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში სათანადო ცვლილებით ცენტრალურ ხელისუფლებას ქართუ-ლი ენის ხარჯზე რუსული ენის გაძლიერება ჰქონდა გადაწყვეტილი. საზოგადოებრივი განწყობა და პროტესტი დაგეგმილ პროცესთან დაკავშირებით, საფრთხის თავიდან აცილების ხელსაყრელი პირობა გახდა.

მნიშვნელოვანია ზემოაღნიშნული პრობლემის ირგვლივ თანამედროვე საქართველოში არ-სებული ვითარება.

საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ფიქსირდება მოსწავლეთა მსოფლმხედველობრივი ჩამოყალიბების უფლების ისეთი დარღვევები, რომლებშიც შეინიშნება ეროვნულ-კულტურული ფასეულობების მოშლის მიზანმიმართულობა. ფიქსირდება: „რელიგიური რიტუალების, მათ შორის, რელიგიური მედიტაციისა და იოგის სახეობების (რაჯა-იოგა, აგნი-იოგა და ა. შ.), „მაგიური რიტუალების“, ე. წ. „ჩაკრებთან“, „მესამე თვალთან“ დაკავშირებული ტექნიკების შესრულების იძულება; ქართული ეროვნული კულტურისათვის უცხო „დღესასწაულების“ ჩართვის მცდელობა, მაგალითად „ჰელოუინი“ და მოსწავლეთათვის ასეთ დღესასწაულებზე დასწრების იძულება“[9].

ეროვნულ-კულტურული ფასულობების მოშლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხელშემწყობს წარმოადგენს, საქართველოდან უცხო ქვეყნებში მოსახლეობის ლეგალური და არალეგალური მიგრაციის ფონზე, საკმარისობით გამორჩეული ეროვნულ-კულტურული და სარწმუნოებრივი დაწესებულებების არარსებობა. ფაქტობრივად შექმნილია ნოყიერი ნიადაგი, უცხო სახელმწიფოში მცხოვრები ქართველების დენაციონალიზაციისათვის. ღია წყაროში [10] არსებული ინფორმაციის ანალიზით ირკვევა, რომ თანამედროვე ეტაპზე: ქართული ენა რუსული ენის შემდეგ, ინგლისური და „ინტერნეტის ენის“ გავლენის ქვეშ იმყოფება. სისტემურობით გამოირჩევა ქართულის, უცხო სიტყვებით ჩანაცვლების, ე. წ. ქართული ენის დაბინძურების პროცესი.

ზემოაღნიშნულთან ერთად გავაანალიზოთ სახელმწიფოს პოლიტიკური უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტები, რომლებსაც ზეგავლენა ჰქონდათ საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, ასევე წამყვანი პოლიტიკური პარტიების კომპრომეტაციის პროცესში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დამოუკიდებელი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კომპრომეტაციის პროცესში ჩართულია, როგორც ხელისუფლება, ისე პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობო სექტორი, მასმედია.

სახელმწიფოს დასუსტებისა და პოლიტიკური დესტაბილიზაციის ინსპირირებისათვის მნიშვნელოვანია სამიზნე სახელმწიფოს ხელისუფლების შტოებს, წამყვან/ავტორიტეტულ პარტიებს შორის დაპირისპირება. ***ამ შემთხვევაში ქვეყნის როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების, ასევე წამყვანი პოლიტიკური პარტიების, რღვევის/ჩამოშლის ხელსაყრელი პირობებია შექმნილი.*** ამ მიზნის მისაღწევად, უწყვეტობით გამორჩეული კონფლიქტები, მიზანმიმართული დისკრედიტაცია, დაუსაბუთებელი კომპრომეტაცია, დემორალიზაცია, დეზორგანიზაცია სადაზვერვო აქტივობების დამადასტურებელი ნიშნებია.

უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური დესტაბილიზაციის ხელშემწყობი პირობები არსებობდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ღია წყაროში არსებული ინფორმაციის თანახმად: [11] 1919 წელს ნაფიც მსაჯულ ზედგენიძესა და დამფუძნებელი საბჭოს წევრს ს. ჯაფარიძეს შორის მოხდა კონფლიქტი, რომლის დროსაც ამ უკანასკნელმა მსაჯულს იარაღი დაანახა და დაემუქრა. მართალია, სასამართლომ ჯაფარიძე გაამართლა, მაგრამ იყო **საკანონმდებლო ორგანოს კომპრომეტაციის მცდელობა, რაც ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო არენაზე უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის მობილიზებას ემსახურებოდა.** იმავე წყაროზე დაყრდნობით, 1921 წლის დასაწყისში დამფუძნებელი საბჭოს წევრებს ბ. ჩხიკვიშვილსა და შ. ნუცუბიძეს შორის კონფლიქტი, ამ უკანასკნელის ფიზიკური შეურაცხყოფით დასრულდა. ფაქტმა სტუდენტთა აღშფოთება გამოიწვია და ინციდენტის დაგმობის შესახებ ოფიციალური განცხადების შემდგომ საპროტესტო დემონსტრაცია დაიგეგმა. იყო **საკანონმდებლო ხელისუფლების კომპრომეტაცია, საჯარო სივრცეში ამ შტოების წარმომადგენელთა მხრიდან ერთმანეთისადმი შეურაცხმყოფელი დამოკიდებულებით.**

უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლებათა შორის საგარეო, თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში კონფლიქტების **ინსპირირება და მათი სისტემურობა სადაზვერვო ზეგავლენა-შეღ-**

წევადობაზე მიანიშნებს, ეს კი - უცხო ქვეყნების ინტერესების გატარების კუთხით ხელისუფლების მოწყვლადობას.

საბჭოთა კავშირის დაშლამდე და მის შემდგომ პერიოდში, საქართველოში რეგიონულ და ცენტრალურ ხელისუფლებებს შორის საკანონმდებლო დაპირისპირება, საბრძოლო მოქმედებები, უცხო ქვეყნის კონტროლს დაქვემდებარებული სეპარატისტული რეჟიმების შექმნა და მართვა, ტერიტორიული მთლიანობის რღვევა, უცხო ქვეყნების სადაზვერვო ინტერესების გადაკვეთის შედეგია. ამ პროცესებში **სადაზვერვო პროპაგანდით უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი განწყობა, რომლის მიხედვითაც მუსირებს აზრი პროცესებში მხოლოდ ერთი უცხო სახელმწიფოს მონაწილეობაზე.** დეზორგანიზებისათვის ხელსაყრელი განწყობა დასტურდება იმ გარემოებით, რომ საქართველოს მიმართ ინტერესთა გადაკვეთა ორი ან მეტი უცხო სახელმწიფოს თანხვედრილ ინტერესებს უნდა ნიშნავდეს.

გამოთქმულ მოსაზრებას ადასტურებს 2001 წელს თავის ნაშრომში რევაზ ჯორბენაძე: „ს. ჰანტინგტონის ცივილიზაციათა კლასიფიკაციით საქართველო ორი დიდი მართლმადიდებელ-სლავურ და ისლამურ ცივილიზაციებს შორის მდებარეობს. სწორედ კონფლიქტების არსებობა ცივილიზაციათა გამმიჯნავ ზონებშია მოსალოდნელი. შესაძლოა აფხაზ-ქართველთა, ოს-ქართველთა, პანკისის ხეობაში დაძაბულობა და სხვა პოტენციური კონფლიქტები, სწორედ საწყისი ეტაპია დაჯახების.”[12] 2001 წლიდან 2023 წლების განმავლობაში მსოფლიოში განვითარებული მოვლენები რ. ჯორბენაძის პროგნოზის - ცივილიზაციათა დაჯახების საწყისი ეტაპის შესახებ დადასტურებულია. აქედან გამომდინარე **მსგავსი კონფლიქტების შესახებ ინფორმაციების ფლობა** და სათანადო ანალიზი, მოსალოდნელი საფრთხეების იდენტიფიცირების და მათზე წარმატებული რეაგირების საშუალებას იძლევა.

საქართველოს პოლიტიკურ უსაფრთხოებაზე დამაზიანებლად მოქმედი პროცესებით გამოირჩევა 2012 წლიდან დღემდე.

2012-2013 წლებში და შემდგომ პერიოდში უცხო ქვეყნების ზეგავლენით ინსპირირებულ, სადაზვერვო კოჰაბიტაციის პირობებში საქართველო განაგრძობს ცხოვრებას. მაღალი ხარისხის კონფლიქტი დაფიქსირდა პრეზიდენტ სააკაშვილსა და პრემიერ-მინისტრ ივანიშვილს შორის. კონფლიქტური ვითარება შეიქმნა პრეზიდენტ გ. მარგველაშვილსა და პრემიერ-მინისტრ ი. ღარიბაშვილს, პრეზიდენტ ს. ზურაბიშვილსა და პრემიერ-მინისტრ ი. ღარიბაშვილს შორის. ამ შემთხვევებშიც კონფლიქტის ინსპირირების საფუძველს თავდაცვის, უსაფრთხოებისა და საგარეო საქმეთა სფეროებში დაპირისპირებულ მხარეებს შორის პოზიციათა შეუთანხმებლობა წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ზემოჩამოთვლილი პირი მმართველ პარტიას წარმოადგენდა. საბოლოოდ მათი, სახელმწიფო და პოლიტიკური პარტიების კონტროლს დაქვემდებარებული მასმედიის საშუალებების გამოყენებით ერთმანეთის დისკრედიტაცია-კომპრომეტაციის პროცესებში ჩართვა მოხერხდა. უნდა აღინიშნოს, რომ ერთმანეთის დანაშაულებრივი, მათ შორის, ჯაშუშობის, კორუფციაში მონაწილეობისა და სხვ. ქმედებების შესახებ უამრავი განცხადებაა მასმედიის საშუალებებში. საკანონმდებლო ვალდებულების მიუხედავად სამართლებრივი რეაგირება არ განხორციელებულა. ყოველივე კი შეიცავდა უცხო სახელმწიფოთა სადაზვერვო ქმედებების ნიშნებს, მათი ინტერესების გადაკვეთას სახელმწიფოში.

ამრიგად, საფრთხის: „სამიზნე ქვეყნის კონსტიტუციურ წყობასა და მის საერთაშორისო პოზიციაზე დამაზიანებელი ზემოქმედების“ ირგვლივ შეგვიძლია დასკვნის სახით გამოვკვეთოთ:

1. **სახელმწიფოს მიერ სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობის ძირითადი მიზნები და ამოცანები:**

- **მიზნები:**

☞ დაინტერესებული ქვეყნებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მომდინარე საფრთხეების ნეიტრალიზაცია, რისკის მინიმუმამდე დაყვანა;

☞ საკუთარი ქვეყნისადმი მტრულად განწყობილ სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი საფრთხეების შექმნა.

■ **ამოცანები:**

☞ დაზვერვის ობიექტი სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობისა და მისი საერთაშორისო პოზიციებისათვის ზიანის მიყენება;

☞ დაზვერვის ობიექტი ქვეყნის როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების, ასევე წამყვანი პოლიტიკური პარტიების რღვევა/ჩამოშლა;

☞ საკუთარი სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობისა და მისი საერთაშორისო პოზიციებისათვის ზიანის მიყენებისაგან დაცვა;

☞ საკუთარი ქვეყნის როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების, წამყვანი პოლიტიკური პარტიების რღვევისაგან დაცვა.

2. **ორგანიზატორი ქვეყნისათვის სადაზვერვო ქმედებების გაშიფვრისაგან მოსალოდნელი შედეგები**:

☞ სადაზვერვო სამსახურის, ხელისუფლების კომპრომეტაცია ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო არენაზე, სხვადასხვა სახის სანქცია სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური დესტაბილიზაციის ინსპირირებისათვის და სხვ.;

☞ უცხო სახელმწიფოებში ჯაშუშური აპარატის დემორალიზაცია, სადაზვერვო შეხვედრებისათვის თავის აცილება, სადაზვერვო ინფორმაციების ნაკლებობა/არარსებობა, მზვერავი ქვეყნისადმი არსებული საფრთხეების არასრული განსაზღვრა/განსაზღვრის შეუძლებლობა, პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ხასიათის დესტაბილიზაცია.

3. უცხო სახელმწიფოების მიერ ინსპირირებული პოლიტიკური საფრთხეების კლასიფიკატორი:

3.1. სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობისა და მისი საერთაშორისო პოზიციებისათვის დასაზიანებლად, მზვერავი ქვეყნის მიერ განხორციელებული ქმედებები სამიზნედ სახელმწიფოში გვესახება:

☞ კონსტიტუციური წყობის ძალადობრივი დამხობა;

☞ ხელისუფლების მაღალი რანგის თანამდებობის პირებზე ტერორისტული აქტები;

☞ ეკონომიკური უსაფრთხოების რღვევის მიზნით საბოტაჟური ქმედებები;

☞ ტურიზმის უსაფრთხოებაზე დამაზიანებელი ზეგავლენისათვის ხელოვნური ხანძრების ორგანიზება;

☞ მზვერავი ქვეყნის ხელისუფლებისა და საზოგადოების დემორალიზაცია, დეზორგანიზაცია;

☞ პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და სამეცნიერო უსაფრთხოების სფეროს დესტაბილიზაცია;

☞ პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით ძლიერი, ეკონომიკურად მდიდარი უცხო სახელმწიფოს/სახელმწიფოთა გაერთიანების ცხოვრების წესის გაბატონება;

☞ ეროვნული თვითმყოფადობის მრავალფეროვნების დაკარგვა;

- ☞ ეროვნული, პატრიოტული სულისკვეთების ხელისუფლების არარსებობის უზრუნველმყოფი გარემოს შექმნა;
- ☞ სახელმწიფოს ერთიანობის განმაპირობებელი რელიგიური მიმდინარეობის დასუსტების მიზნით, მშობლიურ ენაზე კომუნიკაციის შეზღუდვა, მათ შორის კონკრეტული ეთნიკური კუთვნილების სასულიერო პირების დევნა-შევიწროება;
- ☞ მშობლიური ენის შევიწროება მზვერავი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი სასაუბრო ენის გავრცობის მიზნით;
- ☞ არც პრაქტიკულად, არც ლიტერატურის მეშვეობით საკუთარ ერის შეცნობის უნარის არ არსებობა, ამ მიმართებით ტენდენციური და პარტიული შეხედულებების არსებობა;
- ☞ სახელმწიფო/მშობლიური ენის ზეგავლენის შესუსტების უწყვეტი პროცესი (ხელისუფლებისა და საზოგადოების მხრიდან სახელმწიფო/მშობლიური ენის აბუჩად აგდება; უცხო ქვეყნის ჩარევა სასწავლო პროცესების დაგეგმარებაში);
- ☞ რელიგიურად თანხვედრილ და ეთნიკურად განსხვავებულ სამიზნე ჯგუფზე მზვერავი სახელმწიფოსადმი ლოიალური დამოკიდებულების შექმნა, სასწავლო პროცესში, ეთნიკური ჯგუფის მშობლიური ენის გამოყენების შესაზღუდად მზვერავი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი ენის სწავლებაზე გადაყვანით;
- ☞ მზვერავი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი ენის, ობიექტი სახელმწიფოს საკონსტიტუციო ცვლილებებით სახელმწიფო ენად დაკანონება მისი უპირატესობის გაზრდის მიზნით;
- ☞ ეროვნულ-კულტურული ფასეულობების მოშლის მიზნით საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა მსოფლმხედველობრივი ჩამოყალიბების უფლების დარღვევები, გამოხატული იძულებით, შეთანხმების გარეშე სხვადასხვა ღონისძიებასა და სწავლებაზე მათი დასწრებით;
- ☞ ეროვნულ-კულტურული ფასეულობების მოშლა, დაზვერვის ობიექტი ქვეყნიდან ემიგრირებული ეთნიკური ჯგუფისათვის საკმარისობით გამორჩეული ეროვნულ-კულტურული და სარწმუნოებრივი დაწესებულებების არ არსებობით;
- ☞ უცხო და „ინტერნეტის“ ენის გავლენების მასშტაბურობით.

3.2. საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლების, ასევე წამყვანი პოლიტიკური პარტიების რღვევა/ჩამოშლის მიზნით, მზვერავი ქვეყნის მიერ განხორციელებული ქმედებები სამიზნე სახელმწიფოში:

- ☞ სახელისუფლებო შტოებს შორის უწყვეტობით გამორჩეული კონფლიქტები, მიზანმიმართული დისკრედიტაცია, დაუსაბუთებელი კომპრომეტაცია, დემორალიზაცია, დეზორგანიზაცია;
- ☞ სასამართლო ხელისუფლებასა და საკანონმდებლო ხელისუფლების წევრებს შორის კონფლიქტით (ერთის მიერ მეორისადმი იარაღის ჩვენება და მუქარის განხორციელება) საკანონმდებლო ხელისუფლების კომპრომეტაცია ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო არენაზე;
- ☞ საკანონმდებლო ხელისუფლების წევრებს შორის საჯარო სივრცეში კონფლიქტით, ფიზიკური დაპირისპირებით (შეურაცხყოფით), საკანონმდებლო ხელისუფლების კომპრომეტაცია ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო არენაზე, პოლიტიკური ხასიათის პროტესტის ისნპირირების ფონზე;
- ☞ რეგიონალურ და ცენტრალურ ხელისუფლებებს შორის საკანონმდებლო დაპირისპირება;
- ☞ რეგიონალურ და ცენტრალურ ხელისუფლებებს შორის სამხედრო მოქმედებები;

- ☞ უცხო ქვეყნის კონტროლს დაქვემდებარებული სეპარატისტული რეჟიმების შექმნა და მართვა;
- ☞ ტერიტორიული მთლიანობის რღვევა;
- ☞ სახელმწიფოს დაზიანების პროცესში რამდენიმე ქვეყნის მონაწილეობის მიუხედავად, სადაზვერვო პროპაგანდით უზრუნველყოფილი საზოგადოებრივი განწყობა მხოლოდ ერთი უცხო სახელმწიფოს ბრალეულობაზე;
- ☞ უცხო ქვეყნების ზეგავლენით ყოფილი (დანაშაულებრივი) და ახალი ხელისუფლებების სადაზვერვო კოჰაბიტაცია;
- ☞ პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის კონფლიქტის ინსპირირება და სისტემურობა თავდაცვის, უსაფრთხოებისა და საგარეო საქმეთა სფეროებში პოზიციათა შეუთანხმებლობის გამო;
- ☞ ხელისუფლებების შტოებს შორის კონფლიქტში სახელმწიფო და პოლიტიკური პარტიების კონტროლს დაქვემდებარებული მასმედიის საშუალებების გამოყენება ერთმანეთის დაუსაბუთებელი დისკრედიტაცია-კომპრომეტაციისათვის;
- ☞ დანაშაულებრივი, მათ შორის, ჯაშუშობის, კორუფციის პროცესში მონაწილეობის და სხვ. ქმედებების შესახებ მასმედიაში არსებული განცხადებების ირგვლივ, საკანონმდებლო ვალდებულების მიუხედავად სამართლებრივი რეაგირების გამორიცხვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თ. ენდელაძე „საგარეო დაზვერვის სამსახურები," საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, წმინდა გრიგოლ ფერაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი, 2007, თბილისი, გვ.6-7;
2. „Coup d'État Projectbreadcrumb," Statement regarding the events that took place at the U.S. Capitol on January 6, 2021 (Updated Dec. 15, 2022), UNIVERSITY OF ILLINOIS URBANA-CHAMPAIGN, CLINE CENTER FOR ADVANCED SOCIAL RESEARCH, https://clinecenter.illinois.edu/project/research-themes/democracy-and-development/coup-detat-project;
3. „Frequency of Coup Events from 1945 to 2022, by Country," UNIVERSITY OF ILLINOIS URBANA-CHAMPAIGN, CLINE CENTER FOR ADVANCED SOCIAL RESEARCH https://clinecenter.illinois.edu/project/research-themes/democracy-and-development/coup-detat-project/freq-table;
4. გ. სანიკიძე, გ. ალასანია, ნ. გელოვანი, „ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIX ს.-XXI ს.-ის დასაწყისი)," ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი თბილისი, 2011 წელი, გვ.142. https://rustaveli.org.ge/res/docs/02f7ec752f6d18fddfaddc3130998365559e6466.pdf;
5. თ. ქარცივაძე, „დავით კლდიაშვილის სოციალურ-პოლიტიკურ კრიზისს შეწირული პერსონაჟები," სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნერებათა და განათლების ფაკულტეტი, გვ.9. https://openscience.ge/bitstream/1/2585/1/Tamuna%20Kartsi vadze%20Samagistro.pdf;
6. „ბანი, ქართული ენა, გაზეთი, სამშობლო, 1916, # 365, გვ. 3," ნატო სონღულაშვილი საგანმანათლებლო სისტემა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921), გამომცემლობა „უნივერსალი," თბილისი, 2021, გვ. 46. https://institutehist.ucoz.net/ld/3/327 natosongula.pdf;

7. ნ. სონღულაშვილი, „საგანმანათლებლო სისტემა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბ-ლიკაში (1918-1921),“ გამომცემლობა „უნივერსალი,“ თბილისი, 2021, გვ. 116. https://institutehist.ucoz.net/_ld/3/327_natosongula.pdf
8. ა. ნემსაძე, მ. შამილიშვილი, „კულტურული მიმდინარეობები და მედიატექსტები, რეალიზმი, მოდერნიზმი, პოსტმოდერნიზმი - ქართული მოდერნისტული სკოლები და მიმდინარეობები,“ ივანე ჯავახიშვილის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2020, გვ.50, https://digitallibrary.tsu.ge/book/2021/sep/readers/nemsadze-kulturuli-mimdinareobebi-lekcia.pdf;
9. ლ. მათეშვილი, სეკულარული სახელმწიფო და რელიგიური საგნების სწავლების საკითხები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში,“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების დეპარტამენტი, პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, 2017, გვ.21-22; https://press.tsu.ge/data/image_db_innova/fsiqologia/levan_mateshvili.pdf;
10. გ. ალიბეგაშვილი, „სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თავმჯდომარე,“ ესაუბრა ლ. ჯელაძე, *https://akhaliganatleba.ge/%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%A7%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%8 3% 90 %E1%83%96%E1%83%9D/*;
11. „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921) ენციკლოპედია-ლექსიკონი,“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, უნივერსიტეტის გამოცემლობა, 2018, გვ.46; 508, https://digitallibrary.tsu.ge/book/2019/wignebi/sakartvelos-damoukidebeli-respublikis-entsiklopedia.pdf
12. რ. ჯორბენაძე, „პოლიტიკური კონფლიქტების მართვა“, სალექციო კურსი, ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო, სოციალურ მეცნიერებათა სერია, „მეცნიერება“, თბილისი, 2001, გვ.4, https://digitallibrary.tsu.ge/book/2021/oct/books/jorbenadze-politikuri-konfliqtebis-martva.pdf.

Constitutional order of the state and the possibility of damage it in the international arena

David Kukhalashvili is a visiting professor at the Georgian Technical University, an associate professor at the Caucasus International University, director of the National and Corporate Training and Research Center, Doctor of Historical Sciences, Doctor of Professional Safety.

Summary: The important tasks of harming the constitutional structure of the state and its international positions David Kukhalashvili is a visiting professor at Georgian Technical University, an associate professor at Caucasus International University,Director of the National and Corporate Training and Research Center, a Doctor of Historical Sciences, and a Doctor of Professional Safety. Signs of intelligence activity around the world have been recorded since ancient times. The analysis of historical processes shows that in order to protect the interests of the state within the country and in the international arena, intelligence services are actively used. The prospect of the use of intelligence activities will not only exist until the end of the world, but its importance will be special, both in the provision of a specific state and global security.

The topic of the study is especially relevant for Georgia since, after the collapse of the Soviet Union, it entered the sphere of intelligence interests of foreign states. That is why such intelligence actions were carried out against him, such as the violent overthrow of the constitutional system of Georgia; terrorist attacks against high-ranking government officials; sabotage actions against economic security; artificial fires, etc.

Key words: intelligence, counterintelligence, security, constitutional structure, international position.

ეროვნული იდენტობისა და ღირსების შენარჩუნების პრობლემები თანამედროვე ნეოლიბერალური მანიპულაციების პირობებში

ლევან ოსიძე სტუ-ს
ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი: თანამედროვე რეალობაში ,,გლობალური სოფელი" არის მეტაფორა, რომელსაც უწოდებენ გაციფრულებულ, კონვერგენციული ინფორმაციით დაკავშირებულ მსოფლიოს, რომელიც ძირითადად ინტერნეტის აღწერისას გამოიყენება, რომელიც ცვლის არა მხოლოდ მანძილისა და დროის ცნებებს, არამედ აახლოებს კულტურებს, მსოფლმხედველობას, ტრადიციებსა და ფასეულობებს. თანამედროვე ადამიანი ცხოვრობს არა დანაწევრებულ, იზოლირებულ გარემოში, არამედ კულტურებისა და სამყაროს ერთიანობაში. რადიოს, ტელევიზიისა და შემდეგში ინტერნეტის მიერ შექმნილი გარეგნული სახე არის მაკლუენის სოფელი, სადაც საინფორმაციო საშუალებების გლობალიზაციამ მთელი მსოფლიო დააახლოვა ერთმანეთთან პატარა სოფლის მსგავსად, სადაც ყველა ერთმანეთს იცნობს. ელექტრონული სისტემა ახდენს მსოფლიოს ინტეგრაციას, აახლოებს და შლის საზღვრებს ქვეყნებს შორის, ქმნის მსოფლიოს სურათს, სადაც ინფორმაციის გავრცელებას საზღვრები არ გააჩნია.

ერი - სახელმწიფოს არსებობის საგარანტიოდ ეროვნული იდენტობისა და ღირსების შენარჩუნების პრობლემები ძირითადად გამოწვეულია იმ ანაქრონიზმებისაგან, რომელსაც თანამედროვე ნეოტროცკიზმ - ნეოლიბერალიზმი ჰქვია, თავისი თანმხლები და მუდმივად მზარდი პრობლემებით - რომელიც მისი მქადაგებელი ფრენსის ფუკუიამას მიერაცაა იგნორირებული, რაც ცხადყო მიმდინარე გამოწვევებმა, ამიტომ ჩვენივე არსებობის საგარანტიოდ საჭიროა იგი გადავაბრძანოთ ისტორიის სანაგვეზე და ავაშენოთ ნამდვილი სამართლიანი სახელმწიფო თავისი სოციალური გარანტიებით, ამიტომ განვითარებულ ქვეყნებს კი არ უნდა მივსტიროდეთ, ისინი რა კარგად არიანო, არამედ პირიქით, ჩვენი ლამაზი კოტეჯი-სახელმწიფო ავაგოთ და თავი მოვიწონოთ ჩვენი ისტორიული და ეროვნული ღირსებებით და თანამედროვე ნეოლიბერალურ მანიპულაციებს დავუპირისპირდეთ ეროვნული თვითშეგნებით, მომავლის პერსპექტივებით, ქვეყნის გადარჩენის ოპტიმალური ჭვრეტით, რამაც ჩვენი ქვეყანა შესაძლო რყევებისაგან უნდა იხსნას, ამიტომ ფხიზლად ყოფნა და ადეკვატური პასუხების გაცემა უფრო მეტად ღირებულია ეკონომიკური აღმავლობის ფონზე, ვიდრე რომელიმე კონკრეტული სახელმწიფოს იმედად ყოფნა, რომლითაც უზრუნველყოფილი უნდა გახდეს ჩვენი ერი - სახელმწიფოთა თანაარსებობა მსოფლიო ხალხთა ოკეანეში.

საკვანძო სიტყვები: ეროვნული იდენტობა, ეროვნული ღირსება, ანაქრონიზმი, მაკლუენის სოფელი, ნეოლიბერალური მანიპულაციები, ერი - სახელმწიფო, სოციალური გარანტიები, მსოფლიო ხალხთა ოკეანე, ნეოლიბერალიზმ-ნეოტროცკიზმი, ეკონომიკური კორიდორი, მომავლის პერსპექტივები.

თანამედროვე გლობალიზაციამ პლანეტა ერთ გიგანტურ სოფლად გადააქცია. ტექნოლოგიების საშუალებების სწრაფი ტემპით განვითარება უზრუნველყოფს ადამიანების მიერ ინფორმაციის მიღებას უმოკლეს დროში, იწვევს საზოგადოების ინტეგრაციას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და უფრო მეტად ზრდის მათ გლობალურ პასუხისმგებლობას. მაკლუენი ნაშრომში, მედია - „ადამიანის გაგრძელება" - სწავლობს და იკვლევს ცნობილ გამონათქვამს: ,,კომუნიკაციის საშუალება - ეს შეტყობინებაა". ამ ფრაზაში იგულისხმება ყველა ხელოვნური საინფორმაციო საშუალების ზეგავლენა საზოგადოებაზე, მის ცნობიერებაზე. იგი მიიჩნევს, რომ ნებისმიერი საინფორმაციო საშუალების სოციალური შედეგი არის ადამიანის შესაძლებლობების განვრცობა-გაფართოება, რომელიც გამომდინარეობს ცნობიერების გაზრდილი მასშტაბებით.

თანამედროვე რეალობაში ,,გლობალური სოფელი“ არის მეტაფორა, რომელსაც უწოდებენ გაციფრულებულ, კონვერგენციული ინფორმაციით დაკავშირებულ მსოფლიოს, რომელსაც ძირითადად ინტერნეტის აღწერისას იყენებენ, რომელიც ცვლის არა მხოლოდ მანძილისა და დროის ცნებებს, არამედ აახლოებს კულტურებს, მსოფლმხედველობას, ტრადიციებსა და ფასეულობებს.

თანამედროვე ადამიანი ცხოვრობს არა დანაწევრებულ, იზოლირებულ გარემოში, არამედ კულტურებისა და სამყაროს ერთიანობაში. რადიოს, ტელევიზიისა და შემდეგში ინტერნეტის მიერ შექმნილი გარეგნული სახე არის მაკლუენის სოფელი, სადაც საინფორმაციო საშუალებების გლობალიზაციამ მთელი მსოფლიო დააახლოვა ერთმანეთთან პატარა სოფლის მსგავსად, სადაც ყველა ერთმანეთს იცნობს. ელექტრონული სისტემა ახდენს მსოფლიოს ინტეგრაციას, აახლოებს და შლის საზღვრებს ქვეყნებს შორის, ქმნის მსოფლიოს სურათს, სადაც ინფორმაციის გავრცელებას საზღვრები არ გააჩნია. გლობალური კომუნიკაცია ქმნის გარემოს, სადაც იქმნება ახალი სოციალური ორგანიზმი. ასევე არსებობს აზრთა სხვადასხვაობა იმის შესახებ, არის თუ არა ინტერნეტი ,,გლობალური სოფლის“ იდეის მატარებელი. ციფრული ტექნოლოგიის სიჩქარის წყალობით ადამიანებს მარტივად შეუძლიათ ინფორმაციის მოპოვება, გავრცელება და თავიანთი აზრის გამოთქმა მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე. კავშირის ელექტრონული საშუალებებით ადამიანები ისე ამყარებენ ერთმანეთთან კომუნიკაციას, თითქოს „ერთ სოფელში” ცხოვრობდნენ. ნებსით თუ უნებლიეთ, სულ უფრო მეტად იჭრებიან ერთმანეთის ცხოვრებაში. მსგავსი ურთიერთობების ფორმა აყალიბებს ახალ სოციოლოგიურ სტრუქტურას კულტურის არსებული კონტექსტის ფარგლებში, ასევე ხშირ შემთხვევაში ,,ინტერნეტმა“ შექმნა მარტოხელა ადამიანთა სახე, რომლებიც ვირტუალურ სამყაროში „ცხოვრობენ” და მინიმუმამდე დაჰყავთ გარე სამყაროსთან კონტაქტი. მაკლუენს მიაჩნია, რომ „მედია გაცილებით მეტია, ვიდრე ინფორმაციის პასიური წყარო. ის ჩვენი გონების საკვებია და აზროვნების პროცესს აყალიბებს”.

არ ვიქნებით ორიგინალური, თუ ვიტყვით, რომ გლობალიზაციამ დააქვეითა ეროვნული სახელმწიფოს როლი, როგორც კოლექტიური იდენტიფიკაციის ძირითადი კონტეინერი და გახსნა სივრცე ახალი ტრანსნაციონალური, უნივერსალური, კოსმოპოლიტური მიჯაჭვულობის შესაქმნელად. ,,იდენტობა ერთ-ერთი ყველაზე ხშირად შესწავლილი კონსტრუქტია სოციალურ მეცნიერებებში“. გლობალიზაცია მრავალ გამოწვევას უქმნის ეროვნულ იდენტობას. ეს არის ორი პარალელური პროცესი. ,,XXI საუკუნემ, დადგომის პირველი დღეებიდანვე, ახალი ძალით, ფართო მასშტაბით წარმოაჩინა გლობალიზაციის პროცესის არა უბრალოდ მიმდინარეობა, არამედ ძლიერთა არნახული ძალისხმევა მისი საყოველთაოდ გატარებისთვის“.

პოსტსოციალისტურ სივრცეში, რომელიც თავისი არსით ძირითადად სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფო იყო, სადაც სოციალური დაზღვევის სიმტკიცე ძირითადად განაპირობებდა საზოგადოების დაცვას სოციალური და პოლიტიკური რყევებისაგან, რომელიც გამოწვეული შეიძლება ყოფილიყო საშინაო და საგარეო პრობლემებით, ან ორივეთი ერთად და მან შეიძლება მოიცვას ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის შესაბამისი მოწყვლადი ნაწილი.

სსრკ-ის რღვევამ, რომელსაც 2007 წელს მიუნხენის საერთაშორისო კონფერენციაზე რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მსოფლიოს უდიდესი კატასტროფა უწოდა, მსოფლიო კლასიფიკაციით, თითქოს მოდაში შემოვიდა და დამკვიდრდა სხვადასხვა მოვლენის ტალღებად მონათვლა, დემოკრატიზაციის რიგით ე. წ. მესამე ტალღა გამოიწვია, რამაც ზეგავლენა მოახდინა და აღმოსავლეთ ევროპისა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მაცხოვრებელთა ქცევის, კულტურისა და პარტიული სტრუქტურების ჩამოყალიბების თავისებურებებზე არა მარტო ახალი და მსგავსი კვლევების ჩატარება დააყენა დღის წესრიგში, რომელიც ადრე ძირითადად პოლიტიკური მეცნიერების ქოლგის ქვეშ კონცენტრირდებოდა, ამასთანავე ერთგვარად არ გამორიცხავდა სივრცითი ფაქტორების როლსაც, რასაც ხშირად არჩევნების შედეგებზე გადამწყვეტი ზეგავლენა მოუხდენია,

ამიტომ ვფიქრობთ, სამართლიანად მიგვაჩნია, რომ ამ პრობლემის აღმოფხვრას საზოგადოების შემდგომი სოციალიზაციის სრულყოფის თვალსაზრისით დიდი ყურადღება სჭირდება.

- საქართველო, როგორც მსოფლიოს შემადგენელი მცირე ერი-სახელმწიფო, მწვავედ განიცდის გლობალიზაციის ზემოქმედებას დადებით თუ უარყოფით კონტექსტში. ქართველ ერს გათავისებული უნდა ჰქონდეს, რისი დათმობა არ შეიძლება. ისტორიულად საუკუნეთა მანძილზე საქართველო არაერთი უძლიერესი იმპერიის გავლენას განიცდიდა, მაგრამ ჩვენი წინაპრების ძალისხმევით ბოლომდე არასდროს დაგვიკარგავს ეროვნული თვითშეგრძნება და სახელმწიფოებრიობის განცდა. თანამედროვე გლობალურ გამოწვევებს საქართველო მზად უნდა შეხვდეს, რათა შეძლოს ახლის მიღება და ძველის შენარჩუნება, ამასთან გააზრებულად და მიზანმიმართულად ფეხი აუწყოს მიმდინარე გლობალურ გამოწვევებს, ისე რომ არ დაკარგოს ეროვნული იდენტობა. ქართველებს, სხვა ერი-სახელმწიფოს წარმომადგენლების მსგავსად, ღრმად გვწამს, რომ სახელმწიფო ეროვნული იდენტობისა და იდეოლოგიის გარეშე ვერ იარსებებს. სწორედ ამის საფუძველზე უნდა შევეცადოთ სიახლეების დანერგვა და დასავლური კულტურისაგან შევითვისოთ ჩვენთვის მისაღები ღირებულებები (ოსიძე, ქართული პოლიტიკური კულტურის თანამედროვე მოდელი, 2021).

აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია განვსაზღვროთ, რომ გლობალიზაცია მიმართულია ცხოვრების ისეთი სტანდარტიზაციისაკენ, რომელიც გულისხმობს იდენტობათა გაქრობას, თუმცა, ამასთანავე, იგი წარმოადგენს განვითარებისა და მსოფლიოში საკუთარი ადგილის დამკვიდრების კარგ საშუალებას. ამდენად, ვფიქრობთ, აუცილებელია განვიხილოთ სხვადასხვა ერის დამოკიდებულება და რეაქცია გლობალიზაციისადმი, განსაკუთრებით პატარა სახელმწიფოებში, რომელიც ხელს შეგვიწყობს უკეთ გავაანალიზოთ პროცესის არსი, შეძლებისდაგვარად, გავაანალიზოთ და განვსაზღვროთ, თუ რა შეიძლება აღმოჩნდეს სასიკეთო ჩვენი ქვეყნისთვის (ბარათაშვილი, 2004).

გლობალიზაციამ ყველაფერი დააჩქარა, გამოჩნდნენ მკვლევარ-მჩხიბავნი, რომლებიც კონკრეტულ ერებს წინასწარ უსაზღვრავენ არსებობის ვადას და აკერებენ სხვადასხვა იარლიყებს, მაგ., როგორიცაა „მომაკვდავი ერები“, რომელთა შორისაც აღმოვჩნდით ჩვენც - მდიდარი ისტორიული წარსულისა და კულტურის მქონე ერი. თქმა არ უნდა, ხელებაღპყრობილი ვერ დაველოდებით ჩვენი ე. წ. სულთხვდომის სეირს და მერე შთამომავლობის წინაშე თავის მართლებას რა აზრი ექნება, თუკი ერი სახელმწიფო გაქრება და რომ არ გვქონდეს სანანებელი, რატომ დავანებეთ მტერს, თუნდაც მოყვრად მოსულს, რომ 2050 წლისათვის არ ვიარსებოთ როგორც პოლიტიკის სუბიექტები და სამუდამო სასუფეველი ისტორიის ლაბირინთებში ვპოვოთ. სწორედ ამიტომ პირადად ჩემი და ყველა სულით ქართველის უპირობო მოვალეობად მიმაჩნია წინ აღვუდგეთ ნეოლიბერალურ ნარატივს და მწვავე რეაგირება მოვახდინოთ ქართული ერი - სახელმწიფოს მოშთობის მსურველთა წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში მიმდინარე თუ განვლილ ომებში 2/3 ეთნონაციონალიზმის დროშით ნაციონალისტული თვითმყოფადობის დაცვას ბრალდება, უმოქმედობა დიდ ცოდვად მიგვაჩნია და საჭიროდ ვთვლით, ხმა ავიმაღლოთ ისტორიული უსამართლობის წინააღმდეგ და სამართლიანად მოვითხოვოთ ჩვენი ისტორიული საბუდარის ხელშეუვალობა და მასზე უპირობო ჰეგემონია უნდა დაგვრჩეს ჩვენ, ქართველ ხალხს და არა გლობალური სამყაროს მესვეურთ, რომელთაც ხელთ უპყრიათ ეკონომიკური სადავეები, გადაგვაქციეს რა მწარმოებლიდან მომხმარებელ ერად, რომლის მეშვეობითაც ამჯერად პოლიტიკური სადავეების ხელში ჩაგდებას ცდილობენ გლობალისტები (გვენეტაძე & ოსიძე, 2020).

ამასთანავე, ასევე ცალკეა გასაანალიზებელი კონკრეტული პარტიების ქცევა და მოქმედება, რომლებსაც ე. წ. „კონფლიქტების აგენტებს და ინტეგრაციის ინსტრუმენტს“ უწოდებენ. ამის თაობაზე თავიანთ შეხედულებებს გვთავაზობენ ლიპსეტი და როკანი. ისინი ძირითად აქცენტებს ისეთ

რადიკალურ პოლიტიკურ პარტიებზე აკეთებენ, რომლებიც მოსახლეობის მობილიზაციას ეროვნული იდენტობის გასაძლიერებლად ახდენენ ინტერესთა კონფლიქტური სიტუაციების წინა პლანზე წამოწევით, მაგალითად, როგორიცაა საქართველოში პოლიტიკური პარტია „ქართული მარში - პოლიტიკური მოძრაობა“. ამასთან ერთად, ძირითადი აქცენტები გადატანილია არჩევნებში მონაწილეთა კონკრეტულ მიზნებზე. ამ მკვლევართა შეხედულებები გარკვეულწილად სადავოა, რადგან როგორც სახელმწიფოთა შორის წარმოებული ბრძოლები კვალიფიცირდება სამართლიან და უსამართლო ომებად, ასევე ანალოგიურად - ერი-სახელმწიფოს პოლიტიკური შეხედულებები კონკრეტული ფუნქციებიდან და ელემენტარული არსებობიდან გამომდინარე, მოითხოვს ეროვნული იდენტობისა და უპირველესად, ეროვნული ღირსების შენარჩუნებას, რაც მომხდური (ნეოლიბერალური) მხარისათვის ერთგვარად მიუღებელია და ათასნაირი მანიპულაციებით იფუთება სხვა და სხვა ინსინიუაციებით და რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ძირითადად ნეგატიურ ასპექტში, მაგრამ ამ შემთხვევაში, ჩვენის აზრით, სრული და რეალური სურათის დასადგენად სამომავლო პერსპექტივაში საჭიროა ორმხრივი პოზიციის შეჯერება, საწინააღმდეგო შემთხვევაში ჭეშმარიტების დადგენაზე საუბარი ზედმეტი იქნება. ამ კონკრეტულ მკვლევართა ნააზრევი ტალკოტ პარსონის სოციალური სისტემის ფუნქციების მოდელზეა დაფუძნებული და ძირითადად 4 ფუნქციური ქვესისტემის გამოყოფით შემოიფარგლება, რაც ნაწილობრივ სადავოდ მიგვაჩნია და ეს ბუნებრივი მოვლენაა. თანამიმდევრულად ესენია: 1. ცენტრი - პერიფერია, 2. ეკლესია - სახელმწიფო, 3. მიწათმოქმედება, სოფლის მეურნეობა (მრეწველობა) და 4. დამსაქმებელ - დასაქმებული. ამ ე. წ. დიქოტომიების ჩამოყალიბება დასავლეთელი მეცნიერების აზრით, ახალი და უახლესი ისტორიის 4 საეტაპო ხასიათის რევოლუციასთან კავშირში მოიაზრება, როგორიცაა: მე-16 და მე-17 საუკუნეების რეფორმაცია (1517 წ. მარტინ ლუთერის მიერ გამოქვეყნებული ე. წ. „95 თეზისი“) და კონტრრეფორმაცია (იეზუიტთა ორდენის დაარსება და 1545 წელს მოწვეული ტრიენტის კრება), ხოლო 1789 წლის 14 ივლისის საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ ევროპაში მომხდარი ეროვნული თუ ინდუსტრიული რევოლუციები და 1917 წლის ჯერ თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, ხოლო შემდეგ იმავე წლის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით დამთავრებული ავსებს ამ ჩამონათვალს.

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ ისტორიული გამოცდილება გვეხმარება შედეგების პროგნოზირებაში. თუ მივუბრუნდებით ლიფსეტისა და როკანის მოსაზრებებს, რომელსაც მთლიანად ვერ ვიზიარებ, მაგრამ მათზე დაყრდნობით, ცენტრი პერიფერიის დაპირისპირებისას ძირითადად ელექტორატი ხმას აძლევს უშუალოდ თემის ლიდერს და მის ირგვლივ მატერიალური თუ ადმინისტრაციული რესურსებით შემოკრებილ, ერთი შეხედვით ე. წ. დომინანტურ კულტურას თემთან და მის ლიდერთან ერთად, ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში სოფლის, მუნიციპალიტეტის, რეგიონის, ქალაქის თუ ეკონომიკური პოზიციების მიუხედავად (Lipset & Rokkan, 1967).

რაც შეეხება მეორე საკითხთან მიმართებით, უპრიანია ყურადღება გამახვილდეს ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერდაპირისპირების იმ ფაქტორზე, რაც დიდ საჯილდაო ქვადაა გადაქცეული ჩვენში, განსხვავებით ევროპისაგან, თუ ვისი კონტროლის ქვეშაა მოქცეული საჯარო - საგანმანათლებლო სფერო. ისტორიულ კონტექსტში განათლების სისტემაზე სახელმწიფო კონტროლის პირველად ცენტრალიზირებული საგანმანათლებლო სისტემის შემოღებით საფრანგეთი გამოირჩევა, რომელმაც ბასტილიის აღების შემდეგ (1789 წ.14 ივლისი) შემოიღო მსგავსი სისტემა, რითაც ერთგვარად დააკნინა ეკლესიის როგორც შუამავლის როლი და ავტორიტეტი. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიის მესვეურებმა საკუთარი მრევლისა და პოზიციების დასაცავად არა ერთი ორგანიზაცია გახსნეს, ეს სისტემა მისი კონტროლიდან მაინც გამოვიდა. ამავე დროიდან იწყება მსოფლიოში თანამედროვე ნეოლიბერალების მიერ იგნორირებული პროფესიული კავშირების მოღვაწეობა, რომელიც ქვედა ფენების კოლექტიური უსაფრთხოების გარკვეულ მექანიზმის სახე

ჰქონდა მიღებული. სამწუხაროდ, ქართულ სინამდვილეში განათლების სისტემაში ისეთი კარდინალური ჩარევა მოხდა, რამაც, შეიძლება ითქვას, ფაქტობრივად განათლების სისტემა ჩამოშალა და მისი ხარისხი დააკნინა. დღევანდელ საქართველოს რეალობაში ადგილი აქვს განათლების სისტემის პრაქტიკულ კოლაფსს, რომელიც ძირითადად გამოიწვია იმ უხეშმა ჩარევებმა, რომლის დირექტივები პირდაპირ მოდის დასავლეთიდან ე. წ. „ბოლონიური პროცესიდან“ და გამორიცხავს ერი-სახელმწიფოს კულტურულ იდენტობას და თავისუფალი და ჰარმონიული განვითარების შესაძლებლობას.

საქართველო დღეს რელიგიური კუთხით ძალზე გამორჩეული ქვეყანაა, აქ ერთად აქვს თავი მოყრილი მსოფლიოს თითქმის ყველა რელიგიურ კონფესიას და ამის გამო გარკვეულწილად განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია მოქცეული. თანამედროვე ეტაპზე მთელს კავკასიის რეგიონსა და განსაკუთრებით საქართველოში მყარად მოიკიდა ფეხი და აღორძინდა ისლამი, რაშიც ბევრი მკვლევარი ბრალს თანამედროვე რუსეთის ხელისუფლებას სდებს, რომელმაც გამოიყვანა პოლიტიკურ სარბიელზე ჯოხარ დუდაევი, რითაც ხელი შეუწყო „ახალი ისლამის“ აღორძინებასა და ჯიჰადისა და ტერორიზმის რეგენერიზაციას თავისი ორმაგი სტანდარტებით მიდგომის გამო კავკასიასა და დანარჩენ მსოფლიოში, სადაც ისლამის ფაქტორი ძლიერდება, რაც გამოიხატება მუსლიმური მოსახლეობის ინტენსიურ მიგრაციაში, სალოცავი და საკულტო შენობების რაოდენობის და მოსახლეობის ზრდაში, ასევე ისლამური განათლების პროცესის გააქტიურებაში, რაც იწვევს გარკვეულ პრობლემებს და ქვეყნისათვის სერიოზულ გამოწვევად რჩება. (ოსიძე & ჯუგაშვილი, საქართველო რელიგიური ექსპანსიის საშიშროების წინაშე, 2017)

რაც შეეხება დარჩენილ ორ დაპირისპირებას, მათ ძირითადად ეკონომიკური განვითარების თავისებურებებთან მივყავართ, რადგან სოფელსა და ქალაქს შორის ცხოვრების დონისა და კულტურული სხვაობის მზარდმა ტემპმა, სასწორის პინა ქალაქის სასარგებლოდ გადაწონა, რამაც გარკვეული ფსიქო-სოციოლოგიური დაპირისპირების კერა შექმნა, მაგრამ ბოლომდე ვერ მიაღწია პარტიული სისტემის ჩამოყალიბების კონდიციამდე, ანუ სისტემამდე, თუმცა იგი გრძელვადიანი საარჩევნო ქცევის განსაზღვრის პარამეტრად გადაიქცა. ასევე მნიშვნელოვან ფაქტორად მოგვევლინა სახელფასო სისტემის შემოღება და დანერგვა, რამაც ხელფასზე დამოკიდებული მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდა გამოიწვია და შეიქმნა ახალი არაფრისმქონეთა, ანუ აბსოლუტიზმის თვალსაზრისით ყოფილი საფრანგეთის ბურჟუები, ხოლო კომუნისტური კლასიფიკაციით, ძირითადად პროლეტართა კლასის დამსაქმებლებთან ერთგვარი დაპირისპირების წინაპირობა. პოსტსოციალისტურ საქართველოში დაიწყო სოციალურად ორიენტირებული პარტიებისა თუ პროფესიული კავშირების შექმნის ერთგვარი ბუმი და სოციალური დაპირისპირებისათვის კარგი ნიადაგი იყო მომზადებული. დიგენ-ქროსმა ხაზგასმით აღნიშნა და განიხილა მსგავსი პრეცენდენტები, მაგრამ ამ შემთხვევაში ლიპსეტისა და როგანის მთავარი მიზანი არ გახლდათ დაპირისპირების ტერმინის განმარტება... მაგრამ არც მთლად უმაგისობა იქნება (ოსიძე, ქართული პოლიტიკური კულტურის თანამედროვე მოდელი, 2019).

თუ მოვიხმობთ მასალებს ისტორიულ კონტექსტში, დავინახავთ, რომ ევროკავშირმა გარკვეული სამუშაოების ფონზე კიბერუსაფრთხოების სფეროში ერთიანი პოლიტიკის შესამუშავებლად ჯერ კიდევ 2001 წელს ბუდაპეშტში მიიღო ევროპის საბჭოს კონვენცია „კიბერდანაშაულის“ შესახებ, რათა დაერეგულირებინა სამართლებრივი ურთიერთობები გლობალურ კომპიუტერულ ქსელში ხაკერთა დანაშაულთა აღსაკვეთად და კომპიუტერის გამოყენებით დაკავშირებული დანაშაულობების გასაკონტროლებლად. მიუხედავად ამისა, 2003 წელს დამატებითი ოქმის მიღება გახდა საჭირო კონვენციაზე კიბერდანაშაულის შესახებ, მაგრამ იგი ვერ გადაიქცა კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის ეფექტურ ინსტრუმენტად კონკრეტული მექანიზმების, ანდა ინსტრუმენტების, ხერხების სამართლებრივი ნორმების რეალიზებისათვის და მათი შესრულების ზეეროვნულ დონეზე გასაკონტროლებლად.

ფაქტია, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელდა მასიური კიბერშეტევა საქართველოს ელექტრონულ კომუნიკაციებსა და ინტერნეტ სივრცეზე, რის შედეგად მწყობრიდან გამოვიდა კონკრეტული სამთავრობო და მათ შორის, კერძო სექტორის ოფიციალური ვებ-გვერდები, რამაც ქვეყანა გლობალური სამყაროსგან ერთიანად მოწყვიტა (გვენეტაძე & ოსიძე, 2020).

2013 წლის მაისში საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით საქართველოს კიბერ-უსაფრთხოების სტრატეგია საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შემადგენელ ერთ-ერთ ძირეულ ნაწილად გამოცხადდა (სვანიძე & გოცირიძე, 2015).

ფაქტობრივად არსებული ხარვეზის აღმოსაფხვრელად, 2012 წლის 05 ივნისს მიღებული „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი ძალაში შევიდა 2012 წლის 01 ივლისს, ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვისა და სხვადასხვა ქმედითი და სრულყოფილი ეფექტიანი განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, ასევე საჯარო და მათ შორის, კერძო სექტორის უფლება - მოვალეობანი და ვალდებულებები ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის სფეროში, აგრეთვე ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელებისას სახელმწიფო კონტრო-ლის მექანიზმების ზუსტად განსაზღვრას.

საკუთარ თავზე გადატანილი მწარე გამოცდილების, 2008 წლის ომის შემდგომ, საქარ-თველომ დაიწყო კიბერუსაფრთხოების სფეროს ეტაპობრივი განვითარება.

როგორც წესი, ოჯახების თანაცხოვრება წარმოუდგენელია საყოველთაო მიბაძვისა და ინტეგ-რაციის გარეშე, რაც საერთო ღირებულებებისადმი თითოეული ინდივიდის შესაძლებლობებით განისაზღვრება და მასზეა ორიენტირებული, მით უფრო სოციალიზაციის მრავალმხრივი და მრა-ვალწახნაგოვანი ბუნებისა და ფორმების გამოისობით. ჩვენს ქვეყანაში ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესი, სხვა ქვეყნების ანალოგიური მაგალითების მსგავსად, საკმაოდ გაწელილია დროსა და სივრცეში. იგი შედგება სამი ეტაპისაგან - ოჯახი, საგანმანათლებლო დაწესებულება და სოციალურ მუშაკად ჩამოყალიბება, რომელიც თავის თავში მშობლისა და მეუღლის როლებსაც ითავსებს (ოსიძე, ქართული პოლიტიკური კულტურის თანამედროვე მოდელი, 2021).

საქართველოში ამჟამად მიმდინარე მოვლენების ანალიზის ფონზე, შეიძლება ითქვას, რომ ჯერ კიდევ ვერ გამოვსულვართ ძველ დროში ვლადიმერ ლენინის მიერ წოდებულ ე. წ. „საყმაწვილო სენისაგან“ და სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების გზაზე ვიმყოფებით პოლიტიკურ ეიფო-რიაში, ამასთან, გვავიწყდება საკმაოდ სოლიდური ასაკისა და რაოდენობის ხალხის შეხედუ-ლებები: თუ გვინდა მსოფლიო ხალხთა ოკეანეში დავიმკვიდროთ ჩვენი კუთვნილი და ღირსეული ადგილი, უნდა გაგვაჩნდეს ძალზე მყარი ეროვნული ბუნების მატარებელი უცვლელი კონსერ-ვატორული ღირებულებები, რომლის გამოც ჩვენ, როგორც დამოუკიდებელ პოლიტიკურ სუბიექტს, პატივს გვცემენ და ანგარიშს გაგვიწევენ და, ვიმეორებთ, ეს უნდა იყოს მყარი, კანონიკური და უცვლელი - როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკური კურსის შემცველობით, მონაცემებითა და შინაგანი ბუნებით. ჩვენში, სამწუხაროდ, რევანშისტული და შიშველ ემოციებზე დამყარებული განწყობა სჭარბობს, სხვის ჯიბრზე ქცევა და არა შეჯიბრებითობა და ცივ გონებაზე განსჯა-ანალიზი, რაც ხშირ შემთხვევაში დამღუპველია და პოლიტიკური კულტურის სიმწირეზე მეტყველებს. სოცი-ალიზაციის პრობლემათა ფონზე საზოგადოება დაიღალა მუდმივი ქიშპისა და არასტაბილურობის განცდისაგან, რომელზეც უკვე წლების განმავლობაში მუშაობენ და იგი გათვლილია თანამედროვე ე. წ. ოპოზიციური პარტიების მიერ პოლიტიკური წნეხის ქვეშ მოქცეული ტელევიზიები, რომლებიც პირდაპირ და ირიბად - შეფარვით აკონტროლებს სამთავრობო, არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობისა და მოღვაწეობის სამომავლო გეგმებს. მათ ამოცანას შეადგენს არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ მის საზღვრებს გარეთ პოლიტიკური ქაოსისა და ისტერიულობის სურათის შექმნა, რომ მათ აფიქრებინონ: ქვეყანაში სუფევს არასტაბილურობა, პოლიტიკური და ეკონომიკური

კრიზისი და მათი უპირველესი მზანია მიმდინარე სასიკეთო სოციალურ-ეკონომიკური პროცესები გადაფარონ თითიდან გამოწოვილი პრობლემების ჰიპერბოლიზაციით და სიცრუის ტირაჟირებით წინა პლანზე წამოსწიონ მეორე, მესამე და მეასეხარისხოვანი პროცესები და საზოგადოება დააბნიონ, ასწიონ პოლიტიკური დაძაბულობის მუხტი, დამალონ პოლიტიკური და ეკონომიკური ევოლუცია და ესიზმრებოდეთ მარტო რევოლუცია. ყოველივე ამის მისაღწევად დაკავებული იყვნენ მდარე პოლიტიკური პერფომანსებით, მაგალითად, ისეთისა, როგორიც იყო 2019 წლის ბოლოს პარლამენტის შენობაში სესიის მიმდინარეობისას მკვეთრი სუნისა და ალერგიულ-ტოქსიკური მოქმედების სითხის დაღვრა და სამუშაო პროცესის ჩაშლის მცდელობა, რასაც სამთავრობო ჯგუფი თუ სწორ და ადეკვატურ შეფასებას მისცემდა, მის შემსრულებლებს მინიმუმ პარლამენტი მაინც უნდა დაეტოვებინათ... ზოგი ამგვარ ოპოზიციას სამართლიანად „ტოქსიკური ოპოზიციის“ სახელით ამკობს და ძნელია, არ დაეთანხმო, რადგანაც რეალურად შეეფერება სინამდვილეს, მხოლოდ ჩასაფრებულის პოზიციაში მუდმივ რეჟიმში პედალირებენ მხოლოდ შეცდომა-ნეგატივებზე. ამ ქმედების უკან იმალება მძაფრი სურვილი, საკუთარი თავი საზოგადოებას წარმოუდგინონ იმ ერთადერთ ძალად, რომლის გარეშეც ქვეყნის სტაბილურობის მიღწევა შეუძლებელია და უმადური ქართველი ხალხი ამას არ აფასებს, ანდა ვერ ჰხედავს... ამ კატეგორიის ხალხის გასაგონად გვინდა განვაცხადოთ, რომ ემოციური პოლიტიკა პოლიტიკური სიბეცის მიმანიშნებელია და ახლომხედველობაზეა გათვლილი და არა შორეულ პერსპექტივაზე... რევანშისტულ ძალებს უნდა ახსოვდეთ, რომ ხალხს მოსწყინდა ფუჭი მცდელობა პოლიტიკური დაძაბულობის მუხტის ასაწევად... სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა მამების მიერ პოლიტიკურ საშოვარზე გამოსული შვილების მიერ ორგანიზებული ახლადგამოჩეკილი ახალგაზრდული ორგანიზაციების გამოყვანა, როგორიც არის „გაბედე“ და „შეცვალე“, „სირცხვილია“ და მათ მიერ მოწყობილი არა-ერთი აგრესიული პიკეტირება, სამთავრობო-ადმინისტრაციული შენობების სიმბოლური დაბოქლომება, რაც ვერ გახდა ნაციონალური მოძრაობისა და მასთან მიტმასნილი პოლიტიკური ნარჩენების ოცნების ახდენის საწინდარი, რომელთაც საკუთარი თავი დიდ ოპოზიციად წარმოუდგენიათ და „ყველა ერთის წინააღმდეგ“ - დევიზით მოქმედებას და რევოლუციურ აზვირთებას პროგნოზირებდნენ. სწორედ ამ მიზნით ლეიბორისტების ოფისში ხშირ-ხშირად იკრიბებოდნენ და გეგმავდნენ სხვადასხვა პერფომანსს. საზოგადოებამ არ აიტაცა მათი დანაპირები, მათ კარგად ახსოვთ ის შავბნელი სააკაშვილის დროინდელი რეაქციის წლები, როდესაც ისინი მართავდნენ ქვეყანას ნულოვანი ტოლერანტობის პირობებში, სადაც აქლემისა და ნემსის ქურდი თანაბარი სიმკაცრით ისჯებოდნენ და სუფევდა მკაცრი შერჩევითი სამართალი, ფუნქციონირებდა ფულხენსიო ბატისტას დევიზი: „მეგობრებს ყველაფერი, დანარჩენებს - კანონი! (ოსიძე, ქართული პოლიტიკური კულტურის თანამედროვე მოდელები, 2021).

სამწუხაროდ, შეფარულმა ვითომ არაიდეოლოგიურმა პოლიტიკამ, რომლითაც თავი უნდა დაგვეღწია მავნე კომუნისტური იდეოლოგიური დოქტრინებისაგან, დღეს საპირისპირო შედეგი გამოიღო და ამ საქმეში უდიდესი როლი მასობრივი საინფორმაციო ბერკეტების უმაღლეს დონეზე პოლიტიზირება გამოიწვია და ამ კუთხით ტელევიზიებმა საქართველოში თავისი საქმე უკვე გააკეთეს, მასიურად მოახდინეს ხალხის ზომბირება, ასე ვთქვათ, ტვინის გამორეცხვა, რაც კარგად ჩანს ქართული ანდაზიდან: „შეძახილმა ხე გაახმოო!“... ის, რაც სტრასბურგში და სხვა ადგილას ფიქსირდება, არცაა გასაკვირი, რადგან ეს არის გარდაუვალი აუცილებლობით ნაკარნახევი ქმედება, რომელიც თავის თავში მოიცავს იმ გრანტების ათვისების გამართლებას („გაპრავებას!“), რითაც თავს ირჩენდნენ და ახალი ვითარებიდან გამომდინარე, ახლანდელი ქმედებებით, როცა გამჭვირვალე უნდა გახდეს სხვა ქვეყნებიდან შემოსული თანხების მიზნობრივი ხარჯვა, რათა ისინი არ მოხვდნენ რომელიმე პოლიტიკური ორგანიზაციის უკანონო ხარჯვის რეესტრში, ანუ საარჩევნო პროცესში ჩართული ხალხის ფინანსური უზრუნველსაყოფად, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა მათი შემდგომი მიღების საკითხი. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ასეთი "ოპერატიულობა" და

ათასგვარი მანიპულაციით სიტუაციის იმ კუთხით წარმოჩენა, რომ ირღვევა დემოკრატიის ძირითადი პრინციპები... სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, (მიაქციეთ ყურადღება იმას, არცერთი ე. წ. „თავისუფალი სიტყვის“ დამცველი ვაიჟურნალისტი „ვერ ხედავს“, რომ საერთოდ იგნორირებულია ჩვენი, როგორც პატარა ერი-სახელმწიფოს სუვერენიტეტი და ღირსება!!! ეს მეასეხარისხოვანია, მათთვის მთავარია საკუთარი კუჭის ამოყორვის გარანტია!!! ნეოლიბერტარიანულ-სოროსული მიდგომის უმთავრესი კოზირია მასიური იგნორირება იმ საკითხებისა თუ პრობლემებისა, რომლებიც მათ არ აწყობთ, ჩვენს შემთხვევაში კი, საინფორმაციო საშუალებებით, კერძოდ, „რუსთავი-2“-ის მეშვეობით მოსახლეობის თავზე იღვრება გაცხრილული დეზინფორმაციული შინაარსის მატარებელი ფაქტები, სავსე ანტისახელმწიფოებრივი მოწოდებებით, რაც, სხვათა შორის, დასჯადია და რატომ არ აქცევს ამას ყურადღებას შესაბამისი სამთავრობო სტრუქტურები!!! ანდა, თუ აქცევს, საჭიროა მეტი ოპერატიულობა... ანუ ხალხმა დროზე უნდა დაინახოს, რომ სახელმწიფო სახეზეა და ყველას მიეზღვება საკუთარი ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების გამო არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, თორემ შეუმდგარი სახელმწიფო რომ ვართ და არავინ სათვალავში გვაგდებს, სახეზეა, რაც კიდევ ერთხელ დაადასტურეს სტრასბურგში!!!) გრანტიჭამია მსუნაგებს არ სურთ იმის აღიარება, რომ ნეოლიბერტარიანული ფასადური და შესაბამისად ყალბი იდეოლოგია, რომელსაც "დემოკრატიის" სახელით გვაჩეჩებდნენ, ჩამოიშალა და ახლა მიდიან ვა-ბანკზე და ნებისმიერ საშუალებას იყენებენ რევანშის მისაღწევად!!! ამიტომ ცხელი ღადარი კი არ უნდა დავიყაროთ თავზე და ამ ჯურის პროვოკატორების წისქვილზე დავასხათ წყალი, არამედ უნდა აღვიჭურვოთ "იობის მოთმინებით" და ის პროცესი, რომელსაც სამართლიანობის აღდგენა ჰქვია, (სამართალი ხომ ურმით დადის!!!) გადავაქციოთ შეუქცევად პროცესად და ის ანაქრონიზმი, რომელსაც ნეოლიბერალიზმი ჰქვია, აწ უკვე მისი მქადაგებელი ფრენსის ფუკუიამას მიერაც იგნორირებული, მშვიდად გადავაბრძანოთ ისტორიის სანაგვეზე და ავაშენოთ ნამდვილი სამართლიანი სახელმწიფო თავისი სოციალური გარანტიებით, რომელიც შეგნებულად იქნა გადაწეული თითქმის მთელი საუკუნეზე მეტი ხნით ავანტიურსტ - მარქსისტი ვლადიმერ ილიას ძე ლენინისა და მისი მემკვიდრეების მიერ... ევროკავშირის ქვეყნებს კი არ უნდა მივსტიროდეთ, ისინი რა კარგად არიანო, არამედ ჩვენი ლამაზი კოტეჯი-სახელმწიფო ავაგოთ და თავი მოვიწონოთ ჩვენი ისტორიული და ეროვნული ღირსებებით!!! ანუ შენგენის ზონის, ჩემი აზრით, ამის დრო დადგა!!!... (ლევან ოსიძის ინტერვიუ "რეპორტიორთან", თ. გ.).

მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან სამეცნიერო ლიტერატურაში პოსტსაბჭოთა სივრცე განიხილებოდა რუსეთის პასუხისმგებლობის ექსკლუზიური გავლენის სფეროდ. რუსეთის მცდელობამ, გადაეჭრა პრობლემები პოსტსაბჭოთა სივრცეში, განაპირობა ისეთი ტიპის კონფლიქტების გაჩენა, როგორიც „გაყინული თუ აქტიური კონფლიქტებია“. საერთაშორისო ურთიერთობებში ეს ისეთი სიტუაციაა, როდესაც აქტიური შეიარაღებული კონფლიქტი თითქოს დასრულებულია, მაგრამ არც ერთი სამშვიდობო ხელშეკრულება ან სხვა პოლიტიკური ჩარჩო ვერ აგვარებს კონფლიქტს აქტიური ჩარევის გარეშე, ამიტომ, იურიდიულად გაყინული კონფლიქტი ნებისმიერ მომენტში შეიძლება განახლდეს, რაც, მოგეხსენებათ, დაუცველობისა და ერთგვარი არასტაბილურობის განცდას შექმნის მთელ რეგიონში (ოსიძე, არჩვაძე, დევდარიანი, ვეკუა, & რცხილაძე, 2012).

უშუალო ტერიტორიული სიახლოვისა და მეზობლობის გამო რუსეთთან, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის ფაქტორი, რომ აღნიშნული პრობლემის მართვის პროცესში, თუ პრაქტიკულად რუსეთისათვის არახელსაყრელი პოზიცია დადგა, იგი არანაირი ბერკეტის გამოყენებაზე არ ამბობს უარს, რადგანაც არც პირდაპირი კონფრონტაციაა მიუღებელი მისთვის, რასაც მოასწავებს გამოუცხადებელი ომის სახით მოცემული მიმდინარე საომარი მოქმედებები უკრაინაში. ჩვენ ასევე უნდა ვხედავდეთ, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეზე რუსული ბატონობის სისტემის მთავარი მახასიათებელი ამჟამად სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე ჰიბრიდული ომის, რბილი ძალის მეთოდების გამოყენებაა, რომელიც მოიცავს ზემოთ აღნიშნულ გამოუცხადებელ საომარ მოქმედებებს, ე. წ. დახურული

აკრძალვის სიებს, სანქციების დაწესებას, გაყინული თუ მოქმედი კონფლიქტების მოგვარებაში ჩართვა-მონაწილეობას, რომლის შეწყვეტაც რუსეთის ამჟამინდელ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებში აშკარად არ შედის, რადგანაც ეს მისი უმნიშვნელოვანესი ბერკეტი, თუ გნებავთ, კოზირია - რეგიონში დომინირებისთვის, რაზეც იგი უარს თავისი ნებით არ იტყვის, რადგანაც კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონიდან რუსეთის გასვლა საგრძნობლად შეამცირებს რუსეთის ევროპულ ტერიტორიებს, როგორც ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს - 1/3-ით მაინც.

ჩვენი მსჯელობა არასრულყოფილი იქნებოდა, თუ არ განვიხილავდით სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და მასში ორი მსოფლიო გრანდ სახელმწიფოს (აშშ - რუსეთი) პოზიციების გვერდით თურქეთისა და ირანის ინტერესებს, უპრიანია და ამიტომაც უფრო მეტად უნდა გამოვკვეთოთ, რომ რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე საომარ მოქმედებებში ჩვენი ქვეყნის ჩართვა ყველაზე მეტად აწყობს რუსეთის მხარეს, რითაც ქვეყნისთვის დამანგრეველი ეფექტის ფონზე იგი კიდევ უფრო განიმტკიცებდა თავის პოზიციებს საქართველოში ჯარების დამატებითი კონტინგენტის შემოყვანით და ყოველივე ამას გარდაუვალი აუცილებლობით ახსნიდა, რის შემდეგაც სამხრეთ კავკასიაში კიდევ უფრო მეტად გაიზრდებოდა რუსეთის ჯარების რაოდენობა, რადგანაც სომხეთ-აზერბაიჯანის უკვე დასრულებული **ყარაბახის ომის** დროს რუსეთმა ტყვიის გასროლის გარეშე შეიყვანა დამატებითი კონტინგენტი სამშვიდობოების მანდატით და ამით კიდევ უფრო განიმტკიცა საკუთარი პოზიციები ზანგეზურის ეკონომიკური კორიდორის მშენებლობის პარალელურად, ამასთან, თქვენს ყურადღებას ასევე მივაპყრობ თურქეთიდან კარწახში გამოსული რკინიგზის ხაზსაც, რომლის ექსპლოატაციაში გაშვებამ საგრძნობლად შეამცირა ტვირთბრუნვა ქართულ პორტებში და რომ არა საქართველოს ჩართვა თანამედროვე ჩინურ „ერთი სარტყელი - ერთი გზის ინიციატივას“ პროექტში, რასაც ესოდენი რუდუნებით დელიკატურად გვიწუნებენ და გვტუქსავენ ამჟამად ჩვენი დასავლეთელი პარტნიორები - ჩვენს კონსტიტუციაში ჩაწერილი პრიორიტეტული დასავლური პოლიტიკური ვექტორის გამო, (რაც სასწრაფო წესით გასასწორებელია - ლ.ო.), შესაძლოა, კიდევ უფრო დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დამდგარიყო და საერთოდ თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩენილიყავით „აბრეშუმის გზის“ აღდგენისა და სატრანზიტო ეკონომიკური პოლიტიკის განვითარების, ასევე ღრმაწყლოვანი ანაკლიის პორტის მშენებლობისა და ექსლოატაციაში გაშვების თვალსაზრისით. ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით ამ მწვავე პრობლემას, ბევრ სხვასთან ერთად.

ასევე დიდი ყურადღებაა გასამახვილებელი რბილი ძალის ფენომენზე. ჩვენი როგორც პატარა ერი - სახელმწიფოს საგარეო - პოლიტიკური ვექტორის განსაზღვრის დროს „სარგებლიანობისა და უმჯობესობის პრინციპი“ სამეზობლო პოლიტიკაში და არა მარტო რუსეთთან კონტექსტში, დამატებით უნდა გავითვალისწინოთ თურქეთისა და ირანის ამბიციებიც. ჩვენ, საუბედუროდ, მეზობლებს ვერ ვირჩევთ და ვისთანაც გვარგუნა ურთიერთობა ისტორიულმა ქარტეხილებმა, მათთან თანაცხოვრების ბერკეტები გვინდა - არგვინდა უნდა გამოვნახოთ, ვისიმე პოლიტიკური ანტურაჟისა თუ ახირების მიუხედავად, რამეთუ თავიდან უნდა ავიცილოთ ყოფნა-არყოფნის სამომავლო საფრთხეები თუ პოლიტიკური რყევები, ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი, შინაური პროვოკატორებისა თუ მათი გარეული მხარდამჭერების მხრიდან. ყველას უნდა გვესმოდეს, რომ საქართველო ნებისმიერ შემთხვევაში უნდა დარჩეს საერთაშორისო ურთიერთობებში აქტიურ პოლიტიკურ სუბიექტად.

ისტორიულად ასე იყო, როდესაც ფასდებოდა წინა წელი თუ გარკვეული ეტაპი, მის ფონზე ისახებოდა მომავლის პერსპექტივები, ყოველთვის რჩებოდა ქვეყნის გადარჩენის ოპტიმალური ჭვრეტა, ამ ეტაპზე საჭიროა საზოგადოებას გავაგებინოთ, რომ ვერ ავყვებით თითიდან გამოწოვილ გამოწვევებს, რამაც ჩვენი ქვეყნის შესაძლო რყევები გამოიწვიოს, ამიტომ ფხიზლად ყოფნა და რეალური ქვეყნის ინტერესების დაცვა უფრო მეტად უნდა ფასობდეს, რომლითაც უზრუნველ-

ყოფილი უნდა იქნეს ჩვენი ერი - სახელმწიფოს პოლიტიკური მომავალი თვალის ერთი გადავ-ლებით, ჩვენი მიზანია განვიხილოთ, რითი შემორჩა ქართულ პოლიტიკურ აზროვნებასა და ცნო-ბიერებას ბოლო მოვლენები, რომლებიც რეზონანსული გამოდგნენ და თავისებური დაღი დაასვეს პოლიტიკური პროცესების მიმდინარეობას. ამასთან, უნდა განვაცხადოთ, რომ ნამდვილად ვერ გამოვირჩეოდით რაიმე განსაკუთრებულობით და პრინციპულობით და ამ პროცესში ქართული პოლიტიკური ისტებლიშმენტის თუ ოპოზიციის ძირითად ამოცანას სხვათა დაკვეთების აღსრუ-ლებით უფრო გამოვარჩევთ, ვიდრე ერისა და ქვეყნის სვე-ბედზე მოფიქრალთა შერკინებას. განვითარებადი ქვეყნის დამამცირებელი დაღდასმული ქვეყნის სტატუსის მატარებლებს სხვანაირი განსხვავებული შარმი არც გვეკუთვნის, მაგრამ ყველა ერთნაირად ვერ ვიფიქრებთ, რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს ამისი სურვილი ჩვენი „კეთილისმყოფელებისაგან“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Lipset, S., & Rokkan, S. (1967). *Cleavage Structures, Party Systems and Voter Alignments: An Introduction.*
2. ბარათაშვილი, ნ. (2004). გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციები და მსოფლიო წესრიგი.
3. გვენეტაძე, ე., & ოსიძე, ლ. (2020). უთანასწორობის ზოგიერთი საკითხი პოსტსაბჭოთა სივრცეში. *მე-11 საერთაშორისო პოლიტ-ეკონომიკის კონფერენცია.* სტამბოლი.
4. *ლევან ოსიძის ინტერვიუ "რეპორტიორთან"*. (n.d.). Retrieved from http://reportiori.ge/inside.php?menuid =74&id=104591&fbclid=IwAR3qzbx9-vjIyFBak-bcGwf_pqEN6o-u1NzurxJhMw3LbVbDCRWcYnNM6mU (22.04.21).
5. ოსიძე, ლ. (2019). ქართული პოლიტიკური კულტურის თანამედროვე მოდელი. *„ევროპულ - ქართული სამხედრო, პოლიტიკური და სამოქალაქო ურთიერთობების ასპექტები“.*
6. ოსიძე, ლ. (2019). ქართული პოლიტიკური მოდელის თანამედროვე მოდელები. *„ევროპულ - ქართული სამხედრო, პოლიტიკური და სამოქალაქო ურთიერთობების ასპექტები“.*
7. ოსიძე, ლ. (2021). *ქართული პოლიტიკური კულტურის თანამედროვე მოდელები.*
8. ოსიძე, ლ. (2021). ქართული პოლიტიკური კულტურის თანამედროვე მოდელი.
9. ოსიძე, ლ., & ჯუგაშვილი, მ. (2017). საქართველო რელიგიური ექსპანსიის საშიშროების წინაშე. *"საარი"*, 22.
10. ოსიძე, ლ., არჩვაძე, დევდარიანი, ნ., ვეკუა, & რცხილაძე. (2012). *ვარდების რევოლუცია.*
11. სვანიძე, & გოცირიძე. (2015). კიბერსივრცის მთავარი მოთამაშეები. კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა, სტრატეგია და გამოწვევები.

Problems of preserving national identity and dignity in the conditions of modern neoliberal manipulations

Levan Osidze - associate professor of the Faculty of Law and International Relations of GTU

Summary: In modern reality, the "global village" is a metaphor used to describe the digitized, convergent information-connected world, mainly referring to the Internet. This not only changes the concepts of distance and time but also brings cultures, worldviews, traditions, and values closer together.

Modern individuals do not live in a divided, isolated environment but in a unity of cultures and the world. The appearance created by radio, television, and later the Internet is just like McLuhan's Village, where the globalization of the media has brought the whole world together like a small village where everyone

knows each other. The electronic system integrates the world, brings countries closer and removes their borders, creates a picture of the world where the dissemination of information has no borders.

Nation - The problems of maintaining national identity and dignity to guarantee the existence of the nation-state are mainly caused by the anachronisms of modern neo-Trotskyism - neoliberalism, along with its accompanying and ever-increasing problems - which are even ignored by its preacher Francis Fukuyama, as revealed by the current challenges. Which is why to guarantee our existence, we need to move it to the dustbin of history and build a fair state with its social guarantees. Instead of envying the developed countries for their prosperity, we should focus on building our beautiful cottage-state and take pride in our historical and national values. Confronting modern neoliberalism manipulations with national self-awareness and future perspectives, with an optimal vision of the country's survival, should shield our country from possible fluctuations. Being vigilant and providing adequate answers is more valuable against the backdrop of economic growth, than relying on any particular state to provide for our nation. - Coexistence of states within the ocean of peoples of the world.

Key words: national identity, national dignity, anachronism, McLuhan's village, neoliberal manipulations, nation-state, social guarantees, ocean of the people of the world, neoliberalism-neotrotskyism, Economic corridor, Future perspectives.

ისლამური მოდერნიზმი და მაჰმადიანი რეფორმატორები

მაია კაპანაძე კავკასიის საერთაშორისო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი: მაჰმადიანური რადიკალიზმის ჩამოყალიბების მიზეზების მიმართ ინტერესი ჯერ კიდევ დიდია. მკვლევრები ამ პრობლემის გაანალიზებას კვლავაც მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ, რადგან ისლამიზმი და მასთან დაკავშირებული გამოწვევები ჯერაც სერიოზულ გლობალურ პრობლემას წარმოადგენს. აუცილებლად ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს ზომიერი და რადიკალური ისლამი. ზოგადად, რადიკალიზმის ჩამოყალიბებას ისლამში საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს, რომელსაც გარკვეული პოლიტიკური მიზეზები ჰქონდა. ამ მხრივ უნდა გამოიყოს იბნ თაიმია და მუჰამმად იბნ აბდ ალ-ვაჰაბი. ამავე დროს გვერდს ვერ ავუვლით მუსლიმ რეფორმატორებს: აბდუს, ად-აფღანის და არ-რაზიყის, ალ-მავდუდის, საიდ კუტბის და მათი იდეოლოგიების განხილვას. უნდა აღინიშნოს, რომ მუსლიმურ ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე სერიოზული გავლენა მოახდინა ალ-მავდუდიმ, აიათოლა რუჰოლა ხომეინიმ და საერო ისლამისტმა ალი შარიათმა. ასევე საყურადღებოა სუნიტი და შიიტი მუსლიმი რეფორმატორების ხედვები და ამ ხედვებს შორის არსებული მსგავსება და განსხვავება.

სუნიტურ ისლამში პირობითად არსებობდა ისლამისტი იდეოლოგების ორი თაობა. მათი პირველი თაობა რადიკალურად იყვნენ განწყობილები ისლამში სიახლეების შეტანასთან დაკავშირებით. მეორე თაობა თავიანთი წინამორბედების იდეოლოგიის მიმდევრები იყვნენ. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ისინი ასპარეზზე გამოვიდნენ იმ პერიოდში, როდესაც ისლამისტური იდეოლოგია უკვე დასავლური კულტურული ექსპანსიის შემაკავებელ ძალად იყო ჩამოყალიბებული. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მათი უმრავლესობა გარკვეული წლები დასავლეთში ცხოვრობდა და განათლებაც იქ ჰქონდათ მიღებული. მათგან მხოლოდ არ-რაზაკმა შეძლო დასავლური და მუსლიმური სამართლის შერწყმა-შეკავშირება, რაც იმის მაგალითია, რომ ზომიერ ისლამისტებს დასავლეთთან ურთიერთობის პრობლემა ნაკლებად აქვთ.

შიიტი ისლამისტი საერო და სასულიერო იდეოლოგები ალი შარიათი და იმამ ხომეინიმ გარდა იმისა, რომ გარკვეული რეფორმების გატარების მომხრეები იყვნენ ისლამში, ისინი არა დასავლურ კულტურას, არამედ, დასავლეთის იმპერიალიზმს ებრძოდნენ.

როგორც სუნიტი, ისე შიიტი ისლამისტები ისლამის უნივერსალურობას უსვამდნენ ხაზს. მათთვის მიუღებელი იყო ისლამში ისეთი მცნებების შემოტანა, როგორიცაა დემოკრატია და ა. შ.

საკვანძო სიტყვები: მაჰმადიანობა, ისლამიზმი, რადიკალიზმი, იდეოლოგია, რეფორმატორი, მოდერნიზმი.

ისლამისტი სხვადასხვა ქვეანაში არსებული იმ ჯგუფების აღსანიშნავად გამოიყენება, რომლებიც ისლამს პოლიტიკურ იდეოლოგიად აღიქვამენ. ისლამისტებისთვის ისლამი ნებისმიერი პოლიტიკური საკითხის განმსაზღვრელი გლობალური მსოფლმხედველობაა. ისლამისტები ორ კატეგორიად იყოფიან: ზომიერებად და რადიკალებად. მრავალი მკვლევარი ხარიჯიზმს თვლის ყველაზე ადრეულ ექსტრემისტულ მიმდინარეობად ისლამში. ხოლო თანამედროვე მუსლიმ რადიკალებს თვლიან ხარიჯიტების მემკვიდრეებად (სანიკიძე, ალასანია, გელოვანი, 2011:586-587).

რადიკალი ისლამისტები მიიჩნევენ, რომ მუსლიმურ ქვეყნებში არსებულ რეჟიმებთან რაიმე სახის კომპრომისი გამორიცხულია. ისლამიზმის ამგვარი გამოვლინების მთავარი კონცეფცია რევოლუციაა, რაც თავის მხრივ ამ ქვეყანებში არსებული პოლიტიკური რეჟიმის ძალით დამხობას და მის ადგილზე ისლამურ იდეოლოგიაზე დაფუძნებული სისტემის დამყარებას გულისხმობს.

უნდა აღინიშნოს, რომ ისლამური რადიკალიზმი XX საუკუნის პროდუქტი არ არის. მისი ისტორია ჯერ შუა საუკუნეებიდან იღებს სათავეს. ის მუსლიმურ სამყაროში ფართოდ ჯერ კიდევ IX-X

საუკუნეებში გავრცელდა, რასაც საფუძველი დაუდო აჰმად იბნ ჰანბალის (780-855) საღვღთისმეტყველო-სამართლებრივმა (მაზჰაბი) სკოლამ, რომელსაც შემდგომ ჰანბალიტური მაზჰაბი ეწოდა და რომელიც ოთხი სუნიტური მაზჰაბიდან ერთ-ერთია.

ჰანიბალი იყო უკიდურესად შეურიგებელი ყოველგვარი სიახლისადმი. ის უარყოფდა თავისუფალ აზრს რელიგიურ საკითხებში და რელიგიურ ფანატიზმს ისლამური ნორმების დაცვაში. ჰანბალიტების სკოლამ მრავალი მიმდევარი შეიძინა ირანში, სირიაში, პალესტინასა და სხვა ქვეყნებში, მაგრამ იგი უფრო ფართოდ გავრცელდა არაბეთის ნახევარკუნძულზე, სადაც XVIII საუკუნეში მის საფუძველზე მუჰამად იბნ აბდ ალ-ვაჰაბიმ (1703/4-1787) ჩამოაყალიბა რელიგიურ-პოლიტიკური მიმდინარეობა სუნიტურ ისლამში – ვაჰაბიზმი (John, 2004:608).

რაც შეეხება ისლამურ ფუნდამენტალიზმს (accessed,2021 - სანამ უშუალოდ მის განხილვაზე გადავალთ, მანამ მოკლედ აღვნიშნავთ, რომ ფუნდამენტალიზმი მხოლოდ ისლამისთვის არ არის დამახასიათებელი. თავდაპირველად XX საუკუნის დასაწყისში ფუნდამენტალისტებად მოიხსენიებდნენ აშშ-ში მცხოვრებ პროტესტანტებს (Fundamentalism,2021). ისლამური ფუნდამენტალიზმი რელიგიას განიხილავს სამართლებრივი და მორალური კოდექსის კონტექსტში. კერძოდ, ესაა, წმინდა წერილების სიტყვასიტყვით გაგება და რწმენა ისლამის "ოქროს ხანის" მიმართ, როდესაც რწმენის პრინციპები ცხოვრების ყველა ასპექტში იყო დანერგილი. ფუნდამენტალისტებად მოიხსენიებენ ყველა აქტივისტ მუსლიმს, განურჩევლად იმისა, ისინი ექსტრემისტები არიან რადიკალები თუ ზომიერები (Shahail,2019:261-262).

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ეგვიპტეში ინდოეთსა და ინდონეზიაში გაჩნდნენ ისლამური მოდერნისტული მოძრაობები. ისლამური მოდერნიზმის არსი ისლამური ტრადიციების რეფორმაში მდგომარეობდა, რაც, თავის მხრივ, ითვალისწინებდა ყურანისა და სუნას აქცენტების მორგებას XIX საუკუნეში გაჩენილ ინსტიტუციებზე, ტექნოლოგიებსა და თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნებზე. აღნიშნული ფენომენის ძირითადი მიზანი იყო მუსლიმური საზოგადოების სიძლიერის, დინამიზმისა და მოქნილობის აღდგენა. პარალელურად მიმდინარეობდა დასავლური მიღწევების შერჩევითი დანერგვა, რათა ამ გზით დაეცვათ ისლამური კულტურა დასავლურით ჩანაცვლებისაგან. მოდერნისტების მტკიცებით თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნოლოგიების შეთვისება იმავე დროს ნიშნავდა ისლამური მემკვიდრეობის აღდგენას, ვინაიდან თანამედროვე ევროპული მეცნიერება კლასიკურ ისლამურ სწავლებებში წარმოიშვა.

ზემოთ აღნიშნულ ქვეყნებში მოდერნისტული მოძრაობები, როგორც წესი, მიზნად ისახავდნენ საგანმანათლებლო რეფორმებს, რომელიც თავის თავში მოიცავდა სტანდარტული სასწავლო პროგრამის ფარგლებში თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ჩართვას, ასევე სამართლებრივ რეფორმას და კანონის კოდიფიკაციას. ევროპული იმპერიალიზმის მიმართ გაჩენილი აქტივიზმი და წინააღმდეგობა გახდა მოდერნისტული აზროვნების ნაწილი, რომელსაც, თავის მხრივ, საფუძველი დაუდო ჯამალ ად-დინ ალ-აფღანის (1897) სწავლებებმა. ალ-აფღანი ამტკიცებდა, რომ მუსლიმებს საკუთარი კეთილდღეობის მისაღწევად, თავად უნდა აეღოთ პასუხისმგებლობა და პასიურად არ უნდა შეგუებოდნენ ყოველივე უცხოურის გაბატონებას (Modernism,2021).

XX საუკუნის 20-60-იან წლებში ისლამურ სამყაროში პოპულარული გახდა ნაციონალიზმისა და სოციალიზმის იდეოლოგიები. არაბული სოციალიზმი თავის მხრივ იყო ბაასიზმის მთავარი კომპონენტი. ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, მართალია, ამ პერიოდში ნაციონალიზმი დომინირებდა, მაგრამ ისლამი ამ იდეოლოგიის მთავარ კომპონენტად რჩებოდა (სანიკიძე, ალასანია, გელოვანი,2011:585. Pan-Islamism,2021).

1970-იან წლებში ისლამის მორიგი რადიკალიზაცია გამოიწვია პალესტინის პრობლემებმა, 70-იანი წლების მეორე ნახევარში "მუსლიმი ძმების" სირიული ფრთის აქტიურმა მონაწილეობამ სირიის პრეზიდენტ ჰაფეზ ალ-ასადის წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებაში, რომელიც სასტიკად

იქნა ჩახშობილი. 1979 წლის ირანის ისლამურმა რევოლუციამ და ასევე საბჭოთა კავშირსა და ავღანეთს შორის ომმა 1979-89 წლებში, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო მრავალი მუსლიმი ექსტრემისტის გააქტიურებას.

აქ უნდა გამოვყო ის ისლამისტი იდეოლოგები და რეფორმატორები, რომლებიც თავიანთი მოღვაწეობისა და ავტორიტეტიდან გამომდინარე, გამოირჩევიან. დავიწყებ აჰმად ბინ მუჰამად ბინ ჰანბალით (780-855), რომელიც იყო ცნობილი ტრადიციონალისტი, თეოლოგი და სამართალმცოდნე. ცხოვრების ძირითადი ნაწილი მან ბაღდადში გაატარა. განათლების გაღრმავების მიზნით ის ბევრს მოგზაურობდა ბასრაში, ქუფაში, მექასა და მედინაში. მისი, როგორც მცოდნის რეპუტაცია, მუდმივად იზრდებოდა. ჰანბალი იყო ტრადიციონალისტების, იმავე აჰლ ალ-ჰადისის სახელით ცნობილი ჯგუფის წამყვანი წევრი. ტრადიციების მომხრეები თვლიდნენ, რომ რელიგიურ სწავლებაში სუნა მეორე ადგილს იკავებდა ყურანის შემდეგ.

ცნობილია, რომ მოციქულ მუჰამმადის გარდაცვალების შემდეგ (632 წ.), სუნას შესახებ ცოდნა ადრეულ მუსლიმურ თემში (უმმა-ში) ზეპირი ფორმით გადაიცემოდა. მუსლიმთა პირველი თაობის გარდაცვალების შემდეგ სუნას დამახსოვრება და ჩაწერა აუცილებელი გახდა. ჰადისების ნაკრები წარმოადგენს დოკუმენტაციას სუნას შესახებ. ჰადისების ყველაზე ადრინდელ გამავრცელებლებად ითვლებიან მოციქულის ნათესავები, მისი მიმდევრები, უახლოესი გარემოცვის წევრები ან ის პირები, ვინც იცნობდნენ მოციქულის უახლოესი გარემოცვის წევრებს. იბნ ჰანბალის ჰადისების გადმოცემათა ქრონოლოგია ითვლება ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ სუნიტური ჰადისების ნაკრებად.

იბნ ჰანბალის დროს რამოდენიმე ათასი ჰადისი იყო გავრცელებული, რომელთაგან ნაწილი აშკარად ყალბი იყო. ტრადიციონალისტებმა განაცალკევეს ნამდვილი ყალბისგან და შეკრიბეს და წარმოადგინეს მოწესრიგებული ფორმით. ჰაბლის მის მიერ ტრადიციების ბრწყინვალედ ცოდნის გამო, ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის.

ჰანბალის მოღვაწეობა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ჰადისების სწავლებით. ამას გარდა იგი ტრადიციონალისტთა გამორჩეული წარმომადგენელია.

სამართალმცოდნეობაშიც ტრადიციის მომხრეებს შორისაც ასევე იბნ ჰანბალი ლიდერობდა. ტრადიციინალისტებს სურდათ, რომ ყველა იურიდიული პრობლემა გადაწყვეტილიყო სუნაზე დაყრდნობით, რომელიც თავის მხრივ ტრადიციებს გამოხატავდა (Susan,2017:334-335). ჰანბალი გახდა ერთ-ერთი სუნიტური საღვთისმეტყველო-სამართლებრივი სკოლის (მაზჰაბის) - ჰანბალიზმის ფუძემდებელი. სხვა სუნიტური მაზჰაბებისგან განსხვავებით, ჰანბალიზმი წარმოიშვა, როგორც რელიგიურ-პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც მოგვიანებით გადაიქცა რელიგიურ-სამართლებრივ სკოლად. ჰანბალიტების სამართლებრივი სისტემისათვის დამახასიათებელია უკიდურესი შეურიგებლობა ყოველგვარი სიახლისადმი და თავისუფალი აზრისადმი რელიგიურ საკითხებში. ისინი ასევე უკიდურესი ფანატიზმითა და სიმკაცრით გამოირჩევიან კულტის წესებისა და შარიათის სამართლებრივი ნორმების დაცვისას. ჰანბალიტური მაზჰაბი XI საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა.

ჰანბალიტური იდეოლოგია ფართოდ გამოიყენება როგორც ვაჰაბიტურ ტარიკატში, ისე „მუსლიმი ძმების" მიერ (გელოვანი, სანიკიძე:161-178).

იბნ თაიმია (1263-1328) არის XIII-XIV საუკუნეების მუსლიმი იდეოლოგი, რომელიც წერდა ყურანთან, ჰადისებთან, სუნასთან, თეოლოგიასთან, კანონებთან და მისტიციზმთან დაკავშირებულ საკითხებზე. იგი ჯერ კიდევ თავის სიცოცხლეშივე და დღემდეც გავლენიან პირად რჩება მუსლიმ მოაზროვნეთა შორის.

იბნ თაიმია ჰანბალის საღვთისმეტყველო-სამართლებრივი (მაზჰაბის) სკოლის ერთგული მიმდევარია. ის არის რელიგიური, პოლიტიკური და სოციალური რეფორმატორი. XIII საუკუნის ბოლოსა და XIV საუკუნის დასაწყისში, ახლო აღმოსავლეთში წარმოქმნილი კრიზისების: მონ-

ღოლთა ლაშქრობის, აბასიანთა სახალიფოს დამხობის, ეგვიპტესა და სირიაში მამლუქთა დინასტიების აღზევების საპასუხოდ, იბნ თაიმია ესწრაფვოდა მუსლიმური თემის აღორძინებას, რომელიც დაფუძნებული უნდა ყოფილიყო ისეთი ადრეული მუსლიმური თემის მოდელზე, რომელიც მისი აზრით, არსებობდა მოციქულ მუჰამმადის და მისი მიმდევრების პერიოდში მედინაში. იბნ თაიმიას სურვილი, ადრეული მუსლიმური საზოგადოების აღორძინების საკითხებში, მიმართული იყო არა მარტო პოლიტიკური და სოციალური რეფორმებისკენ, არამედ ის ასევე ცდილობდა მიეღწია ისლამის შინაგანი და სულიერი აღორძინებისთვისაც. იბნ თაიმია თვლიდა, რომ პირველ რიგში შინაგანი რეფორმა იყო აუცილებელი, სანამ რაიმე სახის გარეგანი რეფორმა იქნებოდა შესაძლებელი. ასეთი შეხედულებების გამო მას კონფლიქტური ურთიერთობა ჩამოუყალიბდა ბევრ თეორიტიკოს-თეოლოგთან, ფილოსოფოსებთან და მისტიკოს სყფიებთან.

რაც შეეხება სამართალმცოდნეობას და სამართლის სკოლებს, იბნ თაიმია ამტკიცებს, რომ სუნიტური ისლამის აღიარებული სამართლის სკოლის ოთხი იმამი შეთანხმდნენ ისლამის პრინციპებზე (უსულ), მაგრამ ისინი პრაგმატული თვალსაზრისით დაშორდნენ ცალკეულ დადგენილებებში (ფურუ'). ასე რომ იგი იცავს ოთხივე სკოლის ლეგიტიმურობას და ამტკიცებს, რომ სწავლულებმა ამა თუ იმ საკითხის დამოუკიდებლად განსჯა უნდა მოახდინონ (იჯთიჰადი), რათა კიდევ უფრო მიუახლოვდნენ თეორიულად წმინდა ისლამს. მისი აზრით, ერთ სწავლულსა ან სკოლაზე ბრმად მიყოლა მხოლოდ არაპროფესიონალისთვის იყო დასაშვები. ნამდვილი სწავლულები ვალდებული არიან, ეძებონ ჭეშმარიტება და მიჰყვნენ მას. მისმა ასეთმა პოზიციამ გამოიწვია უთანხმოება სხვა მუსლიმ სამართალმცოდნეებთან, მათ შორის თავის მოკავშირე ჰანბალიტებთანაც.

იგი წინ აღუდგა დიდ ტრადიციულ სპეკულაციურ ღვთისმეტყველებას (კალამ), ფილოსოფიას და მისტიციზმს, რომლებიც განვითარდნენ ისლამურ ცივილიზაციაში. იბნ ჰანბალისა ჰადისების და სხვა IX საუკუნის მკვლევართა რწმენის სიმბოლოებისადმი გულდასმით მიყოლის პარალელურად, იბნ თაიმიამ შეიმუშავა ძალზე რთული და დახვეწილი ღვთისმეტყველება, რომლის დანერგვასაც აქტიურად ახორციელებდა. მისი ღვთისმეტყველება იწყება ღმერთის, როგორც მუდმივის, ყოვლისმხედველის და ყოვლისშემძლე შემოქმედის გააზრებით, რომელმაც შექმნა სამყარო არაფრიდან გააზრებული ქმედებით. იგი უარჰყოფს ნებისმიერი პანთეისტური აზრის ფორმირებას, რომელიც ეწინააღმდეგება ამ მრწამსს. თავის ნაშრომების დიდ ნაწილს იბნ თაიმია უძღვნის მისტიკური ფილოსოფიების უარყოფას (James,2019:338-339).

მუჰამმად ბინ აბდ ალ-ვაჰაბი (**1**703-1792), მან ისლამის პურიტანული ფორმის მოძღვრება 1740-იან წლებში დაიწყო არაბეთის ნახევარკუნძულზე მდებარე ნაჯდის პროვინციის მომცრო დასახლებებში. მისი ძირითადი სწავლებები თავმოყრილია მცირე ზომის ტრაქტატში, სახელწოდებით „ქითაბ ალ-თავჰიდ" (ერთობის წიგნი), რის მიხედვითაც მისმა მიმდევრებმა აიღეს სახელი „მუვაჰიდუნ" (უნიტარები).

მუჰამმად იბნ აბდ ალ-ვაჰაბს სურდა მუჰამმად მოციქულისა და ყურანის პირველქმნილი ისლამის აღდგენა, მისი გაწმენდა ყოველგვარი სიახლეებისგან, რომლებიც თავის მხრივ მკაცრი მონოთეიზმის ფორმის გამოწვევას წარმოადგენდნენ. ამ სიახლეებიდან მთავარი კომპონენტები იყო წმინდანთა კულტი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა როგორც სუნიტებს, ისე შიიტებს შორისაც. ასევე ისეთი პოპულარული ქმედებები, როგორიცაა წმინდანთა საფლავებზე პილიგრიმობა, გარდაცვლილების მიმართ ვედრება ღმერთთან შუამდგომლობაზე, ლოცვების შემდეგ წმინდანებისთვის დალოცვის თხოვნა და მუსლიმი წმინდანებისთვის გუმბათოვანი მავზოლეუმების აშენება მკაცრად იყო დაგმობილი. მის მიერ უარყოფილ „სიახლეებს" შორის იყო სამართალმცოდნეობის (ფიქჰის) მრავალსაუკუნოვანი მემკვიდრეობა, რომელიც აერთიანებდა 4 სუნიტურ და ასევე შიიტურ სამართლის სკოლებს. ვაჰაბიის მიმდევრები თავის თავს ჭეშმარიტ სუნიტებად თვლიდნენ და ცნეს თავიანთი სიახლოვე ჰანბალის ლეგალურ ტრადიციებთან. ამასთან

მათ უარჰყვეს მთელი სამართალმცოდნეობა, თვით ჰანბალისა და მისი მოსწავლეებისაც, რომელიც, მათი აზრით, მკაცრად არ მიჰყვებოდა ყურანსა და ჰადისებს. ბინ ვაჰაბი მისი კონსერვატული იდეოლოგიიდან გამომდინარე, მართებულად მიიჩნევდა ყურანისა და ჰადისების ინტერპრეტაციების გარეშე კითხვას, განსაკუთრებით ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა დასχა მრუშობაზე, ქურდობაზე, ლოთობაზე, რელიგიური ვალდებულებების არშესრულებასა და რამადანის მარხვის არდაცვაზე (Shahail,2020:727-738).

χამალ ად-დინ ალ-აფღანი (1839-1897) XIX საუკუნის ერთ-ერთი ძალზე გავლენიანი შიიტი მუსლიმი რეფორმატორია. იგი ირანში დაიბადა, თუმცა მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე, იგი ხაზს უსვამდა თავის ავღანურ წარმომავლობას. მან განათლება მიიღო ირანსა და ერაყში. 1855 წელს ინდოეთში მოგზაურობისას, იგი პირველად გაეცნო დასავლური მეცნიერებისა და პოლიტიკის იდეებს. შესაძლოა სწორედ ამ დროს დაიწყო ალ-აფღანის დამოკიდებულების ფორმირება ევროპულ და განსაკუთრებით ბრიტანულ იმპერიალიზმთან მიმართებით. 1866 წლისთვის მან, როგორც მუსლიმმა ინტელექტუალმა და პოლიტიკურმა აქტივისტმა, ავღანეთის მთავრობაში პოსტის მიღებით დაიწყო თავისი მოხეტიალე კარიერა. შემდგომი 30 წლის განმავლობაში იგი ხან მოგზაურობდა, ხან ცხოვრობდა სტამბოლში, კაიროში, პარიზში, ლონდონში, თეირანსა და პეტერბურგში. მას ხშირად უწევდა ადგილის შეცვლა, თავის რეფორმისტული შეხედულებებისა და პოლიტიკური აქტივობის გამო. ალ-აფღანი მიჩნეულია XIX საუკუნის პან-ისლამიზმის მთავარ იდეოლოგად. მისი იდეების უმრავლესობა გადმოცემულია მუჰამად აბდუსთან ერთად გამოცემულ ჟურნალ ალ-ყურვათ ულ-ვუსკაში (ძლიერი კავშირი), ყოველგვარი თანამიმდევრული იდეოლოგიის გარეშე. ალ-აფღანის უმთავრესი მამოძრავებელი მოტივი იყო ევროპული იმპერიალიზმის წინააღმდეგობა მუსლიმურ ქვეყნებში და იგი თვლიდა, რომ ამ ფენომენთან ბრძოლა მხოლოდ ისლამური კულტურის აღორძინების მეშვეობით იყო შესაძლებელი (Shahail,2019:13).

მუჰამმად აბდუ (1849-1905), რომელიც ეგვიპტეში დაიბადა, XIX საუკუნის ერთ-ერთი გავლენიანი მუსლიმი რეფორმატორი და სამართალმცოდნეა. მან 1877 წელს დაამთავრა კაიროს ალ-აზჰარის უნივერსიტეტი, სადაც თვითონაც ასწავლიდა კიდეც. სწორედ ამ პერიოდში შეხვდა იგი χამალ ად-დინ ალ-აფღანის, რომელმაც დიდი გავლენა იქონია აბდუს აზროვნების ფირმირებაზე.

იგი გახდა ოფიციალური სამთავრობო გაზეთის *ალ-ვაკა'იკ ალ-მასრიას* (ეგვიპტური ქრონიკები) რედაქტორი და დაიწყო სტატიების გამოქვეყნება ქვეყანაში რეფორმების საჭიროებაზე. მას შემდეგ, რაც ბრიტანელებმა 1882 წელს მოახდინეს ეგვიპტის ოკუპაციის (Dominic,2007) შემდეგ, აბდუ სამი წლით გადასახლეს ნაციონალისტთა ინტერესების დაცვის გამო. მან ცოტა ხანს იცხოვრა ბეირუთში და შემდეგ შეუერთდა ალ-აფღანის პარიზში, სადაც მოკლე დროის განმავლობაში ერთობლივად გამოსცემდნენ ჟურნალ *ალ-ყურვათ ულ-ვუსკას* (ძლიერი კავშირი). აბდუ დაბრუნდა ბეირუთში მას შემდეგ, რაც ჟურნალის გამოცემა შეწყდა (1884 წელს).

1888 წელს ალ-აფღანისგან გაუცხოების და თავისი რევოლუციური იდეების გადახედვის შემდეგ, აბდუს კაიროში დაბრუნების ნება მისცეს. მან სწრაფი აღმასვლა დაიწყო ეგვიპტის იურიდიულ და პოლიტიკურ წრეებში. 1899 წელს იგი გახდა ეგვიპტის დიდი მუფთი (Mestyan,2020). რელიგიური სასამართლოების ხელმძღვანელის პოსტის დაკავების შემდეგ, აბდუ გამოდიოდა რეფორმების აუცილებლობის მოთხოვნით, რათა შარიათი შესაბამისობაში მოსულიყო თანამედროვე პრობლემებთან. იგი ამტკიცებდა, რომ მუსლიმთა ადრინდელმა თაობებმა (სალაფ ალ-სალიჰიინ, აქედან სალაფია) შექმნეს ძლიერი ცივილიზაცია, რადგან ყურანისა და ჰადისების კრეატულ ინტერპრეტირებას ახდენდნენ იმ პერიოდის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მისი აზრით, სწორედ ასეთი კრეატული იχთიჰადი იყო იმ დროს საჭირო. კერძოდ, თანამედროვე სამართალმცოდნეებს საზოგადოებრივი კეთილდღეობა რელიგიურ დოგმაზე მაღლა უნდა დაეყენებინათ განაჩენის გამოტანის მომენტში. მთავრობისა და კერძო პირებისათვის დაწერილი სამართლებრივი

რეგულაციები (ფათვები) ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: მრავალცოლიანობა, განქორწინება, არა-მუსლიმთა სტატუსი, მისი რეფორმისტული შეხედულებების გავლენას განიცდიდა.

ისლამური რეფორმებისადმი აბდუს ყველაზე ცნობილი ნაშრომია „ესე-რისალა ალ-თავჰიდ". ევროპელი ფილოსოფოსების საპირისპიროდ, იგი ამტკიცებს, რომ „მორალური სახის საფუძველი დევს რწმენასა და ტრადიციებში, რომელიც დაშენებულია მხოლოდ რელიგიაზე. ამგვარად, რელიგიური ფაქტორი ყველაზე ძლიერია, როგორც საჯარო, ისევე კერძო ეთიკის საკითხებში" (Sahail,2019:6-7).

ეგვიპტელი აბდ არ-რაზზაკ ალ-სანჰური (1895-1971) იყო ერთ-ერთი გამორჩეული იურისტი. იგი ერთი პერიოდი ქალაქ მანსურას შერეულ სასამართლოში პროკურორის თანაშემწედ მსახურობდა და კითხულობდა ლექციებს მოსამართლეთა შარიათის სკოლაში. არ-რაზიკი სწავლობდა სამართალს საფრანგეთში, ლიონის უნივერსიტეტში. იქ ყოფნის დროს მან დაწერა ორი სადოქტორო დისერტაცია: ერთი ინგლისურ სამართალზე და მეორე თანამედროვე ეპოქაში სახალიფოს საკითხზე. იგი მხარს უჭერდა თავისუფალი ოფიცრების მოძრაობას ეგვიპტეში, რომლებმაც 1952 წელს დაამხეს მონარქია. იქიდან გამომდინარე, რომ ა-რაზზაკი დაჟინებით ითხოვდა სამოქალაქო დემოკრატიულ მმართველობაზე დაბრუნებას, დაიწყო დევნა მის წინააღმდეგ. ამას შემდეგ მან მთელი თავის ძალისხმევა მიმართა ეგვიპტის, ერაყის, სირიის, ლიბიისა და ქუვეითის სამოქალაქო კოდექსების მოდერნიზაციისკენ. გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, არ-რაზიკიმ დაასრულა სამოქალაქო სამართლის კომენტარების უზარმაზარი მრავალტომეული, რომელიც დღემდე ითვლება ავტორიტეტულ წყაროდ არაბული სამყაროს უმეტეს ნაწილში. მას ასევე ეკუთვნის რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაშრომი ისლამურ შეთანხმებით სამართალზე. მისი დამსახურებაა ის, რომ ფრანგული საფუძვლის მქონე სამოქალაქო სამართლის კოდექსის ინტეგრაციას ახდენდა კლასიკურ ისლამურ სამართლებრივ დოქტრინებთან. მას ასევე მიაწერენ ეგვიპტის სამოქალაქო სამართლის ისლამურ სამართალთან შესაბამისობაში მოყვანასაც (Khaled,2018:&-6).

ისლამური რევოლუციის ლიდერმა ირანში, **ა**იათოლა რუჰოლა მუსავი ხომეინიმ (1900-1989) დიდი გავლენა მოახდინა ისლამურ სამყაროზე. ირანის ისლამური რევოლუცია მიეკუთვნება ისეთ მოვლენებს, რამელმაც დიდი როლი ითამაშა არა მარტო ირანის, არამედ მთელი მსოფლიოს პოლიტიკურ პროცესებში. ხომეინიმ ირანში ისლამური რევოლუციით ამ ქვეყანაში ისლამური მმართველობის დამყარებით მსოფლიო დააყენა სრულიად ახალი და მანამდე პრაქტიკულად არაპროგნოზირებული რეალობის წინაშე. ამ სახელმწიფო წყობაში შერწყმულია შიიტურ-ისლამური სამართლებრივი კონცეფციები თანამედროვე სახელმწიფო მოწყობის ელემენტებთან. იგი ამ რევოლუციამდე საერო და სასულიერო ხელისუფლების ერთიანობას ქადაგებდა. ხომეინის მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თეოკრატიის, რელიგიისა და პოლიტიკის განუყოფლობას, საერო და სასულიერო საწყისების ერთიანობის საკითხს.

მან, გარდა იმისა, რომ ირანში ფეჰლევიანთა მმართველობის პერიოდში (1925-1979 წწ.) შიიტი სამღვდელოების დაკნინებული როლი ააღორძინა, იმავე დროს მათ მიანიჭა მანამდე არნახული, უაღრესად პოლიტიზირებული ფუნქცია. ხომეინიმ მიზნად დაისახა კლერიკალების ძალაუფლების დამკვიდრება მთლიანად სახელმწიფოსა და საზოგადოებაზე, რაც განახორციელა კიდეც. ამიტომაცაა, რომ ისლამის პოლიტიზაციაზე მსჯელობისას პირველ რიგში ბუნებრივად აიათოლა ხომეინის სახელის ამოტივტივება ხდება. სწორედ მან მოახერხა კლერიკალური პოლიტიზირებული ისლამის ჩამოყალიბება. მისთვის ერთდროულად მიუღებელი იყო როგორც დასავლეთი, ისევე კომუნისტური სისტემაც. მუსლიმური ქვეყნების დასავლური გავლენისგან დაცვის ყველაზე ეფექტურ საშუალებად ისლამსა და მუსლიმურ სამღვდელოებას მიიჩნევდა. ხომეინის აზრით, ისლამი მოიცავს ყველაფერს, იმასაც, რასაც დასავლეთი თავისუფლებასა და დემოკრატიას უწოდებს.

ხომეინიმ თანდათანობით ჩამოაყალიბა ისლამური მმართველობის კონცეფცია. მის მიერ ჩამოყალიბებული კონცეფციიდან გამომდინარე, ისლამური რევოლუცია ირანში არ წარმოადგენდა

მხოლოდ პოლიტიკური ხასიათის მოვლენას. ის ასევე იყო რევოლუცია შიიზმშიც. ხომეინის რევოლუციური თეორიის უმთავრესი წყარო მუსლიმთა კოლექტიურ მეხსიერებაში არსებული მოციქულ მუჰამმადის მიერ შექმნილი ისლამური თემი – უმმა და იმამ ალის დროს არსებული ისლამური მმართველობა იყო. ისლამური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ხომეინის მის მიერ შექმნილი ისლამური მმართველობის პრინციპების რეალურად განხორციელების შესაძლებლობა მიეცა. მან ფაქტობრივად შექმნა ავტორიტარული ტიპის მმართველობის სისტემა. ამ სისტემაში ხელისუფლების პირამიდის მწვერვალზე ველაიათ-ე ფაყიჰი – თავად ხომეინი იდგა, რომელიც დიდი ძალაუფლებით იყო აღჭურვილი (კაპანაძე,2015:60-75).

წინა საუკუნის 30-იან წლებში ალ-მავდუდიმ მოახდინა თავისი იდეების ფორმულირება სახელმწიფოსა და ხელისუფლებაზე, რამაც გარკვეული გავლენა იქონია მუსლიმურ სამყაროზე. მისი აზრით: ისლამური სახელმწიფო ისლამურ იდეოლოგიასთან შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს, რომლის მეშვეობითაც ღვთაებრივი წესრიგის რეალიზება უნდა განხორციელდეს დედამიწაზე. მუსლიმს ღმერთის სუვერენიტეტის უნდა სჯეროდეს და არა ადამიანებისთვის, ადამიანების მეშვეობით მათივე მმართველობის იდეის. აქედან გამომდინარე, მუსლიმები წარმოადგენდნენ არა ერს, არამედ ღმერთის პარტიას, რომელიც მოქმედებს როგორც ღვთის წარმოგზავნილი ხალიფა დედამიწაზე. ამისათვის იგი თვითგანწმენდას თვლიდა აუცილებელ წინაპირობად.

თავისი იდეების პრაქტიკაში განხორციელების მიზნით 1941 წელს ისლამური კლასიციზმის მიმდევარმა ალ-მავდუდიმ დააარსა ჯამი'ათ-ილ ისლამი (მუსლიმური თემი)-რომელსაც პრეზიდენტის რანგში უძღვებოდა 1972 წლამდე. იგი განიხილავდა დედამიწაზე ღმერთის სუვერენიტეტის იდეას (ჰაქიმიათ-ე ილაჰი). ალ მავდუდი იყო პირველი, ვინც ისლამურ კონსტიტუციაზე მუშაობდა (პაკისტანში). მისი იდეები ნაწილობრივ იქნა ჩართული 1949 წლის რეზოლუციის მიზნებში, რომელიც პაკისტანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციის ნაწილს წარმოადგენდა და რომლის მიხედვითაც ეს ქვეყანა უნდა გამხდარიყო ისლამური სახელმწიფო. მისი საკმაოდ პროსახელმწიფოებრივი ისლამის ინტერპრეტაციით, რომელიც მან შეიმუშავა თავის ისლამურ სამართალსა და 1955 წლის კონსტიტუციაში, ალ-მავდუდი და მისი პარტია იძულებული გახადა, ეთანამშრომლათ ხელისუფლებასთან სხვადასხვა ინსტანციაში.

რელიგიურ საკითხებში მისი მტკიცებულებების მთავარი აზრი მდგომარეობდა იმაში, რომ ყურანის ძირითადი პრინციპების არასწორმა ახსნამ და მათ შეცდომებში შემყვანმა მისტიკოსებმა (სუფიებმა) გამოიწვია ხალხის სწორი გზიდან აცდენა, რასაც მოჰყვა რელიგიური და კულტურული იდენტობის დაკარგვა. ჯაჰილიის (ისლამამდელი უმეცრობის პერიოდი) უკან მოტოვება მნიშვნელოვანი იყო და უნდა დაბრუნებულიყო ნამდვილი რელიგიური საზოგადოება აქ და ახლა. იდეალიზებული წმინდა მუსლიმური საზოგადოების რეკონსტრუქცია გახდებოდა პირველადი მუსლიმური თემის (უმმა) განმეორების გარანტია. ეს კი მუსლიმების მხრიდან მოითხოვდა მოციქულ მუჰამმადის სუნას შესაბამისად ცხოვრებას, რაც თავის მხრივ ეფძნებოდა მუსლიმთა პირველი თაობებისა და მოციქულის ცხოვრებისდროინდელი ოქროს ხანის ხედვებს. ყოველივე ეს კი მოითხოვდა წარსულის ახლიდან გააზრებას (Malik,2020:443-444).

რაც შეეხება საიდ კუტბის (1906-1966), ის იყო აქტიური ისლამისტი და „მუსლიმი ძმების" ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი. დასავლელმა კრიტიკოსებმა მას „თანამედროვე ტერორიზმის მამა" უწოდეს (სანიკიძე, ალასანია, გელოვანი,2011:582). თავის კარიერის დასაწყისში, იგი არ ავლენდა რაიმე სახის ინტერესს რელიგიურ საქმიანობისადმი. კუთხი ძირითადად დაკავებული იყო თავისი საქმიანობით განათლების სამინისტროში. იგი მუშაობდა ლიტერატურაზე. მისმა ლიტერატურულმა ნაშრომებმა, რომლებიც ძირითადად მხატვრული ლიტერატურისა და პოეზიის კრიტიციზმით შემოიფარგლებოდა, მიიპყრო მაშინდელი ეგვიპტური ელიტის ყურადღება. მოგვიანებით კი კუტბი გაემიჯნა თავის ამ საქმიანობას. XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოდან ის დაინტერესდა პოლიტიკითა და სოციალური პრობლემებით. კუთხი დაკავშირებული იყო იმ ნაციონალისტურ

პოლიტიკურ პარტიებთან, რომლებიც გამოდიოდნენ ეგვიპტის მონარქიისა და ბრიტანეთის კოლონიალიზმის წინააღმდეგ. მისი პირველი რელიგიური ესე „ალ-ადალა ალ-იჯთიმა'ია ფილ-ისლამ" (სოციალური სამართალი ისლამში), გამოქვეყნდა 1949 წელს.

საიდ კუთხი 1948 წელს ეგვიპტის განათლების სამინისტრომ დასავლური განათლების მეთოდების შესწავლის მიზნით გაგზავნა ვაშინგტონში, შემდეგ კოლორადოში და ბოლოს კალიფორნიაში. ამერიკის შეერთებული შტატები მან 1950 წელს დატოვა და გაემგზავრა ინგლისში, შვეიცარიასა და იტალიაში. ის ეგვიპტეში დაბრუნდა 1951 წელს. აშშ-სა და ევროპაში გამგზავრებამ მას უარი ვერ ათქმევინა თავის აქტივობაზე რადიკალიზმთან მიმართებით, რაც სულ უფრო ინტენსიური ხდებოდა. იგი ნანახით შეძრული იყო, კერძოდ, დასავლური (განსაკუთრებით ამერიკული) გაბატონებული ისეთი შტრიხებით, როგორებიც იყო: მატერიალიზმი, რასიზმი და სექსუალური თავისუფლება. საიდ კუტბი იმაშიც დარწმუნდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი, მიუხედავად მათ შორის არსებული ცივი ომისა, ორივე გულგრილი იყო არაბული და ისლამური ქვეყნების მისწრაფებებისადმი. ისინი ასევე მზად იყვნენ ეს ქვეყნები საკუთარი ინტერესებისა და სარგებლისთვის გამოეყენებინათ. ის ფაქტი, რომ ორივე სუპერსახელმწიფომ მხარი დაუჭირა პალესტინაში ისრაელის სახელმწიფოს აღდგენას, საიდ კუტბისთვის ეს იყო ამ ორი ბანაკის იმპერიალისტური ზრახვების მყარი დასტური. იგი დაბრუნებისთანავე აქტიურად ჩაერთო „მუსლიმ ძმებთან" ურთიერთობაში, თუმცა 1953 წლამდე არაფორმალურად მუშაობდა მათთან. საიდ კუტბი იყო დამაკავშირებელი რგოლი „ძმებსა" და თავისუფალ ოფიცრებს შორის (რომლებმაც 1952 წელს დაამხვეს მონარქია), იმ იმედით რომ „ძმებისა" და თავისუფალი ოფიცრების ერთობლივი აქტივობის შედეგად შეიქმნებოდა ისლამური სახელმწიფო. მას შემდეგ, რაც ნათელი გახდა, რომ გამალ აბდ ან-ნასირი და სამხედრო ხელმძღვანელობა საერო სახელმწიფოს შექმნას აპირებდნენ, „ძმებმა" და საიდ კუტბიმ ახალი ხელისუფლებისგან დისტანცირება ამჯობინეს.

1954 წლის იანვარში მთავრობამ „მუსლიმი ძმები" კანონგარეშედ გამოაცხადა. დააპატიმრეს მათი მრავალი მთავარი ფიგურა, მათ შორის საიდ კუტბიც, მის მიერ ხელისუფლების შიდა და საგარეო პოლიტიკური აქტივობის მიმართ გამოთქმული კრიტიციზმის გამო. იგი სამ თვეში გაათავისუფლეს, მაგრამ 1954 წლის ოქტომბერში „მუსლიმი ძმების" მიერ გამალ აბდ ან-ნასირზე მოწყობილი წარუმატებელი თავდასხმის გამო ხელახლა დააპატიმრეს და აწამეს. 1955 წელს მიესაჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საიდ კუტბიმ დაწერა ორი ნაშრომი, რითაც იგი გახდა ძალზე ცნობილი პატიმრობის დროს 1962 წელს. მან დაიწყო თავის მასშტაბური ყურანის კომენტარებით: ფი ზილალ ალ-კურ'ან (ყურანის ჩრდილში). 1964 წელს მისმა მხარდამჭერებმა გამოაქვეყნეს საიდ კუტბის წერილების კრებული, რომელშიც იგი ამტკიცებს, რომ ჯიჰადი, რასაც მოსდევს შეიარაღებული ბრძოლა, არა მხოლოდ მშვიდობიანი მოძღვრება, აუცილებელია იმისათვის, რომ დაემხოს მუსლიმური საზოგადოების კორუმპირებული მდგომარეობა (ახალი უმეცრება ან ნაეო-ჯაჰილია) და დამყარდეს ჭეშმარიტი ისლამური წესრიგი, დაფუძნებული ღვთის სამართალზე (შარიათზე).

ჯანმრთელობის გაუარესების გამო იგი ციხიდან გათავისუფლეს 1964 წელს, მაგრამ მისი წერილების კრებული სწრაფად ვრცელდებოდა და 1965 წლის აგვისტოში კვლავ დააპატიმრეს. მას აჯანყებისკენ მოწოდების ბრალდებით მიუსაჯეს სიკვდილი. მიუხედავად საერთაშორისო საზოგადოების თხოვნისა, რომ საიდ კუტბი შეეწყალებინათ, 1966 წლის 29 აგვისტოს განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი, თუმც, სიკვდილის შემდეგ საიდ კუტბის გავლენა განუხრელად იზრდებოდა მისი ნაშრომების თარგმანისა და გავრცელების შედეგად (Sohail,2020:568-569).

ჰასან ალ-ბანა (1906-1949) იყო მუსლიმი რეფორმატორი „მუსლიმი ძმების" ასოციაციის დამარსებელი. მან ტრადიციული განათლება მიიღო ყურანში, ჰადისებში, სამართლის პრინციპებსა და არაბულ ენაში. ჰასან ალ-ბანა ჯერ კიდევ მოზარდობის ასაკში გახდა ჰასაფიას სუფიური ორდენის წევრი. მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით „მუსლიმი ძმების" წევრები სუფიზმის წინაა-

ღმდეგ გამოდიოდნენ, ბანა ყოველთვის აღიარებდა სუფიზმის ძლიერ გავლენას თავის რელიგიურ მსოფლმხედველობასა და სოციალურ აქტივობაზე. 1928 წლის მარტში ჰასან ალ-ბანამ და ექვსმა კაცმა დააფუძნეს ჰასაფიას ორდენთან არსებული ორგანიზაცია „უბრძანე სწორი და აკრძალე არა-სწორი". ერთი წლის შემდეგ ორგანიზაციას ეწოდა „მუსლიმი ძმები".

ამ ორგანიზაციამ თავისი აქტივობა დაიწყო როგორც საგანმანათლებლო საზოგადოებამ, მისი ძირითადი მიზანი იყო ყველაზე ადრეული მუსლიმი თაობების მოდელზე დაფუძნებული მუსლიმური საზოგადოების შექმნა. ჰასან ალ-ბანა მოგზაურობდა სუეცის არხის მიმდებარე ტერიტორიებზე, კითხულობდა ლექციებს, აგროვებდა შემოწირულობებს, ორგანიზებას უწევდა განყოფილებების ჩამოყალიბებას, აშენებდა ოფისებს და მეჩეთებს. ორგანიზაცია ჰასან ალ-ბანას სუფიური წარსულის თავისებურ ანარეკლს წარმოადგენდა. განყოფილებები შედგებოდა ახალ-გაზრდების ჯგუფისგან, ორგანიზებულნი იყვნენ იერარქიულად, ვალდებულებებისა და დემონ-სტირებული ცოდნის მიხედვით. სხვადასხვა განყოფილებების შემაერთებელი რგოლი იყო ჰასან ალ-ბანა-მურშიდი (ორგანიზაციის წინამძღოლი და მაჯლის აშ-შურა (საკონსულტაციო საბჭო), რომელიც ოფიციალურად 12 წევრისგან შედგებოდა, ხანდახან მეტისგანაც. 1932 წელს მან "მუსლიმი ძმების" შტაბ-ბინა კაიროში გადაიტანა, რითაც გამოხატა ეგვიპტის პოლიტიკაში უფრო აქტიური როლის თამაშის სურვილი. მთლიანად ორგანიზაციაც მყარად შეერწყა პოლიტიკურ პრო-ცესებს 1940-იანი წლების ბოლოს, თავის პალესტინის, სირიის, ერაყისა და სუდანის განყოფი-ლებების მეშვეობით. ჰასან ალ-ბანას იდეოლოგიურ ხედვებზე წვდომა მისი მრავალრიცხვოვანი ნაშრომების მეშვეობით არის შესაძლებელი. მათგან ორი ყველაზე მნიშვნელოვანია მისი მე-მუარები და გამოქვეყნებული წერილების კრებული. მისთვის ისლამი იყო ერთიანი სწავლება, რომელიც თავის მხრივ უზრუნველჰყოფდა მუსლიმებს ისეთი სახელმძღვანელო პრინციპებით, როგორებიცაა: ღვთისმოსაობა, საზოგადოებრივი მორალი და სოციალური სამართლიანობა. ასეთი თვალთახედვის ლოგიკური გაგრძელება იყო ისლამური სახელმწიფოს დაარსება. ასეთი სახელ-მწიფოს ხელმძღვანელები უნდა ყოფილიყვნენ იდეის მიმართ ერთგული, ინფორმირებული მუსლიმები და „ძმებს" უნდა მოემზადებინათ ამისათვის თავის თავი.

მას შემდეგ, რაც 1940-იანი წლების ბოლოს ორგანიზაცია ქვეყნის აქტიურ პოლიტიკაში ჩა-ერთო, ჰასან ალ ბანას აღარ შეეძლო „მუსლიმ ძმებს" შორის წარმოქმნილი აზრთა სხვადასხვაობა ჩაეხშო. მისი კონტროლი „საიდუმლო აპარატზე"-ორგანიზაციის იმ ფრთაზე რომელიც პასუხის-მგებელი იყო სამთავრობო დაწესებულებებისა და ოფიციალური პირების წინააღმდეგ მოწყობილ თავდასხმებზე, ძალზე სუსტი იყო. ორგანიზაციის გასამხედროებული მებრძოლების უმრავლე-სობამ უარყო მისი შეთანხმება ხელისუფლებასთან, რომლის მიხედვითაც „მუსლიმი ძმების" შეი-არაღებული ჯგუფები ეგვიპტის არმიის ნაწილი უნდა გამხდარიყო პირველი არაბეთ-ისრაელის ომის დროს, 1948-1949 წლებში. სამხედრო დეკრეტის გამოცემის შემდეგ, რის მიხედვითაც ორგანიზაციის საქმიანობა აიკრძალა, 1948 წლის დეკემბერში, ორგანიზაციასთან დაკავშირებულმა სტუდენტმა მოკლა ეგვიპტის პრემიერ მინისტრი მაჰმუდ ფაჰმი ალ-ნუქრაში. ამ აქციის საპასუხოდ, ქვეყნის საიდუმლო პოლიციამ 1949 წლის 12 თებერვალს მოკლა ჰასან ალ-ბანა (Sohail,2029:104-105).

XX საუკუნის შიიტი საერო ისლამისტი ალი შარიათი (1933-1977) იყო გამორჩეული მოა-ზროვნე, რომელსაც 1979 წლის ირანის ისლამური რევოლუციის ვოლტერს უწოდებენ. იგი აცხა-დებდა, რომ ისლამი არაა ის, რაც დღეს არის და რომ ჩვენი სარწმუნოებრივი პრინციპები გაურ-კვეველია, ან უცხო ელემენტებთანაა შერეულიო. ბოლო ასი წლის განმავლობაში დავინახეთ, რომ მუსლიმებს ძირეული რეფორმა, სწორი რელიგიური აზროვნება, ისლამის განახლება და იმ წმინდა საწყისებთან დაბრუნება გვესაჭიროება, რომლებსაც ცამეტი საუკუნის წინ დავშორდით – აცხა-დებდა იგი. ალი შარიათი ირანელებს შეახსენებდა, რომ მათ თავდაპირველად მუსლიმის უფლებების დაცვისა და სამართლიანი მმართველობის გამო აირჩიეს შიიზმი. პირველყოფილი

ისლამის პრინციპები ირანელმა ერმა ალის ცხოვრებაში დაინახა და სწორედ ექსპლოატაციისაგან თავის დასაღწევად აღიარა შიიტური ისლამი. ალი შარიათი ისლამში ორგვარი შიიზმის არსებობაზე საუბრობდა. ესაა: ალიდური, ანუ „წითელი შიიზმი“ (ალის, ჰასანისა და ჰოსეინის ეპოქა) და „შავი შიიზმი“, რომელმაც სეფიანთა დროს ოფიციალური სახე მიიღო. შიიზმის ამგვარ დაყოფაში ალი შარიათის მიზანი იყო, დაესაბუთებინა სამართლიანობისთვის მებრძოლი სარწმუნოების სიწმინდე და განესხვავებინა ის, გვიანდელი სახელმწიფო რელიგიისაგან. ალი შარიათის ხედვით ხაზს, შიიტი ულემის წოდება თავისუფალი სოციალური ინსტიტუციაა და არაფერი აკავშირებს ხელისუფლებასთან. იგი აცხადებდა რომ, ისლამის უმთავრესი ტრადიცია მოწამებრივი სიკვდილი და ადამიანის შრომაა, რომელიც დესპოტიზმთან ბრძოლის, სამართლიანობის დამყარებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ისტორიასთან არის შერწყმული. ალი შარიათი იყო პირველი, ვინც დაარღვია „მოლოდინის” [ენთეზარ] პასიური ინტერპრეტაცია. მისი აზრით, „ფარული” იმამის გაუჩინარების პერიოდს გაცილებით ძლიერი პოლიტიკური და სოციალური დატვირთვა აქვს, ვიდრე მეტაფიზიკური და ფილოსოფიური. ალი შარიათი მკაცრად აკრიტიკებდა დასავლეთსა და იმპერიალიზმს ძალადობის გამო და ამტკიცებდა, რომ შიიტური სამღვდელოების პასიურობა ახალ თაობებს ისლამს აშორებდა და მათ დასავლეთის ხელში აგდებდა. იგი ასევე აკრიტიკებდა დასავლურ დემოკრატიასაც. მისი აზრით, „მესამე სამყაროს“ ხალხებს დასავლეთთან და იმპერიალიზმთან დასაპირისპირებლად უპირველესად საკუთარი კულტურული ცნობიერება უნდა აღმოეჩინათ, რომელიც ზოგ ქვეყანაში რელიგიურ ტრადიციებთან იყო შერწყმული. მას მიაჩნდა, რომ „მესამე სამყაროს" ხალხები მხოლოდ საკუთარ ფესვებთან, ეროვნულ საგანძურთან და საკუთარ ეროვნულ კულტურასთან დაბრუნებით შეძლებენ იმპერიალიზმის დამარცხებას, სოციალურ თვითგაუცხოებაზე გამარჯვებას და ფასეულობებისა და ღირსების დაკარგვის გარეშე მიაღწევენ დასავლურ ტექნიკურ პროგრესს. ის აცხადებდა, რომ ირანელების ლტოლვა შიიზმისაკენ აიხსნება მათი მისწრაფებით ისლამის არსისადმი, რადგან მხოლოდ ალიდური შიიზმი აღიარებს ისლამის ორ ძირითად პრინციპს: სამართლიანობას და იმამათს (იმამის ფუნქციის განხორციელება). რაც შეეხება იმამათს, ის მხოლოდ თორმეტი იმამის სიწმინდის აღიარება არ არის. ის მმართველობის სისტემაა, რომელსაც აკისრია იმ მიზნებისა და კანონების განხორციელების სოციალური პასუხისმგებლობა, რომლებიც რელიგიის სახელით ადამიანის სრულყოფისა და საზოგადოებაში სამართლიანობის დასამყარებლად არის მოწოდებული. იმამათი ჭეშმარიტი ისლამური მმართველობის განხორციელებაა. ალი შარიათის მიაჩნია, რომ სამართლიანობა (ედალათ) და იმამათი გამოარჩევენ ისლამს მანამდე არსებული რელიგიებისგან. ალი შარიათის ხედვით „უმმა' თანასწორუფლებიან (სამართლიანობაზე დამყარებული) ადამიანთა გაერთიანებაა, მიმართული საერთო მიზნისკენ, რომელიც მოძრაობა / ამბოხისათვის [ნეჰზათ] ირჩევს გზას [ალ-თარიკ ალ-ვაზეჰ] საერთო წინამძღოლით [რაჰბარ] და მისი მნიშვნელობა პროგრესია. ალი შარიათის აზრით „უმმა" უნივერსალური ისლამური საზოგადოებაა, სადაც ისლამი როგორც რელიგიური იდეოლოგია, გზისა და მიზნის ორიენტირია. ერთი მხრივ, შარიათი მიჰყვებოდა ისლამურ პრინციპს, რომლის თანახმად სამყაროს ერთადერთი და აბსოლუტური მმართველი ღმერთია და ადამიანი მხოლოდ მას ემორჩილება. მეორე მხრივ კი, აცხადებდა, რომ ადამიანს არ ძალუძს იცხოვროს ხელმძღვანელის გარეშე, რომელიც შეძლებს, გაიგოს ღმერთის ჩანაფიქრი და ხალხის საჭიროება. იგი შიიტებისა და სუნიტების პირველსაწყისი ერთობის მომხრე იყო და დიდ ყურადღებას აქცევდა მუსლიმთა „კულტურული რეგიონის“ ჩარჩოებში გაერთიანების საკითხს. ეს რეგიონი მოიცავდა ერთიან, ისლამურ მსოფლიო სახელმწიფოს, რომელიც იქნებოდა ცენტრალიზებული და მას უხელმძღვანელებდა განუსაზღვრელი უფლებამოსილებით აღჭურვილი ქარიზმატული პიროვნება. მუსლიმები უნდა ისწრაფოდნენ, რომ „მთელი კაცობრიობა აღიარებდეს თოუჰიდურ სარწმუნოებას - ისლამს. მათ უნდა შეასრულონ მოციქულის შეგონება - იბრძოლონ სამართლიანობის დამყარებისა და ხალხის ინტერესებისათვის (პიტიურიშვილი, 2021:702-710).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სუნიტურ ისლამში პირობითად არსებობდა ისლამისტი იდეოლოგების ორი თაობა. პირველი მათგანი რადიკალურად იყო განწყობილი ისლამში სიახლეების შეტანის მიმართ. მეორე თაობა კი, რომლებიც თავიანთი წინამორბედების იდეოლოგიის მიმდევრები იყვნენ, ასპარეზზე გამოვიდნენ იმ პერიოდში, როდესაც ისლამისტური იდეოლოგია უკვე დასავლური კულტურული ექსპანსიის შემაკავებელ ძალად იყო ჩამოყალიბებული. უნდა აღინიშნოს, რომ მათი უმრავლესობა გარკვეული წლები დასავლეთში ცხოვრობდა და განათლებაც იქ ჰქონდათ მიღებული, თუმცა ისინი დასავლეთში ნაცხოვრები და განათლება მიღებულები იყვნენ. მათგან მხოლოდ არ-რაზაქმა შეძლო დასავლური და მუსლიმური სამართლის შერწყმა-შეკავშირება, რაც იმის მაგალითია, რომ ზომიერ ისლამისტებს დასავლეთთან ურთიერთობის პრობლემა ნაკლებად აქვთ. შიიტი ისლამისტი საერო და სასულიერო იდეოლოგები, გარდა იმისა, რომ გარკვეული რეფორმების გატარების მომხრეები იყვნენ ისლამში, ისინი არა დასავლურ კულტურას, არამედ, დასავლეთის იმპერიალიზმს ებრძოდნენ. რაც შეეხება ისლამს, როგორც სუნიტი, ისე შიიტი ისლამისტები ამ რელიგიის უნივერსალურობას უსვამდნენ ხაზს და მათთვის მიუღებელი იყო ისლამში ისეთი მცნებების შემოტანა, როგორიცაა დემოკრატია და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გელოვნი ნ, სანიკიძე გ. ისლამი. თბ., 2009
2. კაპანაძე მ. აიათოლა ხომეინის პოლიტიკური პორტრეტი. *„საქართველო-ირანის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობებისადმი მიძღვნილი პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომები'. თბ., 2015.*
3. პიტიურიშვილი თ. პილ ალი შარიათი - რადიკალი იდეოლოგი იდეალური სოციალური სისტემის ძიებაში. *„საქართველო-ირანის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობებისადმი მიძღვნილი მეოთხე და მეხუთე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების შრომები'. თბ., 2021*
4. სანიკიძე გ, ალასანია გ, გელოვანი ნ. ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIX ს.-XXI ს.-ის დასაწყისი). ,თბ., 2011
5. accessed July 3, 2021 at web page http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=7215
6. Bendroth M. Christian fundamentalism in America. – *Oxford Research Encilopedia of Religion,* February 2017, accessed July 3, 2021 at web pagehttp://religion.oxfordre.com/view/10.1093/acrefore/9780199340378.001.0001/acrefore-9780199340378-e-419.
7. Dominic G. Three Emires on the Nile: The Victorian Jihad, 1869-1899. A divison of Simon & Schuster, Inc, NY., 2007. E-Book at Google Books – https://books.google.ge/books?id=5VTlZlIcZrwC&pg=PA94&lpg=PA94&dq=Colonel+Urabi&source=bl&ots=y6Wd-xqBCq&sig=k37rvZvj51eez03pHxN9eCCPfa4&hl=ka&sa=X&ved=2ahUKEwihxdXArLjdAhVFWCwKHUaLCNYQ6AEwDnoECAQQAQ#v=onepage&q=Colonel%20Urabi&f=false გვ. 84-94 .
8. Fundamentalism. – *Catholic Answers,* accessed July 3, 2021 at web page https://www.catholic.com/tract/fundamentalism.
9. James P. IBN TAYMIYYA. *Encyclopedia of Islam and the Muslim World, Vol. I*. USA, 2019.
10. John O. Voll. SALAFYYA. - *Encyclopedia of Islam and the Muslim World*. *Vol. II*. USA., 2004.
11. Khaled Abou EL-Fadl. ‘ABD AL-RAZAQ AL-SANHURI. *Encyclopedia of Islam and the Muslim World, Vol*. I. USA, 2018.
12. Malik J. MAUDUDI, ABU L-A’LA’. *Encyclopedia of Islam and the Muslim World, Vol. II*. 2020.

13. Mestyan A. Khedive. *Encyclopaedia of Islam*. Leiden- Brill., 2020, ვ3. 70-71. https://wwcademia.edu/41881191/_Khedive_Encyclopaedia_of_Islam_Three_Leiden_Brill_2020_2_70_71.
14. Modernism. – *The Oxford Dictionary of Islam,* accessed July 3, 2021 at web page http://www.oxfordislamicstudies.com/print/opr/t125/e1537.
15. Pan-Islamism. - *The Oxford Dictionary of Islam*, accessed July 3, 2021 at web page http://www.oxfordislamicstudies.com/print/opr/t125/e1819.
16. Sohail H. Hashmi BANNA, HASAN AL. *Encyclopedia of Islam and the Muslim World, Vol. I*. USA. 2019.
17. Sohail H. Hashmi. QUTB, SAYYID. *Encyclopedia of Islam and the Muslim World, Vol. II*.. USA, 2020.
18. Susan A. Spektorsky. IBN HANBAL. *Encyclopedia of Islam and the Muslim World, Vol. I*. USA, 2017.
19. Youssef M. Revolt against Modernity: Muslim Zealotsand the West. E.J. Brill – Lieden., 1985ვ3: 5354. https://books.google.ge/books?id=R6k3AAAAIAAJ&pg=PA54&lpg=PA54&dq=Colonel+Urabi&source=bl&ots=kSqeKKWATF&sig=nZvKPc3T5HsJI0mosJgFmW4h-Bg&hl=ka&sa=X&ved=2ahUKEwihxdXArLjdAhVFWCwKHUaLCNYQ6AEwDHoECAUQAQ#v=onepage&q=Colonel%20Urabi&f=false.

Islamic Modernism and Muslim Reformers

Maia kapanadze Caucasus International University Associate Professor

Summary: Interest in the causes of the formation of Islamic radicalism is still high. Researchers continue to pay significant attention to the analysis of this problem, as Islamism and its related challenges are still a serious global problem. Moderate and radical Islam must be distinguished from each other. In general, the formation of radicalism in Islam has a long history, which had certain political reasons. In this regard, Ibn Taymiyyah and Muhammad Ibn Abd al-Wahhab should be singled out. At the same time, we cannot ignore the discussion of Muslim reformers: Abdu, Ad-Afghani and Ar-Raziq, Al-Mawdud, Said Qutb and their ideologies. It should be noted that Al-Mawdudi, Ayatollah Ruhollah Khomeini and secular Islamist Ali Shariati had a serious influence on the current political processes in Muslim countries. Also of note are the views of Sunni and Shia Muslim reformers and the similarities and differences between these views.

Two generations of Islamist ideologues conventionally existed in Sunni Islam. Their first generation was radical in bringing innovations to Islam. The second generation followed the ideology of their predecessors. It should be taken into account that they came to the arena in the period when the Islamist ideology was already established as a restraining force of Western cultural expansion.

However, it should be noted that most of them lived in the West for some years and received their education there. Among them, only Ar-Razzaki was able to combine Western and Muslim law, which is an example of the fact that moderate Islamists have little problem with the West.

Shiite Islamist secular and clerical ideologues Ali Shariat and Imam Khomeini, in addition to being in favor of some reforms in Islam, they fought not against Western culture, but against Western imperialism.

Both Sunni and Shiite Islamists emphasized the universality of Islam. It was unacceptable for them to introduce such commandments as democracy etc. into Islam.

Key words: Islamism, radicalism, ideology, reformer, modernism.

კულტურის საკითხების გაშუქება ეროვნულ მაუწყებლობებზე

სოფიკო გორგილაძე

სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი: თამედროვე სამყაროს მეცნიერთა და მკვლევართა ინტერესი, ხშირ შემთხვევაში, ინტერნეტგვერდებზე, პრესასა და მაუწყებლობაში კულტურული მოვლენების გაშუქების სპეციფიკაა. კულტურისა და ხელოვნების საკითხების თემატური გაშუქება მოსახლეობის ზოგიერთი სეგმენტის კულტურულ საჭიროებებს პასუხობს. თანამედროვე საშუალო სტატისტიკური ქართველისთვის განსაკუთრებული ინტერესის საგანი პოლიტიკაა. უკანა პლანზე რჩება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც კულტურისა და ხელოვნების გაშუქება. საკითხის აქტუალურობა სწორედ გაშუქების პრობლემატიკას უკავშირდება. რა ძირითად ტენდენციებს შეიცავს თანამედროვე სამაუწყებლო ნაციონალური მედია, რომელი თემებია აქტუალური, რა კონკრეტული ნაბიჯები უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს მდგომარეობის გასაჯანსაღებლად. წარმოდგენილი სტატიის ძირითადი მიზანიც, სწორედ კონკრეტული მაგალითების მოძიება-დახარისხება და მათი შედეგებსა და რეკომენდაციებში ჩამოყალიბებაა. მედია საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობს. შესაბამისად, მაყურებლისთვის ინფორმაციის სწორი რაკურსით მიწოდებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. რადგან ქართული მაუწყებლების სატელევიზიო ბადე ძირითადად პოლიტიკურ სიახლეებს შეიცავს, უკანა პლანზე იწევს ისეთი მნიშვნელოვანი და ღირებული საკითხების გაშუქება, როგორიც კულტურის თემატიკაა. მედიას, ნებისმიერი მიმართულებით, შესწევს უნარი და ფლობს ყველა საჭირო ინსტრუმენტს, რათა შეარყიოს საზოგადოების ინტერესის მდარე საფუძვლები. ამიტომაც მისი მუდმივი მონიტორინგი და, საჭიროების შემთხვევაში, რეგულირების მექანიზმების ამოქმედებაა საჭირო.

საკვანძო სიტყვები: მასობრივი კულტურა; მედიაკულტურა; კულტურული გემოვნება; პოპ-კულტურა; ტრადიციული მედია; ახალი მედია; კულტურის კვლევები; ფრეიმინგი - სელექციურობას და გარკვეული საკითხების წინ წამოწევას გულისხმობს.

არსებობს ტერმინი - მასობრივი კულტურა, იგივე მასკულტურა. მასკულტურას პოპულარულ კულტურას უწოდებენ, რომელიც ყოველდღიური ცხოვრების ნაწილად შეიძლება მივიჩნიოთ. როგორც ვიცით, ადამიანებს მიმბაძველობა გვახასიათებს. მასკულტურაც სწორედ ამ თვისებიდან გამომდინარებს. ყველაფერი, რაც მასობრივია, მასკულტურად შეიძლება მოვიაზროთ. როდესაც გვაცვია ჯინსი ან მოდის ინდუსტრიაში ფართოდ დამკვიდრებული ტანისამოსი, მოვიხმართ ერთსა და იმავე სახის ნივთებს, ვჭამთ ერთნაირ საჭმელს თუ ვუსმენთ მსგავსი სახის მუსიკას. ძირითადად, მასობრივი კულტურის სათავე, ერთგვარი ცივილიზაციის ცენტრი დასავლეთია.

ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინდიკატორი, ეკონომიკურ და სოციალურ ინდიკატორებთან ერთად კულტურა და კულტურული ცხოვრებაა. ხელოვნება, თავისი დარგებითა და მიმდინარეობით, რეალობას ირეკლავს, ფილოსოფიურად განიხილავს მას, ხოლო მასობრივი კულტურა ხშირად საპროტესტო მოძრაობებსაც იწვევს ამა თუ იმ სუბკულტურისა და ჯგუფის სახელით.

ხელოვნებას შეუძლია ერთდროულად იდეოლოგიზებულ იარაღად იქცეს სისტემების ხელში და ამავე დროს, ხელი შეუწყოს იდეოლოგიური და სოციალურ-პოლიტიკური წარმონაქმნების დანგრევასა და ტრანსფორმირებას.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, საინტერესოა, რამდენად ინტერესდება ქართული სამაუწყებლო მედია კულტურის საკითხების გაშუქებით, ხელოვნების რომელი დარგებია მისთვის პრიორიტეტული ან საერთოდ, ქართულ სატელევიზიო/ონლაინ მედიასა და ხელოვნების ურთიერთმიმართებაზე საუბრისას სიტყვა „პრიორიტეტული“ შეუსაბამო ხომ არ არის?

კულტურა ლათინურად დამუშავებას, მოვლას ნიშნავს. პირველად ეს ტერმინი გამოიყენა ძვ. წ. III – II საუკუნის რომაელმა მოღვაწემ კატონმა. მან დაწერა წიგნი სოფლის მეურნეობის შესახებ, სადაც სიტყვა ,,კულტურა" იხმარა მიწის, ნიადაგის დამუშავების, მოვლა – პატრონობის აღსანიშნად. შემდგომ ამ ტერმინმა შეიცვალა თავისი მნიშვნელობა და გამოყენებულ იქნა ადამიანის სულიერი საქმიანობის მიმართ. ამის დასტურია ცნობილი გამოთქმა ,,ფილოსოფია არის სულის კულტურა", რომელიც ეკუთვნის ძვ. წ. I საუკუნის მოზროვნეს ციცერონს (ძვ. წ. 106 –143).

თანამედროვე გაგებით, ცნება „კულტურა" განსაზღვრავს საზოგადოების სულიერი განვითარების მდგომარეობას, განაპირობებს ერის, როგორც ერთიანი კულტურული ფენომენის არსებობას, როგორც საერთო ენის, მეხსიერებისა და იდეის მატარებელ საზოგადოებრივ ერთობას.

დღევანდელი ქართული ცნობიერება მეოცე საუკუნის მძლავრი კატაკლიზმების შედეგად ჩამოყალიბდა. ბოლო ათწლეულების მუდმივმა პოლიტიკურმა შეჯახებებმა საბედისწეროდ გახლიჩა საზოგადოება, დანერგა შეუწყნარებლობა, ექსტრემიზმი, ადვილი აგზნებადობა, სიძულვილი სხვაგვარად მოაზროვნეთა მიმართ და საერთო ჯამში – ნიჰილიზმი ყველასა და ყველაფრის მიმართ.

სხვადასხვა ქვეყანაში მსგავსი ტურბულენტური სიტუაციების შესწავლამ ევროპელი მკვლევრები მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ პოლიტიკური დაპირისპირებები, აგრესია და ომები კი არ იწვევს კულტურის კრიზისს, არამედ პირიქით, შეურიგებლობა, აგრესია და ომები კულტურის კრიზისის შედეგია. თუ დავეთანხმებით ამ პოსტულატს, ნათელი გახდება, რამდენად მნიშვნელოვანია კულტურის როლი ერის, საზოგადოების გაჯანსაღებისა და გამთლიანების პროცესში (1. კულტურა და სოციალიზაცია, 2024.)[1].

ერი საკუთარი თავის იდენტიფიკაციას ენასა და კულტურაში ახდენდა. დღესაც, ამ საბედისწერო გზისგასაყარზე, აუცილებელია გავიაზროთ კულტურა, როგორც ფენომენი, რომელსაც ეროვნული იდენტობისთვის და ქართული სახელმწიფოს ერთიანობისათვის სტრატეგიული დანიშნულება აქვს.

იმისათვის, რომ თანამედროვე სამყაროში ერის მრავალსაუკუნოვანი და მრავალფეროვანი კულტურა განვითარდეს და გაღრმავდეს, მას შესაფერისი გარემო სჭირდება. ოცდამეერთე საუკუნეში, კაცობრიობამ საკუთარ თავზე იწვნია ყველანაირი შეფერილობის დიქტატურების თუ ერთპიროვნული მმართველობების კატასტროფული შედეგები. კულტურის განვითარებისთვის ასეთი ერთადერთი და აუცილებელი გარემო დემოკრატიაა, ანუ თავისუფალ პიროვნებათა შემოქმედებითი ძალების თავისუფალი რეალიზაციის შესაძლებლობა.

ყოველი ახალი თაობა ხელახლა ქმნის კულტურას მას და შემდეგ თაობას გადასცემს. ეს პროცესი სოციალიზაციის საფუძველია. მრწამსის, ღირებულებების, ნორმების, წესების და იდეალების ათვისების შედეგად ხორციელდება. სოციალიზაციის პროცესის მასობრივი შეწყვეტა კულტურის დაღუპვას გამოიწვევდა (ფირალიშვილი, 2024)[2].

კულტურა არა მხოლოდ ამტკიცებს ადამიანებს შორის სოლიდარობას, არამედ მათ შორის და ჯგუფის შიგნით კონფლიქტების მიზეზიცაა.

კულტურა ხდება ,,მასობრივი", როდესაც მისი პროდუქტი სტანდარტიზებულია და საჯაროდ ვრცელდება. ყველა საზოგადოებაში არსებობს ქვეჯგუფების დიდი რაოდენობა, რომელთაც განსხვავებული კულტურული ღირებულებები და ტრადიციები აქვთ. საზოგადოების უმრავლესობისაგან განმასხვავებელ ნორმებისა და ღირებულებების სისტემას სუბკულტურა ეწოდება.

მასობრივი კულტურის წარმოშობას ხელი შეუწყო მასობრივი კომუნიკაციების საშუალებათა განვითარებამ – გაზეთები, პოპულარული ჟურნალები, რადიო, ტელევიზია, კინემატოგრაფი, კომპიუტერი, ინტერნეტი. ამ საშუალებათა წყალობით სამომხმარებლო ბაზარი გადავსებულია მრავალრიცხოვანი ,,ექშენებით", ,,საპნის ოპერებით", დეტექტივებით, ბესტსელერებით. არსებული

მდგომარეობა არაერთგვაროვნად შეიძლება შეფასდეს. ერთი მხრივ, კულტურა ბევრად უფრო დემოკრატიული ხასიათის გახდა - კულტურას ეზიარა საზოგადოების ფართო აუდიტორია, მეორე მხრივ, ინფორმაციის მასობრივ საშუალებათა კომერციალიზაციამ განაპირობა ისეთი საშუალებების გამოყენება, რომლებიც აქვეითებს მის შემოქმედებით პოტენციალს, ამდაბლებს და უხამსს ხდის მაღალ, დახვეწილ კულტურას (სერ ჯონ ტუსას, 2024)[3] .

დღეისათვის პოპულარული მედიასაშუალება ტელევიზიაა. ნაციონალური მაუწყებლები, რომლებიც მაყურებელთა სიმცირეს ნამდვილად არ უჩივიან, კულტურისა და არა პოპკულტურის საკითხებს ყურადღებას დიდად არ აქცევენ. მარტო ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის", „რუსთავი 2-ის", „იმედის", ,,მთავარი არხის", ,,TV პირველის", ,,პალიტრა ნიუსის", ,,ფორმულას" სამაუწყებლო ბადეზე ზედაპირული დაკვირვებაც კი მოწმობს ამ სამწუხარო ტენდენციას. ჩამოთვლილი რეიტინგული მაუწყებლებიდან არცერთი არ უთმობს დროს ხელოვნების სხვადასხვა დარგის პრობლემატიკას. ისინი ოსტატურად ანაცვლებენ კულტურის საკითხებზე არსებულ გადაცემებს მდარე, პოპკულტურის შემცველი პროდუქციით.

ქართული ნაციონალური მაუწყებლების პროგრამულ ბადეს რომ გადავხედოთ, დავრწმუნდებით, რომ მათი სატელევიზო პროდუქციის თითქმის 80% პოპკულტურაა. რა თქმა უნდა, პოპკულტურის ფენომენი არაა მიუღებელი. არც ის შეხედულებაა სწორი, რომლის მიხედვითაც, ე. წ. მასობრივი კულტურა მდარე გემოვნებასთან ასოცირდება. კარგა ხანია, პოპკულტურის ასეთი შეფასება არასერიოზულად მიიჩნევა, რადგან მასობრივი კულტურა ის სოციალურ-კულტურული რეალობაა, სადაც არსებობა გვიწევს. ესაა კულტურის სახეობა, რომელშიც ერთდროულად კარგი და ცუდი პროდუქციაც იქმნება.

პოპკულტურა მნიშვნელოვანია, რადგან მისი იდეოლოგიური ზემოქმედების საშუალებები მძლავრია. აი, ამ იდეოლოგიური მესიჯების გამტარი კი სწორედ მედიაა. მედიის გარეშეც არსებობდა და იარსებებს პოპკულტურა, მაგრამ მისი მთავარი ღირსება სწორედ ისაა, რომ მას ყველა ნოვაციასთან ადვილად შეუძლია ადაპტირება და მედიაში ასე დიდი დოზით მასობრივი კულტურის შეღწევაც ამ ადაპტაციის უნარს უკავშირდება (წარმომჩენი, https://artinfo.ge, 2024) [4].

პოპკულტურას გვერდს ვერ უვლიან დასავლური მედიასაშუალებები, მაგრამ მათი უმეტესობა მასობრივი კულტურის ხარისხიანი პროდუქტის საზოგადოებისთვის მიწოდებას, მეტ-ნაკლებად, წარმატებით ახერხებს. ჩვენთან კი „ხარისხის ფილტრი", ფაქტობრივად არ მუშაობს.

ზოგადადაც, პოპკულტურა კომერციულ მოგებაზეა გათვლილი, სწორედ ამიტომ, საყურადღებოა პოპკულტურის პროდუქციის თვისებრიობაზე დაკვირვება. პოპკულტურა გართობასა და მოგებაზეა ორიენტირებული. ქართული სამაუწყებლო მედია პროგრამულ ბადეს სერიალების საშუალებით ავსებს. მაგალითად, „რუსთავი 2" სამუშაო დღეებში, დილის ექვსიდან ღამის თორმეტ საათამდე, ეთერში შვიდ სერიალს უშვებს (ძირითადად, ინდურ, თურქულ და ერთ ამერიკულ სატელევიზიო ფილმს). „იმედი" - რვას, აქაც პროდუქციის წარმომავლობა იდენტურია.

მას შემდეგ, რაც ქართულ ტელესივრცეში ერთი მეორის მიყოლებით ტელესერიალები გამოჩნდა, საზოგადოების მენტალიტეტმა რეგრესული რყევა განიცადა. შეიცვალა ღირებულებები და გემოვნების ნიშნულმაც ქვემოთ დაიწია.

ამერიკული წამოწყება დღემდე ყველაზე გავლენიანია თანამედროვე მსოფლიოში. ,,საპნის ოპერა" გათვლილია სოციალურად დაუცველ ფენასა და ღარიბებზე.

გართობის გარანტად გვევლინება ურყევი დრამატურგიული სტრუქტურა, რაც ნარატივ(ებ)ის უსასრულო წყებაში გამოიხატება; თხრობის წყვეტა ხდება ყველაზე კულმინაციურ მომენტში, რითიც მაყურებლის ცნობისმოყვარეობა გააქტიურებულია და აიძულებს მას მომდევნო სერიის ყურებას.

რაც შეეხება ქართულ ნაწარმს, მედია ორი ტიპის პროდუქციას გვთავაზობს - დრამასა და კომედიური ჟანრის სერიალებს. „ჩემი ცოლის დაქალები“ წლებია, პოპულარულობით სარგებლობს და, ჩვეულებრივ, აქტუალურ თემებზე ამახვილებს ყურადღებას, იგი, ალბათ, ერთ-ერთი საუკეთესო პროდუქციაა, სოციალური სატირა, რაც ჩვენს ტელესივრცეში იქმნება. სერიალები „ქერჩი-დაკარგული გმირები“, „ტიფლისი“, მიუხედავად მათი მაღალი ვიზუალური მხარისა, მხატვრული თვალსაზრისით არ გამოირჩევა, თუმცა მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

წლების წინ, ამერიკული სერიალის „Friends“ – ის ქართულმა ვერსიამ „შუა ქალაქის“ სახელით, ფურორი მოახდინა. იუმორისტული სერიალი დღესაც განმეორებით გადის ეკრანზე. მაყურებელი კვლავ დიდი ინტერესით და მოლოდინით ადევნებს თვალს, რადგან მასში გაჟღერებული მყისიერი ჯანსაღი იუმორი მეტად აქტუალურია და არ არის სარკაზმით გაჯერებული.

ქართული მედია გვთავაზობს პოპკულტურის ისეთ სახეებს, როგორიცაა მუსიკალური შოუები. მსოფლიოში პოპულარული პროექტები ,,მხოლოდ ქართული“ და „ვოისი“ კომერციულად მომგებიანია საქართველოშიც, მაგრამ ჩვენთან მედია ამ შოუებს, გარდა კომერციული ინტერესებისა, მაყურებლის გემოვნების განმსაზღვრელ საშუალებადაც იყენებს. გარდა იმისა, რომ მსგავსი შოუების რეპერტუარი, ფაქტობრივად, არ იცვლება, კონკურსების ჟიურიში ვხედავთ პერსონებს, რომლებსაც მუსიკასთან არავითარი კავშირი არ აქვთ, ან ისეთ „პოპულარულ“ შემსრულებლებს, რომელთა მუსიკალური „პროდუქცია“, უბრალოდ, კრიტიკასაც ვერ უძლებს (,სუბკულტურები, 2024) [5].

სამწუხაროდ, მასობრივი კულტურის მსგავსი პროდუქციის ტრანსფორმაცია იშვიათად თუ სრულდება წარმატებით. სკანდალებსა და ბულვარულ თემებზე აგებული შოუები მასობრივი კულტურის ერთ-ერთი მთავარი გამოვლინებაა. სამწუხაროდ, ქართულ მედიასივრცეში ამ გამოვლინების არაერთ სახეს ვხვდებით, რომელიც დაწყებული თემატიკით, დამთავრებული სტუმრებით, ყველაზე მეტად პოპკულტურის, როგორც დაბალი ხარისხისა და ღირებულებების მქონე კულტურის, გამავრცელებლის სახელის დამკვიდრებას უწყობს ხელს.

პოპკულტურა ადვილად აქცევს ადამიანს ცნობილ სახედ, ეს თვისება ქართულ მედიაში ყველაზე მძლავრად იგრძნობა. გამოჩნდება თუ არა რაიმე ნიშნით არაორდინალური ადამიანი, ჯერ ინტერნეტსივრცის „ვარსკვლავი“ ხდება, მალევე კი სხვადასხვა შოუს სასურველ სტუმრად იქცევა ხოლმე და ასე იქმნება ე. წ. ვირტუალური ცნობადობა.

ერთი და იგივე სტუმარი - ეს კიდევ ერთი მახასიათებელია, რომელიც ქართულ ტელეარხებზე შეიმჩნევა. ისეთ შოუებში, როგორიცაა „ვანოს შოუ“, „ნანუკას შოუ“, ხშირად სრულიად განსხვავებულ თემებზე მოსაუბრე ერთსა და იმავე რესპონდენტებს ვუსმენთ.

როცა პოპკულტურის ყველაზე მდარე პროდუქციაზე ვსაუბრობთ, უპირველესად გვახსენდება ისეთი თემატური არხები, როგორებიცაა „კომედი არხი“ და „მარაო“, სადაც სიტყვები - ხარისხი, შინაარსი - გაუფერულებულია.

ერთფეროვანი ტექსტები, სტანდარტული სიუჟეტები, ინტერვიუები ხელოვანებთან ბანალური შეკითხვებით - ეს იმ მცირე ნიშანთა ჩამონათვალია, რომლებიც ნაციონალური მაუწყებლების საინფორმაციო, დილისა და შუადღის გადაცემების კულტურის მიმომხილველების ჟურნალისტური ხელწერისთვის არის დამახასიათებელი. არანაირი კრიტიკა, ანალიზი, კრეატიულობა. ხშირად გამოფენებიდან ან სხვადასხვა პრემიერიდან ჩართვების დროს ისეთი გრძნობა გიჩნდება, თითქოს პოლიტიკურ ინტრიგებზე „მონადირე“ პროდიუსერები და რედაქტორები კულტურის სფეროზე მომუშავე ჟურნალისტების პროფესიულ უნარებსა და მათ მიერ გაშუქებული მოვლენების ხარისხს საერთოდ არ აქცევენ ყურადღებას, რადგან წლებია, კულტურის საკითხების გაშუქების სტანდარტი არ იცვლება: იგი ორ სტრუქტურულ ხაზს მიჰყვება: ან სრულიად ზედაპირულია და მარტო კითხვებით - „სად? რა? როდის? ვინ?“ შემოიფარგლება, ან სიუჟეტში ჟურნალისტის მიერ გამოყენებული შედარებები, სიტუაციათა აღწერის დროს მოშველიებული ლექსიკა არათუ

გაუგებარი, არამედ ხშირად შეუსაბამო და „სნობური“ ელფერის მატარებელიცაა. მართალია, საინფორმაციო გადაცემებში გასული კულტურის სიახლეების ავტორებს მოვლენათა ღრმა ანალიზს ვერ მოვთხოვთ, რადგან ახალი ამბების სპეციფიკა ამას არ ითვალისწინებს, მაგრამ ახალი ამბების ჟურნალისტიკა შემოქმედებითობას რომ არ გამორიცხავს, ეს უეჭველია (მედიაში, 2024) [6].

„იმედის“, „რუსთავი 2-ისა“ და „მაესტროსგან“ განსხვავებით, საზოგადოებრივი არხი ის ერთადერთი ნაციონალური მაუწყებელია, რომელიც ექვს გადაცემას უთმობს ხელოვნების სხვადასხვა სფეროს. წლებია, საზოგადოებრივი მაუწყებელი ამ მხრივ თანდათან უმჯობესდება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართულ სატელევიზიო ბაზარზე ყველაზე უკეთეს პროდუქციას ქმნის. კარგა ხანია, „უცნობი მუსიკა“ საზოგადოებრივი რადიოს მეშვეობითაც გადის და მისმა ტელეფორმატმა კიდევ უფრო მეტი საშუალება მისცა ავტორებს, მაყურებელს წარუდგინონ პროფესიონალი სტუმრები, ღრმად გააანალიზონ მსოფლიოს მუსიკალური სივრცე.

„თუ ფოტოგრაფია ჭეშმარიტებაა, კინემატოგრაფი ჭეშმარიტებაა ოცდაოთხჯერ წამში",- ჟან-ლუკ გოდარი. კულტურაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით კინემატოგრაფიას და თანამედროვე ქართულ კინოსაც თუ ვახსენებთ, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ არ არსებობს თანამედროვე ქართული სატირა და კომედია. თანამედროვე რეჟისორებმა დღემდე ვერ შეძლეს ისტორიული დანატოვარის შესწავლა და მასზე ახალი ელემენტების დაშენება. ქართული კომედიური კინო დღეს ერთგვარ გაცვეთილ ,,კიჩს” წარმოადგენს. მეორე მხრივ, ვერ ახერხებს რეალობაზე ზუსტ რეფლექსიას. საუბარი ზედმეტია ტრაგიკომიკურ ნარატივზე, რაც თითქმის არ გვხვდება, ან უბრალოდ გვხვდება ყალბი შინაარსითა და მხატვრული გადაწვეტებით. კინოს დიდი შესაძლებლობა აქვს. კინოხელოვანებს სჭირდებათ გასაღები, რომლითაც შეჩედება მის მარგინალიზაცია -"მასობრივი გასართობის" და"არაპროდუქტიული იარაღის", სახელით, რომელსაც არ შესწევს ძალა დაუპირისპირდეს კონფორმიზმს, უსამართლობას, ჩაგვრას. ეს მოცემულობა აცლის ძალას კინოს, ამკვიდრებს ცენზურას და არ აძლევს რეჟისორებს გაბრაზების საშუალებას.

ეროვნული მაუწყებლები არ სწყალობენ ქართველი ხელოვანების იმ მცირე რაოდენობას, რომლებიც ირჯებიან და ღირებულ პროდუქტს ქმნიან, ისინი იშვიათად თუ ჩანან ეთერში, განსხვავებით იმ ე. წ. მუსიკოსებისა თუ ფსევდო ხელოვანებისაგან, რომელთა „შემოქმედება“ კრიტიკასაც ვერ უძლებს. ისინი ასრულებენ ,,ერთჯერადი გამრთობის“ ფუნქციას და მას არანაირი ღირებულება არ გააჩნია. ყველაზე მტკივნეული საკითხი, რაც ტელე და ონლაინსივრცეში შეიმჩნევა კულტურის საკითხების გაშუქების მხრივ, ეს ანალიზური მასალების სიმცირეა. აღნიშნული ტენდენცია, ალბათ, გასაკვირი არცაა იმ ფონზე, როდესაც ქართული მედია ანალიზისა და კრიტიკული აზრის ნაკლებობას განიცდის თითქმის ყველა სფეროში.

საჭიროა მეტი პროფესიონალი ჟურნალისტი ჩაერთოს, რათა კულტურის სფერო ხარისხიანად და საინტერესოდ გაშუქდეს. ჟურნალისტების ინტელექტუალური შესაძლებლობები უნდა გასცდეს სტერეოტიპულ და აღსაქმელად გაუმართავ ტექსტებს, რომელთა მიზანი მხოლოდ იაფფასიანი საინფორმაციო გართობაა, რადგან სერიოზული, ხარისხიანი ხელოვნების ნიმუშების მიწოდება და ზოგადად, კულტურის საკითხების განხილვა, მედიის პირდაპირი მოვალეობაა. ეს საზოგადოებრივ ინტერესშიც არის და ამ სფეროს განვითარებასაც დიდად წაადგებოდა.

მართალია, ქართულ ტელეარხებზე პოპკულტურას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, თუმცა როგორც სერიალები, ისე სხვადასხვა გასართობი, შემეცნებითი, კომედიური და მუსიკალური შოუების უმრავლესობა ხარისხით არ გამოირჩევა. სამწუხაროდ, მაყურებელს პოპკულტურის ყველაზე მდარე ტიპის პროდუქცია მიეწოდება და შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ გადაცემების რეიტინგულობიდან გამომდინარე, ეს შოუები წარმატებით „საღდება“. თუ რა არის ამის მიზეზი, ეს უკვე სხვა, ღრმა კვლევის საგანი უნდა გახდეს.

ფაქტია, რომ დღეისთვის ქართული ტელევიზიები წარმატებით ახერხებენ იდეურად სუსტი და შინაარსობრივად მწირი პოპკულტურის პროპაგანდას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ,. ს.-ლ. (2024, 01 18). . Retrieved from საიტი ,,მედია მედიისთვის“ .
2. *კულტურა და სოციალიზაცია*. (2024., 02 01). Retrieved from http://socium.ge/downloads/politikurisociologia/politikuri-kultura-da-socializacia.pdf
3. მედიაში, კ. ს. (2024, 01 18). Retrieved from https://mdfgeorgia.ge/uploads/Kulturis_sakitxebis_gashukeba_qartul_mediashi.pdf .
4. სერ ჯონ ტუსას, B. W.-ი. (2024, 01 18). *https://www.culturepartnership.eu/ge/article/media-plays-important-role-in-the-development-of-creative-industries* .
5. ფირალიშვილი, ზ. ღ. (2024). *,,ქართული კულტურის განვითარების კონცეფცია''*. თბილისი: თსუ.
6. წარმომჩენი, ქ. ო. (2024, 01 18). Retrieved from https://artinfo.ge.
7. წარმომჩენი, ქ. ო. (2024, 18 01). *https://artinfo.ge*.

Screening Cultural Issues on National Broadcasts

Sopiko Gorgiladze GTU Associate Professor

Summary: The interest of scientists and researchers of the modern world is, in many cases, the specifics of coverage of cultural events on the Internet, in the press and in broadcasting. Thematic coverage of culture and art issues responds to the cultural needs of some segments of the population. Politics is a subject of special interest for the modern statistical average Georgian. Such important issues as the coverage of culture and art remain in the background. The relevance of the issue is related to the problem of coverage. What are the main trends of modern broadcast national media, which topics are relevant, what specific steps should be planned and implemented to improve the situation. The main goal of the presented article is to find and sort concrete examples and formulate them in results and recommendations. Media plays a big role in public life. Therefore, it is very important to provide information to the audience from the right perspective. As the television network of Georgian broadcasters mainly contains political news, the coverage of such important and valuable issues as cultural topics takes a back seat. The media, in any direction, has the ability and possesses all the necessary tools to undermine the foundations of public interest. Therefore, it is necessary to constantly monitor it and, if necessary, to implement regulation mechanisms.

Key words: Mass culture; Media culture; Cultural taste; Pop culture; Traditional media; New media; Cultural studies.

კრიტიკული აზროვნების პოზიტიური წყარო

მარინე სურმავა, საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი: რეფორმაციული მოძრაობისათვის, რომელიც XV საუკუნის გერმანიაში დაიწყო, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის წინა მორბედ მოძრაობას - ჰუმანიზმს. გერმანელი ჰუმანისტები თავს ესხმოდნენ რომის კათოლიკური სამღვდელოების ანგარებას, მომხვეჭელურ პოლიტიკას, მათ უმეცრებას, ეწეოდნენ მეცნიერული ცოდნის და მაღალი ზნეობრივი პრინციპების პროპაგანდას, გმობდნენ მთავრებს. სიტყვა „ჰუმანიზმი“ პოზიტიური მნიშვნელობის შემცველია, ერთი შეხედვითაც კი ჩანს, რომ ჰუმანიზმი მთლიანად ადასტურებს ტრადიციებს. როგორ შეიძლება არ უთანაგრძო ადამიანთა ლტოლვას თავისუფლებისაკენ, მაგრამ სიღრმისეულმა კვლევებმა ცხადყო, რომ ჰუმანიზმმა ადამიანი აქცია შეუზღუდავ ტიტანად. ზოგი ადამიანი მეტ-ნაკლებად ტიტანია თავისი დამოუკიდებელი ლტოლვით თავისუფლებისაკენ. ამ გზაზე მიმავალს უნდა ყოველივე საუკეთესოს მითვისება და ყველას მორჩილება. იგი არ ცნობს არავითარ ნორმებს და შეზღუდვებს და მათ შორის საეკლესიოს. ეს ყველაფერი იწვევს მწვავე წინააღმდეგობებს და სასიკვიდილო „ომებს, ყველა ყველას წინააღმდეგ“, ვისგანაც თავის არიდება შეუძლებელია. ამრიგად, ნაპოვნია „აბსოლუტური ინდივიდუალური თავისუფლების პარადოქსი“. თავისუფლების აბსოლუტური გამოვლინება აისახა რენესანსის კრიტიციზმსა და მოთმინებაზე, მათაც შეიძინეს თავისებური შეფარდება იმ გაგებით, რომ არც კრიტიკა და არც მოთმინება გარედან არანაირად არ შეიზღუდოს. თუ დაიშვებოდა კრიტიციზმი, ეს ნიშნავდა ბრძოლას, ესე იგი არამხოლოდ სიტ-ყვიერად, არამედ ძალადობით - ოპონენტისა და მისი ახლობლების ფიზიკურ განადგურებამდეც კი, თუ ძალას მოიკრეფდა „მოთმინება“ ისიც, ასევე მოქმედებდა სრული მასშტაბით. კრიტიკის საზღვრებს აფართოებს ინდივიდუალიზმის ფენომენი, რომლის ობიექტი შეიძლება გახდეს ყველა და ყველაფერი. რენესანსმა არა მარტო აბსოლუტური თავისუფლება და მისი ფუნდამენტური შედეგების დემონსტრირება მოახერხა, არამედ რეცეპტი შეიმუშავა მასთან საბრძოლველად. განვი-ხილოდ ერთი საკითხი: „უნდა დაუბრუნოს თუ არა ადამიანმა, დაკარგული ფული პატრონს“?. აქ შესაძლებელია განვიხილოთ ორი ვარიანტი: ნაპოვნი ფული გამოადგება მპოვნელს, მით უმეტეს, თუ ფული ძალიან სჭირდება, მას ფული ხომ არ მოუპარავს? მეორე: დააბრუნოს ფული ისე, რომ ამას ხედავდეს ბევრი ადამიანი, რათა მათი ყურადღება და დაიმსახუროს პატივისცემა. ამით მპოვნელი ადამიანთა ნდობას მოიპოვებს.

საკვანძო სიტყვები: კრიტიკული, განათლება , სრულყოფილება, რეფორმა, საზოგადოება, ტრადიციული.

ინდუსტრიალიზაციამდე საზოგადოებაში ჩვეულებრივ გამოყოფენ ტიპურ საზოგადოებებს - ტრადიციული და გარდამავალი საზოგადოება. საკმაოდ ახლოსაა და დაზუსტებული ვერ იქნება რეგიონული თავისებურებები, სადაც შუა საუკუნეების პერიოდში, კერძოდ, XIII–XVI საუკუნეებში ადგილი ჰქონდა ევროპაში აღორძინების ჩასახვა - განვითარებას. აღმოსავლეთის ქვეყნები ცდილობდნენ, არ ჩამორჩენოდნენ დასავლეთ ევროპის ქვეყნებს განვითარების მხრივ. ამ რიგად ტრადიციები და სპეციფიკა განსაზღვრავენ საზოგადოების იმ მდგომარეობას, რომელ ქვეყნებსაც ჩვეულებრივ, მოიხსენიებენ ტრადიციულად. ტრადიციების ყველაზე ზოგადი მნიშვნელობა მდგომარეობს შემდეგში, ურთიერთობების დამყარება ადამიანებსა ან ადამიანსა და სხვადასხვა სოციალურ ინსტიტუტს შორის აღიქმება ფაქტიურად, შემთხვევიდან - შემთხვევამდე, რომელიც გადაეცემა წარსულიდან აწყოში. ასეთ დროს ტრადიცია აღიქმება როგორც ღვთის საჩუქარი, რომლის უარყოფა ჩვეულებრივ მოკვდავ ადამიანებს არ ძალუძთ. ამიტომ, საუკეთესო, რაც მათ

შეუძლიათ, უპირობო მორჩილებაა რელიგიურ სულიერ პრინციპებთან. ამ შემთხვევაში შეიძლება ლაპარაკი „ტრადიციულ საზოგადოებაზე“ ანდა „ტრადიციულ ცივილიზაციაზე“.

„ტრადიციული ცივილიზაცია“ დამყარებულია მთელ რიგ პრინციპზე, სულიერებაზე, სადაც სულიერი წესრიგი ბატონობს. ყველა და ყველაფერი ირიბად მასზეა დამოკიდებული. მოკლედ, კრიტიციზმის და ტოლერანტობის შემდეგი განხილვა შესაბამისად კონკრეტიზირდება ორი სიტყვით „ჩვენ - ისინი“. მაგალითად ტიპური ადამიანები ასხვავებენ ხალხს ერთის მხრივ „ხალხი“, მეორე მხრივ, ევროპელი, აფრიკელი ან აზიელი. წარმოდგენა იყო ამგვარი: მხოლოდ „ჩვენ“ - ხალხი, ხოლო უცხოელები არასრული ადამიანები. ასე რომ, ადამიანებს, როგორმე რამენაირად, რომ შეემუშავებინათ ერთიანი სალაპარაკო ენა, რელიგია, კულტურა და ასე შემდეგ. ხელოვნურად ისინი მაინც შეადგენდნენ დაპირისპირებულ ცალკეულ ჯგუფებს. ტრადიციული ოპოზიცია - „ჩვენ - ისინი“ - ცხოვრებისეულ მნიშვნელოვან საკითხებში „ისინი“ პრაქტიკულად არავითარ დათმობაზე არ მიდიოდნენ, თავისიანებისაგან განსხვავებით. კრიტიციზმი მიმართული იყო „ისინის“ საწინააღმდეგოდ, ხოლო „ჩვენის“მიმართ მიღებული იყო აღქმა, საუკეთესო შემთხვევაში, როგორც დროებითი გაუგებრობა. ასე, რომ, ტრადიციული საზოგადოების ტიპური შემთხვევები დამახასიათებელია ძველი აღმოსავლეთისათვის, მოთმინებასა და კრიტიციზმს გამოყენების სხვადასხვა სფერო აქვს. სინამდვილეში მოთმინება ხდებოდა მეტ-ნაკლებად „ჩემი“, მაშინ როდესაც კრიტიციზმი ძალას იკრეფდა „სხვების“ მიმართულებით. ამის გარდა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ორივე ფენომენს ჰქონდა სუსტად განვითარებული ხასიათი, რაც შეესაბამებოდა ადამიანის თავისუფლების მნიშვნელოვნად შეზღუდვას. ძველ საბერძნეთში, რომელიც ჩაფლულია ტრადიციონალიზმის ეპოქაში, ადამიანის თავისუფლების სტატუსის ამაღლებისათვის იღვწის. კრიტიციზმის ფორმების მრავალფეროვნებამ და ტოლერანტობამ მოიმატა და დამკვიდრდა არაჩვეულებრივი მაგალითების ძიება. საზოგადოებრივი მოწყობისათვის არ არის აუცილებელი, გავხდეთ სხვებისთვის მაგალითი, პირიქით, თავად სჯობს მივბაძოთ სხვას. ასე რომ, როდესაც ქალაქს მართავს ხალხის რჩეული, მაშინ საზოგადოებრივი წყობა ერთგვარად ხალხის მართველობაა. კერძო საკითხებში ყველანი სარგებლობენ ერთნაირი უფლებითა და კანონებით. პოზიტიური კრიტიკის სიმბოლო არ ეგუება არავითარ ავტორიტეტს. რაციონალურმა კრიტიკამ თავად მოიპოვა უნივერსალური ტრადიციები, რომელიც დაფუძნებულია ადგილობრივ ღირებულებებზე, ასე რომ, იხსნება „ჩევენების“ და „სხვების“ სამართლიანად და კორექტულად კრიტიკის შესაძლებლობა. თმენის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, კრიტიციზმი, როგორც წესი, ყველაფერს გამოხატავს უფრო მეტიც: კრიტიციზმი სტიმულირდება მოუთმენლობასა და ამიტომაც ტოლერანტობასთან წინააღმდეგობაში აღმოჩნდა.

აღორძინების ეპოქა სოფლური ყოფიდან ცდილობდა ქალაქურ კულტურაში გადასვლას. ქალაქური ცხოვრება ხასიათდებოდა მნიშვნელოვანი ცვალებადობით, მკვეთრად განსხვავდებოდა გლეხკაცის ბუნებრივი ცხოვრებისაგან. გაფართოვდა ვაჭრობა, ჩაისახა საბანკო საქმე, განვითარდა ხელოსნობა, დამკვიდრდა ახალი ცხოვრება, შეიცვალა გონიერი ადამიანის მენტალიტეტი. ხელოსანი - გახდა მეწარმე, ვაჭარმა და მხატვარმა დააფასა საკუთარი შრომა, იგი ვერ იარსებებდა არჩევანის თავისუფლებისა და პასუხისმგებლობისათვის მზადყოფნის გარეშე. ამიტომ ხელოსნობის მასობრივმა განვითარებამ ადამიანების დაჩქარებულმა ტემპმა და თვითშეგნებამ, ხელი შეუწყო ამ პროცესების უკიდეგანო განვითარებას.

რეფორმაციული მოძრაობისათვის, რომელიც XV საუკუნის გერმანიაში დაიწყო, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის წინა მორბედ მოძრაობას - ჰუმანიზმს. გერმანელი ჰუმანისტები თავს ესხმოდნენ რომის კათოლიკური სამღვდელოების ანგარებას, მომხვეჭლურ პოლიტიკას, მათ უმეცრებას, ეწეოდნენ მეცნიერული ცოდნის და მაღალი ზნეობრივი პრინციპების პროპაგანდას, გმობდნენ მთავრებს. სიტყვა „ჰუმანიზმი“ პოზიტიური მნიშვნელობის შემცველია, ერთი შეხედვითაც კი ჩანს, რომ ჰუმანიზმი მთლიანად ადასტურებს ტრადიციებს. როგორ შეიძლება არ

უთანაგრძო ადამიანთა ლტოლვას თავისუფლებისაკენ, მაგრამ სიღრმისეულმა კვლევებმა ცხადყო, რომ ჰუმანიზმმა ადამიანი აქცია შეუზღუდავ ტიტანად. ზოგი ადამიანი მეტ-ნაკლებად ტიტანია თავისი დამოუკიდებელი ლტოლვით თავისუფლებისაკენ. ამ გზაზე მიმავალს უნდა ყოველივე საუკეთესოს მითვისება და ყველას მორჩილება. იგი არ ცნობს არავითარ ნორმებს და შეზღუდვებს და მათ შორის საეკლესიოს. ეს ყველაფერი იწვევს მწვავე წინააღმდეგობებს და სასიკვიდილო „ომებს, ყველა ყველას წინააღმდეგ“, ვისგანაც თავის არიდება შეუძლებელია. ამრიგად, ნაპოვნია „აბსოლუტური ინდივიდუალური თავისუფლების პარადოქსი“. თავისუფლების აბსოლუტური გამოვლინება აისახა რენესანსის კრიტიციზმზე და მოთმინებაზე, მათაც შეიძინეს თავისებური შეფარდება იმ გაგებით, რომ არც კრიტიკა და არც მოთმინება გარედან არანაირად არ შეიზღუდოს. თუ დაიშვებოდა კრიტიციზმი ეს ნიშნავდა ბრძოლას ესეიგი არამხოლოდ სიტყვიერად, არამედ ძალადობით - ოპონენტის და მისი ახლობლების ფიზიკურ განადგურებამდეც კი, თუ ძალას მოიკრეფდა „მოთმინება“ ისიც, ასევე მოქმედებდა სრული მასშტაბით. კრიტიკის საზღვრებს აფართოებს ინდივიდუალიზმის ფენომენი, რომლის ობიექტი შეიძლება გახდეს ყველა და ყველაფერი. რენესანსმა არა მარტო აბსოლუტური თავისუფლება და მისი ფუნდამენტური შედეგების დემონსტრირება მოახერხა, არამედ რეცეპტი შეიმუშავა მასთან საბრძოლველად. განვიხილოდ ერთი საკითხი: „უნდა დაუბრუნოს თუ არა ადამიანმა, დაკარგული ფული პატრონს“?. აქ შესაძლებელია განვიხილოთ ორი ვარიანტი: ნაპოვნი ფული გამოადგება მპოვნელს, მით უმეტეს, თუ ფული ძალიან სჭირდება, მას ფული ხომ არ მოუპარავს?. მეორე: დააბრუნოს ფული ისე, რომ ამას ხედავდეს ბევრი ადამიანი, რათა მათი ყურადღება და დაიმსახუროს პატივისცემა. ამით მპოვნელი ადამიანთა ნდობას მოიპოვებს.

საინტერესოა რაში მდგომარეობს ტოლერანტობის საფუძველი? მისი საფუძველი დგას - მოთმინებაზე და რა არის იგი - რაციონალურობა? ადამიანის თავისუფლებას უნდა იცავდეს სახელმწიფო. ბუნებრივი თავისუფლება მდგომარეობს შემდეგში, რომ ადამიანი თავისუფალია ნებისმიერი მთავრობისაგან დედამიწაზე და არ ემორჩილება სხვა ადამიანის ნებას და მოთხოვნილებას, მაგრამ ხელმძღვანელობას მხოლოდ ბუნებრივი კანონებით, თუმცა ხანდახან ზოგიერთებს ეს კანონი ისე ესმით, რომ მათ შეუძლიათ გააკეთონ ყველაფერი, იცხოვრონ ისე, რომ არაფრისაგან არ შეიზღუდონ. ასეთ ცხოვრებას კი მოჰყვება კონფლიქტები და ომებიც, რაც მიუღებელია უამრავი ადამიანისათვის, ის ტიტანებიც კი, რომლებსაც შეუძლიათ თავის დაცვა, რომლებსაც შეუძლიათ თავიანთი ნება თავს მოახვიონ სხვას, განწირული არიან დამარცხებისათვის, ამიტომ საზოგადოებრივი მოლაპარაკებების შედეგად იქმნება სახელმწიფო და თავისუფლების ფენომენი არსებულ ტრანფორმაციას ექვემდებარება. შესაბამისად ადამიანის თავისუფლება საზოგადოებაში მდგომარეობს შემდეგში: იგი მხოლოდ ემორჩილება სახელმწიფოში მოქმედ ხელისუფალს და კანონს, რომელიც მოქმედებს სახელმწიფოში. პირველ რიგში, ადამიანი შეგნებულად აღიარებს თავის ბუნებრივ თავისუფლებას, მაგრამ როგორც სამოქალაქო საზოგადოების წევრი, იღებს კანონით განსაზღვრულ თავისუფლებას. კანონი თითქოს ავიწროვებს მოქალაქის აქტიური შესაძლებლობების სფეროს, თუმცა სამაგიეროდ შეუქცევადი გარანტიების კანონიერ უფლებას იღებს. კრიტიციზმის და ტოლერანტობის პერსპექტივები განვითარდა ქვეყნებში ინდუსტრიალური საზოგადოებაში XX საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც მომრავლდნენ ე.წ. პოსტ მოაზროვნე თანამშრომლები „თეთრი საყელოები“, რომლებიც რაოდენობით გაუსწორდნენ „ლურჯ საყელოებს“. აშშ-ში კომპიუტერული ტექნიკისა და ინტერნეტის შემწეობით პოსტინდუსტრიულ მდგომარეობას ინფორმაციული ეწოდა. ამის შემდგომ, იმფორმაციული თავისუფლება არა მარტო იზრდება, არამედ იძენს აბსოლუტურად ახალ განზომილებას, რომელსაც შეუძლია იმოქმედოს, როგორც ბიო-ფსიქოლოგიურ, ასევე ადამიანის სოციალურ ყოფაზე, მეორე მხრივ, მომატებული თავისუფლების ხარისხი იძლევა კრიტიკის გაფართოების ერთგვარ საშუალებას. ტოლერანტობისა და კრიტიციზმის გაერთიანებისას შენარჩუნებულ იქნა საერთო პრინციპები, რაც

მიგვიყვანს სრულყოფილ ბალანსამდე და კერძო პრობლემების გადაწყვეტამდე. კრიტიციზმი და ტოლერანტობის მცირე პირობა შედგება ორი შემადგენელის ერთ აზრად შერწყმაში. ტოლერანტობა - ეს სხვადასხვა მეთოდით ადამიანის თავისუფლების აღიარებაა. კრიტიციზმი კი, ადამიანის თავისუფლების გამოხატულებაა. იგი თავისუფალია და არ ეთანხმება ყველა კანონს, საჭიროა ჩამოვყალიბდეთ კრიტიციზმისა და ტოლერანტობის უფრო ზუსტ განმარტებაზე. ისინი ადამიანის თავისუფლებისთვისაა განკუთვნილი და ფლობს გარკვეულ ძალას ფიზიკის საზღვრებს გარეთ. ყოველი კულტურული მემკვიდრეობა და ტრადიცია წარმოადგენს ტრადიციების ჰარმონიულ წონასწორობას, რის მეშვეობითაც ადამიანური ცხოვრების დაფარული პოტენციური შესაძლებლობები შეიძლება ისე გაიშალოს, რომ გამოჩნდეს უკიდეგანო სიმდიდრისა და მრავალფეროვნების საშუალება. კრიტიციზმის ღიაობა ნიშნავს კრიტიკისათვის მზაობას, ასევე თვითკრიტიკის სტიმულირებას. ეს კრიტიკული დამოკიდებულებისადმი გონივრული მიდგომაა, რაც ნამდვილად ფართოდ მისაღები და გასავრცელებელია. ყველაფერი ეს იმიტომ გვჭირდება, რომ ხანდახან, კარგი ადამიანები არასრულყოფილები არიან, არა იმიტომ, რომ ხშირად ვუშვებთ შეცდომებს, არამედ იმიტომ, რომ არასაკმარისი ცოდნის, განათლების გამო. ყოველთვის არსებობს საზოგადოებაში ცალკეულ ადამიანთა შორის გადაუწყვეტელი შეხლა-შემოხლა. ფასეულობის ძალიან ბევრი მორალური პრინციპებისა და კონფლიქტების სახით.

კრიტიკული აზროვნება და ტოლერანტობა ურთიერთდაკავშირებულია ერთმანეთთან. უმეტეს წილად ტრადიციების არსი და ღირებულება მდგომარეობს შემდეგში: იგი არეგულირებს ურთიერთობებს სხვადასხვა ადამიანსა და სოციალურ ჯგუფს შორის შემთხვევიდან შემთხვევამდე, რომელიც წინაპრებისაგან გადმოგვეცემა. ამიტომ უპრიანია ვილაპარაკოთ „ტრადიციულ საზოგადოებაზე“ ან „ტრადიციულ ცივილიზაციაზე“. საინტერესოა ეგვიპტელი ფარაონების ცხოვრების წესი, რომელთა დღე და ღამეც კი გაწერილი იყო საათებით. მისი ყოველდღიური საქმიანობა მოიცავდა არამარტო მის ადმინისტრაციულ ღონისძიებებს, არამედ ცხოვრების ყველა ეტაპი იყო განსაზღვრული, მას არ რჩებოდა დრო სეირნობისათვის, ბანაობისათვის საკუთარ მეუღლესთან და თავისი ნების დროის გასატარებლად. ამ პირობებით ფარაონები თითქოს კმაყოფილები და ბედნიერებიც იყვნენ, მაშინ, როდესაც მეფეები, რომლებიც ასევე მკაცრად იცავდნენ ასეთ კანონებს, თავისუფალი იყვნენ. გარდა ამისა, ტრადიციების ზუსტი კოპირება პრაქტიკულად შეუძლებელიცაა და მოსაბეზრებელიც, როდესაც ტრადიციები აღიქმება, როგორც კანონიერი და ემიჯნება არსებულ დადგენილ კანონმდებლობას, რაც იძულებული ხარ აიტანო და მოითმინო ამ შემთხვევაში თვით „მოთმინება“ ხდება ტრადიციების შემადგენელი ნაწილი (მაგალითად, ძველი ტრადიციაა: დანაშაულის პატიება რელიგიულ დღესასწაულების დროს). თანამედროვე საზოგადოებამ უნდა იცხოვროს თავისუფლად. ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენ გავურბივართ უსიამოვნებებს მეზობლებთან, თუ იგი თავის პიროვნული მიდრეკილებებით არ აზიანებს ჩვენ შორის არსებულ ურთიერთობებს. არაერთგვაროვანი სიტუაცია ჩამოყალიბდა კრიტიციზმთან დაკავშირებით. სკეპტიციზმი იძლევა თავისუფლებას გააკრიტიკო ნებისმიერი პოზიცია, მაგრამ შედეგები არ და ვერ იქნა მყარი... ამაღლდა ამით კრიტიკის ხარისხი თუ არა?! აქ მოქმედებენ მხოლოდ და მხოლოდ სუბიექტური გადახრები, მაგალითად, პრინციპული სულისკვეთებით: „ადამიანი - ყველაფრის საზომია“. აღსანიშნავია, რომ რაციონალურმა კრიტიკამ თავად მოიპოვა უნივერსალური ტრადიციის ძალა, იმ ტიპის ტრადიციებისაგან განსხვავებით, რომლებიც ეფუძვნებოდნენ ადგილობრივ ფასეულობებს და რომლებიც ადგილობრივ ტრადიციებზეა დამყარებული. აღსანიშნავია, რომ უძველეს გამოკვლევებში ხანდახან გხვდება ფენომენი, რომელსაც შეიძლება ეწოდოს კვაზიტოლერანტობა. ამ ტერმინით შეგვიძლია მოვნიშნოთ ურთიერთობა, რომელიც თანამედროვე ადამიანის შეხედულებით გამოიყურება ტოლერანტულად, მაგრამ თანამედროვე ისტორიულ ეპოქაში ასე არ კვალიფიცირდება. კრიტიციზმი, როგორც წესი, გამორიცხავს მოთმინებას, უფრო მეტიც: კრიტიციზმი სტიმულირდება - მოუთმენლობა იზრდება ტოლერანტობად და ამიტომაც კატეგორიულ აზრთა

სხვადასხვაობას ადგილი ჰქონდა. კრიტიციზმი და ტოლერანტობა მოკლებული იყო დადებით საფუძვლებს. აღორძინების ხანა გახდა კულტურის გადასვლა საქალაქო კულტურაზე, ცხოვრების წესზე. ქალაქური ცხოვრება ხასიათდებოდა მაღალი ინტენსივობით და ცვალებადობით. ამან შეცვალა არა მარტო შრომის - შინაარსი და ორგანიზაცია, არამედ ურბანიზებული ადამიანის მენტალიტეტი. ნებისმიერი ხელობის ადამიანმა დააფასა თავისი შრომა, ესე იგი თავიც, როგორც სუბიექტმა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რიჩარდ პაუელი.-კრიტიკული აზროვნების თეორია და პრაქტიკა.-1992 წ.
2. ბაქრაძე ა.-ლოგიკა.-თბ.,1982 წ.
3. Тягло А.В.-კრიტიკული აზროვნება.-ხარკოვი.-1997 წ.
4. Т. С. Ворпай.-Критическое Мишелиние.-1997 წ.
5. კრიტიკული აზროვნება და ბიბლიოთეკა.-ამერიკული სემინარები.-1992 წ.

Positive Source of Critical Thinking

Marine Surmava Associate Professor

Summary: For the reform movement that began in Germany in the 15th century, the movement that preceded it, humanism, was of great importance. German humanists attacked the greed of the Roman Catholic clergy, the corruption of politics, their ignorance, promoted scientific knowledge and high moral principles, and condemned the princes. The word “humanism” carries a positive meaning; even at first glance it is clear that humanism fully confirms traditions. How can one not continue people's desire for freedom, but deep research has shown that humanism has turned man into a limitless titan. Some people are more or less titans in their independent pursuit of freedom. Those who follow this path want to appropriate the best for themselves and obey everyone. It does not recognize any norms and restrictions, including church ones. All this leads to acute contradictions and deadly “wars of all against all,” which cannot be avoided. Thus, the “paradox of absolute personal freedom” is revealed. The absolute manifestation of freedom was reflected in criticism and patience of the Renaissance; they also acquired a peculiar relationship in the sense that neither criticism nor patience could be limited by anything from the outside. If criticism was allowed, then this meant not only a verbal struggle, but also the use of violence - right up to the physical destruction of the enemy and his relatives. The boundaries of criticism are expanded by the phenomenon of individualism, the object of which can be anything and everything. The Renaissance not only managed to demonstrate absolute freedom and its fundamental consequences, but also developed a recipe for combating it. One question to consider is: "Should a person return lost money to the owner"? Here you can consider two options: the money found will be useful to the finder, especially if he really needs the money; will he steal the money? Second, return the money in a way that will be seen by many people so that it will gain their attention and respect. By doing this, the finder will gain the trust of people.

Key words: critical, education, excellence, reform, society, traditional.

გიორგი ნიკოლაძე - მსოფლიოში პირველი ელექტრონული საანგარიშო მოწყობილობის გამომგონებელი

ნუგზარი იაშვილი, საქართველოს საინჟინრო აკადემია
ლევან იმნაიშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
მაგული ბედინეიშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი: ეძღვნება ცნობილი ქართველი მეცნიერისა და ინჟინრის გიორგი ნიკოლაძის მოღვაწეობის ერთ შედარებით ნაკლებად ცნობილ მხარეს. 1928 წელს პარიზში მივლინებაში ყოფნისას გიორგი ნიკოლაძემ შეადგინა საპატენტო განაცხადი მის მიერ ელექტრული საანგარიშო მოწყობილობის გამოგონებაზე. ეს იყო მსოფლიოში ერთ ერთი პირველი ელექტრული არითმომეტრის. თბილისში დაბრუნებისას გიორგი ნიკოლაძემ დაამზადებინა ამ ახალი მოწყობილობის მოქმედი მაკეტი, რომელიც შემდეგ დაიკარგა. 2023 წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერებმა და სპეციალისტებმა გ. ნიკოლაძის მიერ შედგენილი აღწერისა და ნახაზებით შეძლეს არითმომეტრის ორი ეგზემპლარის დამზადება. დღეს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შესაძლებელია აღდგენილი მოწყობილობის არა მარტო ვიზიალურად ნახვა, არამედ მათი მუშაობის გაცნობაც.

საკვანძო სიტყვები: ელექტრული არითმომეტრი, მოწყობილობის აღწერა.

თითქმის ყველა ქართველს გაუგონია გიორგი ნიკოლაძის დამსახურებების შესახებ ქართული მეცნიერებაში: იგი იდგა ქართული მათემატიკისა და მეტალურგიის სათავეებთან. მან საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა ალპინიზმს. სწორედ ასეთ მრავალმხრივ მოღვაწეობას აღნიშნავდა მისი მეგობარი, პროფესორი არჩილ ხარაძე, რომელიც წერდა: `თითქმის არ დარჩა არც ერთი დარგი მუშაობისა, სადაც გიორგი ნიკოლაძეს, საქმით გატაცებულს, ნაყოფიერი შრომითი კვალი არ დაეტოვებინოს. საინჟინრო ხელოვნების მოტრფიალე, ინჟინერ-მეტალურგი, ქარხანასთან უშუალოდ დაკავშირებული, მისი მშენებელი, მეცნიერი-მათემატიკოსი, ცნობილი ჩვენში და უცხოეთში თავისი გამოკვლევებით, იშვიათი სპეციალისტი უმაღლესი გეომეტრიისა, პედაგოგი-აღმზრდელი, ფიზიკური კულტურის სიამაყე, გამოჩენილი სპორტსმენი, მამაცი ალპინისტი, მტერი ყოველნაირი კაბინეტური ჩხირკედელაობისა, მუდამ ცოცხალ საქმეში ჩაბმული - ერთი სიტყვით, დაუშრეტელი წყარო შემოქმედებისა...“.

მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ ძალიან ცოტა ვინმემ იცის ის ფაქტი, რომ მრავალმხრივი მეცნიერი, ინჟინერი, სორბონის უნივერსიტეტის დოქტორი გიორგი ნიკოლაძე თავისი მოღვაწეობის გარკვეულ პერიოდში დაინტერესებული იყო გამოთვლითი ტექნიკით და რომ მას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ელექტრული გამომთვლელი არითმომეტრის შექმნაში.

გიორგი ნიკოლაძე დაიბადა 1888 წელს ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და პუბლიცისტის ნიკო ნიკოლაძისა და ოლღა გურამიშვილის ოჯახში. გიორგი პატარაობიდანვე გამოირჩეობდა დიდი ნებისყოფითა და სწავლისადმი ლტოლვით, იყო ცნობისმოყვარე და დაფიქრებული ბავშვი. პატარა გიორგი თბილისის პირველ გიმნაზიაში შეიყვანეს. იგი განსაკუთრებით ინტერესით სწავლობდა ფიზიკასა და მათემატიკას. ეუფლებოდა რუსულ და ფრანგულ ენებს. მას თვალშისაცემი მიდრეკილება ჰქონდა მათემატიკისადმი. შემდეგ თვით გიორგი ნიკოლაძე იხსენებდა, რომ მას იმდენად აინტერესებდა მათემატიკისა და ფიზიკის საკითხები, რომ ნაწილობრივ დამოუკიდებლად და ნაწილობრივ ერთი ნაცნობის საშუალებით პირველ კლასში შესვ-

ლამდე შეშძლო გაერკვია ელემენტარული ფიზიკის კანონები და ორთქლის მანქანის მოწყობილობა. იგი ადვილად ითვისებდა ალგებრასა და გეომეტრიას, `ჩემთვის მათემატიკა უბრალოდ აუცილებლობას წარმოადგენდა - წერდა გიორგი ნიკოლაძე. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მან სწავლა პეტერბურგის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში განაგრძო. ამ სასწავლებლის არჩევა მამის გავლენით მოხდა, რომლის აზრითაც ქვეყანას უფრო მეტად ესაჭიროებოდა ინჟინრები და არა მათემატიკოსები. ინსტიტუტში სწავლისას მასთან ერთად პეტერბურგში ცხოვრობდნენ მისი დედა და დები: რუსუდანი და თამარი. 1913 წელს გიორგი ნიკოლაძემ ინსტიტუტი დაამთავრა და მიენიჭა ინჟინერ-ტექნოლოგის წოდება. აქედან დაიწყო მისი შრომითი საქმიანობა. მან მუშაობა დაიწყო უკრაინის სამხრეთში მდებარე იუზოვკის მეტალურგიულ ქარხანაში ჯერ ტექნიკურ განყოფილებაში, შემდეგ კი საბრძმედე საამქროში ცვლის ინჟინრად.

„გიორგი ნიკოლაძის ძე - ინჟინერთა შორის გამოირჩეოდა თავისი ცოდნით, მაღალი კულტურით, თავის თავისადმი მომთხოვნილობითა და დიდი წესიერებით“ - იხსენებდა მას ცნობილი რუსი მეტალურგი, აკადემიკოსი ი. ბარდინი.

ნიკოლაძეების სახლი სოფელ დიდ ჯიხაიშში

1918 წელს გიორგი ნიკოლაძე თბილისის უნივერსიტეტში მოიწვიეს და გამოჩენილ ქართველ მათემატიკოსებთან, - ანდრია რაზმაძეს, არჩილ ხარაძესა და ნიკოლოზ მუსხელიშვილთან ერთად საფუძველი ჩაუყარა კვლევებს გეომეტრიაში. 1919-1920 წლებში გიორგი ნიკოლაძემ ჩააბარა სადოქტორო გამოცდები სხვადასხვა მათემატიკურ საგანში (მათემატიკური ანალიზი, უმაღლესი გეომეტრია, დიფერენციალური განტოლებები, რიცხვთა თეორია და სხვა). 1920 წელს მან მიიღო დოცენტის წოდება.

1923 წელს გიორგი ნიკოლაძემ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩამოაყალიბა ელექტრომეტალურგიის კათედრა, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა.

1926 წელს გიორგი ნიკოლაძე ერთი წლის ვადით მივლინებული იქნა დასავლეთ ევროპაში - გერმანიაში, ინგლისში, საფრანგეთსა და იტალიაში „მათემატიკურ მეცნიერებაში დასახელოვნებლად და ელექტროქიმიის დარგში ზოგიერთი საკითხის შესასწავლად”, როგორც მის სამივლინებო ბარათში აღინიშნა. ევროპაში გიორგი მამასთან ერთად გაემგზავრა. გერმანიაში იგი გაეცნო „სიმენსის“ ელექტრომანქანათმშენებელ ქარხანას. ლონდონში ყოფნისას გეოგრაფიული საზოგადოების სხდომაზე გიორგი ნიკოლაძემ წაიკითხა მოხსენება საქართველოში გეოგრაფიული საზოგადოების დაარსებისა და ალპინიზმის მდგომარეობის შესახებ. მათემატიკაში მუშაობა მან პარიზში, ევროპის ერთ-ერთ უძველეს უნივერსიტეტში, სორბონაში განაგრძო. გ. ნიკოლაძე მეტად ნაყოფიერად მუშაობდა.

აკადემიკოსი ელი კარტანი გიორგი ნიკოლაძის საქმიანობას ასე ახასიათებდა: „არ შემიძლია აუღელვებლად გავიხსენო ეს ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდა, ასე უდროოდ მეცნიერებას გამოკლებული მკვლევარი, მისი მართალი თვალების პირდაპირი გამოხედვით. ახლა მინდა ვილაპარაკო არა ადამიანზე, არამედ მათემატიკოსზე. გ. ნიკოლაძე ბუნებით იყო გეომეტრი. თავისი დისერტაციის თემად მან აირჩია გეომეტრიულ ნაკვთთა უწყვეტი სისტემები, რომლის დამუშავებასაც მე სისტემატურად ვესწრებოდი, ზოგჯერ რჩევასაც ვაძლევდი, რაც ხელს არ უშლიდა გაჰყოლოდა საკუთარ გზას და ეს გზა ერთხელაც არ ასცდენია გეომეტრიის სინამდვილეს“. ალგებრულ წირთა ალგებრული სისტემის შესახებ გ. ნიკოლაძემ მიიღო დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის ახალი შედეგები.

გ. ნიკოლაძემ სორბონაში 1928 წლის ზაფხულში წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მოიპოვა მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი უმაღლესი შეფასებით. მალე მისი დისერტაცია ცალკე წიგნად გამოიცა პარიზში, ხოლო დისერტაციაში შემავალი საკითხების ირგვლივ პარიზის აკადემიის შრომებში მისი ოთხი სამეცნიერო სტატია გამოქვეყნდა. ამავე საკითხზე წაიკითხა მან მოხსენება მათემატიკოსთა საერთაშორისო კონგრესზე იტალიაში (ბოლონიაში 1927 წელს). კონგრესს გ. ნიკოლაძე ესწრებოდა, როგორც თბილისის უნივერსიტეტის წარმომადგენელი. იგი თავმჯდომარეობდა კონგრესის ერთ-ერთ სხდომას, ხოლო მისი მოხსენების შინაარსი კონგრესის მასალებში დაიბეჭდა... სწორედ პარიზში გიორგი ნიკოლაძემ განაგრძო მუშაობა ელექტრული საანგარიშო გამომთვლელი არითმომეტრის მანქანის შექმნაზე, რომლის შესახებ აზრი მას გაცილებით ადრე დაებადა. საანგარიშო-გამომთვლელი მოწყობილობები და მანქანები XX საუკუნის დასაწყისში უკვე აღარ იყო სიახლე, როგორც ცნობილია, პირველი მექანიკური სათვლელი მოწყობილობა ჯერ კიდევ 1623 წელს გერმანიაში ტიუბინგენის უნივერსიტეტში შექმნა, მათემატიკის პროფესორმა შიკარდმა. მისი მოწყობილობა განკუთვნილი იყო ოთხი არითმეტიკული მოქმედების შესასრულებლად. შემდგომში 1642 წელს ფრანგმა ბლეზ პასკალმა ააგო უფრო სრულყოფილი გამოთვლითი მანქანა. ინგლისელი ჩარლზ ბებიჯი თითქმის ორმოცი წლის მანძილზე მუშაობდა არითმეტიკული მანქანების შექმნაზე და მეტად მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია.

გიორგი ნიკოლაძე, რა თქმა უნდა, გაცნობილი იყო მანამდე არსებულ გამოთვლით მოწყობილობებს, წინამორბედ მეცნიერთა შრომებს. მისი განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია ფრანგი მათემატიკოსისა და ინჟინრის მორის დ’ოკანის შრომამ გამოთვლითი მანქანების შესახებ - „გამარტივებული ანგარიში“, სადაც კონკრეტული ტექნიკური ამოცანების ამოსახსნელად, გრაფიკების (ნომოგრამების) ასაგებად მორის დ'ოკანმა შემოიტანა ახალი გამოთვლითი საშუალება - „ნომოგრაფი“. აღსანიშნავია, რომ შემდეგში სწორედ ამ ფრანგმა მეცნიერმა პარიზში, საფრანგეთის აკადემიაში შეკრებილ მეცნიერებს წარუდგინა ახალგაზრდა ქართველი მეცნიერის გიორგის ნიკოლაძის გამოგონება. ეს მოხდა 1928 წლის 16 იანვარს. „მანქანა, რომლის აგებასაც მე ვვარაუდობ, სავსებით ავტომატურია: მოქმედების შედეგი უმალვე მიიღება ორი ციფრის მოცემის შემდეგ, კნოპზე უბრალო დაჭერის მეშვეობით“ - წერდა გიორგი ნიკოლაძე. იგი სავსებით სწორედ თვლიდა, რომ არსებული მანქანები შედარებით რთული აგებულების იყო, შეიცავდა დეტალებს, რომლებიც სწრაფად ცვდება და ძვირიც ჯდებოდა. გ. ნიკოლაძის არითმომეტრი არ შეიცავდა კბილანებიან თვლებს, ძრავას და სხვა ცოტა თუ ბევრად რთულ და ძვირადღირებულ მექანიკურ ნაწილებს.

ფრანგი აკადემიკოსი, მორის დ’ოკანი აღნიშნავდა: „გიორგი ნიკოლაძის მიერ წარმატებული გადაწყვეტა საანგარიშო მანქანის ამუშავებისა სულ სხვანაირია... ყველაზე ღირსშესანიშნავად მიგვა-

ჩნია წმინდა ელექტრული მოწყობილობა, რომელიც აქ ძალზე მახვილგონივრულადაა გამოყენებული... რამდენადაც ვიცი, ეს პირველი ამგვარი გამოგონებაა და გულით ვისურვებდი, რომ ისეთი კონსტრუქტორი გამონახულიყოს, რომელიც ხორცს შეასხამდა გ. ნიკოლაძის შესანიშნავ პროექტს“.

როგორც თვით გიორგი ნიკოლაძე წერდა, მისი გამომთვლელი მანქანა მუშაობდა „... რამდენიმე, კომუტატორების სისტემაზე მოქმედი ელექტრომაგნიტის დახმარებით; კომუტატორები განსაზღვრავს წყვეტილობასა და აუცილებელ წრედებს. მანქანა ორი ნაწილისაგან შედგებოდა. ერთი მათგანი გათვალისწინებული იყო შეკრებისა და გამოკლების, მეორე კი გამრავლება-გაყოფის ოპერაციების შესასრულებლად. აი, როგორ აღწერდა თავის გამოგონებას გიორგი ნიკოლაძე: „...მანქანა შედგება ორი ნაწილისაგან. პირველი განკუთვნილია შეკრებისა და გამოკლების ოპერაციების შესასრულებლად. თვითმწერი წარმოადგენს სვეტების სასურველ რიცხვს; ყოველ სვეტში 10-10 კნოპია, 0-დან 9-მდე გადანომრილი. პირველი დაჭერა ერთ-ერთი სვეტის რომელიმე კნოპზე აღნიშნავს შესაბამის ციფრს ინდიკატორზე. ერთდროულად ელექტრომაგნიტების ϰგუფი აწარმოებს კონტაქტების ისეთ გარდაქმნას, რომ კნოპზე მეორე დაჭერა ინდიკატორზე აღნიშნავს ამ მეორე დაჭერის შესაბამისი ციფრის შეკრების (ან გამოკლების) შედეგს პირველი აღნიშვნის ციფრთან.„ შემდეგ გ. ნიკოლაძე განმარტავს მისი გამოგონების მეორე ნაწილს: „მანქანის მეორე, გამრავლებისა და გაყოფისათვის განკუთვნილი ნაწილი, უფრო მარტივია. აქ მე გამოვიყენე ფრანგი ინჟინრის ჟენაილის ჩხირების იდეა. ცილინდრზე სამრავლის აღნიშვნის შემდეგ საკმარისი იქნება მამრავლი აღვნიშნოთ კნოპების უბრალო მიმდევრობითი დაჭერით მამრავლის ციფრების შესაბამისად, იმავე, 10 კნოპის მქონე სვეტზე. ნამრავლი დაუყოვნებლივ ჩნდება მაჩვენებელზე. აღწერილის ანალოგიურად სრულდება გაყოფაც“.

მორის დ’ოკანმა ფრანგ მეცნიერებს დაწვრილებით გააცნო ქართველი გამომგონებლის საანგარიშო მანქანა, რომლის განსაკუთრებით ღირსებად მან მიიჩნია ის, რომ იგი `წმინდა ელექტრული მოწყობილობაა. გიორგი ნიკოლაძე 1928 წლის მარტის თვეში უფროსი დისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა: „..ჩემ მიერ გამოგონებული არითმომეტრი მჭიდროდაა დაკავშირებული ავტომატურ ტელეფონთან და ამიტომაც გავეცანი ამ გამოგონების ყველა სისტემას, რომ მათგან ყველაზე შესაფერისი ავარჩიო ჩემი ელექტრომთვლელისათვის. სწორედ ამ დროს თვით ბედმა შემახვედრა ერთ შესანიშნავ გამომგონებელთან. მე მგონია, მან საბოლოოდ გადაჭრა ავტომატური მექანიზმების პრობლემა, რომელთა შორის ჩემ არითმომეტრს პირველი ადგილი უჭირავს...

ჩემმა არითმომეტრმა... ძალიან დააინტერესა ეს გამომგონებელი და მან თქვა..., რომ ასეთი არითმომეტრის წყალობით სათვლელი მანქანა მსოფლიოში გავრცელდება იმის მაგვარად, როგორც ფორდმა და სიტროენმა ავტომობილი გვარიანად გააიაფეს და ადრე თუ მხოლოდ მდიდრებისათვის იყო მისაწვდომი, ახლა მთელი მსოფლიოს საკუთრებად აქციეს“. შემდეგ კი წერდა, რომ: „უკანასკნელი არითმეტიკული მანქანების უმრავლესობა წარმოადგენს მანქანებს მხოლოდ მიმდევრობითი შეკრებისა და გამოკლებისათვის, ყველა ეს მანქანა, მათ რიცხვში შედის აგრეთვე გამრავლებისათვის განკუთვნილი რამდენიმე მანქანა, შედარებით რთულია და შეიცავს დეტალებს, რომლებიც ადვილად ცვდება; ეს მანქანები მაღალი ღირებულებისაცაა; მანქანა, რომლის აგებასაც მე ვვარაუდობ, სავსებით ავტომატურია: მოქმედების შედეგი უმალვე მიიღება ორი ციფრის მოცემის შემდეგ, კნოპზე უბრალო დაჭერის მეშვეობით. გარდა ამისა, მანქანას არა აქვს არც მოტორი, არც კბილანებიანი თვლები, არც სხვა, ცოტად თუ ბევრად რთული და ძვირადღირებული მექანიკური დეტალები. ის მუშაობს რამდენიმე, კომუტატორების სისტემაზე მოქმედი ელექტრომაგნიტის დახმარებით; კომუტატორები განსაზღვრავს წყვეტილობასა და აუცილებელ წრედებს“.

RÉPUBLIQUE FRANÇAISE.

MINISTÈRE DU COMMERCE ET DE L'INDUSTRIE.

DIRECTION DE LA PROPRIÉTÉ INDUSTRIELLE.

BREVET D'INVENTION.

Gr. 12. — Cl. 3. N° 647.778

Arithmomètre électrique pour faire directement les multiplications et divisions.

M. Gaston NICOLADZE résidant en France (Seine).

Demandé le 23 janvier 1928, à 15h 49m, à Paris.
Délivré le 6 août 1928. — Publié le 30 novembre 1928.

La plupart des machines arithmétiques récentes ne font que des additions ou des soustractions, opérations que l'on répète pour faire des multiplications ou des divisions; aussi pour faire une multiplication, on additionne, pour chaque ordre décimal, le multiplicande avec lui-même autant de fois qu'il y a d'unités dans le multiplicateur, opération fort longue.

Il existe bien quelques types de machines mécaniques à multiplication directe, mais elles sont compliquées, coûteuses et nécessitent de fréquentes réparations.

L'objet de la présente invention est une machine à multiplier directe, d'un modèle spécial, combinée avec une machine à additionner d'un type quelconque dans lequel on forme successivement les divers termes de la somme à trouver, en appuyant sur des boutons disposés suivant des lignes et colonnes d'un tableau dont les dix lignes correspondent chacune à un des chiffres 0, 1, 2,... 9, et dont les colonnes correspondent respectivement aux unités, dizaines, centaines, etc., du nombre à composer; chaque bouton est muni d'un dispositif commandé par un électro-aimant qui l'enfonce lorsqu'un courant passe; ce courant étant envoyé par la machine à multiplier suivant l'invention, qui formera directement sur la machine à additionner chacun des produits partiels correspondant au produit du multiplicande par chacun des chiffres du multiplicateur, et par exemple on veut multiplier 539 par 48, la machine à multiplier composera sur la machine à additionner d'abord le produit de 539 par 80 soit 21.560, puis le produit de 539 par 8, soit 4.312; la machine à additionner fera ensuite la somme de ces deux nombres qui donnera le produit total.

La machine à multiplier, objet de l'invention, est basée sur le principe des réglettes de Génaille dont elle est la matérialisation électrique.

La fig. 1 représente les réglettes de Génaille, elles sont supposées rangées en un tableau dont chaque colonne représente une réglette correspondant à un chiffre du multiplicande, les lignes correspondant aux chiffres du multiplicateur.

On sait que pour faire une multiplication avec ce dispositif, on place les réglettes dans l'ordre voulu pour que le nombre formé par les chiffres en tête des colonnes reproduisent le multiplicande; on se reporte ensuite à la ligne correspondant au chiffre multiplicateur, on part du coin à droite en haut et on inscrit successivement, à la suite du chiffre lu à cette place, les chiffres que l'on trouve aux sommets des divers triangles que l'on traverse en se déplaçant vers la gauche; ainsi, si l'on veut multiplier 1.23.456.789 par 3, on lira

Prix du fascicule : 5 francs.



გიორგი ნიკოლაძის მიერ მომზადებული ელექტრული არითმომეტრის საპატენტო აღწერა და თანდართული ნახაზები

როგორც ზევით ითქვა გ. ნიკოლაძის გამომთვლელი მოწყობილობის შესახებ მოხსენება ფრანგმა მეცნიერმა დ'ოკანმა წაიკითხა პარიზის მეცნიერებათა აკადემიის სხდომაზე 1928 წლის 16 იანვარს. ამასთანავე, მან გამოთქვა შემდეგი შენიშვნა: „ელექტრობა გამომთვლელი მანქანის ამძრავში უკვე იყო გამოყენებული ჩვენი სწავლული თანამეგობრის ტორეს კევადოს მიერ მის ელექტრომექანიკურ არითმომეტრში, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ბ-ნ ნიკოლაძის მიერ გამოგონებული ამოხსნა სრულიად სხვაგვარია. უფრო მეტიც, ამ ახალ ამოხსნაში ჩვენ განსაკუთრებით ღირსეულად ის წარმოგვიდგება, რომ ამოხსნა შეიცავს წმინდა ელექტრულ მოწყობილობას, რომელიც აქ უაღრესად გონებამახვილურადაა გამოყენებული და დაფუძნებულია ჟენაილის მიერ მის გასამრავლებელ სახაზავებში გრაფიკული ფორმით მოცემულ პრინციპზე“. შემდეგ დ'ოკანმა უფრო დაწვრილებით გაარჩია ნიკოლაძის გამოგონების მნიშვნელობა და, კერძოდ, მიუთითა, რომ „მეტისმეტად საინტერესო პრინციპი, რომელსაც ჟენაილმა გრაფიკული ფორმა მისცა, ბ-ნ ნიკოლაძის მანქანაში ხორცშესხმულია ყველაზე გონებამახვილური ხერხით. რამდენადაც მე ვიცი, ეს პირველი ასეთი სახის გამოგონებაა და გულით ვისურვებდი, რომ მონახულიყო კონსტრუქტორი, რომელიც განახორციელებდა ბ-ნ ნიკოლაძის შესანიშნავ პროექტს“.

შემდეგ გიორგი ნიკოლაძე აღიარებს, რომ მოდელის ასაგებად საჭირო თანხის ოდენობა არასწორად განსაზღვრა: „...მაგრამ იმისათვის, რომ ჩემი გამოგონების თეორიიდან საქმეზე, მოდელის აგებაზე გადავიდე, საჭიროა გაცილებით მეტი ფული, ვიდრე წინათ გამოუცდელობით ვანგარიშობდი. ჯერ ერთი, გამოირკვა, რომ ცოტა ფულით ასეთი ტიპის მანქანის მოდელის აგებას ვერც კი დაიწყებ: ეს დიდ ტექნიკურ (ელექტროტექნიკურ) სიძნელეებს აწყდება; მეორე, რომც ააგო, შეიძლება მაინც უპატენტოდ დარჩე, რადგან პატენტის მიღების ვადა (მოდელის წარდგენის მერე) მხოლოდ ერთი წელია განაცხადის აღების დღიდან (განაცხადი ამა წლის იანვარში ავიღე). თანაც პატენტი ყველა ქვეყანაში უნდა აიღო - ყველგან ამ წლის განმავლობაში. უიმისოდ ყველას შეუძლია ისარგებლოს ამ გამოგონებით... ამასობაში კი, როგორც ირკვევა, მარტო პატენტი მთავარ ქვეყანაში 137 000 ფრანკი, ე. ი. 10 000 მანეთი დაჯდება!... ახლავე დაუყოვნებლივ უნდა რაიმე გადავწყვიტოთ და ვიღონოთ, ამასთანავე მოდელის აგებას ერთ-ერთ აქაურ ელექტროტექნიკურ სახელოსნოში შეიძლება შევუდგე, თუ 10 000 - 15 000 მანეთზე ნაკლები თანხა არ მექნება; ამ გამომგონებელს კი, ასეთი აგებების საუკეთესო სპეცს, მიაჩნია, რომ 24 000 მანეთია საჭირო.

ჩვენ მთავრობას რომ ახლა ამ საქმისათვის აღმოაჩნდებოდეს ეს თანხა (პლუს, რაც პატენტები დაჯდება), მაშინ აქაურ კაპიტალისტებთან დაკავშირება არ მომიწევდა...აქვე გ. ნიკოლაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ: „საქმე ძალიან საშურია, ვინაიდან პატენტების ა საღები ვადა 1929 წლის 21 იანვარს იწურება... მანამდე მოდელი უნდა იყოს მზად, ეს კი ორი-სამი კვირის საქმე როდია! ამიტომაც მოუთმენლად მოველი პასუხს... დიდი შეცდომა იქნება ამ საქმის ჩვენი ხელიდან გაშვება და ფრანგებისათვის ბოძება, ასე კი გამოვა, თუ არც მე, არც მთავრობა პატენტს არ ავიღებთ ამ გამოგონებაზე...“

გიორგი ნიკოლაძეს პარიზშივე შეუდგენია პატენტისათვის თავისი გამოგონების აღწერა, სადაც მოცემულია გამომთვლელი მოწყობილობის შედარებით ვრცელი დახასიათება, მუშაობის პრინციპი და ნახაზები. სამწუხაროდ, გ. ნიკოლაძემ უსახსრობის გამო ვერ შეძლო პატენტის საბოლოოდ გაფორმება და მანქანის მოდელის საფრანგეთში დამზადება. მხოლოდ მისი საქართველოში დაბრუნების შემდეგ აგებული იქნა გ. ნიკოლაძის გამოთვლითი მოწყობილობის არითმომეტრის მოდელი, რომელიც შემდეგ გამოფენილი იქნა მოსკოვში პოლიტექნიკურ მუზეუმში. სამწუხაროდ, ეს მოდელი დაიკარგა და დღემდე ვერ იქნა აღმოჩენილი. არ არის შემორჩენილი დამზადებული მოდელის არც ნახაზები და არც აღწერილობა. ასე დაიკარგა ნიჭიერი ქართველი მეცნიერის არაორდინალური გამოგონება და დღეს გამოთვლითი ტექნიკის ისტორიაში გ. ნიკოლაძის სახელი ნახსენებიც კი არ არის.



გიორგი ნიკოლაძე ქართულ ჩოხაში

გ. ნიკოლაძის საფრანგეთიდან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1928 წელს ამიერკავ-კასიის სახელმწიფო კომიტეტმა განიხილა მისი გამოგონება და მატერიალურ დახმარების აღმოჩენის საკითხის გადაწყვეტა დროებით (ანუ ფაქტობრივად სამუდამოდ!) გადადო. თუმცა, აღნიშნული იქნა, რომ გ. ნიკოლაძის მიერ გამოგონებული ელექტრომთვლელი დიდ მეცნიერულ ინტერესს წარმოადგენს“.

გიორგი ნიკოლაძე მოულოდნელად, სრულიად ახალგაზრდულ ასაკში გარდაიცვალა. 1931 წლის იანვარში დიდუბეში მდებარე საცდელ ქარხანაში იწყებოდა ფერომანგანუმის დნობის კიდევ ერთი სერია. ღუმელი უნდა ჩართულიყო ღამის პირველ საათზე.

მაგრამ იმის გამო, რომ 1931 წლის 20 იანვარს თბილისის ოპერის თეატრში დანიშნული იყო პრემიერა - ქართულად იდგმებოდა „კარმენი“. გიორგი ნიკოლაძე ამ ზეიმს ვერ გამოაკლდებოდა. პრემიერის დასრულების შემდეგ, გიორგი დიდუბისკენ ქარხანაში გაეშურა, სადაც ცდები უნდა ჩაეტარებინა. ავტომანქანამ რატომღაც არ მოაკითხა და ყინვა-ქარბუქიან ღამეში მან სირბილით გაიარა რამდენიმე კილომეტრი. შემდეგ დაღლილი და გაოფლილი, დიდხანს იდგა ქარიშხლისგან სახურავაგლეჯილ საამქროში, გავარვარებულ ღუმელთან. შენობაში კი ორპირი ქარი ქროდა. გიორგი ნიკოლაძე გაცივდა და მეგობართა დაჟინებული თხოვნით სახლში დაბრუნდა, მაგრამ მესამე დღეს კვლავ ქარხანაში მივიდა. 27 იანვარს გიორგის ფილტვების ანთება დაუდგინეს. მაშინ ეს თითქმის მოურჩენელი ავადმყოფობა იყო. სამწუხაროდ, მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა და 1931 წლის 3 თებერვალს გიორგი ნიკოლაძე გარდაიცვალა. მან მხოლოდ ორმოცდასამი წელი იცოცხლა.

გიორგის მამა, დიდი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი - ნიკო ნიკოლაძე მოკლედ ასე ახასიათებდა თავის შვილს: „ჩემი შვილი გიორგი ჭეშმარიტი მამულიშვილია და თავისი ქვეყნის პატრიოტი“. ხოლო აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი წერდა: „მე რომ მკითხონ, - როგორი გინდა ქართველი კაცი იყოსო, დაუყოვნებლივ ვუპასუხებდი, - ისეთი, როგორიც გიორგი ნიკოლაძე იყო“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ. იაშვილი, ლ. იმნაიშვილი, მ. ბედინეიშვილი ინფორმატიკაში და გამოთვლით ტექნიკაში გიორგი ნიკოლაძის წვლილის შესახებ. გორი. სასწავლო უნივერსიტეტი. საერთაშორისო კონფერენცია 2021 წ. დეკემბერი
2. ა. ფრანგიშვილი, ლ.იმნაიშვილი, მ.ბედინეიშვილი, ნ.იაშვილი გიორგი ნიკოლაძის დამ-სახურების შესახებ კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებაში. თბილისი. პროფ. კ. კამკამიძის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ციფრული ტექნოლოგიები: დღევანდელობა და გამოწვევები“. თბილისი. 2018 წ. 28 მაისი.
3. გიორგი იაშვილი. გიორგი ნიკოლაძე-ორიგინალური გამომთვლელი მანქანის გამომგო-ნებელი. თბილისი. გაზეთი“ბანკები და ფინანსები“. 2006 წ. 8 ივნისი.
4. ბოგოლიუბოვი ა. ნ. გიორგი ნიკოლაძე. თბილისი, „საბჭოთა საქართველო“,1978 წ.
5. სიგუა ა.უღმერთო იყო შენი სიკვდილი.თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 1996 წ.
6. ბაქრაძე ა. ნიკო ნიკოლაძე. თბილისი, „ნაკადული“, 1989 წ.
7. ქართული მეცნიერებისა და ტექნიკის სიამაყე. (გიორგი ნიკოლაძე). საიუბილეო კრებული თბილისი. 1999 წ.

Giorgi Nikoladze - Inventor of the World's First Electrical Counting Device

Nugzar Iashvili Engineering Academy of Georgia
Levan Imnaishvili
Georgian Technical University, Professor
Maguli Bedineishvili
Georgian Technical University, Professor

Summary: Giorgi Nikoladze is known as an Outstanding Scientist, Metallurgical Engineer, Mathematician, Geographer, Terminologist and athlete. He left a deep mark in all areas of activity.

The report examines another side of the activities of G. Nikoladze, as the inventor of the world's first electrical counting device. While on a scientific trip to European countries in 1928, he prepared materials for obtaining a patent for inventions. A description of the counting device in French, as well as drawings, has been preserved. But Giorgi Nikoladze did not want to submit an application to the French patent office. He planned to patent his invention in Georgia. In Tbilisi, he was able to make a working prototype of the device.

საქართველოში საინჟინრო ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლის ასწლოვანი ისტორიის ფურცლები

ნუგზარ იაშვილი, საქართველოს საინჟინრო აკადემია

აბსტრაქტი: სტატიაში განხილულია საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში ყველაზე ძველი და დღეს თანამედროვე უმაღლესი, ტექნიკური, საინჟინრო სასწავლებლის შექმნის ისტორია. 1922 წლის 16 იანვარს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა ე.წ. „სატექნიკო“ ფაკულტეტი რომელსაც სამი გაყოფილება ჰქონდა: სამშენებლო, სამთო და მექანიკური. ასე ჩაეყარა საფუძველი ასზე მეტი წლის წინ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს, დღეს უკვე ტექნიკურ უნივერსიტეტს, რომელმაც მეტად საინტერესო და სასახელო გზა განვლო.

საკვანძო სიტყვები: თსუ-ს „სატექნიკო“ ფაკულტეტი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუსი (სპი), გამოჩენილი ინჟინრები და მეცნიერები, რექტორები, მნიშვნელოვანი ნაგებობები.

ჩვენი ქვეყნის საინჟინრო-ტექნიკური უმაღლესი განათლების ასი წლის ისტორიის მქონე სასწავლებლის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელთან არის დაკავშირებული მთელი რიგი უნიკალური და ორიგინალური საინჟინრო ობიექტები და არქიტექტურული შენობა-ნაგებობა, რომლებითაც საფუძვლიანად ამაყობს ჩვენი ქვეყანა. დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმეს მნიშვნელოვან ობიექტს: ენგურჰესის თაღოვანი კაშხალი და თბილისის სპორტის სასახლე, სამების საკათედრო ტაძარი და პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი-ანტენა რეფლექტორი, „დინამოს“ სტადიონი, „საქართველოს ბანკის“ სათავო ოფისი და მახათას მთაზე ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარი. ცხადია, რომ ამ ჩამონათვლის განგრძობა კიდევ შეიძლება. შეგვიძლია თამამად ითქვას, რომ დღეისათვის ძნელია მოიძებნოს ოჯახი საქართველოში, რომლის ერთ წარმომადგენელს მაინც არ ჰქონდეს დამთავრებული „გეპეი“. ასევე, საქართველოში ყველა ქალაქსა და სოფელში შეგიძლიათ იხილოთ ქართველი ინჟინრების მიერ დაპროექტებული და აშენებული საცხოვრებელი სახლები და კორპუსები, თეატრები და საავადმყოფოები, სასტუმროები, სავაჭრო ობიექტები და ადმინისტრაციული შენობები, ქარხნები და ფაბრიკები. საბედნიეროდ, სტუ მხოლოდ თავისი წარსულით არ არის გამორჩეული.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (სპი), 1990 წლიდან კი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (სტუ) ჩვენი ქვეყნის უძველესი და უმთავრესი ტექნიკური უმაღლესი სასწავლებელია, სადაც შესაძლებელია თანამედროვე ტექნიკური და ტექნოლოგიური საინჟინრო სპეციალობების დაუფლება. საქართველოში დღეისათვის არსებული უნივერსიტეტებიდან მხოლოდ სტუ-შია შესაძლებელი ქვეყნისათვის მეტად საჭირო და აუცილებელი სპეციალობების მქონე ინჟინრების მომზადება ენერგეტიკის, სამთო საქმის, გეოლოგიის, სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის, რკინიგზის და საავტომობილო ტრანსპორტის, აგროინჟინერიის, ბიოტექნოლოგიის და სხვა დარგებისათვის.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნის ბოლო წლებში შექმნილ ზოგიერთ უნივერსიტეტს ჰქონდა სურვილი და მცდელობაც კი დაეწყო ზემოთ აღნიშნულ რომელიმე საინჟინრო დარგის სპეციალისტების მომზადება, მაგრამ მალევე მიხვდნენ რომ ეს მეტად რთული ამოცანა მათთვის გადაუწყვეტელი იყო. დღეს, შედარებით ადვილია სასწავლო თუ სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიების მოწყობა, თანამედროვე დანადგარებისა და აპარატურის შეძენა, შესაბამისი პროგრამა-სილაბუსების შედგენა, თუნდაც საჭირო სახელმძღვანელოების თარგმნა/შედგენა და პროფესორ-მასწავლებელთა შერჩევაც კი, მაგრამ შეუძლებელია ეს ყოველივე გააკეთო მრავალი ათეული წლების მანძილზე შექმნილი და დღემდე შენარჩუნებული ტრადიციიების გათვალისწინების გარეშე, რომელთაც საფუძველი ქართული საინჟინრო ბრწყინვალე წარმომადგენელთა მიერ იქნა ჩაყრილი და თაობიდან თაობას დიდი სიყვარულით გადაეცემოდა. ყოველივე ამისა და სხვა მიზეზების გამო,

შეუძლებელი აღმოჩდა ენერგეტიკოსებისა და მშენებლების, რკინიგზელებისა და სამთოელების და ზოგიერთი სხვა სპეციალობის სწავლება-მომზადება ქვეყნის სხვა უნივერსიტეტებში.

ასი წლის წინ, 1922 წლის 16 იანვარს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (თსუ) საზეიმო ვითარებაში გაიხსნა „სატექნიკო“ ფაკულტეტი. მის პირველ სხდომას თავმჯდომარეობდა დიდი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი. ფაკულტეტის დეკანად არჩეულ იქნა პროფესორი ალექსანდრე დიდებულიძე. იმავე დღეს ფაკულტეტის სტუდენტებმა მოისმინეს პირველი ლექცია მათემატიკაში, რომელიც ანდრია რაზმაძემ წაიკითხა. ამით საფუძველი ჩაეყარა ქართული საინჟინრო კადრების მომზადების ეროვნულ საქმეს. თბილისის უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე, რომელსაც ჰქონდა მხოლოდ სამშენებლო, მექანიკური და სამთო განყოფილებები (არქიტექტურული, საგზაო, ჰიდროტექნიკური, ელექტრომექანიკური, ჰიდრო და თერმომექანიკური, სამთო-მეტალურგიული და ქიმიურ-ტექნოლოგიური სპეციალობებით) პირველ სასწავლო წელს 182 სტუდენტი ჩაირიცხა. არსებობის პირველი დღეებიდანვე პოლიტექნიკურმა ფაკულტეტმა განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა. თსუ-ს პოლიტექნიკური ფაკულტეტის სტრუქტურა მოცემულია ნახ.1.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ თსუ-ში სატექნიკო ფაკულტეტის გახსნამდე თბილისში არსებობდა კერძო ტექნიკური სასწავლებელი: თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თპი).

ჯერ კიდევ 1799 წელს ქართველმა სწავლულმა და მწერალმა იოანე ბაგრატიონმა (ბატონიშვილმა) შეადგინა სახელმწიფო რეფორმათა პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა თბილისში, გორსა და თელავში უმაღლესი სკოლების გახსნას. პროექტი მოეწონა საქართველოს უკანასკნელ მეფეს გიორგი მეთორმეტეს, მაგრამ მალე რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის დაპყრობამ ამ იდეის განხორციელება შეაჩერა.

სამაგიეროდ, თბილისის გიმნაზიის კურსდამთავრებულებს მიეცათ უფლება სწავლა გაეგრძელებიათ იმპერიის უნივერსიტეტებში. დაწესებული იყო კავკასიიდან რუსეთის სხვადასხვა ქალაქში გასაგზავნი ახალგაზრდების ნორმებიც. მაგალითად, ქ. ტომსკის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში 1897 წელს გაგზავნილი იქნა 50 ახალგაზრდა, ხოლო სხვა ქალაქებში სწავლა დაიწყეს 160-ზე მეტმა სტუდენტმა.

მეფის რუსეთის თვითმპყრობელობა ისე დაემხო, რომ ჩვენს ქვეყანაში უმაღლესი სასწავლებელი არ გახსნილა, თუმცა იყო გარკვეული სახის მცდელობები. მაგალითად, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის იანოვსკის თავმჯდომარეობით შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც 1880 წლის 9 დეკემბერს მიიღო გადაწყვეტილება თბილისში გახსნილიყო პოლიტექნიკური ინსტიტუტი, მაგრამ ამას არავითარი განგრძობა არ მოჰყოლია. შემდეგ, უკვე 1906 წელს მეფისნაცვალმა ი. ვორონცოვ-დაშკოვმა რუსეთის მთავრობას წარუდგინა თხოვნა თბილისში პოლიტექნიკური ინსტიტუტის გახსნის აუცილებლობის შესახებ, მაგრამ, როგორც ყოველთვის საკითხის გადაწყვეტა, სხვადასხვა მიზეზით, ჭიანურდებოდა.

მხოლოდ ასი წლის შემდეგ ქალაქ თბილისის თვითმმართველობამ მიმართა რუსეთს უმაღლესი სასწავლებლის დაარსების თხოვნით, მაგრამ პეტერბურგმა ასეთი წინადადების განხორციელება მიზანშეუწონლად და შეუძლებლადაც მიიჩნია. მხოლოდ 1912 წელს რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ მეორემ როგორც იქნა დაამტკიცა მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება თბილისში კერძო რუსულენოვანი უმაღლესი ტექნიკური ინსტიტუტის გახსნის შესახებ.

1914 წლის მაისში, თბილისში, ნავთლუღის მიდამოში შედგა თპი-ის შენობის საძირკვლის ჩაყრა. მხოლოდ სამი წლის შემდეგ, 1917 წლის 6 მაისს რუსეთის დროებითი მთავრობის მიერ დამტკიცებული იქნა კანონპროექტი თბილისში პოლიტექნიკური ინსტიტუტის გახსნის შესახებ. თუ ამ თარიღს ჩავთვლით საქართველოში უმაღლესი საინჟინრო სასწავლებლის დაარსების წლად, მაშინ 2022 წელს სტუ-ს დაარსებიდან უნდა აღინიშნოს არა 100, არამედ 105 წლის იუბილე.



ნახ.1. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის სტრუქტურა

თპი-მა ისე დაამთავრა თავისი არსებობა, რომ საკუთარი შენობა არ ღირსებია და იგი დროებით შეხიზნული იყო ქალაქის სხვადასხვა უბანში მდებარე შენობებში. იგი დასაწყისში ფუნქციონირებდა კერძო სასწავლებლის სტატუსით და, რაც მთავარია, ინსტიტუტში ყველა საგნის სწავლება მიმდინარეობდა რუსულ ენაზე. მართალია, სტუდენტთა შორის მრავლად იყვნენ ქართველები, მაგრამ მაინც ქართველი ახალგაზრდების დიდი ნაწილი მოკლებული იყო შესაძლებლობას უმაღლესი ტექნიკური საინჟინრო განათლება მშობლიურ ენაზე მიეღო.

თსუ-ს პოლიტექნიკური ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებს მრავალი სიძნელის გადალახვა დასჭირდათ ქართულ ენაზე ინჟინრების მოსამზადებლად. უდიდესია მათი ღვაწლი ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის შექმნაში, სპეციალურ დისციპლინებში პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელოების შედგენასა და სასწავლო ლაბორატორიების მოწყობაში. შეიძლება ითქვას, რომ თპი-ს ტექნიკური ფაკულტეტებისა და თსუ-ს სატექნიკო ფაკულტეტის ბაზაზე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის შექმნის შედეგად მივიღეთ საინჟინრო პროფილის ახალი უმაღლესი სასწავლებლი.

აუცილებლად მიგვაჩნია, გავიხსენოთ ჩვენი ქვეყნის სახელოვანი შვილები: ივანე ჯავახიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, ანდრია რაზმაძე, ანდრია ბენაშვილი, ალექსანდრე დიდებულიძე, ალექსანდრე ჯანელიძე, ალექსანდრე თვალჭრელიძე, გრიგოლ წულუკიძე, გიორგი გედევანიშვილი, ვასილ კაკაბაძე, გიორგი მუხაძე, არჩილ ხარაძე, ნიკოლოზ მუსხელიშვილი, გიორგი ნიკოლაძე და სხვები, რომლებმაც თავიანთი დაუღალავი პედაგოგიური, სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობით და პირადი ცხოვრებით მრავალი სახელოვანი ფურცელი ჩაწერეს სტუ-ს ისტორიაში, როგორც მისმა დამფუძნებლებმა. საქართველოს უძველესი საინჟინრო სასწავლებლის დაარსებისა და განვითარების ქრონოლოგია ნაჩვენებია ცხრილში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაარსებისა და განვითარების ძირითადი ეტაპები

ეტაპი	შინაარსი	წელი
1	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) სატექნიკო ფაკულტეტის დაარსება	1922, 16 იანვარი
2	თსუ-ს სატექნიკო ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა პირველი გამოშვება	1928, 28 ივნისი
3	თსუ-ს სატექნიკო ფაკულტეტისა და თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო და საინჟინრო ფაკულტეტების ბაზაზე საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის (სპი) შექმნა	1928, 1 ოქტომბერი
4	სპი-ს ექვს სხვადასხვა ინსტიტუტად რეორგანიზაცია და ამიერკავკასიის სამთო-მეტალურგიული და ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტების ჩამოყალიბება	1930
5	ამიერკავკასიის სამთო-მეტალურგიული და ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტების ბაზაზე ამიერკავკასიის სამთო-ქიმიური ინსტიტუტის შექმნა	1932
6	ამიერკავკასიის სამთო-ქიმიური ინსტიტუტს შეეცვალა სახელი და ეწოდა ს. მ. კიროვის სახელობის ამიერ-კავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტი	1933
7	ამიერკავკასიის ფედერაციის გაუქმების გამო ინსტიტუტს შეეცვალა სახელი და ეწოდა საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტი	1936
8	ინსტიტუტს შეეცვალა სახელი და მას ეწოდა ს.მ.კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი	1947
9	ინსტიტუტს შეუერთდა ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი და ეწოდა ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი	1959
10	ინსტიტუტს შეეცვალა სახელი და მას ეწოდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	1990
11	დაიწყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რეორგანიზაცია და სტრუქტურის ოპტიმიზაცია	2021

შეუძლებელია, არ აღვნიშნოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ ფა-კულტეტზე აღზრდილი პირველი ქართველი ინჟინრები, რომლებმაც 1928 წლის 28 ივნისს საჯაროდ დაიცვეს სადიპლომო პროექტები: ალექსანდრე მიქაბერიძე, ნიკოლოზ კალატოზიშვილი, ივანე გვიჩია, ევგენი ჩიქოვანი და ირაკლი მაღალაშვილი.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი თავიდანვე მეტად აქტიურად ჩაება ჩვენი ქვეყნის სამრეწველო დარგების განვითარების პროცესში. ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსად-გურის მშენებლობა (ზაჰესი), რომელსაც სახელგანთქმული ინჟინერი ბესარიონ ჭიჭინაძე ხელ-მძღვანელობდა, იყო ინსტიტუტის პირველი გამოცდა.

ქართველი სამთოელების პირველმა თაობამ, რომლებიც უნივერსიტეტის ერთ-ერთი ფუძემდებლის, გრიგოლ წულუკიძის მოწაფეები იყვნენ, სათავე დაუდეს სამთომომპოვებელ მრეწველობას. სამთოელების გვერდით, რა თქმა უნდა, დიდ შრომას ეწეოდნენ ქართველი გეოლოგები ცნობილი მეცნიერების ა. ჯანელიძის, ა. თვალჭრელიძისა და კ. გაბუნიას ხელმძღვანელობით. ქართველმა გეოლოგებმა დაიწყეს მადნების ძიების პროცესში რთული სტრუქტურულ-ტექტონიკური, გეოფიზიკური და გეოქიმიური მეთოდების გამოყენება, აგრეთვე, მნიშვნელოვან სიღრმეებზე ბურღვის ახალი ტექნოლოგიური სისტემების შექმნა, რამაც შესაძლებელი გახადა სასარგებლო წიაღისეულთა ახალი საბადოების აღმოჩენა ტყვარჩელში, მადნეულში, შაორში და სხვა ადგილებში.

ტექნიკური უნივერსიტეტის ფუძემდებლებმა პ. მელიქიშვილმა, გ. ნიკოლაძემ და ვ. კაკაბაძემ პროფესორ ლ. პისარჟევსკისთან ერთად საფუძველი ჩაუყარეს ქიმიკოს-ტექნოლოგებისა და მეტალურგების ქართულ სამეცნიერო სკოლებს, რაც აუცილებელი იყო საქართველოში ქიმიური და მეტალურგიული მრეწველობის განვითარებისათვის.

სტუ-ს პირველი კორპუსი

გიორგი ნიკოლაძის ინიციატივით და დიდი ძალისხმევით მოხდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ამოქმედება ჭიათურის მანგანუმის საბადოების ბაზაზე, ეს კი ქართული მეტალურგიის უძველესი ტრადიციების აღდგენას ნიშნავდა. რუსთავის მეტალურგიული და ქიმიური კომბინატები, ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი, ქუთაისის ლითოფონის და მრავალი სხვა ქარხანა ქართველი მეტალურგების, ქიმიკოს-ტექნოლოგების და სხვა სპეციალობის ინჟინერთა თაობათა შრომის შედეგია. ასევე, რთული ამოცანების გადაწყვეტა მოუხდათ ტრანსპორტის დარგის ინჟინრების პირველ თაობას. საქართველოში ელექტრული ტრანსპორტის დარგის ფუძემდებელმა პროფესორმა სტეფანე ყირქესალიშვილმა დაიწყო რთულ ბუნებრივ პირობებში რკინიგზის მშენებლობა რიკოთის უღელტეხილზე და მისი ელექტროფიკაცია. პირველი თაობის ქართველმა ტრანსპორტელებმა შეძლეს სეისმურად მდგრადი საინჟინრო ნაგებობების დაპროექტება და აშენება.

რიონჰესი, ხრამჰესი, ენგურჰესი, თბილსრესი, მრავალი სხვა ენერგოობიექტი პირმშოა ქართველ ენერგეტიკოსთა სახელოვანი ტრადიციებისა. აკადემიკოს ა. დიდებულიძის სკოლის მოწაფეები სათავეში ჩაუდგნენ საქართველოში ელექტროფიკაციის განხორციელებას. შეიქმნა ერთიანი ენერგოსისტემა.

ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერთა და ინჟინერთა წარმატებების აღნიშვნისას გვერდს ვერ აუვლით ქართველ მანქანათმშენებელთა იმ თაობებს, რომლებიც დიდი მეცნიერისა და პედაგოგის გიორგი გედევანიშვილის სკოლიდან გამოვიდნენ. სწორედ ამ სკოლის აღზრდილები ჩაუდგნენ სათავეში საქართველოში ჩარხმშენებლობის, საავტომობილო და საავიაციო მრეწველობის განვითარებას.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქართველი არქიტექტორების ღვაწლი ქვეყნის ქალაქებისა და დაბების, სოფლებისა და კურორტების პროექტირებასა და მშენებლობაში. დიდია ქართული არქიტექტურული სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის პროფესორ ირაკლი ციციშვილის ღვაწლი საქართველოს ისტორიული ძეგლების დაცვისა და რესტავრაციის ეროვნულ საქმეში. უნდა აღინიშნოს ქართველ პოლიტექნიკოსთა აქტიურ მონაწილეობა მეორე მსოფლიო ომში. ვინ მოთვლის, რამდენი ღირსეული ადამიანი იძულებული გახდა დაეტოვებინა მშობლიური ინსტიტუტის კედლები. მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ინსტიტუტის ექვს კურსადმთავრებულს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. მაგრამ ომმა ვერ შეაჩერა საინჟინრო კადრების მომზადების პროცესი. ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტი ახალგაზრდობა აქტიურად იღვწოდნენ ომის შემდგომ პერიოდში ქვეყნის მეურნეობის აღდგენისა და მისი განვითარებისთვის.

საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს და შემდეგ ტექნიკურ უნივერსიტეტს სათავეში ყოველთვის ედგნენ კარგი მეცნიერები და სპეციალისტები, ძლიერი ორგანიზატორები, რომლებმაც მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს საქართველოს ტექნიკური განათლების ფლაგმანის სახელოვან ისტორიაში. ამჯერად შემოვიფარგებლით სტუ-ს რექტორების მხოლოდ ჩამოთვლით: 1928-1936 წწ. <u>დავით კანდელაკი</u>, 1936-1936 წწ. გიორგი გვარჯალაძე, 1936-1948 წწ. არტემ ბოჯგუა, 1948-1952 წ.წ, გრიგოლ ქომეთიანი,1953-1956 წწ. გიორგი ზარიძე, 1956-1958 წწ. რაფიელ დვალი, 1958-1972 წწ. იოსებ ბუაჩიძე, 1973-1981 წწ, არჩილ ძიძიგური, 1981-1988 წწ. თეიმურაზ ლოლაძე, 1988-1994 წწ. გოჩა ჩოგოვაძე, 1994-2007 წწ. რამაზ ხუროძე**,** 2009-2010 წწ. არჩილ მოწონელიძე**,** 2010-2020 წწ. არჩილ ფრანგიშვილი, 2020 წლის თებერვლიდან დღემდე - დავით გურგენიძე.

2010 წლიდან უნივერსიტეტში ახალი სამეცნიერო სტრუქტურების სახით ფუნქციონირებს რამდენიმე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომლებიც ადრე შედიოდნენ საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში: კიბერნეტიკის, მართვის სისტემების. გამოთვლითი მათემატიკის, კვების მრეწველობის, წყალთა მეურნეობის, ჰიდროგეოლოგიის და საინჟინრო გეოლოგიის, მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტები, გაერთიანება ,,ანალიზხელსაწყო'', ინსტიტუტები „ტალღა“ და ,,ტექინფორმი'', ასევე ბიოტექნოლოგიის ცენტრი და საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი. გარდა აღნიშნულისა, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ასზე მეტი სამეცნიერო-სასწავლო ცენტრი, რომლებიც საქმიანობენ თვითდაფინანსების პრინციპებით. ზემოთ ნახსენები ინსიტუტების და ცენტრების სახით სტუ-მ მიიღო მძლავრი სამეცნიერო-კვლევითი და საწარმოო-ლაბორატორიული ბაზების მქონე ორგანიზაციები, რომლებმაც მნიშვნელოვნად გაზარდეს უნივერსიტეტის სამეცნიერო-საწარმოო და ტექნიკურ-ტექნოლოგიური პოტენციალი.



ქართველ ინჟინერთა მიერ დაპროექტებული და აშენებული „დინამო“ სტადიონი

მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულში „საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს“ სტატუსი შეეცვალა და საქმიანობა განაგრძო ახალი სახელწოდებით - „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“. ეს არ იყო მხოლოდ სახელის ცვლილება. განხორციელდა მთელ რიგი თვისობრივი ცვლილება, დაიხვეწა ორგანიზაციის სტრუქტურა. დღეს სტუ-საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში ყველაზე ძველი და ამავე დროს ყველაზე თანამედროვე უმაღლესი საინჟინრო ტექნიკური განათლების ცენტრია, რომელიც თავისი სასწავლო, სამეცნიერო და ტექნიკური შესაძლებლობებით დიდი მონდომებით ემსახურება მაღალკვალიფიციური თანამედროვე საინჟინრო კადრების აღზრდას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ.იაშვილი საქართველოში უმაღლესი საინჟინრო სასწავლებლის ისტორიიდან.
1. ჟურნალი “ისტორიანი“. 2022 წ. # 4 (22)
2. გამოჩენილ ქართველ ინჟინერთა ცხოვრება და მოღვაწეობა. თბილისი.სტუ.2016.
3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი-90. თბილისი.სტუ.2012
4. გამოჩენილი ინჟინრები და მეცნიერები. თბილისი. სტუ.201
5. ი. ყიფშიძე უმაღლესი ტექნიკური განათლების ისტორიისათვის საქართველოში
6. თბილისი. 1953.
7. ს.ჯორბენაძე. თბილისის უნივერსიტეტის მოკლე ისტორია. თბილისი. თსუ.1968.
8. რექტორები. ავტორ-შემდგენელი შ.ნაჭყებია. თბილისი.სტუ.2004.

Pages of the Centenary history of the Higher Engineering and Technical School of Georgia

Nugzar Iashvili, Georgian Engineering Academy

Summary: The report examines the history of the creation of a technical and engineering higher institution in Georgia - the Georgian Polytechnic Institute (GPI), which became a major center of engineering education not only in Georgia, but also in the former Soviet Union. The Polytechnic Institute was founded a hundred years ago and soon became the most advanced and leading educational institution among other educational institutions, with about 30 thousand students studying in its 12 faculties. Currently, this higher education institution operates as a technical university with a three-stage education system. The university is carrying out reforms and laying the foundations for new teaching technologies and expanding scientific and technical ties with other universities and research centers in Europe and the USA, creating the prerequisites for obtaining high-quality higher education.

თურქეთის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ინტერესები ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების პროცესში

ვალერი მოდებაძე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი: კვლევის მიზანი 21-ე საუკუნეში თურქეთის მზარდი გეოპოლიტიკური ამბიციების გაანალიზებაა. ცივი ომის დროს თურქეთს მოკრძალებული გეოპოლიტიკური ამბიციები ჰქონდა. საბჭოთა საფრთხის გამო თურქეთმა ცივი ომის დროს პროდასავლური პოლიტიკა აირჩია და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია გადაწყვიტა. თურქეთი გადაიქცა ამერიკის შეერთებული შტატების სატელიტურ სახელმწიფოდ, რაც მას ხელს უშლიდა, რომ აქტიური როლი ეთამაშა საერთაშორისო პოლიტიკაში. სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა კომუნიზმის კოლაფსის და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. საბჭოთა კავშირის დეზინტეგრაციის შემდეგ თურქეთის გეოპოლიტიკური ამბიციები მნიშვნელოვნად გაიზარდა. როდესაც საბჭოთა საფრთხე გაქრა, თურქეთმა დაიწყო უფრო აქტიური როლის თამაში საერთაშორისო პოლიტიკაში და მისი გეოპოლიტიკური ამბიციები საგრძნობლად გაიზარდა.

იმისათვის, რომ ობიექტურად შეგვესწავლა და გაგვეანალიზებინა 21-ე საუკუნის თურქეთის გეოპოლიტიკური მიზნები და ამბიციები კვლევის დროს გამოყენებულ იქნა დოკუმენტის ანალიზის მეთოდი. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ არის ძლიერი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი საბჭოთა კავშირის დაშლასა და თურქეთის გეოპოლიტიკური ამბიციების ზრდას შორის. საბჭოთა კავშირის დაშლამ შესანიშნავი შესაძლებლობა მისცა თურქეთს, რომ გაეზარდა თავისი გავლენა სამეზობლოში, განსაკუთრებით კავკასიაში, ახლო აღმოსავლეთსა და პოსტსაბჭოთა სივრცეში.

შესავალი: ცივი ომის დროს თურქეთი იყო შეერთებული შტატების სატელიტური სახელმწიფო და არ თამაშობდა დიდ როლს საერთაშორისო პოლიტიკაში. 1990-იან წლებამდე თურქეთის ყურადღება ძირითადად მიმართული იყო შიგა პოლიტიკაზე, ასევე ქვეყნის პოლიტიკურ და ინფრასტრუქტურულ მოდერნიზაციაზე. ცივი ომის დროს თურქეთმა გადაწყვიტა გაეტარებინა პროდასავლური საგარეო პოლიტიკა და ინტეგრირებულიყო ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საბჭოთა საფრთხის განეიტრალებისა და ქვეყნის გასაბჭოების თავიდან ასაცილებლად. თურქეთი გახდა ნატოს წევრი, რათა თავიდან აეცილებინა საბჭოთა აგრესია და შეეჩერებინა საბჭოთა კავშირის ექსპანსიონისტური ამბიციები (მოდებაძე, 2020). თურქეთი იძულებული შეიქმნა, უარი ეთქვა ექსპანსიონისტურ პოლიტიკის გატარებაზე და მოეთოკა მისი გეოპოლიტიკური ამბიციები, თუმცა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, თურქეთის სამეზობლოში გეოპოლიტიკური ლანდშაფტი რადიკალურად შეიცვალა და ჩრდილოეთიდან მომავალი საფრთხეც გაქრა. თურქეთს აღარ ჰქონდა საერთო საზღვარი აგრესიულ და არაპროგნოზირებად რუსეთთან. მისი მეზობლები კავკასიის პატარა და სუსტი სახელმწიფოები გახდნენ (მოდებაძე, 2020). ამ გეოპოლიტიკურმა ტრანსფორმაციებმა საშუალება მისცა თურქეთს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა გაეტარებინა და უფრო დიდი როლი ეთამაშა ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიის რეგიონში. შედეგად, ბოლო ათწლეულების განმავლობაში, თურქეთის საგარეო პოლიტიკური მიზნები უფრო ამბიციური და გრანდიოზული გახდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ძალთა ბალანსი დასავლეთის სასარგებლოდ შეიცვალა, თურქეთმა გადაწყვიტა თავისი გავლენის გაფართოება პოსტსაბჭოთა სივრცეში. თურქეთმა დაიწყო თავისი გრანდიოზული სტრატეგიისა და საგარეო პოლიტიკური კურსის ახალ გეოპოლიტიკურ რეალობასთან მორგება.

თურქეთის გეოპოლიტიკური ამბიციები მულტიპოლარულ სამყაროში

ანკარა კვლავ რჩება ნატოს წევრი და ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირედ, მაგრამ თურქებმა იციან, რომ ვაშინგტონის როლი მცირდება საერთაშორისო სისტემაში და ამიტომ, მზად

არიან უფრო აქტიური როლი ითამაშონ მულტიპოლარულ სამყაროში. თურქეთი აღარ აპირებს დარჩეს ამერიკის შეერთებული შტატების სატელიტურ სახელმწიფოდ და აქვს ამბიცია, ითამაშოს უფრო დიდი როლი მსოფლიო პოლიტიკაში. მას შემდეგ, რაც თურქეთის ეკონომიკური პოტენციალი მნიშვნელოვნად გაიზარდა ბოლო ათწლეულების განმავლობაში, განსაკუთრებით 1980-იანი წლების შემდეგ, მან გამოავლინა მეტი სურვილი, ეთამაშა უფრო აქტიური როლი საერთაშორისო პოლიტიკაში. თურქეთის ხელისუფლებას გაუჩნდა ძალზე ამბიციური გეოპოლიტიკური მიზანი, რომ ქვეყანა გახდეს ძალაუფლების ერთ-ერთი ცენტრი ახალ მსოფლიო წესრიგში. მისი ძალაუფლების მატერიალური და არამატერიალური წყაროების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ თურქეთი ყველაზე ძლიერი სახელმწიფოა მის უშუალო მეზობლებს შორის. არცერთი მათგანი არ არის ისეთი ძლიერი, რომ საფრთხე შეუქმნას თურქეთის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობას. ეს თურქეთს შედარებით დაცულ გეოპოლიტიკურ მდგომარეობაში აყენებს დამოუკიდებლობის შენარჩუნების თვალსაზრისით. თუმცა საჭიროა აღვნიშნოთ რომ, თურქეთისთვის უშიშროების ახალი გამოწვევები და საფრთხეები გაჩნდა, განსაკუთრებით ბოლო ათწლეულების განმავლობაში, როდესაც კონფლიქტები გაღვივდა ახლო აღმოსავლეთში. ომებმა და კონფლიქტებმა ახლო აღმოსავლეთი მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე არასტაბილურ და არაპროგნოზირებად რეგიონად გადააქცია. ახლო აღმოსავლეთის რეგიონი მრავალი საუკუნის განმავლობაში იყო დიდ სახელმწიფოებს შორის არსებული დაპირისპირების არეალი. ისტორიულად ყველა დიდი სახელმწიფო ცდილობდა, მოეკიდა ფეხი ამ ენერგიით მდიდარ რეგიონში. ახლო აღმოსავლეთი კვლავ რჩება რეგიონად, სადაც დიდ სახელმწიფოებს აქვთ ურთიერთგამომრიცხავი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ინტერესები. დიდ სახელმწიფოებს შორის დაპირისპირების გამო, ახლო აღმოსავლეთი მსოფლიოს ყველაზე არასტაბილურ და არაპროგნოზირებად რეგიონად გადაიქცა. ხშირმა კონფლიქტებმა და ომებმა თურქეთის უახლოესი მეზობლები არშემდგარ სახელმწიფოებად აქცია. ხშირი კონფლიქტები ხშირად იწვევს სახელმწიფოების დეზინტეგრაციას და არატრადიციული საფრთხის ფართო სპექტრის გაჩენას, როგორიცაა ტერორიზმი, ადამიანებით ვაჭრობა, ნარკოტიკებით ვაჭრობა, უკონტროლო მიგრაცია და ა. შ. ამიტომაც, თურქეთის საგარეო პოლიტიკის მთავარი მიზანია სტაბილურობის შენარჩუნება სამეზობლოში. სწორედ ასეთი სტრატეგია აირჩია თურქეთის საგარეო პოლიტიკის მთავარმა „არქიტექტორმა“ - აჰმედ დავითოღლუმ, რომელიც თურქეთის პოლიტიკურ წრეებში აღიქმება როგორც „მეზობლებთან ნულოვანი პრობლემების დოქტრინის“ ავტორი (Özcan, 2012).

დავუთოღლუს სტრატეგია „ნულოვანი პრობლემები მეზობლებთან“ წარსულს ჩაბარდა 2016 წელს, როდესაც მოხდა მისი მარგინალიზაცია და თურქეთის საგარეო პოლიტიკა ბევრად უფრო ამბიციური გახდა. თურქი სამხედროების წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, რომ მოეწყოთ სახელმწიფო გადატრიალება, ერდოღანმა დაიწყო უფრო ენერგიული საგარეო პოლიტიკის გატარება, რომელიც მიზნად ისახავდა თურქეთის სტატუსის გაუმჯობესებას საერთაშორისო პოლიტიკაში. მან დიდი ინვესტიცია ჩადო სამხედრო ძალის განვითარებასა და თურქეთის შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციაში. მისი ძალისხმევის წყალობით, თურქეთს ახლა ჰყავს ძალიან ძლიერი და კარგად გაწვრთნილი არმია, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე იარაღითა და ტექნოლოგიებით. თურქეთმა დაიწყო საკუთარი, ადგილობრივი თავდაცვის სისტემების განვითარება, მათ შორის უპილოტო საფრენი აპარატების, რაკეტებისა და ჯავშანტექნიკის, რაც მიზნად ისახავს იმას, რომ თურქეთი ნალკებად იყოს დამოკიდებული სხვა ქვეყნებზე სამხედრო სფეროში. დიდი ინვესტიციები თავდაცვის ინდუსტრიაში ასახავს ანკარას დიდ ამბიციას, რომელიც მიზნად ისახავს, რომ თურქეთი გახდეს გავლენიანი გეოპოლიტიკური მოთამაშე ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. ბოლო 5 წლის განმავლობაში თურქეთი აქტიურად არის ჩართული შეიარაღებულ კონფლიქტებში სირიაში, ერაყში, ლიბიასა და კავკასიაში. მას ასევე ჰყავს მნიშვნელოვანი სამხედრო კონტინგენტი კატარში, ჩრდილოეთ კვიპროსში, სირიასა და სომალიში.

ამრიგად, „მეზობლებთან ნულოვანი პრობლემების პოლიტიკამ“ დაკარგა აქტუალობა ბოლო წლების განმავლობაში და თურქეთმა გადაწყვიტა თავისი ძალის პროეცირება მოახდინოს საერთაშორისო ასპარეზზე (Heukelingen & Deen, 2022 წ).

ნეოოსმანიზმის აღზევება და თურქეთის გეოპოლიტიკური ინტერესები მის სამეზობლოში

თუ ახლო აღმოსავლეთის რუკას ყურადღებით დავაკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ თურქეთი აქტიურად არის ჩართული შეიარაღებულ კონფლიქტებში იმ ქვეყნებში, რომლებიც ადრე ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო. თურქეთის საგარეო პოლიტიკა ახლა ნეოოსმანიზმის იდეოლოგიას ეფუძნება. ეს იდეოლოგია მხარს უჭერს თურქეთის აქტიურ ჩართულობას იმ რეგიონებში, რომლებიც ადრე ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა (Mohhamed, 2021). პრეზიდენტი ერდოღანი ნეო-ოსმანიზმის აქტიური მხარდამჭერია და ახორციელებს ექსპანსიონისტურ საგარეო პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს თურქეთის რეგიონულ ზესახელმწიფოდ გარდაქმნას. ერდოღანის ექსპანსიონისტურმა საგარეო პოლიტიკამ იჩინა თავი სხვადასხვა რეგიონში: აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში და თურქეთის მეზობელ ქვეყნებში (კვიპროსი, საბერძნეთი, ერაყი, სირია, კავკასია), ასევე აფრიკაში (ლიბია). ამრიგად, ბოლო ათწლეულების განმავლობაში თურქეთის საგარეო პოლიტიკამ განიცადა დრამატული გადასვლა ქემალისტური იდეოლოგიიდან ნეოოსმანიზმზე. ამან გამოიწვია მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობების მნიშვნელოვანი გაუარესება. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ კონფლიქტი საბერძნეთთან და კვიპროსთან საზღვაო საზღვრების დემარკაციის გამო.

ოსმალეთის იმპერია იყო ძალიან გავლენიანი აქტორი საერთაშორისო პოლიტიკაში და გლობალური მოთამაშე, რომელიც დომინირებდა ახლო აღმოსავლეთის, კავკასიის, ბალკანეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის უმეტეს ნაწილზე. თურქეთის სამართლიანობისა და განვითარების პარტიის ოცნებაა აღადგინოს წარსული სიდიადე და გარდაქმნას თურქეთი დომინანტურ მოთამაშედ ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიაში.

რუსეთ-უკრაინის ომში თურქეთი რჩება ნეიტრალური, მაგრამ მხარს უჭერს უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობასა და დამოუკიდებლობას. თურქეთის ინტერესებშია, რომ უკრაინამ აღადგინოს ტერიტორიული მთლიანობა და დაიბრუნოს კონტროლი ყირიმზე. ყირიმი არის ტერიტორია, რომელიც შედიოდა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში და სადაც ცხოვრობდნენ ყირიმელი თათრები. ეს ხალხი 1944 წელს სტალინის ბრძანებით ყირიმიდან გადაასახლეს. კრემლმა განზრახ შეცვალა ყირიმის ნახევარკუნძულის ეთნიკური შემადგენლობა და დემოგრაფიული სტრუქტურა რუსების სასარგებლოდ და ადგილობრივი მოსახლეობის დეპორტაცია განახორციელა. თურქეთის ინტერესებში შედის ისტორიული სამართლიანობის აღდგენა და დეპორტირებული ყირიმელი თათრების სამშობლოში დაბრუნება. ანკარისთვის უკრაინის დამოუკიდებლობა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ თუ რუსეთი უკრაინის სახელმწიფოებრიობას ბოლოს მოუღებს, ანკარამ შესაძლოა სამხედრო დახმარება შესთავაზოს კიევს. თურქეთის გეოპოლიტიკურ ინტერესებში არ შედის, რომ რუსეთმა მოახდინოს უკრაინის ანექსია, რადგან უკრაინის ოკუპაცია ცვლის ძალთა ბალანსს რუსეთის სასარგებლოდ შავი ზღვის რეგიონში და აქცევს რუსეთს თურქეთისთვის ყველაზე დიდ საზღვაო საფრთხედ. თურქეთს სურს, თავიდან აიცილოს შავი ზღვის „რუსულ ტბად“ გადაქცევა (კლიმენკო, 2019). თავისი ძალაუფლების მწვერვალზე ოსმალეთის იმპერია აკონტროლებდა მთელ შავ ზღვას, რომელსაც ხშირად „თურქულ ტბას“ უწოდებდნენ. რუსეთის მიერ უკრაინის შავი ზღვის სანაპირო ზოლის ოკუპაციამ შეიძლება ბოლო მოუღოს თურქეთის ამბიციებს, რომ დაამყაროს მტკიცე კონტროლი შავ ზღვაზე.

თურქეთი ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მისი უშუალო მეზობლების ტერიტორიულ მთლიანობას. თურქეთის ინტერესებშია, რომ მისმა მეზობლებმა - რუმინეთმა, ბულგარეთმა და, უპირველეს ყოვლისა, საქართველომ შეინარჩუნონ ტერიტორიული მთლიანობა და

სუვერენიტეტი. საქართველო, როგორც ბუფერული სახელმწიფო განსაკუთრებულ როლს ასრულებს თურქეთის პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებაში. საქართველო სინამდვილეში ბუფერული სახელმწიფოა, რომელიც აშორებს თურქეთს მის ისტორიულ კონკურენტს - რუსეთს. რუსეთი ყოველთვის იყო თურქეთის მთავარი გეოპოლიტიკური კონკურენტი კავკასიის რეგიონში. ბოლო ათწლეულების განმავლობაში თურქეთი საქართველოსთან თანამშრომლობს მრავალ სფეროში და ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს მისი სუვერენიტეტის განმტკიცებაში. თურქეთმა დიდი როლი ითამაშა საქართველოს შეიარაღებული ძალების გაწვრთნასა და აღჭურვაში. თურქეთი ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქართული სამხედრო ობიექტების მოდერნიზაციას. ანკარას სურს საქართველოსა და რუსეთს შორის ნებისმიერი კონფლიქტის თავიდან აცილება და მის ინტერესებში შედის, რომ ეს კავკასიური სახელმწიფო უსაფრთხო ბუფერული ზონა იყოს რუსეთსა და თურქეთს შორის (მოდებაძე 2020).

თუ რუსეთ-თურქეთის ომებს გავაანალიზებთ და ოსმალეთის იმპერიასა და რუსეთის ისტორიულ მეტოქეობას თვალს გადავავლებთ, მივხვდებით, თუ რატომ არის თურქეთისთვის ასეთი მნიშვნელოვანი ამ ბუფერული ზონის შენარჩუნება. თურქეთს ურჩევნია საერთო საზღვარი ჰქონდეს კავკასიის პატარა და სუსტ სახელმწიფოებთან, ვიდრე გიგანტურ და არაპროგნოზირებად რუსეთთან. კავკასია, როგორც ბუფერული ზონა, ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს თურქეთის უსაფრთხოების არქიტექტურაში. სწორედ ამიტომ, თურქეთი კავკასიის სახელმწიფოების დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის მტკიცე მხარდამჭერია (მოდებაძე, 2020).

თურქეთმა ბოლო წლების განმავლობაში კავკასიურ კონფლიქტებსა და კავკასიურ საქმეებში აქტიური მონაწილეობა დაიწყო. თურქეთი აქტიურად იყო ჩართული მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში და აზერბაიჯანის შეიარაღებულ ძალებს ფინანსურ, სამხედრო და მორალურ მხარდაჭერას უწევდა. მან გადამწყვეტი როლი ითამაშა აზერბაიჯანელების სამხედრო შესაძლებლობებისა და საბრძოლო სულისკვეთების გაძლიერებაში (Yalçınkaya, 2021). როდესაც 2020 წელს მთიან ყარაბაღში ომი დაიწყო, თურქულმა უპილოტო საფრენმა აპარატებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს სომხების დამარცხებაში. დრონების ფართომასშტაბიანი გამოყენების გამო, 2020 წლის ყარაბაღის ომი ასევე ცნობილია როგორც „დრონების ომი“. ეს ომი კაცობრიობის ისტორიაში შევიდა, როგორც პირველი ომი, როდესაც დრონები მასიურად გამოიყენა კონფლიქტის მხარემ გადამწყვეტი გამარჯვების მისაღწევად (მოდებაძე, 2021). ამ კონფლიქტმა ასევე ცხადყო თურქეთის მზარდი გავლენა კავკასიის რეგიონში და მძლავრი მესიჯი გაუგზავნა მსოფლიოს, რომ ანკარას გარეშე რეგიონში უსაფრთხოების მყარი არქიტექტურის ჩამოყალიბება შეუძლებელია.

მოსკოვსა და ანკარას ურთიერთგამომრიცხავი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ინტერესები აქვთ კავკასიის რეგიონებში. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ სახელმწიფოს კავკასიაში ბევრი წინააღმდეგობრივი ინტერესები აქვთ, ისინი მაინც ახერხებენ ერთობლივი პროექტების განხორციელებას, როგორიცაა, მაგალითად, თურქული ნაკადი ან აკუიუს ატომური სადგურის მშენებლობა. ეს ორი სახელმწიფო ეკონომიკურად იმდენად ურთიერთდამოკიდებული გახდა, რომ მიუხედავად მათი ურთიერთსაწინააღმდეგო გეოპოლიტიკური ინტერესებისა, ისინი მაინც ახერხებენ საერთო ენის გამონახვას და მრავალი მგრძნობიარე საკითხის მოგვარებას მოლაპარაკებებისა და დიპლომატიის გზით. თურქეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობა პოლიტიკური პრაგმატიზმის გამოვლინებაა. ორივე ქვეყანას სჭირდება ერთმანეთი და ახერხებს პრობლემური საკითხების მშვიდობიანი გზით მოგვარებას. თუმცა რუსეთსა და თურქეთს შორის არ არსებობს ალიანსი ან სტრატეგიული პარტნიორობა, მჭიდრო თანამშრომლობა საშუალებას აძლევს ამ სახელმწიფოებს მიაღწიონ თავიანთ გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ მიზნებს ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიაში.

ანალოგიური პრაგმატული მიდგომაა აქვს ანკარას თეირანთან მიმართებით. ის თანამშრომლობს ირანთან უსაფრთხოების ბევრ სენსიტიურ საკითხზე. მიუხედავად ამისა, თეირანი-

მოსკოვი-ანკარას ღერძის შექმნა ნაკლებად სავარაუდოა, თუ გავითვალისწინებთ ახლო აღმოსავლეთში არსებულ დაძაბულ ვითარებას და დასავლეთსა და რუსეთს შორის არსებულ დაპირისპირებას, ასევე აშშ-სა და ირანს შორის კონფლიქტს. დასავლეთმა მძიმე სანქციები დაუწესა როგორც რუსეთს, ისე ირანს და ამიტომ თეირანი-მოსკოვი-ანკარას ალიანსის შექმნა თურქეთისთვის არ არის მომგებიანი. თურქეთი ცდილობს გააუმჯობესოს ურთიერთობები დასავლეთთან, მაგრამ ამავე დროს სურს შეინარჩუნოს ურთიერთობები სანქცირებულ მეზობლებთან, რათა უფრო ეფექტურად გადაჭრას უსაფრთხოების საკითხები, ასევე კონფლიქტები ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიაში.

თურქეთი ასევე აქტიურად არის ჩართული აფრიკის კონფლიქტებში, განსაკუთრებით ლიბიის სამოქალაქო ომში, სადაც არსებობს ორი დაპირისპირებული ფრაქცია, რომლებიც იბრძვიან ერთმანეთის წინააღმდეგ - GNA (ნაციონალური თანხმობის მთავრობა) და გენერალი ხალიფა ჰაფთარი. თურქეთი, შეერთებული შტატები და იტალია ფინანსურ და სამხედრო დახმარებას სთავაზობენ ეროვნული თანხმობის მთავრობას, ხოლო საუდის არაბეთი, ეგვიპტე, საფრანგეთი და რუსეთი გენერალ ხალიფა ჰაფთარს უჭერენ მხარს. აქ საინტერესოა აღინიშნოს, რომ ლიბიის სამოქალაქო ომმა ნატოს ქვეყნები ორ დაპირისრირებულ ბანაკად გაყო და ისინი ამ კონფლიქტში სხვადასვა კონფლიქტურ მხარის მხარდამჭერები აღმოჩნდნენ.

თურქეთმა გადაწყვიტა, მიიღოს მონაწილეობა ლიბიის სამოქალაქო ომში, რათა დაიკმაყოფილოს თავისი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ამბიციები ხმელთაშუა ზღვაში და მოიპოვოს წვდომა ამ ენერგიით მდიდარი რეგიონის ბუნებრივ რესურსებზე (Sahinkaya, 2020). ბოლო წლების განმავლობაში თურქეთის მთავრობამ შეიმუშავა ლურჯი სამშობლოს დოქტრინა, რომელიც მიზნად ისახავს თურქეთის გავლენის გაზრდას ხმელთაშუა ზღვაში. თურქეთი უკმაყოფილოა ხმელთაშუა ზღვაში საზღვაო საზღვრების ამჟამინდელი დემარკაციით და შექმნა ლურჯი სამშობლოს დოქტრინა, რათა მოითხოვოს ფართო ექსკლუზიური ეკონომიკური ზონა ამ ენერგიით მდიდარ რეგიონში (Gingeras, 2020). თურქეთის მთავრობამ ხელი მოაწერა საზღვაო საზღვრების ხელშეკრულებას ლიბიის ეროვნული თანხმობის მთავრობასთან ხმელთაშუა ზღვაში ექსკლუზიური ეკონომიკური ზონის შექმნის შესახებ. ამ შეთანხმებამ გამოიწვია კონფლიქტი თურქეთსა და მის მეზობლებს შორის (Jimenez Garcia-Carriazo, 2021), თუმცა თურქეთის პარლამენტმა მოახდინა ამ საზღვაო შეთანხმების რატიფიცირება, საერთაშორისო საზოგადოება მას უკანონოდ მიიჩნევს, რადგან ის არ შეესაბამება საერთაშორისო წესებსა და რეგულაციებს. თურქეთის პარლამენტისგან განსხვავებით, ლიბიის პარლამენტმა არ მოახდინა ამ შეთანხმების რატიფიცირება და უარყო ის.

თურქეთის სამხედრო პოტენციალის ზრდასთან ერთად იზრდება მისი გეოპოლიტიკური ამბიციები ხმელთაშუა ზღვაში. ხმელთაშუა ზღვაში დიდი რაოდენობით გაზის საბადოების აღმოჩენის შემდეგ, ამ ენერგიით მდიდარი რეგიონის კონტროლი ანკარასთვის სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. ბოლო წლების განმავლობაში თურქეთმა მეტი ყურადღება დაუთმო საზღვაო ძალების განვითარებას, რათა ხმელთაშუა ზღვაში თავისი ძალის პროეცირება შეძლოს. თურქეთი მიზნად ისახავს დაიბრუნოს თავისი გავლენა ამ რეგიონში, რომელიც წარსულში ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. თურქეთის მზარდმა გეოპოლიტიკურმა და გეოეკონომიკურმა ინტერესებმა ხმელთაშუა ზღვაში, მომავალში შესაძლოა გამოიწვიოს ფართომასშტაბიანი კონფლიქტების გაჩაღება ამ ენერგიით მდიდარ რეგიონში.

თურქეთი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ასევე მის სამხრეთ სამეზობლოს - სირიასა და ერაყს, რადგან ამ ქვეყნებში კონფლიქტებს შესაძლოა ჰქონდეს გადამდები ეფექტი და შეიძლება გამოიწვიოს მთელი ახლო აღმოსავლეთის რეგიონის დესტაბილიზაცია. როდესაც ერაყში ომი დაიწყო, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ანკარასთან ყოველგვარი კონსულტაციის გარეშე გადაწყვიტა ჯარების გაგზავნა ახლო აღმოსავლეთში. თურქები ძალიან უკმაყოფილო იყვნენ იმით, რომ ამერიკელი ჯარები ერაყში ანკარასთან წინასწარი კონსულტაციის გარეშე გაგზავნეს. ქურთების საკითხი ანკარასა და ვაშინგტონს შორის ურთიერთობებსაც ამძიმებს. სირიის სამოქალაქო ომის

დროს აშშ უწევდა სამხედრო და ფინანსურ დახმარებას ქურთების შეიარაღებულ ძალებს, რადგან ისინი იბრძოდნენ ტერორისტული ორგანიზაცია - ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ. ამან ანკარა აღაშფოთა და ამერიკა-თურქეთის ურთიერთობების გაუარესება გამოიწვია. ანკარა ქურთების შეიარაღებულ ძალებს და ქურთისტანის მუშათა პარტიას ტერორისტულ ორგანიზაციებად აღიქვამს, რომლებიც ეგზისტენციალურ საფრთხეს უქმნიან თურქეთის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობას, ასევე ტერიტორიულ მთლიანობას. ამიტომ, სირიის სამოქალაქო ომის დროს ერდოღანმა მკაცრად გააკრიტიკა ვაშინგტონის გადაწყვეტილება დახმარებოდა ქურთების შეიარაღებულ ძალებს და გამოხატა თავისი უკმაყოფილება ამერიკის პოლიტიკით. ამრიგად, ვაშინგტონის ქურთებისადმი გაწეულმა მხარდაჭერამ მნიშვნელოვნად დაძაბა ურთიერთობები ანკარასა და ვაშინგტონს შორის და გამოიწვია თურქულ-ამერიკული ურთიერთობების მნიშვნელოვანი გაუარესება (მოდებაძე, 2020).

თურქეთის ინტერესებში შედის ჩრდილოეთ სირიისა და ჩრდილოეთ ერაყის ეთნიკური ლანდშაფტის შეცვლა და ამ მგრძნობიარე რეგიონებში ქურთების რაოდენობის შემცირება. თურქეთის მიზანია არაბ ლტოლვილთა გამოყენებით შეცვალოს ამ კონფლიქტური რეგიონების ეთნიკური შემადგენლობა. ანკარამ შესაძლოა თურქეთში მყოფი მილიონობით არაბი ლტოლვილი დაასახლოს ამ სასასზღვრო ზონაში და ამ გზით შეამციროს ქურთების რაოდენობა ამ არასტაბილურ რეგიონებში. ანკარასათვის ყოვლად მიუღებელია თურქეთის საზღვრების სიახლოვეს დამოუკიდებელი ქურთული პოლიტიკური ერთეულების გაჩენა და ამიტომ აპირებს ჩრდილოეთ სირიაში „უსაფრთხო ზონის“ შექმნას. თურქეთი კატეგორიულად ეწინააღმდეგება დამოუკიდებელი ქურთული სახელმწიფოს - როჟავას შექმნას ჩრდილოეთ სირიაში.

თურქებს გადაწყვეტილი აქვთ გარდაქმნან თურქეთი ახლო აღმოსავლეთის დომინანტურ ძალად და აღარ სურთ იყონ შეერთებული შტატების სატელიტური სახელმწიფო. ამ მიზნის მისაღწევად მათ შესაძლოა სცადონ ბირთვული არსენალის შექმნა. თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა საჯაროდ გამოხატა უკმაყოფილება იმის გამო, რომ სხვა ქვეყნებს აქვთ ბირთვული იარაღი და თურქეთს ეკრძალება ატომური ბომბის შექმნა (Sanger & Broad, 2019). თურქეთის მთავრობამ დაიწყო დიდი თანხების ინვესტირება სამხედრო პოტენციალის განვითარებაში. თურქეთი მიზნად ისახავს გახდეს თვითკმარი სახელმწიფო სამხედრო სფეროში 2053 წლისთვის. სამხედრო ინდუსტრიის განვითარების წყალობით, თურქეთი ბოლო წლებში იარაღის იმპორტიორი ქვეყნიდან იარაღის ექსპორტიორ სახელმწიფოდ გადაიქცა. 2015 წელს თურქეთმა მოახერხა იარაღის იმპორტის შემცირება 48%-ით, თუმცა თურქეთმა ბოლო ათწლეულებში შეძლო სამხედრო პოტენციალის მნიშვნელოვნად გაზრდა, ის კვლავ ჩამორჩება განვითარების დონით დასავლეთის სახელმწიფოებს და არასაკმარისი რესურსები აქვს იმისათვის, რომ გახდეს დომინანტი სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში. თურქეთს აქვს დიდი ამბიცია, გახდეს ბირთვული ძალა, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, რომ დიდმა სახელმწიფოებმა მას ბირთვული იარაღის შეძენის საშუალება მისცენ. შეერთებული შტატების ინტერესებში არ შედის თურქეთის ბირთვულ სახელმწიფოდ გარდაქმნა, რადგან ბირთვული იარაღის შექმნის შემდეგ თურქეთმა შესაძლოა უფრო დამოუკიდებლად დაიწყოს მოქმედება და მიაღწიოს სრულ დამოუკიდებლობას შეერთებული შტატებისგან.

თურქეთი მიზნად ისახავს გახდეს დომინანტი ძალა ახლო აღმოსავლეთში, მაგრამ საკითხავია, აქვს თუ არა მას საკმარისი ფინანსური და ეკონომიკური პოტენციალი ამ ამბიციური მიზნის მისაღწევად. ზესახელმწიფოს სტატუსის მიღწევა განსაკუთრებით გაუჭირდება ანკარას ახლა, როდესაც თურქეთში დიდი ეკონომიკური კრიზისია და ინფლაცია მძვინვარებს. ეკონომიკური კრიზისის შემდეგ უკვე ეჭვი აღარავის ეპარება იმაში, რომ თურქეთს აქვს შეზღუდული ფინანსური და ეკონომიკური რესურსები და ის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქვეყანაა. ტექნოლოგიური და სამეცნიერო შესაძლებლობებით თურქეთი ჩამორჩება დასავლურ ძალებს და თურქეთის ეკონომიკა მძიმე მდგომარეობაშია. თურქეთში ინფლაციის მაჩვენებელი ძალიან მაღალია და თურქული

ლირა ბოლო წლების განმავლობაში სტაბილურად კარგავს ღირებულებას. ინფლაციის შეჩერებისა და თურქული ლირის გადარჩენის მცდელობისას მთავრობამ დაკარგა იმ სავალუტო რეზერვების თითქმის ნახევარი, რაც მას 2020 წლის დასაწყისში ჰქონდა. ქვეყანაში უმუშევრობის მაღალი დონეა და თურქი მოქალაქეების მსყიდველობითი უნარი მუდმივად მცირდება. თურქეთი აქტიურად არის ჩართული კონფლიქტებში სირიაში, ლიბიასა და ახლო აღმოსავლეთში, რაც დიდ ფინანსურ რესურსებს მოითხოვს და ხელს უწყობს მწვავე ეკონომიკური კრიზისის გაჩენას ქვეყანაში.

თურქეთის ფინანსური და ეკონომიკური პოტენციალის კლებასთან ერთად, მცირდება მისი უნარიც, მიაღწიოს ამბიციურ გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ მიზნებს.

დასკვნა: როგორც ზემოთ აღინიშნა, თურქეთს აქვს ძალიან ამბიციური გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მიზნები. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თურქეთმა დაიწყო აქტიური როლის თამაში საერთაშორისო პოლიტიკაში და აპირებს გახდეს დომინანტური ძალა ახლო აღმოსავ-ლეთში, თუმცა ამ დროისთვის მას არ აქვს საკმარისი ფინანსური და ეკონომიკური შესაძლებ-ლობები თავისი ამბიციური გეოპოლიტიკური მიზნების მისაღწევად. დასავლეთის ქვეყნებთან შედარებით, თურქეთი კვლავ რჩება შედარებით ღარიბ ქვეყნად, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში ინფლაციისა და ეკონომიკური კრიზისის შედეგად მნიშვნელოვნად დაზარალდა. გრანდიოზული გეოპოლიტიკური მიზნების რეალიზაციის მთავარი დაბრკოლებაა სოციალურ-ეკო-ნომიკური არასტაბილურობა და შიგა პრობლემები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Gingeras, Ryan. (2020). Blue Homeland: The Heated Politics Behind Turkey's New Maritime Strategy. Available from World Wide Web: https://warontherocks.com/2020/06/blue-homeland-the-heated-politics-behind-turkeys-new-maritime-strategy/ (Accessed: 5.11.2023)
2. Heukelingen, Nienke Van & Deen, Bob. (2022). Beyond Turkey's 'zero problems' policy: Motives, means and impact of the interventions in Syria, Libya and the South Caucasus. Clingendael - Netherlands Institute of International Relations. Available from World Wide Web: https://www.clingendael.org/sites/default/files/2022-01/Policy_brief_Beyond_Turkeys_zero_problems_policy.pdf (Accessed: 5.11.2023)
3. Jimenez Garcia-Carriazo, Ángeles. (2021). The Maritime Delimitation between Turkey and the Libya's Government of National Accord: another Concern for the European Union? Peace & Security – Paix et Sécurité Internationales, No 9, 2021.
4. Klymenko, Andrii. (2019). A «Russian Lake»: the Nine Aspects of the Current Situation in the Black Sea. Available from World Wide Web: https://www.blackseanews.net/en/read/153503 (Accessed: 5.11.2023)
5. Modebadze, Valeri. (2020). Factors that caused the deterioration in American-Turkish relations. Journal of Liberty and International Affairs, 5(3), 96-101. Available from World Wide Web: https://www.ssoar.info/ssoar/handle/document/66262 (Accessed: 5.11.2023)
6. Modebadze, Valeri. (2021). The importance of Drones in Modern Warfare and Armed Conflicts. KutBilim Sosyal Bilimler ve Sanat Dergisi, 1 (2), 89-98. Available from World Wide Web https://dergipark.org.tr/en/pub/kutbilim/issue/69586/1110169 (Accessed: 5.11.2023)
7. Mohhamed, Osama. (2021). What is behind the rise of Neo – Ottomanism in Turkish Foreign Policy in the last two decades? Available from World Wide Web: https://openaccess.ihu.edu.tr/xmlui/bitstream/handle/20.500.12154/2067/728711.pdf?sequence=1&isAllowed=y (Accessed: 5.11.2023)

8. Özcan, Gencer. (2012). Policy of Zero Problems with the Neighbours. IEMed Mediterranean Yearbook. Available from World Wide Web: https://www.iemed.org/publication/policy-of-zero-problems-with-the-neighbours/
9. Sahinkaya, Ezel. (2020). Why Is Turkey Involved in Libyan Conflict? Available from World Wide Web: https://www.voanews.com/a/extremism-watch_why-turkey-involved-libyan-conflict/6190551.html (Accessed: 5.11.2023)
10. Sanger, David E., & Broad, William J. (2019). Erdogan's Ambitions Go Beyond Syria. He Says He Wants Nuclear Weapons. The New York Times. Available from World Wide Web: https://www.nytimes.com/2019/10/20/world/middleeast/erdogan-turkey-nuclear-weapons-trump.html (Accessed: 5.11.2023)
11. Yalçınkaya, Haldun. (2021). Turkey's Overlooked Role in the Second Nagorno-Karabakh War. Available from World Wide Web: https://www.gmfus.org/news/turkeys-overlooked-role-second-nagorno-karabakh-war#:~:text=Turkey's%20Army%20Building%20in%20Azerbaijan,end%20of%20the%20Cold%20War (Accessed: 5.11.2023)

Turkey's geopolitical and geoeconomic interests in the process of building a new world order

Valeri Modebadze, GTU Professor

Abstract: The aim of the study was to analyze Turkey's growing geopolitical ambitions in the 21st century. During the Cold War, Turkey had modest geopolitical ambitions. Due to the Soviet threat, Turkey chose a pro-Western policy during the Cold War and decided to integrate into Euro-Atlantic structures. Turkey turned into a satellite state of the United States of America, which prevented it from playing an active role in international politics. The situation changed radically after the collapse of communism and the collapse of the Soviet Union. After the disintegration of the Soviet Union, Turkey's geopolitical ambitions increased significantly. As the Soviet threat disappeared, Turkey began to play a more active role in international politics and its geopolitical ambitions grew significantly.

In order to objectively study and analyze the geopolitical goals and ambitions of Turkey in the 21st century, the document analysis method was used during the research. The study found that there is a strong cause-and-effect relationship between the collapse of the Soviet Union and the rise of Turkey's geopolitical ambitions. The collapse of the Soviet Union provided an excellent opportunity for Turkey to increase its influence in the neighborhood, especially in the Caucasus, the Middle East, and the post-Soviet space.

Keywords: Turkey's geopolitical interests, Turkey's geoeconomic interests, the rise of Neo-Ottomanism, Turkey's foreign policy goals in its neighborhood, Turkey's geopolitical ambitions in the multipolar world.

დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მაქსიმე I და
კრისტოფორო კასტელი (ურთიერთობის უნიკალური ფაქტი)

მურმან პაპაშვილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი: ეს სტატია აანალიზებს ურთიერთობას, რომელიც ჩამოყალიბდა 1634-1654 წლებში დასავლეთ საქართველოში მოღვაწე თეატინელ მისიონერ დონ კრისტოფორო კასტელსა და დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ მაქსიმ I-ს (1639-1656) შორის. წყაროები ადასტურებენ, რომ ამ ორ მართლმადიდებელ და კათოლიკე სამღვდელოებას შორის დამყარდა განსაკუთრებული ურთიერთპატივისცემით გამსჭვალული ტოლერანტული ურთიერთობა. ეს კი შეიძლება მივიჩნიოთ ქართული რეალობის თავისებურ ფენომენად. ეს დიდწილად განპირობებული იყო მამა კასტელის გამჭრიახი გონებით, მაღალი ინტელექტით, მოვალეობის წინაშე უმაღლესი პასუხისმგებლობით, თავგანწირული სამსახურისა და საქართველოსადმი დიდი სიყვარულით. ეს უკანასკნელი გახდა საფუძველი, რომელზეც აგებული იყო მისდამი დიდი პატივისცემა და სრული თავისუფლება მისიონერულ საქმიანობაში. დასავლური სამყაროსგან მოწყვეტილმა საქართველოში მოღვაწეობამ სხვა კათოლიკე მამებთან ერთად შექმნა მოწინავე ევროპის იდეა და მისი მიღება. ეს ყველაფერი მართლმადიდებლური სარწმუნოების მიტოვების გარეშე მოხდა. ამ კონტექსტში, ამ ორი პიროვნების ურთიერთობამ შექმნა ფენომენი, რომ „კულტურული ადაპტაცია“ და „ევროპეიზაცია“ მისაღები ყოფილა ქართული რეალობისთვის რელიგიური კომპრომისების გარეშე, რამაც არ დაკარგა აქტუალობა.

საკვანძო სიტყვები: თეატინელი ბერი დონ ქტისტოფერო კასტელი, დასავლეთ საქართველოს პატრიარქი მაქსიმე.

ქართულ თუ უცხოურ ისტორიოგრაფიაში დღემდე დიდი ინტერესით იკვლევენ თეატინელი მისიონერის დონ კრისტოფორო კასტელის მოღვაწეობას, რომელიც დაახლოებით ოცდაორი წელი (1632-1654) ცხოვრობდა და სამისიონერო საქმიანობას ეწეოდა საქართველოში. აქედან ზუსტად თოთხმეტი წელი (1640-1654) მან ოდიშის სამთავროში გაატარა. კრისტოფორო კასტელი, რომელიც 1652 წლიდან ქართლისა და სამეგრელოს მისიონის პრეფექტი იყო (ლიჩინი, 2009, გვ.5) დიდი ავტორიტეტითა და პატივით სარგებლობდა არა მარტო სამეგრელოს, არამედ მთელი დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა კარზე. მის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება და პატივისცემა ჰქონდა როგორც ოდიშის მთავარს ლევან II დადიანს (1611-1657), ისე სამთავროს მთელ მოსახლეობას. კასტელის გამოჩენისას ოდიშარები ამბობდნენ: „აი, წმინდა ლუკა, რომელიც ექიმიც იყო და მხატვარიც“ (ლიჩინი, 2009, გვ. 123-124). საკუთრივ მამა კასტელი ოდიშის მთავრისა და ამ მხარის მოსახლეობისაგან თავს დავალებულად მიიჩნევდა (ლიჩინი, 2009, გვ.125). 1654 წლის 20 აგვისტოს სამეგრელოდან სამშობლოში მიმავალ კასტელისთან განშორება მთავართან ერთად ოდიშარებსაც ეძნელებოდათ (დონ კრისტოფორო დე კასტელი, 1976, გვ. 99). რაც შეეხება ლევან II დადიანს, ის კასტელის სახით ევროპასთან ურთიერთობის საკითხებში ყველაზე გონიერ და საჭირო მრჩეველს კარგავდა. თანამედროვე დიპლომატიურ ენაზე თუ ვიტყვით, კასტელი საქართველოში წმიდა საყდრის აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენელი იყო, რადგან მას არაოფიციალურად ეჭირა „მოციქულებრივი ლეგატის თანამდებობა ქართლსა და სამეგრელოში“ (Licini, 1980, გვ. 125; პაპაშვილი, 2018), გვ. 59). ამიტომ მამა კასტელის მთელ შავიზღვისპირეთში იცნობდნენ, როგორც მოქნილ „შუამავალს ქრისტიანულ დასავლეთსა და აქ არსებულ მრავალ სამეფოს შორის“ (Licini, 1980, გვ. 125).

ამ ზოგადი შესავლის შემდეგ, ახლა ჩვენთვის უშუალოდ საინტერესო საკითხზე. პირველწყაროების საფუძველზე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დონ კრისტოფორო კასტელსა და დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ მაქსიმე I მაჭუტაძეს (1639-1656) შორის ხანგრძლივი ურთიერთობის მანძილზე ურთიერთპატივისცემით გაჯერებული დამოკიდებულება ჩამოყალიბდა. ეს ურთიერთობა სათავეს იღებს 1634 წლიდან, როცა ჯერ კიდევ შემოქმედის ეპისკოპოსმა მაქსიმე მაჭუტაძემ თავისი ინიციატივით კასტელი და მასთან ერთად ორი თეატინელი მისიონერი გორიდან გურიაში ჩაიყვანა სამოღვაწეოდ (თამარაშვილი, 1902, გვ. 105; Tabagua, 1996, გვ. 287). ეპისკოპოსმა მისიონერები დააბინავა შემოქმედში, სადაც მათ მისცა ბინა, „თავისი მთავარი ეკლესია“ და მსახურები (ლიჩინი, 2009, გვ. 6). ეს უნიკალური ფაქტი, რომ მართლმადიდებელ ეპისკოპოსს კათოლიკე მამები მიჰყავს სამისიონერო ასპარეზზე თავის სამწყსოში, გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ: ყოველივე ეს განპირობებული იყო ევროპული სამყაროსადმი დიდი ინტერესის ფაქტორით. ამ კულტურის მატარებელი მისიონერები ერთგვარ ხიდს წარმოადგენდნენ მუდამ დასავლური ცივილიზაციისკენ მიდრეკილ ქართველ მესვეურებს შორის. ამას ცხადად ათვალსაჩინოებს ლევან II დადიანის შემდეგი მიმართვა იტალიელ მისიონერ ჯოვანი და ლუკასადმი. „...ჩემთვის,-უთხრა მთავარმა მისიონერს,-სასიამოვნოა იტალიელი მღვდლის ნახვა, რომლის ერიც მიმაჩნია ყველაზე უფრო ნიჭიერ და განათლებულ ერად მთელ მსოფლიოში. ჩვენს წინაპრებს ყოველთვის ჰქონდათ სურვილი, ენახათ და თავიანთ გვერდით ჰყოლოდათ ამ ერის წარმომადგენლები“ (ტაბაღუა, 1987, გვ. 161). ვფიქრობთ, აქ რამის დამატება და განმარტება უადგილოა. კიდევ მეტი, ქართველ მართლმადიდებელ და სასულიერო პირებს, ასევე პოლიტიკურ მესვეურებს, კათოლიკე მისიონერების მიმართ არ ჰქონდათ გამოკვეთილი დიქოტომიური განწყობა - „მართლმადიდებლები“ და „კათოლიკეები“, „ჩვენ“ და „ისინი“ ან „ჩვენები“ და „უცხონი“. სხვა შემთხვევაში, შეუძლებელია, კათოლიკე მისიონერებს ასე მარტივად მიეღოთ ეკლესია ღვთისმსახურებისათვის. საკუთრივ, კათოლიკე მამები კი ეკლესიას, ცხადია, იყენებდნენ საერთო ქრისტიანულ სისტემაში „ჭეშმარიტებისაგან“ და კათოლიკურ სწავლებასთან დაცილებულ ქართველებთან იმ დიალოგის ადგილად, სადაც დასავლურად განწყობილი სასულიერო პირების მეშვეობით შესაძლებელი იქნებოდა, ცხადია, მათი გაგებით, „ცდომილებაში“ ჩავარდნილი ქართველების ჭეშმარიტების გზაზე გაყვანა, ანუ კათოლიკობაზე გადაყვანა (პაპაშვილი, 2021, გვ. 71). ბუნებრივია, ამ საკითხზე უფრო მეტის თქმა შეიძლება, მაგრამ ამჯერად იგი არაა ჩვენი მიზანი.

საკუთრივ გურიის სამთავროში, თუ როგორ განვითარდა მამა კასტელისა და მაქსიმე ეპისკოპოსს შორის ურთიერთობები, წყაროებში არ ჩანს. ამ შემთხვევაში ასეთი წყარო მხოლოდ კრისტოფორო კასტელის რელაციონებია.

როგორც ცნობილია, 1640 წლის 7 აგვისტოს კრისტოფორო კასტელი გურიიდან სამეგრელოში, წიფურიაში, გადავიდა სამოღვაწეოდ. ასე დაიწყო მისი 14-წლიანი მოღვაწეობა ოდიშის სამთავროში. ამ ფაქტამდე ერთი წლით ადრე, შემოქმედელი ეპისკოპოსი მაქსიმე გახდა დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. იმდროინდელი ოდიშის სამთავროს დიდი პოლიტიკური წონის გამო, ის უფრო დიდხანს იმყოფებოდა ლევან II დადიანის კარზე, ვიდრე გელათში. სწორედ აქ ყალიბდება მათ შორის მჭიდრო ურთიერთპატივისცემით გაჯერებული ურთიერთობები. ყოველივე ამის შესახებ საჭირო ინფორმაციას თავად კასტელის რელაციონები გვაწვდის.

კასტელის თანახმად, ეს ორი სუბიექტი ერთმანეთს ნდობითა და პატივისცემით ეკიდებოდა (ლიჩინი, 2009, გვ. 71). უფრო მეტიც, კრისტოფორო კასტელი კათოლიკოს-პატრიარქს მაქსიმე I-ს „...დიდი გონების...“ პიროვნებად (ლიჩინი, 2009, გვ. 75) მიიჩნევდა, ხოლო ეს უკანასკნელი კასტელის მოწიწებით ეპყრობოდა და „...თავის მამას...“ (ლიჩინი, 2009, გვ. 78) უწოდებდა. და კიდევ; კასტელი ერთგან ძალზე ლაკონიურად აღნიშნავს: პატრიარქი მაქსიმე „...კეთილშობილი ადამიანი იყო... მრავალი წლის განმავლობაში ბევრი კარგი საქმე გამიკეთა“ (ლიჩინი, 2009, გვ. 79), თუმცა ის არ აკონკრეტებს ეს „ბევრი კარგი საქმე“ რაში გამოიხატებოდა. უფრო საფიქრებელია, ამაში

ვიგულისხმოთ ის ლოალური დამოკიდებულება და შემწყნარებლობა, რომელსაც პატრიარქი მაქსიმე იჩენდა მამა კასტელის მიმართ. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს შემდეგი ფაქტორი: ოდიშის სამთავროში თეატინელი მამების ყოველდღიური მისიონერული საქმიანობა სიახლოვეს, სიყვარულსა და საკუთრივ დიალოგში ცხოვრებასაც ნიშნავდა. სწორედ საღვთისმეტყველო საკითხებზე არაოფიციალურად გამართულ დიალოგში, კერძო ხასიათის საუბრებში მამა კასტელის მიმართ მაქსიმე პატრიარქის მიერ გამოჩენილი ლოიალობა ეფუძნებოდა კათოლიკე მამის განსწავლულობას, რომელიც ქართველ მართლმადიდებელ სასულიერო პირებს შორის მეტად იყო დაფასებული (ლიჩინი, 2009, გვ. 70). ეს ფაქტი გვაძლევს საშუალებას თამამად დავასკვნათ: ქართული საზოგადოება არ წარმოადგენდა ისეთ ჩაკეტილ საზოგადოებას, რომ განსხვავებული კონფესიის მატარებელ ქრისტიან სასულიერო პირს შიშის გამო ხმა ვერ ამოეღო (პაპაშვილი, 2023, გვ. 43-44).

რელიგიურ საკითხებზე დიალოგი-მსჯელობა, როგორც ამ ორ სუბიექტს, ასევე ქართველ მართლმადიდებელ სასულიერო პირებსა და კათოლიკე მისიონერებს შორის, ამ უკანასკნელთა საქმიანობის პროცესში, ბუნებრივი ჩანს. ამას რომ ადგილი ჰქონდა, საკუთრივ კასტელი გვიდასტურებს თავის რელაციონებში. ერთ-ერთ ვრცელ რელაციონეში, რომელიც დაუთარიღებელია (ლიჩინი, 2009, გვ. 67-79) კასტელი გვაუწყებს, რომ 1649 წლის აღდგომის დღესასწაულზე ის მიიწვია კათოლიკოს-პატრიარქმა მაქსიმე I-მა მაჭუტაძემ და ქართველმა სამღვდელო დასმა. მამა კასტელი, როგორც თვითონ გვამცნობს, იმდენად იყო ავად, რომ ფეხით ან ცხენით სიარული მეტად უჭირდა. რადგან იმედოვნებდა, რომ მისი მიუსვლელობით პატრიარქი ნაწყენი არ დარჩებოდა, ვინაიდან მას ძალიან უყვარდა და დიდ პატივს სცემდა, გადაწყვიტა არ წასულიყო ამ დღესასწაულზე (ლიჩინი, 2009, გვ. 71-72). „მიუხედავად მიპატიჟებისა, -გვაუწყებს კასტელი, - მან (პატრიარქმა მაქსიმემ მ.პ.) ორჯერ გამომიგზავნა თავისი მღვდლები, რათა ეცნობებინათ, რომ ჩემი ნახვა სურდა...მოვერთე, შევჯექი ცხენზე და თან მამა დონ ჯაკომო ანტონიო მარცი კრემონადან წავიყვანე. როდესაც მის წინაშე წარვდექი, კეთილგანწყობით მომიკითხა და სავარძელში ჩამსვა. ამასთანავე, მაგრძნობინა, რომ ვუყვარდი და ბევრი რამ გააკეთა ჩემთვის, მაგრამ მაშინ, როდესაც ყველა მის სანახავად მოდიოდა, მე არათავაზიანობა გამოვიჩინე და მისი ნახვა არ ვისურვე“ (ლიჩინი, 2009, გვ. 72). ამაზე მამა კასტელიმ, როგორც თვითონ წერს, პატრიარქს უპასუხა: „ამ ქვეყანაში (საქართველოში მ.პ.) ამდენი წლის ტანჯვის შემდეგ მძიმედ ვარ ავად და ამის გამო მაპატიოს არმოსვლა, რადგან ძალზე მიმძიმს ავადმყოფი სხეულის ტარება“ (ლიჩინი, 2009, გვ. 72). საინტერესოა ამაზე პატრიარქ მაქსიმეს პასუხი: „პატრიარქმა,-წერს კასტელი,-ჩემდამი თანაგრძნობა გამოხატა და ღიმილით მითხრა: განა მე არ ვთხოვდი მას ტყეში წასვლის თანხმობას, რათა სამუშაო და ტანჯვა მეპოვა? ეს ჩემი განზრახვა იყო და გავაკეთე“ (ლიჩინი, 2009, გვ. 72).

ამ დღესასწაულზე, კასტელის ცნობით, ის იმიტომ მიიწვიეს, რომ სარწმუნოების საკითხზე კითხვები დაესვათ (ლიჩინი, 2009, გვ. 77). კასტელის თანახმად, უმთავრესი ინტერესის საგანი აღმოჩნდა მაცხოვრის საფლავზე წმინდა ცეცხლის გადმოსვლის საკითხი. ამაზე საუბრისას მამა კასტელი არ უარყოფდა, რომ ამ ზებუნებრივ სასწაულს ადგილი არ ჰქონდა, მაგრამ ეს იყო ქრისტიანობის პირველ წლებში, როცა უფალი ხსნისათვის მისი მოქმედების დასამოწმებლად ზებუნებრივ სასწაულებს აჩვენებდა (ლიჩინი, 2009, გვ. 69). „ახლა, - წერს კასტელი, - აღმოსავლელი ბერძნები, სომხები, აბისინიელები, ქართველები და სხვები ამ სასწაულით სარგებლობენ და სურთ აჩვენონ, რომ მათი ქრისტიანული სარწმუნოება ჭეშმარიტია, ხოლო ის, რასაც ლათინები და რომის პაპი ქადაგებენ-სიცრუეა. ჩვენების (კათოლიკე მისიონერების მ.პ.) არგუმენტებზე ფრთხილი კამათისას, მათ მოაქვთ მოსაზრება, რომ ლათინთა აღდგომის დღეს ციდან არავითარი ცეცხლი არ ეშვება ლათინთა ეკლესიაში, ხოლო მათი საღვთო აკლდამა ამას ყოველი წელი ხედავდა“ (ლიჩინი, 2009, გვ. 69-70). ირკვევა, რომ ამ კამათისას ქართველი სასულიერო პირები არგუმენტად იშველიებდნენ იმას, რომ ლათინები, როგორც გამჭრიახი გონებისანი, უფრო სწავლულები იყვნენ, ვიდრე ისინი და თავიანთი დიალექტიკის მეშვეობით ისინი შავს თეთრად ასაღებდნენ, ხოლო

თეთრს შავად (ლიჩინი, 2009, გვ. 70). რადგან მართლმადიდებელ სასულიერო პირებს სხვა არგუ-მენტის მოხმობა უჭირდათ, მარტივად აცხადებდნენ, რომ „ლათინთა ეკლესიაში ციდან არ ეშვება ცეცხლი და ეს სიმართლეა“ (ლიჩინი, 2009, გვ. 70).

მოყვანილი ამონარიდი გვარწმუნებს, რომ ამ საკითხზე მხარეებს შორის კამათს ნიადაგ ჰქონ-და ადგილი, მაგრამ ამ დღესასწაულზე მასზე კიდევ ერთხელ გაიმართა მსჯელობა. ამჯერადაც მართლმადიდებელი სასულიერო პირები მარტივად განმარტავდნენ: „...საკმარისია ბერძნული კათოლიკური სარწმუნოება, რადგან ყოველი აღდგომის დღეს დიდ კმაყოფილებას განიცდიან. ამას კი ადასტურებს საღვთო ცეცხლის ციდან დაშვება მათ ეკლესიაზე“ (ლიჩინი, 2009, გვ. 70) წერს მამა კასტელი. ამ უკანასკნელმა ოპონენტებს უფრო მყარი არგუმენტების მოშველიებით უპასუხა. რადგან იგი მეტად საინტერესოდ გვეჩვენება, მთლიანად მოვიტანთ. აი, რას წერს კასტელი: „ამის შესახებ მათ ვუპასუხე, რომ ეს არ შეიძლება სიმართლედ ჩაითვალოს გარკვეულ დონემდე. როგორც ბარონიუსი აღნიშნავს, ეს ცეცხლი ციდან ეშვებოდა, მაგრამ ღვთის სამსჯავროს შემდეგ ის უკვე აღარ ჩნდებოდა. ისევე როგორც სხვა სასწაულები, რომლებიც ღმერთმა თავისი ეკლესიის შექმნის დროს წარმოშვა, ბერძნული ეკლესიის რომის მოციქულებრივი ეკლესიიდან გამოყოფის შემდეგ, რამდენადაც ეს ქვეყნები თურქების ხელში აღმოჩნდნენ, ზემოხსენებული ცეცხლი უკვე აღარ გამოჩენილა“ (ლიჩინი, 2009, გვ. 70). როგორც ვხედავთ, კასტელის პასუხი თეოლოგიურ და პო-ლიტიკურ არგუმენტებს შეიცავს. ჩენ ახლა თეოლოგიურ არგუმენტს არ ჩავუღრმავდებით, რადგან მიზანი სულ სხვა გვაქვს. ისე კი, კასტელი თურქების, იმდროინდელი წარმოდგენით ქრისტიანების საერთო მტრის, საფრთხიდან გამომდინარე, რომელიც, მისი რწმენით, ბერძნების მიზეზით ეკლესიათა გაყოფის დროიდან, ანუ 1054 წლიან მომდინარეობს, ცდილობდა საკუთარი პოზიციის განმტკიცებას. მან ამის შემდეგ ოპონენტთა ყურადღება თურქების მიერ მოწყობილ ხრიკზე გაამახვილა და განაცხადა, თუ საიდან მომდინარეობდა მართლმადიდებელთა შეცდომა ამ საღვთო ცეცხლზე. „ქრისტიანი რენეგატების რჩევით, - უმტკიცებდა კასტელი ოპონენტებს,- თურქებმა შორეულ ქვეყნებთან მეტოქეობისათვის (იგულისხმება დასავლეთის კათოლიკე ქვეყნებთან მ.პ) ამ ცეცხლის მნიშვნელობა კარგად გამოიყენეს. აღმოსავლეთის ქრისტიანებმა ცეცხლი იხილეს არა ჩვენი აღდგომის დღეს (იგულისხმება კათოლიკეთა აღდგომის დღე მ.პ.), რაშიც არ ვცდები, არამედ აღმოსავლეთის ქრისტიანთა აღდგომის დღეს, როდესაც თურქეთის ფაშამ, გუბერნატორმა თუ ვიცე-მეფემ იერუსალიმში ხალხით სავსე მაცხოვრის აკლდამაზე ეშმაკურად სანთლები დააწყო. ეკლესია სავსე იყო აღმოსავლელი ქრისტიანებით, კერძოდ, სქიზმატიკოსებით, სომხებით, მეგრელებით, ქართლელებით და სხვ. შემდეგ ყველა გავიდა ეკლესიიდან. ფაშამ კარები დაკეტა და იგი ეკლესიის ბეჭდით დალუქა. ამ დროს ეკლესიის შიგნით ერთი მსახური დატოვა, რომელსაც წმ. საფლავზე უნდა აენთო ყველა სანთელი, რის შემდეგ უნდა დამალულიყო. მთელი ამ დროის განმავლობაში ქრისტიანები ეკლესიის გარშემო იდგნენ და ზეციდან ამ ცეცხლს ითხოვდნენ. როდესაც ფაშა დარწმუნდა, რომ სანთლები უკვე ანთებული იქნებოდა, მან ბეჭედი ახსნა, კარები გააღო და ყველა ქრისტიანი ეკლესიაში შევიდა. დაინახეს რა ანთებული სანთლები, ყველამ მორთო ყვირილი „კირეელეისონ, კირეელეისონ, კირეელეისონ!“ და დარწმუნდნენ თავიანთ შეუმცდარობაში. ამ ყალბი ცეცხლიდან ყველამ თავისი სანთელი აანთო და დიდი ცერემონიალით შემოერტყნენ ეკლესიას; ქება დიდებას ასხამდნენ უფალს, რომ მან ამ სასწაულით მათში რწმენა განამტკიცა“ (ლიჩინი, 2009, გვ. 70-71).

ბუნებრივია, კასტელის ასეთ პასუხს უნდა გამოეწვია შეხლა-შემოხლა. პატრიარქმა, რომელიც მამა კასტელის საუბარს უხალისოდ ისმენდა (ლიჩინი, 2009, გვ. 74) მსუბუქად გამოხატა გულის-წყრომა და მოკლედ, ყოველგვარი არგუმენტის გარეშე, მას უპასუხა: „...თქვენ (იგულისხმებიან კათოლიკეები მ.პ.) ქრისტიანები ხართ, მაგრამ ზეციდან დაშვებული ღვთიური ცეცხლის გარეშე“ (ლიჩინი, 2009, გვ. 74), რაზედაც კასტელიმ მიუგო: „ჩვენ არ გვჭირდება ყალბი ცეცხლი და, თუ ჩვენები ამას იერუსალიმში მოისურვებენ, უფრო ნაკლები ფულით, ვიდრე ისინი, ამას ადვილად

მიაღწევდნენ“ (ლიჩინი, 2009, გვ. 74). „რამდენადაც ჩვენები, - განაგრძობდა კასტელი, - მხოლოდ ჭეშმარიტებას ქადაგებენ, ისინი არ მიმართავენ სიყალბეს და არავის ატყუებენ, რადგან იქ, სადაც სიყალბეა, იდეა არ არის, ხელო ეს ცეცხლი ყალბია, ხელოვნურია. ამას მხარს თურქები უჭერენ, რადგან იმ მრავალი ათასი ქრისტიანისაგან, რომლებიც ამ ცეცხლის სანახავად იერუსალიმში ჩადიან, დიდი შემოსავალი მიიღო“ (ლიჩინი, 2009, გვ. 74). საბოლოოდ კასტელიმ პატრიარქს კიდევ ერთხელ გაუმეორა, რომ „ეს თურქების ნამოქმედარია. ვინმე აბისინიელს, რომელიც წმ. საფლავიდან გამოდის და ბერძენ პატრიარქს უკან მისდევს, ჯიბეში ტალკვესი და აბედი აქვს, რათა ხელოვნურად გააჩინოს ცეცხლი, რომლის შესახებ მერე ამბობენ, რომ იგი ზეციდან დაეშვაო“ (ლიჩინი, 2009, გვ. 74). თავის თავში დარწმუნებულმა კასტელიმ პატრიარქს შესთავაზა, რომ მასთან და მის სანდო პირებთან ერთად გაემგზავრებოდა იერუსალიმში, რათა საკუთარი ხელით შეხებოდა ცეცხლს და დაედასტურებინა „... ის სიყალბე, რომელმაც მთელი აღმოსავლეთი დააბრმავა“ (ლიჩინი, 2009, გვ. 75).

ყოველივე ამის მოსმენამ პატრიარქი იმდენად გააბრაზა, რომ „...ფეხზე ადგა, ტანისამოსი შემოიხია, აუგად მოიხსენია ყველა ის, ვინც [ყალბი] ცეცხლი ნახა“ (ლიჩინი, 2009, გვ. 75) და წამოიძახა: „თქვენ არ მოგისმენიათ უცხოელი პაპისაგან (მღვდელისაგან მ.პ.) ასეთი ამბის უარყოფა! ლოცვა-კურთხევის ქვეყანაში ეს არავის გაუბედავს“ (ლიჩინი, 2009, გვ. 75). ეს გულისწყრომა დასრულდა იმით, რომ პატრიარქმა მამა კასტელის ხელით უბიძგა, რითაც სუფრის წესრიგი დაირღვა (ლიჩინი, 2009, გვ. 75). რაც შეეხება ამავე წვეულებაზე გამართული კამათის მეორე საკითხს, იგი ეხებოდა სულიწმინდას გარდამოსვლის, ანუ „ფილიოკვეს“ საკითხს. პაექრობა, როგორც ჩანს, წამოიწყო „...ბერძენთა პატრიარქის (ალბათ, კონსტანტინოპოლის პატრიარქის-მ.პ.) ერთმა მოძღვარმა ისააკმა, რომელსაც ადრე ამ თემაზე ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა გურიაში მყოფ თეატინელ მისიონერებთან“ (ლიჩინი, 2009, გვ. 72, შენიშვნა 67). ორივე მხარე საკუთარი არგუმენტებით ცდილობდა ჭეშმარიტების დადგენას. საბოლოოდ კამათმა გადაინაცვლა პაპის პრიმატის მოძღვრების გარშემო და აქაც მთავარი არგუმენტი „ეკლესიათა გათიშვის“ შემდგომ განვითარებული პოლიტიკური მოვლენების მოხმობა და კონსტანტინოპოლის დაცემით გამოწვეული ვითარების შეხსენება გახლდათ. კასტელი წერს: „მათ ვუპასუხე: შინაგანმა სიძულვილმა, რომელიც აქვთ ბერძნებს მისი უწმინდესობის მიმართ, ხელი შეუწო მათ (ბერძნების მ.პ.) დაღუპვას. როცა გაერთიანებულნი იყვნენ, ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ როგორც კი აჯანყდნენ, წმ. ეკლესიის ნავსაყუდელი გაიყო. ისინი (ბერძნები მ.პ.), როგორც მწვანე ხიდან მოჭრილი ტოტი, გახმნენ, ჩამორჩნენ და ყოველგვარი სიახლე დაკარგეს. მათ კითხვა დავუსვი და ვუთხარი: სად არის ბერძნების იმპერია და სიბრძნე? სად არიან წმინდანები? იმ პერიოდში, როცა გაერთიანებულნი იყვნენ და ამ ორი ეკლესიიდან ერთ-ერთს რომის პაპი წმ. პეტრეს ვიკარიუსი მეთაურობდა, მაშინ ხომ იყვნენ აყვავებულნი? მათ (ბერძნებმა მ.პ.) წააგეს და პატრიარქიანად თურქების, ქრისტიანების მტრების, მონები გახდნენ. ის (კონსტანტინოპოლის პატრიარქი მ.პ.) მტრის, ქრისტეს მოწინააღმდეგის (ოსმალეთის სულტნის მ.პ.) მიერაა არჩეული“ (ლიჩინი, 2009, გვ. 73-74).

ამავე კასტელის თანახმად, ამ საუბარს პატრიარქი მაქსიმე „...უხალისოდ უსმენდა“ და ბერძნების საწინააღმდეგო სიტყვაც კი თქვა, „...ხოლო მე კი მისთვის საწყენს ვამბობდი და ეს არ მოეწონა, გვაუწყებს ავტორი (ლიჩინი, გვ. 74). ირკვევა, რომ პატრიარქი ძალზე მოზომილად და თავდაჭერილად შეეპასუხა კასტელის. უფრო მეტიც, პატრიარქმა გაუმხილა კასტელის, რომ წესები ბერძნებმა ათასი სიყალბით დახლართეს, ახლა თავს ვერ აღწევენ მას, „...რადგან ირგვლივ იზოლირებული არიან“ (ლიჩინი, 2009, გვ. 79). მოკლედ, ამ საკითხს გამწვავება არ მოჰყოლია, როგორც ღვთიური ცეცხლის გადმოსვლის თემას. მიუხედავად ამისა, როგორც კასტელი ირწმუნება, კათოლიკოს-პატრიარქი მაქსიმე I ამ საკითხზე, ეტყობა, განაგრძობდა ფიქრს, რაც ერთმა კონკრეტულმა შემთხვევამ გააცხადა. მაქსიმე პატრიარქი, როცა ავად გახდა, სურდა მამა კასტელი მის გვერდით ყოფილიყო. ამ მომენტს ძალზე საინტერესოდ აღწერს ავტორი და მას მთლიანად

მოვიყვანთ. პატრიარქი, წერს კასტელი „...სამეგრელოში ჩამოვიდა და დიდ მფარველობას მიწევდა. ოდიშში ყოფნის დროს,...როცა ავად გახდა, მიმიწვია და მთხოვა; მის ლოგინთან ვმჯდარიყავი. ყოველთვის, სუფრაზეც და ნებისმიერ სხვა ადგილას, მის გვერდით ვყოფილიყავი. პატრიარქი საოცარი მოწიწებით მიწოდებდა თავის მამას და დამპირდა, რომ იერუსალიმში ჩემთან ერთად წავიდოდა იმ ცეცხლის სანახავად, რომელიც დაკეტილი კარის მიღმა ენთებოდა და რამაც დააფიქრა“ (ლიჩინი, 2009, გვ. 78). მამა კასტელი დარწმუნებული იყო, რომ პატრიარქი ამას უდავოდ გააკეთებდა, თვითონ იტალიაში რომ არ დაბრუნებულიყო (ლიჩინი, 2009, გვ. 78).

პატრიარქსა და კასტელის შორის მორიგ პირისპირ შეხვედრას ადგილი ჰქონდა 1653 წელს ბაღდათში. მათ შორის საუბარი გაიმართა სასულიერო იერარქის უფლება-მოვალეობის, სამღვდელოების როლზე ხალხში განათლების შეტანის, სამეფო-სამთავროებს შორის ომის აღკვეთის, ეკლესიისა და სახელმწიფოს დამოკიდებულების, სამღვდელო ღირსებისა და საეკლესიო წესების განუხრელად დაცვის, ადგილობრივი საეკლესიო კრებების მოწვევის საჭიროების, მღვდელებისათვის გამოცდების ჩატარების საკითხებზე (პაპაშვილი, 2023, გვ. 41-46). ამ ჩამოთვლილ პრობლემაზე ფაქტობრივად იქადაგა მამა კასტელიმ, რითაც პატრიარქი რაციონალურ კმაყოფილებას ეძლეოდა. საინტერესო იყო ამ ქადაგების ფინალი. მას კასტელი ვრცლად გადმოგვცემს და საჭიროდ მივიჩნევთ მის სრულად მოტანას, რადგან იგი ერთგვარ დასკვნასაც წარმოადგენს. „როცა ქადაგება დავამთავრე, - წერს მამა კასტელი, - პატრიარქმა ამოისუნთქა და თქვა: „ვაი, ვაი, ჩემო თავო. დღეს რამდენი რამე მოვისმინე. ჩემო თავო...ვფიცავ მამაჩემის სულს, რომ არასოდეს გამიგონია ამდენი, რამდენიც ამ კაცმა მითხრა. მართლაც, საიდან მოვიდა ეს ზეციდან ჩამოსული ანგელოზი“. პატრიარქი შემდეგ მიუბრუნდა თავის მსახურებს და მნიშვნელოვნად თქვა: „იცით, ამ წუთში რა მითხრა ამ წმინდა მამამ? მოკლედ გაიმეორა ჩემი ქადაგება, შემდეგ მობრუნდა და მითხრა: „მე ვიცი, რომ რაც მითხარი, ერთგულებით იყო ნათქვამი, რადგან ჩემდამი სიყვარული გამოძრავებთ. წლების განმავლობაში მეც ვიჩენდი ამ სიყვარულს თქვენდამი. ჩვენს ქვეყანაში თქვენ გიცნობენ, როგორც წმინდა ადამიანს, რომელიც ყველაფერს თავისუფლად ამბობს. თქვენი სიტყვები ღმერთის მიერ არის გამოგზავნილი და მუდამ იცოცხლებენ“ (ლიჩინი, 2009, გვ. 96).

ამ კონტექსტში ბუნებრივად მოჩანს კათოლიკოს-პატრიარქი მაქსიმე I-ის მცდელობა, რომ ოდიშის მთავარს ლევან II დადიანს ყველა ღონე ეხმარა, რათა ხელი შეეშალა კასტელის სამშობლოში დაბრუნებისათვის. ის წერს: „პატრიარქი იტალიაში ჩემი დაბრუნების წინააღმდეგი იყო. ამიტომ სამეგრელოს მთავარს ეუბნებოდა, რომ ამისი ნებართვა ჩემთვის არ მოეცა. პატრიარქი მთავარს არწმუნებდა, რომ ჩემი წასვლა მათთვის დიდი დანაკლისი იქნებოდა, ხოლო მისიონი იმ გავლენას დაკარგავდა, რომელიც მას ამ ქვეყანასა და ხალხში მოვუხვეჭე“ (ლიჩინი, 2009, გვ. 79). და კიდევ: „ამ კათალიკოსის თხოვნით, კოლხთა მეფემ (ლევან II დადიანი მ.პ.) ერთი წელი დამაყოვნა...ამ პატრიარქთან სიახლოვე სამეგრელოს გარეთაც მდგომარეობას მიმსუბუქებდა...მოეწონა, რომ გავანათლე იგი (პატრიარქი მ.პ.) და გავაგებინე ის, რასაც ვწინასწარმეტყველებდი. იოლად დავარწმუნე ის, რადგან მეტად კეთილშობილი ადამიანი იყო. პატრიარქს სურდა, რომ უფალს გაენათლებინა და ჭეშმარიტება გაეგო“ (ლიჩინი, 2009, გვ. 79). შესაძლებელია, კასტელის ამ ინფორმაციაში გაზვიადებასაც ჰქონდეს ადგილი, მაგრამ იგი ძირითადად სარწმუნოდ მიიჩნევა იმის გათვალისწინებით, თუ რა განსაკუთრებულ დამოკიდებულებას იჩენდნენ ოდიშის სამთავროში თეატინელი მამების მიმართ.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე დავასკვნით: თეატინელ მისიონერ კრისტოფორო კასტელსა და დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ მაქსიმე I მაჭუტაძეს შორის განსაკუთრებული სახის ურთიერთპატივისცემით გამსჭვალული ტოლერანტული ურთიერთობები ჩამოყალიბდა. იგი ქართული სინამდვილის ერთგვარ ფენომენადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ. ამას უმთავრესად განანაპირობებდა მამა კასტელის გამჭრიახი გონება, მაღალი ინტელექტი, საკუთარ მოვალეობაზე უმაღლესი პასუხისმგებლობა, უანგარო სამსახური და საქართველოსადმი უზომო

სიყვარული. ირკვევა, ოდიშის სამთავროში მათი ეს თვისებები დიდად ფასობდა. აკი თვითონ წერდა: „საქართველო ჩემი სატრფო იყო ოცდაექვსი წლის განმავლობაში“ (დონ კრისტოფორო დე კასტელი, 1976, გვ.187). ეს უკანასკნელი იყო ის ფუნდამენტი, რაზეც შენდებოდა მისადმი დიდი პატივისცემა და სამისიონერო საქმიანობაში სრული თავისუფლება. დასავლურ სამყაროს მოწყვეტილ საქართველოში მისი საქმიანობა, სხვა კათოლიკე მამებთან ერთად, ქმნიდა ევროპის მოწინავეობის შესახებ წარმოდგენას და მის მიმღებლობას. ყოველივე ეს მართლმადიდებელი რწმენის დათმობის გარეშე მიმდინარეობდა. ამ კონტექსტში ამ ორი პიროვნების ურთიერთობამ შექმნა ის ფენომენი, რომ „კულტურული ადაპტაცია“ და „ევროპეიზაცია“ ქართული სინამდვილისათვის მისაღები იყო რელიგიური კომპრომისების გარეშე, რაც დღემდე არ კარგავს თავის აქტუალობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თამარაშვილი, მ. (1902). ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი დონ კრისტოფორო დე კასტელი (1976). ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბილისი: „მეცნიერება“
2. პატრიცია ანა ლიჩინი (2009). კრისტოფორო კასტელი და მისი მისია საქართველოში. თარგმანი, შესავალი და შენიშვნები მურმან პაპაშვილისა, თბილისი: “ინოვაცია”
3. პაპაშვილი, მ. (2018). კრისტოფორო კასტელის ერთი ცნობის გაგების გამო. კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში 1. 1-ლი საერთაშორისო სიმპოზიუმი (6-8 ივნისი, 2017. მასალები, თბილისი: “სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა”
4. პაპაშვილი, მ. (2021) საქართველოში კრისტოფორო კასტელის ყოველდღიურობის ერთი ეპიზოდის ანალიზი. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი.შრომათა კრებული №20, გორი: „გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“
5. პაპაშვილი, მ. (2023). კრისტოფორო კასტელისა და კათალიკოს-პატრიარქ მაქსიმე I-ის ერთი საღვთისმეტყველო დიალოგის ანალიზი. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. შრომათა კრებული №22, გორი: „გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“
6. ტაბაღუა, ი. (1987). საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში. ტ. III, თბილისი: “მეცნიერება”
7. Patrizia Licini (1980). Carteggio inedito di D. Cristoforo Castelli chierico regolare, missionario in Georgia e Mingrelia, (Ricerca sull’architettura georgiana, 21. Istituto di materie umanistiche, facoltà di architettura, Politecnico di Milano), Milano
8. Tabagua, I. (1996). I rapport tra la Georgia Cristiana e la Santa Sede, vol. I, Tbilisi: “ Meznieреba“

Catholicos-Patriarch of Western Georgia Maxim I and Cristoforo Castel (a unique fact of relationship)

Murman Papashvili Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Summary: This article analyzes the relationship that developed between the Theatine missionary Don Cristoforo Castel, who worked in Western Georgia in 1634-1654, and the Catholicos-Patriarch of Western Georgia Maximus I (1639-1656). Sources confirm that a tolerant relationship imbued with a special kind of mutual respect was established between these two Orthodox and Catholic clergy. This can even be considered as a peculiar phenomenon of Georgian reality. This was largely due to Father Castel's insightful mind, high intellect, highest responsibility for his duty, selfless service and great love for Georgia. The latter became the basis On which great respect for him and complete freedom in missionary activity were built. His work in

Georgia, cut off from the Western world, together with other Catholic fathers, created the idea of an advanced Europe and its acceptance. All this happened without abandoning the Orthodox faith. In this context, the relationship between these two individuals creates the phenomenon that “cultural adaptation” and “Europeanization” were acceptable to Georgian reality without religious compromises, which has not lost its relevance to this.

რედაქტორი ბ. ცხადაძე

გარეკანზე - ჯახუნდერის ეკლესიის მოხარატებული კარის ფრაგმენტი (სვანეთი, XI საუკუნის I მეოთხედი) საქართველოს ხელოვნების მუზეუმი.

Fragment of Jakhundera Church carved door, Svaneti, I quarter of 11th century.

გადაეცა წარმოებას 09.09.2024. ხელმოწერილია დასაბეჭდად 08.10.2024. ქაღალდის ზომა 60X84 1/8. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 20.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77

Verba volant,
scripta manent